



შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი
Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

1836-1927 წლების რუსულ პრესაში გამოქვეყნებული ქართული ფოლკლორული მასალის შესწავლა

ანოტირებული ბიბლიოგრაფია

თბილისი
2019

შემდგენლები: ნინო ბალანჩივაძე
ნესტან რატიანი
მარინე ტურაშვილი
რუსუდან ჩოლოყაშვილი
ეკა ჩხეიძე
ქრისტინე ცირეკიძე
თემურ ჯაგოდნიშვილი

ბიბლიოგრაფიის მასალების მოძიებაში შემდგენლებთან ერთად მონაწილეობას
იღებდნენ: იაგო თვალაბეიშვილი და გიორგი ოქროპირიძე

რედაქტორები: რუსუდან ჩოლოყაშვილი
ოთარ ონიანი



„კვლევა განხორციელდა „შოთა რუსთაველის
საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის“
ფინანსური მხარდაჭერით [გრანტის ნომერი FR_17160].“

„This work was supported by „Shota Rustaveli National Science
Foundation of Georgia (SRNSFG)“ [grant number FR_17160].“

© ნინო ბალანჩივაძე, ნესტან რატიანი, მარინე ტურაშვილი, რუსუდან
ჩოლოყაშვილი, ეკა ჩხეიძე, ქრისტინე ცირეკიძე, თემურ ჯაგოდნიშვილი.

გამომცემლობა: „მერიდიანი“.

ISBN 978-9941-8-1920-9

*ედღენება პროფესორ
ეთერ არჯევანიძის
ნათელ ხსოვნას*

შინაარსი

წინასიტყვაობა.....	7
ქართული.....	11
ზეპირსიტყვიერება.....	123
მითები.....	13
ეპოსი	26
ლეგენდები, თქმულებები, გადმოცემები	38
ზღაპრები.....	82
იგავ-არაკები.....	145
ანეკდოტები, მახვილსიტყვაობები	147
მცირე ჟანრები.....	150
პოეზია	153
ეთნოლოგია.....	158
ისტორიული მონაცემები	286
აფხაზური	305
ზეპირსიტყვიერება.....	3067
მითები.....	307
ლეგენდები, თქმულებები, გადმოცემები	310
ზღაპრები.....	313
მცირე ჟანრები.....	314
ეთნოლოგია.....	315
ოსური	329
ზეპირსიტყვიერება.....	3323
ლეგენდები, თქმულებები, გადმოცემები	333
ზღაპრები.....	341

ანეკდოტი.....	343
მცირე უანრები.....	343
პოეზია	343
ეთნოლოგია.....	344
შემოკლებათა განმარტებანი.....	358

წინასიტყვაობა

წინამდებარე წიგნში თავმოყრილია თითქმის ერთი საუკუნის მანძილზე საქართველოში: ძირითადად თბილისში (40), ასევე – ბათუმში (2), ფოთში (1) და რუსეთში – მოსკოვსა (3) და სანკტ-პეტერბურგში (8) გამოშვებულ პერიოდულ გამოცემებში გამოქვეყნებული ქართველების, აფხაზებისა და ოსების ფოლკლორული (ამ ტერმინს ფართო გაგებით ვიყენებთ და მასში ხალხურ სიტყვიერებასთან ერთად ეთნოლოგიასაც ვგულისხმობთ) მასალებისა და მათთან დაკავშირებული ნარკვევებისა თუ გამოკვლევების ანოტაციები.

ამ გამოცემათა მთავარი დანიშნულება იყო რუსეთის იმპერიასთან ახლად მიერთებული კავკასიის ქვეყნებისა და რეგიონების შემომტკიცებაზე ზრუნვა. ამ მიზნით ფართოდ იყო გაშლილი ამ მხარის ყოველმხრივი შესწავლა, მოპოვებული მასალები კი ქვეყნდებოდა სწორედ ამ გამოცემათა ფურცლებზე. ამდენად აქ გამოქვეყნებულ სტატიებში მოცემულია: კავკასიის ბუნების – ფლორის, ფაუნის, წიაღისეულის, კლიმატის აღწერა; მოტანილია ინფორმაცია მათი სოფლის მეურნეობის, ეკონომიკის, კავკასიელი ხალხის სოციალური მდგომარეობის შესახებ; ასევე, გამოქვეყნებულია მასალები და კვლევები მათი: ენების, გეპირსიტყვიერებისა და ეთნოლოგიის შესახებ; საუბარია კავკასიელი ხალხების ბუნებაზე, მათ გარეგნობაზე და სხვა.

რუსები ამ საქმიანობას რუსული ინტერესების გათვალისწინებით აწარმოებდნენ. ამ საკითხთან დაკავშირებით თ. ჯაგოდნიშვილი აღნიშნავს: „რუს მკვლევართა, რუსულ სამეცნიერო საზოგადოებათა თბილისში განლაგებულ ფილიალების მესვეურთა ქართული ტრადიციული ყოფითა და კონკრეტულად ფოლკლორით დაინტერესებას ამ ეტაპზე, მეცნიერულზე მეტად პოლიტიკური ინტერესები ედო საფუძვლად. რუსული ცარიზმი, როგორც ყველა დაპყრობილ რეგიონში, საქართველოშიც ბატონობის ეფექტურ ფორმებს ეძებდა. უმოკლეს დროში ამის განხორციელება ადგილობრივი ტრადიციული ყოფის საფუძვლიანი შესწავლის გარეშე შეუძლებელი იყო, ვერც ტრადიციული ყოფის შინაარსის შეგნებული გაყალბება-დამდაბლება მოხერხდებოდა. რუსული პოლიტიკის მიზანი იყო ეროვნული ტრადიციული ყოფის შეგნებული გაყალბება (მისი უვარგისობის დემონსტრირებით; ეროვნული გულაცრეუბა, ხელის აღება, რასაც რუსულის ჯერ აღიარება, შემდეგ კი ნებაყოფლობითი მიღება უნდა მოჰყოლოდა. ყოველივე ამას საქართველოს სრული ანექსიის დიდად სანუკვარი პროცესი უნდა მოჰყოლოდა“ (ჯაგოდნიშვილი 2004:136). ქართველი მოღვაწენი, რომელნიც არ იყვნენ ცოტანი, ინტენსიური შრომითა და საქმისადმი მართებული მიდგომით იცავდნენ ქართული თუ საერთოდ კავკასიელი ხალხების ინტერესებს – სწორ მიმართულებას აძლევდნენ ამ საქმიანობას და მაღალ პროფესიულ დონეზე წარმოაჩენდნენ ჩვენი უძველესი და უმდიდრესი სულიერი და მატერიალური

კულტურის ღირსებას. რასაკვირველია, ამ გამოცემებში გამოქვეყნებული ტექსტების ჩანერის მეთოდი, პასპორტიზაცია არ იყო დღევანდელი მეცნიერული მოთხოვნების შესატყვისი, მიუხედავად ამ და ზოგიერთი სხვა ხარვეზისა მათი დიდი ნაწილი მაინც ფასეულია. ზოგიერთი მათგანი ხომ წარმოადგენს პირველწყაროს ამა თუ იმ ნაწარმოებისას და ზოგიც უკვე ცნობილი ნიმუშის გარკვეული სიახლის შემცველი ვარიანტია.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ჩვენში ხალხური სიტყვიერების ნიმუშების დაფიქსირება XIX საუკუნეზე გაცილებით ადრე დაიწყო. ისინი XIX ს. ქართულ პრესაშიც ქვეყნდებოდა¹ და მსგავსად მთელი ცივილიზებული სამყაროსი ეს საქმიანობა ჩვენშიც ამ დროისათვის საკმაოდ იყო გააქტიურებული. მიუხედავად ყოველივე ზემოთ თქმულისა, ამ რუსული პერიოდული გამოცემების ფურცლებზე გამოქვეყნებულ ფოლკლორულ თუ ეთნოლოგიურ მონაცემებს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა კავკასიოლოგიის, მათ შორის ქართველოლოგიურ მეცნიერებათა, შემდგომი განვითარებისათვის. ეს, პირველ რიგში, ეხება ამ ხალხების სულიერი და მატერიალური კულტურის შესწავლის საქმეს, რამეთუ ამ სფეროთა შესასწავლად მოპოვებულ ყოველ ახალ ჩანაწერსა და ახალ მასალას, მით უფრო ადრეული პერიოდისას, განსაკუთრებული ფასი აქვს. ამ რუსულენოვან გამოცემათა ღირებულება იმითიც არის ფასეული, რომ მათში თავმოყრილმა ნიმუშებმა უცხოელ სპეციალისტებსაც კარგად დაანახა კავკასიის ხალხების უძველესი კულტურის მაღალი დონე. რასაკვირველია, ეს გამოცემები კარგად არის ცნობილი სპეციალისტებისათვის და ე. არჯევანიძეს ორი სერიოზული გამოცემის ანოტირებული ბიბლიოგრაფიაც აქვს შედგენილი. ამ გამოცემათა ზემოთ ჩამოთვლილ ღირსებათა გათვალისწინებით ჩვენ კვლავ მივუბრუნდით ამ გამოცემათა ფურცლებს, დავამუშავეთ 51 დასახელების მქონე გამოცემის პრესის ფურცლებზე თავმოყრილი ფოლკლორული, ეთნოლოგიური მასალები და ჩვენი ისტორიის საკითხებისადმი მიძღვნილი სტატიები. ასევე, რასაკვირველია, მოვამზადეთ მათი ანოტაციები, რომელთაც ერთად მოვუყარეთ თავი და მოვახდინეთ მთელი მასალის კლასიფიკაცია. ვიმედოვნებთ, რომ ყოველივე ეს გააიოლებს საჭირო მასალის მოძიებას ამა თუ იმ საკითხით დაინტერესებული სპეციალისტებისათვის.

ამ პერიოდულ გამოცემათა მიზნებზე, ამოცანებზე, მათი განხორციელების გზებზე, მიღწეულ შედეგებზე; ცალკეულ ავტორთა ინტერესთა სფეროსა თუ მუშაობის სტილზე, მათ დამსახურებაზე ამ საშვილიშვილო საქმეში, ასევე – გამორჩეულ სტატიათა ღირსებასა თუ ნაკლზე და, რაც მთავარია, ამ გამოცემათა მნიშვნელობაზე, ჩვენი სულიერი თუ მატერიალური კულტურის ისტორიისათვის

¹ ელ. ვირსალაძე, ფ. ზანდუკელი, მ. გოგიჩაიშვილი, ქართული ფოლკლორის მოკლედ ანოტირებული ბიბლიოგრაფია (1829-1901), თბ.: „მეცნიერება“, 1973.

დაინტერესებულ მკითხველს შეუძლია ინფორმაცია მოიძიოს ეთერ არჯევანიძის² და თემურ ჯაგოდნიშვილის³ ნაშრომებში.

როგორც აღრეც არაერთგზის აღნიშნულა, მიუხედავად გარკვეულ შემთხვევებში ამ გამოცემათა ტენდენციურობისა, ასევე, მიუხედავად იმისა, რომ აქ გამოქვეყნებული მასალა არც თუ იშვიათად სტილიზებულია, მათი დამსახურება დიდია ქართველი და, საერთოდ, კავკასიელი ხალხების ზეპირსიტყვიერებისა და ყოფის ამსახველ მონაცემთა თავმოყრასა და შესწავლის საქმეში. ამ გამოცემათა ფურცლებმა დაკარგვას გადაარჩინა მთელი რიგი მხატრული ნაწარმოებები თუ მათი საინტერესო ვარიანტები; დააფიქსირა და შემოგვინახა: წეს-ჩვეულებათა, რწმენა-წარმოდგენათა, რიტუალებისა და იმ პერიოდისათვის ჯერ კიდევ შემორჩენილი ტრადიციული ყოფისათვის ნიშანდობლივი ელემენტები. გარკვეულწილად მან მეტი მოტივაცია მისცა ქართული საზოგადოების ფართო წრეს აქტიურად ჩართულიყო უძველესი ფესვებიდან ამოზრდილი ფოლკლორული ნიმუშებისა და ჯერ კიდევ შემორჩენილი ჩვენი უძველესი ყოფისათვის ნიშანდობლივი ეთნოლოგიური მონაცემების დაფიქსირების საქმეში.

ზეპირსიტყვიერების ნიმუშთა ანოტაციების თანაბრად ეთნოლოგიური მონაცემების დამუშავება და მათი ერთად თავმოყრა უკეთ წარმოაჩენს იმ საერთო ფესვებს, რაც გააჩნდათ კავკასიელ ხალხთა წინაპრებს (ჩრდილო კავკასიელთა შესაბამისი მონაცემები მოცემული იქნება ჩვენი შრომის მეორე ნაწილში). აქვე გამოჩნდება ის განსხვავებანიც, რამაც იჩინა თავი ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით დროთა განმავლობაში და რაც განპირობებული იყო: ისტორიული, სარწმუნოებრივი თუ სხვა მიზეზებით.

ამ გამოცემებში გამოქვეყნებული ნაშრომებიდან, მოგზაურთა ჩანაწერებიდან ჩვენი ინტერესის სფეროს შეადგენს: ქართული, აფხაზური, ოსური ზეპირსიტყვიერების ნიმუშები, მათ შესახებ გამოქვეყნებული ნარკვევები და სტატიები; ასევე –

² ა) Из истории русско-грузинских фольклористических отношений во второй половине 19 века, труды Тб.гос.пед.инст. им. А. С. Пушкина, XI, გვ. 136, 1957; ბ) ანოტირებული ბიბლიოგრაფია ვაზეთ „კავკაზში“ გამოქვეყნებული ქართული ხალხური სიტყვიერების მასალებისა, თბ.: „მეცნიერება“, 1965; გ) ანოტირებული ბიბლიოგრაფია, СМОМПК-ში გამოქვეყნებული ქართული ხალხური სიტყვიერების მასალებისა, თბ.: „მეცნიერება“, 1971; დ) ქართული ხალხური სიტყვიერების შესწავლის საკითხები რევოლუციამდელი საქართველოს რუსულ პერიოდიკაში, თბ.: „მეცნიერება“, 1978.

³ ა) რაფიელ ერისთავი და ხალხური შემოქმედება, თბ.: „მეცნიერება“, 1979; ბ) ქართული ფოლკლორისტიკის სათავეებთან, თბ.: „მეცნიერება“, 1986; გ) „Грузино-русские фольклористические взаимоотношения в XIX веке Тб.: „мечниереба“, 1989; დ) ქართული ფოლკლორისტიკის ისტორია, I, (XIX ს.), თბ.: თსუ-ს გამომცემლობა, 2004; ე) ნარკვევები XX საუკუნის ქართული ფოლკლორისტიკის ისტორიიდან. თბ.: „საარი“, 2019.

ეთნოლოგიური ხასიათის მონაცემები და ქვეყნის ისტორიის მიმოხილვასთან დაკავშირებული საკითხები. სამწუხაროდ, მხოლოდ ერთი ტექსტი მოვიძიეთ ქისტური ზეპირსიტყვიერებისა. ქართული ზეპირსიტყვიერების ნიმუშები დაჯგუფებულია შემდეგი პრინციპით: მითები; ზღაპრები; ეპოსის ნიმუშები (ამირანიანი, როსტომიანი); ლეგენდები, თქმულებები, გადმოცემები; პოეტური ტექსტები; შელოცვები; მცირე ჟანრები (ანდაზები, გამოცანები, საყოფაცხოვრებო ხასიათის რწმენები, ანეკდოტები). ეთნოლოგიურ მასალაში შედის: რწმენა-წარმოდგენები, წეს-ჩვეულებები, რიტუალები (როგორც წარმართული პერიოდიდან შემორჩენილი, ასევე – ქრისტიანული). ისტორიულ მიმოხილვებში კი შესულია: სტატიები ცალკეულ ისტორიულ მოვლენათა და პიროვნებათა შესახებ; ასევე, ქრისტიან წმინდანთა ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი ტექსტები. ხშირად ფოლკლორული და ეთნოლოგიური მასალები ერთ სტატიამია შერეულად თავმოყრილი. ასეთ სტატიებს ეთნოლოგიის განყოფილებაში ვათავსებთ.

აფხაზური და ოსური ფოლკლორული თუ ეთნოლოგიური მონაცემების ანოტაციები მოგვაქვს ქართულის მსგავსად და თანაბრად. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ ხალხთა მასალებში მოხმობილ ღვთაებათა თუ გეოგრაფიულ პუნქტთა სახელწოდების სიზუსტეში დარწმუნებულები არა ვართ. ისინი ხომ რუსული ფორმულირებებით არის მოცემული ამ გამოცემებში და მხოლოდ შემდეგ არის გადმოქართულებული.

ჩვენი კვლევის შემდგომი მიზანია, უკვე ჩატარებული მუშაობის შედეგად გამოვლენილი სიახლის შემცველ ნაწარმოებთა შესწავლა გვიანი პერიოდის ჩანაწერ ვარიანტებთან მიმართებაში. ვიმედოვნებთ, რომ მიღებული შმონაცემები საინტერესო დასკვნების საფუძველი გახდება. ამ კვლევის შედეგები გამოქვეყნდება ჩვენი შრომის მეორე ნაწილში 2020 წ. აქვე დაიბეჭდება ჩრდილო კავკასიის ხალხთა (ჩერქეზების, ჩეჩნების, ინგუშების, დაღესტნელების, ყალმიხების, ყარაჩაელების, ყაბარდოელების, ლეზგების) ფოლკლორული და ეთნოლოგიური მასალების ანოტაციებიც. ჩვენი შრომის მეორე ნაწილი შეივსება, ასევე, ამა თუ იმ მიზნით დღეისათვის ვერ მოძიებული ქართული მასალითაც, რისი ალბათობაც არ არის გამორიცხული.

რუსუდან ჩოლოყაშვილი

ქართული

ზეპირსიტყვიერება

მითები

ТЛИ, 1901, №25, გვ. 3-4, ე. პ. ს., „დიდებული არმაზის შეცდომა“: სანამ არმაზი შეეძინა ხილულ სამყაროს, მან შექმნა კანონები, შემდეგ შექმნა უსულო საგნები: ქვა, კლდე, მინა; მოაზნია ზედ მინერალები, მეტალი, ტოპაზი, ბრილიანტი... შემდეგ – მცენარეები... მათში ბოლოს – ვარდი. როგორც ბრილიანტმა, ასევე ვარდმაც ის ვერ დააკმაყოფილა და შექმნა: თევზები, ფრინველები, ცხოველები, მაგრამ ის გრძნობდა, რომ რაღაც აკლდა იქაურობას – დიდი გონების არსება, რომელიც დატკბებოდა არა მხოლოდ თავისი არსებობით, არამედ – ირგვლივ მყოფებითაც. და არმაზმა შექმნა ადამიანი გონებით, რომელიც ყველაფერზე ამაღლდებოდა და ყოველივეს შეათვასებდა. მისი სრულყოფილება აძლევდა მას უპირატესობას სხვებთან შედარებით. ამ ქმნილებით არმაზი უკვე დაკმაყოფილდა, ეს იყო გვირგვინი ყველა ქმნილებისა. ადამიანსაც მოსწონდა ყველაფერი როგორც იყო შექმნილი, მაგრამ ერთხელაც არმაზი რომ არ დაეჭვებულყო მის სიდიადეში, თქვა: – მე მაინც გარკვეულ წვრილმანებს სხვაგვარად შევქმნიდიო. აი, მაგალითად, მზე რომ აცხუნებს, ძალიან მიხურს სხეულიო, მზის ჩასვლისას კი მცივაო. ამის პასუხად არმაზმა ადამიანს ასწავლა, რომ შეუძლია, ჩაიცვას ცხოველის ტყავი, ასევე – კოცონის დანთება. შემდეგ ადამიანს ისევ დაეტყო უკმაყოფილება – მოსხმული ტყავი ხელს მიშლის ნადირობისას და მშიერი ვრჩები ხოლმეო. არმაზმა მოსავლის მოყვანა ასწავლა, მაგრამ ის სულ რაღაცით იყო უკმაყოფილო, სულ რაღაცას ითხოვდა, მაგალითად: ქარი უბერავს ჩემს კოცონს, ცხოველები თავისით არ მოდიან ჩემთანო, მინის დამუშავება ძნელიაო. არმაზმა ასწავლა: სახლის აშენება, ცხოველების მოშინაურება, ნისქვილის გამართვა. მაინც უკმაყოფილო იყო ადამიანი: – სხვა პლანეტაზე მაინც შემეძლოს წასვლაო. ამაზე უარი უთხრა არმაზმა: – მე ყველაფრის ნიჭი და უნარი მოგეცი, შენ კი გაზარმაცდი და დაუძლურდი, ვერ ტკბები ცხოვრებით მაშინ, როდესაც ირგვლივ კი ყველაფერი ყვავის და ბედნიერია, შენ კი – ყველაფრით უკმაყოფილო.

საკვანძო სიტყვები: არმაზი, სამყარო, ადამიანი.

Key words: Armazi, world, human being.

ТЛИ, 1902, №40, ვ. ა. პოტო, „გადმოცემა რიონისპირა მხარეზე“: აქ იალბუზთან დაკავშირებით პრომეთესის ამბებიც არის მოთხრობილი; პალიასტომის შესახებ ლეგენდა და იმერული ლეგენდა სვეტთან დაკავშირებით (მისი ვარიანტი „კავაზშიც“, 1853 წ., №51 არის დაბეჭდილი).

საკვანძო სიტყვები: იალბუზი, პრომეთე, პალიასტომი, სვეტი.

Key words: Elbrus, Prometheu, Paliastomi, Column.

ИКОИРГО, 1909-1910, №20, გვ. 21-74, ვ. ვ. ღუბიანსკი, „ყაზბეგზე ასვლა“ (ჩვენთვის საინტერესოა გვ. 23-24): ყაზბეგის მწვერვალი ქართველებისთვის „მყინვარი“, ყველაზე პოპულარულია მთის ხალხებში: ოსებისთვის „ურს-ხოხ“ (ყინულის, თოვლის მწვერვალი). ეს ლეგენდარული კლდეა. აქ ოდესღაც პრომეთე იყო მიჯაჭვული, რომელმაც ოლიმპოდან ცეცხლი მოიტაცა უმწეო ადამიანების პროგრესისათვის. გულუბრყვილოებს დღემდე სწამთ, რომ მის ქიმზე დგას თოვლივით თეთრი სამლოცველო შიგ ქრისტეს ოქროს აკვნით; ყველაფრის თავზე კი აბრაამის კარავია.

ყაზბეგის ფართო თოვლიან მთაზე დამარხულია გოლიათი; ხევის კლდოვან გამოქვაბულში კი მკვდარივით სძინავს გოლიათ ამირანს; ყაზბეგის მწვერვალზე ყვავილოვან ბაღში თამარ მეფის სასახლე. უამთააღმწერელი მოგვითხრობს ამ მდიდრული სასახლის შესახებ; ყაზბეგის მთის წიაღში ყოფილა აურაცხელი განძი. დევდორაქსის ხეობაში – სპილენძის მადანი, თრუსოს ხეობაში კი – შაბისა და გოგირდის საბადოები.

წარმართულ, ქრისტიანულ და მაგომეტეიანურ ლეგენდებში არის საერთო მოტივი, რომლის მიხედვითაც იქ არის დაფარული ღვთაებრივი ძალა, რაც ყაზბეგს ხდის მიუკარებელს და მასზე მოკვდავი ვერ ავა. მხოლოდ 1868 წ. დართო მან ნება ყაზბეგზე ასვლისა დ. ფრეშვილდს და მის თანამგზავრებს. მას შემდეგ კი ბევრი ასულა. სტატიაში შემდეგ მოთხრობილია ამ მთაზე სხვა ლაშქრობების შესახებ.

საკვანძო სიტყვები: ყაზბეგის მწვერვალი, პრომეთე, ამირანი, ქრისტე, თამარ მეფე, განძი.

Key words: Kazbegi Peak, Prometheus, Amirani, Christ, King Tamar, Treasures.

ЗКВ, 1852, №39, в. ბერძენოვი (в. ბერძენიშვილი), „წარსულის გახსენება – ჯანაოზ კარაბადინი“: ადრე ადამიანებს ბუნებისა კარგად ესმოდათ. ამის მაგალითია ეს გადმოცემა: ზოროასტრასა და რუსტამის სამშობლოში ოდესღაც ცხოვრობდა დიდი ექიმბაში, რომლის დიდება ქვეყნის გარეთაც გაეგოთ. მას არაფერი დაემალებოდა არც მიწაზე, არც – ცაში. მცენარეები თავად ეუბნებოდნენ, რომელს რა შეეძლო. ის იყო კარგი მკურნალი და ბევრი ცდილობდა, გამოეცნოთ, მისი საიდუმლო რა იყო, მაგრამ ვერ ახერხებდა. მხოლოდ ერთმა დედაბერმა შეატყუა თავისი ვაჟი, ყრუ-მუნჯი და ჯანაოზმაც მოჭამაგირედ დაიყენა. ვაჟმა რომ შეატყო მკურნალს, გველის მწვადი უყვარდა, მისი ცხიმი თვითონაც იგემა და სამყარო მისთვისაც შეიცვალა. ჯანაოზმა ეს იგრძნო და მოკვლა დაუპირა. ამ დროს სპარსეთის შაჰმა მიიწვია ექიმი თავისთან მომაკვდავი ასულის გადასარჩენად. იქ იყო ეს ვაჟიც და სწორედ მისი რჩევით გადაარჩინა მკურნალმა შაჰის შვილი. ამის მოწმე ყველა გახდა და შერცხვენილი ჯანაოზი გამოუდგა ვაჟს. გაქცეულმა თავი მწყემსს შეათარა, რომელსაც მისცა სამი სინჯარით წამალი და აუხსნა, რომ მოკვდებოდა, ამით როგორ უნდა

გაეცოცხლებინა. მართლაც, დაიწყო მწყემსმა მოკლული ვაჟის გაცოცხლება: I და II სინჯარის მოხმარებას კარგი შედეგი მოჰყვა, მაგრამ III სინჯარა გაუტყდა.

ე. არჯევანიძის შენიშვნით, ამ თქმულებას საერთო აქვს ვაჟა-ფშაველას „გველისმჭამელთან“.

საკვანძო სიტყვები: ჯანაოზი, მკურნალი, მცენარე, გველი.

Key words: Jainosis, healer, plant, snake.

ЗКВ, 1853, №5, ნ. ბერძენოვი (ნ. ბერძენიშვილი), „ყოველის გამჩენი (ქართველთა ფილოსოფიური ქვა) – ნატვრისთვალი“: ნატვრისთვალი ქართველებისთვის იგივე ფილოსოფიური ქვაა. მას შეუძლია: იშოვოს ჩიტის რძე, ააშენოს ალმასის სასახლე, მოიპოვოს უკვდავების წყალი, ასევე – მზეთუნახავი; ვახდეს: ფრინველების, თევზების, ცასა და მინისქვეშეთში მყოფი ყველა არსების ხელმწიფე, ე.ი. შექმნას ელდორადო. მისი მოპოვება კი ძნელია. რწმენის მიხედვით, ეს თვალი არის წითური კაცის ტვინში. როდესაც ასეთი ადამიანი კვდება, გველი ძვრება მის საფლავში და აცლის თვალს. ეგვიპტური პაპირუსების მიხედვით, გველი ბინადრობს ძველი ციხის ნანგრევებში. ღამით გველი თამაშობს ამ თვალით. ამ დროს თვალისმომჭრელი ნათებაა, მსგავსად არაჩვეულებრივი მეტეორისა და ისმის საოცარი ხმები. გველს რომ წაართვა ეს თვალი, უნდა მისდით მდინარის ნაპირამდე. როცა პერანგს დაისველებს და თამაშს დაიწყებს, უნდა დაიჭიროთ თვალი და მდინარით გაიქცე. ის გამოუდგება წაართმევს, მაგრამ კვალს დაკარგავს. შეწუხებული მდინარეს ჰკითხავს: – გაქცეული თუ გინახავს? ის კი ეტყვის: – მეც ახლა მოვდივარ და არ მინახავს. ზღვასთან მიდი, დიდ თევზს ჰკითხე, რომლის ბურგბეც მინა დგასო. გამწარებული გველი გაიჭეჭყავს თავს ქვაზე.

საკვანძო სიტყვები: ნატვრისთვალი, გველი, წითური კაცი, თევზი, მდინარე.

Key words: magic stone, snake, rufus man, fish, river.

СМОМПК, 1886, №5, განყ. 2, გვ. 101-102, ი პეტროვი, ხონი, თქმულება ტყის ხალხზე „ოჩოკოჩი“, მთქმ. ოჩამჩირეს ოლქის მცხოვრები როსტომ შონია: ოთხასი წლის წინ ენგურის მარჯვენა სანაპიროზე ჯვრის დასახლებაში მთა ხოჩკუას ძირში ცხოვრობდა ორი ძმა: პიტურუში და ჯვიბა პიმპიევეები. პიტურუში იმით იყო ცნობილი, რომ დაეცა ცეხელდინის აფხაზებს და გაძარცვა. შემდეგ კი, როცა ის ავად იყო, აფხაზები დაეცნენ თავად ხვახვა მარშანიას წინამძღოლობით და იძიეს შური – მოკლეს.

ჯვიბა კარგი მონადირე იყო. ხალხს სჯეროდა, რომ ის ოჩოკოჩს ელაპარაკებოდა. ერთხელ მთაში ირემზე სანადიროდ წასულს, იქ შემოალამდა. ხის ძირას მოეწყო და ცეცხლი გააჩაღა. მას მიუახლოვდა ორი უზარმაზარი თმიანი არსება – ცოლ-ქმარი ოჩოკოჩები. ცოლმა ირმის ხორცი სთხოვა. ჯვიბამ იცოდა, რომ გამოლაპარაკებოდა ოჩოკოჩს, გაგვიყდებოდა და არაფერი უპასუხა. ქმარმა უთხრა ცოლს: – როცა ჯვიბა დაიძინებს, მოვკლავ და შევჭამ, შენ კი ირმის ხორცი

შეჭამეო. ჯვებამ ეს გაიგო და როცა იმათ დაიძინეს, ხანჯალი მიწაში ჩაარჭო პირით ზემოთ, ნაბადი გადაათარა და დაიმალა. შუალამეს ოჩოკოჩს გაეღვიძა და ნაბადს დაეცა ჯვებას მოსაკლავად, მაგრამ ხანჯალი შეერჭო. გაავებულმა ჯვებას დაუნყო ძებნა, მაგრამ ჯვებს თოფი გაუარდა და ოჩოკოჩი მძიმედ დაიჭრა. ახლა უკვე მან სთხოვა ჯვებას კიდევ ესროლა მისთვის, მაგრამ ჯვებამ არ ესროლა. მან იცოდა: თუ ერთბაშად ასჯერ არ ესროლდე, მაშინ განმეორებითი სროლა ოჩოკოჩს გამოაჯანმრთელებდა. აღრიალებული ცოლ-ქმარი მოშორდა იქაურობას. ჯვება დაბრუნდა სახლში, მეორე დღეს კი სხვა ძლიერ ადამიანებთან ერთად წავიდა ოჩოკოჩების საძებნელად. ტყეში მათ გაიგეს ბლავილი, ოჩოკოჩები დასტიროლდნენ მეგობარს. ჯვებას თანამგზავრები შეშინდნენ, გაიფანტნენ და იმასაც მოუწია უკან დაბრუნება. ის ნადირობისას სხვა დროსაც შეხვედრია ოჩოკოჩებს, მაგრამ ისინი მომცრო ზომისანი იყვნენ. იმათაც სთხოვეს ჯვებას ხორცი, მაგრამ იმან აგიზგიზებული მუგუზალი ესროლა და გააქცია. ჯვება ღრმად მოხუცი გარდაიცვალა დიდი ოჯახის გარემოცვაში.

საკვანძო სიტყვები: ოჩოკოჩი, ტყე, მონადირე.

Key words: Ochokochi, Forest, Hunter.

3KB, 1845, №21, გვ. 211-212, **პ. ი., „სპილენძის გრიფონი“:** კახეთში, ნაფარეულთან ახლოს გლეხებმა მიწის დამუშავებისას შემთხვევით იპოვეს სპილენძის გრიფონი. მას აქვს ნახევარი არშინი სიგრძე და შესაბამისი სიგანე. ამ მითოსური არსების თავზე იხსნება სარქველი, საიდანაც ისხმება სითხე წარმართული რიტუალის შესასრულებლად. გრიფონი არწივის თავითა და მკერდით, ლომის ტანითა და კუდით ეგვიპტელთათვის მზის საყვარელ საგნად ითვლებოდა. ამავე ტიპის გრიფონი იმერეთშიაც არის აღმოჩენილი. ქართველები ცეცხლთაყვანისცემას მისდევდნენ ადრე და ქრისტიანობა მას მე-7 საუკუნემდე ებრძოდა. აქ ეს საკითხი განხილულია ეგვიპტურ რწმენასთან დაკავშირებით.

აქვე საუბარია ოსების კატის, რომელსაც ეგვიპტური რწმენა აღმერთებდა, მსხვერპლშენიერვის რიტუალზე. დასმულია საკითხი ხომ არ არის ზადენი ეგვიპტური იზიდას დამახინჯებული ფორმა? ბარელიეფებისა და სურათების მიხედვით, გერენს მიაჩნია, რომ ეგვიპტეს კავკასიის ხალხებიც ჰყავდა დაპყრობილი.

საკვანძო სიტყვები: გრიფონი, კატა, საქართველო, ეგვიპტე.

Key words: Griffin, Cat, Georgia, Egypt.

CMOMIK, 1886, №5, **განყ. 2, გვ. 97-101, ი. პეტროვი, მეგრული თქმულება ციკლოპზე, მთქ. ანაკლიის მცხოვრები აშორტი თადისი:** ერთხელ რედუთკალასა და ანაკლიას შორის მოგზაური წვიმიან ბნელ ღამეს გაუვალ ტყეში მგლების ალყაში მოხვდა, რომლებმაც ცხენიდან ჩამოთრევა მოუნდომეს. არადა ცხენს კუდზე ჯოხები ჰქონდა დამაგრებული (მეგრელებს სჯერათ – თუ ცხენს კუდზე ჯოხებს დაამაგრებ, მგლები მხედარს არ დაეცემიან). საწყალმა იყვირა და ამ

უიმედო სიტუაციაში მოშორებით გამოჩნდა ცეცხლი. მგლები გაიფანტნენ და ცხენიც ცეცხლისკენ გაექანა. აქ იდგა განმარტოებით ქოხი, რომლის პატრონიც ყვირილზე გამოექანა და მოგზაური შეიფარა. ქოხის პატრონმა გადარჩენილს მიუთითა ირგვლივ შავებში მყოფ ხალხზე და უთხრა: – შენ თავს უბედურად არ ჩათვლი, ჩემი სიმწარე რომ იცოდეთ. ჩვენ რვა ძმანი ვიყავით – მეთევზეები, თვეებს გემზე ვატარებდით და კვირაში ერთხელ ნაპირზე ვგზავნიდით ნავით თევზს. ერთხელ გემმა დაიწყო ნაპირს მოცილება და ზღვისკენ სვლა. თითქოს რაღაც ძალა ექაჩებოდა, ვერ ვაჩერებდით. რამდენიმე კვირაში ჩვენ დავინახეთ კლდოვანი ნაპირი, საიდანაც ნაკადულად მოედინებოდა თაფლი. დავინახეთ ასევე გემის ქვემოდან გამოცურებული უშველებელი თევზი. ის იყო ყველაზე დიდი, რომელიც აქ მოცურდებოდა ხოლმე თაფლისათვის, ანაკლიაში კი – სიმინდის საჭმელად. სამწუხაროდ ჩვენი ანკესი ჰქონდა გამოდებული მის ფარფლს და ის მიგვათრევდა. ჩვენ ანკესის თოკი გადავჭერით და გემი საით წავიდოდა, ვეღარ ვხვდებოდით. როცა უკან წამოსვლა დავაპირეთ, დავინახეთ ცხვრისა და თხის ფარა, მათ კი უკან მოსდევდა უზარმაზარი ციკლოპი. იმას ბოძის ხელა უშველებელი ჯოხი ეჭირა. იმან გემი ნაპირზე შეათრია, ჩვენ კი გაგვრეკა თავის ფარასთან ერთად. მიგვიყვანა დიდ შენობაში და იქ ჩაგვკეტა. ის პირველ დღეებში შამფურზე წამოგებულ გაუტყავებელ ცხვრებს ჭამდა, მერე ჩვენზე გადმოვიდა და ჩვენი ძმები შეჭამა. ბოლოს, როცა ორნილა დავრჩით, გავახურეთ უზარმაზარი ხე და ის ერთადერთი თვალი ამოვთხარეთ. ის ფარეხიდან ცხვარს ფეხებს შუა ატარებდა, თან ბენვს უსინჯავდა, ჩვენ რომ დავეჭირეთ. ჩვენც ავდექით, ორი ცხვარი გავატყავეთ, ზედ წამოვიცვით და ასე გამოვეპარეთ. გემი, სადაც დავტოვეთ, იქვე დაგვხვდა. ზედ ავრეკეთ მისი საუკეთესო ცხვარიც და წამოვედით. ისიც მოვარდა, მაგრამ უკვე გვიან იყო. როგორც იქნა, დიდი წვალეებით დავბრუნდით უკან.

საკვანძო სიტყვები: ძმები, გემი, თევზი, ციკლოპი.

Key words: Brothers, ships, fish, cyclops.

ЗКВ, 1846, №5, გვ. 55-61, მ. მაისუროვი, „არგონავტების ლაშქრობა კოლხეთში“: ეს მოგზაურობა ძალიან ამოუცნობია და ბნელით მოცული როგორც ყველა იგავი ბერძენებისა. თითქოს ამ მოგზაურობის მიზანი ოქროს აღმოჩენა იყო, არადა აქაური ოქროს შესახებ ამ ლაშქრობამდე ვარგა ხნით ადრე იყო ცნობილი. აქ აღწერილია კოლხეთის ადგილმდებარეობა, მოყვანილია ძველი ისტორიკოსების მოსაზრებები კოლხეთსა და არგონავტების მოგზაურობაზე.

საკვანძო სიტყვები: არგონავტები, კოლხეთი, ოქრო, ისტორიკოსების მოსაზრებები.

Key words: Argonauts, Colchis, Gold, Historians point of views.

ЗКВ, 1845, №43, აღ. სავანელი, „ქართული მითოლოგიის – განსაკუთრებით ალის შესახებ“: ქართველებს ქრისტიანობამდე წარმართული რწმენა გააჩნდათ. მათი მთავარი ღვთაებები იყო: არმაზი და ზადენი. მეორეხარისხოვანი კი იყო: გაცი, გაიმი, აინანი, დანანი. ძველი ისტორიკოსები სხვა ღვთაებებსაც ასახელებენ. ამიტომ ძველ ქრისტიანებს სერიოზული დაპირისპირება უხდებოდათ კუპთაყვანისმცემლებთან. ღვთის ნებით დაინგრა – მათი ღვთაებები შეიმუსრა. ქრისტიანობამ გაიმარჯვა ქართველთა გულებში და IV საუკუნეში უკვე ფართოდ გავრცელდა. ძველი მითოსური აზროვნებიდან მთელ ქვეყანაში მაინც შემორჩა ალის არსებობის რწმენა, რომელიც ყველგან შეიძლება იყოს და სხვადასხვა არსების სახე მიიღოს. მას შეუძლია კარგის გაკეთებაც და ცუდისაც. მისი დამორჩილებაც შეიძლება, თუ თმებში სწვდები და დაიჭერ. ალის არსებობა ოსებსაც სჯერათ. მისი მსგავსი არსება რუსებსაცაა ჰყავთ, ბერძნებსაც...

საკვანძო სიტყვები: წარმართული ღვთაებები, ალი.

Key words: Pagan deities, Ali.

K, 1852, №53, ჯანაოზი, „კარაბადინი“: წერილში დაცულია ზღაპარი ჯანაოზზე, რომელიც ცნობილი მკურნალი ყოფილა. ის არავის იმონათუებდა. ერთმა ქალმა მოატყუა, თითქოს მისი შვილი ყრუ-მუნჯი იყო და ასე დაუმონათა ჯანაოზს. ბიჭმა დააკავშირა, რომ ჯანაოზს გველის მწვადი უყვარდა და შეწვისას მოგროვილი ცხიმი გასინჯა. ბიჭი გრძნეული გახდა, ესმოდა ბალახების ენა. შაჰის ქალიშვილის სამკურნალოდ ჯანაოზი ვერაფერს გახდა. ტრეპანაცია კი მარტივი აღმოჩნდა, მაგრამ ტვინზე გადაფარებული კუ ვერ მოაშორა შაჰის ასულს. მსახურმა ბიჭმა უკარნახა ჯანაოზს, როგორ უნდა მოქცეულიყო და ამით მისი რისხვა გამოიწვია. ბიჭი გაიქცა და მუხასთან ერთ მწყემსს სთხოვა, როცა ჯანაოზი აკუნავდა, სამი ბოთლი რიგრიგობით დაედვარა ცხვრის ტყავზე გაშლილ მის სხეულზე. მწყემსი ისე მოიქცა, როგორც სთხოვა, მაგრამ მესამე ბოთლი ხელიდან გაუვარდა. ამ ზღაპრის განხილვისას წერილის ავტორს ახსენდება ქართველთა კარაბადინი და რამდენიმე შელოცვას განიხილავს: ერთია მუნის დროს, მეორე კი შაკიკის დროს შესასრულებელი შელოცვა. შაკიკის შელოცვის სტრიქონს „შაკიკი შემოჩვეულა სათიბისა ბოლოსაო“ განმარტავს, რომ სათიბი იმის ნიშანია, რომ ქართველები უხსოვარ დროში თავს ბოლომდე იპარსავდნენ. დასასრულს ავტორი აღნიშნავს, რომ იმ შემთხვევაში, თუ შაკიკს შელოცვა ვერ დაამარცხებდა, ეს იყო გათვალისწინების ნიშანი და გამომლოცველი ასეთ დროს სპეციალურ წესს მიმართავდა. აღწერილია, როგორ ეწყებოდა გამომლოცველს სლოკინი და მთქნარება. ზღაპარში დადასტურებულია ერთი ანდამაც რუსულ ენაზე, რომლის შინაარსიც გულისხმობს, რომ არ უნდა გადაუხვიო არჩეული გზიდან და არ უნდა მიატოვო ძველი მეგობარი.

საკვანძო სიტყვები: გამოლოცვა, შაკიკი, გათვალვა, მუნი, ტრეპანაცია, კუ ტვინზე.

Key words: curse, migraine, evil eye, scabies, trepanation, tortoise on the human brain.

CMOMIK, 1894, №18, განყ. 3, გვ. 1-26, ი. ტენცოვი, „მეგრელთა რწმენა-წარმოდგენებიდან“: ტყის სულელები ზემო სამეგრელოსა და სვანეთის ტყეებში ხშირად ხვდებიან გარეულ ადამიანებს – ქალებსა და მამაკაცებს. მათ მეგრელები ოჩოკოჩებს ეძახიან. ისინი შებმისას მონინაალმდეგეს უმტვრევენ ხელ-ფეხს, ბრჭყალებით კანრავენ, პორტყნიან და იკბინებიან. არავის უნახავს, სად ცხოვრობენ ოჩოკოჩები. მათ გარდა, ტყეებში ტყაში-მაფას ცხოვრობს. ის ტყის დედოფალია, ლამაზი გრძელი თმით. მონადირე, რომელიც მასთან სარეცელს გაიყოფს, ხელბედნიერი იქნება. ასევე, ტყეებში ცხოვრობენ ჭინკები და ქაჯებიც. ქაჯებს ჩლიქები აქვთ და მათი მკერდი ფრინველის მკერდივით წამახულია, მალეები არიან და მათი თმა თეთრად ანათებს სიბნელეში. ჭინკა კი დაბალი ბიჭია, ბასრი კლანჭები აქვს და მას ვეებერთელა სასქესო ორგანო გამოარჩევს. ქაჯები და ჭინკები არც ისე საშიშები არიან, პირველ შეხვედრაზე ისე ცემენ ადამიანს, რომ მხოლოდ ერთი კვირით დაამუნჯებენ, მეორე შეხვედრაზე – ერთი თვით; მესამე შეხვედრაზე კი – სასიკვდილოდ. თუ ვინმე მოიხელთებს რომელიმეს, დააჭრის ბრჭყალებს და ისე დამალავს, რომ ვერ იპოვოს, მსახურად დაუდგებიან. ქაჯებს და ჭინკებს მხოლოდ წმინდა გიორგისა ეშინიათ და მასთან შეხვედრისას თავქუდმოგლეჯილები გარბიან.

საკვანძო სიტყვები: ქაჯები, ჭინკები, ოჩოკოჩი.

Key words: Kajis, Chinkas, Ochokochi.

CMOMIK, 1894, №18, განყ. 3, გვ. 1-26, ი. ტენცოვი, „მეგრელთა რწმენა-წარმოდგენებიდან“: ტყაში-მაფას შურისძიება: კვირის მთაზე სამი ქვაა. ეს ქვები წააგავს მონადირეს და ორ ძაღლს, რომლებიც მას უკან მისდევენ. სოფელ ჯვარში ცხოვრობდა ცოლიანი მონადირე, რომელიც ტყაში-მაფას შეუყვარდა. ცოლმა დასტყუა ეს საიდუმლო. ამის შემდეგ მონადირე ხელცარიელი ბრუნდებოდა სახლში. ერთხელ დაინახა ირემი, დაადევნა ძაღლები, თურმე ტყაში-მაფა ყოფილა: – რად გადაგაქციო? – თუ ხელ გადამაქცევ, მომჩეხავენ და ცეცხლში დამწვავენო. ამიტომ ქვად გადაქცევა ამჯობინა მონადირემ. წელიწადში ერთხელ მონადირე და ძაღლები ცოცხლდებიან, კვირის მთიდან კი ადამიანებს მათი ყმუილი, ყეფა და თოფის ხმა ესმით.

ტობა-ვარჩხილი: ამ ტბიდან არც წყლის დაღევა შეიძლება და არც – ხელის დაბანა. ერთმა მწყემსმა ქვა ჩაავლო, ამოვარდა საშინელი ქარიშხალი და მწყემსმა მთელი ნახირი დაკარგა. ამბობენ, ტბაში უამრავი ვერცხლია და მას დარაჯობენ ქაჯები და ჭინკებიო.

საკვანძო სიტყვები: მეგრული რწმენა-წარმოდგენები, ტყაში-მაფა, ტობა-ვარჩხილი.

Key words: Megrelian faith and superstitions, tkashi-mafa (goodess of woodland), Toba-Varchxili (silver lake) .

CMOMIK, 1894, №18, გვ. 229-410, „ჩანაწერები ხალხური ფანტაზიიდან და ყოფიდან (ტიფლისის და ქუთაისის გუბერნიები)“: კუდიანი (რამდენიმე ვარიანტით დაფიქსირებული) – ერთი ბიჭი (სხვა ვერსიით ჭინკა) მინდორში განმარტოებით მდგარ ვაშლის ხეზე იჯდა. ჩამოიარა კუდიანმა, რომელსაც ზურგზე გულა ჰქონდა მოკიდებული და ბიჭს ვაშლი სთხოვა. ბიჭმა ჯერ ერთი ვაშლი ჩაუგდო, მერე – მეორე, მერე – მესამე. კუდიანი იმიზეზებდა: – ვაშლი ვერ დავიჭირე, გაგორდა, ორმოში გადავარდა, ნეხვში ჩავარდაო. ამიტომ სთხოვა ბიჭს: – დაიწე და ხელით მომანოდე ვაშლიო. ბიჭი ვერ მიხვდა კუდიანის განზრახვას, ხელით გაუწოდა ვაშლი, კუდიანმა კი მოქაჩა ბიჭი და გულაში ჩატენა. გზაზე შემოხვდა: ყვავი, მტრელი, მამალი, ბატი, ვირი და მგელი და ყველა შეიამხანავა. მდინარეზე გადასვლა რომ გაუჭირდათ, მგელმა თქვა, სათითაოდ გადაგიყვანთო. გადაიყვანა ფრინველები და შეჭამა, გადაიყვანა ბიჭი და დაინდო. ბოლოს კუდიანის ჯერი რომ დადგა, შემოისვა ზურგზე და შუა მდინარეში ჩაახრჩო. სანამ დაიხრჩობოდა, კუდიანმა ყვირილი ატეხა, გაიგონა მეორე კუდიანმა, მივიდა მეორე ნაპირზე და გაიტაცა ბიჭი. გზაში ბიჭმა უთხრა: – მოდი, ჩემს სახლში მივიდეთ, დედ-მამა გაგყაროთ და ერთად ვიცხოვროთო. დაუჯდა ჭკუაში კუდიანს. სახლში რომ მივიდნენ, ბიჭმა თვალი ჩაუკრა მშობლებს და სახლიდან გაყარა, კუდიანს კი ეუბნება: – საჭმელი უნდა მოვამზადო, წყალი მომიტანეო. ამასობაში მოვიდნენ სტუმრები. აძვრა ბიჭი ბუხრის თავზე და დაიმალა. შინ მობრუნებულმა კუდიანმა ბიჭი რომ ვერ დაინახა, სტუმრებს ჰკითხა: – სად არისო? დააწყო შეშა და აძვრა კუდიანი ბიჭის ჩამოსაყვანად, ხელი წაავლო ბიჭს ფეხში, ჩამოიშალა შეშა და ჩავარდა ცეცხლში. სტუმრები მიცვივდნენ და ხანჯლებით აკუნეს კუდიანი (სხვა ვერსიით, დიასახლისი ჭინკამ მოატყუა, თმას შეგჭრიო, აკუნა და ხორცისგან სადილი გააკეთა. ოჯახის წევრებს გაუხარდათ: – რამდენი ხორციაო. ჭამა დაიწყეს. დედამთილმა იცნო რძლის ძუძუები და ტირილი დაიწყო. ჭინკა ბუხრის თავზე იჯდა: – მანდ როგორ აძვერიო? – საჩეჩელითო. მიადგეს საჩეჩელი, ზედ დაადეს ჭური, მაგრამ ვერ ჩამოიყვანეს ჭინკა.

ერთი ბერიკაცი, ნოემბრის პირველ დღეებში, საბუეის ტყეში გავიდა. გაიგონა ბავშვის ტირილი, მიჰყვა ხმას, დაინახა ცხრა წლის ბიჭი და წამოიყვანა სახლში. ცოლმა რომ ცეცხლის სინათლეზე დაათვალიერა ბავშვი, ელდა ეცა, რადგან ხელთ ბანჯგულიანი წითელთვალეებიანი პატარა ჭინკა შერჩა. მთელი ღამე დაბმული ჰყავდათ, რომ არაფერი დაეშავებინა. მეორე დღეს სხვებმაც დაადასტურეს, რომ ჭინკა იყო და გაათავისუფლეს. ჭინკა ეზოში გავიდა, მას ძაღლებმა დაუწყეს ყეფა, შეეშინდა და თავქუდმმოგლეჯილი გაიქცა.

ქვასროლია ჭინკა: ერთი კაცი წვიმიანი ოქტომბრის ბოლო დღეებში ღამით სიმინდს როცა დარაჯობდა, თენებოულიდან ხის მოჭრის ხმები შემოესმა, თან მას ვიღაც ქვებს ესროდა. ააგიზგიზა კოცონი, მიწაზე წრე შემოხაზა, გამოსახა ჯვარი და ისე გაათია ღამე. მეორე დღეს შეამონმა და ტყეში ხეები არ იყო მოჭრილი. ამან დააწმუნა, რომ იქ ქვასროლია ჭინკა იყო.

საკვანძო სიტყვები: ჭინკა.

Key words: Chinkas

CMOMIK, 1894, №18, გვ. 229-410, „ჩანაწერები ხალხური ფანტაზიიდან და ყოფიდან (ტიფლისის და ქუთაისის გუბერნიები)“: მაჯლაჯუნა (მაჯმაჯურა, უჯმაჯურა) სახლში ხვრელიდან ღამით შემოფრინდება, გულაღმა მწოლიარეს დაანვება და ახრჩობს. ის წისქვილში ცხოვრობს. ამიტომ წისქვილში განსაკუთრებით საშიშია ღამით იქ შესვლა. თურმე მის აშენებაში ღმერთის კი არა, ეშმაკის ხელი ურევია. მაჯლაჯუნას ცეცხლის ემინია და ამიტომ წისქვილში ღამით ხშირად ანთებულ ცეცხლს ტოვებენ.

საკვანძო სიტყვები: მაჯლაჯუნა.

Key words: Majlajuba (dwarf).

CMOMIK, 1894, №18, გვ. 229-410, „ჩანაწერები ხალხური ფანტაზიიდან და ყოფიდან (ტიფლისის და ქუთაისის გუბერნიები)“: ერთ გამვლელ კაცს ტყიდან ბავშვის ტირილი შემოესმა, რაც უფრო უახლოვდებოდა ხმას, ხმა მით უფრო შორდებოდა. ამის შემდეგ ეს გამვლელი ავად გახდა და მოკვდა.

თურმე პატარა ბიჭი და მისი ძიძა მდინარესთან მისულან. დაუნახავთ ჭინკა. მას ბიჭის მოტაცება უნდოდა, მაგრამ ძიძას გადაურჩინია ბავშვი. ბიჭი ყოველდღე ითხოვდა მდინარეზე წასვლას. ბოლოს მშობლებს გაუშვიათ. ბავშვი უკან აღარ დაბრუნებულა. მწყემსებმა დაინახეს, როგორ მიჰყავდა ბიჭუნა ჭინკას.

ერთი თავადი ეტლით მიდიოდა გზაზე. შემოხვდა ჭინკა და დაემგზავრა. თავადს შეეშინდა, ჭინკას მისთვის რამე არ დაეშავებინა და ყელზე შეაბა თასმა, რომელშიც წმინდა ნაწილები იდო. მიიყვანა სახლში, დააჭრა ბრჭყალები და დაიმონა. ერთხელ თავადი და მისი ცოლი სადღაც წავიდნენ. სახლში მარტონი დარჩნენ ჭინკა და თავადის შვილი, ჭინკამ გამოსტყუა ბავშვს, სად მალავდნენ მის ბრჭყალებს, მიიმავრა, აღუღებული წყლით სავსე ქვაბში ჩაავლო ბიჭი და გაიქცა.

ერთ სახლში ჭინკა დაიმონეს. დატოვეს სახლში სამ ბავშვთან ერთად და დაუბარეს სადილის მომზადება. ან ბავშვებს ჭინკამ დასტყუა, სად ინახებოდა მისი ბრჭყალები და თმები, როდესაც მოძებნა და თავის ადგილზე მიიმავრა, ბავშვები მოხარშა სადილის ნაცვლად, მერე კი გაიქცა.

საკვანძო სიტყვები: ჭინკა.

Key words: Chinka.

ՅՕ, 1890, №1, გვ. 259-261, ა. გრენი, „დევი და ქაჯი“: ამ სტატიამი საუბარია დევების, როგორც მითიური არსებების, ეტიმოლოგიის შესახებ. ნათქვამია, რომ ქართული ინტერპრეტაცია დევის პირველადი სახისგან, ანუ ავესტას დევებისგან განსხვავდება. ქართველურ ხალხებს დევის ორი ძირითადი გაგება აქვთ, რომელთა მოკლე მიმოხილვაც აქ არის მოცემული. ნათქვამია, რომ კავკასიურ მითოლოგიაში ხშირად „დევის“ ეკვივალენტია „ქაჯი“, თუმცა, ასევე, აღნიშნულია, რომ არაერთგვაროვანია მისი გაგება. აქვეა „ქაჯის“ მნიშვნელობის ეტიმოლოგია და მისი გაგების მიმოხილვა კავკასიურ ლიტერატურაში. აღნიშნულია, რომ „ვეფხისტყაოსანში“ ისევეა ქაჯის მნიშვნელობა გამოყენებული, როგორც ფირდოუსთან. გაკეთებულია დასკვნები, თუ რას ნიშნავს „დევი“ კავკასიურ აზროვნებაში.

საკვანძო სიტყვები: დევი, ქაჯი, მითოსი, კავკასია.

Key words: Devi, Kaji, myth, Caucasus.

СМОИИК, 1898, №24, ганы. 2, гв. 260-264, иосებ სტეპანოვი, „მესების გამოჩენა“: ზღაპარში საუბარია, ერთ ხელმწიფეზე, რომელსაც არ ჰყავდა მემკვიდრე. მეზობელი მეფეები კი მისი სიკვდილის შემდეგ მისი მიწების ხელში ჩაგდებას ნატრობდნენ. უშვილობით დამწუხრებული მეფე ნადირობით იქარვებდა დარდს. ერთხელ, ნადირობისას, დაიკარგა მეფე უღრან ტყეში და ღამე იქ გაათენა. დილით კი ტყისა და ცხოველების მბრძალეების – საშინელი ურჩხულის, დანახვით შეშინდა. ურჩხულმა მშვიდად მოაყოლა მეფეს – ვინ იყო და როგორ მოხვდა ტყეში. უამბო, რომ არ ჰყავს მემკვიდრე, ნადირობისას როგორ დაიკარგა და მისი მეზობლები როგორ ნატრობენ მის სიკვდილს. ურჩხულმა მულლამ აჩვენა მეფეს გზა და მისცა ვაშლი, რომელიც უნდა ეჭამა მის ცოლს, რათა ერთ წელიწადში გაეჩინა მემკვიდრე. თან სთხოვა მეფეს, რომ მის შვილს თავად მონათლავდა. მეფემ სასახლეში დაბრუნებისთანავე მისცა თავის ცოლს ვაშლი. ვაშლის ჭამის დროს ერთი ნაჭერი ძირს დავარდა. ეგ ნაჭერი მოსამსახურემ შეჭამა, ხოლო მონაჭერი ქერქი – ძაღლმა. ერთ წელში დედოფალმა გააჩინა ვაჟი, მოსამსახურესაც ეყოლა ვაჟი, რომელიც ჰგავდა უფლისწულს გაჭრილი ვაშლივით. ასევე, ძაღლსაც ეყოლა ლეკვი. სამივე იზრდებოდა ძალიან სწრაფად და უკვე ნახევარ წელიწადში დადიოდნენ სანადიროდ. მეფემ მულლას მონათლინა შვილი. მულლამ მეფის ვაჟს დაარქვა მესია და თქვა, რომ იგი იქნება ყველა ტყისა და ცხოველის მბრძანებელი, მოსამსახურის შვილს დაარქვა კიკო, ლეკვს – კარაკაჩი და თქვა, რომ ისინი მეფეს ერთგულად მოემსახურებოდნენ. მულლამ, ასევე, თქვა, რომ მესიასა და კიკოსგან წარმოიშობა ხალხი, რომელსაც ერქმევა მესები, ხოლო კარაკაჩისგან – მეძებარი ძაღლების ჯიში. ამის თქმის შემდეგ მულლა გაქრა.

მრავალი წლის შემდეგ მესიისა და კიკოს შთამომავლობა ძალიან გამრავლდა და წარმოიშვა ხალხი („მესები“), რომლებიც დღემდე ყველა ტყის და ცხოველის მფლობელები არიან.

მეგრელებში ცოცხლობს თქმულება, რომ „მესები“ ნამდვილად არსებობენ და მათი დანახვა შეუძლებელია. ისინი ცხოვრობენ მიუნვმდომელი ზღვის ნაპირებზე და ყოველ შემოდგომაზე გამოდიან ხმელეთზე: მამაკაცები ერთ დღეს, ქალები კი – მეორე დღეს და ასე ენაცვლებიან ერთმანეთს. როდესაც მამაკაცები გამოდიან შავ სამოსში, მაშინ მოდის წვიმა; როდესაც ქალები გამოდიან თეთრ სამოსში, მაშინ მზიანი ამინდია. გარდა ამისა, მეგრელებს სჯერათ, რომ მესები ნადირობენ, კლავენ ცხოველებს, ჭამენ მათ და შემდეგ ისევ აცოცხლებენ. ასეთ ცხოველებს ნიშანი აქვთ და მონადირეები კლავენ ამ გაცოცხლებულ ცხოველებს. აგრეთვე, მეგრელებს მიაჩნიათ, რომ რაც უფრო მრავლდებიან „მესები“, მით უფრო ნაკლები ველური ცხოველი ბინადრობს ტყეში.

საკვანძო სიტყვები: მეფე, მემკვიდრე, ურჩხული მულლა, ვაშლი, მესია, კიკო, კარაკაჩი, მესები, მეგრელი.

Keywords: King, heir, monster Mulla, Apple, Messiah, Kiko, karakachi, Messiah, megrelian.

СМОМІІК, 1898, №24, **განც. 2, 264-269, იოსებ სტეპანოვი „ბურდლუ და ტყაშმათა“:** რომელიღაც სახელმწიფოში ცხოვრობდა ორმოცდახუთი წლის ბურდლუ. მას არ ჰქონდა სახლი და ქურდობდა. ერთხელაც ღამე ტყეში შეხვდა ტყაშმათას – ტყის დედოფალს და ძალიან შეეშინდა. დედოფალმა შესთავაზა ჩუმად დაქორწინება და ქორწინებაში ათი წელი ცხოვრება. ის თუ შეინახავდა ქორწინებას საიდუმლოდ, დედოფალი ჰპირდებოდა გამდიდრებას, წინააღმდეგ შემთხვევაში, დაწყევლიდა და გააგიჟებდა. ბურდლუ შიშის გამო დათანხმდა და დაიწყეს ერთად ცხოვრება. ის აგრძელებდა ქურდობას და ნელ-ნელა მდიდრდებოდა. ერთხელაც მისმა ქურდმა ამხანაგმა ურჩია, მოეპარა ერთი გლეხის ძროხა, რომელიც იძლეოდა დღეში სამ ლიტრ რძეს, თუმცა მისი მოპარვა რთული იყო. სამი უშედეგო მცდელობის შემდეგ ბურდლუ ამხანაგის რჩევით იმ დღეს მივიდა გლეხის სახლთან, როდესაც გლეხის ცოლი მშობიარობდა და არავის ეცალა ძროხისთვის. იგი ამოეფარა ხეს და ელოდებოდა, სანამ ყველა დაიძინებდა. რამდენიმე ხნის შემდეგ სახლიდან გამოვიდა ერთი ქალი და გლეხს ამცნო გოგოს დაბადება. გახარებული გლეხი შეჰპირდა მას ჩექმების ყიდვას. უეცრად მოფრინდა სამი ანგელოზი. დასხდნენ სახლზე და ახალშობილის ბედზე ბჭობდნენ. მას შემდეგ რაც ორმა გამოთქვა საკუთარი აზრი, მესამე ანგელოზმა თქვა, რომ გოგო გაიზრდება და გაჰყვება ცოლად იმ ადამიანს, რომელიც დგას ხესთან და გვისმენსო. ანგელოზები შეთანხმდნენ და გაფრინდნენ. ბურდლუ ურწმუნო იყო, მან მოიტაცა ღამე ახალდაბადებული

გოგო, გაუფატრა მუცელი და შეაგდო სახურავზე. დილით კი გოგონა იპოვეს, გაუკერეს მუცელი და განკურნეს.

თხუთმეტი წლის შემდეგ, როდესაც უკვე ბურღლუ აღარ ცხოვრობდა ტყაშმაფასთან, იყიდა დიდი სახლი, მიატოვა ქურდობა, მდიდრულად ცხოვრობდა და გაიჩინა ბევრი მეგობარი, რომლებმაც დაითანხმეს ის ქორწინებაზე. ერთხელაც მის ცოლს ასტკივდა მუცელი. ბურღლუს ურჩიეს მიედო ცხელი აგური მუცელზე. მაშინ მან დაინახა თავისი ცოლის მუცელზე ნაიარევი და იცნო, რომ იგი სწორედ ის გოგოა, რომელიც მან დაჭრა. გაიხსენა ანგელოზების წინასწარმეტყველება და ამის შემდეგ უფრო ხშირად დაიწყო ლოცვა და მსხვერპლშენიშვნა. ბურღლუმ და მისმა ცოლმა ბედნიერად გაატარეს ცხოვრება.

საკვანძო სიტყვები: ბურღლუ, ტყაშმაფა, ქურდი, ახალშობილი, ანგელოზი, წინასწარმეტყველება.

Keywords: Burdghu, tkashi-mafa (goodess of woodland), thief, newborn, angel, prophecy.

СМОМІІК, 1904, №34, განყ. 3, გვ. 512-513, ო. ლუკიანოვი, „საიდან მოდის სიზმარი“: ერთხელ მამა-შვილი მუშაობდა ყანაში და დასვენების დროს მამას დაეძინა. შვილმა დაინახა, რომ მამის პირიდან გამოძვრა რაღაცა შავი, გველის მსგავსი, მიცოცდა მდინარესთან და ლამის ჩავარდა შიგ. შემდეგ მიუახლოვდა ხეს და დაიწყო მინის ქექვა, მერე ჩაბრუნდა უკან მამაკაცის პირში და კაცსაც გაელვია. მოხუცმა უამბო შვილს თავისი სიზმარი კინალამ რომ მდინარეში გადავარდა, შემდეგ კი ხის ქვეშ მოთხარა მინა და იპოვა ოქროთი საცხე ქოთანნი. შვილმა უთხრა, რომ თვითონაც დაინახა რაღაცა შავი არსება, რომელიც მივიდა მდინარესთან და თხრიდა მინას. ისინი მივიდნენ იმ ადგილას, მოთხარეს მინა და, მართლაც, იპოვეს ქოთანნი ოქროთი. ფიქრობენ, რომ ადამიანის სული არის ამ შავი გველის მსგავსი.

საკვანძო სიტყვები: სიზმარი, შავი არსება, სული.

Keywords: nightmare, black creature, soul.

СМОМІІК, 1903, №32, განყ. 3, გვ. 611-612, ი. ქობალია, „მზე და მთვარე“: უძველეს დროში მზე და მთვარე იყვნენ მანათობელი არსებები და დადიოდნენ ადამიანებისათვის. ორივეს შეუყვარდა ერთი ქვრივის ვაჟიშვილი და ყოველ საღამოს მაგიდას უშლიდნენ ტყეში. ქვრივმა გაიგო ამის შესახებ. ერთხელაც ის ძროხას წველიდა და დაინახა მოსიარულე მზე და მთვარე. მან დასტაცა ხელი ძროხის ნაკვებს და ესროლა მათ. მზემ უცებ იბანავა რძეში და სამუდამოდ გაფრინდა ცაში. მთვარე კი გაფრინდა ზღვასთან, მაგრამ უკვე ვეღარ ჩამოიბანა მიმხმარი ნაკელი და ამიტომაც იმდენად ვეღარ ანათებს და ლაქებიც აქვს. ამით აიხსნება, რომ მეგრულად მზეს ჰქვია ბჟა (რძე).

საკვანძო სიტყვები: მზე, მთვარე, ქვრივი, შვილი, რძე, ბჟა.

Keywords: sun, moon, widow, son, milk, bzha.

K, 1888, №82, გვ. 3, ა. გრენი, „სამეგრელოში (ჩანახატი)“: ავტორი მხატვრულ სტილში ჰყვება სხვადასხვა ფოლკლორულ ამბავს როკაპებზე. თითქოს, შემოდგომის წვიმიანი საღამოა და ერთ მეგრულ სახლში ცეცხლთან მოხუცი და ახალგაზრდა ბაასობენ. ისტორიებს სწორედ მოხუცი ყვება, რომელთაგან ერთი-ორი, თითქოს, მას გადახდენია თავს. მაგალითად, გამზრდელს, თითქოს, იგი თავის მოხუც გამზრდელთან წაუყვანია სხვა სოფელში, რომელსაც ორი ქალიშვილი ჰყოლია. ვახშმის მერე სტუმარი რომ დაუძინებიათ, ყველა ქალს რაღაც მალამო წაუსვამს და გაფრენილა ტაბაკონის მთაზე, სადაც როკაპთა შეკრება იყო ილიას დღეს. ეს ისტორია კიდევ გრძელდება, ასევე, მოხუცი ყვება კიდევ რამდენიმე ამბავს როკაპებზე და ერთსაც – ტყაშმაფაზე.

საკვანძო სიტყვები: მეგრული ფოლკლორი, როკაპი, ტყაშმაფა.

Key words: Megrelian folklore, Rokapi, Tkashmapa.

ეპოსი

CMOMIIK, 1894, №18, გვ. 229-410, „ჩანანერები ხალხური ფანტაზიიდან და ყოფიდან“ (ტიფლისის და ქუთაისის გუბერნიები): ქრისტეს ნათლულმა ამირანმა ნათლიასთან ძალის დატოლება გადაწყვიტა. ნათლიამ შესთავაზა, ჯერ ძაფი განყვიტეო. ჩაასო სოლი, გამოაბა ძაფი და დააბა ამირანი. ამირანმა ვერ განყვიტა ძაფი, რომელიც ყოველ გამოქაჩვაზე ჯაჭვად იქცეოდა. ასე დარჩა ამირანი მიჯაჭვული სოლზე. ცდილობს მის ამოძრობას, მაგრამ წლის ბოლოს მოფრინდება ბოლოქანქარა (კუდაბზიკა) და ჯდება სოლზე. გაგულისებული ამირანი მოუქნევს კეტს, ჩიტი გაფრინდება, კეტი სოლს მოხვდება და ისევ ღრმად ჩაერჭობა მიწაში. მეორე ვერსიით, ამირანმა ღმერთი გამოიწვია. მოხუცმა უარი თქვა მასთან დაჭიდებაზე და პირობა დაუდო, ძაფი გაეყარა ნემსში და შემდეგ ნემსი კლდეში ჩაესო, ძაფი შემოეხვია ისე, რომ ნემსი არ გაეტეხა. თუ ამას შეძლებდა, მაშინ დაეჭიდებოდა. ამირანმა როგორც კი ეს ყველაფერი შეასრულა, ძაფი ჯაჭვად გადაიქცა. მას შეუძლია ჯაჭვი გაჭრას ხმლით, მაგრამ ხმალს მხოლოდ ნეკა თითით სწვდება. ამირანმა მწყემსს სთხოვა დახმარება, მაგრამ მან ვერ ასწია ხმალი. დაბრუნდა სახლში, გააკეთა ჯაჭვი, რომ დაეგრძელებინა ჯაჭვი და თავად ამირანი მიწვდენოდა ხმალს, მაგრამ მწყემსმა არ ისმინა ამირანის შეგონება, უკან არ გაეხედა მასთან მიმავალს. მწყემსს ცოლი დაედევნა. რომ ვერ მოახედა უკან, ცოლმა შეკივლა, მწყემსმა იფიქრა, ცოლს რაღაც დაუშავდაო და უკან მიიხედა. მას შემდეგ ამირანი უხილავი გახდა. თუკი ის გათავისუფლება, დასჯის ქალებსა და მჭედლებს, რადგან დიდ ხუთშაბათს მჭედლები ერთი დარტყმით ამოეღებენ მის ჯაჭვს.

საკვანძო სიტყვები: ამირანი, მწყემსი, ჯაჭვი, ქალები, მჭედლები.

Key words: Amiran, shepherd, chain, women, blacksmiths.

CMOMIIK, 1896, N21, განყ. 2, გვ. 88-96, ზღაპრები, რომლებიც ჩაინერეს ამიერკავკასიის სემინარიის აღსაზრდელებმა, ჩამწ. ან. თოიძე, გორი, „ლეგენდა – ამირანი“: მდინარე ლიახვის ნაპირზე ერთი მწყემსი სალამურზე უკრავდა და ისე გაერთო ფიქრებში, რომ დაეთანტა ცხვრის ფარა. აიღო ჩობახი და წავიდა დაკარგულის მოსაძებნად. ფარაში ორი თხაც ჰყავდა. დაინახა, რომ ეს თხები ქარაფებზე ხტებოდნენ. მიუახლოვდა და უეცრად კვნესის ხმა შემოესმა. ეს ხმა გამოქვაბულიდან გამოდიოდა და მიჯაჭვულ ამირანს ეკუთვნოდა. ამირანმა მწყემსს დახმარება სთხოვა. მწყემსმა, სახლშირაც რამ ჯაჭვი და თოკი ჰქონდა, ყველაფერი შეკრიბა და ამირანის დასახსნელად გაემართა. გზაში მას დაედევნენ მონადირეები. მწყემსს შეეშინდა და მათ დაემუქრა. სულ დაავინცდა ამირანის გაფრთხილება, რომ არავისთვის გაეცა ხმა. როგორც კი მწყემსმა ხმა ამოიღო, დაიწყო გრგვინვა და ის ადგილი, სადაც ამირანი იმყოფებოდა, მიწამ დაფარა.

საკვანძო სიტყვები: ამირანი, მწყემსი.

Key words: Amirani, a shepherd.

ЖМНП, 1895, განყ. 298, გვ. 1-40, ა. გრენი, „ქართული თხზულება ამირან დარეჯანის ძეგლ და ნაშთები მასზე თქმულებებისა ქართველურ ხალხურ ლიტერატურაში“: მსოფლიო ლიტერატურის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო საკითხია სარაინდო ეპოსი. თავდაპირველად ავტორი საუბრობს „ამირან დარეჯანიანის“ შექმნის კულტურულ გავლენებსა და მის ავტორზე – მოსე ხონელზე. შემდგომ თავების მიხედვით, ვრცლად არის მოთხრობილი „ამირან დარეჯანიანის“ შინაარსი. მეათე თავი მზე-რაინდის შესახებ შესაძლოა, დანერგილი იყოს მითრას შესახებ გადმოცემების მიხედვით. ავტორი განასხვავებს ორ პლანს ამირანის შესახებ თქმულებებში: ერთი, სადაც ამირანი არის რაინდი, და მეორე, სადაც ის არის კავკასიელი პრომეთე. შემდეგ მოჰყავს სოფ. მანავში ჩანერილი თქმულება ამირანსა და მის ძმაზე – ჩრდილოეთის რაინდზე. თქმულებები ამირანზე შემონახულია ოსეთშიც, რომელთაგან ერთ-ერთი მათგანიც აქ მოაქვს. ოსური ვარიანტი განსაკუთრებულია იმით, რომ აქ ვიგებთ ამირანის წარმომავლობას. უფრო ძველ ახსნას ვპოულობთ სვანურ თქმულებაშიც, რომელიც ბარონი უსლარის მიერ ყოფილა ჩანერილი, ავტორი კი პირველად თარგმნის და აქვეყნებს მას აქვე. რაც შეეხება თქმულებებს, რომელშიც ის წარმოდგენილია პრომეთედ, ერთ-ერთი მათგანია ვარიანტი, სადაც ამირანი უფლის შვილია და ისჯება ამპარტავნობის გამო. ავტორი ასკვნის, რომ ამირან-პრომეთეს ნიშნებს არ ატარებს დარეჯანიადას პერსონაჟი. საფიქრებელია, რომ ამირან-პრომეთე მონღოლების ეპოქამდე არ არსებობდა, შემდგომ კი დარეჯანების, მითიური მჭედლების, ეპოსის გადავიწყებასთან ერთად პრომეთეს ნიშნები თანდათან შეერწყა ამირან-რაინდის სახეს.

საკვანძო სიტყვები: „ამირან დარეჯანიანი“, ამირანი, პრომეთე, რაინდი.

Key words: „Amiran Darejaniani“, Amirani, Prometheus, knight.

ЖМНП, 1883, ნან. 225, გვ. 100-116, ვს. მილერი, „კავკასიური თქმულებები კლდეზე მიჯაჭვულ გოლიათებზე“: ავტორის მიზანია, დაადგინოს, რამდენად უკავშირდება პრომეთეზე ბერძნული მითები კავკასიურს. სტატიაში მოტანილია პრომეთეს მითის კავკასიური ვარიანტები: ყაბარდული, ჩერქეზული, ოსური, აფხაზური, ქართული, სომხური, ასევე, ირანული. გმირები მოიხსენიება შემდეგი სახელებით: ზოხაკი, ამირანი, როკაპი, შიდარი, მხერი, არტავაძი და სხვ. აღნიშნულ ლეგენდებს ავტორი ორ ჯგუფად ჰყოფს: 1. ლეგენდები დატყვევებულ გველეშაპზე და 2. ლეგენდები კლდეზე მიჯაჭვულ გოლიათზე. მათგან პირველ ტიპს ირანული თქმულებები განეკუთვნება, მეორეს კი – ჩერქეზული, ოსური, აფხაზური და ქართული ვარიანტები. თითოეული მითიდან რაღაც განსხვავებულსაც ვიგებთ, მაგალითად: მითის ერთი ოსური ვარიანტი გვეუბნება,

რომ ამირანი დარეჯანიანთა მოდგმიდანაა; მეორეში კი იგი ლამაზ, მოხდენილ ყმაწვილს წარმოადგენს, რაც ნაკლებ სარწმუნო გადმოცემაა; ქართულ ვარიანტში შემოდის ახალი მოტივები: ჯაჭვის მლოკავი ყურმა და მჭედლები, რომლებიც ყოველ წელს აახლებენ ჯაჭვს; ერთ-ერთ იმერულ ვარიანტში მთავარ გმირს როკაპი ჰქვია და სხვ. გარკვეულ ასპექტებში მათ მოტივებს გერმანული და სკანდინავიური მითოლოგიის მოტივებთანაც კი ადარებს. ავტორი ასკვნის, რომ ბერძნებმა, როგორც ყველა არიულმა ხალხმა, აზიიდან აიღეს სინათლის ღმერთის გველეშაპთან ბრძოლის მოტივი; ასევე, იმას, რომ პრომეთეს კავკასიონზე მიჯაჭვა მის კავკასიურ წარმომავლობაზე არ მეტყველებს, რადგან კავკასიაზე მინიშნება გვიანდელი პერიოდის ესქილეს ნაწარმოებშია, ჰესიოდესთან კი გეოგრაფიული ცნობები საერთოდ არ არის. მათ, უბრალოდ, შესაძლოა, გაგონილი ჰქონოდათ კავკასიური მითები მიჯაჭვული გოლიათის შესახებ და მათში თავიანთი პრომეთე დაენახათ.

საკვანძო სიტყვები: თქმულება, კავკასიური, ქართული, ოსური, აფხაზური, პრომეთე, ამირანი.

Key words: folk-tale, Caucasian, Georgian, Osetian, Abkhazian, Prometheus, Amiran.

ЖМНП, 1895, т. 299, стр. 352-365, в. Мარი, иранский национальный эпос о Хамане в грузинском варианте „ამირანდარეჯანიანი“: სტატია წარმოადგენს ამონარიდს ნ. მარის ნაშრომიდან „ისტორიულ-ლიტერატურული მიმოხილვა მე-11-12 საუკუნეების პროზაში დაწერილი ქართული ნაწარმოებებისა“. ის, პირველ რიგში, წამოადგენს გამოხმაურებას ა. გრენის სტატიისა „ქართული ნაწარმოები ამირანის, დარეჯანის ძის შესახებ“ და მისი „თქმულებების ქართველურ ხალხურ ლიტერატურაში“. მარი შენიშნავს, რომ გრენს გამოტოვებული აქვს ორი უმნიშვნელოვანესი ასპექტი, რომლებიც ირანულ ფესვებზე მიუთითებს: ამირანის სამოცი ცოლი და ცალთავალა დევის ფრაზა. თუმცა, მარი აღნიშნავს, რომ გრენმა პირველმა აქცია ეს ნაწარმოები სამეცნიერო კვლევის საგნად. ავტორი ცდილობს გამოარკვიოს, ვინ იყო ამირანი ეროვნებით. ამირანი ემორჩილებოდა ბაღდადის ხალიფა ამირ მუმლს, ესმოდა სპარსული ენა – ამ და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, ის ასკვნის, რომ ამირანი სპარსია. ავტორი, ასევე, საუბრობს ნაწარმოების სხვა გმირებზეც: სეფე დავლი, მზეჭაბუკი, ამბრი არაბი და სხვ. ავტორი ამბობს, რომ ამირანიცა და სეფე დავლიც სპარსელები იყვნენ, ამისათვის იგი შიფრავს პერსონაჟთა სახელებს. ასევე, სხვა არგუმენტების მოხმობით ავტორი ცდილობს, დაასკვნას, რომ აღნიშნული რომანი ირანული წარმოშობისაა და მისი ორიგინალი ირანულ ლიტერატურაში უნდა ვეძებოთ.

საკვანძო სიტყვები: ამირან დარეჯანიანი, მოსე ხონელი, სპარსული, ირანული, ნიკო მარი.

Key words: Amiran Darejaniani, Mose Khoneli, Persian, Iranian, Nico Marr.

ЖМНП, 1895, განც. 301, გვ. 324-328, ნ. მარი, რეცენზია: მოსე ხონელი და მისი ამირან-დარეჯანიანი, მ. ჯანაშვილი, 1895, გვ. 1-58: მარი ირონიულად შენიშნავს, რომ არა ნაწარმოების ეპიგრაფი, მკითხველს გაუჭირდებოდა იმის დადგენა, თუ რა იყო ავტორის მიზანი: დაესაბუთებინა რამე აღნიშნულ ნაწარმოებზე თუ შეეცმნა კურიოზების კრებული. ის ჯანაშვილის მიერ მოყვანილ არგუმენტებს ნაივურს უწოდებს. რეცენზიის ავტორი ბევრ ასპექტში აკრიტიკებს ჯანაშვილს. მაგალითად: მარი შეცდომად მიიჩნევს იმ აზრს, რომ „ამირან-დარეჯანიანი“ ეყრდნობა უძველეს მითს პრომეთეზე; ის, ასევე, არ მიიჩნევს გვარებს – სავარსამიძეს, ბადრიძეს – ნაწარმოების ქართული წარმოშობის არგუმენტებად. ასევე, არ ეთანხმება იმას, რომ გმირის მოქმედების ადგილები – ავარია, ბაღდადი – ალფ-გორიულია. ავტორი რეცენზიას ასრულებს ფრაზით: „კარგი რამაა სამშობლო-სადმი სიყვარული, მაგრამ უნდა ვერიდოთ გადაჭარბებას, მით უმეტეს თუკი ამ გადაჭარბებას მიყვავართ აზროვნების გადაგვარებისაკენ.“

საკვანძო სიტყვები: ამირან-დარეჯანიანი, ნიკო მარი, ჯანაშვილი, პრომეთე, ამირანი.

Key words: Amiran-Darejaniani, Nico Marr, Prometheus, Amiran.

СМОНІК, 1904, №33, განც. 3, გვ. 548-555, მ. გლუშაკოვი, „ამირანი“: ჩანაწერში საუბარია სამ ძმაზე – უსუფზე, ბადრისა და უმცროს ამირანზე. ყველანი იყვნენ ლამაზები და ძლიერები, მაგრამ ყველაზე კარგი იყო ამირანი. ისინი ცხოვრობდნენ ღარიბულად. ერთხელაც ნადირობისას ამირანი სამ გველეშაპს შეებრძოლა. მან მოკლა თეთრი და წითელი გველეშაპი, მაგრამ შავმა გველეშაპმა გადაყლაპა თავის ხმლიანად. ძმებმა ესროლეს გველეშაპს ისრები და მოსწყვიტეს კუდი. რადგან გველეშაპმა ვეღარ მოახერხა საკუთარი კუდის ალოკვა, ამირანი მის მუცელში გადარჩა. გველეშაპს ასტივიდა მუცელი. შინ მისვლისას შეწუხებულმა დედამ ჰკითხა შვილს, ამირანი ხომ არ ჰყავდა გადაყლაპული. შავმა გველეშაპმა უამბო, რაც გადახდა. შეწუხებულმა დედამ შეიცხადა ამირანის გადაყლაპვა. მან კი შიგნიდან გამოთავატრა რა გველეშაპს მუცელი, გამოძვრა იქიდან, მოკლა დედა გველეშაპი და დაბრუნდა ძმებთან. იმათ კი დასცინეს, რადგან აღარც უღვაშები ჰქონდა, აღარც – წვერი, აღარც – თავზე თმა. ამირანმა მაშინ მოკლა კურდღელი, დაიბანა თავ-პირი მისი სისხლით და ისევ ამოვიდა თმა. შემდეგ მათ შეხვდა დევი. ძმებს შეეშინდათ და გაიქცნენ, ამირანი კი – შეებრძოლა. მან პირველსავე შერკინებით ჩააგდო დევი მიწაში, რომელმაც სთხოვა შენდობა, სანაცვლოდ კი უთხრა, რომ მზეთუნახავი სასახლეში მართო ცხოვრობს შავი ზღვის უკან, მამამისი კი ლაშქართან ერთად ომში იყო წასული. დაბრუნებულ დევს ცოლმა ათქმევინა, რაც გადახდა თავს და დაითანხმა შური ეძია ამირანზე. მაგრამ ამირანმა მოკლა ორივე. შემდეგ ამირანი ძმებთან ერთად გაეშურა მზეთუნახავისკენ. უსუფი და ბადრი დაბრუნდნენ სახლში, ხოლო

ამირანმა ერთ კვირაში გადაცურა შავი ზღვა და იპოვა სასახლე. ქალ-ვაჟმა შეიყვარა ერთმანეთი და გადანწყვიტა გაქცევა. მაგრამ მეფემ შეიტყო ამის შესახებ და მაშინვე ლაშქართან ერთად დაედევნა. ამირანმა აიყვანა მზეთუნახავი ერთ ხელში და გადაცურა შავი ზღვა. მათ გააღწიეს მეორე ნაპირზე, მაგრამ მაინც ვერ ჩამოიშორეს მდეგრები. ამირანის სახლის ეზოში ძმები რიგრიგობით შეუდგნენ სამეფო ლაშქართან ბრძოლას. უსუფი და ბადრი დაიღუპნენ, ამირანმა კი მოახერხა გაენადგურებინა მთელი ჯარი და მოეკლა მეფე. სახლიდან გამოვარდნილმა ეშმაკმა კი ესროლა დანა ამირანს გულში. მან კი მოახერხა და სიკვდილის წინ მოკლა ეშმაკი. შემდეგ მზეთუნახავმა დაინახა, თუ როგორ გააცოცხლა ვირთხამ თავი სამყურა ბალახით და თვითონაც ამავე ხერხით გააცოცხლა ამირანი. მან კი გააცოცხლა ძმები, მეფე და მიიღო მისგან თანხმობა ქორწინებაზე, გააცოცხლა მთელი ჯარი და ყველა ერთად გაემგზავრა მეფესთან სასახლეში. იქ ამირანმა იქორწინა მზეთუნახავზე, მიიღო მეფის ტახტი და სახელმწიფოს ისე ბრძნულად მართავდა, რომ უმაღვე ძალიან გააძლიერა მთელი სამეფო. ბევრი დიდებული საქმე ჩაიდინა ამირანმა, რის გამოც ხალხმა ის სიმღერებით შეამკო.

საკვანძო სიტყვები: უსუფი, ბადრი, ამირანი, დრაკონი, დევი, მზეთუნახავი, მეფე, სამყურა.

Keywords: Iusup, Badri, Amiran, dragon, devi, beautiful, king, shamrock.

СМОМІІК, 1903, №32, **განყ. 2, გვ. 492-495**, „სვანური თქმულებები ამირანზე“, **სოფ. მალლაკი, მოქმ. მარგანი:** თქმულებაში მოთხრობილია იმაზე, რომ მჭედელ დარჯელანს (დარედჯიანი) ყოველდღამე აწუხებდა ხმაური, რომელიც იალბუზის მწვერვალიდან ისმოდა. ის ავიდა იქ და დაინახა, რომ უფსკრულის პირას ოქროს ტახტზე იწვა მზეთუნახავი და ტიროდა. მან გაარკვია, რომ ეს იყო ციდან გამოძევებული ღმერთის ცოლი. მათ შეუყვარდათ ერთმანეთი და ქალი დაფეხმძიმდა. მჭედლის ცოლმა იქვეიანა, უთვალთვალა ქმარს და ღამე მზეთუნახავს მოაჭრა თმა, რომელშიც იყო მისი ძალა. მეორე დღეს მზეთუნახავმა ამოიყვანა მუცლიდან ბავშვი, მისცა – მჭედელს და უთხრა, რომ ბავშვი გზაჯვარედინზე დაეტოვებინა. მჭედელიც ასე მოიქცა. ერთხელაც იქ გამოიარეს: იესო ქრისტემ, წმინდა გიორგიმ და ერთ-ერთმა ანგელოზმა. მათ მონათლეს ბავშვი, დაარქვეს ამირანი და უთხრეს, რომ სამჯერ სიტყვის გატეხვის შემთხვევაში მოექცევა ეშმაკის ძალაუფლების ქვეშ. ამირანმა დაიწყო სწრაფად ზრდა და გახდა ძალიან ძლიერი. ერთხელაც მომაკვდავმა ბუმბერაზმა სთხოვა ამირანს აღეზარდა მისი ვაჟები. ამირანიც ზრდიდა მათ და ხშირად დაჰყავდა სანადიროდ. ერთხელ ნადირობისას მას დაეძინა და ბიჭებმა დაიწყეს მისი ყარაულობა. როდესაც მძინარე ამირანს ალყა შემოარტყა ბევრმა ნადირმა, ბიჭებმა ისინი დახოცეს. როცა ამირანს გაეღვიძა, დაინახა ბევრი მოკლული ცხოველი, ჩათვალა, რომ ეს ბიჭები მასაც ასე მოკლავდნენ და დახოცა ისინი. ასე მან გატეხა პირველი სიტყვა. ერთხელ ამირანი დაიღალა ნადირობისას და დაეძინა. მას

მიუახლოვდნენ ეშმაკები, მაგრამ მისმა რაშმა დაიჭიხვინა. ეშმაკები გაიფანტნენ, გაღვიძებულმა ამირანმა კი სცემა რაშს. რაშმა უამბო მას ეშმაკების შესახებ და ამირანმაც მისცა სიტყვა, რომ აღარ სცემდა. მაგრამ როდესაც თავისი ჭიხვინით მეორედაც გააღვიძა რაშმა ამირანი, ისევ სცემა. ასე გატეხა სიტყვა მეორედ. მან მესამედაც გატეხა სიტყვა. მაშინ მას დაესივნენ ეშმაკები, აიყვანეს იალბუზის მწვერვალზე, ჩააგდეს ღრმულში, მიაბეს მძიმე ჯაჭვით რკინის ბოძზე და ახლოს დაუდეს თავისი ხმალი. ამირანის პირდაპირ კი მიჯაჭვეულია ცხრათავიანი დევი. ორივე ცდილობს, მისწვდეს ხმალს. რომელიც პირველი მისწვდება, ის გაიმარჯვებს. მისწვდება მხოლოდ ის, ვისაც მალე გაეზრდება ფრჩხილები, ამიტომ სვანები კვირის პირველი ოთხი დღე არ იჭრიან ფრჩხილებს, მათ სჯერათ, რომ ამით ეხმარებიან ამირანს ფრჩხილების სწრაფად გაზრდაში. მაგრამ როგორც კი ამირანს ეზრდება ფრჩხილები, ჩიტი ეძახის ეშმაკებს და ისინი აჭრიან მას. ადრე თუ გვიან ამირანი მისწვდება ხმალს, გათავისუფლდება, მოკლავს დევს და მაშინ სვანეთსა და სხვა ქრისტიანულ ქვეყნებში დადგება ოქროს ხანა.

საკვანძო სიტყვები: იალბუზი, დარეჯანი, ღმერთი, მზეთუნახავი, იესო ქრისტე, წმინდა გიორგი, ანგელოზი, ამირანი, რაში, ეშმაკი, ცხრათავა დევი, სვანეთი.

Keywords: Elbrus, Darejani, God, beauty pageant, Jesus Christ, St. George, Angel, Amirani, Rashi, devil, nine-headeddevi, Svaneti.

СМОТІІК, 1903, №32, **განყ. 2, გვ. 496-498**, „სვანური თქმულებები ამირანზე“, ჩამწ. **ჯანხოთელი:** ცოლ-ქმარს დიდი ხანი არ ჰყავდათ შვილი და ღმერთმა აჩუქა მათ ვაჟი. ერთხელაც მათ სახლში მივიდა სამი მგზავრი. ერთ-ერთი მათგანი იყო იესო ქრისტე, რომელმაც მონათლა ბავშვი და დაარქვა ის. ამირანი მალე გაიზარდა, გახდა ძალიან ძლიერი და შეუყვარდა ნადირობა. მან მოკლა ყველა დევი, ერთის გარდა, რომელიც ცხოვრობდა რაჭის მთებში. ერთხელაც ერთმანეთს გადაეყარნენ, მაგრამ დევს შეეშინდა და გაიქცა ქუთაისის მიმართულებით, შემდეგ გადაუხვია ხონისკენ და როდესაც მიაღწია ცხენისწყლის ნაპირს (რიონის მარჯვენა შენაკადი), ამირანი დაეწია, მიაბჯინა მოწინააღმდეგე ნაპირის კლდეს და მოკლა მუხლის დარტყმით. ამ ადგილას, მარცხენა სანაპიროზე, ახლაც ეტყობა ამირანის ერთი ფეხის კვალი; ხოლო მეორე ნაპირზე – კლდეში ღრმული, რომელიც წარმოიქმნა დევის სისხლით ამოსვრილი მუხლის დარტყმით. ამის შემდეგ ამირანმა მოკლა ყველა თავისი მტერი, ავიდა კავკასიის მთების მწვერვალზე და გამოიწვია ღმერთი ძალაში შესაჯიბრებლად. მაგრამ როდესაც დაამთავრა თავისი სიტყვები, მთა გაიპო და იგი აღმოჩნდა გამოქვაბულში, რკინის ბოძზე მიჭედლილი მძიმე ჯაჭვით. ახლო-მახლო ძევს მისი ხმალი, ხოლო წინ – სურა ღვინითა და პურის ნაჭრით. ერთხელაც მთებში მონადირე ცხრა სვანი გადაეყარა ამირანს. მან სთხოვა მონადირეებს პური, მოუჭირა ხელი და მისგან გადმოვიდა სისხლი. შემდეგ თავის პურს მოუჭირა ხელი და მისგან გადმოღინდა რძე. ამირანმა უთხრა სვანებს, რომ, როდესაც ის ბატონობდა

მინაზე, ყველა ჭამდა რძიან პურს, ახლა კი ყველა ჭამს სისხლიან პურს. ამირანმა სთხოვა მონადირეებს, მიეწოდებინათ მისი ხმალი, მაგრამ სვანებმა ის ვერ დაძრეს ადგილიდან. ამირანმა სთხოვა მოეტანათ მისთვის სამწლიანი ცხრა ხარის ქამრები და გაუშვა ისინი. მაგრამ დაბრუნებულმა სვანებმა ველარ მიაგნეს ამირანის ადგილსამყოფელს. როდესაც ისინი უახლოვდებოდნენ გამოქვაბულს – იხურებოდა. ამირანი არყევდა ბოდს, რომელზეც იყო მიჯაჭვული, მაგრამ, როდესაც საქმე იქამდე მიდიოდა, რომ სადაცაა ამოიღებდა ბოდს მიწიდან, მის კენწეროში ჯდებოდა ჩიტი და იძახდა, რომ ამირანი მიდის. ამირანი უქნევს ჩიტს ჯაჭვს და ისევ აბრუნებდა ბოდს მიწაში.

საკვანძო სიტყვები: ღმერთი, იესო ქრისტე, ამირანი, დევი, ქუთაისი, ხონი, ცხენისწყალი, რიონი, ღრმული, ბოძი, ჯაჭვი, ხმალი, სვანი

Keywords: God, Jesus Christ, Amiran, devi, Kutaisi, Khoni, Tskhenistskali, Rioni, Hollow, pole, chain, sword, swan.

СМОМІІК, 1903, №32, **განც. 2, გვ. 499-503, შ. კ. ლომინაძე, „იმერული თქმულებები ამირანზე“:** თქმულების მიხედვით, ამირანი იყო იესო ქრისტეს ნათლული, რომელმაც აჩუქა მას ხმალი და დაავალა, გამოეყენებინა მხოლოდ გაჭირვების დროს. ამირანს მოუწია დაქორწინება მზეთუნახავ თამარზე, „ვეფხისტყაოსნის“ ფაბულისგან განსხვავებით, ტარიელს არქმევს ამირანს; ნესტან-დარეჯანს – თამარს, ხოლო ავთანდილს და ფრიდონს – ტარიელსა და ივლიანეს. ასევე, რუსთაველის ფატმანიც, როგორც ცნობილია, ტარიელის დამხმარე ნესტან-დარეჯანის პოვნაში, ხალხმა არ დაივიწყა და წარმოადგინა ჯადოქრის სახით, ჯადოსნური ცხენების პატრონი, რომლის დამხმარებითაც ამირანი აღწევს თავის მიზნებს, ქაჯების მეფის ჯინის ქალიშვილზე, რომელიც ცხოვრობდა სასახლეში, შავი ზღვის შუაგულში. გზად მან შეიარა ბუმბერაზ ტარიელთან და მათ ერთად განაგრძეს გზა. შემდეგ მათ გაუარეს ბუმბერაზ ივლიანეს, რომელიც მოუყვა მათ ჯადოქარზე, რომელსაც ჰყავდა რამების რემა და სამივე მივიდა მასთან. ამირანმა იყიდა მისგან ოთხი რაში და გააგრძელეს გზა. შავი ზღვის ნაპირზე ამირანი შეჯდა რაშზე და ერთი ნახტომით აღმოჩნდა სასახლის კართან. მან დაანგრია კარი, მივიდა თამართან და უთხრა, რომ სურდა მისი მოტაცება. იგი დათანხმდა ერთი პირობით – ყველა მუნჯ ქაჯს აალაპარაკებდა. ამირანმა, მართლაც, აალაპარაკა ყველა, ერთის გარდა. მაშინ ამირანი გაბრაზდა და ზღვაში გადაავლო. ქაჯი კი მივიდა თამარის მამასთან და ყველაფერი უამბო. ამირანი და თამარი თავისი რაშით გადაახტნენ ზღვას და გავიდნენ ნაპირზე, სადაც მათ ელოდებოდნენ ტარიელი და ივლიანე. მერე ყველანი ერთად გაუდგნენ გზას. ჯინის ჯარი მათ ეწეოდა. ამირანმა სთხოვა ღმერთს, აეგო ციხე-სიმაგრე, რომ დამალულიყვნენ. ღმერთმაც ააგო ციხესიმაგრე, რომელიც ჯინის უთვალავმა ჯარმა ალყაში მოაქცია. თავდაპირველად ამ ჯართან სამი ღღე და ღამე იბრძოდა ტარიელი. როდესაც ის დაიჭრა,

საბრძოლველად გავიდა ივლიანე. მას შემდეგ რაც ისიც დაიჭრა, გამოვიდა ამირანი. მან მოკლა ყველა, მაგრამ ვერაფერს უხერხებდა ჯინს, რადგან თავი დაცული ჰქონდა სპილოს ძელოთ. თამარმა მას დაუყვირა, ქვევით დაერთყა („გამოუცდელიო, ვაჟკაცო, ზევით ნუ ურტყამ სპილოსო, ქვეშ მამოკარი რბილოსო“). ჯინმა ამაზე უპასუხა, რომ იგი მოლაღატეა, რადგან ქმარი არჩია მამას („უყურე ორპირ თამარსა, ქმარი არჩია მამასა, / ნეტავ შენი თავი მომცა, ყელში გაგიყრი დანასა!“). ამირანმა მოკლა ჯინი და იქორწინა თამარზე. ჯადოქარი კი გადაიხვეწა შავი ზღვის სასახლეში.

საკვანძო სიტყვები: იესო ქრისტე, ამირანი, თამარი, მეფე ჯინი, ქაჯი, ბუმბერაზი, ტარიელი, ივლიანი, ჯადოქარი, რაში, შავი ზღვა.

Keywords: Jesus Christ, Amiran, Tamar, king Jin, Kaji, hero, Tariel, Ivlian, witch, rashi, Black sea.

СМОМІІК, 1903, №32, **განც. 2, გვ. 503-508, შ. კ. ლომინაძე**, „ამირანი, ბადრი და უსუფი“: ერთხელ სამმა ძმამ – ამირანმა, ბადრიმ და უსუფმა ნადირობისას ტყეში დაინახეს კოშკი. ამირანმა ფეხით გაანგრია კედელი და დაინახეს შიგნით მიცვალებული ესვენა. შემდეგ შეხვდათ დევი, რომელსაც ამირანი შეებრძოლა, მოსტეხა მას ხელი. დევმა სთხოვა, არ მოეკლა და შეჰპირდა, რომ მზეთუნახავის ადგილსამყოფელს ასწავლიდა. ამირანმა ის გაუშვა. მაგრამ დევის დეღამ პირიდან გამოუშვა ცეცხლი, ხანძარი მოეკიდა ტყეს, სადაც ნადირობდნენ ძმები. ამირანი მოკლავს დევის დედას და მიდის ცეცხლისგან შეშინებული ძმების სანახავად. უეცრად ხედავს, რომ წყაროსთან ზის მეფის მზეთუნახავი ასული და ტირის. ამირანმა ის გადაარჩინა ერთი გველეშაპისაგან, მაგრამ მეორე გველეშაპმა ჩაყლაპა ამირანი. ძმების დახმარებით ამირანმა დაიხსნა თავი და მოკლეს გველეშაპი. მეფის ქალიშვილი დაუბრუნეს მშობლებს. მეფე სთავაზობს ამირანს, იქორწინოს მის ქალიშვილზე, მაგრამ ის უარზეა, რადგან უკვე დად მოიხსენია. ამირანმა სთხოვა მეფეს მფრინავი ცხენი, შეაჯდა მას და წავიდა ზღვისკენ, გადააფრინდა ზღვას და მივიდა მზეთუნახავთან, ზღვის მეფის ქალიშვილთან. მზეთუნახავის ძიძამ მაშინვე უამბო ეს ყველაფერი მამამისს. ამირანმა შეისვა მზეთუნახავი ცხენზე და გადააფრინდა ისევ ზღვას. ზღვის მეფე ჯართან ერთად დაედევნა მათ და ალყა შემოარტყა კოშკს, რომელშიც იყვნენ ძმები და მისი ქალიშვილი. ბრძოლაში ჯერ ბადრი დაიღუპა, მერე კი – უსუფი. ამირანმა განწყვიტა მთელი ჯარი, მაგრამ მეფეს ვერ უმკლავდებოდა, რადგან თავი დაცული ჰქონდა სპილოს ძელოთ. მაშინ მეფის ქალიშვილმა დაუძახა ამირანს, რომ ქვევით დაერთყა („ჭაბუკო, გამოუცდელიო, შენ ომი არა გცოდნია, თავში კი ნუ სცემ სპილოსო, ფეხში ჩამოჰკარ რბილოსო, მისწვეს და მიეძინოსო“). ამის გავონებისას მეფემ შვილს უსაყვედურა. ამირანმა მოკლა მეფე, გაჩნდა სისხლის გუბე და იქიდან გამოვიდა ბავშვი. მან ხელი ჰკრა ამირანს და მოკლა. ამ დროს წრუნუნამ ამირანს დააწინკნა წვერი. მზეთუნახავმა მოკლა ეს წრუნუნა.

წრუნუნას დედამ კი მონწყვიტა რალაც ბალახი და გააცოცხლა წრუნუნა. მზეთუნახავმაც მოძებნა ის ბალახი და გააცოცხლა ამირანი. ამირანმა თქვა: „რამდენ ხანს მძინებიაო?!“

საკვანძო სიტყვები: ამირანი, ბადრი, უსუფი, დევი, გველეშაპი, მზეთუნახავი, მეფე, ჯარი, სიკვდილი, გაცოცხლება.

Keywords: Amran, Badri, Usup, devi, Dragon, Beauty, King, army, death, revives.

СМОТРИ, 1903, №32, განყ. 2, გვ. 503-508, მ. ჯანაშვილი, „ქართული თქმულება ამირანზე“, ამირანი (ასევე, გამოქვეყნებულია: „ივერია“, 1889 წ., №239, 240, 241, 244, 245): ამირანი იყო სულკალმახისა და დარეჯანის უმცროსი შვილი, ჰყავდა ორი ძმა: ბადრი და უსუფი. იგი მონათლა იესო ქრისტემ. მას აღრეულ ასაკში დაეღუპა მშობლები. მათს სახლს დაემუქრა დევი და ობლებს მოუწიათ თავის შეფარება ჩაბალხეთში. ამირანი მალე გაიზარდა და გაძლიერდა. შემდეგ თქმულებაში ნათქვამია, რომ ნადირობისას ძმებმა გადალახეს ცხრა მთა და მეთათგე – ალგეთის მთაზე – დაედევნენ ირემს, რომელმაც მიიყვანა ისინი კოშკთან. ფეხის დარტყმით ამირანმა გაანგრია კედელი და შიგნით დაინახეს მკვდარი ცამცუმი, იქვე იყო მისი ცხენი, ხმალი, შუბი, დედამისი და ცოლი, მიცვალებულს ხელში ჰქონდა წერილი. იქ ეწერა, რომ ის იყო უსუფის შვილი-შვილი, რომელმაც გაანადგურა ყველა მტერი, ერთი დევის გარდა, ასევე, სხვადასხვა პირობა. ამ პირობების შესრულების შემდეგ ძმებმა იპოვეს სამთავიანი დევი. ამირანმა მოკლა ის, მაგრამ არ მოკლა ჭიები, რომლებიც გამოძვრნენ მისი თავებიდან. ძმები გაუდგნენ გზას მზეთუნახავის საძებნელად, რომელმაც უთხრა სიკვდილის წინ დევმა. გზაში მათ დაესხათ ჭიებისგან წარმოქმნილი სამი გველეშაპი. ამირანმა მოკლა ორი, ხოლო მესამემ ის გადაყლაპა. ძმების დახმარებით ამირანი გათავისუფლდა, მაგრამ დაკარგა თმა, წვერი და უღვაშები, რომლებიც შემდგომში დაუბრუნა იგრი ბატონმა. ძმები გაუდგნენ გზას ყამარის საძებნელად. გზაში გადაეყარნენ ცხრა დევის სახლს და ამირანმა ცხრავე დაჭრა. შემდგომ თეთრი რაშით გადაცურა ზღვა და მივიდა ყამართან, რომელმაც სთხოვა ჭურჭლის დალაგება. ამირანს შემთხვევით გაუტყდა ერთი ფინჯანი, რის შემდეგაც მთელი ჭურჭელი დიდი ხმაურით აფრინდა ცაში, ყამარის მამასთან და აცნობა ყამარის მოტაცების ამბავი. ამირანი ყამართან ერთად შეაჯდა ცხენს და მივიდა ძმებთან, რომლებიც ელოდებოდნენ ცხრა დევის კოშკში. ამ დროს კოშკს ალყა შემოარტყა ყამარის მამის ლაშქარმა. მტერთან საბრძოლველად პირველი გავიდა უსუფი, ამოხოცა ნახევარი ლაშქარი და ბოლოს თვითონაც დაიღუპა. ასევე დაიღუპა ბადრიც. ამირანმა ბოლომდე გაანადგურა ლაშქარი, ყამარის მამის მოკვლა კი მხოლოდ ყამარის რჩევის შემდეგ შეძლო. ამირანი მიდიოდა ყამართან, მაგრამ გზაში ვიღაც ქალმა შეარცხვინა, არ მიდიხარ დალუპული ძმების საძებნელადო. ამირანმა იპოვა მათი ცხედრები, გადაიტანა ერთ ადგილას და დიდი გლოვით თავიც მოიკლა. ყამარმა იტირა და ამ დროს მოირბინა წრუნუნამ

და დაინყო ამირანის სისხლის ლოკვა. ყამარმა იგი მოკლა, მაგრამ დედა თავგმა რალაც ბალახით გააცოცხლა იგი. ყამარმაც ამ ბალახით გააცოცხლა ამირანი და მისი ძმები. გავიდა დიდი დრო, ამირანმა მოკლა ყველა დევი, გველეშაპი და დარწმუნდა, რომ მასზე ძლიერი არავინ იყო, მაგრამ ერთხელაც მას ძალა არ ეყო, დაღუპული ამბრის ჩამოვარდნილი ფეხი ურემზე დაედო, ამაზე დაღონებულ ამირანს ღმერთმა კიდევ მოუმატა ძალა და მაშინ უკვე ველარავინ ეჭიბრებოდა. ამირანმა ამის შემდეგ ისურვა იესო ქრისტესთან დაჭიდება. იესო ქრისტემ სამჯერ ჩაასო ჯოხი მინაში და ბოლოს დასაჯა – მიაბა იმ ჯოხს, რომელიც ხედ გადაიქცა. ღმერთმა გადაათვარა ამირანს თავზე მცინვარის (ყაზბეგის) და გერგეტის მწვერვალები, რომ არასდროს დაენახა მინა და ცა, სინათლე და სიხარული. მას შემდეგ ამირანი იქ იმყოფება. ღმერთი აძლევს მას დღეში ერთ პურს და ერთ ჭიქა ღვინოს, რომელიც მოაქვს მასთან ყორანს. ჯაჭვს, რომლითაც მიჯაჭვულია ამირანი, მუდამ ლოკავს ყორანისგან გაჩენილი ძაღლი. ჯაჭვიც ვინროვდება და სუსტდება, მაგრამ ვნების კვირეულის ხუთშაბათ დილას ყველა ქართველი მჭედელი ურტყამს უროს სამჯერ გრდემლს და ჯაჭვი ისევ სქელდება. ამირანთან ახლოს დევს მისი ხმალი. გერგეტის მთა წელიწადში ერთხელ აღებს სინათლის კარს. გველეშაპი, რომელსაც უნდოდა ამირანის შეჭმა, დასაჯა ღმერთმა და მას შემდეგ იქ წევს გაქვავებული, მიტოვებული ცისა და მიწის მიერ. მას არასდროს ეკიდება ყინული, არც თოვლი, არც წვიმა, მთის ჭიხვები და თხები მას გვერდს უვლიან. ნათქვამია, რომ ქრისტეს მეორედ მოსვლისას ამირანი გათავისუფლდება.

საკვანძო სიტყვები: სულკალმახი, დარეჯანი, ამირანი, ბადრი, უსუფი, ცამცუმი, დევი, გველეშაპი, კამარა, იესო ქრისტე, ღმერთი, ალგეთის მთა, მცინვარი, ყაზბეგი, გერგეთი, იგრი, ამბრია, ჩაბალხეთი.

Keywords: Sulakalmakh, Darejan, Amiran, Badri, Usup, TsamTsum, devi, dragon, Kamara, Jesus Christ, God, Algeti mountin, Mkinvari, Kazbek, Gergeti, Igri, Ambria, Chabalkheti.

СМОМІІК, 1882, №2, გვ. 141-160, „ქართული ხალხური ზეპირსიტყვიერებიდან“ – „თქმულება ამირანზე“: ცხოვრობდა სამი ძმა – როსტომი, ბადრი და უსუპი. როსტომი სახელგანთქმული მონადირე იყო. ერთხელ ნადირობისას როსტომმა დაინახა ირემი და ის-ის იყო, მისთვის უნდა ესროლა, რომ სახლიდან, რომელიც შიგნიდან ოქროთი იყო მორთული, გარედან კი მიწით დაფარული, გამოვიდა ლამაზი ქალი და დაუყვირა: – არ მოკლა, ეს ჩემი ძროხააო. როსტომმა ეს ქალი ცოლად მოიყვანა. გავიდა ხანი და როსტომი ძმების სანახავად გაეშურა. მისი ცოლი ორსულად იყო და მას დაუბარა: – ბავშვი რომ გაჩნდება, ამირანი დაარქვიო. თორმეტი წლის ბავშვი იესომ მონათლა. ერთხელ ამირანი მამის მოსაძებნად წავიდა. როცა მის სახლში მივიდა, ბიძებმა უთხრეს, რომ როსტომი გოლიათებმა მოკლეს და ახლა მკვდარს აწვალეზდნენ. ამირანმა ამოხოცა

გოლიათები. მას შემდეგ, რაც როსტომის ცხედარი დაკრძალეს, ამირანი და მისი ბიძები წავიდნენ საომრად. გზაზე შეხვდათ კაცი, რომელსაც კალთით მსხალი მიჰქონდა. თურმე მსხლის ხეზე სამი დრაკონი ცხოვრობდა და ამ კაცს აიძულებდნენ, მათ შვილებს მომსახურებოდა და მსხალს აზიდინებდნენ. ამირანმა გაუშვა ეს კაცი, თვითონ კი მივიდა ხესთან და მოკლა ორი დრაკონი. მესამემ კი ამირანი გადაყლაპა. მან კი გაუფატრა მუცელი დრაკონს და შიშველ-ტიტველი გამოვიდა. ბიძებმა ისევ ჩააცვეს ამირანს ტანსაცმელი და გააგრძელეს გზა. გზაზე შემოხვდათ სამგლოვიარო პროცესია. მიცვალებულს ხელი გადმოვარდნოდა საკაციდან. დედამისმა სთხოვა ამირანს, ხელი გაესწორებინა მკვდრისთვის. ამირანმა ხელი გაუსწორა მკვდარს და განაგრძო გზა. დაამარცხა თილიხები და ამის შემდეგ გადავიდა მშვიდობიანი ხალხის ხოცვა-ჟლეტაზე. უამრავი ქრისტიანი გაანადგურა. ისეო ქრისტე ჩვეულებრივი კაცის სახით მივიდა ამირანთან და შეერკინა. ამ ორთაბრძოლაში იესო ქრისტემ აჯობა ამირანს და ჯაჭვით შეკრა, მერე მოათავსა მაღალ მთაზე მდებარე რკინის სახლში. ამირანი მას შემდეგ იქაა გამომწყვდეული, მას დარაჯობს ერთგული ძაღლი. ყოველ დიდ ხუთშაბათს მჭედელი ამსხვილებს ამირანის ჯაჭვს.

საკვანძო სიტყვები: ამირანი, როსტომი, იესო ქრისტე, დრაკონი.

Key words: Amiran, Rostom, Jesus Christ, Drago.

СМОТРИК, 1894, №18, გვ. 91-132, გ. ნიჟარაძე, „სვანური ტექსტები“: როსტომის ზღაპარი ჩანერილია უშგულში, მთქმელი ტ. ნიჟარაძე. ჯერ სვანურ ენაზეა, მერე კი მისი თარგმანია რუსულად. სვანურ ტექსტს სქოლიო ახლავს სიტყვების თარგმანითა და ახსნით. ალაგირიდან და კორანუეთიდან როსტომთან შიკრიკები მოვიდნენ: – დევები და მხეცები მოგვაშორეო. როსტომის ცოლი ფეხმძიმედ იყო და ქმარმა დაუბარა, თუ ვაჟი შეგვეძინება, მტრედი გამოუშვი მაცნედ, ქალიშვილის შემთხვევაში კი – ყვავიო. თუ ბიჭი გაჩნდებოდა, ზურაბი უნდა დაერქმიათ და მისთვის როსტომმა თილისმა დატოვა. როცა გაიზრდება, ჩემთან მოვიდეს, ქუდზე თილისმა მიიმავრსო და ვიცნობო. ეყოლა ვაჟიშვილი – ზურაბი. ცოლმა გაუშვა მტრედი, მაგრამ ეშმაკებმა ყვავით შეცვალეს. დააჯდა მარცხენა მხარზე როსტომს ყვავი, მაგრამ არ დაიჯერა, ჩაყო მდინარეში ხელი და თუ ვაჟიშვილი მეყოლა, ხელისგული რძით ამეცსოსო, მართლაც ხელისგული რძით ააევსო და დარწმუნდა, რომ ვაჟიშვილი ეყოლა. ზურაბს აწიოკებული ჰყავდა სამეზობლო, კოკებს უტეხავდა წყაროზე გასულებს, ნახირს ურეკავდა. ერთმა ქალმა მიაძახა, თუ მაგარი ხარ, მამაშენი მოძებნეო. სახლში დაბრუნებულმა ზურაბმა დედას ცხელი ხაჭაპური მიადო ძუძუსთავებზე და გამოტეხა, ვინ იყო მამამისი. გამართა მშვილდი და წავიდა მამასთან, ქუდზე კი, დედის რჩევით, თილისმა (შან-ბურთი) შეიბა. გზაზე ზურაბს ჯერ თეთრი, მერე წითელი და ბოლოს შავი ეშმაკები დასცინოდნენ: – ქალივით გამონწყობილხარო. ვერ მოითმინა ზურაბმა და მოიხსნა ქუდიდან შანი. მაგრამ მხლებლებმა მაინც არ დაანებეს

გადასაგდებად და ხელზე შეიბა. ბოლოს მიადგა ზურაბი იმ ადგილს, სადაც როსტომი ცხოვრობდა. ეშმაკებმა ჯერ როსტომი შეაგულიანეს, უძლეველი კაცი მოვიდაო; მერე კი ზურაბს შეუჩნდნენ, ამა და ამ კაცს უნდა შეეგებო. შეიბნენ, ვერც პირველ დღეს და ვერც მეორე დღეს ვერ დაასრულეს შერკინება. მესამე დღეს კი როსტომმა მუცელში ხანჯალი ჩაასო ზურაბს. იცლება სისხლისგან ზურაბი და მამის სახელი ახსენა. ეს რომ როსტომმა გაიგო, ჰკითხა, თუ როსტომის შვილი ხარ, ქედზე შანი რატომ არ გაქვს მიმაგრებულიო. გაგზავნა როსტომმა უკვდავების წყლის მოსატანად კეისართან დიაკვანი. სამჯერ გაუტყდა ჯურჯელი დიაკვანს. ზურაბმა სული მამის ხელში დალია. ამოთხარა მინა და როსტომი ჩაჯდა მინაში, მუხლებზე შვილი დაისვენა. თორმეტი წლის შემდეგ ტანისგან ფანდურის მუცელი, ხელ-ფეხისგან ფანდურის ყელი, წვერისგან კი სიმები გააკეთა. ერთი თვე დარჩა ზურაბის გაცოცხლებამდე. შემინდა კეისარი: – ვინც გამოიყვანს როსტომს, დავასაჩუქრებო. ერთი დედაბერი მივიდა როსტომთან: – რას იტანჯავ თავს, სამაგიერო გადაუხადე იმათ, ვინც შენ და შენი შვილი ერთმანეთს წაგკიდათო. ქექაობის შვილების ნათლობაში მიდი და თავები ახლევიანე ერთმანეთზეო. გამოვიდა როსტომი, მოიპარსა მოშვეებული წვერი, ისევ ადამიანს დაემსგავსა. იძია შური ყველაზე. როსტომის ძმა გურგენი და მისი ძმისშვილი ბეჟანი გაემართნენ იმ ქვეყანაში, სადაც როსტომის ქონებას და სახლ-კარს დევები დაეპატრონენ. სხვადასხვა ფათერაკის გადალახვის შემდეგ ტექსტში ისევ როსტომი ჩნდება, რომელიც დაბერებულია და მას დევთან ბრძოლაში ბეჟანი ჩაენაცვლება. დევის დამარცხების შემდეგ ყველამ ერთად დაიწყო ცხოვრება.

საკვანძო სიტყვები: ცოდვა, როსტომი, ზურაბი, ბეჟანი.

Key words: a sin, Rostom, Zurab, Bezhan.

ლეგენდები, თქმულებები, გადმოცემები

ЗУРНА, 1855, გვ. 125-137, ი. დუნკელ-ველინგი, „რევამ გოდაბრელიძე (იმერული ლეგენდა)“: მდინარე ყვირილას მიდამოებში მოდინახეს ციხის ნანგრევებთან, წერეთლების თემში ჯერ კიდევ დგას თავად გოდაბრელიძეების ძველი კარმიდამო. მას შემდეგ, რაც ეს ამბავი მოხდა, მრავალი წელი გავიდა. მიუხედავად ამისა, ყოველ წელს იკრიბება ხალხი რევამ გოდაბრელიძის ხელით აღდგენილ ტაძარში და მოკრძალებით ისმენს მოხუცების მიერ მოთხრობილ გოდაბრელიძის თავს გადამხდარ სასწაულებრივ ამბავს. თურმე, მრავალი წლის წინ, როცა იმერეთს მძიმე დღეები ედგა, იქ ცხოვრობდა მშვენიერი გარეგნობისა და სულის მქონე ახალგაზრდა – რევამ გოდაბრელიძე. ის მოსწონდა მშვენიერ მაკას, ხელოსნის ასულს. თურქების შემოსევისას რევამ საშობლოს დასაცავად წავიდა, მაკამ კი აღთქმა დადო, რევამის დაბრუნებამდე კისერზე ჩამოკიდებული თერთმეტი ქვა ეტარებინა. უთანასწორო ბრძოლაში რევამი ტყვედ ჩავარდა, ყველას კი ეგონა, რომ დაიღუპა.

რევამი თავისი საუკეთესო პიროვნული მონაცემებით ტყვეობაში საკმაოდ დაფასებული იყო, მიუხედავად ამისა, მხოლოდ საშობლოში დაბრუნებაზე ოცნებობდა. როცა კიდევ ერთხელ გულმხურვალედ ილოცა, ღმერთს შეწევნა სთხოვა და აღუთქვა: – ივანე ნათლისმცემლის ტაძარს ჩემი ხელით მარტო აღვადგენო. ნატვრა აუხდა: თურქეთში დაძინებულმა, საშობლოში გაიღვიძა. დილით, როცა ხალხი სალოცავად ტაძრისაკენ მიდიოდა, შავებით მოსილმა მაკამ გზაზე მდინარე მდიდრულად ჩაქმული კაცი შენიშნა. ის რევამს მიამსგავსა და მართალიც აღმოჩნდა. რევამმა აღთქმა შეასრულა, რვა წლის შრომის შემდეგ უხილავი ძალის შეწევნით მარტომ დაასრულა ტაძრის აღდგენა. შემდეგ შეირთო მაკა, ღრმა სიბერემდე მათ ბედნიერად იცხოვრეს და ერთისა და იმავე დღეს გარდაიცვალნენ. მათი შვილები გამოირჩეოდნენ კეთილშობილებითა და სიმამაცით.

საკვანძო სიტყვები: იმერეთი, თურქეთი, ტყვეობა, ნათლისმცემლის ტაძარი, აღთქმა.

Key words: Imereti, Turkey, captivity, Baptist Temple, Testament.

ИКОИРГО, 1916, ტ. 24, №2, გვ. 222-226, ლ. მ. მელიქსეთ-ბეგი, „წმინდა გიორგის ქვეყანა“: აქ მოტანილია ინფორმაცია ვახუშტის „გეოგრაფიიდან“. საქართველო სამი სახელით იწოდება: საქართველო, ივერია და გეორგია. ახსნილია სამივე სახელის წარმოშობის მიზეზი: „გეორგიად“ იხსნება იმ გარემოებით, რომ კაპბადოკიელი წმინდა ნინოს მამა იყო წმინდა გიორგის ნათესავი, რომელმაც მისი ყველა სასწაული იცოდა. ჩვენში არ არის გორაკი თუ მთა, რომელზეც წმინდა გიორგის სახელობის ტაძარი არ იდგეს და ამიტომ ჰქვია საქართველოს გეორგია. პროფ. ა. ვ. რისტენკო საქართველოს „წმინდა გიორგის

ლეგენდების კლასიკურ ქვეყანას“ უწოდებს. ქართულ ლეგენდებში წმინდა გიორგი, ერთი მხრივ, გამოდის, როგორც მინათმოქმედებისა და მესაქონლეობის მფარველი და; სხვა მხრივ, როგორც ხალხის მფარველი ყოველგვარი გასაჭირისაგან. აქვე მოტანილია ალ. ხახანაშვილის მოსაზრება, რომ არც ერთი წმინდანი არ სარგებლობს საქართველოში ისეთი პოპულარობით, როგორითაც წმინდა გიორგი. თუშველები და ხევსურები მას პირდაპირ ღმერთად მოიხსენიებენ. ივ. ჯავახიშვილის გამოკვლევით, ქართულ მითოლოგიაში ეს წმინდანი დგას პირველ ადგილზე და მხოლოდ მას შემდეგ ყოველმხვედრული ღმერთი და შემდეგ კი – ილია წინასწარმეტყველი. ამის დასტურია ის, რომ ყველაზე მეტი ტაძარი მის სახელზეა აგებული – წელიწადში რამდენი დღეც არის – იმდენი. ამ გარემოებას იმით ხსნის, რომ მან დაიკავა წარმართული პანთეონის უმთავრესი ღვთაების – მთვარის ადგილი. იმის დასტურად, რომ მთვარეა წარმართული საქართველოს ღვთაება და არა – მზე, ავტორს მოაქვს მთელი რიგი მონაცემები, მათ შორის – რამდენიმე ხალხური ლექსი. აქვე აღნიშნულია, რომ ქართულ ზეპირსიტყვიერებაში არც თუ ცოტა ლეგენდაა შემონახული იესო ქრისტეზე, ილია წინასწარმეტყველსა და წმინდა გიორგიზე, სადაც მათი შესაძლებლობები განსხვავებულია. აქ სწორედ წმინდა გიორგია წარმოდგენილი როგორც მთელი ადამიანური სამყაროს დამცველი ყოველგვარი ბოროტებისა და უბედურებისაგან და სწორედ მას ენიჭება პირველხარისხოვანი ძალა და არა – ღმერთსა თუ ილია წინასწარმეტყველს.

საკვანძო სიტყვები: წმინდა გიორგი, ღმერთი, იესო ქრისტე, ილია წინასწარმეტყველი.

Key words: St. George, God, Jesus Christ, Ilia the Prophet.

ИКОИРГО, 1901, №14, გვ. 81-82, მ. ჯანაშვილი, „ლეგენდა კახეთის ზღვაზე“: 1. უძველეს დროში მთელი ალაზნის ველი წყლის ქვეშ იყო მოქცეული და მთელი კახეთი იყო მთლიანად ზღვა. ხალხი მთაზე ცხოვრობდა, თანდათან წყალი იქაც უახლოვდებოდათ და შეშინებულები იყვნენ. წმინდა გიორგის მონები დაიღუპებოდნენ კიდევ რქებზე აღმასებდამაგრებული სამსხვერპლო ხარი რომ არ გაეყვანათ მათ გველეშაპთან საბრძოლველად. გველეშაპმა ვერ გაუძლო ამ გამძვინვარებულ ხარს და ისეთი ძალით შეასკდა შირაქის მთას, რომ გაანგრია და გზა მისცა ზღვას.

საკვანძო სიტყვები: ალაზნის ველი, წმინდა გიორგი, ხარი, გველეშაპი.

Key words: Alazani Valley, St. George, bull, dragonfly.

ИКОИРГО, 1901, №14, გვ. 81-82, მ. ჯანაშვილი, ზაქათალას რ-ნი, სოფ. კახი, „ლეგენდა კახეთის ზღვაზე“: 2. ძველად მთელი კახეთი წყალში იყო, ხალხი კი მთაში ცხოვრობდა. წყალი სულ მატულობდა, რადგან მდინარეები და ნაკადულები შიგ ჩაედინებოდა. ერთმა მენახშირემ ურჩია შეშინებულ ხალხს, წყალში

ჩაეგდოთ ნახშირით საესე ფუთა: – ის დინების მიმართულებით გაცურავს, გაჩერდება წყლის გასასვლელთან და თქვენც ის ადგილი გაჭერიტო. ხალხმაც იქ – სამხრეთით გაჭრა არხი და გადარჩა. იქ ახლა მდინარე ალაზანი მიედინება. ხალხიც ბარში დასახლდა და ასე წარმოიშვა მშვენიერი კახეთი. ეს ლეგენდა ადასტურებს გეოლოგების მოსაზრებას, რომ ეს ადგილი ადრე ზღვის ფსკერი იყო. გეოგრაფი ვახუშტი კახეთის ერთ ნაწილს უწოდებს ტყე-ტბას.

საკვანძო სიტყვები: კახეთის ზღვა, ალაზანი, ზღვის ფსკერი, ტყე-ტბა.

Key words: Kakheti sea, Alazani, seabed, forest – lake.

ТЛ, 1899, №1, „ძველი თბილისის ლეგენდა“: თბილისში სპარსეთის შაჰის, ალამაჰმად ხანის შემოსევისას ქართველთა მეფის არმია სისხლისმღვრელ ბრძოლაში გატყდა. გარდა იმისა, რომ მაშინ ბევრი დაიღუპა, მტერმა მოსპო ყველაფერი, რაც ქრისტიანობასთან იყო დაკავშირებული. ასევე, განწყვიტა ყველა, ვინც ქრისტეს რწმენას არ უღალატა. მათ ხიდზე დააწყეს წმინდა ევსტატეს წმინდა ნაწილები და ტყვეებს აიძულებდნენ, შეურაცხყოფა მიეყენებინათ მათთვის; ურჩებს კი მტკვარში ყრიდნენ. მდინარე სწრაფად დააგუბა გვამებმა, რადგან, ქართველთა სასახელოდ უნდა ითქვას, მათში არავინ აღმოჩნდა ისეთი, ვინც საკუთარი სიცოცხლის გადასარჩენად ამას გააკეთებდა. სპარსელები არ ინდობდნენ არც ქალებს და არც – ბავშვებს. ქალაქში დაანგრის ყველა შენობა, ღამის გასათევი აღარსად იყო. არის გადმოცემა, რომ ვინც წინასწარ ვერ გაასწრო სპარსელთა შემოსევას, მათგან გადარჩა მხოლოდ ის ორმოცდაათი ადამიანი, ვინც წმინდა მამა დავითის მონასტერს შეაფარა თავი წმინდა მთაზე და – ის, ვინც ამ მთაზე არსებულ გამოქვაბულს შეეხიზნა იქ, სადაც ახლა გრიბოედოვის აკლდამაა. სპარსელებს ამ მონასტერში შესვლაც კი არასოდეს უცდიათ, ზოგის აზრით, ჩასაფრებულ რაზმელთა შიშით. ასე იყო თუ ისე, წმინდა მონასტერმა დაიფარა და გადაარჩინა ყველა, ვინც იქ ეძებდა ხსნას.

საკვანძო სიტყვები: თბილისი, სპარსეთის შაჰი, ქრისტიანობისათვის თავდადება, მამა დავითის მონასტერი.

Key words: Tbilisi, Shah of Persia, Devotion to Christianity, Monastery of father David.

ТЛ, 1902, №40, ასევე, ТЛН, 1902, №40, ა. ვ. პოტო, „რიონისპირა მხარის თქმულებები“: 1. რიონის მარცხენა სანაპიროზე, სამეგრელოში, არის პალიასტომის ტბა, რომელიც ერთადერთია კოლხეთის წარმტაც ვაკეზე. ეს სახელწოდება ადგილობრივ ენაზე იმაზე მიანიშნებს, რომ აქ იყო რიონის შესართავი, თუმცა მასზე არსებობს ლეგენდა, რომელიც სოდომისა და გომორის ხვედრის მსგავსია: ღმერთმა თურმე თავისი რისხვა დაატეხა თავს ოდესღაც ამ ადგილას არსებულ დამნაშავე ქალაქს, ჩაძირა ის და მის ადგილას გაჩნდა ეს ტბა.

საკვანძო სიტყვები: პალიასტომის ტბა, სოდომისა და გომორის ცოდვა, ჩაძირული ქალაქი.

Key words: Lake Paliastomi, the sin of Sodom and Gomorrah, a sunken city.

ТЛ, 1902, №40, ასევე, ТЛИ, 1902, №40, ა. ვ. პოტო, „რიონისპირა მხარის თქმულებები“: 2. სხვა ლეგენდა უფრო მკაფიოდ აღწერს ამ მხარის საზოგადოების მოუნესრიგებლობას: პალიასტომის ტბის ადგილას ოდესღაც არებული მხარის მფლობელი ძალიან მკაცრი და არაადამიანური ბუნებისა ყოფილა. მაშინ რიონი სხვა მიმართულებით მიედინებოდა, მოსახლეობისაგან მოშორებით – სამი საათის სავალზე. ეს მმართველი ყოველდღე იქ გზავნიდა ხალხს ღვინის ჩასაცემად. ზაფხულის ცხელ დღეებში, როდესაც მიტანილი ღვინო თბილი აღმოჩნდებოდა ან დოქი იქნებოდა მშრალი, მიმტანს სიკვდილით სჯიდა. ერთხელაც ეს ბოროტი არსება ცამ დასაჯა და მინამ ჩაიტანა მთელ სოფელთან ერთად. იმ ადგილას კი ტბა გაჩნდა.

ეს ლეგენდა ნამდვილი ჩანს, რადგან მეთევზეები პერიოდულად იქ პოულობენ: ფიცრებს, წისქვილის ნაწილებსა და სხვა მტკიცებულებებს იმისას, რომ ის ადგილი ნასახლარი იყო. ზოგს, თითქოს, მდინარის ფსკერზე შენობის კედლებიც კი უნახავს.

საკვანძო სიტყვები: პალიასტომის ტბა, მკაცრი მმართველი, ცის სასჯელი, ჩაძირული სოფელი.

Key words: Paliastomi Lake, a stern ruler, the punishment of the sky, a sunken village.

ТЛИ, 1902 №41, №2, ა. ვ. პოტო, „რიონისპირა მხარის თქმულებები“: 1. იმერლები ხვამლის მთას უკავშირებენ იმავე თქმულებას, რასაც მთიელები – ელბრუსს: მასზე ძერა კორტნის პრომეთეს.

საკვანძო სიტყვები: ხვამლის მთა, ელბრუსი, პრომეთე.

Key words: Khvamli Mountain, Elbrus, Prometheus.

ТЛИ, 1902 №41, №2, ა. ვ. პოტო, „რიონისპირა მხარის თქმულებები“: 2. ხვამლის მთაზე ჩაუშვა ნოემ ღუზა, სანამ არარატზე გაჩერდებოდა.

საკვანძო სიტყვები: ხვამლის მთა, ნოე, არარატი.

Key words: Khwamli Mountain, Noah, Ararat.

ТЛИ, 1902 №41, №2, ა. ვ. პოტო, „რიონისპირა მხარის თქმულებები“: 3. ხვამლის მთისკენ გარბოდნენ თურქეთიდან გამოქცეული ტყვეები, იცოდნენ რა, რომ იქიდან სამშობლოში მოხვდებოდნენ.

საკვანძო სიტყვები: ხვამლის მთა, თურქეთი, ტყვეები.

Key words: Khwamli Mountain, Turkey, captives.

ТЛИ, 1902 №41, №2, ა. ვ. პოტო, „რიონისპირა მხარის თქმულებები“: 4. ხვამლის მთის წვერზე იყო ნანგრევები, რომელსაც, როგორც ყველა ნანგრევს ამ ქვეყანაში, ხალხი თამარ მეფეს მიანერდა.

საკვანძო სიტყვები: ხვამლის მთა, ციხის ნანგრევები, თამარ მეფე.

Key words: Khvamli Mountains, Castle Ruins, King Tamar.

ТЛИ, 1899, №1, გვ. 1-2, ვ. ა. პოტო, „ლეგენდა ძველ თბილისზე“: ათასწლეულების მანძილზე საქართველოზე თავდატეხილი უბედურებებიდან ბოლო იყო ალა-მაჰმად-ხანის შემოსევა 1795 წ. თბილისის გატეხვის შემდეგ მან მოაღწია მცხეთამდე. თავად ხანი იღვა სოლოლაკის მთაზე და ხელმძღვანელობდა ქალაქის აოხრებას. ყველგან იყო ცეცხლის ალი და ქრისტიანთა წამება. ნადგურდებოდა ყველაფერი ქრისტიანული. ავლაბრის ხიდზე გამოიტანეს წმინდა ეესტატის ნაწილები და ხალხს აიძულებდნენ მის წაბილწვას. ურჩებს წყალში ყრიდნენ. არ ინდობდნენ ქალსა და კაცს, ბავშვს. მალე მდინარე გაივსო გვამებით. არავის უკადრია თავის გადასარჩენად ამის გაკეთება. დაანგრის ყველაფერი – თავადების სასახლეები თუ მოქალაქეების სახლები. ღამის გასათევი არსად იყო. მხოლოდ ის 50 ადამიანი გადარჩა, რომლებმაც თავი შეაფარა წმინდა დავითის მთას. ეს ლეგენდა დაბეჭდილია ТЛ, 1899, №1-შიც.

ამ პერიოდზე შემორჩა ხალხური პოეზიის ნიმუშები და ორი ლეგენდა:

1. მოგვითხრობს ამ დღეებში სახალხო მთქმელის – აშულ საიათნოვას დაღუპვის ამბავს. ახალგაზრდობის დროიდან ისმოდა ის სიმღერები. ისმოდა საწყალ ხალხშიც და მეფე ერეკლეს სასახლეშიც. აქ საუბარია ამ პოეტის შემოქმედებაზე. როცა სპარსელები შემოიჭრნენ თბილისში, ის იყო 80 წლისა და იმყოფებოდა წმინდა გიორგის ტაძარში. აშული მტრის ხმის გაგონებაზე ჯვრით ხელში დადგა ტაძრის კარებში, შიგნით რომ არ შეეშვა ისინი. მტრებმა იქ მოკლეს პოეტი. მისი ცხედარი ასვენია სურაბ-გეგორგის სომხურ ტაძარში.

2. ეს ლეგენდა იმავე პერიოდისაა და ეხება ერთ თავად ქართველ ქალ სალომეს. მან თვითმკვლელობით დაიცვა ქალის ღირსება და ქრისტიანობის იდეალები. მას შემდეგ, რაც მეფის დაცვაში მყოფი მეუღლე დაეღუპა, შვილიც გამოსტაცეს და მოუკლეს, მას ღირსების დასაცავად სხვა გზა არ დარჩა.

საკვანძო სიტყვები: თბილისი, მცხეთა, წმინდა გიორგი, მეფე ერეკლეს სასახლე, ტაძარი, საიათნოვა, სალომე.

Key words: Tbilisi, Mtskheta, St. George, King Erekle, Palace, Cathedral, Sayatnova, Salome.

ТЛИ, 1899, №12, ვ. ა. პოტო, „ბორჯომული ლეგენდები“: აქ მოთხრობილია 1828 წ. პასკევიჩის მიერ ახალციხის ალების შემდეგ ბორჯომიდან ახალციხემდე

გზის გაყვანასთან დაკავშირებული ამბები; მოტანილია ეტიმოლოგიური გადმოცემა ციხე-სიმაგრეთა შესახებ.

მტკვრის ორივე მხარეს შიშველ კლდეებზე იყო ოდესღაც მრისხანე ციხესი-მაგრეების – გოგიასციხისა და პეტრესციხის ნანგრევები, რომლებიც იყო ორი მოწმე აღრინდელი მჩქეფარე ცხოვრებისა. ამ ქვის ბუდეებში ცხოვრობდა ორი ძმა, რომელთა ურთიერთმტრობასაც არ ჰქონდა საზღვარი. ისინი თავიანთი აზნაურებით დაუნდობლად უპირისპირდებოდნენ ხოლმე ერთმანეთს. ბოლოს, როგორც იქნა, ძმები შერიგდნენ და ერთობის ფიცი მისცეს ერთმანეთს. გაიმართა დიდი სუფრა, მაგრამ ერთმა გაუფრთხილებელმა ფრაზამ ისევ განაახლა მტრობა, მათ დახოცეს ერთმანეთი. ასევე, ერთმანეთს დაერივნენ მათი აზნაურებიც და 60 ადამიანი დაიღუპა.

საკვანძო სიტყვები: ეტიმოლოგიური გადმოცემა, გოგიას ციხე, პეტრეს ციხე.

Key words: Etiological narration, Gogia Castle, Peter's Castle.

ТЛ, 1902, №40, ასევე, ТЛИ, №40-ში, ა. ვ. პოტო, „სვეტი“: მდინარე ყვირილას ნაპირის ახლოს – მის სათავესთან მთა კაცერის ძირას, რომელზეც აღმართულია იმავე სახელწოდების ძველი მონასტერი, გადაჭიმულია სვეტის ვიწრო ხეობა. ის სამხრეთით და ჩრდილოეთით შემოსაზღვრულია კლდეებით, რომლის მღვიმე-ებიც ოდესღაც თავშესაფარს წარმოადგენდა მონათლულთათვის თავდასხმე-ბისას. ყოველივე ამან მრავალი საუკუნის მანძილზე გააუდაბნოვა ეს მხარე. დრომ წაშალა აქ მიმავალი ბილიკები, მხოლოდ ღრუბლებიღა სეირნობენ და არნივები იკეთებენ ბუდეებს. იქ, სადაც ხეობა ფართოვდება, აღმართულია უზარმაზარი კლდე, მასზე კი – ოთხკუთხა კოშკი, რომელსაც სურო შემოჰხვევია. კლდიდან რამდენიმე ნაბიჯზე ღვთისმშობლის პატარა სამლოცველოა, რომელსაც ეტყობა, დიდი ხნის დაარსებული რომ არის. ეს ტერიტორია დავით აღმაშენებლის დროს ეკუთვნოდა თავად ივანე მურასიძეს, იმერეთის ერთ-ერთი უძველესი გვარის წარმომადგენელს. მისი საცხოვრებელი არ იყო კლდიდან მოშორებით და ჰქონდა ორმაგი ქონგურებიანი გალავანი. კლდე მაშინაც ისეთი მიუვალი იყო, როგორც – ახლა. არავინ იცის, ციხე სვეტი ვინ ააგო. ხალხი ამას უხილავ სულელებს მიაწერს. ციხე იყო უკაცრიელი, მაგრამ მწყემსები, რომლებსაც ღამის თევა მეზობელ მთებზე უწევდათ, შეძრწუნებულები ყვებიან, რომ ღამე კოშკის ფანჯრებში კაშკაშა შუქს ხედავენ ხოლმე; ირგვლივ მცხოვრებლებს კი არა-ერთგზის გაუგიათ კოშკიდან საყვედურის შეძახილები, გოდების შემცველი ხმები და სატანური ხარხარი. ეს იღუმალებით მოცული კოშკი საშინელების საგნად იქცა ხალხში.

ერთხელ მოჯადოებული კოშკის ფანჯრები მკვეთრად განათდა და იქ ჩრდილებმა გაიელვა. შეშინებულ მაცხოვრებლებს იქიდან ხან სიცილი ესმო-დათ, ხან – ყვირილი, ზოგჯერ – გოდება, ზოგჯერ კი – სიმღერა. მათ გადანწყვიტეს, კაცერის მონასტრიდან მოწვიათ ბერები ციხესიმაგრეში დაბუდეებული ბოროტი

სულებისათვის შესალოცად. ისინიც ხატებითა და წმინდა ნაწილებით შეიარაღებულნი მივიდნენ. ხანგრძლივი ლოცვის შემდეგ შუქი, რომელიც გამოდიოდა ფანჯრებიდან, თანდათან გაქრა და კოშკი ისევ ძველებურად უსიცოცხლოდ გამოიყურებოდა.

მეზობლების შეგულიანებით თავადმა მარუსიძემ გადაწყვიტა ახლოდან ენახა, რა ხდებოდა ამ ციხესიმაგრეში და ბრძანა, კლდის ირგვლივ კიბე დაემაგრებინათ. საქმე ნახევრად იყო შესრულებული, როცა მეფე დავითმა გადაწყვიტა, მონახულებინა ჯადოსნური ძალის მქონე არაჩვეულებრივი კლდე და შეატყობინა ეს თავადს. მართლაც, მივიდა მეფე დიდი ამალით. ერთნი ამბობდნენ, რომ იქ დიდძალი განძი ინახებოდა, მეორენი – რომ იქ ბინადრობდა ჯადოსნური ფერია და ყველა წუხდა, რომ კიბე ბოლომდე არ იყო გაკეთებული.

ხელმწიფემ ბრძანა, რომ მის კარზე მეორე ადგილს დაიჭერდა, ვინც არ დაელოდებოდა კიბეს და ახლავე ავიდოდა ციხეზე. თავადი მარუსიძე კი, როცა დარწმუნდება ჩემი სურვილის აღმსრულებლის სიმამაცეში, მას თავის ასულს მიათხოვებსო. ასეთი ჯილდო, მართლაც, ღირდა გმირობად.

თავადის ასულ სალომეს თვალები ცრემლებით აევსო. მისი გულისსწორი კი დაჰპირდა, რომ ან მოიპოვებდა მის ხელს, ან – დაიღუპებოდა. ბევრმა სცადა ბედი, მათ კიბეც აიარეს, მაგრამ შემდეგ გაუჭირდათ. უცებ ცა გაშავდა და ღრუბლებს მოეფარა. მხოლოდ სამმა შეძლო აღმა სვლა, ცოტაც და მიზანს მიაღწევდნენ, მაგრამ ამოვარდა ქარიშხალი და ელვა ცუდს მოასწავებდა. როდესაც სალომეს რჩეულმა აზნაურმა მწვერვალს მიაღწია, საშინელი ხმა გაისმა: კლდე შეირყა და ხრამში გადაჩეხა გამარჯვებულიცა და მისი ორი მეტოქეც. მეფე დავითმა ამ საშინელების სამახსოვროდ ბრძანა ღვთისმშობლის სალოცავის აგება. სალომემ ეს ამბავი ვერ გადაიტანა და მისი სხეული ასვენია იმავე ქვის ქვეშ, სადაც – ის ადამიანი, ვის გარეშეც სიცოცხლე არ შეეძლო.

ამ ლეგენდის ვარიანტი დაბეჭდილია „კავკაზშიც“ – 1853, №51.

საკვანძო სიტყვები: კოშკი, მეფე დავითი, თავადის ასული, ტრაგედია, ღვთისმშობლის სალოცავი.

Key words: The tower, King David, the daughter of a prince, tragedy, the Virgin's shrine.

3KB, 1849, №5: გელათში ღვთისმშობლის უძველესი გამოსახულება შემკულია ძვირფასი, არაჩვეულებრივად დიდი მარგალიტით. ხატი ასე ვინ მორთო, უცნობია. გადმოცემა კი გვეუბნება: ერთხელ თამარ მეფე ვარძიაში (ვარდების ქალაქში) იმყოფებოდა, ელოდა სხვა ქვეყნების ელჩებს და მდიდრულად ირთვებოდა. ამ დროს მას მოახსენეს, რომ მოხუცი ქალი მისგან მონყალებას ითხოვდა. მეფემ როცა ის მიიწვია თავისთან, ქალი უკვე წასული აღმოჩნდა. თამარი გამწარდა: – ამ მარგალიტის მძივის გამო მონყალება ვერ გავეციო!

განყვიტა ის და ბრძანა ეკლესიისათვის შეენირათ. ასე იქცა თამარ მეფის სამკაული ღვთისმშობლის ხატის მორთულობად.

საკვანძო სიტყვები: ღვთისმშობლის ხატი, თამარ მეფე, ძვირფასი მარგალიტი.

Key words: Icon of the Virgin, King Tamar, Precious Pearl.

ТЛИ, 1902, №41, „გადმოცემა რიონის პირა მხარისა – ლეგენდა როსტომზე“: არავის ახსოვს, როდის იღვა ამ ნანგრევების ადგილას კოშკი, რომელიც თურქების შემოსევებისგან იცავდა სამეგრელოს თავად ჯაიანს. მისი ქალიშვილი კი ულამაზესი იყო და ქვეყანაზე მისი შესაფერისი ვაჟუკაცი არავინ იქნებოდა, თუ არა მამაცი როსტომ დიდებულიძე. ერთხელაც როსტომის ჯერი მოვიდა, ედარაჯა ჯაიანის ციხესთან. იქით მიმავალს შემოხვდა ამაღასთან ერთად ციხეში მიმავალი მენეკე – ჯაიანის ასული. ეს შეხვედრა როსტომისთვის საბედისწერო იყო. დიდხანს გაჩერდა მენეკე ციხეში. ერთხელაც დაუნიშნა მან პაემანი როსტომს, რომელმაც დატოვა პოსტი, დაცვას კი ეძინა. ღამის სიბნელეში შემოიპარნენ თურქები. გაისმა თოფის ხმა, დაიღუპა მოხუცი ჯაიანი, დადგა სისხლის მდინარე. გონს მოსული როსტომი ავარდა კოშკის თავზე და იქიდან გადაეშვა მდინარეების – ხოფისა და ცივის შესართავთან, რომლის სიღრმეც არავინ იცის, რამხელაა.

საკვანძო სიტყვები: როსტომი, მენიკე, ჯაიანი, ციხის ნანგრევები.

Key words: Rostom, Menke, Jayan, Castle Ruins.

ТЛИ, 1903, №42, გვ. 1-2, გულია, „ემშაკის კოშკი“: შავბნელი კოშკის შესახებ მწყემსისგან გავიგეთ, რომ ბატონყმობის შორეულ დროში ამ ადგილას ცხოვრობდა ძლიერი თავადი ქაიხოსრო მხარესთავი. მისი ქონება განუზომელი იყო, ჯოგი და ნახირი – უთვალავი. მას ჰყავდა მრავალშვილიანი ფშაველი მსახური – მეზრე სოსიკო. ის ძალიან პატიოსანი იყო, ამიტომ – ღატაკი როგორც შევარდენი. სოსიკოს თავის გაჭირვება არ აღელვებდა და სხვებზე აღმატებულად გრძობდა თავს. თავადმა იცოდა მისი ხასიათი, ამიტომაც არათფერს ჩუქნიდა. იცოდა, ზედმეტს არ აიღებდა და ძალიან ენდობოდა მას. სხვებს შურდათ სოსიკოსი და ცდილობდნენ მის შეცდენას, მაგრამ არათფერი გამოსდიოდათ. თუმცა რაც მათ არ გამოუვიდათ, გამოუვიდა ემშაკს. მთაზე მდგომი კოშკი იყო ემშაკთა ბუნაგი. ხალხი ყველანაირ უბედურებას ელოდა მათგან. ერთხელ, როცა ხალხი სააღდგომოდ ემშადებოდა, სოსიკოს ოჯახში სიღუხტირე იყო. მათ აზრადაც არ მოსდიოდათ სამზადისზე ფიქრი. სხვები ირთვებოდნენ, მის შვილებს კი დახეულები ეცვათ. სოსიკოს ღმერთისა ემინოდა, მაგრამ მის ბაღში ხბო შევიდა და სოსიკოს არ ეშვებოდა. ხმებიც ეძახდნენ: – სოსიკო, სოსიკო! – და აგულიანებდნენ. იმანაც ჩათვალა: – ღმერთმა გამომიგზავნაო. მერე ბავშვები ამბობდნენ: – ჩვენცა გვაქვს ხორცი, ბევრი ხორცი გვაქვსო. ხალხმა ჭორაობა დაიწყო. თავადი ირწმუნებოდა: – ემშაკმა შეაცდინაო, – და აპატია სოსიკოს, მაგრამ ის ცოცხალი აღარ იყო. მან კოშკში თავი ჩამოიხრჩო. მოხუცები ხედავდნენ ხოლმე ყელზე

თოკუმბულ სოსიკოს იმ კოშკის მიდამოებში, სანამ არქიელი არ აკურთხებდა იქაურობას.

საკვანძო სიტყვები: კოშკი, ქაიხოსრო მხარესთავი, ეშმაკები, ბავშვები, სოსიკო, ხალხი.

Key words: The tower, Qaikhosro Mkharestavi, the devils, the children, Sosiko, the people.

СМОМПК, 1886, №5, განც. 2, გვ. 97, ა. გრენი, „ახალი ვარიანტები პოლითემეს სიუჟეტის შესახებ“: სამეცნიერო სტატიაში, ციკლოპებზე სხვადასხვა შუაბიურ თქმულებასთან ერთად, ავტორს მოაქვს ქართული ვარიანტიც, რომელიც „ამირანდარეჯანიანის“ ნაწყვეტია. ბადრის გატაცებული შვილის მოსაძებნად წასული ამირანი და უსიბი გადაეყრებიან ქალს, რომელიც ვითომ ბადრის შვილის გამტაცებელმა გაიტაცა. მოტყუებული მგზავრები, რომლებიც მშვივრები არიან, ხელმოცარული ნადირობის შემდეგ გაჰყვებიან კლდესთან. ასე მოხვდებიან ერთ კაცთან, რომელსაც შუბლზე ცალი თვალი აქვს. ამირანი მოკლავს ამ კაცის შვილს და მატყუარა ქალს, ხოლო უსები – ცალთვალასაც. ამირანი გაბრაზდება უსებზე, მაგრამ ის უპასუხებს, რომ მოკლა, რათა სხვა მგზავრებიც არ მოტყუვდნენ.

საკვანძო სიტყვები: ცალთვალა კაცი, ამირანი, უსები, ბადრიამანის ვაჟი.

Key words: One-eyed man, Amirani, Usebi, Badriaman son.

BE, 1892, №3-4, გვ. 697-701, ო. ტ., მეჩონგურე გოგია – „ქართული ლეგენდის გმირი და იმის შესახებ, თუ როგორ გაჩნდა მოლაღური, ბუღბული და ოფოფი“: ლეგენდა იწყება იმით, რომ გოგია აკვნესებს თავის ჩონგურს. მას დედა საყვედურობს, რომ მართო ტოვებს მას, დასა და ცოლს. გოგიას წასვლის შემდეგ დედა ნანობს, რომ დაწყველა შვილის გზა, თუმცა მისი გული მხოლოდ ლოკულობდა. მას ღამე თვალი არ მოუხუჭავს, როდესაც დასაც და ცოლსაც ეძინათ. დილით დედა ჩამოიღებს ინსტრუმენტს. ლეგენდაში მოტანილია დედის, დისა და ცოლის სიმღერები პროზაული სახით. დედა მოთქვამს, რომ შვილი მას ტოვებს ცოლის გულისათვის; შიშობს, რომ მის შვილს ცივა, შია; დაჭრილი ბრძოლის ველზე უპატრონოდ ავდია და მის ლეშს ფრინველები დასტრიალებენ. მისი სურვილია, იქცეს ფრინველად, რომ არ დაანებოს სხვა ფრინველს შვილის ქოჩორი. და აღიღებს ძმის საგმირო საქმეებს; ცოლი კი ამბობს, რომ ჭკვიანი ქვრივი მალე გათხოვდება და ქმარზე დარდს არ გადაჰყვება. დედას სტკივა თითები ჩონგურის სიმებისგან, მაგრამ სიმები არ წყდება. ბოლოს კატა შეხტება და ჩამოაგდება ჩონგურს. მისი გატეხვა ავის ნიშანია. ცოლი ოთახში შევა და გალამაზებას დაიწყებს, ჩაიცვამს ჭრელებს და თმას ივარცხნის. მაცნეს ცუდი ამბავი მოაქვს. დედა გადაიქცევა მოლაღურად, და – ბუღბულად, ძმის სადიდებლად რომ იგალობოს; ხოლო ცოლი სავარცხლიანად გადაიქცევა ოფოფად,

რომელიც მალა ვერ დაფრინავს და გრძელი ნისკარტით აკაკუნებს მინაზე, ეძებს რა ქმრის საფლავს.

საკვანძო სიტყვები: მეჩონგურე გოგია, დედა, და, ცოლი, მოლალური, ბულბული, ოფოფი.

Key words: minstrel Gogia, mother, sister, wife, golden oriole, nighteagle, hoopoe.

KB, 1900, №1, გვ. 27-32, N2, გვ. 60-68, N3, გვ. 43-50, №4, გვ. 38-53, №5, გვ. 60-73, ა. ნატროფი, „მცხეთა და ტაძარი სვეტიცხოველი“: წერილი ძირითადად გადმოსცემს სხვადასხვა წყაროში მოთხრობილ ამბებს, იქნება ეს ფარნავაზის, ელიოზისა თუ წმინდა ნინოს შესახებ. ავტორი ყველა ლეგენდას, თითქოს ზედაზენზე ცხოვრობდა დევი, რომელიც მცხეთას დარაჯობდა. მზის ჩასვლის შემდეგ ეს დევი დადგებოდა მუხლებზე და დაეწაფებოდა მტკვრის წყალს. დღესაც ეტყობა მინას ორი ჩალრმავება, რომელიც დევის მუხლების კვალია. როდესაც იოანე ზედაზნელი დასახლდა ამ ადგილებში, მას უთხრა კათალიკოსმა ევლავიოსმა: – ეს ადგილები ბოროტი სულებითაა სავსეო. აქვე ავტორს მოაქვს ხალხური ლექსი, რომელიც თითქოს მურვან ყრუს მიერ მცხეთის აოხრების შემდეგ შეიქმნა: „არმაზის ციხე ქალაქო, / ძველადგან გაოხრებულო, / ხალხითა ერთხელ სავსეო, / ძლიერო, დიდად ქებულო, / შენ ვილამ გნახოს ნაშენო, / მტერთა მახვილით მოსრულო.“

წერილის მეორე ნაწილში ავტორი განმარტავს, რომ ქართველების რწმენა, თითქოს თითოეულ ადამიანს თავისი ვარსკვლავი აქვს დაბადებიდან, მომდინარეობს უძველესი წარმოდგენებიდან. ის ახსენებს ქართველთა შორის წერაკოთხვის გამავრცელებელი საზოგადოების №1204 დოკუმენტს, რომელშიც ჩამოთვლილია კვიმატი დღეები წყეულისა: 23 სექტემბრის, 3, 20 დეკემბრის; 4, 20 მარტის დაისი; 3, 9, 20 ოქტომბრის; 8, 20 ნოემბრის; 2, 11 იანვრის; 23, 26 თებერვლის; 3, 20 აპრილის; 6, 20 მაისის აისი; 12 13 ივნისის; 20 ივლისის; 4, 20 აგვისტოს ღამეები და 4 ივნისის, 6 ივლისის და 6 აგვისტოს დღეები. ხოლო ყანჩავეთის ეკლესიის უამნგულანის მიხედვით, ასეთი დღეებია: 2, 14 იანვარი; 3, 6 თებერვალი; 4, 20 მარტი; 6, 20 მაისი; 3, 20 ივნისი; 6, 20 ივლისი; 6, 15 აგვისტო; 8, 15 სექტემბერი; 6, 15 ოქტომბერი; 2, 14 ნოემბერი; 2, 14 დეკემბერი. ავტორი განმარტავს სიტყვა „საყდრის“ წარმოშობას სიტყვიდან „საყუდარი“, ვინაიდან წარმართული კერპები აყუდებული იყო ქვებზე და მათ დასაცავად გარშემო უკვებდნენ კედლებს.

წერილის მესამე ნაწილი საქართველოში ქრისტიანობის გავრცელებას ეხება – როგორ იქადაგეს ახალი სარწმუნოება ანდრია პირველწოდებულმა და სიმონ კანანელმა, ხოლო შემდგომში წმინდა ნინომ.

წერილის მეოთხე ნაწილი შეეხება სვეტიცხოვლის აგებას. გადმოცემის მიხედვით, ვახტანგ გორგასალმა, როდესაც ტაძრის აგება გადაწყვიტა, საუკეთესო ხუროთმოძღვრის მოსაძებნად სხვადასხვა ქვეყანაში გაგზავნა გზირები.

სვეტიცხოველი აუგია მონაფეს, ხოლო სამთავრო – მასწავლებელს. ავტორის აზრით, ოსტატიც და შევირდიც გამოსახულნი არიან ეკლესიის ფასადზე, შევირდს აცვია ქართული ჩოხა, ხოლო ოსტატს – სპარსული სამოსი. ოსტატს შეშურდა შევირდის და მას მოაჭრა მარჯვენა. მოჭრილი მკლავი გამოსახულია ეკლესიაზე, ხოლო ხალხური ლექსი „ხეკორძულას წყალი მისვამს“ გადმოცემს ამ ამბავს. ავტორი ამბობს, რომ საგანძური მცხეთიდან გაჰქონდათ ხოლმე მტრის შემოსევისას, ზოგჯერ კი მიწაში ფლავდნენ. ამის გამო ის იკარგებოდა. დღესაც ლეჩხუმში არის ნანგრევები, რომელსაც ეძახიან მცხეთას, სავარაუდოდ, აქ გადმოჰქონდათ განძიო. განძის სამალავი იყო ხომლის მთაზეც. წერილის ამ ნაწილში კარგადაა აღწერილი სვეტიცხოველი და ჩამოთვლილია ყველა ის პირი, ვისაც რამე დამსახურება მიუძღვის ეკლესიისა თუ მისი გალავნის მშენებლობაში. ბოლო ნაწილში მოთხრობილია იესოს კვართის შესახებ.

საკვანძო სიტყვები: სვეტიცხოველი, სამთავრო, კონსტანტინე არსაკიძე, ხეკორძულა, ზედაზნის დევი, კვართი, წმინდა ნინო.

Key words: Svetitskhoveli, Samtavro, Konstantine Arsakidze, Khekordzula, Zedazeni's Devi, Robe of Jesus, Saint Nino.

СМОМІІК, №10, განც. 2, გვ. 69-92, ვ. ტეპსოვი, „სვანური მოტივები და სიმღერა ყანსავ ყიფიანზე“: ავტორი განმარტავს ტექსტს, რის გარეშეც თითქმის წარმოუდგენელია სიმღერის შინაარსის გაგება. თურმე ყიფიანი წვირმიდან იყო. მაგრამ მთავარი აქ ისაა, რომ ტექსტი აღწერს, როგორ ეშინოდათ უშგულის თემის მცხოვრებლებისა სხვა თემელებს. თუ სხვა თემის წარმომადგენლებს რალაც გამორჩეული თვისება ჰქონდათ, უშგულელებს ეს თვისება ათმაგად ჰქონდათ განვითარებული. ამიტომაც მულახელები იტანდნენ უშგულელების დაცინვას. ფუთა მოელეჰარაკა ყიფიანს და მან შეკრიბა ლაშქარი: – ვინც მამაცია, უშბასაც შეერკინება, მხდალი კი ნაკადულსაც ვერ აჯობებსო. მათ დაიმორჩილეს ჯერ ლატალი, შემდეგ – ლენჯერი, რადგან ისინი გემრიელ საჭმელზე უფრო მეტს ფიქრობდნენ, ვიდრე – წინააღმდეგობის განევაზე; ადვილად დაჯახნეს მესტიის მიმდებარე სოფლები და მესტია, რადგან ისინი გაჭირვების გამო მიდიან სხვა სოფლებში. მულახი და მუჟალი დაინდეს, რადგანაც მათ მოლაჰარაკება გაუმართეს. წვირმელები და იფარელები შიმშილით გასავათებულები ფეხზე ძლივს იდგნენ. ასევე, კალელები, რადგან საშოვარზე სხვაგან გადადიოდნენ. მხოლოდ უშგულელები არ დაემორჩილნენ, არადა, უშგულს თუ ვერ დაიპყრობდნენ, არც სხვა თემები იქნებოდა დამორჩილებული. უშგულელებმა მოკლეს ფუთა. ეს სიმღერა ჭუნირის თანხლებით სრულდება. ავტორს აღწერილი აქვს ეს ინსტრუმენტი, შემდეგ ცეკვას აღწერს და ადარებს მას იმ რუსულ ცეკვას, რომელსაც ყველაზე მეტად წაავას. წერილს თან ერთვის ათი სიმღერის ნოტები: ქალდე, სვანების ლაშქრობა, მესტიელი მონადირის გმრობა, მონადირის ცეკვა, სვანური

ხალხური ცეკვა, ჭებურხეველების გუნდი, ტრიო, კანსავ ყიფიანი, ფარელების ტრიო.

საკვანძო სიტყვები: სვანური სიმღერები და ცეკვა, სვანური მუსიკალური ტექსტები, უშგულელები, შიმშილობა სვანურ სოფლებში, ფუთა, კანსავ ყიფიანი.

Key words: Svan songs and dances, musical texts from Svaneti, Ushgulians, hunger in the villages of Svaneti, Puta, Kansav Kipiani.

CMOMPK, №10, განყ. 2, გვ. 241-252, დ. მარგიანი, „სვანური ლეგენდები და სიმღერა“: ლეგენდები და სიმღერები ჩანერილია სოფელ მულახში. მათ შორისაა ერთი სიმღერა და ორი ლეგენდა. სიმღერა აღწერს სვანების ათხაზებზე გალაშქრებას და ახსენებს ოთარ და წიოკ დადემუქელიანებს. სიმღერა 26 სტრიქონისგან შედგება. ტექსტს ახლავს თარგმანი რუსულ ენაზე.

1. ლეგენდა არის სამოელზე (სატანაზე) და ღმერთზე. ღმერთი, რომელიც ქართლისა და იმერეთისთვის ხილის მირთმევის შემდეგ გაემართა რაშით სვანეთში, გზად შეხვდა სატანა. იმან მოატყუა, რომ ხილი უკვე უბოძა სვანებს. ქრისტემ გააბრუნა რაში. იმ ადგილს „ქრისტეს მოსახვევი“ ეწოდება და დღესაც ჩანს რაშის ფლოქვების კვალი. ასე დალუპა სატანამ სვანეთი, სადაც არ ხარობს არანაირი ხილი.

2. ლეგენდა სამყაროს შექმნაზე: ღმერთი ცხოვრობდა მაღალ კლდეებში, როცა მოსწყინდა იქ ყოფნა და გამოვიდა, დააშრო წყლები და დაასახლა მიწა ადამიანებითა და ცოცხალი არსებებით. სანამ დაასახლებდა მიწას, დედამიწა ცარიელი იყო და ღმერთს მარტვენა თვალიდან ცრემლი გადმოუგორდა. ამ ცრემლიდან გაჩნდა მიქაელ მთავარამგელოზი, ხოლო მარცხენა თვალიდან გადმოგორებული ცრემლიდან – გაბრიელი. ერთხელ ღმერთს შემოხვდა ჭაბუკი, რომელმაც ჭკვიანური პასუხებით მოხიბლა ღმერთი (მაგალითად, ქალები არიან ცრემლის გასასესხებლად და სხვ.). ეს იყო გიორგი. ანგელოზები ცდილობდნენ ღმერთს გვერდი აექცია ერთი თეთრი ლოდისთვის, მაგრამ ის მაინც მივიდა მასთან, გადახეთქა და იქიდან ამოვიდა სატანა და მოსთხოვა, ვინაიდან ერთი გვარისანი იყვნენ, რაღაც მიეცა მისთვის. ანგელოზებმა სატანას მისცეს ადამიანის სული, სანამ ღმერთს არ შეეძინებოდა ძე. სატანამ გარშემოირტყა კედელი და დატოვა ხერელი, საიდანაც მასთან ადამიანის სულები შედიოდნენ. ჯოჯოხეთში ადამიანების სულებს ეშმაკები აწვალდნენ. ანგელოზებმა გადაწყვიტეს, რომ დრო იყო, დაბადებულიყო ღმერთის ძე. მათ ამისთვის აირჩიეს მარიამი. ის მდინარეზე რეცხავდა სარეცხს. ანგელოზებმა მიუგდეს მას ღმერთის მოცემული ვაშლი. მარიამმა სამჯერ ჩაკბიჩა ვაშლი და დაორსულდა, რადგან მასში სული წმინდა შევიდა. მალე იშვა ქრისტე, რომელიც ძალიან ჭკვიანი იყო. მან დაუნგრია სატანას ჯოჯოხეთი. ღმერთმა მანამდე გააკეთა სამოთხე და ადამიანის სულები იქ გადაიყვანა.

წერილს აქვს დანართი, რომელიც ზავადსკის სვანური ენის გრამატიკის მოკლე მიმოხილვისა და ტექსტის სვანეთის აღწერას შორისაა მოთავსებული. იქ მოცემულია ლეგენდა, რომელიც შეეხება სამყაროს შექმნასა და ღმერთს, მთავარანგელოზებსა და სამოელს. თარგმანი ეკუთვნის კ. ქორჭიევს.

პირველი ლეგენდა: თავიდან სამყარო წყლით იყო დაფარული. ღმერთი სამყაროს კლდეში იყო, ერთხელ გადმოხტა და წყალში ჩახტა. წყალი ცივი იყო და ღმერთს გადმოსცვივდა ცრემლები. ამ ცრემლებიდან გაჩნდნენ: მთავარანგელოზები – მიქაელი და გაბრიელი, ერთი მარჯვნივ უდგას და მეორე – მარცხნივ. ღმერთი იძირებოდა წყალში და მთავარანგელოზებმა ამოიყვანეს, თუმცა წყალს თუ არ გააქრობდნენ და ხმელეთს არ გამოაჩენდნენ, ასე ვერ გაგრძელდებოდა. ამიტომ შეუბერეს წყალს. გამოჩნდა ზღვის ფსკერი, დაინახეს ნაკვალევი, რომელმაც ისინი მიიყვანა ლოდთან. ლოდის გადანევის შემდეგ ამოხტა სამოელი, რომელიც ყელში სწვდა ღმერთს. ღმერთი გათავისუფლების სანაცვლოდ სამოელს დაძმობილებას შეჰპირდა. ღმერთი და მთავარანგელოზები ადგილზე დარჩნენ და შეუდგნენ ხმელეთის გათავისუფლებას კედლის აშენებით. მაგრამ საქმე არა და არ გამოსდიოდათ. დახმარებისთვის დაეკითხნენ სამოელს, რომელმაც ურჩია, გაეგრძელებინათ კედლის მშენებლობა, რომელიც წყლის მოწოლით არაერთხელ დაინგრეოდა. ბოლოს აეღოთ საყვირები და ჩაებრათ, ღმერთს კი დაეყვირა. წყალი გაინევიდა და ხმელეთს აღარ მოაწვებოდა. ამის შემდეგ ღმერთმა შექმნა მცენარეული საფარი და ცხოველთა სამყარო, მიწისგან კი სულის ჩაბერვით – ადამი და ევა. ორივე იყო ბრმა. სამოელმა მათ ასწავლა, რომ შეეჭამათ ვაშლი და აფხილებოდათ თვალები. ღმერთი გაბრაზდა სამოელზე და წილი აღარ მისცა. მან კი შეარცხვინა: – რალატომ დამიძმობილდიო. ღმერთმა მისცა საფიცარი. ამ საფიცარის მიხედვით, ყველაფერს, რასაც ადამიანი ღმერთს შესწირავს, საფიცრის პატრონთან გადავა. გადაყლაპა საფიცარი სამოელმა. ასე მიჰყავდა ყველა ჯოჯოხეთში სამოელს, სანამ ის ქრისტემ არ სძლია, მაგრამ სამოელმა დააბნელა ჯოჯოხეთი და ქრისტე ვერ პოულობდა გამოსასვლელს. ერთი კაცი, რომელსაც სახედარი ჰყავდა, დაეხმარა ქრისტეს გამოსვლაში. ქრისტემ აავსო ოქროთი, მაგრამ ამ კაცმა ამოიღო ადამიანის გული და უთხრა: – ეს დამიფარე ოქროთით. აყრიდა ქრისტე ოქროს, მაგრამ ვერა და ვერ ფარავდა გულს, ბოლოს ვიდაც კაცმა მიაყარა მიწა ადამიანის გულს. ამიტომაა, რომ ადამიანები კვდებიან, სიცოცხლეში კი მათ გულს ვერაფერი აძლობს. ქრისტეს ჯოჯოხეთიდან გამოჰყვა თავი, რომელსაც მოქონდა ძნა. კატამ ჯერ მეოთხედი, მერე მესამედი, ბოლოს ნახევარი მოაჭამა, სანამ კატა ძალღმა არ დაახრჩო. ამიტომაა, რომ ადამიანებს საკმარისი პური არ აქვთ და ეკრძალებათ კატისთვის ხორბლის პურის მიცემა, ძაღლისთვის – არა.

მეორე ლეგენდა: ღმერთმა შექმნა ცა. რამდენი წვიმის წვეთიც გადმოვარდა ექვს დღეში, იმდენი ანგელოზი გაჩნდა. შექმნა ადამი და ევა და ჩასვა კილობანში, უბრძანა, არ გადმოსულიყვნენ, სადარაჯოდ კი მგელი მიუჩინა. ღმერთი გაუწყრა

ანგელოზებს და ისინი ეშმაკებად აქცია. ეშმაკმა აცდუნა ადამი და ევა. ეს რომ არ მომხდარიყო, მათ ყველაფერი ექნებოდათ ღმერთისგან: სასმელი, საჭმელი და ქალიც სამშობიარო ტკივილების გარეშე გააჩენდა შვილებს. სამოელი დაჰპირდა ადამს, რომ ევას შეუმსუბუქებდა სამშობიარო ტკივილებს, თუ მას დაემორჩილებოდა მისი მოდგმა იქამდე, სანამ უშობელი არ დაიბადებოდა და უკვდავი არ მოკვდებოდა. ღმერთმა ამ პირობისგან ადამიანების გასათავისუფლებლად მოავლინა ქრისტე, რომელმაც დედამიწაზე 12 წელი იცხოვრა.

მესამე ლეგენდა: როცა მიქაელი და გაბრიელი დადიოდნენ დედამიწაზე, ზედაპირი ისეთი რბილი იყო, თხილამურებით რომ არ ევლოთ, მუხლამდე ჩაეფლობოდნენ. მათ წინ მუდმივად ერთი ლოდი მოძრაობდა. მოხებრდა ეს ლოდი ღმერთს და მისი გახეთქვა გადანწყვიტა. ანგელოზებმა სცადეს მისი შეკავება, მაგრამ ღმერთმა მაინც გახეთქა ლოდი. ამოხტა სამოელი, ახრჩობდა ღმერთს და მოითხოვა ან ხილული, ან უხილავი, ან მუდმივი სამყარო. ღმერთმა მას სამუდამო სამყარო მისცა. მოიწყინეს ანგელოზებმა მიქაელმა და გაბრიელმა და სთხოვეს ღმერთს, პირობა შეეცვალა და იქამდე ჰქონოდა სამოელს სამყარო, სანამ ღმერთის შვილი არ დაიბადებოდა. მთავარანგელოზმა ჩააბერინა ღმერთს მუშტში სული, მიუტანა მარიამს და მის პირში შეუშვა ღვთის სული. დაიბადა ქრისტე. ქრისტეს მოკვლა უნდოდათ ადამიანებს, მაგრამ ვერ ცნობდნენ მას. ერთმა კაცმა თქვა, რომ ის იცნობდა ქრისტეს. მან უთხრა ადამიანებს, რომ ქვიფში მხოლოდ ქრისტე არ გამოართმევდა მას ღვინით ავსებულ სასმისს, რადგან ცოდვაში იყო შობილი. ასე ამოიყენეს ქრისტე და ჯვარს აცვეს. მანამდე კი მჭედელმა დაამზადა ლურსმნები, თანაც იმაზე ორით მეტი, ვიდრე საჭირო იყო. ამიტომ, რომ ყველა მჭედელი ცოდვილია. ქრისტე ჩავიდა ჯოჯოხეთში და ყველას სული იხსნა მაკას სულის გარდა, ამიტომაცაა, რომ სვანები დაკარგულზე ამბობენ, რომ ის მაკას სულივით დაიკარგაო.

საკვანძო სიტყვები: სვანური ლეგენდები, კოსმოგონიური მითი, სატანას დაბადება, სამოელი, ლოდი, ღმერთის ცრემლები, ანგელოზების დაბადება, მაკას სული.

Key words: Svan legends, cosmogonic myth, the birth of Satan, Samoel, the tears of God, the birth of Angels, Maka's soul.

HO, 1893, №3261, 2-3, ა. გ., „ნოეს ქალიშვილი“: ლეგენდა ჩანერილია გორში ვინმე ოსისგან, რომელიც დიდხანს ცხოვრობდა ბაქოში. ტექსტი, ავტორის აზრით, იმით არის საინტერესო, რომ დეტალებით განსხვავდება ამავე სიუჟეტის ცნობილი ლეგენდისგან. შაკირ ხანი დიდხანს ეძებდა იმის ახსნას, თუ რატომ განსხვავდებოდნენ ზნითა და ხასიათით მისი ჰარემის ქალები ერთმანეთისგან. პასუხი მან ნოეს ქალიშვილის ლეგენდაში იპოვა, რომლის მიხედვითაც, ნოეს, სემის, ქამისა და იაფეტის გარდა, ჰყავდა ერთი ქალიშვილიც. მისი ხელის სათხოვნელად მოსულ სამ ჭაბუკს დაჰპირდა ნოე ქალიშვილს, სამივეს ერთსა და იმავე დღეს

დაუთქვა ქორწილი. ქორწილამდე განმარტოვდა და ალაჰს შესთხოვა დახმარება. ნოემ ქალიშვილის ოთახში შეიყვანა ძაღლი და ცხვარი, მეორე დღეს კი მოხდა სასწაული – ცხოველები მისი ქალიშვილის ტყუპისცალებივით გამოიყურებოდნენ. გარკვეული პერიოდის შემდეგ ნოე ესტუმრა სამივე სიძეს. უნდოდა, დაედგინა, რომელი იყო მისი ნამდვილი ქალიშვილი და გადაეცა მისთვის ადამის სარტყელი. ძაღლისა და ცხვრის გადაქცევით მიღებულ ქალზე დაქორწინებული სიძეები არ იყვნენ ბედნიერები, რადგან მათი ცოლები იღრინებოდნენ და ჯიუტობდნენ. ნოეს ნამდვილ ქალიშვილზე დაქორწინებული სიძე კი ყოველმხრივ ბედნიერი იყო და ადამის სარტყელი სწორედ ნოეს ნამდვილ ქალიშვილს ერგო.

საკვანძო სიტყვები: ლეგენდა, შაკირ ხანი, ნოე, ნოეს ქალიშვილი, ადამის სარტყელი, ძაღლი, ცხვარი.

Key words: legend, Shakir Khan, Noah, the daughter of Noah, the belt of Adam, dog, sheep.

HO, 1896, №4346, 2, ე. ბ-ოვი, „ძველისძველი კოშკი (მთიელთა ლეგენდა)“: უძველეს დროში ცხოვრობდა ერთი თავადი (ტაუბი), სახელად – ტაუკანი. ერთხელ მან მეზობელს მოსტაცა ქალიშვილი. გზაზე შემხედურმა მოხუცმა უთხრა, რომ ღმერთი ამას არ აპატიებდა. ტაუკანმა ბრძანა, მოხუცი ტყვედ წამოეყვანათ. ერთხელ გადაწყვიტა, მაღალ მიუდგომელ კლდეზე აეგო კოშკი, რომელშიც შეაფარებდა თავს მტრის შემოსევების დროს. კოშკი მხოლოდ მოხუცის დახმარებით ააგეს მონებმა. როდესაც ტაუკანმა თავი შეაფარა კოშკს, გადაწყვიტა, გამოეცადა ახალი მშვილდი და სტყორცნა ისარი მოხუცს. ტაუკანზე შური ბუნებამ იძია: ამოვარდა საშინელი წვიმა და ქარი, დაინგრა კოშკი და ტაუკანი მის ქვეშ მოყვა. დაჭრილმა მოხუცმა მოტაცებული ქალიშვილი მშობლიურ აულში დააბრუნა. ყოველ გაზაფხულზე ამინდი იცვლება, კლდის თავზე შეიკრიბება ღრუბლები და მოდის საშინელი წვიმა ტაუკანის ამბის გასახსენებლად.

საკვანძო სიტყვები: მთიელთა ლეგენდა, ტაუკანი.

Key words: the legend of the mountain people, Taukan.

HO, 1888, №1504, ი. ხონელი, „ნეფე და დედოფალი“: ეტიოლოგიური ლეგენდა უკავშირდება სოფელ ბეჟათუბანში მთის თავზე აღმართულ ორ ლოდს, რომლებიც ფორმით ადამიანებს წააგავს. ლოდადქვეულ ნეფე-დედოფალს საკუთარი ქორწილის დღე ჩაშხამდათ, რადგან მტერმა არ აცალა სიძის მამას, ლევანს და თავად სიძეს, ფირანს, ბედნიერი დღით ტკობა. ეკლესია, რომელშიც ჯვარს იწერდა წყვილი, დაანგრია დაუძინებელმა მტერმა, რომელმაც არც სოფლის მოსახლეობა დაინდო. ფირანმა ხელში აიტაცა პატარძალი და ტყეში გაიქცა, მაგრამ მღევარი მას დაეწია. დედოფალმა ცისკენ აღაპყრო ხელები და ღმერთს სთხოვა ლოდად ქცევა. მისი ლოცვა ღმერთმა ისმინა და ახლად

დაქორწინებულები ქვებად გადაიქცნენ. მოსახლეობა ამ უტყვე ფიგურებს „ნეფესა“ და „დედოფალს“ ეძახის.

საკვანძო სიტყვები: ლეგენდა, ბეჟათუბანი, ნეფე, დედოფალი, მეტამორფოზი.

Key words: Legend, Bezhatubani, Bride, groom. metamorphosis.

HO, 1888, №1603, ი. ხონელი, „ქვად ქცეული მონაზონი“: ეკლესიის ეზოში ერთი ხე დგას და იმ ხის ძირას არის მოლურჯო შეფერილობის ლოდი. ოდესღაც ისე არ ჩაივლიდა 23 აპრილი, ზეციდან რომ არ ჩამობრძანებულიყო წმინდა გიორგი და ამ ეკლესიაში არ ელოცა ხონელებისათვის. მაგრამ ბებერი მონაზონი შეიპყრო იმ აზრმა, რომ რამენაირად ენახა წმინდანი. დაუდარაჯდა 23 აპრილის ღამეს ეკლესიაში და როდესაც გულმხურვალე ლოცვისას ხელი მოჰკიდა წმინდანის მოსასხამს, წმინდა გიორგი შემოუტრიალდა მას. მონაზონმა თავი იმით იმართლა, რომ ქალების ბუნება ცნობისმოყვარე იყო. თვით ევაც კი დაისაჯა იმის გამო, რომ ვაშლი იგემა. განრისხდა წმინდა გიორგი, რადგან ქალმა გაბედა და თავი იმით იმართლა, რომ გადაბრალება დაიწყო. წმინდანმა დატოვა ადგილი სამუდამოდ, ხოლო მონაზონი ლოდად გადაიქცა.

საკვანძო სიტყვები: ლეგენდა, მეტამორფოზი, ლოდი, წმინდა გიორგი, 23 აპრილი, ხონი.

Key words: Legend, metamorphosis, rock, St. George, 23rd of April, Khoni.

HO, 1888, №1413, 1420, ი. ხონელი, „სასწაულმოქმედი ჯვარი“: ხარაგაულში მთის წვერზე მდებარე ეკლესიაში იყო შემონახული ერთი ჯვარი, რომელსაც ასეთი ლეგენდა უკავშირდებოდა: ჯერ კიდევ არმაზის თაყვანისცემის პერიოდში ამ ადგილებში ცხოვრობდნენ მეგობრები: ლევანი და რევაზი. ლევანის ვაჟიშვილი გუჯასპირი და რევაზის ქალიშვილი გულთამზე ბავშვობიდან ერთად იზრდებოდნენ. მათ ერთმანეთი შეუყვარდათ. ამ სიყვარულის წინააღმდეგნი არც მათი ოჯახები იყვნენ. როცა ქვეყანაში საქადაგებლად შემოვიდა ანდრია, მოაქცია რევაზი. ლევანს აღარ უნდოდა მეგობრის დანახვა, მაგრამ მისმა ვაჟმა ვერაფრით გადააგდო გულიდან გულთამზეს სიყვარული. ბოლოს მან გადაწყვიტა, მისულიყო რევაზის ოჯახში და გამოეკითხა ახალი ღმერთის შესახებ. წასვლამდე მიწაში ჩაარტო ხისგან გამოთლილი ჯვარი და სთხოვა რევაზის ღმერთს, დაეცვა საქონელი მტაცებლისგან. უკან დაბრუნებულს სასწაული დახვდა: ჯვარი აყვავებულიყო, სიმაღლეში გაზრდილიყო, ხოლო საქონელი ისევე იწვა ადგილზე, როგორც დატოვა, მტაცებელი კი გარს შემორტყმოდა მოჭადროებული ჯვრის შუქით. იქვე იდგა მამამისი ლევანიც, რომელიც უსიტყვოდ მიხვდა ყველაფერს და აღიარა მეგობრის ღმერთი. გოჯასპირი და გულთამზე ბედნიერად ცხოვრობდნენ, ჯვრის ადგილას ეკლესია ააშენეს, შემდეგ ძველი ეკლესიის ადგილზე ადგილობრივებმა ახალი ეკლესია ააგეს, ჯვარმა კი ბინა ახალ ეკლესიაში დაიდო.

საკვანძო სიტყვები: ლეგენდა, ხარაგაული, აყვავებული ჯვარი, არმაზი.

Key words: legend, Kharagauli, the cross in blossom, Armazi.

HO, 1891, №2476, ი. ხონელი, „ყვავის საყდარი“: წერილის ავტორს ლეგენდა მოუთხრო ივანე ლუარსაბის ძე ამილახვარმა. თურმე სპარსეთიდან დაბრუნებულ გივი ამილახვარს მოუწადინებია სათემო ხოდაბუნის გაკეთება. როდესაც მკის დრო დადგა, თავადმა გაშალა კარავი და ბრძანა, გამასპინძლებოდნენ გლეხებს. დიდ ჭურჭელში იხარშებოდა წვნიანი. როდესაც სადილობის დრო მოახლოვდა, მზარეულმა შენიშნა ყვავი, რომელიც დასტრიალებდა ქვაბს. თავადს მოებზრდა ყვავის ცქერა, მომართა თოფი, მაგრამ სანამ დაუმიზნებდა, ყვავი პირდაპირ ოხშივარადენილ ქვაბში ჩავარდა. ვინლა გაეკარებოდა წვნიანს? გადმოამხეს ჭურჭელი მიწაზე და დაინახეს, რომ ვეებერთელა გველი გადმოვარდა. გივი ამილახვარმა პირჯვარი გადაიწერა, მან ყვავში უფლის ნიშანი ამოიციწო და ბრძანა, იმ ადგილას ეკლესია აღემართათ.

საკვანძო სიტყვები: ლეგენდა, ყვავი, ამილახვარი, გველი, ეკლესია.

Key words: legend, crow, Amilakhvari, snake.

HO, 1891, №2508, ი. ხონელი, „თამარი და კასპის ზღვა“: ლეგენდა მოგვითხრობს, რომ თამარის დედას ესიზმრა, თითქოს თამარის მამას დიდი ღლე აღარ ეწერა და მის ადგილს თამარი დაიკავებდა. ახლა სიზმარი. თამარის ზეობის ხანაში გადაიჭიმა ქვეყანა ღერბენდიდან ტრაპიზონამდე, კავკასიონიდან დამასკომდე. მხოლოდ კასპია არ ეპუებოდა თამარს. მას არ აკვირვებდა სიმდიდრე, რადგან თავის წიაღში ეგულებოდა თვალ-მარგალიტი. თამარმა გაილაშქრა მასზე და დაიმორჩილა, თუმცა სანამ წინააღმდეგობას უწევდა ზღვა, შავმა ნავთობმა ამოხეთქა მისი ფსკერიდან. თამარი არ შეშინდა და მაინც მოახერხა ზღვის დაოკება.

საკვანძო სიტყვები: ლეგენდა, თამარი, კასპის ზღვა, ნავთობი.

Key words: Legend, Tamar, Caspian sea, oil.

HO, 1889, №1968, ი. ხონელი, „განდეგილი“: წერილში ავტორი გვიყვება იმ ლეგენდის შესახებ, რომელიც გამოიყენა ილია ჭავჭავაძემ, თუმცა საგრძნობი სახეცვლილებით. ილიას პოემისგან განსხვავებით, ლეგენდაში აღწერილია საქმო, რომლის წევრებიც ასცდნენ საღვთო გზას და განიზრახეს განდეგილის დალუპვა, რომლის წმინდა წიგნების საფე აბგა სხივზე თავსდებოდა. ამისთვის ერთ-ერთი ბერი ჩავიდა გერგეთში და მოელაპარაკა ულამაზეს დორას, დახმარებოდა ბერის ცთუნებაში. დორამ განდეგილი მოატყუა, რომ გზაბნეული მონადირე იყო და ღამის გასათენებელი სთხოვა. სენაკში სივინროვე იყო და განდეგილმა გვერდით მოიწვინა მონადირედ გადაცმული ქალიშვილი. დილით დორას კვალს რომ ვერ მიაგნო, განდეგილს ბუნდოვნად გაახსენდა ღამის ამბები

და თავისი ცოდვილობის შესამონმებლად აბგა გადმოიღო. როდესაც სასწაული აღარ აღესრულა, მიატოვა სენაკი და აუყვა ყაზბეგის დათოვლილ გზას მწვერვალამდე. განდევილს მიეტევა ცოდვა და ზეცად ამაღლდა.

საკვანძო სიტყვები: ლეგენდა, ილია ჭავჭავაძე, განდევილი, დორა, ყაზბეგი, გერგეთი.

Key words: Legend, Iliа Chavchavadze, Hermit, Dora, Kazgebi, Gergeti.

HO, 1889, №1978, ი. ხონელი, „ამწუხა-ლეკი“: თქმულება გვიამბობს ამწუხა ლეკზე, რომელიც ერთ ღროს გზებზე ყაჩაღობდა. მას ჰყავდა ულამაზესი ცოლი ზულეიკა და შვიდი ვაჟკაცი. ზულეიკას თხოვნით მამამ შვილებთან ერთად ამაღა შექმნა. მაგრამ ერთ დღეს კომბლიანმა ყმანვილმა ამოხოცა ამწუხა-ლეკის შვიდივე ვაჟკაცი. ზულეიკა დარდისგან ჩაიკეტა და მალე მიიცვალა. ამწუხამ ქონება მოლას ქვრივ-ობლებისთვის დასარიგებლად მიაბარა, თვითონ კი კახეთის სოფლებში მათხოვრობით ირჩენდა თავს. ერიდებოდა მხოლოდ ნინიკას, რომლის დანახვისთანავე მოიკუნტებოდა და ლანდს ემსგავსებოდა.

საკვანძო სიტყვები: ამწუხა, ლეკი, ნინიკა.

Key words: Amtskha, Lezgin, Ninika.

HO, 1890, №2250, ი. ხონელი, „ორი ინგილოური ლეგენდა“: წერილი მოგვითხრობს ორ გადმოცემას ისტორიული ჰერეთის სოფელ ვარდუბანსა და ქერმუხის წმინდა გიორგის ეკლესიაზე. ვარდუბანის სახელი უკავშირდება ულამაზეს ქრისტიან ქალიშვილზე შეყვარებულ მუსლიმანი ყმანვილის თავგანწირვას. ეკლესიასთან ვერაფრით გაიყვანეს წყალი. შეყვარებული ყმანვილი სატრფოს მამას შეჰპირდა, რომ რაღაც არ უნდა დაჯდომოდა, არხს მდინარიდან მარტო გაიყვანდა ქალიშვილის ხელის თხოვნის სანაცვლოდ. როდესაც მშენებლობა სრულდებოდა, ქალიშვილის მამამ არ მოისურვა მუსლიმანი ახალგაზრდა სიძედ. მასთან მივიდა დედაბერი, რომლის რჩევითაც, სამი დღე პირუტყვს დააშორეს მონაგები, მერე კი ეზოში გამოუშვეს მშვირები. შეყვარებულ ყმანვილს დედაბერი შემოხვდა გზაზე, რომელმაც მოატყუა, რომ ეზოში ხმაური ქალიშვილის სიკვდილს უკავშირდებოდა. ყმანვილი თავზარდაცემული ადგილზე მოკვდა. მას მიჰყვა ქალიშვილიც და მათი დამაშორებელი დედაბერიც. ისინი ერთად დაკრძალეს, საფლავზე თეთრი და შავი ვარდი ამოვიდა, ხოლო დედაბრის საფლავზე, რომელიც მათ შორის დამარხეს, ნარ-ეკალი.

მეორე გადმოცემა ქერმუხის წმინდა გიორგის ეკლესიას უკავშირდება. მწყემსი, რომელიც ფარას მიერეკებოდა, წმინდანს დაჰპირდა, თუკი მისი ფეხსაცმელი გაზაფხულამდე არ გაცვდებოდა, საუკეთესო ცხვარს შესწირავდა ფარიდან უკანა გზაზე. საძოვრებზე წასული მწყემსი გაზაფხულამდე ისე ცუდად გახდა, ვერ დადიოდა და ფეხსაცმელიც ვერ გაცვითა. გაზაფხულზე, უკანა გზაზე გაახსენდა

პირობა და რწილი შესწირა ქურმუხის წმინდა გიორგის, როგორც ფარიდან საუკეთესო შესაწირავი. წმინდა გიორგიმ მწყემსი ადგილზე მოკლა.

საკვანძო სიტყვები: საინგილო, ვარდუბანი, ქურმუხი, წმინდა გიორგი, რელიგიური უპატივცემულობა.

Key words: Saingilo, Vardubani, Kurmukhi, St. George, blasphemy.

HO, 1890, №2256, ამ. აღ., „წერილები მთიდან – ქართული ლეგენდა“: ერთმა ქართველმა გუდამაყარში იპოვა ორი თვის გოგონა და გაზარდა. ისეთი ლამაზი დადგა ეს გოგო, რომ ყველას მისი ცოლად მოყვანა სურდა. შეუყვარდა ქალიშვილი წყლის ჭაღარა ბებერს, რომელმაც მდინარეში ჩაითრია ქალიშვილი. დამწუხრდა გამზრდელი. გარკვეული დროის შემდეგ მასთან მივიდა ერთი კაცი, მიუყვანა ახალშობილი ბიჭუნა და უთხრა, რომ ბავშვი მისი აღზრდილის შვილი იყო და დარდის გასაქარვებლად გამოუგზავნა მამობილს. გაიზარდა ბიჭი და შეუყვარდა ბებერ ჯადოქარს. ჯადოქარმა მდინარეში ჩააგდო ის. მან კი სიკვდილამდე რაღაც სიტყვები წარმოთქვა, რომელმაც ჯადოქარს მიწა გამოაცალა ფეხქვეშ და ისიც წყალში ჩავარდა. ბიჭის დედამ დაწყევლა ჯადოქარი, ვინაიდან მას სიკვდილი წყალქვეშ არ ეწერა. წყევლის თანახმად, მას ველარასოდეს უნდა ეხილა სინათლე. მდინარის წყალი მომენტალურად გაშავდა და ქართველები მას შავ მდინარეს უწოდებენ.

საკვანძო სიტყვები: ლეგენდა, გუდამაყარი, მდინარის ავსული, შავი მდინარე.

Key words: legend, Gudamakari, river deity, a black river.

K, 1852, №33, „ფელეტონი (ბორჯომის ხეობა)“: წერილის ავტორი, მას შემდეგ, რაც აღწერს ბორჯომის ხეობას, გვიყვება თქმულებას გოგიას ციხეზე და პეტერციხეზე. ოდესღაც ორი ძმა სამკვედრო-სასიცოცხლოდ გადაეკიდა ერთმანეთს. მიუხედავად შერიგების მცდელობისა, მათი სიტყვიერი კინკლაობა გადაიზარდა ჩხუბში და ბოლოს დანებით დახოცეს ერთმანეთი. მათთან ერთად ჩხუბში მონაწილე სამოცი აზნაურიც გამოესალმა სიცოცხლეს. ავტორი აღნიშნავს, რომ ხეობაში ორასამდე ისტორიული ნანგრევია. ეკლესიების უმეტესობის აგებას მიაწერენ თამარ მეფეს, რომელიც გარდაცვლილა ვარძიაში. გადმოცემების მიხედვით, მისი ცხედარი გადაუსვენებიათ გელათში. თუმცა იქვე შენიშნავს, რომ სვანური გადმოცემით თამარის საფლავი სვანეთშია.

საკვანძო სიტყვები: გოგიაციხე, პეტერციხე, თამარის საფლავი.

Key words: The castle of Gogia, The castle of Peter, The grave of Tamar.

K, 1846, №27, „დიკლო და შენაქო“: ჩანახატი ასახავს ლეკებისა და თუშების მტრულ მეგობრობას. მოქმედება ვითარდება 1838 წლის თებერვალში, მაშინ, როდესაც ლეკები შიმშილობდნენ, თუშებს კი მოსავლიანი წელი ჰქონდათ და მათი საქონელიც იგებდა. ლეკები, ალდამის მეთაურობით, თავს დაესხნენ

თუშებს, რომლებიც დიდოელებმა გააფრთხილეს. სისხლი რომ არ დაღვრილიყო, თუშებმა ამანათის სახით თექვსმეტი მძევალი გაუგზავნეს ლეკებს. მაგრამ ლეკებს სისხლი სწყუროდათ და მძევლები ალაჰს შესწირეს, რათა დაეცვათ რუსების შურისძიებისგან. ათი წლის ბიჭი, რომლის მამაც მძევალთა შორის იყო, ამ ყველაფერს კოშკის სარკმლიდან ხედავდა. მან ვერ მოითმინა, თოფი გაისროლა და მამის მკვლელს მოახვედრა. უსულო ლეკის ცხედარი თუში ბიჭის მამის ცხედარს დაეცა.

ეს ჩანახატი რუსული პროპაგანდის ნაწილია, სავარაუდოდ, გამოგონილია იმ მიზნით, რომ გაამართლოს რუსების სადამსჯელო ქმედებები კავკასიის მთიანეთში და, შესაძლოა, იმიტომაც, რომ გადაკიდოს ერთმანეთს ისედაც დაპირისპირებული ქართველური ტომები და ჩრდილოკავკასიელები, ნაცვლად იმისა, რომ არ გააღვივოს შუღლი.

საკვანძო სიტყვები: ლეკები, თუშები.

Key words: Lesgians, Tushetians.

K, 1846, №35, დ. ლისიცევი, „ტყვე თუშის მონათხრობი“: მოთხრობაში ტყვე თუში ყვება, როგორ გაატარა ლეკების ტყვეობაში დღეები. იბრაიმი მას კარგად ექცეოდა, არ აკლებდა საჭმელ-სასმელს, მიჩენილი ბინის სარკმლიდან ტკბებოდა სამშობლოს ჰორიზონტით. ტყვეობაში ყოფნისას გაიცნო ლამაზი ქალიშვილი, რომელიც ლეკებს კახეთიდან გაუტაციათ რამდენიმე წლის წინ. ეს ქალიშვილი, სახელად ქეთევანი, კახელი თავადის შვილი იყო და მას აღარდებდა მშობლებისა და მასთან ერთად გატაცებული პატარა ძმის ბედი. თუში ტყვისაგან შეიტყო, რომ მისი ძმა მშობლებს გაეთავისუფლებინათ. ქალიშვილი ტყვეს უამბობს ვინმე შეთეზე, რომელიც მოსვენებას არ აძლევს ლეკებს. ერთ-ერთი თამაშისას (ასე უწოდებს მოთხრობელი სპორტულ შეჯიბრებას, რომელიც კარგადაა აღწერილი მოთხრობაში) იბრაიმმა ტყვე თავისთან ერთად წაიყვანა მოედანზე, სადაც თუშმა თავი გამოიჩინა იარაღის სროლაში. ამის გამო ის წაართვეს იბრაიმს და გადაიყვანეს სხვა სოფელში ახალ პატრონთან უარეს პირობებში. იბრაიმმა შური იძია და ტყვე გაათავისუფლა. მისივე თხოვნით, გაათავისუფლა ქეთევანიც და ორივე დააბრუნა სამშობლოში. ტყვე თუშმა და იბრაიმმა შეინარჩუნეს მეგობრობა. როდესაც იბრაიმის სოფელი დაარბიეს, მან თავისი მეგობარი თუშის ოჯახს შეათარა და ცოლ-შვილით მასთან გადასახლდა.

საკვანძო სიტყვები: ტყვე, ლეკების მიერ გატაცებული ქეთევანი, შეთე, ლეკური თამაში.

Key words: captive, Ketevan kidnapped by lesgians, Shete, Lesgian game.

K, 1894, №188, ბერგი, „ერთი ბევრთავანი, კახური ლეგენდა“: ლეგენდა ლეკიანობის დროინდელია. კოტე ვაჩნაძის, მეტსახელად კოკოტას შვილები ლეკებმა მაშინ ამოხოცეს, როცა ის სპარსელებს ეომებოდა. ცოლი, გამოსასყიდის

იმედად, ლეკებს უნდა წაეყვანათ თან, მაგრამ ქალი ჯერ გაუძალიანდა, რის გამოც ცალი ხელი მოჰკვეთეს, მერე კი ქალმა მოახერხა და მოატყუა ამაოხრებლები, თითქოს სახლ-კართან დამშვიდობება უნდოდა. მან სისხლით კედელზე დაანწერა ქმრისთვის განკუთვნილი გზავნილი: „დაიცავი რწმენა, სამშობლო, ღირსება ისევე, როგორც მე დავიცავი“. როგორც ავტორი ამბობს, ეს წარწერა დღემდე იკითხება ნანგრევის კედელზე. ნანგრევი კი გალოობანის ხეობაშია. სქოლიოში ავტორი განმარტავს მეტსახელ კოკოტასაც, რომელიც ერთდროულად ვაჟკაცსაც აღნიშნავს და მომრგვალებულ სხეულსაც.

საკვანძო სიტყვები: ლეკიანობა, კოკოტა, კოტე ვაჩნაძე.

Key words: Lekianoba (kidnapping by Lezgians), Kokota, Kote Vachnadze.

K, 1856, რ. ერისთავი, „შეთე გულუხაიძე – თუში ბელადი“: შეთეს ამბები გორიდან ზაქათალამდე, დაღესტნიდან თბილისამდე გაუგონიათ, არადა, რა ძნელია, დაიმსახურო ვაჟკაცის სახელი კავკასიაში. წერილის მიზანი ნათელია – დაანახოს მკითხველს, რომ სჯობს ხალხი ხელისუფლების სამსახურში იდგეს და იღებდეს ამაში გასამრჯელოს. შეთეს მამამ, ზვიადმა, მოკლა ბიძამისი და თავი მუცოს შეათარა, სადაც გარდაიცვალა კიდევ. დარჩა მისი ცოლი საბედა ფეხიძემდე. ჩვილი ჩასვა ტყავის ჩანთაში და დაბრუნდა თავის დასთან, ნანებთან. შეთე დაობლდა და მისი აღზრდა დეიდამ ითავა, რომელსაც ძალიან უჭირდა. თოთხმეტი წლის შეთეს მამის სისხლი აპატიეს და ყმანვილს სანადიროდ გასვლის საშუალება მიეცა. იმდენად გაითქვა სახელი, რომ ბევრი მიათხოვებდა თავის ქალს. დეიდამ გიორგი ანთაიძის ქალიშვილზე მერცხალაზე დააქორწინა. დეიდის სიკვდილის მერე დატოვა მან გირევი და გადავიდა მამის სოფელ კუმელაურთაში. მანამდე შეთემ თავი მხოლოდ ნადირობით გამოიჩინა, ახლა კი მას მიეცა შესაძლებლობა, ლეკებთან ებრძოლა. იმდენად გულქვა იყო მტერთან, რომ დაანება ნადირობას თავი და ახლა დიდოელებზე გადავიდა. მას შემდეგ, რაც შეთეს კარზე მრავალი მოკლეულის მკლავი ააჭედეს, შეთე ბელადად იქცა. როდესაც მისი ოჯახი გაიზარდა, შეთე ხელისუფლების სამსახურში ჩადგა, რადგან მთის ყველა ბილიკი იცოდა. ასე ემსახურა სავარსამიძეს, სვარშს (შვარცს), ბერლადს (ბელგარდს), კვატკაცს (კვატკოვსკის), რის გამოც მრავალი ჯილდო მიიღო. შეთე გამდიდრდა, მისი ნახვა შამილსაც უნდოდა, მაგრამ იცოდა რა შეთემ, რომ იქ მას აკუნავდნენ, არ ეახლა, სამაგიროდ, შეთე წარუდგინეს ჩამოსულ იმპერატორს, რომლის დანახვამაც მას კანკალი აუტყდა. იმპერატორის კითხვაზე უპასუხა, რომ ლეკების არ შეშინებია, იმპერატორის კი ეშინია. შეთეს განუელი სამსახურისთვის რომ ჯილდოს ნაცვლად წოდება მიენიჭებინათ, ორმოცდაათი წლის ასაკში გენერალიც გახდებოდა.

საკვანძო სიტყვები: თუში ბელადი, შეთე გულუხაიძე, იმპერატორი, შამილი, მოჭრილი მარჯვენა.

Key words: The chief of Tushetians, Shete Gulukhaidze, Emperor, Shamil, cut hands.

K, 1857, №45, ი. გძელიევი, „გაქვავებული წყვილი (ქართული ლეგენდა)“: ძვილეთში ეკლესიის ნანგრევებია, ხოლო მის შესასვლელთან ორი ქვაა, რომლებიც ძალიან წააგავს ადამიანებს. ადგილობრივები ყვებიან ასეთ ამბავს: ოდესღაც სოფელში ცხოვრობდა ბარძიმი, რომლის სრულ ბედნიერებასაც მხოლოდ უშვილობა უშლიდა ხელს. ერთხელ კეკელამ სახლთან მოსული მათხოვრისათვის მონყალება გაიღო და გულში გაუელვა აზრმა, რომ ის უფლის გამოგზავნილი ანგელოზი იყო, ადამიანის გამოსაცდელად მისული. მართლაც, კეკელამ მეთხუთმეტე წლისთავზე გააჩინა ტყუპები. როდესაც ბავშვები ორი წლისანი იყვნენ, ეზოში შემოფრინდა ყვავი და დაინყო ჩხავილი, რაც ცუდად ენიშნა კეკელას. იმავე ღამეს მან ნახა სიზმარი, თითქოს დარბაზი ცეცხლში იყო გახვეული და ვერაფერი შველოდა. მეორე დღეს ტყუპის ცალი ბიჭი სადღაც დაიკარგა. გავიდა დრო და მეორე ბავშვი, მართა, ოცი წლის იყო, როდესაც ოსების მიერ გაყიდული და უცხო მხარეში გამდიდრებული ყმანვილი გამოჩნდა სოფელში. ახალგაზრდები დაქორწინდნენ. ეკლესიიდან გამოსვლისთანავე, მაყარს რომ მაყრული უნდა შემოეძახა, ისინი ქვებად გადაიქცნენ, მიზგი ღვთის რისხვა იყო, რადგან თურმე ისინი დედმამიშვილები ყოფილან.

საკვანძო სიტყვები: ქვად გადაქცევა, ყვავი, სიზმარი, უშვილობა, მაყრული.

Key words: transformation into stones, a crow, a dream, infertility, wedding song makruli.

K, 1860, №34, ნ. დუნკელ-ველინგი, „ყვავის ციხე (ქართული ლეგენდა)“: ძველ მცხეთასთან ახლოს, მდინარე არაგვის პირას ერთ მთაზე ძველისძველი ნანგრევებია, რომელსაც ადგილობრივები ყვავის ციხეს ეძახიან. არაჩვეულებრივი ხედები იშლება იქიდან – სამხრეთისკენ მცხეთაა, მცხეთის ტაძარში კი – მაცხოვრის კვართი, მცხეთის იქით – თბილისი; გაიხედავ სხვა მხარეს და რუსეთის სამეთო ჩანს, მთები და ყაზბეგი. ქვევით არაგვი მოედინება და ეხუტება მტკვარს; ზევით უკიდევანო ცაა, ოლონდ ყვავი აქ არ დაფრინავს. მამ რატომ უწოდეს ამ ციხესიმაგრეს ყვავის? სანამ ალა-მაჰმად-ხანი ააოხრებდა თბილისს. ამ ადგილს გუშაგები დარაჯობდნენ და იცავდნენ მოსახლეობას ოსების შემოსევისგან. გუშაგები თავადმა სიმონმა ჩააყენა, რომელიც ხალხს იმდენად უყვარდა, რომ მისი გულისთვის თავს ყველა განირავდა. თავადი შავი ფათახით, დიდებული ჩოხით და ოქრო-ვერცხლით მორთული ცხენით დაივლიდა შემოგარენს და გუშაგებს შეუვლიდა. მისი მოახლე ბიჭი მათ ღვინოს ჩამოუსხამდა მადლობის ნიშნად, თვალს რომ არ ხუჭავდნენ აბეზარი მეზობლისგან დასაცავად. თავადი სიმონი ყველაზე მეტად საკუთარ ქალიშვილ მაკრინეს უყვარდა. ვაჟიშვილი მამუკა კი ბავშვობიდან სისასტიკით გამოირჩეოდა: ბარტყებს უკორტნიდა თვალებს, კნუტებს ახრჩობდა, ქოლავდა ლეკვებს. სიმონის სიკვდილის შემდეგ მამუკამ გლეხებს ღალა და საბალახო გაუზარდა, მათ დასასჯელად კი შემოიღო ჯოხი და როზგი. მაკრინე ცდილობდა გლეხების დაცვას, მაგრამ ძმამ

ციხესიმაგრეები გამოამწყვდია. გათავებდნენ ოსები და ისევ იპარავდნენ საქონელს. ერთი წელი მაკრინე ციხიდან უყურებდა, როგორ აპრომებდა გლეხობას მისი ძმა. გობში, რომელშიც კერძი იხარშებოდა, ყვავები ცვიოდნენ. გლეხებმა ასეთი კერძი ზიზღით ვერ შეჭამეს და ძირს დააქციეს. ამ დროს გობიდან გველები ამოძვრნენ და შემოეხვივნენ მრისხანე თავადს. მაკრინემ ღმერთს შეჰფიცა: მონასტერში სიცოცხლის ბოლომდე დღედაღამ ძმისთვის ილოცებდა, თუკი ახლა გადაარჩენდა. ღმერთმა შეისმინა ვედრება და გველები ხმელ ტოტებად იქცნენ. მამუკა იმ დღიდან მამამისს დაემსგავსა, ცოდვების გამოსასყიდად სახლ-კარს გაეცალა. მაკრინე მონასტერში გარდაიცვალა სამოცდაათი წლის შემდეგ. მის დაკრძალვაზე თეთრწვერა მოხუცი გამოჩნდა, რომელიც ჩაეხუტა მიცვალებულს და ისიც იქვე აღესრულა. ყველა მიხვდა, რომ ეს მისი ძმა მამუკა იყო.

საკვანძო სიტყვები: ყვავის ციხე, თავადი სიმონი, მამუკა, მაკრინე, უფლის კვართი.

Key words: The castle of crows, Prince Simon, Mamuka, Makrine, Robe of Christ.

K, 1893, №244, მ. ჯ-შვილი, „გმირი-ტუსალი ამირანი“ (ამირანისფშაური ვერსია): ამირანის თქმულების ამ ჩანაწერს ახლავს რამდენიმე ლექსი, რომლებიც რუსულ ენაზეა. ერთი ლექსი „ამბრნი, უმბრნი და არაბნი“ ყამარის გაფრთხილებას, როდესაც მოტაცებულ ყამარს დედ-მამა უახლოვდება; მეორე ლექსს ამბობს მიცვალებული ამბრის დედა, როდესაც მას ამირანი ვერ დაეხმარება გარდაცვლილი შვილის ფეხის გასწორებაში. ეს კი გამოიწვევს ამირანის უძღურების მხილებას, გმირის დამწუხრებას და განმარტობას; მესამე ლექსით სრულდება თქმულება და ესაა ამირანის უმწეობით გახარებული დემონების გაფრთხილება, რომ დრო მოვა და აშვებული ამირანი მათაც დაერევა. ტექსტის მიხედვით, ამირანს ორი ძმა ჰყავს – ბადრი და უსუპი. ბადრი ქალივით ლამაზია, ხოლო უსუპი – ბროლის სასახლესა ჰგავს, განსხვავებით ამირანისგან, რომელიც შავი ღრუბელივითაა. ამირანს ერთი კბილი ოქროსი აქვს. ამირანის მამა სულკალმასია, ხოლო დედა – დარეჯანი, ამიტომ მას დარეჯანისძეს ეძახიან. სულკალმასის სიკვდილის შემდეგ დევებმა ოჯახს შევიწროება დაუწყეს და ისინი ჩაბალხეთში გადასახლდნენ, სადაც დარდისგან დარეჯანი გარდაიცვალა. ამასობაში ძმები გაიზარდნენ. ამირანი დილას ორ კამეჩს ჭამდა, საღამოს კი სამიჯ არ ყოფნიდა. ნათლია იესო ქრისტემ დაანათლა მთიდან დაცურებული მორის სისწრაფე, ზვავის სიმძლავრე, თორმეტი წყვილი ხარის სიძლიერე და მგლის მუხლი, თუმცა იმავდროულად – გაჭირვებული ბავშვობა და დაწყევლილი სიყმანვილე. თქმულება გვიყვება ამირანისა და მისი ძმების ცხრა მთის იქით მეთავე, ალგეთის მთაზე, ირემზე ნადრობის ამბავს; გარდაცვლილი ცამცუმის პოვნას; მისი მტერი დევის მოკვლევის ამბავს; დევის თავიდან გამომძვრალი სამი ჭის გველეშაპებად გადაქცევას. შავი დევისგან ამირანის გათავისუფლებას, ივრის დახმარებას,

ყამარის მოტაცებას, ყამარის მამის დამარცხებას, ამირანის ძმებისა და ამირანის სიკვდილს, მათ გაცოცხლებას, ამბრის დედის დაცინვას, ძალამომატებული ამირანის გაბუდაყებას, ქრისტესთან გაჯიბრებას, ამირანის მიჯაჭვას, მისი ქომაგი ყვავისა და ყვავის შვილი – ძაღლის ერთგულებას, მჭედლების დაუნდებლობას. ამირანის სასჯელის ვადა დიდ სამსჯავრომდებ. გათავისუფლებული ამირანი დაერევა იმ დევებს, რომლებიც მისი დამწყვედვის შემდეგ ისევ გალალდნენ.

საკვანძო სიტყვები: ამირანი, ბადრი, უსუპი, ყამარი, ცამცუმი, ნათლია იესო ქრისტე, ამბრი.

Key words: Amirani, Badri, Usupi, Kamari, Tsamtsumi, Godfather Jesus Christ, Ambri.

CMOMIK, 1894, №19, გვ. 141-154, „ქართული ლეგენდები“, ჩამწერი ქუთაისის სემინარიის მასწავლებელი შ. ლომინაძე, „ქრისტეს მოსვლა დედამიწაზე“: ლეგენდა ყვება სახარების ამბავს დამახინჯებულად ღვთისმშობელზე, ჰეროდებზე (იროდი), ჯვარცმამზე, მამლის ყივილზე. ქრისტეს დაბადება ასეა ახსნილი: ერთმა კაცმა ეშმაკს სული მიჰყიდა იმ დრომდე, ვიდრე უკვდავი არ მოკვდებოდა და უშობელი არ დაიბადებოდა. ეს დაწერა ქვაზე და ჩააგდო ზღვაში. ქრისტეს ჯვარცმისას სომეხმა ურჩია, ოთხი ლურსმანი გამოეყენებინათ რაზეც ქრისტემ თქვა: – მოვიდა სომეხი, მოიტანა სხვა მეხიო. ეს ლურსმნები მოიპარა მეგრელმა და ღმერთმა დალოცა მეგრელი. მაინც აცვეს ჯვარს. გახარებულმა ებრაელებმა მამალი მოსახარმად ჩააგდეს მდულარეში. როგორც ეს ვერ გაცოცხლდება, ისე ვერც იესო აღდგებაო. იესო აღდგა, მოძებნა ქვა, წაშალა ეშმაკის დაწერილი, ჩავიდა ჯოჯოხეთში, დაანგრია იქაურობა, მაგრამ ეშმაკების თხოვნა შეასრულა და ერთი კუთხე მათ დაუტოვა.

საკვანძო სიტყვები: ქრისტე, ეშმაკი, ებრაელი.

Key words: Christ, Satan, Jew.

CMOMIK, 1894, №19, გვ. 141-154, „ქართული ლეგენდები“, ჩამწერი ქუთაისის მასწავლებელი შ. ლომინაძე, „მღვდელი და ეშმაკი“: ერთ სამეფოში ძლიერი კაცი ცხოვრობდა, მაგრამ იმდენს ჭამდა, რომ არაფერი ყოფნიდა. მივიდა მეფესთან და სთხოვა, ან ისეთი კაცი მოეძებნა, ვინც მას დაამარცხებდა ან ერჩინა. მეფემ შეითარა ძლიერი კაცი, მაგრამ როცა მიხვდა, რომ გაჩანაგდა სამეფო, გადანყვიტა, მოეძებნათ მისი მომრევი. დაინახეს, მოდის ჯორზე ამხედრებული მღვდელი, როცა მიუახლოვდა მდინარეს, მოიკიდა ხიდი ზურგზე და გადავიდა მეორე ნაპირზე. სტაცეს ხელი და წაიყვანეს მეფესთან. გზაში კიდევ ერთი მდინარე შეხვდათ, მღვდლის ჯორი შეჩვეული იყო, რომ ხელით უნდა გადაეყვანათ, გაჯიუტდა და გადასვლისას ფეხი მოიტეხა. მღვდელი გაუნყრა მეფის გამოგზავნილებს, მაგრამ მათ ყველაფერი გადააბრალებს ეშმაკებს. ამაზე მღვდელი განრისხდა: – ეშმაკები რა შუაში არიანო?! გზაში მათ წამოეწიათ ბიჭი: – მე ვიჭიდავებო.

შევიდნენ სასახლეში, იჭიდავა ბიჭმა და მოერია ძლიერ კაცს. დაასაჩუქრეს მღვდელი, დაბრუნდნენ უკან და იმ ხილთან, სადაც ჯორმა ფეხი მოიტეხა, ბიჭმა მღვდელს უთხრა, დიდი მადლობა, რომ ეშმაკები დაიცავი, თორემ ადამიანები ხშირად მათ ადანაშაულებენო და ხიდის ქვეშ მიიშალა. თურმე ეს ბიჭი კი არა, თავად ეშმაკი იყო.

საკვანძო სიტყვები: ძლიერი კაცი, ეშმაკი, მღვდელი.

Key words: a strong man, a devil, a priest.

СМОМІІК, 1894, №19, გვ. 141-154, „ქართული ლეგენდები“, ჩამწერი ქუთაისის სასწავლებლის მოსწავლე კ. ნიჟარაძე, მთქმელი გრ. კვერნაძე და ი. დოლაბერიძე, ჩანერის ადგილი მაღლაკი, „ღარიბი და სიკვდილი“: ღარიბს შვილი შეეძინა და მდიდარი ნათლის მოსაძებნად გაემართა. ჯერ იესო შეხვდა და სამოსის გამო დაინუნა ნათლიად, მერე – წმინდა გიორგი, ბოლოს მდიდრულად გამოწყობილი სიკვდილი შეხვდა და ეს მოეწონა. სიკვდილმა ურჩია ღარიბს, ექიმობა დაეწყო, მხოლოდ იმ ავადმყოფებისთვის მოეკიდა ხელი, რომლების ფეხებთანაც სიკვდილი დადგებოდა, თავთან თუ დაუდგებოდა, მათთვის ხელი არ ეხლო. ასე გამდიდრდა ღარიბი კაცი. ბოლოს ისიც გახდა ავად და თავთან დაუდგა სიკვდილი. კაცმა სთხოვა, „მამაო ჩვენო“ სანამ არ ჩავამთავრებ, არ მომკლაო. დაიწყო და რამდენიმე სიტყვის მერე გაჩერდა. გავიდა ორი დღე და სიკვდილი სხვასთან წავიდა. ასე გავიდა ხუთი წელი, მერე სამი წელი. სიკვდილი ეკითხება, ასე გიჭირს ლოცვაო და კიო. სიკვდილმა მოიფიქრა და გააკეთა ოქროს კუბო, სახურავზე დაადო წერილი, კაცმა გახსნა წერილი და წაიკითხა: ანდერძი: მამაო ჩვენო და სრული ტექსტი. ისე გაიტაცა კითხვამ, რომ ვერ მიხვდა, როგორ მოატყუა სიკვდილმა.

საკვანძო სიტყვები: სიკვდილის მოტყუება, იესო, წმინდა გიორგი.

Key words: deceiving death, Jesus, St. George.

СМОМІІК, 1894, №19, გვ. 141-154, „ქართული ლეგენდები“, ჩამწერი ქუთაისის სასწავლებლის მოსწავლე კ. ნიჟარაძე, მთქმელი გრ. კვერნაძე და ი. დოლაბერიძე, ჩანერის ადგილი მაღლაკი, „ღარიბი და სოლომონ ბრძენი“: ღარიბი კაცი სოლომონ ბრძენმა მსახურად აიყვანა, სამი წლის შემდეგ სამი დარიგება მისცა და სახლში გაისტუმრა. თუ რამეს უცხოს აპოვიდა გზაზე, აეღო და სახლში წაეღო; ცოლისთვის საიდუმლო არ გაემხილა; არავისთვის არაფერი მიეცა უთხოვნელად. გზაზე დაინახა გველის ტყავი, აიღო და სახლში მიიტანა, მაგრამ შინ კი არ შეიტანა, ეზოში დააგდო. დილას იმ ადგილას ხე დახვდა, რომელსაც ძვირფასი თვლები გამოესხა. ამ დროს ჩამოიარეს ვაჭრებმა და ხის ყიდვა მოინდომეს. კაცმა უთხრა, თუ გამოიცინობთ, რისგან ამოვიდა ეს ხე, თქვენნი იყოსო და თუ ვერ გამოიცინობთ, თქვენი ავლადიდება ჩემი იყოსო. ვაჭრებმა ვერ გამოიცნეს და საქონელი მას დაუტოვეს, ამ საქონელში იყო ერთი ძვირფასი ღანა.

საიდან აღარ მოდიოდნენ ხის სანახავად და ეს კაციც უფრო და უფრო მდიდრდებოდა. ერთხელ ერთმა ახალგაზრდა ვაჭარმა იფიქრა, ამ კაცის ცოლს დავეტყუებ საიდუმლოსო. ვახშამზე ცოლმა გამოჰკითხა ქმარი და გაიგო საიდუმლო. იქვე დამალული იყო ვაჭარი, რომელმაც ყველაფერი გაიგო და მეორე დღეს, როდესაც კაცმა მასაც დაუსვა კითხვა, რისგან იყო ხე ამოსული, ვაჭარმა გასცა სწორი პასუხი. რაღას იზამდა კაცი, მას უკვე აღარ ეკუთვნოდა სიმდიდრის მომტანი ხე. სოლომონმა დაიბარა ეს კაცი და შეახსენა, რომ, მისი დარიგების თანახმად, ცოლისთვის არაფერი არ უნდა ეთქვა კაცს. სოლომონი დაპატიუებული მეზობელ მეფესთან სტუმრად. სოლომონმა თან ეს კაციც წაიყვანა. ვახშამზე დააკლდათ დანა. ამ კაცმა ამოიღო ვაჭრების დანა და მისცა. მეფემ იცნო დანა, რომელიც მას მოჰპარეს და დილეგში ჩააგდო კაცი. სოლომონმა ღამე ასწავლა კაცს, რა უნდა ეთქვა სასამართლოზე. დილით სასამართლოზე სოლომონის მიერ დარიგებულმა კაცმა თქვა: დიდი მადლობა, რომ ამ დანის ნამდვილი პატრონი მოიძებნა. ეს დანა ჩემთან ასე მოხვდა, მამაჩემი ვაჭარი იყო და სამი თვე რომ არ დაბრუნდა სახლში, მის საძებრად წავედი და ტყეში ვიპოვე, ყელში ეს დანა ჰქონდა გაყრილიო. ალბათ ეს დანა იმას, ეკუთვნოდა, ვინც მამაჩემი მოკლაო. გამოდის, რომ მეფე, რომელიც ამტკიცებს, თითქოს ეს დანა მისია, მამაჩემის მკვლელიაო. ასე გადაარჩინა მსახური სოლომონ ბრძენმა სიკვდილს.

საკვანძო სიტყვები: სოლომონ ბრძენი, ბრძნული დარიგება.

Key words: Solomon's wisdom, wise advice.

СМОМІІК, 1894, №19, გვ. 141-154, ქართული ლეგენდები, ჩამწერი პ. იაშვილი, მთქმელი ნ. იაშვილი, ჩანერის ადგილი ქუთაისი, „არ იმუშაო დღესასწაულზე“: ერთი გლეხი მიწას ამუშავებდა, დღესასწაული დგებოდა და არ დაანება თავი საქმეს. ბნელდებოდა და შვილს სთხოვა, ხარები ტყეში წაეყვანა. მგელმა მოიტაცა ბიჭი. იმ დღეს ვერ იპოვეს ბიჭი და ვერც მეორე დღეს. გლეხი ეკლესიაში შევიდა. გააგრძელა ძებნა. მდინარესთან დაინახა მოხუცი. ერთად განაგრძეს ძებნა. მიადგნენ მდიდარს და ღამის გასათენებელი სთხოვეს. ღამე მოხუცმა სასთუმალთან სახარება დადო. მეორე დღეს იმავე მდინარესთან მოხუცს გაახსენდა, რომ სახარება დარჩა მდიდრის სახლში. გლეხი წავიდა სახარების მოსატანად. დაინახა, რომ სახლი იწვის ცეცხლში. მაინც შევიდა, აიღო სახარება და მოუტანა მოხუცს. მოხუცმა უთხრა, სახლი იმიტომ იწვოდა, რომ დღესასწაულზე ააშენესო. მდინარეს გაუყვევი და შვილს იპოვი, მაგრამ დაიმახსოვრე, რომ დღესასწაულზე აღარ იმუშაოო.

საკვანძო სიტყვები: დღესასწაულზე მუშაობა, სახარება.

Key words: working on holidays, Gospel.

СМОМПК, 1894, №19, გვ. 141-154, ქართული ლეგენდები, ჩამწერი მასწავლებელი ი. სანაქოვეი, ჩანერის ადგილი ბარალეთი, „იესო ქრისტეზე, ილია წინასწარმეტყველზე და წმინდა გიორგიზე“: იესო ქრისტე, ილია წინასწარმეტყველი და წმინდა გიორგი გზაზე მიდიოდნენ. მოშივდათ და დაინახეს ფარა. ილია წინასწარმეტყველი მივიდა პატრონთან და ერთი ცხვარი სთხოვა, თუნდაც ნახევარი ფარა წაიღე, მაგრამ მითხარი, ვინ ხარო? როცა გაიგო, ვის აძლევდა ცხვარს, უთხრა, თავს გაგიტეხავდი, ღმერთის რომ არ მეშინოდესო, რადგან სეტყვა მიფუჭებს სანახებსო. ამის შემდეგ იესო მივიდა და ისიც ხელცარიელი გამობრუნდა, რადგან ცხვრის ფარის მეპატრონის სიტყვებით, იესო ახალგაზრდებს ლუპავდა მაშინ, როდესაც ამდენი მოხუცი ამძიმებდა მინას. წმინდა გიორგის წინაშე ფარის პატრონი მუხლებზე დაემხო და გაატანა ცხვარი. ივახშმეს და წასვლისას იესომ დალოცა მინა, ასი კოდა (ერთი კოდა სამი ფუთია) მოსავალი მოვიდესო. წმინდა გიორგიმ გადასცა ცხვრის პატრონს ეს სიტყვები. როდესაც ხორბალი ასაღებად მზად იყო, იესომ ილია გაგზავნა, სეტყვამ გაანადგუროს ხორბალიო, მაგრამ წმინდა გიორგიმ გაათრთხილა კაცი, რომელმაც გაყიდა მიწები. ეს რომ იესომ გაიგო, აღადგინა ხორბალი. მაგრამ წმინდა გიორგის ისევ გაფრთხილებული ჰყავდა კაცი და მან უკან დაიბრუნა გაყიდული მიწები, სანამ იესო ხორბალს აღადგენდა. ასე მოიწია კაცმა წმინდა გიორგის დახმარებით ასი კოდა მოსავალი.

საკვანძო სიტყვები: ილია წინასწარმეტყველი, წმინდა გიორგი, იესო.

Key words: Elijah prophet, Saint George, Jesus.

СМОМПК, 1894, №18, 61-90, ი. პეტროვი, მეგრული ზღაპრები (სტრიქონქეჟმ მინერული რუსული თარგმანით), „ცოლისა და ქმრის ზღაპარი“ (მთქმ. ი. გაბუნია, სოფ. ბანძა, სენაკის მაზრა): კაცს ჰყავდა ცოლი და პატარა ბიჭი. კვირას კაცი ეკლესიაში წავიდა წირვაზე. ცოლი სახლში დარჩა, ბიჭი კი ამხანაგებთან თამაშობდა. ცოლმა გაიგო, რომ ბიჭი მგელმა გაიტაცა და ყვირილი ატეხა. გააგებინეს ქმარს. „ჩემი ბედი იქნება, თუ ვიპოვიო“, მაგრამ არ შეწყვიტა ლოცვა. წირვის შემდეგ დაბრუნდა სახლში და ივახშმა, დასაძინებლად დანვა. მეორე დღეს ცოლს საგზალი გაამზადებნა და უთენია შვილის მოსაძებნად წავიდა. დაინახა მდინარეში ტივზე კაცი ზის. უამბო ამ კაცმა თავისი გასაჭირი: – გუშინ რატომ არ წამოხვედი მოსაძებნადო? – უფლის დღე იყო და იმიტომო. გაუდგნენ გზას და მიადგნენ ღამის გასათენებლად კაცს, რომელიც ყველაფერს უქმე ღღეებში აკეთებდა, მხოლოდ ერთი მორი ჰქონდა ჩვეულებრივ დღეს დადგმული. კაცმა იმ მორზე ჩამოკიდა მათრახი. მეორე დილას განაგრძეს გზა. ტყეში რომ შევიდნენ, კაცს გაახსენდა, რომ მათრახი დარჩა სახლში, ბიჭის მამა გაიქცა მოსატანად და რას ხედავ, სახლი ცეცხლშია გახვეული და მხოლოდ ის მორი, რომელზეც მათრახი ეკიდა, არ იწვის. ჩამოხსნა, მოუტანა კაცს და მოუყვა, რაც ნახა. „ეს იმიტომ, რომ სახლი დღესასწაულებზე ააშენესო, შენი ბიჭი კი ავერ იქ თამაშობსო“. გაიხედა კაცმა და

დაინახა თავისი ბიჭი, მგლებთან ერთად თამაშობდა. თურმე მას ღმერთი გაუნაწყენებია და ღმერთმა დასაჯა, მაგრამ, რადგან კაცი წირვას არ მოწყდა და კვირა უქმედ გაატარა, ამიტომ შვილი უკან დაუბრუნა.

საკვანძო სიტყვები: კვირადღე, მგელი, ღმერთი.

Key words: Sunday, a wolf, the God.

CMOMIK, 1894, №18, განყ. 3, გვ. 27-48, შ. ლომინაძე, მეგრული ზღაპრები – „ბოროტი ქმარი“: ერთი ბოროტი კაცი სულ ცემდა ცოლს, ბოლოს კი სახლიდანაც გააგდო. ქალი ერთი მდიდრის სახლში დადგა ბავშვის მომვლელად. ეს რომ მისმა ქმარმა შეიტყო, ღამე შეიპარა და ბავშვს ყელი გამოსჭრა. გაელვინა ქალს და ატეხა ყვირილი. წაიყვანეს ქალი ჩამოსახრჩობად. გზაზე ეკლესია უნდა გაევლოთ და ითხოვა შესვლა. ლოცვისას ცა გაიხსნა და ღვთისმშობელმა ყელგამოჭრილ ბავშვს პირჯვარი გადასწერა და გააცოცხლა. ბავშვმა მკვლელზე მიუთითა, რომელიც ჩამოახრჩეს, ქალი კი ისევ დააბრუნეს მდიდრის სახლში.

საკვანძო სიტყვები: ცუდი ქმარი, მართალი ცოლი.

Key words: a bad husband, an honest wife.

CMOMIK, 1894, №18, განყ. 3, გვ. 27-48, შ. ლომინაძე, მეგრული ზღაპრები – „რატომ არ ჭამენ ებრაელები ღორის ხორცს“: იესოსთან ერთი ებრაელი მეფე მივიდა: – რა სასწაულის მოხდენა შეგიძლია? – მე, – ეუბნება იესო, – წყალს გამოუადენ კლდიდანო. მეფემ: – მე ღვინის გამოდენაც შემიძლია მიწიდანო. იესომ შეასრულა სიტყვა. მეფემ დაარტყა მიწას და გადმოდინდა ღვინო. გაათხრევიან იესომ მიწა და ნახეს, რომ ტიკი ჩაედოთ წინასწარ. გაბრაზებულმა იესომ ებრაელთა მეფე ღორად გადააქცია. ამის შემდეგ ებრაელები ღორის ხორცს პირს არ აკარებენ.

საკვანძო სიტყვები: ღორის ხორცი, ებრაელი.

Ky words: pork, Jews.

CMOMIK, 1894, №18, განყ. 3, გვ. 27-48, შ. ლომინაძე, მეგრული ზღაპრები – „ძალღი და ადამიანი“: ძალღს ამხანაგი არ ჰყავდა და მარტოსული დანანწალებდა დედამინაზე. ერთხელ შეხვდა ტურა და გაუდგნენ გზას. დაინახეს მგლის ნაკვალევი, ტურამ თქვა, ამაზე ძლიერი არავინ არისო. დატოვა ძალღმა ტურა და გაუყვა კვალს. მიადგა მგელს: – ვინ ხარო? მე შენი მონა-მორჩილი ვარო. წავიდნენ ერთად და დაინახეს დათვის ნათეხურები. მგელმა თქვა: – ამაზე ძლიერი არავინ არისო. მიატოვა ძალღმა და გაუყვა ნათეხურებს. მიადგა დათვის: – ვინ ხარო? – მე შენი მონა-მორჩილი ვარო. წავიდნენ და დაინახეს ადამიანის ნაკვალევი. – ეს ვისიაო? – იკითხა ძალღმა. – ამაზე ძლიერი არავინ დადის დუნიაზეო. მიატოვა ძალღმა დათვი და წავიდა ადამიანთან და მას შემდეგ მასთან ცხოვრობს.

საკვანძო სიტყვები: ძაღლი.

Key words: a dog.

CMOMIIK, 1894, №18, განყ. 3, გვ. 27-48, შ. ლომინაძე, მეგრული ზღაპრები – „მეფე და მისი ვეზირი“: ერთი ვეზირი ერთგულად ემსახურებოდა თავის მეფეს. ერთხელაც მდინარის მეორე ნაპირზე დაინახა კაცი, რომელმაც აავსო ჭურჭელი წყლით, გადააქცია და თქვა, ასე დაიღვაროს ბატონის ერთგული მსახურის სისხლით; აავსო მეორედ ჭურჭელი, გადააქცია და დააყოლა: – ასე დაიღვაროს იმ ცოლის სისხლი, რომელიც ქმრის საიდუმლოს გათქვამსო. აავსო მესამედაც ჭურჭელი, გადააქცია და თქვა: – ასე დაიღვაროს იმ ბატონის სისხლი, რომელიც მსახურს ერთგულებას არ დაუფასებსო. ვეზირმა ამ სიტყვების შემონმება გადწყვიტა, მოიპარა მეფის ირემი, მოიყვანა სახლში და ცოლს უამბო, რაც გააკეთა. ვახშამზე ძროხა დაკლა. ცოლს ჰგონია, ირმის ხორცს ჭამს. მეფემ რომ შეიტყო ირმის დაკარგვის ამბავი, ბრძანა, ვინც გამიგებს ჩემი ირმის ამბავს, დავასაჩუქრებ, ქალი თუ იქნება, ცოლად მოვიყვანო. ეს რომ გაიგო ვეზირის ცოლმა, ეახლა მეფეს და დაასმინა ქმარი. სანამ სიკვდილით დასჯიდნენ, ვეზირმა სიტყვა სთხოვა მეფეს და უამბო, რაც თავს გადახდა. მეფემ აღარ დასაჯა სიკვდილით ვეზირი, მისი ცოლი კი ცხენის კუდს გამოაბა და ათრევიანა.

საკვანძო სიტყვები: ცოლის ღალატი.

Key words: betrayal of spouse.

CMOMIIK, 1894, №18, გვ. 229-410, „ჩანანერები ხალხური ფანტაზიიდან და ყოფიდან“ (ტიფლისის და ქუთაისის გუბერნიები): ჩანანერებში მოტანილია რამდენიმე ეტიოლოგიური გადმოცემა, თქმულება და ლეგენდა. გუგული: დედინაცვალს ორი გერი ჰყავდა. გერები ძროხას მწყემსავდნენ. ერთხელ ძროხა დაეკარგათ და დედინაცვალი დაემუქრა, რომ სანამ არ იპოვიდნენ, სახლში არ შემოუშვებდა. წმინდა გიორგის ბავშვები შეებრალა და გადააქცია გუგულებად, რომლებიც ახლაც გასძახებენ ხოლმე ერთმანეთს: – იპოვე? – ვერა.

საკვანძო სიტყვები: გუგული, დედინაცვალი, გერი, ძროხა.

Key words: Cuckoo, stepmother, stepchild, cow.

CMOMIIK, 1894, №18, გვ. 229-410, „ჩანანერები ხალხური ფანტაზიიდან და ყოფიდან“ (ტიფლისის და ქუთაისის გუბერნიები): ჩანანერებში მოტანილია რამდენიმე ეტიოლოგიური გადმოცემა, თქმულება და ლეგენდა. მოლალური: დედინაცვალმა სახლში არ შემოუშვა გერები, რომლებმაც დაკარგეს ძროხა. ღმერთმა ისინი მოლალურებად გადააქცია, რომლებიც ერთმანეთს ეძახიან: – ბიჭო, გოგია, იპოვენ? – ვერა, ვერა, ვერა.

საკვანძო სიტყვები: დედინაცვალი, მოლალური, ძროხა.

Key words: Stepmother, golden oriole, cow.

CMOMIIK, 1894, №18, გვ. 229-410, „ჩანაწერები ხალხური ფანტაზიიდან და ყოფიდან“ (ტიფლისის და ქუთაისის გუბერნიები): ჩანაწერებში მოტანილია რამდენიმე ეტიოლოგიური გადმოცემა, თქმულება და ლეგენდა. ოფოფი: დედინაცვალს თავისი ულამაზესი გერი სილამაზის გამო სძულდა. ერთხელ, როცა დედინაცვალი არ იყო სახლში. გერმა დაიბანა თავი, დავარცხნა რომ დაიწყო, შემოუსწრო დედინაცვალმა. შეშინებული გერი ოფოფად გადაიქცა, თმა აქოჩრილი დარჩა თავზე.

საკვანძო სიტყვები: ოფოფი, დედინაცვალი, გერი.

Key words: hoopoe, stepmother, stepchild.

CMOMIIK, 1894, №18, გვ. 229-410, „ჩანაწერები ხალხური ფანტაზიიდან და ყოფიდან“ (ტიფლისის და ქუთაისის გუბერნიები): ჩანაწერებში მოტანილია რამდენიმე ეტიოლოგიური გადმოცემა, თქმულება და ლეგენდა. ძერა: როცა ღმერთმა წყალი შექმნა, მხოლოდ ძერა არ გაეკარა მას. ამიტომაც ღმერთმა დასაჯა და მას შემდეგ ძერას მუდმივად წყურია და წყურვილის მოკვლა ცვრით შეუძლია. ზაფხულის ცხელ დღეებში ძერა გამოფრინდება კლდეებიდან და იძახის: მწყურია, მწყურია.

როდესაც ნოემ კილობნიდან გამოუშვა ძერა, ის უკან არ დაბრუნებულა. ნოემ ფრინველი დაწყევლა, ამიტომაც ძერას წყალი სისხლი ჰგონია და ვერ სვამს, რომ წყურვილი მოიკლას. აგვისტოში ისმის ძერას ხმა: მწყურია.

საკვანძო სიტყვები: ძერა, ღმერთი, ნოე, წყურვილი, აგვისტო.

Key words: Milvus, God, Noah, Thirst, August.

CMOMIIK, 1894, №18, გვ. 229-410, „ჩანაწერები ხალხური ფანტაზიიდან და ყოფიდან“ (ტიფლისის და ქუთაისის გუბერნიები): ჩანაწერებში მოტანილია რამდენიმე ეტიოლოგიური გადმოცემა, თქმულება და ლეგენდა. ჭინჭრაქა: ჭინჭრაქა პატარა ჩიტია, რომელსაც გულადმა ნოლა უყვარს. ერთხელ ჰკითხეს: – ასე რატომ წვები? – ცა რომ ჩამოვარდეს, ფეხებით უნდა დავიჭიროო.

საკვანძო სიტყვები: ჭინჭრაქა.

Key words: Chinchraka.

CMOMIIK, 1894, №18, გვ. 229-410, „ჩანაწერები ხალხური ფანტაზიიდან და ყოფიდან“ (ტიფლისის და ქუთაისის გუბერნიები): ჩანაწერებში მოტანილია რამდენიმე ეტიოლოგიური გადმოცემა, თქმულება და ლეგენდა. გოჭი: ოდესღაც ქრისტიანებიც არ ჭამდნენ ღორის ხორცს. მაგრამ, მას შემდეგ, რაც გოჭმა მიირბინა იმ ადგილას, სადაც წმინდა ბასილი ქადაგებდა, წმინდანმა აკურთხა იგი და აკრძალვა მოიხსნა. ამბობენ, რომ წმინდანმა დაადგა გოჭს ფეხი კუდზე და მას შემდეგ ღორებს აპრეხილი კუდები აქვთ.

საკვანძო სიტყვები: გოჭი, ღორის ხორცი, ქრისტიანები.

Key words: Piglet, pork, Christians.

CMOMIK, 1894, №18, გვ. 229-410, „ჩანაწერები ხალხური ფანტაზიიდან და ყოფიდან“ (ტიფლისის და ქუთაისის გუბერნიები): ჩანაწერებში მოტანილია რამდენიმე ეტიოლოგიური გადმოცემა, თქმულება და ლეგენდა. ირემი: სოხუმის ოლქის სოფელ ოკუმში არის წმინდა გიორგის ეკლესია. მას გარს აკრია კედელი, რომლის შიდა მხარე სულ ირმის რქებითაა მორთული. თურმე 22-დან 23 აპრილის ღამეს წმინდა გიორგის აქ მოჰყავდა ირემი, რომელსაც წირვის შემდეგ მრევლი მიირთმევდა, მის რქებს კი კედელზე კიდებდა. ერთხელაც ირემს მოსვლა დაავიანდა, ვილაცამ ჯოხი გადაუჭირა, რატომ დაავიანდა. წირვის დასრულებისთანავე მრევლმა ის მაინც მიირთვა და რქა ცარიელ ადგილზე მიაჭედა. ამის შემდეგ წმინდა გიორგიმ შეწყვიტა ირმის გამოგზავნა. ამ გადმოცემას ამატებენ, რომ ერთ თურქს ეჭვი შეპარვია წმინდა გიორგის მოვლენილ სასწაულში და უთქვამს: აბა, წმინდა გიორგიმ ჩემი შავლაქებიანი ხარიც მოიყვანოსო. რა თქმა უნდა, წმინდა გიორგის არ გასჭირვებია არც ეს სასწაული.

საკვანძო სიტყვები: სოფელ ოკუმი, წმინდა გიორგი, მრევლი, ირემი, რქა.

Key words: Village of Okum, St. George, Parish, Deer, Horn.

CMOMIK, 1894, №18, გვ. 229-410, „ჩანაწერები ხალხური ფანტაზიიდან და ყოფიდან“ (ტიფლისის და ქუთაისის გუბერნიები): ჩანაწერებში მოტანილია რამდენიმე ეტიოლოგიური გადმოცემა, თქმულება და ლეგენდა. ტბა ნიკორწმინდაში: ნიკორწმინდაში არის ერთი ტბა, რომელშიც გველი ცხოვრობდა. ამ გველმა მოიტაცა ქალიშვილი, წაიყვანა თავისთან და მასთან ცხოვრება დაიწყო. გველი ამ ქალიშვილის მხსნელიც იყო, რადგან მშობლებს მისი თანხმობის გარეშე გათხოვება უნდოდათ. ძმა დიდხანს ეძებდა დას და ბოლოს მიაგნო ტბის პირას, როდესაც ის უკვე ფეხმძიმედ იყო გველისგან. გველმა სატრფოს სამი ოქროს მონეტა აჩუქა. ეს მონეტები ადგილობრივი ეკლესიის ჯვარზე ჩამოკიდეს, რომელიც შემდეგ თურქებმა გაიტაცეს.

საკვანძო სიტყვები: ტბა, ნიკორწმინდა, გველი, ქალიშვილი, სატრფო.

Key words: Lake, Nikortsminda, snake, daughter, lass.

CMOMIK, 1894, №18, გვ. 229-410, „ჩანაწერები ხალხური ფანტაზიიდან და ყოფიდან“ (ტიფლისის და ქუთაისის გუბერნიები): მარტვილის ეკლესია – მარტვილის ეკლესიის ადგილზე ოდესღაც იდგა კერპი „კაპუნია“. ის იყო თუჩისაგან ჩამოსხმული ადამიანი და პირი ღია ჰქონდა. კერპი ჭყონზე (მუხა) იყო მიმაგრებული და მას ჭყონდარი ადამიანის მსხვერპლით უმასპინძლდებოდა. მუხა ანდრია პირველწოდებულმა მოჭრა და იმ ადგილას ჯვარი აღმართა. როცა მოსასვენებლად მიწვა, ანდრია პირველწოდებულს ბანძელებმა სანდალი მოპარეს.

საკვანძო სიტყვები: მარტვილი, ეკლესია, ანდრია პირველწოდებული.

Key words: Martvili, Church, Andrew the First Called.

CMOMIIK, 1894, №18, გვ. 229-410, „ჩანაწერები ხალხური ფანტაზიიდან და ყოფიდან“ (ტიფლისის და ქუთაისის გუბერნიები): ჰეროდემ, იუდეველთა მეფემ, თქვა, ღმერთი არ არის, მე ვარ ღმერთიო და დადგა გოდოლი, რომელიც წვერით თითქმის ცას წვდებოდა. ავიდა ჰეროდე გოდოლზე და იქიდან სროლა ატეხა, თან წყალს ასხამდა, თითქოს ჭექა-ქუხილი იყო და წვიმდა. შემდეგ ცას მტვრევა დაუნყო. ღმერთმა გამოუგზავნა კოჭუნია (ხოჭო), რომელიც ცხვირის ნესტოში შეუძვრა და ცემინება აატეხინა. სამი დაცემინების შემდეგ ჰეროდე მოკვდა. ღმერთმა მეხი დაატეხა გოდოლს და დაანგრია, ქვები კი მთელ ქვეყანაზე მიმოაბნია.

საკვანძო სიტყვები: ჰეროდე.

Key words: Herod.

CMOMIIK, 1894, №18, გვ. 229-410, „ჩანაწერები ხალხური ფანტაზიიდან და ყოფიდან“ (ტიფლისის და ქუთაისის გუბერნიები): კეისარი – ქრისტემ, სანამ ზეცაში ამაღლდებოდა, დატოვა კეისარი. მაგრამ ამ კეისარმა ცუდად დაიწყო მოქცევა. ეს მაშინ დამტკიცდა, როდესაც კეისრის შესვლის შემდეგ ეკლესიის კარიბჭე კლდედ გადაიქცა. კეისარი დარჩა დალუქულ ეკლესიაში. ოდესმე დადგება დღე, როცა კეისარი გამოვა გარეთ და გამეფდება ქვეყანაზე.

საკვანძო სიტყვები: კეისარი, ქრისტე.

Key words: Caesar, Christ.

CMOMIIK, 1894, №18, გვ. 229-410, „ჩანაწერები ხალხური ფანტაზიიდან და ყოფიდან“ (ტიფლისის და ქუთაისის გუბერნიები): ანტიქრისტე ლამაზია, მაგრამ მინის ფეხები და რკინის კლანჭები აქვს.

საკვანძო სიტყვები: ანტიქრისტე.

Key words: Antichrist.

CMOMIIK, 1894, №18, გვ. 229-410, „ჩანაწერები ხალხური ფანტაზიიდან და ყოფიდან“ (ტიფლისის და ქუთაისის გუბერნიები): ბაგრატი – დედოფალ თამარს ერთი მეფისგან შვილი შეეძინა, სირცხვილის დასამალად ბავშვი ტყეში დატოვეს. დედამ ნეკი მოაჭრა ბავშვს. სამი დღის შემდეგ დედა ტყეში გაბრუნდა, რომ დაეხედა, რა დაემართა მის შვილს. დაინახა, რომ ბავშვს ფურირემი აწოვებს რძეს. ასე გაგრძელდა, სანამ ბიჭი არ გაიზარდა. დადგა ულამაზესი ჭაბუკი, მასზე ხმამ მეფის ყურამდევს მიაღწია. მეფემ მოინდომა ფურირემის გაზრდილი ლამაზი ჭაბუკის ნახვა, სასახლეში დედამ შენიშნა, რომ ჭაბუკს ნეკა თითო არ ჰქონდა. ეს ჭაბუკი იყო სახელგანთქმული ბაგრატი.

საკვანძო სიტყვები: ბაგრატი, დედოფალი თამარი, მეფე.

Key words: Bagrati, Queen Tamar, King.

CMOMIIK, 1894, №18, გვ. 229-410, „ჩანაწერები ხალხური ფანტაზიიდან და ყოფიდან“ (ტიფლისის და ქუთაისის გუბერნიები): ზოვრეთის ეკლესია – მძინარე დედოფალი და უფლისწული: მეფე მტერთან ბრძოლაში დაიღუპა. მისი ცოლი სადღაც მიიმალა შვილთან ერთად. ერთხელ ერთ გლეხს დაესიზმრა დედოფალი, რომელმაც თავისი ადგილსამყოფელი გაუმხილა, მაგრამ გააფრთხილა, რომ რამეს თუ დაუშავებდა, ქვეყანას უბედურება არ ასცდებოდა. მივიდა გლეხი კლდეში გამოკვეთილ ეკლესიასთან, რომლის წინაც უფსკრული იყო. კლდეზე მიდგმული იყო კიბე, რომელსაც საფეხურები არ ჰქონდა, მაგრამ ქვევით იყო ყუთი. ჩაჯდა გლეხი ამ ყუთში და რაღაც ძალამ გვევით აიყვანა. შევიდა კლდეში, რომელიც შიგნიდან ოქროთი იყო მოპირკეთებული. შუაში იყო კუბო და შიგნით იწვა დედოფალი, თავთან და ფეხებთან ესხდნენ მონაზვნები. გავიდა გლეხი მეორე ოთახში, რომელიც ძვირფასი ქვებით იყო მორთული. ბოლოს მიაღვა თუჯის ოთახს. შუაში ძევს ქადა (რუსულად ჩურეკი) და რაღაც ხმამ უბრძანას, შეეჭამა ეს ქადა. მაგრამ ქადა იმდენად მაგარი იყო, რომ გლეხმა ვერაფრით ვერ გაჭრა. უეცრად ქადა თავისით გადატყდა შუაზე. გლეხმა სახლში წამოიღო და ზოვრეთის ეკლესიას შესწირა.

საკვანძო სიტყვები: ზოვრეთის ეკლესია, მეფე, კუბო, დედოფალი.

Key words: Zovreti Church, King, Coffin, Queen.

CMOMIIK, 1894, №18, გვ. 229-410, „ჩანაწერები ხალხური ფანტაზიიდან და ყოფიდან“ (ტიფლისის და ქუთაისის გუბერნიები): ტბა დუშეთში – დუშეთის მახლობლად ერთი ტბაა ლერწმებით შემოსაზღვრული, ამ ტბის წყალი ბროლივით წმინდაა. ნათელ მზიან დღეს მთიდან მოჩანს ამ ტბის ფსკერზე ოქროს აკვანი, რომელშიც დედოფლის შვილია. აკვანი ყვაფილებითაა გარშემორტყმული და დედოფლის ცრემლით არის სავსე.

საკვანძო სიტყვები: დუშეთი, ტბა, ოქროს აკვანი, დედოფალი.

Key words: Dusheti, Lake, Golden Cradle, Queen.

CMOMIIK, 1896, №21, ნან. 2, გვ. 88-96, ზღაპრები, რომლებიც ჩაინერეს ამიერკავკასიის სემინარიის აღსაზრდელებმა, ჩამწ. ალ. ციციგი, მთქმ. ს. გულისაშვილი, გორი, „თქმულება – ცხენისწყლის სახელის შესახებ“: მერვე საუკუნეში, როდესაც არაბები გაბატონდნენ აღმოსავლეთ საქართველოში, მეფე არჩილი დასავლეთში გადმოვიდა თავისი ლაშქრით და მდინარის ნაპირზე დაიღო ბინა – თვითონ და მისი ლაშქარი – შემალღებულზე, ძველი ციხის ნანგრევებთან, ხოლო ცხენები – მდინარის მახლობლად. ლოცულობდა არჩილი და ევედრებოდა ღმერთს დახმარებოდა მურვანის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ღმერთმა, რომლის გამოც ოცი წლის შემდეგ ეწამა არჩილი, შეისმინა ლოცვა. მეორე დღეს ისეთი წვიმა მოვიდა, რომ მდინარე გადმოვიდა ნაპირებიდან და ირგვლივ ყველაფერი წალეკა მისმა ზვირთებმა, აღარცერთი ცხენი არ გადაურჩა ადიდებულ წყალს. დილას მურვანმა აიკრა გუდა-ნაბადი და დატოვა საქართველო. ადგილობრივებმა მდინარეს ცხენისწყალი შეარქვეს.

საკვანძო სიტყვები: მურვანი, არჩილ მეფე, ცხენისწყალი.

Key words: Murvan the deaf, the King Archil, river Tskhenistskali.

СМОИИК, 1896, N21, ნან. 2, გვ. 88-96, ზღაპრები, რომლებიც ჩაიწერეს ამიერკავკასიის სემინარიის აღსაზრდელებმა, ალ. ბაბიევი, სოფ. ალვანი, თიანეთის მაზრა, ტიფლისის გუბერნია, „თქმულება – თუშების ალვანში დასახლებაზე“: თურმე თუშები ადრე მთაში ცხოვრობდნენ, მოჰყავდათ ქერი, მაგრამ მარილისთვის კახეთში ჩამოდიოდნენ. ალვანი თათრებს ეკავათ. მარილზე ბარში ჩამოსული თუშები რომ დაინახეს, თათრებმა ამოხოცეს ისინი. ეს რომ გაიგეს დანარჩენმა თუშებმა, შეკრიბეს ლაშქარი და დილოიძის მეთაურობით პანკისის ველზე დაბანაკდნენ. ღამით თავიანთ ცხენებს ნალები შეუტრიალეს, თვითონ კი ტყეში დაიმაღლნენ. დილით თათრებმა ცხენის ნაკვალევი რომ შენიშნეს, გაჰყვნენ კვალს. როდესაც ნაქერალას მიუახლოვდნენ, თუშები ტყიდან გამოვიდნენ და მუსრი გაავლეს თათრებს. ამის შემდეგ თუშებმა სოფელში დარჩენილებიც არ დაინდეს და ამოხოცეს. ვინც გადარჩა, იმათ პირობა ჩამოართვეს, რომ ალვანიდან აიყრებოდნენ და შორს გადაიხვეწებოდნენ. რამდენიმე ხანში თუშები თვითონ ჩამოვიდნენ ალვანში და იქ დაიდეს ბინა.

საკვანძო სიტყვები: თუშები, მარილი, პანკისი, თათრები.

Key words: Tushetians, salt, Pankisi, Tatars.

ЭО, 1891, №4, გვ. 187, ა. ხახანოვი (ალ. ხახანაშვილი), „ქართული ვერსია თქმულებისა პოლიკარტეს ბეჭედზე“: აქ მოთხრობილია ამბავი მეფისა და ოქრომჭედლის შესახებ. ოქრომჭედელს, თურმე, ასეთი ჩვეულება ჰქონია, რომ მეფის შეკითხვებზე სულ ერთი და იგივე ეპასუხა: „მართალ კაცს ღმერთი გადაარჩენს“. მეფემ ერთხელაც გადანყვიტა ამ ჩვეულებისთვის გადაეჩვია და ასეთი ხრიკი მოუწყო: ვეზირს უბრძანა ოქრომჭედლისთვის ბრილიანტი მოეპარა, თუკი მის დაბრუნებას ოქრომჭედელი ვერ შეძლებდა, იგი იძულებული იქნებოდა ამ სიტყვებს გადასჩვეოდა ან თავს მოკვეთდნენ. საბოლოოდ, მოხდა ისე, რომ მეფემ თავადაც ირწმუნა ამ სიტყვების ძალა და შემდეგ თავადაც მუდამ ამ სიტყვებს იმეორებდა.

საკვანძო სიტყვები: მეფე და ოქრომჭედელი, თქმულება, ბრილიანტი.

Key words: King and the goldsmith, folk-tale, diamond.

ՅՕ, 1898, №4, გვ. 136-140, ა. ხახანოვი (ხახანაშვილი), „ქართული ლეგენდებიდან (1. სოლომონის სიბრძნე, 2. ახალი ვერსია თამარ მეფის თქმულების შესახებ)“: ლეგენდა ჩანერილია ქიზიყში ნიკოლოზ მაჩაღდაძის მიერ. ლეგენდა გვიყვება იერუსალიმელ ვაჭარ პაკობზე, რომელმაც ერთი გამყიდველი ქალისაგან მოხარული კვერცხი იყიდა, თუმცა საფასურის გადახდა კი დაავინწყდა. ეს როცა გაახსენდა, პირობა დადო, რომ ფულს პროცენტით დაუბრუნებდა. დაბრუნებული ასეც მოიქცა. ქალმა განაცხადა, რომ მას ბევრად მეტი ეკუთვნოდა და სასამართლოში უჩივლა. საბოლოოდ, ლეგენდა გვამცნობს სოლომონის ბრძნულ გადაწყვეტილებას, რომლითაც იგი ვაჭრის სასამართლოზე წარსდგა და იგი გაკოტრებისგან გადაარჩინა. ლეგენდა მთავრდება მორალით: „სიმართლე მზეზე უფრო კაშკაშაა.“

მეორე ლეგენდა, თამარ მეფის შესახებ, რომელიც, როგორც ავტორი ამბობს, ცნობილი იყო „ზეციური სილამაზითა და დემონური მზაკვრობით“. ლეგენდა, რომელიც ავტორს ჩაუწერია დარიალის ხეობაში რუსი მეეტლისაგან, გვიყვება ორი ღის შესახებ, ორივეს თამარი ერქვა. მათგან ერთი კეთილი იყო, რომელიც ანანურთან სახლობდა, ხოლო მეორე – ბოროტი ჯადოქარი, რომელიც თერგთან ცხოვრობდა. მისი მოკვლა, თურმე, ერთ რუს მეეტლეს მოუხერხებია. ავტორი ამბობს, რომ ლეგენდა ავლენს მსგავსებას ლერმონტოვის ლექსში გამოყენებულ გადმოცემასთან. ლეგენდა საყურადღებოა თამარის ორსახოვნების გამოვლენის გამო.

საკვანძო სიტყვები: თამარ მეფე, ლეგენდა, ორსახოვნება.

Key words: King Tamar, legend, duality.

ՅՕ, 1902, №4, გვ. 115, ა. ხახანოვი (ალ. ხახანაშვილი), „წინასწარმეტყველი ილია ხარაზი“: იყო ერთი წმინდა კაცი, ილია წინასწარმეტყველი, რომელიც პროფესიით ხარაზი იყო. ილია განდევილივით წმინდად ცხოვრობდა, განრიდებული ყოველგვარ საცდურს. ერთხელაც ეშმაკმა გადანყვიტა იგი ეცდუნებინა და ქალის სახით მოეველინა. შიშველი სხეულის უნებურად დანახვით შეწუხებულმა ილიამ, თვალები დაითხარა და გოლგოთაზე წავიდა, სადაც მრავალი წელი ეწამებოდა. შემდეგ ღმერთს მოახსენეს მისი ამბავი, უფალმა კი მას შეუნდო და ზეცად აიყვანა. ლეგენდა ასევე გვპასუხობს იმაზე, თუ რატომ მიაჩნიათ ხარაზებს ეს პროფესია ილია წინასწარმეტყველისაგან წამოსული.

საკვანძო სიტყვები: ილია წინასწარმეტყველი, ხარაზი, ლეგენდა.

Key words: Ilia the Prophet, cobbler, legend.

ՅՕ, 1903, №1, გვ. 111- 112, ა. ხახანოვი, „ქართული სასულიერო ლექსები, ცნობები იმქვეყნიდან“ (სიმღერები, ჩანერილი თუშებში ივანე გომელაურის მიერ): ეს ფოლკლორული ჩანანერი მოგვითხრობს იმქვეყნიურ მოგზაურობაზე, სადაც მოგზაურნი იხილავენ ჯოჯოხეთური ტანჯვის სხვადასხვა სახეს. აქ ორი პერსონაჟი

მეგობრის სულის გადასარჩენად არის იმქვეყნად წასული, რომლებიც შემდეგ გადმოსცემენ იქაურ ამბებს. გზად ერთ-ერთის საპატარძლო და დები შემოხვდებიან. შემდეგ ასევე იხილავენ, თუ როგორ იტანჯებიან მშობლების უპატიოდ მომპყრობი, მეგობრის მოლალატე, ასევე – ხარისა და გუთნის მოლალატე. აქ ერთი მართალი კაცის ამბავიცაა გადმოცემული, თუ როგორ აჯილდოვებს ქრისტე მას სიკეთის კეთებისთვის: სამოთხეში გვერდით დაიყენებს, თავთან სანთელი უნთია, ფეხებთან კრავი ჰყავს, ხელთ კი ორ ჭიქას მისცემენ მარად უღვევი ვარდის წყლით, რათა სვას, ჭამოს და განიბანოს.

საკვანძო სიტყვები: იმქვეყნიური ყოფა, განკითხვა, სასჯელი.

Key words: life after death, judgement, punishment.

ՅՕ, 1909, № 2-3, გვ. 175, 176, ა. ხახანოვი, „ქვის ურემი“ (ლეგენდა, ჩანერილი ახალქალაქის მაზრაში): ლეგენდა მოგვითხრობს იმ დროზე, „როცა ურჯულონი დათარეშობდნენ ჩვენს უბედურ ქვეყანაში“: უფროსებს ხოცავდნენ, პატარები კი ტყვედ მიჰყავდათ. სწორედ ამგვარად ტყვედ ჩავარდნილ და-ძმაზე მოგვითხრობს ეს ლეგენდა. ვარძიიდან იყო ერთი და-ძმა, რომელნიც შემდეგ ერთ დასახლებაში მოხვდნენ ტყვედ. ერთხელ და-ძმა შემოხვევით შეხვდა ერთმანეთს. ლაპარაკ-ლაპარაკით აღმოაჩინეს, რომ და-ძმანი იყვნენ. ღამე იქვე ურემზე ჩაეძინათ. დილით, რომ გამოიღვიძეს, ირემი ვარძიასთან ახლოს ყოფილა გაჩერებული. ღამით, როცა და-ძმას დაუძინია, ურემი, თურმე, თვითონ დაძრულა. ასე აღმოჩენილან ვარძიაში. და-ძმა სიხარულით ცას ეწია. იქ მყოფმა მოღვსასწაულეებმაც იხილეს ეს სასწაული. ეს ურემი დღესაც დგას იქ, დიდი კლდის შვერილზე.

საკვანძო სიტყვები: და-ძმა, ტყვეები, ლეგენდა, ვარძია.

Key words: siblings, slaves, legend, Vardzia.

K, 1879, №50, გვ. 1, ვ. უელიხოვსკაია, „ლეგენდა ქვის პატარძალზე“ (ნაწყვეტი მოთხრობიდან «თამარა»): ლეგენდა მოგვითხრობს ერთ მანგლისელ ღვთისმომშიმ ქალწულზე, რომელსაც მშობლები ძალით უპირებდნენ გათხოვებას. ქალი უარზე იდგა, ამიტომ მოსაფიქრებლად სამი დღე მისცეს. მთელი სამი დღე ქალწული ლოცულობდა, ქორწილის დღეს კი ეკლესიის კართან სასწაული მოხდა: გოგონა ქვის ჯვრად გადაიქცა. უცებ ქარიშხალი ამოვარდა და წვიმა დაიწყო. რამდენიმე დღე გადაუღებლად წვიმდა. სოფლის მაცხოვრებლები მიხვდნენ, რომ ეს ქვის პატარძალი იყო, რომელიც საუკუნო სიმშვიდეს ითხოვდა. ხალხმა ჯვარი მიწაზე დაუშვა და წვიმებიც შეწყდა. მანგლისის მიდამოებში ხალხს სწამს, რომ ყვითელ მთაზე მდგარ ჯვარს, თუკი შესთხოვენ ამინდს, ის აუცილებლად დაეხმარება მათ: თუკი ზაფხული წვიმიანია, ჯვარს დაბლა დაუშვებენ და წვიმა შეწყდება; თუკი გვალვიანი, მას ქვებზე შემოდგამენ და წვიმა წამოვა.

საკვანძო სიტყვები: მანგლისი, ლეგენდა, ქვის პატარძალი, ქვის ჯვარი, ამინდი.

Key words: Manglisi, legend, rock bride, rock cross, weather.

ЖМНП, 1893, ნან. 288, გვ. 94-103, ვს. მილერი, „აპოკრიფთა გამოძახილი კავკასიურ ხალხურ თქმულებებში“: ავტორი აღნიშნავს, რომ აპოკრიფული ლიტერატურის შესწავლა საქართველოსა და სომხეთში ახლახანს დაიწყო. ავტორი სტატიამი სხვადასხვა კონკრეტულ მოტივს კავკასიური თქმულებებისას უკავშირებს თალმუდური და ქრისტიანული აპოკრიფების მოტივებს. ასეთია თქმულება ნართი ბარტაძის გარდაცვალების შესახებ, რომელშიც იკითხება ღვთის ცრემლებიდან მიქაელ-გაბრიელის შექმნის მოტივი. ეს მოტივი არის ასევე ქართულ ლეგენდაში სამყაროს შექმნის შესახებ. აგრეთვე ბარტაძის ეს ამბავი ჰგავს მოსეს გარდაცვალების ამბავს, რომელიც ცნობილია თალმუდური აპოკრიფებიდან. ავტორი ასკვნის, რომ ეს ყოველივე მიგვითითებს ამ აპოკრიფის სომხურ ან ქართულ ხელნაწერებში არსებობაზე. ამირანის სიკვდილის ქართულ თქმულებაში ვხვდებით ღვთის მიერ ყვავისა და მტრედის გამოგზავნის მოტივს. ცნობილი მოტივია ასევე ადამის გიგანტური თავის ქალის ჰოვნის ამბავი. ნართულ თქმულებებში ასევე ვხვდებით მკვდარი ღედისგან ბავშვის დაბადების მოტივს, რომელიც უკავშირდება ძველალექსიურულ აპოკრიფულ ამბავს. ამირანის აკვნით მიტოვებას ავტორი უკავშირებს მოსეს ჩვილობის ამბავს. ნართი ბარტაძის ცეცხლში ჩაგდების ამბავი კი შედარებულია აბრაამის მსგავს ისტორიასთან. ავტორი იმედოვნებს, რომ არმენისტები და იბერისტები მთელს ამ საკითხს ყურადღებას მიაქცევენ და შეისწავლიან.

საკვანძო სიტყვები: აპოკრიფები, თქმულებები, ნართები, ოსური, ქართული, სომხური, კავკასიური.

Key words: Apocripha, legends, Nart sagas, Osetian, Georgian, Armenian, Caucasian.

СМОНП, № 13, განყ. II, გვ. 71-74, ფ. მგელაძე, „გურული ლეგენდები“: სტატიამი მოხმობილი ლეგენდები ნაამბობია ამიერკავკასიის სასწავლო სემინარიის სტუდენტის – ფ. მგელაძის – მიერ. აქ არის ორი გურული ლეგენდა: „პალიასტომის შესახებ“ და „ბერის შესახებ“. პირველი მათგანი გვიამბობს, თითქოს, ტბა პალიასტომის ადგილას ქალაქი არსებულა. ამ ქალაქის მკვიდრნი ისე გაუკულმართებულან, რომ ეკლესიაში ცხენებით დადიოდნენ. ღმერთმა ისინი გონს რომ ვერ მოაგო, გადაწყვიტა ქალაქისთვის წარღვნა მოეწლინა. მან მხოლოდ ერთი მართალი კაცი – კიკო, გადაარჩინა, რომელსაც ღვთისმშობლის ხატი გაატანა სოფელ შემოქმედში. სამი თვის შემდეგ კი კვლავ გამოეცხადა და დაავალა, ხატი სოფელ ბახვში გადაესვენებინა.

მეორე ლეგენდა გვიამბობს ბერზე, რომელმაც სახარების სიტყვები: „რასაც რწმენით შესთხოვ ღმერთს, აგისრულდება“ – გამოსცადა და ხელმწიფის სიძეობა

გადაწყვიტა. მეფემ სანაცვლოდ ზღვაში დაკარგული ოქროს თასის მოტანა მოსთხოვა. გზად ერთ ეკლესიაში ბერს მიტრაში დამწყვდეული ავი სული შეხვდა, რომელმაც თავისუფლების სანაცვლოდ თასი მოუტანა. ავი სული ბერს გოლიათის სახით გამოეცხადა. ბერმა მოტყუებით იგი ისევ მიტრაში დააბრუნა. თავად თასი ხელმწიფეს მიუტანა და ისევ ბერობას დაუბრუნდა.

საკვანძო სიტყვები: გურული, ლეგენდა, პალიასტომი, შემოქმედი, ბახვი, წარღვნა, ბერი, სახარება, ოქროს თასი, ავი სული.

Key words: Gurian, Legend, Paliastomi, Shemoqmedi, Bakhvi, flood, monk, gospel, golden bowl, evil spirit.

СМОМІІК, 1898, №24, განყ. 2, გვ. 269-272, იოსებ სტეპანოვი, „გლახუა“: საუბარია ღატაკ გლახუზე, რომელიც ყოველ დღილას მიდიოდა ქალაქში მონყალების სათხოვნელად. იყო ღღეები, როდესაც ვერაფერს შოულობდა. მაშინ ის ჭამდა თავისი ეზოს მსხლის ნაყოფს და ასე ირჩენდა თავს შიმშილისაგან. ერთხელაც გლახუა ბაზრიდან ხელუცარიელი რომ დაბრუნდა, მივიდა მსხლის ხესთან, მაგრამ აღმოაჩინა, რომ მისი ნაყოფი ვიღაცას მოუპარავს.

ერთ ღამეს სოფელში ღამის გასათევად მივიდა სამი მწირი, მაგრამ არავინ უშვებდა მათ სახლში. ერთმა ქალმა მათ გლახუას სახლი მიასწავლა. გლახუამ სიამოვნებით მიიღო სტუმრები, ანთო კოცონი, რომ გამთბარიყვნენ. ქალმა მიუტანათ საკვები. დილით მწირებმა თქვეს, რომ ისინი არიან მოციქულები და აინტერესებდათ, თუ როგორი ხალხი ცხოვრობდა სოფელში. ამის შემდეგ მოციქულებმა გლახუას ჰკითხეს, თუ რას ისურვებდა ღმერთისაგან. გლახუამ უპასუხა, რომ არაფერი არ სურდა, გარდა იმისა, რომ მისგან არ მოეპარათ მსხალი. მაშინ მოციქულებმა თქვეს, რომ, ვინც აძვრებოდა მსხლის ხეზე, გლახუას თანხმობის გარეშე ვერ შეძლებდა იქიდან ჩამოსვლას. შემდეგ ის წავიდა ქალაქში. დაბრუნდებულმა დაინახა მსხლის ხეზე ძალიან მდიდარი მგობელი. გლახუამ გადაწყვიტა დაენვა ეს მგობელი, მაგრამ სამეზობლომ შეწყალება სთხოვა. გლახუამ იგი გაუშვა იმ პირობით, რომ იგი შეწყვეტდა მსხლების მოპარვას. როდესაც გლახუა დაბერდა, მის სახლში მივიდა სიკვდილი. გლახუამ სთხოვა მას, ნება მიეცა სიკვდილის წინ ეჭამა მსხალი. მაგრამ სიბერის გამო მას არ შეეძლო მსხლის მონყვეტა. მაშინ სიკვდილი აძვრა ხეზე, მონყვიტა მსხალი, მაგრამ ჩამოსვლა ვეღარ მოახერხა. გლახუამ სიკვდილი გაუშვა იმ პირობით, რომ, როცა მოხერხდებოდა სიკოცხლე, მხოლოდ მაშინ წაეყვანა.

საკვანძო სიტყვები: გლახუა, ქალი, მონყალება, მსხალი, სამი მოციქული, სიკვდილი.

Keywords: Glakhua, woman, mercy, pear, three Apostles, death.

СМОМІІК, 1898, №24, განყ. 2, გვ. 277-280, იოსებ სტეპანოვი, „ბერკულა“: ზღაპარში საუბარია ერთ-ერთმა ვაჭარმა როგორ დაპატიჟა ბევრი სტუმარი და

მათ შორის ღმერთიც. ყველა ეწვია მას, ღმერთის გარდა. ვაჭარი განრისხდა ღმერთზე. ღამე მასთან მივიდა მწირი, ღამის გასათევად, მაგრამ ვაჭარმა გაავლო და ძაღლები მიუქსია. მწირი მთელი ღამე დაეხეტებოდა კარდაკარ, მაგრამ არავინ უშვებდა. ბოლოს, მიადგა ლატაკს, შევიდა შიგნით და ნახა ლოგინს მიჯაჭვული დასახიჩრებული ქალი. მან მოითხოვა ერთი ჭიქა წყალი, მაგრამ ქალმა უპასუხა, რომ, სამწუხაროდ, არ შეეძლო ადგომა. მწირმა დაარწმუნა, რომ ამდგარიყო და ისიც წამოდგა სრულიად ჯანმრთელი. მაშინ ღმერთმა უთხრა, რომ ეყოლებოდა ვაჟი, რომელიც ვაჭრის მთელი სიმდიდრის ბატონ-პატრონი გახდებოდა. თქვა ეს და გაუჩინარდა. ამ ამბის შესახებ ყველამ შეიტყო.

განრისხებულმა ვაჭარმა გადანყვიტა ღმერთის წინასწარმეტყველების შეცვლა. ქალმა გააჩინა ვაჟი და დაარქვა ბერცულა. როდესაც ბერცულა იყო ორი წლის, მაშინ ვაჭარმა ის იყიდა რამდენიმე მარჩილად, რადგანაც მშობლებს არ ჰქონდათ მისი გამოკვების საშუალება. ვაჭარმა წამოიყვანა ბერცულა და ჩუმად შეავლო ერთ-ერთ გამოქვაბულში. მაგრამ ბიჭი არ დაღუპულა, მას აჭმევდა შველი. რამდენიმე ხანში მწყემსებმა გადაარჩინეს ბავშვი და წაიყვანეს სახლში. მაგრამ ვაჭარმა ის ისევ გამოისყიდა, ჩასვა ყუთში და ჩუმად გადაავლო ზღვაში. ზღვის ტალღებმა ეს ყუთი გამორიყა ნაპირზე. იგი გადაარჩინა მეთევზემ და აღზარდა როგორც საკუთარი შვილი.

გავიდა დიდი ხანი, ბერცულა გაიზარდა, დაავროვა დიდი დანაზოგი და გადანყვიტა ქორწინება. იგი ზუსტად იმ ვაჭართან მივიდა ქალიშვილის ხელის სათხოვნელად. ვაჭარმა ვაჟი გააგზავნა თავის ცოლთან, წერილით, რომელშიც ითხოვდა ბერცულას მოკვლას. მაგრამ გზაში ბერცულამ წაიკითხა წერილი და შეცვალა. შიგ ჩაწერა, რომ ცოლს დაუყოვნებლივ უნდა დაენიშნა ბერცულა მის ქალიშვილზე. როდესაც ვაჭარი დაბრუნდა სახლში და გაიგო, რაც მოხდა, ძალიან გაბრაზდა ცოლზე, მაგრამ ცოლმა აჩვენა წერილი. მაშინ იგი დამშვიდდა, ინამა ღმერთისა და შეიცვალა ხასიათი. როდესაც ვაჭარი დაიღუპა, მთელი მისი ქონება დარჩა ბერცულას, როგორც იწინასწარმეტყველა ღმერთმა.

საკვანძო სიტყვები: ვაჭარი, ღმერთი, ღარიბი, დასახიჩრებული ქალი, ბერცულა, მემკვიდრეობა.

Keywords: Merchant, God, poor, Mutilated woman, Burcula, inheritance.

CMOMIK, 1898, №24, განყ. 2, გვ. 301-302, იოსებ სტეპანოვი, „ღმერთი დაეხმარება უბინოს (მართალს)“: ერთი ოქრომჭედელი ყოველთვის იმეორებდა სიტყვებს, რომ ღმერთი დაეხმარება მართალს. იმ ქვეყნის მეფეს მობეზრდა ეს სიტყვები და გაუგზავნა მას შიკრიკი ვერცხლის ბეჭდით, იმისათვის, რომ ხელოსანს მოეოქროებინა შვიდი დღის განმავლობაში. მეფემ შიკრიკს მოაპარვინა ეს ბეჭედი და გადაავლებინა ზღვაში.

შვიდ დღეში ხელოსანმა, რა თქმა უნდა, ვერ დააბრუნა ბეჭედი და მეფეს სთხოვა კიდევ სამი დღე. ხელოსანმა ბაზარში ნაყიდი თევზი გაჭრა და ამოიღო

ბეჭედი. გახარებულმა ხელოსანმა მიუტანა გამზადებული ბეჭედი მეფეს. მეფეს გაუკვირდა და ჰკითხა, საიდან იპოვა. ხელოსანმა უამბო ყველაფერი და დააყოლა, რომ ღმერთი დაეხმარება უბინოს. მეფემ კარგად დააჯილდოვა და გამოუშვა ხელოსანი. ამის მერე თვითონაც დაიწყო ამ სიტყვების გამეორება.

საკვანძო სიტყვები: ოქრომჭედელი, ღმერთი, მეფე, ბეჭედი, თევზი.

Key words: Goldsmith, God, King, seal, fish.

СМОТРИ, 1898, №24, განყ. 2, გვ. 280 -282, იოსებ სტეპანოვი, „ბედნიერი ლაზარე“: ერთ სახლში ცხოვრობდა მდიდარი კაცი, რომელიც ცოლ-შვილი-სათვის ვერაფერს იმეტებდა. ერთხელაც სააღდგომოდ ცოლ-შვიმა სთხოვა სამოსის ყიდვა. მდიდარი მივიდა დამალულ ქონებასთან, მაგრამ მოესმა ხმა, რომ მთელი ეს ქონება ეკუთვნოდა ღურგალ ლაზარეს. მდიდარი კაცი განრისხდა, გააკეთა უზარმაზარი ყუთი, ჩალო შიგ მთელი თავისი ფული და ძვირფასეულობა და გაუშვა ზღვაში, სხვას რომ არ ჩაეგდო ხელში. ეს ყუთი დიდი ხნის შემდეგ ზღვამ გამოიჩია ნაპირზე, ზუსტად იმ ადგილას, სადაც ცხოვრობდა ღურგალი ლაზარე. დილას ლაზარემ დაინახა ეს ყუთი, შეათრია სახლში, დაინახა შიგ ფული და ძვირფასეულობა, დატოვა სახლში, არავის არაფერი უთხრა, ილოცა და მშვიდად შეუდგა თავის საქმეს. გავიდა დრო, მაგრამ ლაზარე კი არ გაკარებია ძვირფასეულობას. ერთხელაც მის საღურგლოსთან მივიდა ერთი ღარიბი, მასთან საუბრისას ლაზარე მიხვდა, რომ ის იყო ძვირფასეულობის პატრონი. ლაზარემ მას არაფერი უთხრა, დილას კი მისცა დიდი პური, რომელშიც ჩალო ბევრი ოქროს მონეტა. გზაში ღარიბი შეხვდა მეორე ღარიბს, რომელიც იყო მშიერი, მისცა მას ეს პური. მეორე ღარიბი მივიდა ლაზარესთან და მოსთხოვა გაეკეთებინა მისთვის სკამი პურის სანაცვლოდ. ლაზარემ მაშინვე იცნო თავისი პური, გაუკეთა ღარიბს სკამი, მერე იფიქრა ღმერთის ნებაზე, ილოცა გადატეხა პური და გადმოყარა მონეტები უკან ყუთში.

საკვანძო სიტყვები: მდიდარი, ძუნწი, ძვირფასეულობა, ღურგალი, ლაზარე, ღარიბი, ღმერთი.

Keywords: The rich, the dumb, the jewels, the carpenter, Lazare, the poor, God.

ЧБ, 1901, №286, ისკანდერი, „ალილო (კავკასიური საშობაო მილოცვა გალობით)“: ქრისტეს აღიდებენ ღამე, ალილოს სიმღერით, რომელიც იმღერება სამ ხმაში. მწყემსებს გამოეცხადათ ანგელოზები და ახარეს ქრისტეს დაბადება. მგალობლები ულოცავენ სახლის პატრონებს, სადაც ისინი გალობენ და უსურვებენ დიდხანს სიცოცხლეს. შემდეგ სტატიის ავტორი გვაძლევს ალილოს ქართულ ტექსტს, რომელიც ნათარგმნია რუსულად. მგალობლების რამდენიმე ჯგუფი ერთდროულად დადის სოფლებში. თითოეულ ჯგუფში, როგორც წესი, სამი მგალობელია და მეოთხე დამტარებელი, რომელიც ატარებს მგალობლები-სათვის მირთმეულ ძღვენს. დილაობით ეს ყველაფერი თანაბრად იყოფა

ოთხივეს შორის. შემდეგ აღწერილია ალილოს შესრულების რიტუალი: მგალობლები მიდიან სახლებთან, ასრულებენ „ალილოს“. ოჯახის უფროსს ან რომელიმე მის წევრს გამოაქვს ფული ან რაიმე სახის საჩუქარი: კვერცხი, მარცვლეული, ღვეზელი და ა.შ. საჩუქარს იღებს დამტარებელი და მგალობლები გადაინაცვლებენ სხვა სახლისაკენ. ხანდახან ერთ ოჯახს რამდენიმე მგალობლის ჯგუფი სტუმრობს და ყველა მათგანი იღებს საჩუქრებს.

საკვანძო სიტყვები: ალილო, ქრისტესშობა, საჩუქარი, გალობა.

Keywords: Alilo, Christmas, present, chant.

CMOMIK, 1904, №34, განყ. 3, გვ. 512, ო.ლუკიანოვი, „თქმულება ზარმაცი ადამიანების შესახებ“: ერთ ქვეყანაში ცხოვრობდნენ ზარმაცი ადამიანები. იქ მუშაობდნენ მხოლოდ ქალები და ბავშვები, მამაკაცები კი არაფერს აკეთებდნენ. ამ ქვეყნიდან წაიყვანეს ერთი ქალიშვილი და გაათხოვეს სხვა ქვეყანაში, სადაც პირიქით, მუშაობდნენ მხოლოდ კაცები. ეს დაინახეს პატარძლის ნათესავებმა და თავიდან დასცინოდნენ, შემდეგ კი თვითონაც მიეჩვივნენ მუშაობას. როდესაც ისინი დაბრუნდნენ საკუთარ ქვეყანაში, იქაც მიაჩვიეს კაცები მუშაობას. ეს იყო სამართლიანი და ამის გამო მამაკაცებმა დაიწყეს ქალებთან თანაბრად მუშაობა.

საკვანძო სიტყვები: მამაკაცები, ქალები, შრომა.

Key words: men, women, work.

CMOMIK, 1904, №34, განყ. 3, გვ. 512-513, ო. ლუკიანოვი, „ხაკუცა და დათვი“: ერთ მთაზე ცხოვრობდნენ ერთი კაცი და ქალი. მათ ჰყავდათ ძალიან ძლიერი ვაჟი, სახელად ხაკუცა. ამავე მთაზე, გამოქვაბულში ცხოვრობდა დათვი, რომელიც შუაზე გლეჯდა ნებისმიერს, ვინც კი შეხვდებოდა მას. მიუხედავად იმისა, რომ ხაკუცას აფრთხილებდნენ, რომ არ გაჰკარებოდა მთას, იგი ამაყად პასუხობდა, რომ დათვი ვერაფერს დააკლებდა. ერთხელ მივიდა გამოქვაბულთან იარაღის გარეშე. დათვი იჭდა ხეზე და, როდესაც დაინახა ხაკუცა, ჩამოვიდა, მოტყუებით დაიჭირა იგი და გაგლიჯა შუაზე. მეოთხე დღეს ხაკუცას მშობლები მივიდნენ გამოქვაბულთან და შორიდან დაინახეს მისი გვამი, მაგრამ ახლოს მისვლა შეეშინდათ.

საკვანძო სიტყვები: ხაკუცა, დათვი.

Key words: Khakutsa, bear.

CMOMIK.1900, №27, განყ. 2, გვ. 409, იასონ კაჰანაძე: ბავშვის სქესის გარჩევასათვის შაბს დებენ გავარვარებულ ნახშირზე და როგორ ფორმასაც მიღებს, მის მიხედვით იწინასწარმეტყველებენ; ცარიელი აკვანის დარწვევით, ბავშვს მუცელი ასტკივდება; კარ-მიდამოში (Удада) უდაღას ნახვა პატრონის ოჯახის რომელიმე წევრის სიკვდილის მაუწყებელია.

საკვანძო სიტყვები: ბავშვი, შაბი, აკვანი, მუცლის ტკივილი.

Keywords: Baby, alum, cradle, abdominal pain.

CMOMIK, 1905, №35, განყ. 2, გვ. 397-411, იოსებ სტეპანოვი, „პურმარილის მნიშვნელობა და უგულო მთავარანგელოზები – მიქაელი და გაბრიელი“: თქმულება ეხება ერთ მდიდარ, ბრძენ, გულკეთილ და პურმარილიან ვაჭარს, რომელიც ხშირად ასესხებდა ხოლმე ფულს ღარიბ ადამიანებს, მაგრამ უყვარდა ვალის დროულად დაბრუნება. ერთი მევალე ვერ აბრუნებდა ვალს და სთხოვა ღმერთს, რომ დაებრუნებინათ ვალი, თუნდაც თვითონ მომკვდარიყო. ღმერთმა შეისმინა მისი და მოკვდებოდა მაშინვე, როგორც კი დაუბრუნდებოდა ვალი.

მევალემ დააგროვა საჭირო თანხა. ვაჭარმა გაგზავნა მასთან თავისი შვილი და დაარიგა, რომ გზაში გამასპინძლებოდა პურმარილით ყველა შემხვედრს. ვაჭრის შვილმა გზაში აპურმარილა ორი მოხუცი. შემდეგ მივიდა მევალესთან და გამოართვა ფული. უკან როცა ბრუნდებოდა, დაინახა, თუ როგორ შევიდა მევალის სახლში ორი მოხუცი და უმაღლვე როგორ გამობრუნდა. ვაჭრის შვილმა მათგან გაიგო, რომ ისინი იყვნენ მთავარანგელოზები – მიქაელი და გაბრიელი და მათ წაიყვანეს მევალის სული.

მთავარანგელოზებმა ვაჭრის შვილს აუწყეს, რომ ის დაიღუპება თავისი ქორწილის დღეს. ამიტომ არ უნდოდა დაქორწინება, თუმცა მშობლების სიყვარულის გამო ის საბოლოოდ დათანხმდა ქორწინებას. როდესაც სიძე და პატარძალი ოთახში მარტონი დარჩნენ, მისი სულის წასაყვანად მოვიდნენ მთავარანგელოზები. ვაჟი გამოვიდა მშობლებთან, საცოლესთან დასამშვიდობებლად და უამბო ყველას მთავარანგელოზების შესახებ. მამის რჩევით მან გაახსენა მთავარანგელოზებს პურმარილის ამბავი და ისინი თუ პატივს სცემენ ძველ პურმარილს, მისთვის სიცოცხლე უნდა გაეხანგრძლივებინათ. ისინი დასთანხმდნენ. ამასობაში კი ღმერთმა, რომელმაც ვერ მიიღო ვაჭრის ვაჟის სული, იხმო მთავარანგელოზები და განრისხებულმა ამოაგლიჯა მათ ჯივარი. ამის შემდეგ მთავარანგელოზები გახდნენ უჯივროები და როგორც კი დგება ვინმეს სიკვდილის დრო, დაუყოვნებლივ აძრობენ მას სულს და მიჰყავთ ღმერთთან. ვაჭრის ვაჟი კი ცხოვრობდა დიდხანს და ბედნიერად.

საკვანძო სიტყვები: ვაჭარი, სესხი, ღმერთი, მთავარანგელოზი მიქაელი და გაბრიელი, სული, ჯივარი.

Keywords: Merchant, Loan, God, Archangel Michael and Gabriel, soul, jigari.

CMOMIK, 1903, №32, განყ. 3, გვ. 610-611, ი. ქობალია, „ღმერთის მიერ სამყაროს შექმნა“: ღმერთმა შექმნა მინა, ხეები და ყველაფერი, რაც არსებობს სამყაროში. ეშმაკმა მოსთხოვა ღმერთს მიეცა მისთვის რამე და აირჩია ხეები. ღმერთმა უბრძანა მას გაესუფთავებინა მინა. აავო ყველგან ქვის კედლები და გაუშვა ყურძნის ლერწები. ეშმაკს აღარ დარჩა ადგილი თავისი ხეებისათვის,

გააჩინა თხები და შეუშვა ისინი ვენახში. ღმერთმა გააჩინა მგლები და მიუშვა თხებთან. ეშმაკმა თხებზეც უარი თქვა. რამდენიმე ხნის შემდეგ ეშმაკმა სთხოვა ღმერთს, რომ ყოველ ადამიანს, რომელიც ავა ხეზე და არ ილოცებს ღმერთისათვის, მისაკუთრებდა. ღმერთი ამაზეც დათანხმდა. ამიტომ სამეგრელოში ხალხი ხეზე ასვლისას პირჯვარს იწერს და მხოლოდ შემდეგ იწყებს საქმეს. პატარა ბავშვებიც კი ასე იქცევიან.

საკვანძო სიტყვები: ღმერთი, ეშმაკი, მინა, ხეები, ვენახი, თხა, მგელი, ადამიანი, სამეგრელო.

Keywords: God, Devil, ground, trees, vineyard, goat, wolf, man, Samegrelo.

CMOMIK. 1903, №32, განც. 3, გვ. 612, ი. ქობალია, „ღვთისმშობლის შესახებ“: ებრაელებს უბინო ქალწულის ჩაქოლვა სურდათ ფეხმძიმობის გამო, მაგრამ გამოჩნდა ყმანვილი, რომელმაც ფეხით მინა გააპო და ისინიც გაუჩინარდნენ. რამდენიმე ხანში იესო ქრისტე გამოჩნდა ყველგან დედამისთან ერთად, ის ქადაგებდა, ასწავლიდა ხალხს და სასწაულებს ახდენდა.

საკვანძო სიტყვები: ღვთისმშობელი, ებრაელი, იესო ქრისტე.

Keywords: The Virgin, the Jew, Jesus Christ.

CMOMIK, 1903, №32, განც. 3, გვ. 612-613, ი. ქობალია, „წმინდა გიორგის შესახებ“: წმინდა გიორგი განთქმული იყო როგორც კარგი მხედარი და მეომარი, ასევე, გამოირჩეოდა აღნაგობით. ბევრს ჭამდა და სვამდა, ამიტომ ერთხელ ძილის დროს, ღმერთმა ამოაცალა მას კუჭი და შემოდო ვეებერთელა მუხის კენწეროზე. მეორე დღეს, როდესაც ღმერთმა გიორგის საჭმელი შესთავაზა, მან უარი თქვა. ღმერთმა ჰკითხა, თუ რა სურდა მას ყველაზე მეტად. გიორგიმ ისურვა, რომ მისი სახელი მუდამ მოეხსენიებინა ხალხს მთიდან ზღვამდე, აღმოსავლეთიდან დასავლეთამდე, ღმერთის მიერ ნასროლი ისრის მანძილზე. ღმერთმა ისროლა ერთი ისარი აღმოსავლეთით, მეორე – დასავლეთით და ასე განსაზღვრა საზღვრები, სადაც უნდა ეცათ თაყვანი წმინდა გიორგისათვის. ამიტომ წმინდა გიორგის თაყვანს სცემენ: ქართლები, იმერლები, გურულები, ლეჩხუმელები, სვანები, მეგრელები, აფხაზები და ა.შ.

მუხა, რომელზეც ეკიდა კუჭი მეორე დღემდე შეჭამა თვითონ კუჭმა. წმინდა გიორგი დაიღუპა ილორში, ოჩამჩირესთან ახლოს, კოდორის ნაკვეთში, სადაც დღემდე არსებობს წმინდა გიორგის ილორის სასწაულთმოქმედი ხატი. მეგრელებს სჯერათ, რომ ეს ხატი თავისი სასწაულთმოქმედების ძალით უბრუნებს მათ მოპარულ ხარებს...

საკვანძო სიტყვები: ღმერთი, წმინდა გიორგი, ისარი, იმერელი, გურული, ლეჩხუმელი, სვანი, მეგრელი, აფხაზი, ილორი, ოჩამჩირე, კოდორი, წმინდა გიორგის ილორის სასწაულთმოქმედი ხატი.

Keywords: God, St. George, Arrow, Imerian, Guruli, Lechkhumeli, Svan, Megrelian, Abkhazian, Ilori, Ochamchire, Kodori, miraculous icon of St. George's Ilori.

CMOMIK, 1903, №32, ვანყ. 3, გვ. 612-615, ი. ქობალია, „ახალი წელი და წმინდა სოლომონი“: მეგრელების რწმენით ახალი წელი დგება 1 იანვრის დღის 12 საათზე, რადგან მათი თვალსაზრისით ეს დღე შუადღემდე არის დეკემბერი და შუადღის შემდეგ არის იანვარი. ამ საღამოს მეგრელები აკვირდებიან მთვარეს, რომ იცოდნენ, სამეგრელოს რომელ ნაწილში იქნება კარგი მოსავალი. მეგრელების თქმით, წელიწადში 363 დღეა, წელიწადის რიცხვების დღეები უნდა ემთხვეოდეს ხელოსნობის რიცხვს. ხელოსნობის დამფუძნებლად თვლიან წმინდა სოლომონს. ის იყო მჭედელი, რომელიც ხელით იღებდა გახურებულ რკინას, იღებდა მუხლზე და ჭედავდა მუშტით. ამიტომ თავის მჭედლობას ვერავის ასწავლიდა. ქრისტემ ასწავლა მას, როგორ გაეკეთებინა ხელსაწყობი მჭედლობისთვის. მას შემდეგ ეს ხელოსნობაც ისწავლა ხალხმა. ერთხელაც წმინდა სოლომონმა ღმერთს სთხოვა, დროებით თვითონ ემართა სამყარო. იგი აკვირდებოდა ხალხის ცხოვრებას და ერთხელაც ისე გაბრაზდა, რომ დედამიწა შეარყია და კინალამ გააქრო. ღმერთმა მაშინვე ჩამოართვა სოლომონს ძალაუფლება და ისევ თვითონ დაიწყო სამყაროს მართვა. ღმერთმა აუხსნა სოლომონს, რომ ყველაფერი ღვთის ნებით ხდება.

საკვანძო სიტყვები: მეგრელი, ახალი წელი, მთვარე, მოსავალი, წმინდა სოლომონი, ხელოსნობა, მჭედელი.

Keywords: Megrelian, New Year, Moon, harvest, St. Solomon, craftsman, blacksmith.

ზღაპრები

3KB, 1848, №6, 7, 10, 11, ი. პ. პოლონსკი (ცნობილი რუსი პოეტი), „მოგზაურის ჩანაწერები“: აქ შეტანილია ზღაპარი „დელი ბაშთალა“, ასევე, დეტალურად არის აღწერილი ის საცხოვრისი, სადაც ღამის გასათევად გაჩერდა მოგზაური. საუბარია ზღაპრის თხრობის ტრადიციებზე, რომ ქართველი მამაკაცები გვიანობამდე ყვებიან ზღაპრებს, რომლებიც თავადაც მოისმინა. ერთი ეხებოდა უფლისწულის შიშველ თანამგზავს, რომელიც მას, ბევრი თხოვნის მიუხედავად, არ ჩამოშორდა. ამ უფლისწულს სამონყალოდ სასტუმრო ჰქონდა გახსნილი, სადაც გაიგო ხელმწიფის ულამაზესი ასულის არსებობის შესახებ, რომელიც მისი ხილვის მსურველ ვაჟებს არ ენახებოდა, მიუხედავად იმისა, რომ ისინი წლობით იყვნენ დადარაჯებულნი. ეს ვაჟიც გაემართა ქალის სანახავად. გზაზე მას შემოხვდა სამი ქალიშვილი, რომლებიც სინამდვილეში იყვნენ ქალიშვილების სახით მოვლენილი ეშმაკები. მათ ხელმწიფის ვაჟი თავიანთი საუკეთესი ღვინით დაათვრეს და დააძინეს. მერე, როდესაც მოკვლა მოუნდომეს, საიდანღაც გამოჩნდა შიშველი კაცი და უფლისწულისავე ხმლით დახოცა ისინი. გამოღვიძებულ ვაჟს კი უამბო, რაც მოხდა, რომ მისი სახელია დელიბაშთალა, მას აღარ მოსცილდება და ყველა სურვილს შეუსრულებს. მართლაც, ის ყველა გასაჭირსა და მიზნის მიღწევაში მიეხმარა ვაჟს.

შემდეგ უკვე მოთხრობილია „სამი ძმის ზღაპარი“: მამამ სიკვდილის წინ თავის სამ ვაჟს უანდერძა, რომ ქვეყანა სამად გაეყოთ და ემართათ. მათ ერთად მოიარეს ქვეყანა, ნახეს დიდი ღუმელი, საიდანაც განწირული ხმა შველას ითხოვდა. გაჭირვებულის დახმარება მხოლოდ უმცროსმა მოინადინა. მან ორ მოახლესთან ერთად ცეცხლი ჩააქრო, მაგრამ ღუმელში ადამიანის ძვლებიც კი ვერავისი ნახეს. შემდეგ უმცროს ძმას სიზმარში უთხრეს, რომ ის კეთილი გულისთვის უნდა დაესაჩუქრებინათ და ურჩიეს: გაეყიდა თავისი წილი სამეფო. იმ ფულით აეშენებინა დიდი ძვირფასი სასტუმრო და უფასოდ მიეღო სტუმრები. ის ასეც მოიქცა. ერთხელაც იქ მისული ვაჭრისაგან გაიგო ულამაზესი ხელმწიფის ასულის ადგილსამყოფელი. ვაჟიც იქ გაემართა. ქალის მამის რთულ დავალებებს ვაჟის ნაცვლად დევი ასრულებდა. შერთო კიდევ ცოლად ხელმწიფის ასული, შეუღლებამდე კი ქალს ხმალი მოუქნია შუაზე გასაჭრელად. შეშინებულ ქალს პირიდან გადმოსცვივდა ავი სულები და ამგვარად განწმედილი ქალი ჩააბარა დევმა თავის ქმარს.

საკვანძო სიტყვები: უფლისწული, შიშველი კაცი, სამი ქალიშვილი, ეშმაკები, ხელმწიფის ასული, დევი.

Key words: Prince, naked man, three daughters, devils, daughter of the king, Daeva.

СМОМІІК, 1882, №2, განყ. 1, გვ. 158-160, ა. ი. ჯავახიშვილი, „ზღაპარი ხელმწიფისა და სამი ვაჟისა“: ხელმწიფის ვაჟებმა ქვეყანა ვერ მართეს და გაღარიბდნენ.

გაიხსენეს მამის დანატოვარი ძვირფასი ქვა, მაგრამ ის ადგილზე აღარ დახვდათ. დასავლეთის ხელმწიფესთან წავიდნენ, ქურდის ამოსაცნობად. თავადას გულთმისნებმა იქ ვახშობისას გამოიცნეს, რომ პურს კაცის სისხლი ერია; ცხვარი ძაღლის რძით იყო გაზრდილი, მეფე უკანონოდ იყო გაჩენილი. ამ ძმების საქმის გარჩევა მეფის ქალიშვილმა ითავა. იმის მონაცოლ ზღაპრში ძმებს უნდა ამოეცნოთ, რომელი იყო დადებითი გმირი. უმცროს ძმას უარყოფითი გმირის საქციელის ჩამდენი მოეწონა. ხელმწიფის ქალიც მიხვდა, რომ ძვირფასი ქვის მომპარავი სწორედ ის იყო და მოსთხოვა ძმებისათვის გაენაწილებინა განძი.

საკვანძო სიტყვები: სამი ძმა, ძვირფასი ქვა, ხელმწიფის ქალი, სამართალი.

Key words: Three brothers, precious stone, king's daughter, justice.

СМОМІІК, 1886, №5, განყ. 2, გვ. 89-93, ი. პეტროვი, „სვანური ზღაპრები – ვეზირი“, მოქმელი გ. გუჯეჯიანი, თავისუფალი სვანეთის მულაჟის დასახლებიდან: ხელმწიფის ვეზირმა ნადირობისას ხეზე დაინახა უცნაურად მაგალობელი ფრინველი, ესროლა და ჩამოაგდო. ის მშვენიერ ქალად იქცა. ხელმწიფესთან წაყვანისას ხედავდა, რომ გზაში ქალი თანდათან შავდებოდა. იფიქრა, ხელმწიფე რომ შეხედავს, ისევ გალამაზდებაო, მაგრამ ის კიდევ უფრო დაუშნოვდა. განრისხებულმა ხელმწიფემ ეს ქალი თავად ვეზირს შერთო ცოლად. იმის ხელში ქალი ისევ დამშვენდა. ახლა ხელმწიფემ უკვე წართმევა მოუნდომა და ამ მიზნით ვეზირს რთულ კითხვაზე პასუხის გაცემა მოსთხოვა. ამის გასაგებად ვეზირი ტყის ხალხთან წავიდა. მათგანაც ვერაფერი გაიგო და მეგზურთან ერთად უფრო შორს გაემართა. გაბეზრებულმა მეგზურმა ვეზირი მდინარეში ჩააგდო. ძლივს გადარჩენილი ერთ სახლში შევიდა და დაიმალა. იქ სხვა მისულებს უჩინარი სული ემსახურებოდა. იმათ შემდეგ ესეც გამოელაპარაკა სულს, სიტობ აჩვენა და დაიხლოვა. სულიც თან გაჰყვა ვეზირს და სწორ გზას უჩვენებდა. გზაზე ვეზირმა იყიდა ჯობი, რომელსაც ათი ვერსის მოშორებით კაცის მოკვლა შეეძლო, ასევე სხვას გამოართვა არაჩვეულებრივი ზანდუკი, რომლიდანაც ათასი შეიარაღებულ მებრძოლს შეეძლო გამოსვლა. სახლში დაბრუნებულმა კი ქალის წასართმევად მისული ხელმწიფის ხალხი გაყარა. შემდეგ კი განრისხებული ხელმწიფის ჯარის მებრძოლებიც განყვითა, ხელმწიფე კი ჯობს მოაკვლევინა. ასე დარჩა ყოფილ ვეზირს მთელი ქვეყნის ქონება და სამეფო.

საკვანძო სიტყვები: ხელმწიფე, ვეზირი, ცოლი, უჩინარი სული, სამეფო.

Key words: King, vizier, wife, invisible soul, kingdom.

СМОМІІК, 1886, №5, განყ. 2, გვ. 94-96, ი. პეტროვი, „სვანური ზღაპრები – სამი ძმა“: იყო სამი ძმა – ძლიერი თავადები. მათ მეფეს სთხოვეს ასულის ხელი: – ერთ-ერთ ჩვენგანს მოგვათხოვეო. მეფე განრისხდა და მათი დასჯა მოინდომა. ძმებიც არ შედრკნენ და ჯარი შეკრიბეს მეფესთან საბრძოლველად. ამის შემდეგ მეფემ უკან დაიხია, ოღონ პირობა წამოაყენა: ქალს იმას მისცემდა, ვინც მის

ქვეყანაში არარსებულ ნივთს მიუტანდა. ძმებიც დაადგინენ გზას და ათას-ათას მანეთად შეიძინეს: უფროსმა მფრინავი ხალიჩა, შუათანამ – სარკე, რომელშიც მთელი სამყარო ჩანდა, უმროსმა კი – ჭიქა, რომელში ჩასხმულ ღვინოსაც მკვდრის გაცოცხლება შეეძლო. სამშობლოში დაბრუნებისას მათ სარკეში დაინახეს, რომ მეფის ასული მომკვდარიყო და უკვე მარხავდნენ. ძმები სასწრაფოდ გადაფრინდნენ მეფის სასახლეში და ჯადოსნურ ჭიქაში ჩასხმული ღვინით გააცოცხლეს მეფის ასული. მან კი საქმროდ უმცროსი ძმა აირჩია. მამა – ხელმწიფე კი უსაზღვროდ ბედნიერი იყო თავისი ასულის ჯანმრთელობით და ბედნიერებით.

საკვანძო სიტყვები: სამი ძმა, მეფის ასული, ჯადოსნური საგნები.

Key words: Three brothers, daughter of the king, magic items.

СМОМІІК, 1882, №2, გვ. 141-160, „ქართული ხალხური ზეპირსიტყვიერებიდან“ – „**გლეხის ტვირთი**“: ტვირთაკიდებულმა გლეხმა ვერ შეძლო გზის გაგრძელება, შედგა და ღვთის გამობა დაიწყო. იესო ქრისტემ ხელის გაუნძრევლად ცხოვრების მსურველი ღვთის მგმობელი სამჯერ წაიყვანა ისეთ ქვეყანაში, სადაც არხინად კი იცხოვრებდა, მაგრამ სიტყვა არასოდეს არ უნდა დაეძრა. იქ ისეთ საკვირველ ამბებს ხედავდა კაცი, რომ სამჯერვე ვერ გაძლო და დაარღვია პირობა. იესომ განუმარტა მისი სამივე აღმფოთების მიზეზი: პირველი კაცი ანგელოზი იყო, რომელიც, როგორც კი ნორჩ ფოთოლს მონყვეტდა ხეს, პატარა ბავშვი კვდებოდა; მეორე კაცი განასახიერებდა ცოდვილ ადამიანს, რომელიც უმატებდა და უმატებდა ცოდვებს ერთმანეთს; მესამე ჯერზე კი გლეხმა რომ მარმარილოს ქანდაკება ნახა, ის თავად იესო იყო, რომლის სწავლებაც სხვადასხვა ხალხს სხვადასხვანაირად ესმოდა და ყოველი მათგანი თავისკენ ექაჩებოდა.

საკვანძო სიტყვები: დუმილის აღთქმა, პირობის დარღვევა, ქრისტე.

Key words: a vow of silence, to break the promise, Christ.

СМОМІІК, №10, განყ. 2, გვ. 76-160, ა. გრენი, „სვანური ტექსტები“: ტექსტებს დართული აქვს სვანური სასაუბრო ფრაზები, ლექსიკონი და ენის გრამატიკული მიმოხილვა. აქედან პირველი ნაწილი, რომელიც ცხენისწყალის სვანეთშია ჩანერილი, ათი ტექსტისგან შედგება:

1. ესაა ბეჟანის ამბავი, რომელიც ჩოლურის თემშია ჩანერილი და მისი მთქმელი საბა ზურაბიანია. ბეჟანი ტრაბახობს, რომ ტახებზე საუკეთესოდ ნადირობს, უცნობი უსვამს მას „ჩამჭრელ“ შეკითხვებს და ბეჟანი მათზე პასუხობს. ერთ-ერთი შეკითხვაა, რატომ არ მოჰყავს ბეჟანს ცოლი? ამაზე ბეჟანი პასუხობს, რომ ვერ მოძებნა შესაფერისი, ცუდზე კი არ სურს დაქორწინება. გაირკვევა, რომ სადღაც ოქროს ტახტზე ოქროსბჭიან კარავში ზის ოქროსთმიანი მარუჯან აფრასუანი და ბეჟანი მადლობელია, რომ, როგორც იქნა, შესაფერისი ქალის სახელი შეიტყო.

2. ესაა მონადირეების, დევთაგისა და ცხეთაგის, ამბავი. დევთაგის და ცხეთაგი საპირისპირო მხარეს წავიდნენ და უკან დაბრუნებულ დევთაგს ცხეთაგი ადგილზე არ დახვდა, ვინაიდან ის დევმა შეიპყრო. დევთაგმა მოკლა დევი და ძმები მის ქონებას დაეუფლნენ. მათ ჰყავდათ და, რომელსაც სხვა დევი შეუყვარდა და ძმები დასალუპად ფარშევანგის შვილის მოსაყვანად გაგზავნა. დავალების შესრულების შემდეგ დაბრუნდნენ სახლში, მოკლეს დის საყვარელი სამთავიანი დევი და კი ბუხარზე შემოსვეს, სანამ იმანაც არ განუტევა სული.

3. დათვის მონოლოგია, რომელიც ჩივის, რომ შემოდგომაზე არავინ უწილა-დებს არც ჭიქა ღვინოს და არც ხბოს; ამ საბრალო დათვს ადიშში კბილები ჩაულენეს ქალებმა და ბავშვებმა ქვებით, გოგა და დადამ კი მისკენ თოფი მოიმარჯვა. დათვის ჩივილს სალექსო ფორმა აქვს.

4. სატირაა ლექსად გამოთქმული. აქ დასახელებულია კონკრეტული გვარები, რომელთა წარმომავლებსაც ან გესლიანი ენა აქვთ, ან მშივრები არიან, ან ცარიელი სახლ-კარი აქვთ და ა.შ.

მეხუთე და მეექვსე ტექსტები სასულიერო ხასიათისაა და წმინდა მიქაელს, წმინდა გაბრიელს და წმინდა გიორგის ეძღვნება.

7. ტექსტი კასავ ყითვიანზეა, რომელიც არც ბერდება და არც კვდება, მიემართება ზემო სვანეთის სოფლებში. ტექსტის ბოლო სტრიქონებში აღწერილია, რომ ამოხოცილი ბავშვები მდინარიდან ამოჰყავთ ქალებს და დასტირიან.

8. მურზა ბეგის გამოლაშქრებაზე სვანეთზე, რომელმაც ავი სიმზარი ნახა, თითქოს სვანეთში ძალღებს კბილები დასცვენოდათ. ლექსის სრულდება იმ გვარების წარმომადგენელთა დასახელებით, რომელთაც ვერ ამოიცნეს მტრად მოსული მურზა ბეგის ჩანათყირი. ბოლო სტრიქონები იმაზეა, თუ როგორ შეიპყრო მურზამ ექვსი სვანი, გაკოჭა და მათი თავები როგორ მიგორავს ყინულზე.

9. მონადირე ავთანდილზეა. ის მიდის სანადიროდ და თინათინს გამომშვიდობებისას არც კი კოცნის. შემხედური სამი მხედარი ეტყვის, რომ მარგალიტ-ასხმული შავი მხედარი ნახეს. ავთანდილს კოშკიდან გამოჰყავს მარუჯან აფრესიონი და ტარიელს ცოლად მიჰგვრის.

10. ავი თვალისგან დასაცავი შელოცვაა.

მეორე ნაწილში მოცემული ტექსტები შეკრებილია ენგურის სვანეთში, კერძოდ, კალაში, მულახში და ბეჩოში. მოქმელად მითითებულია გიორგი გასვიანი:

1. ხალხური სიმღერა, რომელიც იმდენად ბუნდოვანია, რომ ჩანწერის დროს მისი სიტყვები ვერც ვინმე ალი გარდაუხაძემ განმარტა.

2. შეიცავს ანდაზებს და გამოცანებს. სულ სამი ანდაზაა: ამბობენ, მტრედს პათიოსნებისგან ნისკარტი დაეწვა და შენც ასე დაგემართაო; ამბობენ, ბიჭს ვინც ატირებს, მას უყვარსო და შენც ასე ხარო; როცა მღვდელი მაძლარია, ესიზმრება, რომ დიაკვანი ხდება. გამოცანა: შიგნით სველი და გარედან მშრალი, მის გარემო ადამიანი არაფრად ვარვა (ვარცლი).

3. დაუსრულებელი თქმულებაა გიორგი დადვანზე, რომელიც ოსებმა მდინარეზე შეიპყრეს.

ბეჩოში ჩანერილი ტექსტების მთქმელი როზან კვიციანია:

1. სამი უფლისწულის ზღაპარია, რომელიც სინამდვილეში იმაზეა, როგორ ავგავნის მამა ვაჟიშვილებს ცოლის მოსაძებნად. პირველი ორი ცოლს ვერ მოიყვანს, თუმცა ერთი მოძებნის ხეს, რომლის ერთი ფოთოლიც საგზლად სამ ცხენს სამი დღე ყოფნის, მეორე ძმა კი – მდინარეს, რომლის წყალში თითის ჩაყოფით თითი ოქროსი ხდება. მესამე ძმა კი ღრუბლებში გაუჩინარდება და სამი წლის შემდეგ ისარს ჩამოაგდებს, რომელიც ერთ კაცს შუბლში მოხვდება.

2. სიმღერაა ლეჩაქიან დედოფალ თამარზე, რომელსაც მარგალიტის კბილები და აბრეშუმის თმა აქვს.

3. სიმღერაა უმკულებელ ყმანვილებზე, რომლებიც შეიყარნენ კვირას და ორშაბათს სატანასთან წავიდნენ.

4. სიმღერა ბიმურზელაზეა, რომელმაც ცოლი წაართვა ბექას. ნადირობიდან დაბრუნებულმა კი შური იძია.

5. გაქართველებული ბეჩოური სიმღერაა და პირველ პირში მოგვითხრობს, როგორ ნახა კოშკი, შეანგრია, ხელიდან გამოაცალა წერილი და წაიკითხა. ტექსტი სინანულით ჩამოთვლის თითოეულ ქმედებას.

ენერის თემში ჩანერილი ტექსტების მთქმელია ბიმურზელ აფრასიძე:

1. „ჯაჭვლიანი“ მოგვითხრობს, თუ როგორ წაართვა მან იარაღი მდინარის პირას ასლან მურზას ლაშქრის ერთ-ერთ წევრს, როგორ გადავიდა ენერში და იქ დადემქელიანების ისლამი უნდა მოეკლა.

2. როსტომზეა, რომელიც სამეგრელოდან იყო. მას შემოხვდა მგელი, რომელსაც ჭიანჭველა ეჭდა. მოკლა ეს მგელი. ჭიანჭველა წამოიყვანა და მორთო ყვირილი: „რა გინდა, დაძმობა, ცოლქმრობა თუ დედაშვილობა?“ როსტომმა ეს უკანასკნელი აირჩია და ჩაიდო ძუძუსთავი პირში.

ჭბიხევეში ჩანერილი ტექსტების მთქმელია დუდარუქ ცინდელიანი:

1. აქ მოთხრობილია ასლამაზზე, რომელმაც ცოლი ლეჩხუმიდან წამოიყვანა. ერთ დღესაც სახლში რომ ვერ ნახა, ცოლურთან წავიდა და იქ მოკლეს.

2. ეს ტაუბეგზეა, რომელიც სამი წელი იყო წასული სანადიროდ, მერე შეიპყრეს და თორმეტი წელი ტყვეობაში გაატარა, სანამ არ გამოიქცა. გზაში გადატანილი ფათერაკების შემდეგ სახლში დაბრუნდა, ჯერ ვერ იცნეს, მერე კი დიდი ქეიფი გამართეს.

საკვანძო სიტყვები: სვანური ტექსტები, სვანური სიმღერა, სვანური გამოცანა, სვანური ანდაზა.

Key words: the texts from Svaneti, Svan song, Svan riddles, Svan proverbs.

CMOMPK, №10, განც. 2, გვ.161-241, ივ. ნიუარაძე, „სვანური ზღაპრები“: სამი ზღაპარი ჩანერილია სოფელ უშგულში. ტექსტებს ახლავს თარგმანი რუსულ ენაზე და ლექსიკონი.

1. კეისარი: ერთ ხელმწიფეს და ჰყავდა სამი ასული. ცოლი რომ მოუკვდა, მოუყვანა ქალიშვილებს დედინაცვალი. ქალმა ქმარს უთხრა, შენი შვილები მომაშორეო. კაცმა ტრიალ მინდორზე მდგარი ვაშლის ხის სამი ნაყოფი წამოუღო ქალიშვილებს. მათ სთხოვეს მამას ხესთან მიყვანა. მამამ ხის ძირში გათხარა ორმო, მასზე ნოხი გადაათარა და ვაშლები ჩამოყარა. ქალიშვილები ორმოში ჩაცვივდნენ. ორმოში დები ჯერ წამოღებულნი ვაშლებით იკვებებოდნენ. მერე უფროსმა დებმა უმცროსის შეჭმა გადაწყვიტეს, იმან კი ღმერთს სთხოვა მისთვის ხელები ნიჩბებად ექცია. ასე ამოვიდა ორმოდან სამი და. იარეს და მიადგნენ თუნუქის სახლს. ამ სახლში ხელმწიფის სამი რაში ება, რომელთაც მოხარშულ ხორბალს აჭმევდნენ. მიეპარნენ დები და გასუქდნენ რაშების საკვებით, რაშები კი გახდნენ. დარაჯებმა ღამით დაიჭირეს დები. ხელმწიფემ ვაჟისთვის გადაწყვიტა ერთ-ერთის მითხოვება. აღმოჩნდა, რომ უფროსს შეეძლო არაჩვეულებრივი ხალიჩის მოქსოვა, შუათანას – არაჩვეულებრივი თასის გამოჭედვა, უმცროსს კი – ისეთი გოგო-ბიჭის გაჩენა, რომ ოქროსები იქნებოდნენ წელს ზემოთ, ქვევით კი – ბაჯალღოსები. ვაჟმა უმცროსი შეირთო. უფროს დებს შემურდათ უმცროსის ბედი და შვილები ძალღს ლეკვებით შეუკვალეს, ბავშვები კი წყალში გადაყარეს. უფლისწულმა ცოლი გააგდო, ბავშვები კი მდინარის წყალმა წისქვილის დოლაბთან მიიყვანა. ბიჭი მღვდელმა იპოვა, გაიზარდა და დადგა კარგი მონადირე. უფროსი დები მიხვდნენ, ვინც იყო და გაუშვეს იალბუმზე ჯერ ოქროს ხის ვაშლის, შემდეგ კი სარკის ჩამოსატანად. მონადირემ შეასრულა დავალებები. ამის შემდეგ დასავლეთის ხელმწიფის ცოლის მოსაყვანად გააგზავნეს. მიადგა მონადირე ბროლის სასახლეს. მეფეს სამი ქალიშვილი ჰყავდა, უმცროსს შეუყვარდა ვაჟი, მაგრამ მეფე არ ატანდა ცოლად. მისცა სამი დავალება და სამივე შეასრულა მეფის ასულის დახმარებით. შეირთო ვაჟმა ხელმწიფის ქალიშვილი, წავიდა სამშობლოში, დახოცა დეიდები და დედამისთან ერთად დაბრუნდა უკან და დაიწყეს ბედნიერად ცხოვრება.

2. „სამი ძმა“: სამი ძმა გაიყო, უფროსს დარჩა სახლ-კარი, შუათანას – ერთი ქცევა მინა და ტყე, უმცროსს კი – ცხვარი და ერთი კვნიტი საკმეველი. ავიდა უმცროსი ძმა მთაზე, ამოთხარა ორმო, ჩააგდო ცხვარი და უკმია ღმერთს საკმეველი. ღმერთი დაინტერესდა, ვისი შესაწირი იყო ეს და ამბის გასაგებად გამოუშვა წმინდა გიორგი და მაცხოვარი (სვანური სიტყვა მიქაელ მთავარანგელოზს აღნიშნავს, აღნიშნულია ჩანანერის ბოლოს). ღმერთმა შეაგროვა ძვლები და გააჩინა ძროხა და ხბო. ჩაუყვანეს ეს ძროხა და ხბო უმცროს ძმას. წმინდა გიორგის რჩევით, კაცმა ღმერთს სთხოვა ცოლი, ძროხა რომ მოეწველა. წავიდნენ გიორგი, მაცხოვარი და კაცი ერთ სამეფოში. მეფის ასულს ორი მთხოვნელი ჰყავდა. მეფემ დავალებები მისცა მთხოვნელებს: 1. ქუდს შეაგდებდა

ცეცხლში და ვისი ქუდიც მოოქროვილი გახდებოდა, იმას მიათხოვებდა ქალიშვილს. ამ კაცის ქუდი მოოქროვილი გახდა, სხვების ქუდებისგან კი არათუერი დარჩა; 2. ვაზის რტოს ცეცხლში ფესვი უნდა გაედგა და ნაყოფი გამოესხა. ამ დავალების შესრულების შემდეგ მეფის ასულმა ოქროსწვერიანი კაცი აირჩია ქმრად. უამრავი ფათერაკის გადალახვის შემდეგ ქალი მაინც ამ კაცს დარჩა შემდგომში. წმინდა გიორგი ყველანაირად ეხმარება კაცს, მაგრამ კაცი ივინყებს წმინდა გიორგის ამავს. სწორედ წმინდა გიორგიმ სთხოვა მისთვის შვილები ღმერთს. მისი დამსახურებაა ისიც, რომ ბავშვები არ დაიღუპნენ და სრული სიცოცხლით იცხოვრეს. ერთხელ ამ კაცთან მოხუცი კაცის სახით მივიდა წმინდა გიორგი. ცოლმა კარი გააღო. ამ კაცის შვილები კი ღვინოში ჩაყვივდნენ და დაიხრჩვდნენ. წმინდა გიორგიმ, რომელსაც მოხუცის სახე ჰქონდა მიღებულ, კაცს უთხრა, ვინც იყო და გაუცოცხლა შვილები იმ პირობით, რომ აღარ დაივინყებდა მის სახელს. ამის შემდეგ კიდევ არაერთხელ დაეხმარა წმინდა გიორგი კაცს, ღმერთი მიხვდა, წმინდა გიორგი რომ მის მხარეს იყო, შეეშვა კაცს და ისიც დიდხანს ბედნიერად ცხოვრობდა.

3. „სამი ძმა და მოხუცი მამა“: უმცროსი ძმა მივიდა სამეფოში, სადაც ცხოვრობდა შავ კაცზე დანიშნული მეფის ასული, რომელსაც შეუყვარდა უმცროსი ძმა. მეფემ ვაჟს რთული დავალება მისცა. შავმა კაცმა რომ გაიგო, მეფე არ შეასრულებს პირობასო, გაბრაზდა და გადაკარგა მეფის ასული. ვაჟი საცოლის საძებნელად წავიდა. მისი სიძეები (დევი და არწივი) ვერ დაეხმარნენ. მესამე სიძის (ლომის) დახმარებით კი იპოვა ქაჯეთში გადაკარგული საცოლე, დააბრუნა სახლში და გზაში მოკლა შავი კაცი. ამ საქმეებში მას დაეხმარა ცხენი საღარაც.

საკვანძო სიტყვები: სვანური ზღაპრები, მონადირე, სამი და, სამი ძმა, საღარაც ცხენი, შავი კაცი.

Key words: Svan tales, a hunter, three sisters, three brothers, horse with white mark on head, a black man.

HO, 1889, N1895, ინ-და-ბანი, „ქართული ზღაპრებიდან - სიმზარა“: ცეროდენას დაესიზმრა, თითქოს მზე ეჯდა მარჯვნივ, მთვარე – მარცხნივ, შუაში კი – ვარსკვლავი. დედინაცვალმა გააგდო ცეროდენა სახლიდან, რადგან მან სიმზარი არ აჩუქა. მივიდა ხელმწიფესთან, რომელსაც უამბო სიმზარი. ხელმწიფესაც რომ არ მისცა სიმზარი, ჩააგდეს ორმოში. შეეცოდა ხელმწიფის ასულს სიმზარა და დამდამობით საჭმელი მიჰქონდა მასთან. აღმოსავლეთის ხელმწიფეს თავისი ვაჟიშვილისთვის მოუწადა ამ ხელმწიფის ქალიშვილი. მეფის სამი რთული დავალების შესრულებაში დაეხმარა სიმზარა მეფის ასულს. ეს დავალებები იყო: ოთხი ცხენის ასაკის გამოცნობა, მარილის ლოდის თანაბარ ნაჭრებად დაშლა, ისრის ამოღება მიწიდან. ბოლობოლო დასავლეთის ხელმწიფემ თავისი ასული სიმზარას მიათხოვა. სამი კვირის შემდეგ სიმზარამ დატოვა ორსული ცოლი და აღმოსავლეთის ხელმწიფეს მიაღწა. გზაში მან დაიმეგობრა შვიდი უცნაური

უნარის მქონე კაცი: რომელთაგან ერთი ბელტებს ყლაპავდა, მეორე ზღვას სვამდა, მესამეს ჭიანჭველის ხმა ესმოდა, მეოთხე კურდღლებს დასდევდა ფეხებზე წისქვილის ქვებზემული, მეხუთეს ისრის სროლა შორ მანძილზე შეეძლო, მეექვსე მტრედს ისე აცლიდა ბუმბულს, რომ მტრედი ვერაფერს გრძნობდა, მეშვიდე ზურგზე მეჩეთმოკიდებული დადიოდა. შვიდივე გამოადგა მას მეორე ცოლის მოყვანისას, როდესაც აღმოსავლეთის მეფემ სხვადასხვა სირთულის დავალება მისცა. სიზმარა ექვსი წლის შემდეგ დაბრუნდა დასავლეთის მეფის სასახლეში აღმოსავლეთის მეფის ქალიშვილთან ერთად. ერთ დილას სიზმარას გვერდში ორი ცოლი ედგა, ხოლო მისი ექვსი წლის ვაჟიშვილი ხელპირის დასაბანად წყალს უსხამდა. ეს იყო მისი სიზმარი, რომელსაც წლების წინ ვერაფრით ვერ აჩუქებდა დასავლეთის მეფეს. დასავლეთის მეფემ თავისი სამეფო ცეროდენას დაუტოვა, რომელიც ისეთ ლამაზ ჭაბუკად გაიზარდა, რომ ენა უკეთესს ვერ აღწერდა.

საკვანძო სიტყვები: ზღაპარი, სიზმარი, დედინაცვალი, მზე, მთვარე, ვარსკვლავი.

Key words: Fairy tale, Dream, stepmother, the sun, the moon, the star.

HO, 1890, №2252, ი. ხონელი, „ქართული ზღაპრებიდან № დერვიში“: ეს ზღაპარი ჩაიწერა ბაქათალაში აპოლონ ინაშვილ-ივანიცკიმ. ერთ დერვიშს ათი ცოლი ჰყავდა და ყველა ლალატობდა. მოიყვანა პატარა გოგო, რომელიც ოთახში გამოკეტა, რათა თვითონ აღეზარდა. თხუთმეტი წლის გოგომ, გახვრიტა კედელი და დაინახა ტყე, ტყეში კი ყმანვილი, რომელიც მაშინვე გულში ჩაუვარდა. სტუმრად მოსულ დედას უამბო ყველაფერი. დედამ დერვიშს გამოატანა სკივრი, შიგ იჯდა ის ყმანვილი, დერვიში რომ სახლიდან გავიდოდა, სიყვარულს ეძლეოდნენ. ერთხელ დერვიშმა დაინახა მეორე დერვიში, რომელმაც ჯიბიდან ნაჭერი ამოიღო, გააქნია და გადაიქცა ლამაზ ქალად, მიეცნენ სიყვარულს. ჩაეძინა დერვიშს. ახლა ქალმა გააქნია ნაჭერი, გაჩნდა ყმანვილი, მიეცნენ სიყვარულს. როცა დერვიშმა გაიღვიძა და ქალი ისევ ნაჭრად აქცია, პირველმა დერვიშმა სახლში მიიპატიჟა, ცოლს კი ექვს კაცზე გააწყობინა სუფრა და აიძულა ქალები, გამოეჩინათ საყვარლები. მიატოვეს ცოლები დერვიშებმა და წავიდნენ ქალების გაიძვერობის ამბების შესავროვებლად. ბოლოს მიადგნენ ერთი ვაჭრის სახლს. ვაჭარს და მის ცოლს ნაძლევი ჰქონდათ დადებული, რომელი უკეთ მოატყუებდა მეორეს. ცოლმა დერვიშები სკივრში ჩაკეტა, ქმარს კი უთხრა, ყაჩაღები სკივრში ჩაიმაღლნენო. ასე აჯობა ტყუილში ქმარს. დერვიშები კი მიხვდნენ, რომ ქალების გაიძვერობას და ტყუილს ბოლო არ ექნებოდა და შეეშვნენ ამბების ჩაწერას.

საკვანძო სიტყვები: ნოველისტური ზღაპარი, დერვიში, მისოგინიზმი.

Key words: novelistic tale, dervish, misogyny.

HO, 1890, №2265, ი. ხონელი, „ქართული ზღაპრებიდან – მეტყვევის ქალიშვილი“: მეტყვევის ცოლის მშობიარობისას დასახმარებლად მოსულმა მშემ, მთვარემ და ფრინველებმა მონათლეს გოგონა. ამის შემდეგ მას თვალეებიდან მარგალიტი სცვიოდა, როცა გაივლიდა – ია და ვარდი, რასაც შეეხებოდა ოქროდ იქცეოდა. შეუყვარდა მეტყვევის ქალიშვილი უფლისწულს. შავ მსახურს შეშურდა ქალიშვილისა, თვალეები დაათხრევინა და მდინარეში გადაყარა. თვითონ გადაიკვა პატარძლის სამოსი და გახდა უფლისწულის ცოლი. მეტყვევის ქალიშვილი მენისქვილემ იპოვა. გამდიდრდრებული მენისქვილე გამოტეხა უფლისწულმა. ცხრა თვის შემდეგ მძინარე მეტყვევის ქალიშვილს შეეძინა ვაჟიშვილი, რომელიც უფლისწულმა სასახლეში მიუყვანა თავის უშვილო ცოლს. ამ ქალს ერთი ბატკანი ჰყავდა, რომელშიც მეტყვევის ქალიშვილის სიცოცხლე იყო და დააკვლევინა ეს ბატკანი. დაკლულის თავში კი პატარა ზარდახმა იყო, რომლითაც ბავშვი თამაშობდა. ერთხელ უფლისწულმა ბავშვი დედამისთან მიიყვანა, მძინარეს როცა ზარდახმა შეეხო, გაცოცხლდა. გაიარა და ია-ვარდით გაავსო იქაურობა. ყვავილები ზანგის ქალს ერთ თვალში გადააკვლევინეს, მეორე თვალში კი ამ თვალისგან გადმოყრილი თვალ-მარგალიტი მისცეს. ზღაპრის დასასრულს ზანგის ცოლი მოკლეს, უფლისწული, მეტყვევის ქალიშვილი და მათი შვილი კი ბედნიერად ცხოვრობდნენ.

საკვანძო სიტყვები: მეტყვევის ასული, მარგალიტი, ყვავილები, ზანგი ქალი.

Key words: woodsman, pearl, flowers, a black servant.

HO, 1890, №2271, ი. ხონელი, „ქართული ზღაპრებიდან – ვაჟიშვილის გამოცდა“: ჩაინერა ქიბიყში აპოლონ ინაშვილ-ივანიცკიმ. მეფეს სამი ვაჟიშვილი ჰყავდა, უფროსები დასაქორწინებლები იყვნენ, უმცროსი კი – პატარა. მამამ შვილებს გამოსაცდელად თოფი ასროლინა. მხოლოდ უმცროსმა შეძლო მიზანში ტყვიის მოხვედრება. მამამ დაავალა ისეთი ყურძნის მოტანა, რომელიც არ ილევდა. შემხედური ქალისაგან გაიგო, როგორ მოეპოვებინა ამ ყურძნის მტევანი. ტბაში მოხანავე ასულებს მოჰპარა ტანსაცმელი, რაშიც ყურძნის მტევანი მოსთხოვა და მიიღო კიდევ. მამამ ახლა ორი ბრონეულის მოტანა მოსთხოვა, რომელთაგან ერთი იცინოდა, მეორე კი ტიროდა. იმავე ქალმა ასწავლა, როგორ მოხვდებოდა დევის სამყოფელში. საზღვარზე ძაღლი დააპურა, ცხენს გადაუჭირა მათრახი და იქ გადავიდა. დევის სასახლეში დამხედურმა მზეთუნახავმა დევის მოაკრეფინა ბრონეული და ბიჭს მისცა. ბიჭმაც მზეთუნახავი თან წამოიყვანა. დევმა კი საზღვარი ვერ გადმოლახა. მეფე გააოცა მომცინარე და მტირალა ბრონეულების ნახვამ, გაახარა შვილის იღბალმა და დალოცა შეყვარებულები.

საკვანძო სიტყვები: სამი ძმა, ყურძენი, ბრონეული, მზეთუნახავი, დევი

Key words: three brothers, graoes, pomme-granate, mzetunakhavi, Daeva.

CMOMIIK, 1894, №19, განც. 2, გვ. 1-154, იმერული ზღაპრები – 1. „ლევან დათვისშვილი (მთქმ. ნინა წულუკიძე, ჩამწ. მ. ვასილკოვა, ხონი)“: დათვმა გაიტაცა მღვდელი, მასთან კავშირი დაამყარა და რამდენიმე თვის შემდეგ დაუტოვა ახალშობილი ბავშვი, რომელიც უკვე ხუთი თვისას ჰგავდა. მღვდელმა ბიჭუნას ლევან დათვისშვილი დაარქვა. ბიჭუნა სწრაფად იზრდებოდა, მაგრამ მის გაუმადლობას მღვდელი ვეღარ გაუმკლავდა და მეფესთან მიიყვანა, მეფემ დაიტოვა ყმანვილი, მაგრამ მალევე იხანა და მისი დალუპვა გადაწყვიტა: გაუშვა ხის მორების მოსატანად უღრან ტყეში; შემდეგ – მეფისწულისთვის მზეთუნახავის მოსაყვანად გაგზავნა. ლევანმა ეს დავალება გზაში დამეგობრებული: ბევრის მჭამელი, ბევრის მსმელი, ყოვლისმსმენელი, კურდღლის, კოჭლი მწყემსის დახმარებით შეასრულა. როცა უკან დაბრუნდა, თურმე მეფეს მის დასალუპად დიდი ორმო ამოეთხარა, რომელშიც მღვდლარე წყლით სავსე ქვაბი იდგა. ლევანი, როგორც კი ჭიშკარში შევიდა, მიწა ჩავარდა და ლევანი ქვევით მიექანებოდა. ამ დროს მას გაახსენდა ადრე დამეგობრებული ოთხი რაში, გადააბა მათი ძუები ერთმანეთს და რაშებიც მასთან გაჩნდნენ. ლევანმა რაშებს მეფის დალუპვა უბრძანა. რაშებმა სასახლე დაანგრეს. დანგრეულის ადგილზე ლევანმა ახალი სასახლე ააშენა, რომელშიც დიდხანს და ბედნიერად ცხოვრობდა მზეთუნახავთან ერთად.

საკვანძო სიტყვები: დათვის შვილი, მღვდელი, მზეთუნახავი.

Key words: the son of the bear, the priest, Mzis-nakhavi (the beauty).

CMOMIIK, 1894, №19, განც. 2, გვ. 1-154, იმერული ზღაპრები – 2. „ცხრათავიანი არწივისა და მონადირის ზღაპარი“ (მთქმ. მ. არდიშვილი, ჩამწ. მ. ვასილკოვა ი. ლიხოვიჩისგან, ქუთაისი): მონადირესა და მის ცოლს არ ჰყავდათ შვილი, ერთხელ მონადირე ხელმოცარული ბრუნდებოდა შინ, რომ ტოტზე დაინახა ცხრათავიანი არწივი, ის-ის იყო, უნდა ესროლა ისარი არწივისათვის, რომ არწივმა ადამიანის ხმით მიმართა მონადირეს: – რვა ჭრილობას მეცხრეც რომ დაემატოს, უცილობად მოვკვდებიო, თუ დამინდობ, მეფურად დაგასახლებო. მონადირემ ჩამოსვა ტოტიდან არწივი, შინ მიიყვანა, უპატრონა ცოლთან ერთად. როცა არწივი მომჭობინდა, მონადირეს გაყოლა სთხოვა. პირველად არწივის იმ დას ესტუმრნენ, რომელიც თეთრი ზღვის მეფეს ჰყავდა ცოლად, მათი სასახლე სულ ალმასებით იყო განწყობილი. არწივმა პირი არაფერს დააკარა და დას სთხოვა, პატარა ყუთი ეჩუქებინა მისთვის, მაგრამ დისგან უარი მიიღო. მეორე და ნითელი ზღვის ხელმწიფის ცოლი იყო, მათი სასახლე მარჯნისგან იყო აგებული, შიგნით ლალის თვლებითა და ძონით გამართული. არც აქ დააკარა არწივმა არაფერს პირი და დას პატარა ყუთი სთხოვა, რაზეც ისევ უარი მიიღო. არწივის მესამე და ლურჯი ზღვის ხელმწიფეს ჰყავდა ცოლად და მათი სასახლე ფირუზით ნაგები და საფირით განწყობილი იყო. გამასპინძლების შემდეგ არწივმა დას პატარა ყუთი სთხოვა, რაც მიიღო. ეს პატარა ყუთი მონადირეს მისცა და უბრძანა,

შინ მისვლამდე არ გაეხსნა. მონადირე დაემშვიდობა არწივს, მაგრამ გზაში სულმა წასძლია და ყუთში ცალი თვალით ჩაიჭყიტა. მის გაკვირვებას საზღაური არ ჰქონდა, როცა აღმოაჩინა, რომ ამ პატარა ყუთში მთელი სამეფო ჩატეულიყო და იმ სამეფოს მეფე თვითონ იყო. ამ დროს მასთან არწივი მოფრინდა, რომელმაც მონადირეს უთხრა, რომ ის მიწები მისი იყო, მოეკრიფა სამეფო და დროზე გასცლოდა იქაურობას. მონადირემ შენდობა სთხოვა არწივს, რომელმაც იმ პირობით შეუწოდა, რომ მისთვის მიეცა ის, რაც სახლში დახვდებოდა ისეთი, რაც შინიდან გასულს არ დაუტოვებია. მონადირე როცა დაბრუნდა სახლში, შინ სასიხარულო ამბავი დახვდა, მის არყოფნაში მის ცოლს შვილი გაეჩინა. დამწუხრდა მონადირე, რადგან, პირობის თანახმად, მისი ვაჟიშვილი არწივს ეკუთვნოდა. მას ველარც სამეფო ახარებდა, რომელიც არწივმა პატარა ყუთით უბოძა და ვერც სიმდიდრე. როდესაც ბიჭუნა გაიზარდა, მან დედ-მამას მწუხარების მიზეზი დასტყუა. ყმანვილი არ შეუშინდა არწივთან შეხვედრას და მასთან წავიდა. გზაში ერთი მოხუცი შეხვდა, რომელმაც ასწავლა, რომ მდინარესთან ღამით საბანაოდ სამი არწივი მოფრინდებოდა. ერთ არწივს სპილენძის, მეორეს ვერცხლის, მესამეს კი ოქროს ფრთები ექნებოდა. ამ ფრთებს რომ მოიხსნიდნენ და საბანაოდ წყალში შევიდოდნენ, ყმანვილს ოქროს ფრთები უნდა მოეპარა და იქამდე არ დაებრუნებინა არწივისთვის, სანამ ის ცოლობას არ შეჰპირდებოდა. ჭაბუკი ასეც მოიქცა. არწივები ცხრათავიანი არწივის ქალიშვილები იყვნენ. ჭაბუკი მის სასახლეში მივიდა და გამოუცხადა სურვილი, დაქორწინებულიყო მის ქალიშვილზე. არწივმა ყმანვილს სამი დავალების შესრულება მოსთხოვა. მან სამივე შეასრულა არწივის ქალიშვილის დამხარებით. პირველი დავალების მიხედვით ერთ ღამეში უნდა აეგო ისეთი ეკლესია, რომლის სამრეკლოზეც ბარები თავისით ირეკებოდა და გალობა არ წყდებოდა. მეორე დავალების მიხედვით, ერთ ღამეში ისეთი ხეხილის ბაღი უნდა გაეშენებინა, რომლის ერთი რიგიც იკვირტებოდა, მეორე რიგში მკვახე ნაყოფი ესხა, მესამე რიგში კი ხეებს მწიფე ნაყოფი ება. მესამე დავალების მიხედვით, ყმანვილს ერთ ღამეში ისეთი ქვიშის ხიდი უნდა აეგო, რომელსაც ვერანაირი სიმძიმე ვერ ჩაანგრევდა. არწივს არ სურდა ბიჭისთვის მიეთხოვებინა ქალიშვილი და ასეთი რაღაც მოიფიქრა: სამი კვერცხიდან ერთში ქალიშვილს დამალავდა და ყმანვილს უნდა გამოეცნო, რომელში იჯდა მისი საცოლე. ჭაბუკმა ამ დავალების შესრულებასაც გაართვა თავი, რადგან კვერცხი გაიხსრა. მეორე დღეს ცხრათავიან არწივს ჭაბუკის და ქალიშვილის დალუპვა ჰქონდა განზრახული, მაგრამ ისინი გაიქცნენ. სახლში მისულმა დედ-მამას უამბო ყველაფერი, გადაიხადეს ქორწილი და ცხოვრობდნენ ბედნიერად თავიანთ სამეფოში.

საკვანძო სიტყვები: ცხრათავიანი არწივი, არწივის ქალიშვილები, სამმწკრივიანი ბაღი, ქვიშის ხიდი, კვერცხი.

Key words: nine-headed eagle, daughters of the eagle, three-rawed orchard, sand-bridge, an egg.

СМОМПК, 1894, №19, განყ. 2, გვ. 1-154, იმერული ზღაპრები – 3. „არწივის გაზრდილი (მთქმ. ს. ბაბუნაშვილი, ჩამწ. მ. ვასილკოვა, ქუთაისი)“: ერთმა ქვრივმა შვილობილისგან გოგონა გააჩინა (სქოლიოში განმარტებულია, როგორ ხდება შვილად აყვანა). სირცხვილის დასათუარად გოგონა ჩენჩოვებთან ერთად ორმოში ჩამარხა. მოფრინდა ჯერ ჭილეყვავი, მერე – კაჭკაჭი, ფრთებით ამოჩიჩქნეს მიწა, შეეშინდათ, ბავშვი რომ დაინახეს და გაფრინდნენ. მოფრინდა არწივი, ჩაავლო კლანჭები გოგონას და თავის ბუდეში წაიყვანა. არწივის გაზრდილი გოგონა ულამაზეს ქალიშვილად იქცა. მას მამობილი არაფერს აკლებდა, მაგრამ უშლიდა მიწაზე ჩასვლას. მოუტანა ოქროს საწოლი, ჩონგური და მოწყენილი ქალიშვილი ამ ჩონგურზე უკრავდა ხოლმე, როდესაც არწივი საშოვარზე მიფრინავდა. ერთხელ ტყეში უფლისწული ნადირობდა და შემოესმა ჩონგურის ჯადოსნური ხმა. უბრძანა მსახურებს, მოეძებნათ, საიდან მოდიოდა ეს ხმა. ასე მიაგნეს ხეს, რომელზეც ქალიშვილის ოქროს საწოლი იყო მოთავსებული კენწეროზე. უფლისწულის მსახურები ვერ ავიდნენ ხეზე, ამიტომ უფლისწულმა ქალიშვილის ჩამოსატყუებლად მოაყვანინა ბატკანი, რომელსაც წვალეუბა დაუწყო. ქალიშვილს შეებრალა ბატკანი და ხიდან ჩამოძვრა. უფლისწულმა დასტაცა ხელი, სასახლეში გააქროლა და ცოლად შეირთო. ყველაფერი ბედნიერად იქნებოდა, რომ არა ქალიშვილის დარდი მამობილზე. უფლისწულს ეჭვი შეეპარა, რომ ცოლს არ უყვარდა, ამიტომ თავი მოიმკვდარუნა. როდესაც ცოლი ატირებული გადაემხო კუბოს, უფლისწულმა დაიჯერა, რომ ცოლს ყვარებია და, წამოდგა კუბოდან. ამ დროს მოფრინდა არწივი და მათთან ერთად ცხოვრება მოითხოვა სასახლეში. უფლისწულმა არწივი თავის მინისტრად დანიშნა და ბედნიერად განაგრძეს ცხოვრება.

საკვანძო სიტყვები: არწივი, არწივის გაზრდილი ქალიშვილი, უფლისწული.

Key words: the eagle, the maiden raised by the eagle, the prince.

СМОМПК, 1894, №19, განყ. 2, გვ. 1-154, იმერული ზღაპრები – 4. „ბრიყვი ღარიბის ზღაპარი“ (მთქმ. ვ. გვეტაძე, ჩამწ. მ. ვასილკოვი, კუნლაშვილისგან, ქუთაისი): ცხოვრობდა ერთი ღარიბი კაცი, ხანდახან დღეები ისე გადიოდა, ლუკმას ვერ იღებდა პირში. გადანყვითა, ღმერთი მოენახულეებინა და შეეჩვილა თავისი უპოვრობის გამო. იფიქრა, იფიქრა და მოიფიქრა, რომ ღმერთი ზღვის იქით უნდა იქებნა და დაადგა გზას. გზაში შეხვდა მგელი, რომელმაც სთხოვა, ღმერთისათვის ეკითხა: იმდენს რატომ დარბოდა, რომ ამოსასუნთქადაც ვერ ჩერდებოდა. განაგრძო გზა და მიადგა მუხას. იმანაც სთხოვა, გაეგო, ნადარევიდ რატომ ხმებოდა? ზღვაზე ნანახმა თევზმა კი სთხოვა გაეგო ზღვის ფსკერზე რატომ ვერ ჩადიოდა? კაცმა განაგრძო გზა და მთის წვერზე დანვა დასაძინებლად. უცბად თავზე ადამიანის სახის მქონე უცნაური არსება დაადგა. ეს იყო ღმერთი. ღმერთმა მოისმინა ღარიბი კაცის ამბავი, უთხრა, რომ სიმდიდრეს უკანა გზაზე იპოვიდა; თევზი იქამდე არ გათავისუფლდებოდა, ვიდრე ვინმე მის მუცელში დავანებულ

მარგალიტს არ ამოიღებდა; მუხა ვერ გაიხარებდა, ვიდრე მის ფულურში ჩამარხული ოქროულობისგან არ გათავისუფლდებოდა; ხოლო მგელი იქამდე ირბენდა, სანამ სულელს, მიუხვედრელ კაცს არ შეჭამდა. გახარებული კაცი უკან გამოემართა. თევზმა ამოიღო მარგალიტი და ზღვის სიღრმეებისკენ გაცურა. ღარიბმა კაცმა მარგალიტს ხელი არ ახლო, მაინც სახლის გზაზე ღმერთი გამდიდრებას დამპირდა და ეს მარგალიტი აღარ მჭირდებოდა; მერე მუხა გაათავისუფლა ოქროულობისგან, მაგრამ არც ამ განძს ახლო ხელი, მაინც უნდა გავმდიდრდეო; მერე მგელს შეხვდა და ყველაფერი უამბო. მგელმა მოუბოდიშა: – შენზე უფრო ბრიყვი კაცი ჯერ არ შემხვედრია და რომ გათავისუფლდე, შენ უნდა შეგჭამო. ასე დასრულდა ზღაპარი სიმდიდრის მაძიებელ ბრიყვ კაცზე.

საკვანძო სიტყვები: ბრიყვი კაცი, თევზი, მუხა, მგელი, ღმერთი.

Key words: a fool man, a fish, an oak, a wolf, the God.

СМОТРИК, 1894, №19, განც. 2, გვ. 1-154, იმერული ზღაპრები – 5. „ვინ უფრო სულელია?“ (მთქმ. ი. ლომთაძე, ჩამწ. მ. ვასილკოვა მ. კუბლაშვილისგან, კისორეთი, ქუთაისის მაზრა): იყო ერთი ღარიბი კაცი, ჰყავდა ცოლი და სამი ქალიშვილი. კაცს ყანა სახლიდან შორს ჰქონდა, დილით უთენია რომ გავიღოდა, სამხარი მასთან ქალიშვილებს რიგრიგობით მიჰქონდათ. ერთხელ ცოლმა წყლის მოსატანად უფროსი ქალიშვილი გაუშვა. ქალიშვილმა მდინარის მეორე ნაპირზე ვეებერთელა მუხას შეავლო თვალი და წარმოიდგინა, რომ გათხოვდა, შეეძინა ბიჭი, ეს ბიჭი აძვრა ამ მუხაზე, ჩამოვარდა და მოკვდა. გამწარებულმა ქალიშვილმა კოკა მიწას დაანარცხა და დაიწყო ჯერარდაბადებული ბავშვის დატირება. სახლში რომ შეავიანდა, დედამ შუათანა ქალისვილი გაუშვა წყალზე. შუათანამ დის ატირების მიზეზი რომ გაიგო, იმანაც კოკა გატეხა და დაიწყო დისშვილის დატირება. ასე დაემართა უმცროს ქალიშვილსაც და დედასაც. სახლში დაბრუნებულმა დედა-შვილმა ერთადერთი ძროხა დაკლეს ქელეხისათვის. მოშიებულმა კაცმა როცა შეიტყო, რატომ არ მიუტანეს სამხარი, გადაირია მათ სიბრიყვეზე და დაიქაღნა, აღარასოდეს დაბრუნებულიყო სახლში, სანამ თავის ცოლ-შვილზე ბრიყვ ადამიანს არ იპოვიდა. იარა და მიადგა ერთ სახლს, სადაც გარდაცვლილ ქმარს ქალი ტიროდა და დარდობდა, ვის უნდა დარჩენოდა ქმრის ოქრო-ვეცხლის ნივთები და ხუთასი მანეთი. კაცი შევიდა ჭირისუფალთან და დაჰპირდა გარდაცვლილისთვის ნივთების წაღებას. ქვრივმა ყველაფერი მისცა. ღარიბი კაციც, აქაოდა ჩემს ცოლ-შვილზე უფრო ბრიყვი ვიპოვეო, სახლში გაბრუნდა. გზაში ქვრივი ქალის მაზლიც გააბრიყვა და ცხენი წარსტაცა და სახლისკენ გაქუსლა. მაზლი მიხვდა, რომ ღარიბმა კაცმა ისიც მოატყუა და შერცხვენილი დაბრუნდა რძალთან, რომელიც მოატყუა, რომ ცხენი გარდაცვლილ ძმას გავეუგზავნე შინ დასაბრუნებლადო.

საკვანძო სიტყვები: ბრიყვი დედა, ბრიყვი ქალიშვილები, ბრიყვი ქვრივი ქალი, ღარიბი კაცი.

Key words: a fool mother, fool daughters, fool widow, a poor man.

СМОМІІК, 1894, №19, განყ. 2, გვ. 1-154, **იმერული ზღაპრები – 6. „მეფის ეკონომისტის ქალიშვილის ზღაპარი“ (მთქმ. მ. კვერნაძე, ჩამწ. მ. ვასილკოვა სერგიევისგან, ქუთაისი):** კეთილი მეფის პირველი ვეზირი დაბერდა და მოენატრა ოჯახი, მეფემ იმ პირობით დაითხოვა, რომ უკან დაბრუნდებოდა, თუ შემცვლელს, ვაჟიშვილს, არ გამოუგზავნიდა. სახლში დაბრუნებულმა ვეზირმა აღმოაჩინა, რომ მისი ვაჟიშვილი ცოცხალი აღარ იყო. ქალიშვილები თანახმანი იყვნენ მამას ჩანაცვლებოდნენ ვაჟად გადაცმულები, მაგრამ უფროსმა და შუათანამ გამოცდას ვერ გაუძლეს – ადვილად შეშინდნენ, უმცროსი ქალიშვილი კი არ შეუშინდა საფრთხეს, გზა განაგრძო და მიაღწა დრაკონის სასახლეს. ამ სასახლეში ოთახები სულ ძვირფასი ქვებით და ფარჩით იყო მორთული. დრაკონმა საცთუნებლად ექვსი ულამაზესი ქალიშვილი შეუგზავნა უმცროს ქალიშვილს, მაგრამ სანადგეს ვერ მიაღწია. მეორე საღამოს მასთან დრაკონმა საკუთარი მომაჯადოებელი სილამაზის ქალიშვილი შეუშვა. ვეზირის უმცროსმა ქალიშვილმა ყველაფერი უამბო დრაკონის ქალიშვილს, რომელმაც აჩუქა ბეჭედი, რომელშიც შხამი იყო და უწინასწარმეტყველა, რომ გადაიქცეოდა ვაჟიშვილად, ამის შემდეგ კი დრაკონის ქალიშვილი ცოლად უნდა მოეყვანა. უმცროსი ქალიშვილიც დაჰპირდა, შემოაჯდა დრაკონის ქალიშვილის ნაჩუქარ რაშს და გაქუსლა კეთილი მეფის სამეფოში. ბევრი იარა თუ ცოტა იარა, მიხვდა, რომ მღვეარი მისდევდა. დრაკონი ამალით დადევნებია დასაღუპად. უმცროსმა ქალიშვილმა თავები მოკვეთა დრაკონებს, საცოლის მამას კი, რაშის რჩევით, თვალში ატაკა ხანჯალი. სასახლეში მისული გადასარევედ ართმევდა თავს დაკისრებულ მოვალეობას. ვაჟად გადაცმული უმცროსი ქალიშვილი შეუყვარდა კეთილი მეფის ავ ცოლს. დედოფალმა უშილობის წამლად გარეული მოუხელთებელი ტახის სისხლი და გული ინდომა. გულის სიღრმეში კი უმცროსი ქალიშვილის დაღუპვა ეწადა. რაშის რჩევით ქალიშვილმა მიზანს მიაღწია. შემდეგ დედოფალმა მოითხოვა, რომ ცოცხალი წყალი უშველიდა. ქალიშვილი წყლის მოსატანად გაქვავებულ სამეფოში წავიდა. შევიდა კარებში, რომელიც თავისით იღებოდა და იხურებოდა და მიუახლოვდა ნახევრად გაქვავებულ მეფეს, რომელსაც სული ბოროტი არსებისთვის ჰქონდა მიყიდული სიყვარულის მოსაპოვებლად და ახლა ამის საზღაურს იხდიდა. ქალიშვილმა მოკლა ბოროტი არსება, რომელიც ჯერ გველეშაპის სახით მოველინა, შემდეგ – არწივის, მერე კი ისევ გველეშაპად იქცა. სანამ მას თავს წააცლიდა, გველეშაპმა დაწყევლა: თუ ქალი ხარ, კაცად იქცე და თუ კაცი – ქალად. კაცად გადაქცეულმა ვეზირის უმცროსმა ქალიშვილმა აიღო ტახტთან დადგმული სიცოცხლის წყლით სავსე თასი, აპკურა ჯერ იქ მყოფ გატანჯულ მეფეს, მერე კი – ყველას და ყველაფერს იმ გაქვავებულ სამეფოში და

დაბრუნდა სასახლეში. უამბო კეთილ მეფეს ყველაფერი, რომელმაც ცხენის კუდს გამოაბა დედოფალი და ათრევირა, შვილად აღიარა ვეზირის ვაჟადქცეული შვილი, რომელმაც ცოლად მოიყვანა დრაკონის ასული, დაბრუნდა სასახლეში და ბედნიერად ცხოვრობდა.

საკვანძო სიტყვები: სამი და, ვაჟად გადაქცევა.

Key words: three sisters, transformation of a female into a male.

CMOMPIK, 1894, №19, განყ. 2, გვ. 1-154, იმერული ზღაპრები – 7. „სამი ძმისა და სულელი დის ზღაპარი“ (მოქმ. მ. ძიძიგური, ჩამწ. მ. ვასილკოვა სერგიევისგან, ქუთაისი): მამას მხოლოდ ორი ვაჟიშვილი უყვარდა, ქალიშვილი კი იმდენად სძულდა, რომ როცა მესამე ვაჟიშვილი შეეძინა, მაგრად გალახა. გოგონა სახლიდან გაიქცა და ღამე მითოვებულ საყდარში გაათია. შუალამეს დაინახა, როგორ შემოფრინდა სამი ანგელოზი. მათ თქვეს, რომ გოგონას ერთი ძმა ნადირობისას დაიღუპებოდა, მეორე – თევზაობისას, მესამეს კი ქორწილის დღეს უკებნდა ფეხსაცმელში ჩაბუდებული გველი. თუ გოგონა ვინმეს გაანდობდა ამ საიდუმლოს, ის ქვის სვეტად გადაიქცეოდა. წინასწარმეტყველება ასრულდა. მესამე ძმის ქორწილში გოგონა მსახურად გაჰყვა ძმას. როდესაც სიძემ დაიძინა, გოგონამ აიღო ახალი ფეხსაცმელი და დაინახა, რომ შიგნით შხამიანი გველი იჯდა, შეაგლო ბუხარში და დანვა. განრისხებული ძმა სიკვდილით დაემუქრა, გოგონამ თავი ვერ შეიკავა და ყველაფერი უამბო. ქვად გადაქცეული დის გასაცოცხლებელი წამლის საძებნელად წასულ ძმას გზაზე შეხვდა ხარი, რომელიც ვერ ძღებოდა; ქალი, რომელიც სულ მშიერი იყო; მეორე ქალი, რომელიც სახლს გვიდა და ის მაინც ნაგვით ივსებოდა და ირემი, რომლის ერთი რქა ცას ებჯინებოდა, მეორე კი მიწაში იყო ჩათლული. ძმა ავიდა ცაში და ნახა მოხუცი ქალი, რომელმაც დამალა. მოფრინდა სამი ანგელოზი. აღმოჩნდა, რომ მათი ფეხის ნაბანი წყლის ერთი წვეთიც გააცოცხლებდა ქვადქცეულ გოგონას. ასევე, მათ უამბეს მოხუცს, როგორ ეშველებოდათ ქალებს, ირემს და ხარს. მოხუცმა ეს ყველაფერი გადასცა დის გასაცოცხლებლად მოსულ ძმას. ასე ეშველა ყველას, გაცოცხლდა გოგონა და გააგრძელეს ბედნიერად ცხოვრება.

საკვანძო სიტყვები: და-ძმა, ქვადქცეული, გველი, ხარი, ირემი, სამი ანგელოზი, წინასწარმეტყველება.

Key words: siblings, transformation into a stone, a bull, a deer, three angels, fortunetelling.

CMOMPIK, 1894, №19, განყ. 2, გვ. 1-154, იმერული ზღაპრები – 8. „მდიდრის მემკვიდრეობა“ (მოქმ. მ. კუბლაშვილი, ჩამწ. მ. ვასილკოვი, კუბლაშვილისგან, ახალდაბა, ქუთაისის მაზრა): ერთ მდიდარ კაცს, ჰყავდა ცოლ-შვილი. მკითხავმა უთხრა, რომ მის ქონებას მემობლის ბიჭი დაეპატრონებოდა. ერთხელ მოიპარა ეს ბავშვი და უღრან ტყეში დატოვა მხეცების შესაჭმელად. ბიჭი, სანამ მას მხეცები

შეჭამდნენ, მონადირემ იპოვა და წაიყვანა სახლში, სახელად გადაგდებული დაარქვა. გაიზარდა ბიჭი. ერთხელ მათთან სტუმრად მოვიდა მდიდარი კაცი, მიხვდა, ეს ყმანვილი ვინც იყო. დანერა წერილი და სთხოვა მასპინძელს, შვილისთვის გაეტანებინა ცოლთან. მართლაც, წაიღო ბიჭმა დალუქული წერილი, გზაში მას მღვდლის სახით სულიწმინდა შეხვდა, გამოართვა წერილი და შეუცვალა. როდესაც მდიდრის ცოლმა წაიკითხა წერილი, რომელშიც ეწერა, რომ ამ ბიჭისთვის უნდა მიეთხოვებინა ქალიშვილი, ვერ გაბედა ქმრისთვის შენინა-აღმდეგება. სახლში დაბრუნებულმა მდიდარმა კაცმა აღმოაჩინა, რომ მისი სიძე ის ბიჭი გამხდარიყო, რომლის მოშორებაც ყველაზე მეტად უნდოდა. გავიდა ხანი და უბრძანა მსახურებს ქარხანაში ცეცხლი დაენთოთ და განურჩევლად ყველა, ვინც ღამე პირველი მივიდოდა, ჩაეგდოთ ცეცხლში და დაენვათ. თავად კი მივიდა ქალიშვილთან და სთხოვა, რომ ქმარი გაეგზავნა ქარხანაში მსახურების მოსახულებლად. ქალიშვილს ეს დაავიწყდა და როდესაც მამამ ჰკითხა, გაუშვა თუ არა ქარხანაში ქმარი, მოატყუა. გახარებული მდიდარი გაიქცა იმის სანახავად, როგორ დაინვა მისი საძულველი სიძე. მსახურებმა კი, როგორც ნაბრძანები ჰქონდათ, წაავლეს ხელი მოსულს და გადაუძახეს ცეცხლში. ასე დაეპატრონა მდიდრის ავლადიდებას მეზობლის ვაჟიშვილი.

საკვანძო სიტყვები: მდიდარი კაცი, არასასურველი სიძე, სულიწმინდა.

Key words: a wealthy man, unwanted son-in-law, holy spirit.

CMOMIK, 1894, №19, განც. 2, გვ. 1-154, იმერული ზღაპრები – 9. „ხელმწიფის ქალიშვილი“ (მთქმ. მ. კვერნაძე, ჩამწ. მ. სერგიევი, ქუთაისი): ერთ ხელმწიფეს ასული შეეძინა და მას შემდეგ მის სამეფოს უბედურება არ შორდებოდა. ურჩიეს, ქალიშვილი მოეშორებინა თავიდან. რას იზამდა?! დააძინა ქალიშვილი და დაატოვებინა მძინარე უღრან ტყეში მხეცების შესაჭმელად. მაგრამ ბედი მეფის ასულის მხარეს იყო, გამოიარეს ვაჭრება, დაინახეს ულამაზესი ქალიშვილი და თან წაიყვანეს. ვაჭრების უხუცესი და მისი ცოლი კარგად ექცეოდნენ ქალიშვილს, რომელიც დარდიანი იყო. ერთხელ ვაჭრის ცოლმა ურჩია ქალიშვილს, გამოეცხო ორი ქადა, შეენვა ქათამი და ასულიყო მაღალ მთაზე, სადაც ორი მოხუცი ცხოვრობდა. ქალიშვილი ასეც მოიქცა. ეს მოხუცები თავიანთ წიგნში რაღაცას იწერდნენ და ქალიშვილს არც მოუსმინეს. ქალიშვილი მეორეჯერაც ავიდა მთაზე, მოხუცებს შეებრაღათ, მისცეს აბრეშუმის გორგალი და ასწავლეს, უფლისწული პერანგის შესაკერად აბრეშუმს რომ დაუნყებდა ძებნას, მაშინ გამოეტანა, არ მიეცა, შეეპირებინა, რომ ცოლად მოიყვანდა, თუ ამ გორგლის სიმძიმე მის წონას გადასწონიდა. გავიდა ხანი. ერთხელაც უფლისწულმა პერანგის შეკერვა გადაწყვიტა, ვერსად იპოვა შესაფერისი ძაფი. მიადგნენ ვაჭარს და ცოლს გაახსენდა, რომ მათ მსახურს ჰქონდა ასეთი ძაფი. მაგრამ ქალიშვილმა არაფრით არ მიჰყიდა ძაფი. უფლისწული თავად ეახლა ქალიშვილს. ქალიშვილმა პირობა წაუყენა უფლისწულს, რომელიც მაშინვე დათანხმდა, იფიქრა, რომ

ქალიშვილის სიმძიმე გადასწონდა ძაფის გორგალს, მაგრამ მწარედ შეცდა. გადაიხადეს ქორწილი. ერთ დღესაც ქალიშვილმა უამბო თავის ქმარს, რომ ის მეფის შვილი იყო, გაემართნენ მამამისის სამეფოში. მეფემ აურაცხელი საჩუქარი რომ ნახა, თავად გამოეგება სტუმრებს. როგორი დიდი იყო მისი გაცემა, როდესაც საკუთარი ქალიშვილი დაინახა. ის მისი სამეფოს ამოხრებელი ხელმწიფის ვაჟიშვილის ცოლი იყო. გაიხარა მამამ, გადაეხვია ქალიშვილს და ასე ბედნიერად დასრულდა ზღაპარი.

საკვანძო სიტყვები: მეფის ასული, მოხუცი, ძაფის გორგალი.

Key words: a princess, a ball of thread.

CMOMIIK, 1894, №19, განც. 2, გვ. 1-154, იმერული ზღაპრები – 10. „მელია და მენისქვილე“ (მთქმ. მ. მონონელიძე, ჩამწ. ა. მონონელიძე, ქუთაისი): ერთი მელია შეუჩნდა მენისქვილეს და ჯერ ერთი ქათამი სთხოვა, მერე – მეორე და ბოლოს მესამეც რომ შეუჭამა, შეჰპირდა კარგ ბედში ჩაგადგებო. მელია წავიდა ხელმწიფესთან და უთხრა, შენი ასულისთვის კარგი სასიძო მყავსო. ხელმწიფეს გაეხარდა და მოითხოვა სიძის ნახვა. მელიამ იშოვა ერთი ხელი საუკეთესო ტანისამოსი, გამოაწყო მენისქვილე და გაემართნენ ხელმწიფესთან. გადაიხადეს ქორწილი. სად უნდა წამოეყვანა მეფის ასული მენისქვილეს, წისქვილში?! დატრიალდა მელია და სანამ მაყრიონი წისქვილს მიუახლოვდებოდა, წინ ის წავიდა. გზაზე დაინახა გოლიათების სასახლე, შევარდა და ყვირილი დაიწყო: – თავს უშველეთ, მეფე თქვენ დასახოცად მოდისო. სულელი გოლიათები დაიბნენ. მელიამ ურჩიათ, თივის ზვინში ჩაიმაღეთო. ისინი ასეც მოიქცნენ. მელიამ ცეცხლი წაუკიდა თივას და მათი სასახლე მას დარჩა. მენისქვილემ და მეფის ასულმა სასახლეში დაიწყეს ცხოვრება. გავიდა ხანი და მელიამ უთხრა მენისქვილეს, რომ მოვკვდები, ოქროს კუბოში ჩამდეო. მერე თავი მოიმკვდარუნა. მენისქვილემ სიტყვა არ შეასრულა, მელია გაბრაზდა. მეორეჯერაც იგივე განმეორდა. გაბრაზებული მელია საჩივრელად ხელმწიფესთან მივიდა, იმან კი მელია გასულელებისთვის და მისი მოტყუებისთვის სიკვდილით დასაჯა.

საკვანძო სიტყვები: მელია, მენისქვილე.

Key words: a fox, a miller.

CMOMIIK, 1894, №19, განც. 2, გვ. 1-154, იმერული ზღაპრები – 11. „ხელმწიფე და გლეხი“ (მთქმ. ა. ქუთათელაძე, ჩამწ. ე. ლორთქიფანიძე, ჩუნეში, ქუთაისის მაზრა): ხელმწიფის მსახური დაბერდა და ხელმწიფემ ის საქმეებიდან გაათავისუფლა, გავიდა დრო და ხელმწიფე თავის ძველ მსახურს შეხვდა, რომელსაც აშკარად უჭირდა. ხელმწიფემ ჰკითხა მსახურს: – რა ხდება, მთაში თოვლმა დადო? ამაზე მსახურმა უპასუხა: – მთაშიც და ბარშიც თოვლიაო. მეორე კითხვაზე: – შორს თუ ბნელა? ძველმა მსახურმა უპასუხა: – ახლოსაც არ ჩანს კარგადო. მესამე კითხვა იყო: – წყვილი როგორ მუშაობსო? ამაზე მსახურმა

უპასუხა: – მესამე ეხმარებაო. ხელმწიფე კმაყოფილი დარჩა პასუხებით და დაჰპირდა ძველ მსახურს, რომ სამ ცხვარს გაუგაზვნინდა, რომელიც ისე უნდა გაეკრიჭა, რომ ბენვი მასაც და მის შთამომავლებსაც ყოფნოდათ. სასახლეში დაბრუნებულმა ხელმწიფემ მოინწვია ვეზირები და გაუმეორა კითხვა. ვერც ერთმა ვერ ამოხსნა ისინი. ხელმწიფემ დრო მისცა, რომ პასუხები გაერკვიათ მოხუც მსახურთან, წინააღმდეგ შემთხვევაში ცოცხლებს არ დატოვებდა. ვეზირები მიაღვინნ ძველ მსახურს. კაცმა ვეზირებს პირობა ჩამოართვა, რომ ისინი პასუხებისთვის სამ მილიონს გადაიხდიდნენ. როდესაც დასტური მიიღო, მან აუხსნა, რომ პირველი კითხვა ჭალარა თმაზე იყო, თავი მთა იყო, ხოლო ბარი წვერი; მეორე კითხვა თვალის ჩინს შეეხებოდა, მოხუცი ვერც შორს და ველარც ახლოს ველარ ხედავდა; მესამე კითხვა კი ფეხებზე იყო, რომელთა დასახმარებლადაც მოხუცს ჯიხი სჭირდებოდა. აი, სამი ცხვარი კი ხელმწიფის სამი ვეზირი იყო. ვეზირები სიკვდილს გადაურჩნენ, ხელმწიფის ძველმა მსახურმა კი იმდენი ფული იშოვა, რომ მის შთამომავლებსაც დიდხანს ეყოფოდათ.

საკვანძო სიტყვები: ბრძენი კაცი, ხელმწიფე.

Key words: Wise man, a king.

СМОИИК, 1894, №19, განყ. 2, გვ. 1-154, იმერული ზღაპრები – 12. „ორი გამრტე კაცის ზღაპარი“ (მოქმ. ი. მანგაძე, კ. მიქაშავიძე, ქუთაისი): იყო ორი კაცი, ივანე და პეტრე. ივანეს პეტრეს ოცდახუთი კაპიკი ემართა. ერთხელ პეტრემ ამხანაგს უთხრა, ერთმანეთის ხასიათი უნდა ვიცოდეთო. ივანემ უპასუხა: – მე ისეთი კაცი ვარ, ვალს არასოდეს ვაბრუნებო. – მე კი თავს არ ვანებებო, სანამ ვალს არ დავიბრუნებო, – შენიშნა პეტრემ. ერთხელაც ივანემ პეტრე მიიპატიჟა და კარგად უმასპინძლა, იფიქრა, ამით გადავიხდი ვალსო, მაგრამ პეტრემ მაინც არ დაანება თავი და ფული უკან მოითხოვა. გავიდა ხანი და არ არჩენდა ვალს პეტრე ივანეს. ივანემ ცოლს უთხრა, მოდი, მოვიტყუები, ვითომ მოვკვდიო. გადაიტანეს კუბო ეკლესიაში და პეტრე მიიმალა საყდარში, რომ მკვდრისთვის ედარაჯა. ამ დროს ეკლესიაში ყაჩაღები იყოფდნენ ნაქურდალს და მათ ჩხუბი მოუვიდათ ხანჯლის გამო. ერთმა ავაზაკმა თქვა, მე სამჯერ დავკრავ კუბოს და ჩემი იქნება, თუ გავხეთქვავო, მეორემ, მე ორჯერ დავკრავო, ხოლო მესამემ – ერთი დაკვრითაც გავჩეხავ კუბოსო. ამის გაგონებაზე ივანე წამოხტა კუბოდან, პეტრეც გამოვარდა სამალავიდან და ავაზაკები, მკვდრები ადგნენო, გავარდნენ შეშინებულები საყდრიდან. პეტრემ და ივანემ ნაქურდალი გაიყვეს, ამ დროს ერთი ავაზაკი უკან მობრუნდა, აქაოდა, რას შვრებიან მკვდრებითო. მან თავი შეჰყო სარკმელში, ივანემ ქუდი მოხადა და პეტრეს დაახურა თავზე: ეს შენი ოცდახუთი კაპიკის დასათვარად იყოს, არც შენი სიტყვა გავა და ვერც ჩემი გავიტანეო.

საკვანძო სიტყვები: ვალი, ყაჩაღები, „მკვდრის“ გაცოცხლება.

Key words: a debt, robbers, to alive „dead“.

CMOMIIK, 1894, №19, გვ. 104-123, ქართული ზღაპრები, „კეთილი და ბოროტი ძმა“: მეფის ორი შვილი წავიდა ბედის საძებნელად. გზაში მოშივდათ და ჯერ უმცროსის საგზალი შეჭამეს. უფროსმა კი თავისი საგზალი ძმას იქამდე არ გაუყო, ვიდრე თვალი არ გამოსთხარა. დაბრმავებული ძმა საყდარში შევიდა ღამის გასათევად. ღამე გაიგონა, როგორ საუბრობდნენ მგელი, დათვი და მელია. მათგან შეიტყო, რომ დილას თავი სოროდან გამოიტანდა ხოლმე ათთუმნიანებს და ღამით უკან შეჭქონდა; მწყემსის ფარაში ერთი შავი ცხვარი იყო და იმისი ღვიძლი ბრმას თვალეებს აუხელდა; საყდრის მახლობლად კი განძი იყო დაფლული. უმცროსმა ძმამ თავის ათთუმნიანებით შავი ცხვარი იყიდა, თვალი აიხილა და განძი მოძებნა. გამდიდრებული მიადგა ძმას. ძმას შემურდა, გამოკითხა უმცროსს ძმას, როგორ გამდიდრდა. იფიქრა, მეც ბედს ვენევიო და ისიც დაიძალა ღამე საყდარში. ღამე მოვიდნენ მგელი, დათვი და მელია. იკითხეს: – ვინ წაიღო განძი, სად წავიდა შავი ცხვარი, თავგს რატომ აკლია ათთუმნიანები, ალბათ, ვიღაცამ მოისმინა ჩვენი საუბარიო – დაძებნეს იქაურობა, იპოვეს ბოროტი უფროსი ძმა და მოკლეს.

საკვანძო სიტყვები: დათვი, მგელი, მელია, ორი ძმა.

Key words: a bear, a wolf, a fox, two brothers.

CMOMIIK, 1894, №19, გვ. 104-123, ქართული ზღაპრები, „საჩივარი საიქიოდან“ (მთქმ. ბ. ხორველაშვილი, ჩამწ. ა. ციცაგი, გორი): ერთ სამეფოში კეთილი და სამართლიანი მეფე მეფობდა. გლეხმა იპოვა ოქროულობა და მივიდა მეფესთან. მეფემ გაგზავნა ვეზირი. ვეზირი დახარბდა ოქროს და მოკლა გლეხი. სიკვდილის წინ გლეხმა სთხოვა ვეზირს, მაინც ჩემი ოქრო შენ გრჩება, სიცოცხლესაც მართმევ და უკანასკნელი სურვილი მაინც ამისრულე, ჩემს ცოლს გადაეცი, ტყუპებს „ო, ღმერთო“ და „ო, მეფეო“ დაარქვასო. ვეზირმა მოკლა გლეხი და უკანასკნელი სურვილი შეუსრულა. გავიდა დრო. ერთხელ მეფემ ხალხი შეკრიბა. ბრბომ გააცალკევა ტყუპები, ისინი ერთმანეთს ეძახდნენ. მეფემ გაიგონა უცნაური სახელები, დაუძახა მათ და მოაყოლა, ვინ და რატომ დაარქვა ასე. როცა მათი ამბავი შეიტყო, ყველაფერს მიხვდა, მოძებნა ვეზირი, სიკვდილით დასაჯა, გლეხის ოჯახი კი დაასაჩუქრა.

საკვანძო სიტყვები: ტყუპები, შურისძიება სიკვდილის შემდეგ.

Key words: Twins, revenge after the death

CMOMIIK, 1894, №19, გვ. 104-123, ქართული ზღაპრები, „ბრიყვი“ (მთქმ. ს. გულიაშვილი, ჩამწ. ა. თოიძე, გორი): ბრიყვს გამდიდრება ენადა და ყველას ეკითხებოდა, როგორ მოეხერხებინა. ერთმა ურჩია, იყვირე: – ჭკუა მაქვს, ფული – არა! მაინც ვერ გამდიდრდა. ერთხელაც ერთი მდიდრული სახლის წინ გაჩერდა და დაიწყო ყვირილი: – ჭკუა მაქვს და ფული – არაო! გადმოიხედა ვაჭარმა: – ბევრი ჭკუა გაქვსო? და რას იზამ, ფული რომ გქონდესო? – მომეცი და მე ვიცი,

ერთს ათად გავხდი სამი თვის მერე და უკან მოგიტან, თუ არა, სიკვდილით დამსაჯეო. ვაჭარს ჭკუაში დაუჯდა ეს სიტყვები, მისცა ორი აქლემი და ოთხასი მანეთი. ბრიყვა გააფრთხილა: – რაც არ უნდა გაიგო ჩემზე, არავის დაუჯეროო. გაუდგა ბრიყვი სხვა ვაჭრებთან ერთად გზას. ვაჭრები ზღვაში შევიდნენ და თვითონ ნაპირზე დარჩა. ერთხელ იყიდა ქიშმიში და დაინყო ჭამა, ცოტა ქიშმიში ჩაყარა ზღვაში. მოცურდნენ თევზები და დაუნყეს ქიშმიშს ჭამა. ბრიყვს მოეწონა და მეორე დღეს იყიდა მეტი ქიშმიში, მესამე დღეს მთელი ფულით იყიდა ქიშმიში და სულ ზღვაში ჩაყარა. ეს რომ გაიგო ოქროს თევზმა, დანარჩენი თევზების დედოფალმა, გადანყვიტა დაესაჩუქრებინა ბრიყვი, რომელმაც მისი თევზები ასე გაახარა ქიშმიშით. უხმო თევზებს და უბრძანა, ფსკერზე რომ ალმასები იყო, ის ამოეტანათ და გადმოეყარათ ნაპირზე. გადაირია სიხარულით ბრიყვი იყიდა ნაკელი, ჩაანყო სველში ალმასი და გამოსაშრობად გარეთ გამოდო, სულ 50 ალმასით სავსე და 4 ცარიელი. როცა დაბრუნდნენ ვაჭრები, დასცინეს. გამობრუნდნენ სახლში, მთებზე უნდა გადაეველოთ. ძალიან ციოდა და ბრიყვა ცუცხლს შეუკეთა გამომშრალი ნაკელი და გათბა. სთხოვეს ვაჭრებმა და მათაც მისცა, მაგრამ ხელწერილი დაანერინა, რომ თითოში ორს დაუბრუნებდნენ. ასე გადაარჩინა გაყინვას. როცა სამშობლოში დაბრუნდნენ, ვაჭრებმა უთხრეს მთავარვაჭარს, შენი ქონება ნეხვად აქციაო. გადაირია მთავარვაჭარი, მაგრამ გაახსენდა, რომ არავისთვის არაფერი არ უნდა დაეჯერებინა. როცა ბრიყვი დაბრუნდა, აჩვენა ალმასები და თქვა, მეორე დღეს მეფესთან გაყოლოდა, რომ ვაჭრების ხელწერილი და ნაკელი ეჩვენებინა. მეფემ რომ ეს სიბინძურე დაინახა, განრისხდა და სახეში ესროლა ბრიყვსა. ნაკელი კი გადატყდა და ალმასი გადმოიყარა. მეფემ მოიბოდიშა. შემდეგ ხელწერილი ნახა და ვაჭრებს ვალის დაბრუნება მოსთხოვა. აბა, როგორ დააბრუნებდნენ ასეთ ვალს ვაჭრები. გაყიდეს მთელი თავიანთი ქონება და მაინც არ ეყოთ. ბრიყვა კი სიმდიდრეში გააგრძელა ცხოვრება.

საკვანძო სიტყვები: ბრიყვი, ნაკელი, ალმასი, ვაჭრები.

Key words: a fool man, diamonds, mechants, dung.

CMOMIK, 1894, №19, გვ. 104-123, ქართული ზღაპრები, „სამი ძმა“ (მთქმ. ს. გულიაშვილი, ჩამწ. ნ. ჯანაშია, გორი): ერთ მეფეს ჰყავდა სამი ვაჟი. მეფე რომ მოკვდა, ძმებმა ქონება გაიყვეს, მაგრამ ალმასებიანი ბეჭელი უმცროსმა მოიპარა. ერთმანეთს აღანაშაულებდნენ და წავიდნენ მოსარიგებლად მეზობელ მეფესთან. სამივე გონიერი იყო და პატარა მინიშნებით ყველაფერს ხვდებოდნენ. ხელმწიფის სტუმრებმაც მირთმეული საკვების წარმოშობაც იოლად გაარკვეეს და ხელმწიფისაც, რომელიც უკანონოდ ყოფილა გაჩენილი. ძმების საქმესთან დაკავშირებით კი მეფის ასულმა გადანყვიტა, მე ვიპოვი ალმასის ბეჭდის ქურდსო, და მათ ზღაპარი უამბო, რომლის პერსონაჟებშიც ძმებს ღირსეული უნდა ამოერჩიათ. უმცროსი ძმის ყაჩაღებზე ნათქვამმა: – დიდი მოთმინების უნარია საჭირო, რომ

ასეთ განძზე უარი თქვაო, – ასე გათქვა უმცროსი ძმა. გაჩხრიკეს და მას აღმოუჩინეს ალმასის ბეჭედი.

საკვანძო სიტყვები: სამი ძმა, ყაჩაღები, ბეჭედი, მეფე.

Key words: three brothers, robbers, a ring, a king.

СМОМІІК, 1894, №19, გვ. 104-123, ქართული ზღაპრები, „უფლისწული და გველი (მთქმ. ა.ბოვიანცი)“: მეფეს ორი შვილი ჰყავდა. სიკვდილის პირას მყოფმა უფროსს სამეფო უბოძა, უმცროსს კი ერთი ტომარა და ერთი ყანნი დაუტოვა. როცა მეფე მოკვდა, უმცროსი აღარ გაჩერდა იმ სამეფოში, აიღო საგზალი, ცოტა ფული ჩაყარა მამამისის დანატოვარ ტომარაში და გაუდგა გზას. ტყეში რომ შევიდა, ჩამოიხსნა ტომარა და ნახა, რომ პირამდე სავსე იყო და მიხვდა, რომ ჯადოსნური ტომარა იყო. ყანნი რომ დაცალა, მის წინ გველი გაჩნდა. მიხვდა, რომ გველი ყანნის პატრონს ემორჩილებოდა. მართლაც, მან გადააფრინა უცხო ქალაქში. ვაჟმა იქ იყიდა მინა მეფის სასახლის მახლობლად და ააგო ისეთი სახლი, რომ ყველას შეშურდებოდა. მივიდა მეფესთან ქალიშვილის ხელის სათხოვნელად. იმანაც სამი დავალება მისცა: ქალაქისათვის ერთ ღამეში კედელი შემოეველო, ერთ ღამეში გაეშენებინა საუცხოო ბაღი, ერთ ღამეში კი აეგო საუცხოო ნაგებობა. როცა გველმა ყველაფერი შეასრულა, მეფემ ვაჟის დაღუპვა გადანწყვიტა. დაათრო, ყანნი ამოაცალა და გველს უბრძანა: უკაცრიელ კუნძულზე გადაეყვანა მეფის უმცროსი ვაჟიშვილი. იქ მან ჯადოსნური ფინიკის ხეები აღმოაჩინა. ერთის ნაყოფის შეჭმა რქებს უჩენდა ადამიანს, მეორისა – აყრევი-ნებდა. მერე დაბრუნდა ქალაქში. მივიდა დედაბერთან და მისი ხელით ერთი ფინიკი მეფეს გაუგზავნა. რქების მოსაშორებლად კი ბიჭმა პირობა ჩამოართვა მეფეს, რომ ქალიშვილს მიათხოვებდა. მართლაც, გადაიხადეს ქორწილი. ბიჭმა გაამხილა თავისი ნამდვილი ვინაობა. ამის შემდეგ შეიტყო, რომ მისი ძმა უშვილოდ გარდაიცვალა. წავიდა მამის სამეფოში და დიდხანს ცხოვრობდა ბედნიერად.

საკვანძო სიტყვები: ორ ძმა, რქები, ფინიკი.

Key words: Two brothers, horns, phoenix dactylifera – date.

СМОМІІК, 1894, №19, გვ. 104-123, ქართული ზღაპრები, „მეფის ვეზირის შვილი“ (მთქმ. ზ. ზურაბოვი, ჩამწ. ა. კობოლაევი, კალაური, თელავის მაზრა): მეფის ერთგული ერთგული ვეზირის სიკვდილის შემდეგ ეს თანამდებობა მის ვაჟიშვილს დარჩა, რომელსაც მამამ დაუტოვა სათუთუნე. ეს ბიჭი შეუყვარდა დედოფალს, მაგრამ განზილებულმა მისი დაღუპვა გადანწყვიტა: მოატყუა მეფე, ცოლობა მთხოვაო. გაბრაზებულმა მეფემ ბიჭი ჯალათთან გააგზავნა თავის მოსაკვეთად. იმას კი დაუბარა, პირველივე მიმსვლელისათვის თავი მოეკვეთა, მეორეს კი ეგ თავი გამოატანეო. ჯალათთან მისვლამდე ბიჭი ეკლესიაში შევიდა. ამ დროს მეფემ ჯალათთან მეორე კაციც გაგზავნა, რომელსაც ჯალათმა თავი

შეცდომით მოჰკვეთა და გვიან მისულ ბიჭს მოკვეთილი თავი გაატანა მეფესთან. როცა გაირკვა რაც მოხდა, ბიჭი აღარ გაჩერდა ამ სამეფოში, წავიდა და მიაღვა ერთ სამეფოს, რომელსაც ქალი მართავდა. მისი ცოლობის მსურველი ბევრი იყო, მაგრამ მის ალაპარაკებას ვერ ახერხებდნენ. ვალავანზე კი ხელის მთხოვნელთა თავები იყო წამოცმული. ბიჭმა ბედის ცდამდე გახსნა მამამისის ნაჩუქარი სათუთუნე. იქიდან გადმოვარდა ერთი ბურთულა და ორი ანთებული სანთელი. ბურთმა სამი გამოცანა თქვა, სანთლები კი პასუხს ამბობდნენ, რომლებიც დედოფალს არ მოსწონდა და თავის აზრს ამბობდა. ასე ალაპარაკა დედოფალი ბურთმა, რომელიც შემდეგ შეძგრა სათუთუნეში, სანთლებიც ჩაქრნენ და ისინიც მას მიჰყვნენ, დედოფალი კი ცოლად გაჰყვა მეფის ვეზირის ვაჟიშვილს და დიდი ქორწილიც გადაიხადეს.

საკვანძო სიტყვები: სათუთუნე, ბურთი, სანთელი, მეფის ასული.

Key words: Snuff box, a ball, candles, a princess.

CMOMIK, 1894, №18, 61-90, ი. პეტროვი, მეგრული ზღაპრები (სტრიქონქვეშ მიწერილი რუსული თარგმანით), გოლიათისა და ადამიანის ზღაპარი, „ნდი და კოჩიში არიკი“, მთქ. გრ. ჯოლია, სოფ. კოტიანეთი, სენაკის მაზრა): გოლიათმა გადაწყვიტა ადამიანის ნახვა. გზაზე შეხვდა მელია, მამალი, ძროხა და ბოლოს ადამიანი. ადამიანმა და გოლიათმა გადაწყვიტეს ერთმანეთს დაჭიდებოდნენ, მაგრამ ადამიანმა ჯერ ის ხეზე დააბა: არ გამეცქეო; შემდეგ კი ცულით გაუპო თავი და გაათრთხობინა სული. მელიამ, რომელიც შორიდან უმზერდა, დასცხო ყიჟინა: „ეგრე უნდა მაგასაო! არ დამიჯერა, არ დაიშალა შენთან შეხვედრა, არადა ვაფრთხილებდი, რომ ყველას მოერეოდი“.

საკვანძო სიტყვები: გოლიათი, ადამიანი, მელია.

Key words: Goliath, a human, a fox.

CMOMIK, 1894, №18, 61-90, ი. პეტროვი, მეგრული ზღაპრები (სტრიქონქვეშ მიწერილი რუსული თარგმანით), „თორმეტი ძმის ზღაპარი“ (მთქმ. ი. გაბუნია, სოფ. ბანძა, სენაკის მაზრა): ცხოვრობდა თორმეტი ძმა, უმცროსს დათა ერქვა. გადაწყვიტეს, თორმეტი და მოეყვანათ ცოლად. წავიდა დათა და შეხვდა ისრის შორს მსროლელი კაცი, რომელიც დათას სახელის გაგონებაზე დაუძმობილდა. შემდეგ დაიძმობილეს კაცი, რომელიც წყურვილს ვერ იკლავდა, ასევე ბელტების მჭამელი, ჭიანჭველების ლაპარაკის მსმენელი, მერე კურდღლების მწყემსი და ბოლოს კაცი, რომელსაც ზურგზე ცა და დედამინა, ლოდი და ხე მოეგდო და სიმძიმეს ვერა გრძობდა. ეს შვიდნი მიადგნენ გოლიათს, რომელსაც ექვსი ქალიშვილი ჰყავდა, შემდეგ – ცხრა ქალიშვილის მამას, ბოლოს – გოლიათს, რომელსაც თორმეტი ასული ჰყავდა. იმან სანამ ქალიშვილებს გააყოლებდა, მათ გამოცდა მოუწყო: ჯერ ჭამაში გამოცადა, მერე – დაღვევაში, სროლაში,

მარცვლეულის გარჩევაში და ბოლოს – სიმძიმის აწევაში. დათამ ამხანაგების დახმარებით ყველა გამოცდა მოიგო და ძმებთან საცოლეებით დაბრუნდა.

საკვანძო სიტყვები: დათა, ამხანაგები.

Key words: Data, Data's friends.

CMOMIK, 1894, №18, 61-90, ი. პეტროვი, მეგრული ზღაპრები (სტრიქონქევმ მინერილი რუსული თარგმანით), „სამი ძმის ზღაპარი“ (მთქმ. ე. ქარჩავა, სოფ. ჭოგი, ზუგდიდის მაზრა): იყვნენ ორი მდიდარი და მესამე ღარიბი ძმა. გადანყვიტა ღარიბმა, ღმერთისთვის ეკითხა, რატომ იყო ღარიბი. მასთან მიმავალ გზაზე შეხვდა მგელი, თევზი, მეზვრე – რომლებმაც სთხოვეს ღმერთს ჩვენი გასაჭირების შესახებაც უამბეო. ღარიბმა კაცმა შუაგულ ტყეში მორთული კაცი დაინახა. ეს იყო ღმერთი. ღმერთმა ასწავლა: – მგელმა ვირი შეჭამოს და გაძღებო, მეზვრემ ვენახის ძირში ჩაფლული განძი ამოთხაროს და ყურძენი დატკებო, თევზმა კი ძვირფასი ქვა ამოიღოს, რომელიც სამი სოფლის ფასია და თავის ტკივილი გაუვლისო. გამობრუნდა მადლიერი ღარიბი კაცი სახლში. გზაში მეზვრემ მადლობის ნიშნად განძი შესთავაზა, მაგრამ ღარიბმა კაცმა უარი თქვა, ღმერთი გამამდიდრებსო. თევზმა – ძვირფასი ქვა, მაგრამ ღარიბმა კაცმა ხელი არ ახლო. ბოლოს მგელმა თქვა, შენაირ ვირს სადღა ვიპოვიო და შესანსლა.

საკვანძო სიტყვები: სულელი კაცი, ღმერთის რჩევა, მგელი.

Key words: a fool man, God's advise, a wolf.

CMOMIK, 1894, №18, 61-90, ი. პეტროვი, მეგრული ზღაპრები (სტრიქონქევმ მინერილი რუსული თარგმანით), „მეფე ჩაისიმესა და უფლისწულ ჯიმშერის ზღაპარი“ (სოფ. ჩაქვიჩი): იყო უშვილო მეფე სახელად ჩაისიმენი. ჰყავდა ცოლი და არ ჰყავდა შვილი. ერთხელ უცხო ქვეყნის მეფე ესტუმრა და მონყენილობის მიზეზი ჰკითხა, იმანაც შესჩივლა. მეფემ უთხრა, შვილი კი გეყოლება, მაგრამ მაშინვე მოკვდა, თუკი კვერცხს დაინახავდს ან მის სახელს გაიგონებსო. ეყოლათ შვილი, დღითიღღე ლამაზდებოდა. ერთხელაც თამაშისას გაიგო კვერცხის სახელი და ნახვა მოუნდა, მაგრამ აუხსნეს, რომ დაიღუპებოდა, თუ დაინახავდა კვერცხს. წავიდა ჯიმშერი სახლიდან, გადაიარა ერთი მთა, მეორე და მესამეზე დაიღალა. დაწვა მოსასვენებლად. გაიღვიძა და ისევ გადაიარა ერთი მთა, მეორე მთა, მესამე მთა და ისევ დაწვა მოსასვენებლად. დაინახა ქალი წყაროზე და იმან უთხრა, რომ ამა და ამ ქვეყანაში ცხოვრობდა ქალი, რომელიც ხელს რომ აიქნევდა, განათდებოდა და ეს იყო ელვა. ჯიმშერამ თქვა, ცოლად უნდა მოვიყვანო. უთხრეს: – იმ ქვეყანაში სულ ამ ქალის ხელის მთხოვნელების თავები კიდიო. არ დაიშალა. გადაიარა ერთი მთა, მეორე მთა, მესამე მთა და გავიდა თორმეტი წელიწადი, ჯიმშერი დავაჟკაცდა და მივიდა იმ ქვეყანაში, ის ქალი სადაც ცხოვრობდა. შევიდა სასახლეში და ამ ქალის ნათებამ თვალი მოსჭრა. ქალს შეუყვარდა ჯიმშერი, მაგრამ ცოლად ვერ გაჰყვებოდა, სანამ

გამოცანას არ გამოიყენებდა. გამოსაცნობად ერთი წელი მისცა, არადა თავს მოჰკვეთდა. გამოცანის პირობა ასეთი იყო: „გულში ვარდი და გულში დარდი“. წავიდა დაღონებული ჯიმშერი, გავიდა ერთი წელი და ვერ მოიფიქრა პასუხი, მიაღვა ერთ ქალაქს. ამ ქალაქის მეფისაგან გაიგო პასუხი, მაგრამ, პირობის თანახმად, უნდა მოეკლათ ამის გამგები, მაგრამ შეახტა ჯიმშერი ცხენს, გადაუჭირა მათრახი ისე, როგორც ცხენმა ასწავლა და გამოაღწია ცოცხალმა ამ ქვეყნიდან. მივიდა საცოლესთან, უთხრა პასუხი და დაქორწინდნენ. წამოვიდნენ სამშობლოში. ჯიმშერის დედ-მამა დარდიანები გზას გასცქეროდნენ. დაინახეს უფლისწული, თქვეს: მოდის ვიღაც და მათ შვილს ჰგავს: – „მოდი, ამას დავეუტოვოთ სამეფო“.

ორი ზღაპარი მთავრდება შემდეგი ფორმულით: სამი ვაშლი, სამი ბროწეული, ღმერთმა არ მომაკლოს შენი ხელით მონეული.

ზღაპრების შემდეგ კრებულს ერთვის „ბაყაყების ლექსი“ თოთხმეტსტრიქონიანი ლექსი, რომელიც ჩანერილია ზუგდიდის სოფელ ჩქვინჯში. ლექსში ნახსენებია: ოთხი ბაყაყი, ოთხი აბრაგი და ოთხი ცხენი, სოფელი ხეთი და ჭალადიდი.

საკვანძო სიტყვები: გულის დარდი, მოღალატე ცოლი, მული, თორმეტთავიანი დევი.

Key words: The sorrow of the heart, adulterer wife, sister-in-law (husband's sister), twelve-headed Daev.

СМОИИК, 1894, №18, განყ. 3, გვ. 1-26, ი. ტენცოვი, „დევი და მეფის ასული“ (მთქმ. ვ. ჯანჯღავა, სოფ. გორდი, სენაკის მაზრა, ჩამწ. მდივანი): ერთ მეფეს სამი ასული ჰყავდა, ბაღში კი ვაშლის ხეები. ისინი გაათრთიხლა მამამ, რომ ღღემში ერთ ვაშლზე მეტი არ ეჭამათ. მაგრამ ერთი ხის ვაშლი ისეთი გემრიელი იყო, რომ უმცროსმა თავი ვერ შეიკავა და მეორე ვაშლიც შეჭამა. დაორსულდა მეფის უმცროსი ასული. გაუჩნდა შვილი, დაარქვა პეტრე. მამამ ქალიშვილი და შვილიშვილი სახლიდან გაავდო. გაიზარდა პეტრე და დედამ ნადირობა ასწავლა, გაუკეთა ხისგან მშვილდ-ისარი, ლარად კი კაბის ნაწილი შეაბა. პეტრე დევებს ისრით მოკლავს, მეცხრე დევი კი გაიქცევა, მივა დედამისთან და ცოლად მოყვანას შეჰპირდება. პეტრეს დედა თავს მოიმკვდარუნებს დევის რჩევით, შვილის დასაღუპად მას სამ რთულ დავალებას აძლევს. როცა მიხვდებიათ რომ პეტრეს დაღუპვა ადვილი არ არის, დედა და დევი შემოდგამენ ცეცხლზე წყალს, პეტრეს დასაბანად ქვაბში ჩასვამენ, ქვაბს თავსახურს დაახურავენ და მდინარეში ჩააგდებენ. პეტრეს უშველიან ტახი და ხარი, რომლებიც წინა დავალებების შესრულებაში მიეხმარნენ. პეტრე დედის და დევის ქორწილში მათხოვრად გადაცმული შეიპარა და ისრით განგმირა ორივე. ამის შემდეგ პაპასთან დაბრუნდა.

საკვანძო სიტყვები: პეტრე, დევის საყვარელი დედა, ვაშლისგან დაორსულებული.

Key words: Petre, adulterer mother, impregnated by apple.

CMOMIIK, 1894, №18, განყ. 3, გვ. 1-26, ჩამწ. ი. ტენცოვი, „გაუმადლარი ტახი“: იყო ერთი მეფე, მის ტყეებსა და მინდვრებში ნახირი ძოვდა. ერთხელ საიდანლაც მოვიდა ტახი, რომელიც ვერავინ მოაშორა ქვეყანას. მეფემ პირობა დადო, ვინც ტახს მოაშორებდა, თავის ქალიშვილს მიათხოვებდა. ერთმა მწყემსმა გზაზე, სადაც ტახი დარბოდა, გადო მუხა, თვითონ ჩაიმალა მუხის ფოთლებში. როცა დაიღალა ტახი რკოს ჭამით, იქვე ჩაიძინა. მწყემსმა მოკვეთა მას თავი, მიართვა მეფეს და ცოლად მისი ასული მოიყვანა.

საკვანძო სიტყვები: ტახი, მეფის ასული.

Key words: wild boar, king's daughter

CMOMIIK, 1894, №18, განყ. 3, გვ. 1-26, ჩამწ. ი. ტენცოვი, „ჯალოქარი-მგელი“: მეფემ ტყეში სეირნობისას აღმოაჩინა, რომ მისი ქალიშვილი გამქრალიყო. ეძებეს და რომ ვერ მიაგნეს, პირობა დადო, რომ ვინც შვილს დაუბრუნებდა, ნახევარ სამეფოს ან დიდძალ ქონებას უბოძებდა. ვინ აღარ ეძებდა მეფის ასულს, მაგრამ უშედეგოდ. ერთ მწყემსს ცოლმა უთხრა: – შენ რატომ არ ეძებო?! – ამდენი ხალხი ვერ პოულობს და მე რას ვიზამო? გავიდა დრო და მწყემსმა შენიშნა, რომ მგელი იტაცებდა მის ცხვრებს. დაედევნა, მივიდა ბუნაგთან, შევიდა შიგნით და ხედავს, რომ შუაგულში ზის მეფის ასული და იქვე წამოწოლილია მგელი, რომელიც გადაქცეულა ადამიანის მსგავს ურჩხულად. მწყემსმა თოფით მოკლა ურჩხული, მიუყვანა მეფეს მისი ასული და იმდენი ქონება მისცეს, ძლივს წამოიღო ზურგით სახლამდე.

საკვანძო სიტყვები: მგლის მოტაცებული მეფის ასული.

Key words: a princess kidnapped by a wolf.

CMOMIIK, 1894, №18, განყ. 3, გვ. 1-26, მთქმ. ბ. შანავა, სოფ. წალენჯიხა, ჩამწ. პ. შანავა, ი. ტენცოვი, „ზარმაცი შვილი“: იყო უშვილო ცოლ-ქმარი. ერთხელ მათ ბაღში ვაშლის ხემ ერთადერთი ვაშლი გამოიღო, ჩამოვარდა და დაეცა ქალის ფეხებთან. შეჭამა ქალმა და დაორსულდა, გააჩინა ბიჭი. შვილი საშინლად ზარმაცი გამოდგა. იფიქრეს, ხელობას მაინც ვასწავლით, ვინმეს მივაბარებთო. მოიკიდა მამამ ზურგზე და გაუდგა გზას. მდინარეში რომ შევიდა, წამოჰკრა ქვას ფეხი და ჩავარდა წყალში შვილიანად. დაიძახა: „უხ!“ და გაჩნდა მის წინ თეთრწვერა კაცი: „მე მეძახდიო?“ როცა მოხუცმა გაიგო, რა საქმეზე მიდიოდა ეს კაცი, შესთავაზა: – მე დამიტოვე შვილი და ერთ წელიწადში მოაკითხეო. დასტაცა ბიჭს ხელი და წყალში ჩაითრია. რაღას იზამდა კაცი, გამობრუნდა სახლში და ერთი წლის თავზე მიაკითხა უხს. ახლა მოხუცმა ასეთი პირობა დაუდო, თუ იცნობ

შენს შვილს, წაიყვანე და თუ ვერა, ჩემთან დარჩებაო. სანამ უხის სახლთან მივიდოდნენ, რომელიც წყალქვეშ მდებარე მინდორზე იდგა, კაცთან შვილმა მიირბინა და უთხრა, ხელში ჯოხი მეჭირება და ვერე მიცნობო. მოხუცმა გამოიყვანა ხუთასი ერთნაირი ბიჭი და კაცმა შვილი ჯოხით იცნო. წამოიყვანა სახლში და ბიჭმა ისევ მხართეძობზე წამოწოლილმა განაგრძო ცხოვრება. ორჯერ ხარად ქცეულმა გააყიდინა მამას თავი და ისევ უკან დაბრუნდა. მესამედ კი ის თავისმა ოსტატმა – ჯადოქარმა იყიდა. ცხენად ქცეულს სულ დაბმულს ამყოფებდა. მეექვსე დღეს მოახერხა, იქცა თავგად და კატად ქცეული ჯადოქარი დაედევნა, მერე – მერცხლად, მერე – ნემსად და ცეცხლში დანვა ძაფად ქცეული ოსტატი. ბოლოს ისევ ბიჭად გადაიქცა და სახლში დაბრუნდა. უსაყვედურა მამამისს, რომ არ გაუგონა და უკბილო კაცს მიჰყიდა. გამდიდრებული ცოლქმარი ბიჭს აღარ საყვედურობდა სიზარმაცეს.

საკვანძო სიტყვები: უხ, მოხუცი ჯადოქარი, ზარმაცი.

Key words: Ooh, wizard, lazy boy.

СМОМІІК, 1894, №18, განყ. 3, გვ. 27-48, შ. ლომინაძე, მეგრული ზღაპრები – „სამი ძმა“: იყო სამი ძმა – ხუტუნია, ბარდლა და გუჯუ. ერთხელ მოიპარეს ძროხა, წაიყვანეს ტყეში მიაბეს ხეზე და მოილაპარაკეს, რომ სამი დღის მერე დაბრუნდებოდნენ ნაქურდალის გასაყოფად. მაგრამ უფროსი ძმა დაიმალა, როცა ძმები წავიდნენ, დაკლა საქონელი, წამოიღო სახლში და ჩამოკიდა ოჭინჯალზე (შუაწყეცხლის თავზე ჩამოკიდებული ჯაჭვი). სამი დღის შემდეგ ვერაფერი რომ ვეღარ ნახეს ტყეში, გუჯუ მივიდა უფროსი ძმის სახლში ვითომ წყურვილის მოსაკლავად. რძალმა ღვინო გამოუტანა, გუჯუმ ახლა კულა (სასმისი) მოითხოვა, დალია ღვინო და სახლი შეათვალიერა. ხუტუნიას სახლში რომ მობრუნდა, ცოლმა უამბო, რაც მოხდა, ისიც ყველაფერს მიხვდა და ხორცი სკივრში დამალა. მანც მოპარეს ძმებმა ერთმანეთს რამდენჯერმე ხორცი. ბოლოს რომ დაბრუნდნენ ძმები სახლში და აღმოაჩინეს, რომ ხორცი ისევ ხუტუნიას აქვს, რაღას იზამდნენ, მიხვდნენ, რომ ძმას მოხერხებულობით ვერ აჯობებდნენ.

საკვანძო სიტყვები: სამი ძმა, ქურდი ძმა.

Key words: three brothers, thief brother.

СМОМІІК, 1894, №18, განყ. 3, გვ. 27-48, შ. ლომინაძე, მეგრული ზღაპრები – „სახედარი“: ერთ მეგრელ მღვდელს ერთადერთი ჯორი ჰყავდა და თორმეტი მანეთი ვერცხლის ფული. ადგა და ჩლიქებში მონეტები შეუნყო, შემოჭდა და ებრაელი ვაჭრების რიგებში გაიარა. გადმოცვივდა ფული. მიადგნენ ებრაელები, მოგვიდეთო. მიყიდა და გაათრთხილა, ფაცხაში დააბით და სამი თვის მერე მიაკითხეთ, იქაურობა სავსე დაგხვდებათო. ასეც მოიქცნენ და სამი თვის მერე მართო ძვლები დახვდათ. გაბრაზდნენ და მიადგნენ მოსაკლავად. მღვდელმა მამლის ჩიჩაყვში მისი სისხლი ჩაასხა და მწოლიარე ცოლს ყელზე ჩამოჰკიდა.

ებრაელები რომ მოვიდნენ, დაარტყა მეგრელმა ცოლს დანა და გადმოვიდა იქიდან სისხლი. მერე გამოიტანა ჩონგური და დაინყო დაკვრა, ცოლი წამოდგა ფეხზე. გადაირივნენ ებრაელები და ახლა ჩონგური იყიდეს. სახლში მისულემა გამოჭრეს ცოლებს ყელი, მაგრამ რომ ვეღარ გააცოცხლეს, ისევ შეუცვივდნენ მღვდელს, შეიპყრეს და ჩასვეს გოდორში, მდინარეში რომ გადაეგდოთ. ყვირის მეგრელი მღვდელი: – ვაი, ვაის! ამ დროს ჩამოიარა მღვდელმა: – რა გაყვირებსო? – რა მაყვირებს და ებრაელები ფულს მაძლევენ და უარზე რომ ვარ, აქ ჩამსვესო. გაცვალეს ადგილები და, მის ნაცვლად, სხვა მღვდელი გადააგდეს წყალში. გავიდა ხანი და მეგრელი მღვდელი შემოეყარათ ებრაელებს. გადაირივნენ: – ცოცხალი როგორ ხარო? – რამდენი „ვაიც“ ვთქვი, ღმერთმა იმდენი ხარი მომცაო. გაიქცნენ მეგრელები, ჩახტნენ წყალში, მაგრამ ხარები კი არა, თავიც ვერ გამოიტანეს მდინარიდან.

საკვანძო სიტყვები: მატყუარა მეგრელი, მოტყუებული ებრაელები.

Key words: a liar Megrelian, deceived Jews.

СМОМІІК, 1894, №18, განყ. 3, გვ. 27-48, შ. ლომინაძე, მეგრული ზღაპრები – „კვიცი“: ერთ მეფეს დევმა შემოუთვალა: – შენს ასულს თუ არ მომათხოვებ, ყველას შეგჭამთო. მეფის ასულმა მამას უთხრა: – აჯობებს, ისევ მე მიმათხოვოო. დაემშვიდობა ყველას და შევიდა თავლაში. იქ ერთი კვიცი ეუბნება, შემომაჯექი და გიხსნიო. მიდის წინ დევი, უკან ოცდაათკაციანი მაცარი, ბოლოში კი მიყვება კვიცზე შემომჭდარი მეფის ასული. შემობრუნდა დევი, გადასანსლა ხუთი კაცი. შემობრუნდა მეორედ, კიდევ ხუთი კაცი გადასანსლა. ეუბნება კვიცი მეფის ასულს: – თუ არ ვიცვლით გეზს, შენც შეგჭამსო, გადამიჭირე შეიდგმის მათრახი ისე, რომ ტყავი ამძვრესო. დაედევნა გაქცეულ მეფის ასულს დევი. კვიცმა ამოიფრუტუნა და ნესტოებიდან სავარცხელი გადმოაგდო და გაჩნდა უკან ტყე. დაწინაურდნენ. ახლა კვიცს ამოვლიჯა ბალანი, გადაავლო და მთები გაჩნდა. მერე ფაფარიდან თმა ამოვლიჯა, გადაავლო და ზღვა გაჩნდა. გავიდნენ მინდორზე. კვიცმა გააჩინა ვაჟის ტანსაცმელი, გადაიცვა მეფის ასულმა. ამ დროს მოვიდა მონადირე, რომელიც თურმე იმ ქვეყნის უფლისწული იყო და დაქორწინდა მეფის ასულზე. როცა ცოლი ორსულად ჰყავდა, უფლისწული წასასვლელი შეიქნა. დაიბარა: – თუ ბიჭი გაჩნდება, წერილი მიმინოს გამოატანეთ, თუ გოგო – შავარდენსო. გაჩნდა ბიჭი. მიმინოს წერილი დევმა შეცვალა. მერე დევმა ქმრის წერილიც შეცვალა – თონეში დაწვით ცოლიცა და ბავშვიცო. სანამ თონეს ახურებდნენ, კვიცმა შემოისვა მეფის ასულიც და ახალშობილიც და წაიყვანა ერთ მინდორზე. კვიცი რომ მოკვდა, მისი სხეულიდან გაჩნდა სახლები, ადამიანები, სასახლე. უფლისწულმა როცა გაიგო, რაც მოხდა, დახოცა მშობლები, დაანგრია სასახლე, თვითონ გამოეწყო მათხოვრად და დაინყო ღვთის სახელით მათხოვრობა. მიადგა იმ ქალაქს, რომელშიც მისი ცოლ-შვილი ცხოვრობდა. ცოლმა მაშინვე იცნო ქმარი, გაუმასპინძლდა, გამოაწყო კარგად, გამოუყვანა შვილი. გადაირია

უფლისწული სიხარულით. დაიწყეს ბედნიერად ცხოვრება. ერთადერთი, რაც უფლისწულს სიცოცხლის ბოლომდე აწვალავდა, ის იყო, რომ დახოცა თავისი უდანაშაულო მშობლები.

საკვანძო სიტყვები: კვიცი, ქალაქის გაჩენა.

Key words: a foal, establishing a city.

CMOMIK, 1894, №18, განყ. 3, გვ. 27-48, შ. ლომინაძე, **მეგრული ზღაპრები – „ბრმა მეფე“**: ერთ ბრმა მეფეს სამი ვაჟი ჰყავდა. ისინი გამოკეტილნი იყვნენ ერთ ოთახში, რადგან მამას ეშინოდა, რომ მიატოვებდნენ. ერთხელაც ვაჟებს მზარეულმა უამბო, როგორი იყო ქვეყანა. იმათაც გაანგრის კარი და გამოვიდნენ გარეთ. მიადგნენ მამამისს, უნდა დაგტოვოთ და თვალის ასახელოდ წამალს მოგიტანთო. წავიდნენ უფროსი ძმები და მიადგნენ ეშმაკს. მასთან ბანქო წააგეს და მსახურებად დაუდგნენ. უმცროსი ძმა კი ამასობაში, როგორც იქნა, მიადგა ქალს, რომელსაც თვალის ასახელი წამალი ჰქონდა, მაგრამ თვებში ხიჭვად ვეებერთელა ხე შერჭობოდა. ვაჟმა ამოაძრო ეს ხე და დაასაჩუქრა ქალმა წამლით. წავიდა ძმებისკენ, ეთამაშა ეშმაკს და გაათავისუფლა ძმები. უკანა გზაზე დაინახეს დიდი ორმო. უმცროსი ძმა შიგ ჩავიდა. აღმოჩნდა ქალაქში, რომელშიც სამი ულამაზესი ასული და ცხოვრობდა. წამოიყვანა სამივე. ისინი აწიეს ძმებმა, ძმა კი იქ ჩატოვეს. შეაჯდა ვაჟი შავ ცხვარს და ამოფრინდა ზევით, შეგირდად დაუდგა ერთ ოქრომჭვდელს. გავიდა ხანი და ძმებმა დაქორწინება გადაწყვიტეს ორმოდან ამოყვანილ დებზე. დებმა უთხრეს, სანამ ოქროს კურდღელს არ მოგვიყვანთ, რომელიც ადამიანივით ლაპარაკობს, ცოლად არ გამოგყვებითო. ასეთი კურდღელი მხოლოდ უმცროსმა ძმამ გააკეთა. იცნეს დებმა, კურდღელი ვისი გაკეთებულიც იყო და დააბრუნეს სასახლეში. უმცროსი ძმა მოუყვა მამამისს თავისი თავგადასავალს, აუხილა თვალები. მამამ გაყარა სახლიდან უფროსი შვილები და სამეფო და ქონება დარჩა უმცროსს ძმას.

საკვანძო სიტყვები: სამი ძმა, სამი და, ბრმა მეფე.

Key words: three brothers, three sisters, a blind king.

CMOMIK, 1894, №18, გვ. 229-410, **„ჩანაწერები ხალხური ფანტაზიიდან და ყოფიდან“ (ტიფლისის და ქუთაისის გუბერნიები)**: ოქროსთმიან ტყუპებს ერთნაირი რაშები და ერთნაირი ძაღლები ჰყავდათ. ერთი ძმა წავიდა ბედის საძებნელად და ძმას დაუბარა, თუ უანგი გაჩნდება შენს იარაღზე, ე.ი. რალაც მიჭირსო. წავიდა ოქროსთმიანი და მიადგა ეშმაკს, რომელთანაც ბანქო ითამაშა. ჯერ წააგო ყველაფერი, მერე კი წაგებული დაიბრუნა. განაგრძო გზა. გზაში გამოიყვალა ტანსაცმელი, დატოვა რაში და ძაღლი, თავზე წაიკრა ხილაბანი და მეფეს მებადედ დაუდგა. მეფეს სამი ქალიშვილი ჰყავდა. უმცროსმა დაინახა მებალის თმა და შეუყვარდა. როდესაც მეფის ასულებს გათხოვების დრო დაუდგათ, უმცროსმა ქალიშვილმა არ დაიშალა და მებალეს გაჰყვა ცოლად.

მიუჩინეს ღარიბული ქოხი. ერთხელ მეფის სიძეები სანადიროდ წავიდნენ, მებალეს ვირი მისცეს. ტყეში მებალემ გამოიკვალა ტანსაცმელი, შეჯდა თავის რაშზე და მოკლა ირემი. ჩამოჯდა გზაზე. ჩამოიარეს უფროსმა სიძეებმა, რომლებიც ნადირობიდან სასახლეში ხელმოცარულები ბრუნდებოდნენ. მებალეს თხოვეს, მოკლული ირემი მოგვყიდო. მებალემ არ მიჰყიდა ნანადირევი, სამაგიეროდ ზურგებზე რაშის ფლოქეები დაარტყმევინა. სასახლეში დაბრუნებული სიძეები თავს იწონებდნენ მოკლული ირმით, მებალემ კი ხელცარიელი დაბრუნდა შინ. ასე განმეორდა სამჯერ (ზღაპრის სხვა ვერსიაში მეორე და მესამე ჯერზე მებალემ, მებატემ სიძეებს ნეკებს და ბიბილოებს აჭრის ნანადირევის სანაცვლოდ). ერთხელ სამეფოს თურქები შემოესივნენ. მებალემ ისევ გამოეწყო თავის ტანისამოსში და ამოხოცა მტერი. ბრძოლისას მკლავში დაიჭრა და მეფემ თავისი ხელსახოცით შეუხვია მკლავი. როდესაც სასახლეში დაბრუნდნენ, მეფემ უმცროს სიძეს დაუნახა შეხვეული მკლავი და იცნო. მებალემ უამბო ნადირობის ამბებიც და სიმართლის დასადასტურებლად სიძეების ზურგები აჩვენა. მებალემ ლამაზ სასახლეში გადმოიყვანეს საცხოვრებლად. გავიდა ხანი. ერთხელ ოქროსთმიანი სანადიროდ წავიდა. წელიდან ამოვიდა კუდიანი და მწვადი სთხოვა. კუდიანმა მწვადიც შეჭამა, ოქროსთმიანიც, მისი რაშიც და ძაღლებიც. ამ დროს მისი ტყუპისცალის იარაღს ჟანგი გაუჩნდა. წავიდა ძმის დასახმარებლად, მიაღწა მეფის სასახლეს, ბოლოს მოძებნა კუდიანი, დააბრუნებინა ძმაც, რაშიც, ძაღლებიც და დაბრუნდნენ სასახლეში. გახარებულმა მეფემ ძმიშვილი მიათხოვა სიძის ტყუპისცალს.

საკვანძო სიტყვები: ოქროსთმიანი, რაში, ძმა, მეფე, ძაღლები.

Key words: Goldfish, Rashi (divine horse), Brother, King, Dogs.

СМОМІІК, 1894, №18, გვ. 229-410, „ჩანაწერები ხალხური ფანტაზიიდან და ყოფიდან“ (ტიფლისის და ქუთაისის გუბერნიები): ჭაკის შვილი – ერთ სამეფოში თეთრი ჭაკი ცხენი ყოველ კვირას კვიცს იგებდა. ერთხელაც გავიდა: კვირა, თვე, ხუთი თვე, მაგრამ ვერა და ვერ მოიგო კვიცი. გავიდა ცხრა თვე და გააჩინა ბიჭი. ის თხუთმეტი წლის რომ გახდა, გადაწყვიტა, ბედის საძებნელად წასულიყო. დედამ მისცა ლაგამი და შეუშვა რემაში, რომ ერთი ცხენი გაეხედნა. ცხენები გაიფანტნენ და დარჩა მხოლოდ ერთი ჭაკი ცხენი. ყმანვილმა იუკადრისა ჭაკი ცხენის გახედვანა. მაგრა, ჭაკმა ცხენმა, რომელსაც რაში ერქვა, ადამიანის ხმით დაიწყო ლაპარაკი. შეჯდა ყმანვილი რაშზე, როცა რაში მიწასთან დაინედა, ზურგზე მოექცეოდა, როცა ცაში აფრინდებოდა, მუცელზე მოექცეოდა, ცისთვის რომ არ მიერთყა თავი და არ გასრესილიყო. ბოლოს რაში დაიღალა. გაუდგნენ გზას. მიადგნენ ერთ ქალაქს, რომლის წინაც სამი ხე იდგა. რაშმა უთხრა, ჯერ ერთი მოჭერიო. მოჭრა და იქიდან დევი გადმოვიდა. მოკლა ყმანვილმა დევი. ახლა მეორე ხე მოჭრა და იქიდან გადმოსული დევიც მოკლა. რაშმა უთხრა, ახლა მე ავფრინდები და შენ ისე მოჭერი ხეო. გადმოვიდა ბაყბაყდევი. ისინი შეიბნენ. სამი

დღე და ღამე გაგრძელდა მათი ორთაბრძოლა. ბოლოს ყმაველმა სძლია და ის-ის იყო, ხანჯალი უნდა დაერთყა, რომ ბაყბაყდევა სთხოვა, სიცოცხლე შემინარჩუნე და განსაცდელის შემთხვევაში დაგეხმარებო. გაუშვა ბაყბაყდევი, თვითონ კი რაშზე ამხედრებული შევიდა ქალაქში. ამ ქალაქში ცხოვრობდა მზისუნახავი, რომელსაც მზის სინათლე არ ენახა და თავისი შუქით ანათებდა გარემოს. უამრავი ხელის მთხოვნელი მოდიოდა მასთან, მაგრამ ვერც ერთმა შეასრულა დავალება – აეტანათ სარზე წყლით სავსე ჭიქა ისე, რომ არც ერთი წვეთი არ გადმოეღვარათ. ხელის მთხოვნელების თავები სარებზე იყო წამოცმული. ყმანვილი მივიდა ოქრომჭედელთან, გააკეთებინა ოქროს ცხვარი, ჩაჯდა შიგნით და ოქრომჭედელს სთხოვა, მიერთმია მეფის ასულისათვის. ღამე ამოძვრა ოქროს ცხვირიდან და სთხოვა მეფის ასულს დახმარებოდა დავალების შესრულებაში. მზისუნახავს შეუყვარდა ყმანვილი და მისცა ბეჭედი, რომელიც წყალს გაყინავდა. მეორე დღეს ყმანვილმა დავალება შეასრულა და დაქორწინდა მზისუნახავზე. მეფემ სთხოვა, სამი თვე დამიტოვე ქალიშვილი და მერე წაიყვანეო. ყმანვილი წავიდა სამი თვით ბაყბაყდევთან. როდესაც დრომ მოუწია, მეფემ დაახვედრა ლაშქარი, რადგან არ უნდოდა ქალიშვილი მისთვის გაეტანებინა. ბაყბაყდევა გამოიხმო დევების ლაშქარი და დაამარცხეს მეფე. დაიწყეს ბედნიერად ცხოვრება. თეთრი ჭაკი ცხენიც მათთან დასახლდა და სიკვდილის წინ სთხოვა, რომ მგლების შესაჭმელად არ მიეგდოთ, რადგან მისი ხორციით გამაძლარი მგლები გამრავლებას დაიწყებდნენ და ადამიანებს ზიანს მოუტანდნენ.

საკვანძო სიტყვები: ჭაკის შვილი, ბაყბაყდევი, მეფე, ჭიქა, მეფის ასული.

Key words: Chuck's son, Daeva, king, cup, daughter of king.

CMOMIK, 1894, №18, გვ. 229-410, „ჩანაწერები ხალხური ფანტაზიიდან და ყოფიდან“ (ტიფლისის და ქუთაისის გუბერნიები): ცოლ-ქმარს სამი ვაჟიშვილი ჰყავდა და მეოთხეც ვაჟი უნდოდა, მაგრამ ღმერთმა არ ისმინა მათი ლოცვა და მისცა – გოგო. ეს გოგო სინამდვილეში დევი იყო, ღამით აკვანში რომ ჩაანვენდნენ, ძროხებს ჭამდა. მამამ უფროს ვაჟიშვილს დაავალა, ღამე გაეთია და ძროხის მჭამელი დაეჭირა. ბიჭს დაეძინა. მეორე ღამეს შუათანა შვილსაც ჩაეძინა. მესამე ღამეს უმცროსი ძმა დაუდარაჯდა დევს და მკლავეში დაჭრა. ამ დროს გაისმა ბავშვის ტირილი აკვნიდან, რომელსაც ხელიდან სისხლი მოსდიოდა. მამამ უმცროსი ვაჟიშვილი სახლიდან გაავლო. ბიჭმა სამი ძაღლი შეიძინა, ამხედრდა რაშზე და მოვიდა დევი დის მოსაკლავად. ამასობაში დას მთელი ოჯახი უკვე შეეჭამა და ამის შეჭმაც მოინდომა, მაგრამ მუდარამ გაჭრა და დაინდო. მეორე დღეს დევი სახლიდან წავიდა და ძმამ ღომი და ლობიო გააკეთა, ოხშივარი ამოდიოდა ქვაბიდან. მისი ძაღლები – ხოარმი, ხურუმი და გიშერა მცველებად დაუდგნენ. მოვიდა დევი და ჩაისხა პირში საჭმელი. ძმამ ღვინოც მიანოდა და მოცელილი დევი ძირს დავარდა. მძინარე მღევს ძაღლებმა ყელი

გამოჭამეს, ძმამ თოფიც ესროლა, მაგრამ თურმე, როგორც კი ტყვია მოხვდებოდა, დევი თავიდან ცოცხლდებოდა. ამიტომ მესამე ჯერზე ძმამ ტყვია აღარ დაახალა ძაღლების დაჭმულ დას და მთელი ავლადიდება მას დარჩა.

საკვანძო სიტყვები: აკვანი, ძროხები, დევი.

Key words: Chuck's son, frog, king, cup, king's daughter.

СМОМІК, 1894, №18, გვ. 229-410, „ჩანაწერები ხალხური ფანტაზიიდან და ყოფიდან“ (ტიფლისის და ქუთაისის გუბერნიები): ერთ ქალს ოთხი ქალიშვილი ჰყავდა. ერთხელ მდინარეზე გასულმა წყალში მოტივტივე ლობიოს მარცვალი შენიშნა, ამოიღო და შეჭამა. ცხრა თვეში შეეძინა ბიჭი, სახელად კაჟანდი. როცა ბიჭი თხუტმეტი წლის გახდა, მეზობლის ბიჭებმა ნაბუშარი დაუძახეს, მივიდა დედასთან, ყელში წაუჭირა ხელი და ათქმევნა სიმართლე. წავიდა კაჟანდი მჭედელთან და გამოაჭედინა მშვილდი და ხუთფუთიანი ისრები. აავლო ისარი, მიუშვირა შუბლი, გატყდა ისარი. გამოაჭედინა ახლა ათფუთიანი ისრები და გაემართა ბედის საძიებლად. გზაში დაიმეგობრა ახმატი და ბოშა. ახმატი მთებს დგამდა, ისეთი ძლიერი იყო; ბოშა კი დედამინას კიდეში კიდებდა ხელს და ისე სწევდა. ერთხელ სახლში ახმატი დარჩა სადილის მოსამზადებლად, კაჟანდი და ბოშა წავიდნენ სანადიროდ. მიადგა ახმატს მღვდელი, რომელმაც დააბა ახმატი და შეჭამა მთელი სადილი. მეორე დღეს ისევე მოექცა ბოშას. მესამე დღეს კი ვერ აჯობა კაჟანდის და გაექცა. ის-ის იყო, უნდა დანეოდნენ მღვდელს, რომ მღვდელი ჩახტა ხვრელში. ჩაუშვეს ხვრელში კაჟანდი. ის მიადგა ერთ სახლს, მომაკვდავ მღვდელს კი სამი ქალიშვილი დასტიროდა. წამოიყვანა მღვდლის ქალიშვილები და რიგრიგობით აუშვა ამხანაგებთან. როდესაც მისი ასვლის ჯერი დადგა, კაჟანდის ეჭვი შეეპარა ამხანაგების ერთგულებაში და კალათში ჩალო ქვა. მალე კალათი მოწყდა და გრიალ-გრიალით ჩაეარდა უფსკრულში. კაჟანდომ გაიგო, რომ წყაროს დრაკონი დაჰპატრონებოდა და წყალს არავის აძლევდა, სანამ შესაჭმელად არ მისცემდნენ ადამიანს. აიღო კაჟანდომ კოკა და გაეშურა წყაროსკენ. დრაკონს ეძინა და იქვე იჯდა მეფის ასული. ჩაუღო კაჟანდომ მეფის ასულს თავი კალთაში და დაეძინა, გამოღვიძებულმა მოკლა დრაკონი და გაათავისუფლა მეფის ასული. მეფემ კაჟანდი მოამარაგა ბლომად ხორციით და ორბმა ის ააფრინა ზევით. მაგრამ შუა გზაში დაუმთავრდა ხორცი და ჩამოხტა შუა ქვეყანაში. დაინახა სახლი, შევიდა შიგნით. ამ სახლში კაცებს ჭურში მღევები ჰყავდათ ჩამწყვდეული. კაჟანდომ ახსნა ჭურს თავი და იქიდან ამოვიდნენ დევები. მოცივიდნენ კაცები და ჩააბრუნეს დევები უკან. კაჟანდომ დახოცა ნადირი, მოიმარაგა საკმარისი ხორცი, შეაჯდა ისევ ორბს ზურგზე. ერთი ფრთის მოქნევადა უკლდა, რომ გმირს კვლავ დააკლდა ხორცი, ადგა და კანჭიდან მოიჭრა და ის აჭამა ორბს. როდესაც ავიდნენ დედამინაზე, ორბმა გაუმთელა ფეხი. მიადგა სახლს, რომელშიც მისი ამხანაგები ცოლებთან ერთად ცხოვრობდნენ და დღედაღამ ქეიფობდნენ, კაჟანდის საცოლოე კი ბატებს მწყემსავდა. როდესაც მათ

დაინახეს კაჟანდი, მუხლებზე დაეცნენ და შეწყალება სთხოვეს. იმანაც შეუნდო და წავიდა დედის სანახავად. ამის შემდეგ კაჟანდი დაქორწინდა თავის საცოლეზე.

საკვანძო სიტყვები: კაჟანდი, ორბი, ფრთა, ჭური, კაცი, სახლი.

Key words: Kajand, orb, wing, shell, man, house.

CMOMIK, 1894, №18, გვ. 229-410, „ჩანანერები ხალხური ფანტაზიიდან და ყოფიდან“ (ტიფლისის და ქუთაისის გუბერნიები): ერთ ქალს შვილი ჰყავდა, რომელიც არ სწავლობდა. მიაბარა ებრაელ მეფართლეს. – რა გქვიაო? – ჰკითხა ებრაელმა. – დაგლიჯე და გადააგდეო. მეორე დღეს დატოვა ებრაელმა ბიჭი დუქანში და დაუბარა: – დაგლიჯე და გადააგდე, მე მივდივარო. ბიჭმა, რაც კი ხელში მოხვდა, დაგლიჯა და გადააგდო. დაბრუნდა ებრაელი და კინწისკვრით გააგდო ბიჭი დუქნიდან. დედამ შვილი ახლა სხვა ებრაელს მიაბარა, რომელიც ხილით ვაჭრობდა: – რა გქვიაო? – მოკბიჩე და გადააგდეო. მეორე დღეს ებრაელმა დაუბარა: – მოკბიჩე და გადააგდე, მე მივდივარო. როცა ებრაელი დაბრუნდა, რას ხედავს, მთელი მისი ხილი დაკბეჩილ-გადაყრილია. ამანაც გააგდო ბიჭი კინწისკვრით გარეთ. დედამ ახლა ყაჩაღებს მიაბარა შვილი. მეთორმეტე ყაჩაღი მოკვდა და მისი ტანისამოსი და ცხენი შენახული ჰქნოდათ. ერთხელ, როცა ყაჩაღები საშოვარზე წავიდნენ, ბიჭმა გადაიკვა მეთორმეტე ყაჩაღის სამოსი და გავიდა სახლიდან. დაინახა, მოხუცი ტირის. დაედევნა ყაჩაღებს და წაართვა მოხუცის ქონება. დაბრუნდნენ სახლში ყაჩაღები, ერთ ყაჩაღს ეჭვი შეეპარა, რომ მათი მომრევი ბიჭი იყო. გამოსაცდელად გაუშვეს საჭმლის მოსახარშად ძმის საფლავეზე. ერთი ყაჩაღი საფლავეში ჩანვა. ბიჭმა რომ მოხარშა ფაფა, იმან ამოსძახა საფლავეიდან. ბიჭი არ შეშინდა და მდულარე ფაფა გადაასხა ყაჩაღს. ყაჩაღები დარწმუნდნენ, რომ ბიჭი უშიშარი იყო და მისი დალუპვა განიზრახეს. გაგზავნეს უკვდავების წყლის მოსატანად. უკვდავების წყლით რომ აფსებდა ჭურჭელს, მოფრინდა ქალი, რომელსაც ხელში ოქროს მათრახი ეჭირა. ბიჭმა გამოსტაცა მათრახი. თურმე ეს ქალი მოჭადოებელი იყო და, როგორც კი ვიღაც მათრახს წაართმევდა, ჯადო ეხსნებოდა. გადაიქცა ქალი ჩიტად და გაფრინდა. მათრახი ბიჭმა გადაუჭირა ქვებს, რომლებიც მამინვე ისევ ადამიანებად იქცნენ. აავსო წყლით ჭურჭელი და გამობრუნდა სახლში. წავიდა ახლა ბიჭი მეფესთან, იფიქრა მათრახს მივართმევო, მაგრამ ერთი ვაჭარი შემოედგა: – ეს მათრახი მე მეკუთვნისო. მეფემ სამი წელი მისცა ბიჭს დასამტკიცებლად, რომ მათრახი მან არ მოიპოვა, რისთვისაც სამი წლის თავზე კიდევ ასეთივე თორმეტი მათრახი უნდა მოეტანა. თავდებად მეფეს თერთმეტი ყაჩაღი დაუტოვა. წავიდა ბიჭი და მიაღვა ერთ ქვეყანას. აქ უფლისწული მომკვდარიყო და ყოველ ღამე რაღაც ფრინველი მიცვალებულს აწვალავდა. დაუდარაჯდა ღამე ბიჭი და დაინახა უზარმაზარი ფრინველი, რომელიც მოხუც ქალად გადაიქცა და ვერცხლის მათრახით უპირებდა მიცვალებულს წამებას. გამოვლიჯა ბიჭმა ხელიდან მათრახი და აფხსნა მწვალებელს ჯადო, გადაიქცა პატარა ჩიტად და გაფრინდა. ახლა ზღაპარზე

გადასვლა გადანყვიტა ბიჭმა. უცბად შუა ზღვიდან ამოვიდა ქალი, რომელსაც ხელზე სამაჯური ეკეთა, მოხსნა სამაჯური ბიჭმა ქალს და აეხსნა იმასაც ჯადო, გადაიქცა ჩიტად და გაფრინდა. გადასურა ბიჭის გემმა ზღვა და მიაღდა ერთ სასახლეს. ამ სასახლეში სამი ქალი ცხოვრობდა, თურმე ეს ქალები ის ფრინველები იყვნენ, რომელთაც ჯადო ახსნა ბიჭმა. რა გინდა, რით გადაგიხადოთ მადლობაო. ბიჭმა გამოსთხოვა თორმეტი ოქროს მათრახი. მოუტანა მეფეს, დაამტკიცა, რომ ჰირველი ოქროს მათრახიც მას ეკუთვნოდა. მეფემ დასაჯა გაჭარი და ბიჭს თავისი ერთადერთი ასული მიათხოვა.

საკვანძო სიტყვები: ქალი, შვილი, ებრაელი, ღუქანი, ბიჭი, მათრახი.

Key words: Woman, child, Jew, stall, boy, mat.

СМОМПК, 1896, N21, ნან. 2, გვ. 88-96, ზღაპრები, რომლებიც ჩაინერეს ამიერკავკასიის სემინარიის აღსაზრდელებმა, ჩამნ. პ. როსტომოვი, თბილისის გუბერნია, ქ. გორი, „აღმოსავლეთისა და დასავლეთის ხელმწიფეები“: აღმოსავლეთის ხელმწიფემ დასავლეთის ხელმწიფეს შემოუთვალა: – გაიგე, რას ნიშნავს: „ჩემმა ულაცმა აქ რომ დაიჭიხვინა, შენმა ფაშატმა მანდ მოიგო“. დაღონებული ხელმწიფე ნახევარ სამეფოს დაჰპირდა იმას, ვინც ამ გამოცანას ამოხსნიდა. ერთხელ ხელმწიფის ელჩებს ერთი ბიჭი შემოხვდათ, რომელიც ქართულად საუბრობდა. მოეწონათ ბიჭის ლაპარაკი ელჩებს და წამოიყვანეს ხელმწიფესთან. როდესაც ეს გამოცანა მოისმინა, ბიჭმა მოითხოვა კარგი ცხენი და ამაღა სამასი შეიარაღებული კაცით. აღმოსავლეთის ხელმწიფის სამეფოსთან მიახლოებულებმა ყვირილი ატეხეს, თითქოს ნადირს აფრთხობდნენ, შემდეგ – თითქოს კურდღელი დაინახეს. როდესაც სამეფოდან არცერთი ძაღლი არ მოვარდა ყვეთ, შევიდა ქალაქში და მხლებლებს ამოახოცინა ყველა ძაღლი, რომელიც ქალაქში შეხვდებოდათ. ხელმწიფემ ბიჭი დაიბარა და ძაღლების დახოცვის მიზეზი ჰკითხა. ბიჭმა უპასუხა: – ქალაქისგან მოშორებით ტყეში ნადირი ვნახე, როგორ არ ვეძახე თქვენს ძაღლებს და არცერთმა არ შეიბერტყა ყურიო. გაბრაზდა ხელმწიფე: – როგორ უნდა გაეგოთ ძახილი ამ სიშორეზეო. ბიჭმა მიუგო: – როგორც შენი ულაცის ჭიხვინზე მოიგო კვიცი ფაშატმაო. გამოისტუმრა აღმოსავლეთის ხელმწიფემ ბიჭი, მაგრამ გულში ჩაიღო მისი გამჭრიახობა და ბოღმა. მეორე დღესვე გაუგზავნა რკინის ფურცელი დასავლეთის ხელმწიფეს, რაც იმას ნიშნავდა, ემზადე ომისთვის და აბჭარი შეიკერეო. ბიჭმა საპასუხოდ კლდის ნატეხი გაუგზავნა, ძაფის გამოღებაში დამეხმარე, რკინის პერანგი რომ შევიკერო შენი გამოგზავნილი რკინის ფურცლიდანო. მიხვდა, აღმოსავლეთის ხელმწიფე, რომ სასტიკად დაამარცხა ბიჭმა და დანებდა. დასავლეთის ხელმწიფემ კი ნახევარი სამეფო აჩუქა გამჭრიახ ბიჭს.

საკვანძო სიტყვები: აღმოსავლეთის ხელმწიფე, დასავლეთის ხელმწიფე, ბრძენი ბიჭი.

Key words: the king of the East, the king of West, the wise boy.

Г, 1882, №19, გვ.13-14, „ქართული ხალხური ზღაპარი“ (ნაცნობები ა. ი. ჯავახიშვილის მიერ კრებულში, გამოცემული კავკ. სასწავლო ოლქის მიერ 1882 წ.): ზღაპარი არის სამ ხელმწიფე ძმაზე, რომელთაც მამამ გარდაცვალების წინ ბეჭედი დაუტოვა და დაუბარა, რომ არავისთვის მიეცათ. გავიდა დრო, ძმებმა მოიკითხეს ბეჭედი და ველარ იპოვეს. ყველა ერთმანეთს აბრალებდა ამ ამბავს, გადაწყვიტეს მეზობელი ხელმწიფისთვის მიემართათ დახმარებისთვის. ხელმწიფემ გადაწყვიტა თავისი ბრძენი ასულისთვის მიენდო ეს საქმე. ასულმა და ხელმწიფემ ძმები დაიბარეს განსასჯელად. ქალიშვილი მათ ერთ იგავს მოუყვა და სთხოვა, თითოეულს ეთქვა, ვინ იყო ამ ამბავში მართალი. ყველამ სხვადასხვა პერსონაჟი დაასახელა და თავის პასუხს ახსნაც მოუძებნა. ასული მიუბრუნდა უმცროს ძმას და უთხრა: – ჩანს, შენ იმ კეთილგონიერებას აქვებ, რომლითაც შენ თვითონ ხელმძღვანელობ. ბეჭედი შენ გაქვს, დაბრუნდი სახლში და დაუბრუნე შენს ძმებს კუთვნილი.

საკვანძო სიტყვები: მეფის ასული, სამი ძმა.

Key words: fairy-tale, King's Daughter (princess), three Brothers.

ՅՕ, 1912, №1-2, გვ. 294-296, „ქრონიკიდან: მეგრული ტომის შესწავლისათვის და ტერმინ „აბხაზის“ იაფეტური წარმომავლობა“: ქრონიკის რუბრიკა ამ მოკლე ცნობათაგან პირველი გვატყობინებს ი. ა. ყიფშიძის ნაშრომის შესახებ „მეგრული ენის (ივერიულის) გრამატიკა ქრესტომათითა და ლექსიკონით“. აქ არის მნიშვნელოვანი ინფორმაცია, რომ აღნიშნულ ქრესტომათიაში შეტანილია ყიფშიძის მიერ სამეგრელოში მოგზაურობის დროს მოგროვებული სხვადასხვა სახის სიტყვიერება, ზღაპრები და სხვ. აქვეა უარყოფითი შეფასება ა. გრენის ერთ-ერთი ნაშრომისა. რაც შეეხება ტერმინ „აბხაზის“ განმარტებას, აქ საუბარია ნ. ი. მარის სტატიამზე, სადაც იგი ამ თემას ეხება.

საკვანძო სიტყვები: მეგრული, აფხაზური, სიტყვიერება.

Key words: Megrelian, Abkhazian, speech.

ՅՕ, 1912, №3-4, გვ. 1-17, ა. ხახანოვი (ა. ხახანაშვილი), „ქართული ვერსია თქმულებისა სამი საზრიანი ძმის შესახებ“: თქმულება სამი ძმის უჩვეულო საზრიანობისა და მიხვედრილობის შესახებ სხვადასხვა ხალხის სიტყვიერებაში გვხვდება. სტატიის მიზანია ამ სიუჟეტის მქონე ზღაპრის ქართული წერილობითი და ზეპირსიტყვიერი ვერსიების ურთიერთშედარება. წერილობით ვერსიას ვხვდებით „რუსუდანიანში“, ზეპირსიტყვიერები კი ჩანერილია ქ. გორში და დაბეჭდილია კრებულის „Сборник материалов...“ მე-19 და მე-2 გამოცემებში, რომლებიც ორივე აქვეა მოყვანილი: „ზღაპარი მეფესა და მის სამ ძეგ“ და „სამი ძმა-უფლისწული“. ასევე, მოყვანილია „რუსუდანიანის“ ვარიანტის შინაარსი. აქვე მოთხრობილია მსგავსი სიუჟეტი თალმუდიდან. ავტორი ასკვნის, რომ „რუსუდა-

ნიანის“ ვერსია ავლენს მსგავსებას მიდრაშსა და თალმუდთან. „სამი ძმა-უფლისწულის“ ზღაპარში შესულია თქმულება „ვინ არის ქურდი? ანუ სიბრძნე სოლომონისა“. ავტორი სტატიის ბოლოს საინტერესო დასკვნებს აკეთებს. ის ამბობს, რომ ზეპირსიტყვიერ ვერსიაში სამი სიუჟეტი ფიქსირდება, წერილობითში კი ორი და გამოყოფს სახასიათო მოტივებს: აქლემის, პურისა და ცხვრისა და ბრძენი ასულისა. საბოლოო ჯამში, ავტორი ვარაუდობს, რომ ყველა ქართული ვარიანტი განიცდის ებრაულის გავლენას.

საკვანძო სიტყვები: ზღაპარი, სამი ძმა, ბრძენი ასული.

Key words: fairy-tale, three brothers, wise princess.

K, 1878, №12, 30, გვ. 1, „ა. ა. ცაგარლის სამეცნიერო გამოკვლევები და მისი მოგზაურობა სამეგრელოში“: სტატიის დასაწყისში ავტორი მიმოიხილავს სხვადასხვა მოსაზრებას ქართული და სხვა იბერიული ენების ნათესაობის შესახებ. ა. ცაგარლის აღნიშნული მოგზაურობის (1876-1877 წლების ზაფხულის) მასალები შეიცავს სხვადასხვა ფოლკლორულ მასალას: ზღაპრებს, სიმღერებს, ანდაზებს, გამონათქვამებს, „მამაო ჩვენოს“ თარგმანს, სახარებისეულ იგავებსა და სხვ. ამავე მასალებშია მოხაზული ავტორის მიერ მეგრული ენის გავრცელების არეალი. აქვეა მეგრული ხალხური პოეზიის ნიმუშები კომენტარებითურთ. ამ მასალების ანგარიშში ავტორი ასევე აკეთებს მეგრული ენის ფონეტიკურ და გრამატიკულ მონახაზს. აღნიშნულია, რომ ცაგარელმა მოგზაურობისას ასევე მოინახულა რამდენიმე ძველი ღირსშესანიშნაობა. აღნიშნულია, რომ ქუთაისის გუბერნიის არქივში მას უნახავს გუჯარები, 379 წიგნი, რომლებიც მეცნიერებისთვის ჯერაც ხელუხლებელ დოკუმენტებს შეიცავს. ავტორი ხაზს უსვამს მათი შესწავლის აუცილებლობას.

საკვანძო სიტყვები: სამეგრელო, მოგზაურობა, ფოლკლორული მასალა, მეგრული ენა.

Key words: Samegrelo, journey, folklore materials, Megrelian language.

CMOMIK, №7, განყ. II, გვ. 93-95, გ. გუჯეჯიანი, „ბედისწერა (სვანური ზღაპარი)“: აღნიშნული ზღაპარი რედაქციაში გავზავნილია ამიერკავკასიის სამასწავლებლო სემინარიის ერთ-ერთი სტუდენტ გიორგი გუჯეჯიანის მიერ. ზღაპრის მორალია ქორწინების ღვთის მიერ ხელდასმულობა. ზღაპარი მოგვითხრობს ერთ ახალგაზრდა სვან თავადზე, რომელიც შემთხვევით ერთ ღარიბ და ხეიბარ გოგონას შეხვდა. თავადმა გადაწყვიტა სწორედ ის მოეყვანა ცოლად. ქორწილში თავადი ლამაზმან მებობელთა გამკიცხავ მშერებს აწყდებოდა. თავადი დადარდიანდა იმაზე, რომ მთელი ცხოვრება ხეიბარ გოგონას დაუკავშირა. იმ ღამეს ჭაბუკი სახლიდან გაიპარა. მეორე დღეს მთელი დღე ცხენის ჭენებისაგან ძალაგამოცლილს ჩაეძინა და ესიზმრა: თითქოს, მისი სახლის წინ ღრუბლები დაეშვა, რომლებზეც სასწორი იდო. სასწორის პინებზე ანგელოზი

გოგო-ბიჭებს სხამდა. როცა ერთმანეთს გაუთანაბრდებოდა პინები, ანგელოზი აიღებდა გოგონასა და ბიჭის ხელებს, ერთმანეთს შეუერთებდა და მათ დედამიწაზე აგზავნიდა ერთად. დადგა თავადის რიგიც, უცებ, მეორე პინაზე მისი ხეიბარი მეუღლე გაჩნდა. გამოღვიძებულმა თავადმა პირჯვარი გადაიწერა და სახლში დაბრუნდა. მეუღლეებმა დიდხანს და ბედნიერად იცხოვრეს ღრმა სიბერემდე.

საკვანძო სიტყვები: სვანური, ზღაპარი, ქორწინება, ბედისწერა.

Key words: Svanetian, folk-tale, marriage, fate.

CMOMIK, №13, განყ. II, გვ. 24- 31, შ. ლომინაძე, „რაჭული ზღაპრები“: სტატიაში სამი რაჭული ზღაპარია: „მოხუცი მათხოვარი და სამი ძმა“, „მეფე და ეშმაკები“ და „ნაცარქექია“. პირველი მათგანი მოგვითხრობს სამი ღარიბი ძმის შესახებ, რომელთაც გზად ერთი მოხუცი შეხვდა. ძმები მას თავიანთ ბედზე შესწივლებენ. მოხუცი კი მისცემს მათ იმას, რასაც ისინი ინატრებენ. გამოხდა ხანი, მოხუცი ესტუმრა სამივე ძმას. უფროსმა და შუათანა ძმამ იგი უკმეხად გამოაგდეს, მესამე ძმის ცოლმა კი – ხელგაშლილად მიიღო: გაუგზავნა ცხენები და სახელარი ჭიშკართან, რათა ღირსეულად შესულიყო სტუმარი, მაგრამ ცხოველები დაიხოცნენ. მაშინ ქალი თავად გავიდა და მხრებით შემოიყვანა სტუმარი. შემდეგ შვილები ღვინის მოსატანად გავგზავნა მარანში, სამივე დაიხრჩო, მაგრამ ქალმა სტუმართან კრინტიც კი არ დაძრა. მაშინ მოხუცმა უთხრა: „დაე, მოგეცეს ყოველივე კეთილი იმაზე ათჯერ მეტი, ვიდრე გქონდა.“ შვილები გაცოცხლდნენ, გაცოცხლდნენ ცხოველებიც. აღმოჩნდა, რომ ეს მოხუცი მათხოვარი თავად იესო ქრისტე იყო.

მეორე ზღაპარი მოგვითხრობს, თუ როგორ გააცურეს ეშმაკებმა მეფე, რომელიც ყოველ ჯერზე სიტყვა „ეშმაკის“ გაგონებისას, იფურთხებოდა. ეშმაკები ამაზე გაბრაზდნენ და ასეთი ოინი მოუწყვეს მეფეს: ერთ-ერთი ეშმაკი ქალაქში ერთ მჭედელს დაემონათა. ორი წლის შემდეგ ჩამოიარა ორმა მოხუცმა (ორმა ეშმამ), რომელთაც გაახალგაზრდავება მოსთხოვეს მჭედლებს, ეს საქმე მჭედელმა ეშმამ ითავა: ისინი ცეცხლში შეყარა და გამოჭედვის შემდეგ გაახალგაზრდავდნენ. ეს გაიგო მეფემ, რომელმაც იგივე ისურვა. ეშმაკმა მეფე გააცურა და იგი ცეცხლში დანვა.

„ნაცარქექიას“ ეს ვერსია მიჰყვება ცნობილ სიუჟეტურ ხაზს. თუმცა, სახლიდან გაგდებულ ნაცარქექიას თან მიაქვს ხაპში (მწარე კვახში) ჩაყრილი ნაცარი. მდინარესთან შეხვედრილ დევს სწორედ ამით გააცურებს, ქვის მტვრად გადაქცევა შემოძლიაო და ამ კვახს გახეთქს. სახლში რომ მივლენ, დევი ნაცარქექიას ეტყვის მარნიდან ღვინო ამოიტანეო. ნაცარქექია ჭურის გარშემო თხრას დაიწყებს, თითქოს მთელი ჭურის ამოღება უნდა. საბოლოოდ, დევი შეშინდება და ძმებთან გაიქცევა. ნაცარქექია კიდევ ერთ ოინს მოითვითქრებს და დევის ძმებსაც წაართმევს სახლს.

საკვანძო სიტყვები: რაჭა, რაჭული, ზღაპარი, სამი ძმა, იესო ქრისტე, მჭედელი ეშმაკი, მეფე, ნაცარქექია, დევი.

Key words: Racha, Rachvelian, folk-tale, three brothers, Jesus Christ, devil the blacksmith, King, Natsarqeqia, Devi.

CMOMIK, №13, განც. II, გვ. 44-70, დ. ღუმბაძე, ა. მიქელაძე, „ქართული ხალხური სიტყვიერებიდან“: სტატიაში წარმოდგენილია ერთი გადმოცემა და სამი ზღაპარი: „გადმოცემა თამარ მეფეზე“, „ღარიბი კაცი“, „ზღაპარი ჭაბუკსა და ქალზე“, „უფლისწულ გიორგის თავგადასავალი (მოგზაურობანი)“. ამბობენ, რომ კავკასიონის ერთ-ერთ მწვერვალზე „ბრუტ-საბძელაზე“ არის თამარის სასახლე. ერთხელ ერთ მღვდელს მოუხერხებია იქ ასვლა და სასახლეში ვერცხლის ბურთში გამოკეტილი სული უნახავს. გადმოცემა თამარ მეფეზე გვიამბობს, თუ როგორ ჰყავდა დატყვევებული ცისკრის ვარსკვლავი თამარ მეფეს, რის გამოც სულ კარგი ამინდი იყო ქვეყანაში. ერთხელ, როცა მეფე წასული იყო, ცისკრის ვარსკვლავი მისმა გამზრდელმა შემთხვევით გაათავისუფლა, რის შემდეგაც დიდი თოვლი მოვიდა. ამაზე განრისხებულმა მეფემ გამზრდელი დაწყევლა და მისი სული ვერცხლის ბურთში გამოამწყვდია.

ზღაპარი ღარიბ კაცზე გვიამბობს, რომ ღარიბმა კაცმა ღმერთს მოსთხოვა მისი ოჯახის ყველა სურვილის შესრულება. ცოლმა ინატრა, ხელმწიფის შესაფერი მზეთუნახავი ყოფილიყო. მას სურვილი აუსრულდა და ხელმწიფემ მოიტაცა. კაცმა ინატრა, რომ ცოლი დაბრუნებოდა თუნდაც ვირის სახით. იმასაც აუხდა. შვილმა კი იფიქრა, რომ არათერს აზრი არ ექნებოდა დედის გარეშე ყოფნას, ამიტომ მისი ისევ ადამიანად ქცევა ინატრა.

მესამე ზღაპარი გვიამბობს ერთი ჭაბუკის შესახებ, რომელსაც მშობლებმა ფილოსოფიური სკოლის განათლება მისცეს. ოჯახის გაკოტრების შემდეგ ჭაბუკმა გადაწყვიტა მშობლები მეფისთვის დროებით ტყვეებად ჩაეხარებინა, ცოტა ხანში კი ისევ გამოისყიდა. თვითონ ბედის საძიებლად წასული გზად მოხვდა ერთ ქვეყანაში, სადაც ხელმწიფეს ბრძენი, მაგრამ სასტიკი ასული ჰყავდა: თუკი ჭაბუკები ვერ გამოიცილობდნენ მის გამოცანებს, თავს ჰკვეთდა, გამარჯვებულს კი ცოლად გაჰყვებოდა. ვაჟკაცმა გადაწყვიტა ბედი ეცადა და ასულს ეახლა. სამდღიანი გამოცდის შემდეგ, ჭაბუკმა ასულს ჭკუაში აჯობა, ცოლად შეირთო და შემდეგ მშობლებიც გამოიხსნა. მეფის ასულის გამოცანები ძირითადად ეხება ძველი აღთქმის შინაარსს.

მეოთხე ზღაპარი გვიამბობს ხელმწიფის სამ ვაჟზე, რომელთაც მამამ ჯადოსნური ჩიტის პოვნა დაავალა, ვინც მას იპოვიდა, ტახტიც მისი იქნებოდა. ძმებს გზაჯვარედინი შეხვდათ. უმცროსმა, გიორგიმ, ყველაზე რთული გზა აირჩია და ძმებმა თავ-თავიანთ გზაზე გასწიეს. უფროსი ძმები გაკოტრდნენ და მოჯამაგირებად დადგნენ. უმცროსი დედის ოჯახში მოხვდა. მათ მიასწავლეს, თუ როგორ მოეპოვებინა ეს ჩიტი, რომელიც დედოფალ-ფერის ჰყავდა. მას უნდა გაეფლო ორი წყარო – რძისა და სისხლისმაგვარი, მარილიანი ტბა, ბოძების მსგავსი ამაღლა. ამ ყველა დაბრკოლების დაძლევის შემდეგ გიორგიმ ჩიტი

მოიპოვა და შემდეგ ძმები გამოიხსნა. შინ დაბრუნებისას გზად ჭა შეხვდათ, რომლის ფსკერზე ჩასვლისას მიწისქვეშა ქვეყანაში მოხვდა გიორგი. მან შვიდთავიანი დევისგან მზეთუნახავი გამოიხსნა, რომელმაც ცოლობა აღუთქვა. ძმებმა კი გიორგის ქალი მოსტაცეს და მიატოვეს. მზეთუნახავმა იცოდა ეს და წასვლამდე სკნელზე ამოსვლის გზა ასწავლა: ყოველ კვირას ორი ვერძი შეებრძოლებოდა ერთმანეთს, ჭაბუკი მათგან თეთრზე უნდა დამჭდარიყო და ის დააბრუნებდა ქვეყანაზე; შავი ქვესკნელში წაიყვანდა. ორი წლის შემდეგ გიორგი დაბრუნდა თავის ქვეყანაში, მოღალატე ძმები შეინყალა, მზეთუნახავზე იქორწინა და უძლეველი ხელმწიფე გახდა.

საკვანძო სიტყვები: ქართული, ზღაპარი, თამარ მეფე, ღარიბი კაცი, ხელმწიფის ბრძენი ასული, ძველი აღთქმა, სამი ძმა, უფლისწული გიორგი, ჯადოსნური ფრინველი, ქვესკნელი.

Key words: Georgian, folk-tale, King Tamar, poor man, wise Princess, Old Testament, three brothers, Prince George, magic bird, underworld.

СМΟΜΠΚ, №10, განყ. III, გვ. 1-11, დ. მარგიანი, „სვანური სიმღერები და ზღაპრები“: სტატია მოიცავს სამ ზღაპარს: „შერგლავი, თავზე და გიუ“, „ბაკსანლუკ გილუვხანოვი“ და „ამირანი, ვისიბი და ბადრი“.

პირველი მათგანი გვიამბობს სამ ძმაზე, რომელთაც, სანადიროდ წასულთ, ყაბარდოელების მსტოვრები შეხვდათ. ისინი თემში დაბრუნდნენ და ეს აცნობეს თანამოძმეებს. მსტოვრების მოსვლა იწინასწარმეტყველა ასევე ბრმა და მუნჯმა მკითხავმა ბიმურზამ. ძმები დიდი ნადავლით დააჭილდოვეს ყაბარდოელებთან ბრძოლაში მათი სიმამაცის გამო.

მეორე ზღაპარი გვიამბობს ყაბარდოელ მებრძოლზე, რომელიც სვანების დაუძინებელი მტერი იყო. ამ გადმოცემაში აღწერილია ერთი ბრძოლის ამბავი, რომელშიც სვანებს მხოლოდ ეს ყაბარდოელი გმირი – ბაკსანლუკ გილუვხანოვი – გადაურჩათ.

მესამე ზღაპარი ამირანის ეპოსია. ამირანი აქ დალისა და დარჯელიანის შვილად გვევლინება, რომელსაც შემდეგ ყრმას იპოვის ვინმე იამანი და იშვილებს. იამანის შვილები არიან ვისიბი და ბადრი. ამირანი მათთან და მამობილ იამანთან ერთად იამანის თვალის საძებნელად გაეშურება, რომელიც ერთ ურჩხულს წაურთმევია. მათ სამი სხვადასხვა ფერის დევი შეხვდებათ გზად, რომელთაგან ნაცრისფერი დევი ამირანს გადაყლაპავს. ამირანი შემდეგ ერთი დევის დას დაჰპირდება დაქორწინებას, მაგრამ უღალატებს, მაშინ ქალი დასწყევლის, რომ სანამ ნათლიანთ კაკლოცაის ასულს არ შეითავს ცოლად, მანამ სიმშვიდე არ ეღირსოს. ამის შემდეგ ძმები მიადგებიან თორმეტთავიანი დევის სახლს, რომელსაც იამანის თვალს წაართმევენ. შემდეგ გაეშურებიან ნათლიანთ კაკლოცაის ასულის მოსაძებნად, რომელსაც ღრუბელზე მძინარეს იპოვიან. მოიტაცებენ ქალს, რომლის საძებნელადაც მშობლები მეომრებს

გამოგზავნიან. ბადრი და ვისიბი მათთან ბრძოლაში იღუპებიან. მაგრამ ქალი თავისი პირის ნაბანი წყლით გააცოცხლებს მათ. ამის შემდეგ ყველანი სახლში დაბრუნდებიან და დიდ ქორწილს გადაიხდიან.

საკვანძო სიტყვები: სვანური, სამი ძმა, ყაბარდოელები, ბაკსანლუკ გილუგ-ხანოვი, ამირანი, ბადრი, ვისიბი, იამანი, ნათლიანთ კაკლოცაი.

Key words: Svanetian, three brothers, Kabardians, Baksanluk Goluvkhanov, Amirani, Badri, Visibi, Iamani, Natliant Kaklotsai.

СМОМІІК, №10, განყ. III, გვ. 12-36, „მეგრული ზღაპრები, ლეგენდა და რწმენა-წარმოდგენები“: აღნიშნულ სტატიამში შესულია ზღაპრები: „ზღაპარი ორ ძმაზე“, „ბრიყვი“, „სამი ძმა მარლანიები“, „მოხუცი და გველი“, „მეფე კუჩის ოქროს შვილები“, „ძლიერზე ძლიერი ყოველთვის მოიძებნება“, „თამარი“ და რამდენიმე ცრურწმენა.

პირველი მათგანი გვიამბობს ორ ძმაზე, რომელთაგან ერთი ჭკვიანი იყო, ხოლო მეორე – სულელი. ძმები წავლენ ბედის საძიებლად და მოჭამაგირეებად დაუდგებიან ერთ მწყემსს, რომლის ცხვრებიც სულელ ძმას შემოაკვდება; შემდეგ – ერთ მონადირეს, რომლის მოხუცი დედაც ასევე შემოაკვდება სულელს. ზღაპრის ბოლოს ბრიყვი ძმის უნებლიე ქმედებებით ძმები დიდ ქონებას ჩაიგდებენ ხელში.

„ბრიყვი“ ზემოთ მოთხრობილი ზღაპრის ერთგვარი ვარიანტია. ეს ზღაპარიც ორ ძმაზეა – ერთი სუსტი და ჭკვიანია, ხოლო მეორე – ძლიერი და ბრიყვი. პირველი ზღაპრის ძირითად სიუჟეტზე აქ თავსა და ბოლოში დამატებულია ორი ეპიზოდი.

მესამე ზღაპარი მოგვითხრობს სამ ძმაზე, რომლებიც უგზოუკვლოდ დაიკარგებიან. მათ საძებნელად წავა ერთ-ერთის შვილი – ჯიმშე. იგი შეხვდება შავ მეფეს, რომელთან ერთადაც გაავრძელებს გზას. ისინი მიაღებებიან ლომტარიელების სამფლობელოს, სადაც მათი ფარა ბალახობს. ჯიმშე იქვე დაინახავს სამ ცხენს: შავს, თეთრსა და წითელს და მიხვდება, რომ მისი მამა და ბიძები ლომტარიელებს მოუკლავთ. ჯიმშე შურს იძიებს. გამომშვიდობებისას შავი მეფე თავისი ასულის ხელს შესთავაზებს ჯიმშეს და ქორწილისათვის სამ წელს დათქვამენ ვადას. ჯიმშე სახლში დაბრუნების შემდეგ გაეშურება შავი მეფის სახელმწიფოში. მეფის ასულზე იქორწინებს და მეფის სიკვდილის შემდეგ სამეფოც მას დარჩება.

შემდგომი ზღაპარი გვიამბობს, თუ როგორ მიათხოვებს კაცი გველს თავის ასულს. გველი ლამაზი ყმანვილი აღმოჩნდება. ამით გაბოროტებული დები სახლში სტუმრად მოსულ დას მდინარეში ჩააგდებენ და მის ნაცვლად შუათანა და მივა გველთან. დაკარგული ქალის შვილს გაცოცხლებული კვერი აპოვნინებს დედას. ქმარი და დედამთილი ქალს მდინარიდან ამოიყვანენ, შუათანა დას კი ცხენის კულზე გამოაბამენ.

„მეფე კუჩის ოქროს შვილებშიც“ ბოროტი დების მოტივი გვაქვს. სამ დათაგან მეფე ითხოვს ერთ-ერთს, რომელსაც ოქროს ბავშვების გაჩენა შეუძლია. გაბოროტებული დები მას მშობიარობის დროს ჩვილებს ძალლითა და კნუტით შეუცვლიან, ბავშვებს კი ყუთში ჩასხამენ და მდინარეს გაატანენ. ბავშვებს მოხუცები იპოვნენ და გაზრდინ. წამოზრდილი და-ძმა თავიანთ სამშობლოში ბრუნდება. სიუჟეტში ჩართულია მზეთუნახავ ჩანგის მოტაცება, რომელიც ალექსის ძმისცოლი ხდება. ძმას წინასწარმეტყველების უნარი აქვს, დას კი – ჯადოსნური ხელსახოცი, რომლისგანაც შეუვალი ციხე-სიმაგრე ამოიზრდება. საბოლოოდ, მეფე კუჩი მიხვდება, რომ ალექსი და მაგდანა მისი შვილები არიან და ბოროტ დებს სასტიკად დასჯის.

„ძლიერზე ძლიერი ყოველთვის მოიძებნება“ ერთგვარი იგავ-არაკია, რომლის მორალიც სათაურშივეა ფორმულირებული. ზღაპარი გვიამბობს ხუთი თაობის გოლიათებზე: ხეჩო, კაჟი, ნლიი, მხვნელი და მწყემსი. გოლიათი კაჟი, დაიჟინებს, რომ მასზე ძლიერი არავინაა. ცოლისთვის ამის დასამტკიცებლად მთელს ქვეყანას მოივლის, მაგრამ ნახავს, რომ მასზე ძლიერნიც არსებობენ. ამის შემდეგ შინ დაბრუნდება და ცოლთან ერთად ბედნიერად დაიწყებს ცხოვრებას.

„თამარი“ არის თქმულება თამარ მეფეზე. თამარის დედას სიზმარი უნახავს, რომ თამარი გამეფდებოდა. ასეც მოხდა. თამარ მეფემ მთელი მსოფლიო დაიპყრო კასპიის ზღვის გარდა. მეფემ თავის მეომრებს უბრძანა, რომ კასპიის ზღვის ზედაპირზე ფიჩხი დაეყარათ და ნავთობით გადაენვათ. ამის შემდეგ ზღვა დანებდა და მეფეს დიდძალი ძღვენი გაუგზავნა: ოქრო, მარგალიტი, ვერცხლი, ქარვა და კამეჩები.

აქვეა მოცემული ხუთი ცრურწმენა, რომლებიც სენაკშია ჩანერილი.

საკვანძო სიტყვები: მეგრული, ორი ძმა, მარღანია, სამი ძმა, ლომტარიელი, სიძე გველი, იგავი, თამარ მეფე, ცრურწმენა.

Key words: Megrelian, two brothers, Marghania, three brothers, Lom-Tarieli, Snake Son-in-law, parable, King Tamar.

CMOMIK, №10, განც. III, გვ. 37-80, ჩანერილია მ. გიორგაძის მიერ ვინმე ქარელიძისგან გორის მაზრის სოფ. გვარებაში, „ქართული გადმოცემები და ზღაპრები“: სტატია მოიცავს ცამეტ ზღაპარსა და გადმოცემას: „ალექსანდრე მაკედონელი“, „თამარ მეფე“, „იმპერატორი პეტრე პირველი“, „ამირანი“, „ბედნიერება“, „მინა თავისას წაიღებს“, „ბედისწერა“, „სამი და“, „მუქთამჭამელა“, „ღვთის ვალი“, „მონადირე“, „მოხუცი და მველკაცა“, „მოხუცი და მარილის ლოდი“.

პირველი მათგანი გვიამბობს ალექსანდრე მაკედონელსა და სოლომონ ბრძენზე.

გადმოცემა თამარ მეფეზე მოგვითხრობს ქალაქ გორის დაარსების შესახებ.

მესამე მათგანი გვიამბობს მეეტლე პეტრეს იმპერატორად გახდომის შესახებ.

ლეგენდა ამირანის შესახებ გვიყვება, თუ როგორ იპოვა ერთმა გლეხმა კლდეზე მიჯჭვული ამირანი. გამოსახსნელად უკან მიბრუნებულს კი ის ადგილზე აღარ დახვდა.

ზღაპარი „ბედნიერება“ გვიყვება ერთ ღარიბ კაცზე, რომელმაც თავისი ბედნიერების მოძებნა გადაწყვიტა. ბედნიერება პატარა კაცუნა აღმოჩნდა. კაცმა შესჩივლა თავისი სიღარიბე, კაცუნამ უთხრა, ადექი, გაისარჯე და მაშინ მეც მხნელ ვიქნებიო.

შემდეგი ზღაპარი გვიამბობს უკვდავების მაძიებელ ჭაბუკზე. გრძელი გზის შემდეგ ის ერთი მზეთუნახავის, თვით სილამაზის, სასახლეს მიაღგება, სადაც დარჩება და ჰპოვებს უკვდავებას. ბოლოს მაინც მონატრება მშობლიური მხარე და წამოსვლას გადაწყვეტს. აღმოჩნდება, ჭაბუკს მრავალი წელი გაუტარებია სასახლეში. მას სამ ვაშლს გამოატანს სილამაზე – ერთი ამ ბიჭს დააბერებს, მეორე დააუძღურებს, მესამე კი – მოაკვდინებს.

„ბედისწერა“ გვიამბობს გმირ ლომკაცზე, რომელიც ვაშლის კანისგან ჩაესახება მეფის მოახლეს, თვით მეფეს კი – არჯევანი, სუსტი ბავშვი, გაუჩნდება ვაშლის რბილობისგან. ლომკაცი და არჯევანი ბედის საძიებლად წავლენ. მრავალ განსაცდელს გამოივლიან დაბრუნებამდე.

„სამი და“ შურიანი დების მოტივზეა აგებული (მსგავსად „მეფე კურის ოქროს შვილებისა“). აქაც უმცროსი და ოქროსთმიან შვილებს აჩენს, რომელთაც უფროსი დები მდინარეს გაატანენ. მათ ერთი მენისქვილე გამოზრდის. ბავშვებს ნახულობს, მეფე, ნამდვილი მამა, იხიბლება მათით და სტუმრად პატიჟებს. ოქროსთმიანი ძმები დის დავალებით ჯერ ოქროს პერანგის მოსატანად მიდიან, შემდეგ კი – ბუღბუღის. დასასრულს, და-ძმა გრძნეული ჩიტის დახმარებით თავიანთი ვინაობის გაცხადებას მოახერხებს.

„მუქთამჭამელა“ ჭკუის სასწავლებელი ზღაპარია. აქ მოთხრობილია, თუ როგორ ღუპავს კაცს თავისი სიზარმაცე და სიბრიყვე.

„ღვთის ვალი“ მოგვითხრობს ერთ ღარიბ კაცზე, რომელმაც ღმერთს ფული მოსთხოვა. ფული რომ გაუთავდა, ისევ დაიწყო ღვთისგან პასუხის მოთხოვნა, თუ რატომ სტანჯავდა ასე. ღმერთმა უთხრა, რომ წასულიყო სახლში და საღამოს ის თავად ესტუმრებოდა. ღმერთმა კაცი უღევი პურიით, ღვინითა და ოქრო-ვერცხლით დაასაჩუქრა. მას შემდეგ კაცი გულუხვად გასცემდა ღვთისგან ბოძებულ სიმდიდრეს.

„მონადირე“ გვიამბობს, თუ როგორ გადაიქცევა ერთი მონადირე ჯერ მშვენიერ ქალად, შემდეგ – ცხენად და შემდეგ – ძაღლად. მონადირე მოკლულ ირემს გადაახტება. ასე შეიცვლის სახეს ყოველ ჯერზე. ქალობისას მონადირეს ხელმწიფის შვილი მოიყვანს ცოლად, ქალი შვილს გააჩენს – მალხაზს. საბოლოოდ, მონადირე თავის სახეს დაიბრუნებს და შვილს მზეთუნახავზე დაქორწინებაში დაეხმარება ამ სამი დაუჯერებელი ამბის თხრობით.

შემდეგი ზღაპარი გვიამბობს, თუ როგორ გადაარჩინა ღარიბი ცოლ-ქმარი მგზავრად მოვლენილმა ქრისტე ღმერთმა მგელკაცასგან.

„მოხუცი და მარილის ლოდი“ ერთგვარი იგავ-არაკია. იგი გვიამბობს, თუ როგორ მოხვდება ერთი ღარიბი კაცი სამოთხეში. ანგელოზი მას სამუდამოდ სამოთხეში დარჩენას შესთავაზებს, თუკი ხმას არ ამოიღებს არაფერზე. კაცი პირობას სამჯერ დაარღვევს. სამოთხიდან გამოვდება მდე კაცი ანგელოზს სთხოვს, რომელი უცნაური ადამიანებიც დაინახა სამოთხეში: პირველი იყო ქურდი, მეორე – გულუხვი კაცი, მესამენი კი – სხვადასხვანი, რომლებიც ღმერთს იჩემებენ და არ იციან, რომ ის ერთია.

საკვანძო სიტყვები: ალექსანდრე მაკედონელი, სოლომონ ბრძენი, თამარ მეფე, ღარიბი კაცი, უკვდავება, ლომ-კაცი, სამი და, ოქროს თმა, მუქთამჭამელა, მონადირე, მგელკაცა, იესო ქრისტე, სამოთხე.

Key words: Alexander of Macedonia, Solomon the Wise, King Tamar, poor man, immortality, Lom-katsi, three sisters, golden hair, lazybones, hunter, wolfman, Jesus Christ, heaven.

CMOMIK., №10, განყ. II, გვ. 253-310, ი.ა. პეტროვი, „მეგრული ტექსტები“: ჟურნალის ამ განყოფილებაში შესულია მეგრული ანდაზები (15 ცალი), გამოცანები (6 ცალი), სიმღერები: „გლეხის ძისა“, „ნიბლიისა“, „კოლოსი“, ზღაპრები: „მუზარბი“, „ხელმწიფის შვილისა და ნდემის გაზრდილის შესახებ“. ასევე, დართულია მეგრულ-რუსული ლექსიკონი. ტექსტები წარმოდგენილია მეგრულ (ჩანერილი კირილიციით) და რუსულ ენებზე.

„სიმღერა გლეხის ძისა“ წარმოადგენს იავ-ნანას. იგი შედგება რვა სტროფი-საგან. დედა შვილს ეალერსება, მას ხელმწიფეშვილს ადარებს სილამაზითა და ხვეული თმით. ეუბნება, რომ ახლა იგი უზრუნველი და ბედნიერია, მაგრამ ყოველთვის ასე ვერ იქნება; ჭკუას არიგებს, რომ ცხოვრებაში ცოდნა უნდა შეიძინოს და სამშობლო უყვარდეს.

„ნიბლიის სიმღერა“ გვიამბობს ნიბლიის მოკვლის ცოდვის სიმძიმეზე.

„კოლოს სიმღერა“ იუმორისტული ხასიათისაა, იგი მოგვითხრობს კოლოს „საგმირო საქმეებსა“ და მის დამარცხებაზე.

ზღაპარი „ხელმწიფე მუზარბი“ მოგვითხრობს გმირი მუზარბის შესახებ. ერთხელაც ხელმწიფე მუზარბი გარდაიცვალა. ორსულმა ცოლმა ძე გააჩინა, რომელსაც ასევე მუზარბი უწოდეს. ზღაპარი მოგვითხრობს, თუ როგორ დაამარცხა უმცროსმა მუზარბიმ ნდემები (დევეები) და როგორ დაიბრუნა მამის ტახტი. მოლალატე დედა, რომელსაც ნდემი უყვარდა, კი ცხენის კუდზე გამოხმით დასაჯა. აღსანიშნავია გმირის გარდაცვალებისა და სამ დღე-ღამეში აღდგომის მოტივი: და მის ნაკუნებს შეაგროვებს და სამი დღე-ღამის განმავლობაში ცრემლით რწყავს. ნდემს კი, რომელიც ასევე სამ დღეში აღდგება, მინაში ჩაფვლით აცოცხლებს მოლალატე დედა.

მეორე ზღაპარი მოგვითხრობს ხელმწიფის შვილისა და დევის გაზრდილის მეგობრობისა და თავგადასავლების შესახებ. ყველაფერი დაიწყო იმით, რომ მათ შავი დევის (ნდემის) ასული მოიტაცეს, რომელიც ხელმწიფის შვილს შეუყვარდა. მინისტვეშეთის მეფემ – თეთრ ნდემმა, მათ მზეთუნახავი წაართვა. დევის გაზრდილი ქალის გამოსახსნელად გაეშურა მინისტვეშეთში. მზეთუნახავმა თეთრი ნდემის სულის სამალავი შეიტყო: ერთ ტყეში ირემს მუცელში კურდღელი ჰყავდა, კურდღელს კი – კოლოფი, კოლოფში კი ორი ბუბი იყო, რომელთა მოკვლით თეთრი დევიც მოკვდა. ამის შემდეგ სასახლეში დაბრუნდნენ და ხელმწიფის შვილმა და მზეთუნახავმა დიდი ქორწილი გადაიხადეს. გაუჩნდათ ძე. ერთ დღესაც, მათმა შვილმა დევის გაზრდილს ბრალი დასდო, რომ მას ჰკლავდა. დევის გაზრდილი უარზე იდგა, ყველას შეახსენა, თუ რა ჰქონდა გაკეთებული ხელმწიფის შვილისთვის, რა დროსაც საიდუმლოც გათქვა და გაქვავდა. ხელმწიფის შვილს ერთმა დედაბერმა უთხრა, რომ მას მხოლოდ დევების ასი ყურისა და მისი შვილის ნახარში გააცოცხლებდა. ხელმწიფის შვილი ასეც მოიქცა, მისი ძმადნაფიციც გაცოცხლდა და შვილიც უვნებელი შეიქნა.

საკვანძო სიტყვები: მეგრული, იავნანა, სიმღერა, ზღაპარი, ხელმწიფე მუზარბი, ხელმწიფის შვილი, დევის გაზრდილი, ნდემი.

Key words: Megrelian, Iavnana, song, folk-tale, King Muzarbii, prince, adoptive of Devi, Ndemi.

CMOMIK, №10, განც. II, გვ. 311-333, ჩანერილია ვ. ვაგუას მიერ სოფ. ნოსირში, „მეგრული ტექსტები“: კრებულის ამ ნაწილში შესულია ზღაპრები: „მღვდელი (პაპა) და დიაკვანი“, „სახედარი და როკაპი“, „ლამაზი თევზი“, „სახედარი და ჯაღოქარი“, „ძლიერზე ძლიერი ყოველთვის მოიძებნება“ და „ორი ძმა“. ტექსტები ჩანერილია მეგრულად პარალელური რუსული თარგმანით.

„მღვდელი და დიაკვანი“ გვიამბობს მახვილგონიერი დიაკვანის შესახებ, რომელმაც მღვდელს ქონება გაუნადგურა. იყო ერთი კაცი, რომელსაც სამი ტომარა ფული ჰქონდა. თითო-თითო შვილის აღზრდას მოახმარა. მხოლოდ მესამემ შეძლო წერა-კითხვის სწავლა. მასწავლებელ მღვდელს კი ჭკუაში აჯობა, ქონება გაუნიავა და სახლში დაბრუნდა.

მეორე ზღაპარი მოგვითხრობს, თუ როგორ მიიბარებს მდინარის სულ ატუს ერთი გლეხის შვილი აღსაზრდელად. ბიჭს ატუ სახედრად გადაქცევას ასწავლის. მამა შვილს ბაზარში წაიყვანს გასაყიდად. მყიდველი ატუ აღმოჩნდება. აღწერილია თუ როგორ გარბის ბიჭი ატუსგან: ბიჭი მამლად გადაიქცევა, ატუ – შევარდნად, ბიჭი – თევზად, ატუ – ანკესად. ბოლოს ბიჭი ჭკუაში აჯობებს – გადაიქცევა ნემსად და ცეცხლში გაივლის, ძაფადნაქცევი ატუ კი დაინვება. ამის შემდეგ ბიჭი მამასთან ბრუნდება.

„ლამაზი თევზი“ მოგვითხრობს, თუ როგორ გადაუხდის თევზი მეთევზეს სამაგეროს კეთილი საქმისთვის: იგი მკურნალის სახით გამოეცხადება მას, ხელმწიფის ასულს განკურნავს და ცოლად მეთევზეს შერთავს.

ზღაპრის „ძლიერზე ძლიერი ყოველთვის მოიძებნება“ მეორე ვარიანტი გამოცემის ამავე ნომერშია წარმოდგენილი (მე-3 განყოფილება). ეს ზღაპარი მოგვითხრობს ტიტანებზე: ნდიი, ხეჩო, კაუი, მინათმოქმედი და მწყემსი. ეს ამბავი ერთგვარი იგავ-არაკია, რომელიც გვასწავლის, რომ ძლიერზე ძლიერი – მჭობნის მჭობნი, არ დაიღვევა.

„ორი ძმა“ გვიამბობს ორ ქურდ ძმაზე. ამბავი მოგვითხრობს მათ ეშმაკობაზე, თუ როგორ მოიპარეს ხარი პეტრეპავლობის დღესასწაულზე.

საკვანძო სიტყვები: მეგრული, პაპა, ატუ, თევზი, ტიტანები, ცხენის თავისქალა, ქურდი ძმები, პეტრეპავლობა.

Key words: Megrelian, Papa (priest), Atu, fish, titans, horse's skull, thief brothers, St. Peter's and Paul's day.

СМОМІІК, 1903, №32, განყ. 2, გვ., 489-491, მ. ჯანაშვილი, „ავი დედინაცვალი და მისი ქალიშვილები“, სოფ. კახი, ზაქათალას ოლქი: ცხოვრობდა მოხუცი ცოლქმარი, კაცს ჰყავდა სამი ქალიშვილი, ქალს კი – ერთი. დედინაცვალს არ უყვარდა გერები. ცოლის მოთხოვნით კაცმა წაიყვანა ისინი ტყეში, ჩაყარა ორმოში და დატოვა იქ. დები ორმოდან ამოვიდნენ და მოხვდნენ დევის სახლში. დილით მოკლეს დევი, ცხოვრობდნენ მის სახლში და მის ქონებას დაეპატრონენ. ექვსიშვიდი წლის შემდეგ კაცმა მოძებნა შვილები. მათ კარგად მიიღეს მამაკაცი და გაუშვეს სახლში ოქროთი სავსე ტომრით. დედინაცვალს ძალიან გაუხარდა ოქრო და როდესაც ის ოქრო დაიღია, სთხოვა მისი შვილიც კაცს წაეყვანა ტყეში, იმასაც გვიან ღამე ის ტურამ შეჭამა. დილას მოხუცმა სახლში მისი ძვლები მოიტანა. ქალმა დაიწყო ტირილი და სახე დაიხოკა. კაცის ქალიშვილები კი მალევე გაჰყვნენ ცოლად მშვენიერ ჭაბუკებს (რუსული ანდაზა: „ნუ აფურთხებ ჭაბი – მოგწყურდება“).

საკვანძო სიტყვები: დედინაცვალი, ქალიშვილი, გერი, დევი.

Keywords: Stepmother, daughter, stepchild, daeva.

СМОМІІК, 1904, №33, განყ. 3, გვ. 560-561, მ. გლუშაკოვი, „ვარდი“: ზღაპარში საუბარია მეფე სოლომონზე, რომელმაც მოწყვიტა თუ არა ვარდი, ის მაშინვე გადაიქცა ლამაზ ქალად. მეფემ იქორწინა მასზე და სულ ცდილობდა გაეგო, ვინ იყო მისი ნათესავი, მაგრამ ქალი ღუმდა. მაშინ მან მოინდომა ქალის საიდუმლოს გაგება და ნადირობიდან მოიყვანეს კუბოში ჩანოლილი. დედოფალმა დაიწყო ტირილი და თხოვნით მიმართა მზეს – მამას, მთვარეს – დედას, პლანეტებს – დებს და ვარსკვლავებს – ძმებს, რომ ის წაეყვანათ თავისთან. ციდან ჩამოეშვა

ოქროს კიბე, მაგრამ ამ დროს სოლომონი წამოდგა კუბოდან კმაყოფილი იმით, რომ გაიგო მისი ცოლის ნათესავეების ვინაობა. ამის შემდეგ ისინი ცხოვრობდნენ დიდხანს და ბედნიერად.

საკვანძო სიტყვები: მეფე სოლომონი, ვარდი, დედოფალი, მზე, მთვარე, პლანეტები, ვარსკვლავები.

Keywords: king Solomon, rose, queen, sun, moon, planets, stars.

CMOMIK, 1904, №33, განყ. 3, გვ. 556-560, მ. გლუშაკოვი, „ლამაზი ქალიშვილი და უფლისწული“: ერთმა მეფემ სიკვდილის წინ უთხრა თავის ერთადერთ შვილს, არასოდეს წასულიყო დასავლეთისაკენ და აჩუქა ზარდახშა, რომელიც მხოლოდ უბედურების შემთხვევაში უნდა გაეხსნა. მამის სიკვდილს ვაჟი დიდხანს გლოვობდა. მას სულ დაავინყდა მამის სიტყვები და ერთხელაც წავიდა დასავლეთისკენ სანადიროდ, ნადირობის შემდეგ შინ დაბრუნებისას დაინახა კოშკი, გაგზავნა იქ მსახურები, მაგრამ ვერავინ დაბრუნდა. მაშინ თვითონ წავიდა იქ, მაგრამ შეიპყრო 12-მა მცველმა, გაატარეს 11 ოთახი, მეთორმეტეში კი ნახა მძინარე მზეთუნახავი. ის არავის ელაპარაკებოდა და თუ უფისწულიც ვერ აალაპარაკებდა, მოკლავდნენ.

უფლისწულმა ამოიღო ზარდახშა, იქიდან ამოხტა ვაშლი და მისი ხმით დაიწყო ზღაპრის მოყოლა, თუ როგორ გააცოცხლა ერთმა ქალმა ქმარი და მამლი, რომლებსაც ყაჩაღებმა მოჰკვეთეს თავები. მას აერია მათი თავები და სხვა სახეულებს მიამაგრა. საინტერესო იყო, ვის ეკუთვნოდა ქალი. ზღაპრის დასასრულ მზეთუნახავმა უპასუხა ამ კითხვებს. ვაშლმა დაიწყო მეორე ზღაპრის მოყოლა იმის შესახებ, რომ ღურგალმა გამოთალა ხის ადამიანი, მკერავმა შეუკერა კაბა, ხოლო მოძღვარმა კი სთხოვა ღმერთს ხის ადამიანისათვის სული. ღმერთმა მისცა მას სული და ხის კაცის ნაცვლად გაჩნდა ქალი. კითხვაზე: ვის ეკუთვნის ეს ქალი? ისევ მზეთუნახავმა გასცა პასუხი. ვაშლმა დაიწყო მესამე ზღაპრის მოყოლა იმის შესახებ, რომ სამმა ძმამ გამოაჯანმრთელა მომაკვდავი მეფის ასული და დაიწყეს კამათი, თუ ვის ეკუთვნოდა მასზე ქორწინება. მზეთუნახავმა მესამე კითვასაც გასცა პასუხი. ბოლოს ვაჟმა და მზეთუნახავმა იქორწინეს.

საკვანძო სიტყვები: მეფე, უფლისწული, ზარდახშა, ვაშლი, ლამაზმანი.

Keywords: king, prince, jewelry box, apple, beautiful.

CMOMIK, 1904, №33, განყ. 3, გვ. 538-548, მ. გლუშაკოვი, „გრძნეული უფლისწული“: ზღაპარში საუბარია ერთ მეფეზე, რომელსაც ჰყავდა ორმოცი ვაჟი და მათში უმცროსი იყო გრძნეული. გაუშვა მეფემ თავისი ვაჟები ცოლების მოსაძებნად. მიუხედავად უმცროსი ძმის გაფრთხილებისა, ძმები ღამის გასათევად გაჩერდნენ ერთ ორსართულიან სახლში. გრძნეულმა უფლისწულმა ღამით მოკლა ექვსთავიანი დევი, მოაჭრა და შეინახა ყურები, მაგრამ ძმებს არათვერი უთხრა. დილით ძმებმა დასცინეს უმცროსს და გააგრძელეს გზა. უმცროსი კი

მალულად დაბრუნდა იმ სახლში, მოკლა მოხუცი ქალი, რომელიც დარაჯობდა დევის განძს, ჩაკეტა ყველაფერი გასაღებით და ძმებს დაენია. მომდევნო ღამეს ზუსტად ასევე მოკლა მან შვიდთავიანი დევი და მოხუცი ქალი, რომელიც ყარაულობდა მის განძს. როდესაც ძმები წავიდნენ, იგი ისევ დაბრუნდა სახლში და აღმოაჩინა დევის მიერ მოტაცებული ორმოცი მზეთუნახავი. მან თავისთვის ყველაზე ლამაზი ამოარჩია და გაუკეთა თითზე ბეჭედი. დანარჩენები გამოაცხადა თავისი ძმების საცოლეებად და ასევე, მათაც გაუკეთა ბეჭდები.

მიუხედავად უმცროსი ძმის გაფრთხილებისა, ძმებმა მესამედ გაათენეს ღამე არასასურველ სახლში. ამჯერად უმცროს ძმასაც დაეძინა და ვერ გადაარჩინა ძმები ცეცხლისმფრქვეველი დევისაგან, რომელმაც სახლის გასასვლელი ამოქოლა კლდეებით. დილით უმცროსმა უამბო თავის ძმებს, თუ როგორ გადაარჩინა ისინი სხვა დევებისგან და აჩვენა მათი ყურები. შემდეგ უმცროსი ძმა დევს შეჰპირდა, რომ თავისი ძმების სანაცვლოდ სურვილს შეუსრულებდა და გაათავისუფლებინა. დამშვიდობებისას უმცროსმა ძმამ მისცა ძმებს ორი სახლის გასაღები, უამბო საცოლეების შესახებ და უთხრა დალოდებოდნენ მას სამი წელი და სამი დღე.

დევმა დაავალა უმცროს უფლისწულს, მასთან მიეყვანა ქალების სამეფოს დედოფალი, რომელზეც იყო დიდი ხნის შეყვარებული. გზაში შემწეები დაეხმარნენ მას შავი და წითელი ზღვების გადალახვაში. შემდეგ მოტყუებით მოიპოვა: უჩინმარინის ქუდი, მფრინავი ხალიჩა და ნატვრის სუფრა. ქალების სამეფოში მოსულმა, ჩონგურზე დაკვრით დააძინა დედოფალი და მფრინავი ხალიჩის წყალობით მიიყვანა დევთან. სიხარულისგან დევს გაეცინა და დაიწვა. უფლისწულმა დააბრუნა დედოფალი თავის სასახლეში და დაბრუნდა სახლში. უმცროსი უფლისწულის დაბრუნებისთანავე ყველა ძმა დაქორწინდა და სასახლეში გაიმართა დიდი ნადიმი.

საკვანძო სიტყვები: მეფე, ძმები, გრძნეული, დევი, განძი, პატარძალი, შავი ზღვა, ჯადოსნური საგნები, დედოფალი, ნადიმი.

Keywords: King, Brothers, Sensual, Devi, Treasures, Bride, Black Sea, Red Sea, Uchinmachin Hat, Flying Carpet, Natura Table, Queen, feast.

СМОИИК, 1904, N33, განყ. 3, გვ. 533-538, მ. გლუშაკოვი, „უფლისწული და მგელი“: ერთ მეფეს ჰყავდა სამი ვაჟი, ბაღში კი ჰქონდა ერთი ვაშლის ხე. როდესაც გაიგო, რომ ვაშლის ხიდან იკარგებოდა ვაშლები, მეფემ რიგრიგობით გააგზავნა სადარაჯოდ თავისი ვაჟები. მაგრამ ვერც ერთმა მათგანმა ვერ შეძლო ქურდის დაჭერა, რადგან მათ იქ ეძინებოდათ. უმცროს ვაჟს შერცხვა მეფესთან დაბრუნება, დაჯდა ცხენზე და წავიდა ქურდის საძებნელად. გზაჯვარედინზე მან აირჩია გზა, რომელზეც ცხენს დაკარგავდა, მაგრამ საკუთარ ბედნიერებას იპოვიდა. უფლისწული წავიდა მარცხნივ, სადაც მგელმა შეჭამა მისი ცხენი, ვაჟს კი დახმარებას დაჰპირდა. მგელმა მიიყვანა უფლისწული იქ, სადაც ოქროს გალიაში

იჭდა ქურდი მიმინო. იქ უფლისწული დაიჭირეს და მეფე ივანეს ცხენის მიყვანა დაავალეს. ის იქაც დაიჭირეს და ცხენის სანაცვლოდ მეფე დავითის ქალიშვილის მიყვანა დაავალეს. მგელი დაეხმარა უფლისწულს შეენარჩუნებინა მეფის ასული, ცხენიც და მიმინოც. დამშვიდობებისას მან დაუტოვა უფლისწულს თავისი ბალანი, რომ გაჭირვებაში მგელი თავისთან ეხმო. გზაში სახლისკენ მიმავალთ უფლისწულსა და მეფის ასულს დაეძინათ და ის მოკლეს საკუთარმა ძმებმა, რომლებიც მეფემ გამოუშვა უმცროსი ძმის საძებნელად. სასახლეში კი მიიყვანეს: მიმინო, ცხენი და მეფის ასული. უფლისწული ისევ გადაარჩინა მგელმა, რომელმაც უამბო მას ძმების ვერაგობის ამბავი. უფლისწული დაბრუნდა სასახლეში, უამბო ყველაფერს მამას და მონმედ იხმო მგელი. მეფის ასულმაც თქვა სიმართლე. უფლისწულმა დაითანხმა მამა, არ დაესაჯა ძმები და ცოტა ხნის შემდეგ თვითონ დაქორწინდა მეფის ასულზე.

საკვანძო სიტყვები: მეფე, ვაშლი, უფლისწული, მგელი, მიმინო, ცხენი, მეფის ასული.

Keywords: king, apple, prince, wolf, hawk, horse, princess.

KB, 1899, №137, კ. მაჭავარიანი, „იტალიური ლეგენდა თამარ მეფისა და პოეტ შოთა რუსთაველის შესახებ“: აქ მოთხრობილია რუსთაველისა და თამარ მეფის შეხვედრის შესახებ. როდესაც რუსთაველმა დაასრულა თავისი პოემა, მან გადაწყვიტა მიერთმია იგი თამარ მეფისათვის.

დარბაზში იდგა სპილოს ძვლისგან დამზადებული და ძვირფასი ქვებით მორთული ტახტი. მასთან ახლოს იდგა ტაბლა, რომელზეც იღო პოეტის ნაწარმოები. თავადები და აზნაურები ელოდებოდნენ თამარის გამოსვლას. ავტორი წერს, როგორ დიდებულად შემოვიდა დარბაზში 15 წლის თამარი. აღწერილია მისი სილამაზე, ძველი ქართული სამოსი და ძვირფასი ღიაღებმა. თამარი დაბრძანდა ტახტზე, მასთან მივიდა რუსთაველი, დაიჩოქა და მიართვა „ვეფხისტყაოსანი“, რომელსაც ექვს წელზე მეტხანს წერდა. მეფემ მას აზნაურებობა უბოძა. შემდეგ თამარ მეფემ ყველა დაპატიჟა ვახშამზე და გავიდა დარბაზიდან. ბედნიერი რუსთაველი დაბრუნდა სახლში, რადგანაც სულიერი სიმშვიდე სჭირდებოდა. ამ დღის შემდეგ რუსთაველი წავიდა არაგვის ნაპირზე, კლდეზე აიშენა ქოხი, სადაც მართლობაში, ლოცვებსა და მარხვაში გაატარა მთელი ცხოვრება. მას შემდეგ მას არაფერი დაუწერია.

ეს ლეგენდა ერთი მოხალისის ნაამბობია, რომელსაც მონაწილეობა მიუღია ბერძენ-თურქეთის ომში. ის იბრძოდა გარიბალდთან ერთად და ომის დასრულების შემდეგ ესტუმრა იტალიას – ნეაპოლს, სადაც შემთხვევით გაიცნო იტალიელი გვარად რუსთაველი. იტალიურ არქივებში შეიძლება ვნახოთ ბევრი ცნობა კავკასიის შესახებ, რადგან შავი ზღვის აღმოსავლეთ ნაპირზე გენუელებს და ვენეციელებს ჰქონდათ კოლონიები და – ურთიერთობა კავკასიელებთან.

საკვანძო სიტყვები: თამარ მეფე, რუსთაველი, არაგვი, დარიალის ხეობა, თერგი, კასპიის ზღვა, იტალია, ნეაპოლი, კავკასია, შავი ზღვა.

Key words: queen Tamari, Rustaveli, Aragvi, Dariali valley, Terek, Kaspi sea, Italy, Neapol, Caucasus, Black sea.

CMOMIK, 1908, №38, განყ. 1, გვ. 306-315, ი. ფარფოროვსკი, „ლეგენდა იალბუზზე“: აქ საუბარია უძველესი დროიდან იალბუსის მწვერვალზე მიჯაჭვულ გმირზე. მოტანილია ბერძნული ლეგენდა პრომეთეზე, რომელიც ზევსმა მიაჯაჭვა იალბუსზე იმის გამო, რომ მან ადამიანებს მოუპოვა ცეცხლი. კავკასიურ ხალხურ ეპოსში პრომეთეს როლს ასრულებს ბუმბერაზი, რომელიც მხნედ ავიდა იალბუზის მწვერვალზე. მთის მბრძანებელმა თხამ მიაჯაჭვა იგი კლდეზე. გადიოდა წლები, ბუმბერაზი დაემსგავსა გრძელ ჭადარანვეროსან მოხუცს, იალბუსის მყინვარის მსგავსად. თხის ბრძანებით მას გულს უკორტნიდა მტაცებელი ფრინველი.

სხვა ლეგენდებში ეს სიუჟეტი მოიცავს ოდნავ განსხვავებულ ვარიანტებს. აღწერილია კავშირი ბუნებრივი მოვლენებსა და ფრინველს შორის.

ქართველების თქმულებით, იალბუსზე იტანჯება ბუმბერაზი ამირანი, ძალღატაკი ერთად, რომელიც გაუჩერებლად ლოკავს მისი მბრძანებლის ჯაჭვებს.

ქართული თქმულების მიხედვით წარღვნის მერე წყალმა დაიწყო კლება და ნოეს კიდობანი შეეჭახა მთის მწვერვალს. დარტყმა იმდენად ძლიერი იყო, რომ იალბუსის მწვერვალი გაიყო ორ ნაწილად.

არსებობს ლეგენდა, რომ იალბუსის მწვერვალებიდან შესაძლებელია სამოთხის დანახვა.

შემდეგ ავტორს მოჰყავს, ასევე, ოსური თქმულება, თუ როგორ იპოვა გამოქვაბული მწყემსმა ბესომ, რომელშიც ოქროსა და ვერცხლს შორის იყო მიჯაჭვული კლდეზე ლამაზი მამაკაცი. ბესომ იმისათვის, რომ გაეთავისუფლებინა იგი, გამოჭედა ჯაჭვი, მაგრამ გამოქვაბულისკენ გზაზე, კლდე უეცრად იმსხვრევა და ვარდება უფსკრულში.

ოსები მინისძვრებსა და ნგრევებს ხსნიან იმით, რომ ეს ყველაფერი ხდება მაშინ, როდესაც იალბუსის კლდეზე მიჯაჭვული გოლიათი მთელი ძალით იქნევს ჯაჭვს.

საკვანძო სიტყვები: იალბუზი, ლეგენდა, პრომეთე, ზევსი, ბერძენი, ლემნოსი, ჰერაკლე, ბუმბერაზი, ტხა, ადამი, ყაბარდოელი, კავკასია, მთიელი, თათარი, ჩერქეზი, სიმურგი, ოსი, ქართველი, ამირანი, წყალდიდობა, კიდობანი, ნოე, გოლიათი, თერგი, რუსი, ყორანი, მუსლიმი, ქრისტიანი, ღმერთი, აბრაამის კარავი, ბერი, კელია, დიდი დათვის თანავარსკვლავედი.

Keywords: Elbrus, Legend, Prometheus, Zeus, Greek, Lemnos, Hercules, hero, Tkha, Adam, Kabardian, Caucasus, Highlander, Tatar, Circassian, Simurg, Ossetian, Georgian,

Amiran, Flood, Ark, Noah, Goliath, Terek, Russian, Koran, Muslim, Christian, God, Abraham's tent, Enoch, cell, constellation of URSA major.

CMOMIIK, 1904, N33, განც. 3, მ. გლუშაკოვი, გვ. 525-533, „სამოთხის ვარდი“: ზღაპარში საუბარია ერთ კაცზე, რომელსაც ჰყავდა სამი ქალიშვილი. მათ სთხოვეს მამას ქალაქიდან ჩამოეტანა საჩუქრები: უმცროსმა სთხოვა სამოთხის ვარდი, რომელიც მამამ დევის ბაღში მოწყვიტა. ამის გამო დევმა თავისთან წაიყვანა უმცროსი ქალიშვილი და დაარქვა სამოთხის ვარდი. ერთხელაც დევმა სთხოვა თავის დას, ძუძუ-კოკობას, დაეკლა და მოეხარშა გოგონა, მაგრამ სამოთხის ვარდმა დაასწრო – ყელი გამოსჭრა დევის დას, ჩააგდო ქვაბში და გაიქცა, თან წაიღო ჯადოსნური სარკე, სავარცხელი და მაკრატელი. დევი გაევიდა მას. გოგომ გადააგდო სარკე, შემდეგ – სავარცხელი და ბოლოს – მაკრატელი. მათ ნაცლად ამოიზარდა შუშის ტყე, მაგრამ დევი მაინც ახერხებდა თავის დაღწევას. გოგონა მივიდა ერთ სახლთან, ღმერთს სთხოვა, რომ კარი გაეღო. მართლაც, გოგონა შევიდა და კარი თავისით დაიკეტა. დევმა ვერ შეაღწია შიგ და წავიდა. სახლში ესვენა უფლისწული, რომელმაც ნადირობის დროს ისარი სტყორცნა მზეს და მას მერე ის დღისით მკვდარია და ღამით – ცოცხალი. ერთხელაც ღამე გაცოცხლებულმა უფლისწულმა დაინახა ქალი, შეუყვარდათ ერთმანეთი და როდესაც მისი მშობიარობის დრო მოვიდა, უფლისწულმა მისცა მას ბეჭედი და გაუშვა მშობლების სასახლეში. მან გააჩინა ვაჟი. უფლისწულმა სამოთხის ვარდი აბრეშუმის ლოგინში დააწვინა, ბავშვი კი – ოქროს აკვანში. ერთ ღამეს მეფემ დაიჭირა თავისი შვილი, უნდოდა, რომ განეკურნა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. მაშინ დედოფალი გაემგზავრა მზეზე გათხოვილ თავის დასთან. სხვებმაც ითხოვეს მზისგან დახმარება: სხვა სამეფოს დედოფალმა, რომელიც ტანჯვით მშობიარობდა; ადამიანმა, რომელიც ცხელ თონეში დგომით იტანჯებოდა; ირემმა, რომელიც ცაში რქებით გაჭედილი იყო და ვერ ინძირებდა. მზე ყველას დაეხმარა. უფლისწული გამოაჯამრთელეს. შემდეგ ის დაქორწინდა სამოთხის ვარდზე, ავიდა სამეფო ტახტზე და ცხოვრობდნენ მხიარულად და ბედნიერად.

საკვანძო სიტყვები: სამოთხის ვარდი, დევი, სარკე, სავარცხელი, მაკრატელი, უფლისწული, მეფე, დედოფალი, მზე.

Keywords: Paradise rose, Devi, mirror, comb, scissors, prince, king, queen, Sun.

CMOMIIK, 1904, №33, განც. 3, გვ. 504-508 მ. მაშურკო, „ბედნიერების მძებნელი“: ერთ მეფეს ჰყავდა ერთადერთი ქალიშვილი, რომელიც მოიტაცა დემონმა. მეფემ გამოსცა ბრძანება, რომ ცოლად მას გააყოლებდა, ვინც იპოვიდა და დააბრუნებდა მეფის ასულს. მეფესთან მივიდა ჭაბუკი მდაბიო და დაჰპირდა, რომ სამი წლის განმავლობაში დააბრუნებდა მის ქალიშვილს. მეფემ გააყოლა მას გემით კაპიტანი და თორმეტი მეზღვაური და უბოძა აზნაურობა. წელიწად-

ნახევარში ისინი აღმოჩნდნენ უკაცრიელ კუნძულზე, იპოვეს იქ ქოხი, რომელიც შედგებოდა ორი ნაწილისაგან, ერთი იყო დაკეტილი. ისინი შევიდნენ მეორეში. მეორე დღეს იქ მივიდა ჯუჯა და მოკლა ერთ-ერთი მებღვაური. ეს ჯუჯა კი მოკლა ახალგაზრდა აზნაურმა და იპოვა მის ჯიბეში გასაღები, რომლითაც გააღო ქოხმახის მეორე ნახევარი. იქ იჯდა ატირებული მეფის ასული, რომელიც გაათავისუფლა. მადლიერებისა და სიყვარულის ნიშნად ქალმა აჩუქა მას ბეჭედი. დაბრუნებულს გაახსენდა, რომ ბეჭედი ქოხში დარჩა და თერთმეტ მებღვაურთან ერთად ნავით დაბრუნდა კუნძულზე. კაპიტანმა განაგრძო სვლა იმ იმედით, რომ თვითონ შეერთავდა მეფის ასულს ცოლად. ნავი გადაყირავდა, მებღვაურები დაიხრჩვენ, ხოლო სიძე გამორიყა წყალმა კუნძულზე. მან იქ ნახა დემონი, რომელსაც ემსახურა წელიწად-ნახევარი. პირობის ბოლო დღეს დემონმა მას აჩუქა ჯადოსნური მოსასხამი, ხმალი და ცხენი. იგი ამხედრდა ცხენზე და გაჩნდა სასახლეში კაპიტანზე ორი დღით ადრე. იქ ვერავინ იცნო. როდესაც დაბრუნდა გემი მეფის ასულთან ერთად და იყო დანიშნული კაპიტანისა და მეფის ასულის ქორწილი, მეფის ასულმა ბეჭდით იცნო თავისი საქმრო. კაპიტანი მოკლეს, ხოლო ის ახალგაზრდა ვაჟი გახდა მეფის სიძე. დიდი ხნის შემდეგ კი – იმ ქვეყნის მეფე. გავიდა დრო და მის ცოლს შეუყვარდა სხვა მეფე, რომელსაც დაანყებინა ომი ქმართან, თუმცა მისმა ქმარმა გაიმარჯვა ორჯერ – ჯადოსნური მოსასხამისა და ხმლის დახმარებით. შემდეგ დედოფალმა მოჰპარა მას ეს ჯადოსნური ნივთები და გადასცა თავის საყვარელს, რომელმაც მოიგო მესამე ბრძოლა. მათ გაკოჭეს დამარცხებული მეფე, თავისსავე ცხენის კუდს მიაბეს და გაუშვეს. ცხენმა მიიყვანა ის კეთილი დემონის კუნძულზე. დემონმა მას უთხრა, რომ უკანა გზაზე შეეჭამა თივით სავსე ურემი და გადაიქცეოდა ცხენად. ისიც ასე მოიქცა. სასახლეში დაბრუნებული იყიდა ახალმა მეფემ, რომელმაც ქალი დაუყენა მომვლელად. მაგრამ დედოფალმა ამოიცნო ცხენში თავისი ყოფილი მეუღლე და ბრძანა მისი დაკვლა. მოსამსახურემ ცხენის თხოვნით, ჩარგო მისი კბილი მიწაში, საიდანაც ამოვიდა ვაშლის ხე ოქროს ნაყოფით. დედოფალმა ბრძანა ხის მოჭრა. მოსამსახურემ ხის თხოვნით, მდინარეში ჩააგდო მისი ნაფოტები, რომლებიც გარდაიქმნენ ორ ლამაზ იხვად. მათი დაჭერა მოინდომა ახალმა მეფემ, მაგრამ ერთი იხვი ამოვიდა ხმელეთზე, ჩაიცვა ჯადოსნური მოსასხამი და გარდაიქმნა ადამიანად. გაცოცხლებულმა მეფემ, მეომრების დახმარებით დაიჭირა თვითმარქვია და მოლალატე ცოლი, შემდეგ კი მოკლა ორივე. ბოლოს მან იქორწინა მომვლელ ქალზე და ცხოვრობდა დიდხანს ბედნიერად.

საკვანძო სიტყვები: მეფე, მეფის ასული, დემონი, კაპიტანი, მებღვაური, ბეჭედი, პალტო, ხმალი, ცხენი, საყვარელი, დედოფალი, ომი, ლალატი, მოსამსახურე, თვითმარქვია.

Keywords: King, daughter of the King, Demon, Captain, sailor, ring, overcoat, sword, horse, favorite, queen, war, betrayal, servant, impostor.

СМОМІІК, 1904, №33, განყ. 3, გვ. 499-504, მ. მაშურკო, „ვაშლის გოლიათი“: ზღაპარში საუბარია ერთი დედაბრის, ცხრა ვაჟისა და მათი დის თავგადასავალზე – თუ როგორ წაიყვანა ცხრა ძმის და მოტყუებით ბებერმა დევის ქალმა. როდესაც ძმებმა დის გადარჩენა დააპირეს, ჯადოქრის ვაჟებმა დაამარცხეს ისინი და გამოკეტეს ბოსელში.

ვაჟების სიკვდილით დამნუხრებულმა მოხუცმა დედაბერმა დაიწყო ტირილი. ეს გაიგო ღმერთმა და გადანიყვითა დახმარებოდა. გაუგზავნა მას ყვავი, რომ გაეგო, რა უბედურება დაემართა ქალს. ყვავმა ამოკორტნა ქალს თვალები და ღმერთს ტყუილი უთხრა. მაშინ ღმერთმა გაგზავნა მტრედი, რომელმაც ღმერთს სიმართლე უამბო. ღმერთმა დასაჯა ყვავი და მისცა მტრედს ცხვირსახოცი, რომლის საშუალებითაც მოხუცს დაუბრუნდა მხედველობა; ასევე, ვაშლი, რომლის ჭამის შემდეგაც მას შეეძინა ვაჟი. ის გაიზარდა ძალიან სწრაფად და გახდა გოლიათი. როდესაც გაიგო ძმებისა და დის ამბავი, დახოცა ჯადოქარი თავისი ვაჟებით, გაათავისუფლა და-ძმები და წამოიღო მთელი მათი ძვირფასეულობა. სახლისაკენ მომავალმა ძმებმა გზაზე გათხარეს ორმო, რომელშიც ჩავარდა გოლიათი. სახლში დაბრუნებულებმა კი დედას უთხრეს, რომ თავად გადაარჩინეს და და დახოცეს ჯადოქარი და მისი ვაჟები (დევეები), ძმის შესახებ კი არაფერი სმენიათ. დედამ დაიწყო ტირილი და იფიქრა, რომ ღმერთმა დაუბრუნა შვილები, თავისი ბოძებული კი წაიყვანა. მაგრამ გოლიათი არ მომკვდარა. იგი მოხვდა მიწისქვეშა სასახლეში, სადაც გადაარჩინა მეფის ქალიშვილი დრაკონისაგან. მეფემ ამის გამო შესთავაზა თავისი ტახტი და ქალიშვილი ცოლად, მაგრამ გმირმა უარი უთხრა და სთხოვა აეყვანა მიწის ზედაპირზე. არწივის საშუალებით იგი აღმოჩნდა მშობლიურ მხარეში და დაბრუნდა სახლში. ძმები არ დაუსჯია, მაგრამ მათთან ერთად არ ისურვა ცხოვრება. მან აიღო თავისი კუთვნილი ქონების წილი და გადავიდა სხვა სოფელში საცხოვრებლად.

საკვანძო სიტყვები: ძმები, და, დედა, დევი, ჯადოქარი, ღმერთი, ყვავი, მტრედი, გოლიათი.

Keywords: brothers, sister, mother, devi, magician, God, Spades, pigeons, goliath

СМОМІІК, 1898, №24, განყ. 2, გვ. 272-275, იოსებ სტეპანოვი, „შავი კაცი“: ზღაპარში საუბარია ღარიბ ცოლ-ქმარზე, რომლებსაც დიდხანს არ ჰყავდათ შვილი, მაგრამ ღმერთმა გაიგო მათი ლოცვა და აჩუქა ვაჟი. დაარქვეს შავი კაცი. როდესაც ბიჭი წამოიზარდა, დაიწყო მუშაობა ერთ მდიდარ ვაჭართან. ამ ვაჭარს ჰქონდა ჯადოსნური ხმალი, რომელიც ბრძანებისთანავე თავისით იწყებდა ირგვლივ ყველაფრის ჭრას და, თუ ხმლით მკვდარს შეეხებოდა ვინმე, მკვდარი მაშინვე ცოცხლდებოდა. რამდენიმე წლის მუშაობის შემდეგ შავი-კაცი ვაჭარს ხმალს მოჰპარავს და წავა სხვა სახელმწიფოში საცხოვრებლად. გზაში შეხვდება ორი კაცი, დაძმობილდნენ და განაგრძეს გზა. უღრან ტყეში დაინახეს უზარმაზარი სასახლე, რომელიც ტყის მეფეს, დევგმირ ნდემს ეკუთვნოდა და შევიდნენ შიგნით.

შავი კაცი ძალიან მოიხიბლა ნდემის ქალიშვილით. რამდენიმე დღე ეალერსებოდა მას. შემდეგ კი ქალმა სთხოვა ძმებს წასულიყვნენ, რადგან უნდა დაბრუნებულიყო მამამისი და ყველას მოკლავდა, მაგრამ შავი-კაცი თავისი ხმლით თავს მოჰკვეთს ნდემს, იქორწინებს მის ქალიშვილზე და დარჩება მის სასახლეში საცხოვრებლად. მისმა ძმებმა კი გააგრძელეს გზა.

ერთხელაც შავი კაცი ნადირობისას თავისი ულამაზესი ცოლის სურათს დაკარგავს. ამ სურათს იპოვის ერთი დიდებული კაცი და წაუღებს მეფეს საჩვენებლად. მეფეს მაშინვე შეუყვარდება შავი კაცის ცოლი და მისი პოვნის ბრძანებას გასცემს, მაგრამ ვერ იპოვეს. მალე მეფესთან მივა დედაბერი, რომელიც დანესებული თანხის სანაცვლოდ დაჰპირდება ამ ქალის მიყვანას. დედაბერი მივიდა შავი კაცის სახლში. ღამე ჯადოსნური ხმლით მოკლა ყველა, შემდეგ გადაავდო ხმალი მდინარეში და მიიყვანა ქალი მეფესთან. როდესაც ძმებმა შეიტყვეს შავი კაცის სიკვდილი, ღმერთს სთხოვეს და სიზმარში იხილეს ყველაფერი, რაც მოხდა. მათ ამოიღეს ხმალი მდინარიდან, გააცოცხლეს შავი კაცი და უამბეს მომხდარის შესახებ. სამივე გაემართა მეფის სასახლეში. ხმლით აჩეხეს ყველა, გაინანილეს ძმურად სამეფო და დარჩნენ იქ საცხოვრებლად.

საკვანძო სიტყვები: შავი კაცი, ხმალი, დევგმირი, ნდემი, მეფე, „ღვიძლი“ ძმა.

Keywords: Shavi katsi, sword, hero, Ndem, King, blood brother.

CMOMIK, 1898, №24, განყ. 2, გვ. 293-298, იოსებ სტეპანოვი, „ძმა ნართია და კატო“: ერთ მდიდარ ცოლ-ქმარს (სამსონსა და ცირუას) ჰყავდა ერთადერთი ქალიშვილი, სახელად კატო. ძველად, თუ ოჯახში არ ჰყავდათ ვაჟი, ითვლებოდა ღვთის რისხვად და ასეთ ქალს ქოლავდნენ ქვებით. სამსონი და ცირუა ღმერთს ევედრებოდნენ ვაჟის ყოლას და უმაღვე გაუჩნდათ კიდეც. მას დაარქვეს ნართია. როდესაც ბიჭი იყო სამი წლისა, მისი მშობლები დაიღუპნენ. იგი გაზარდა დამ. თექვსმეტი წლის ასაკში, ღის თხოვნით, მან მოიყვანა ცოლად საშა, რომელიც აღმოჩნდა ბოროტი, აითვალუნუნა კატო და ხშირად ცილს სწამებდა და ასმენდა ნართიასთან.

ერთხელაც, როდესაც ნართია სახლში არ იყო, საშამ სახლს ცეცხლი წაუკიდა და ამ ცეცხლში ჩაავდო თავისი შვილი. როდესაც ნართია დაბრუნდა, საშამ ყველაფერში კატო დაადანაშაულა. კატომ მწუხარებისგან ვერაფერი უთხრა ძმას. ნართიამ გამოიძახა მედიატორები, რომ გაესამართლებინათ მისი და. მედიატორებმა სიკვდილით დასჯა დაუწესეს კატოს. ნართიას ძალიან უყვარდა თავისი და, ამიტომ მოკვლის ნაცვლად წაიყვანა ტყეში, მოჰკვეთა ხელები და იქვე დატოვა. ტყეში იზრდებოდა ვაშლის ხე, რომელიც მეფის კუთვნილება იყო. ყოველ ღამე კატო მიდიოდა ამ ვაშლის ხესთან და მუხლებზე მდგარი ჭამდა ვაშლებს მინიდანვე. მეფემ შეამჩნია ვაშლების დანაკარგი და დაუყენა მცველები, მაგრამ მათ ჩაეძინათ. მაშინ ვაშლის ხის მცველად მივიდა უფლისწული ალექსი. ღამით დაინახა კატო, მაშინვე შეუყვარდა და მიიყვანა სასახლეში. უმაღვე იქორწინეს.

ერთხელაც ალექსი გაემგზავრა საომრად. კატომ გააჩინა ძალიან ლამაზი ვაჟი. მეფემ გააგზავნა შიკრიკი ალექსისთან წერილით. შიკრიკმა ღამე გაათენა საშას სახლში, რომელმაც ამ ყველაფრის გაგების შემდეგ შეცვალა წერილი და ჩაწერა, რომ დედოფალმა გააჩინა ლეკვი. როდესაც ალექსიმ ეს წაიკითხა, დაღონდა და გაგზავნა პასუხი, დალოდებოდნენ მის დაბრუნებას. უკანა გზაზე შიკრიკი ისევ გაჩერდა საშას სახლში ღამის გასათევად. საშამ ისევ შეცვალა წერილი და ჩაწერა, რომ დედა და შვილი სასწრაფოდ ჩაეგდოთ ორმოში. მეფე ძალიან გაკვირვებული იყო, აჩვენა კატოს წერილი, უთხრა, რომ არ უნდა მათი განვალება და ურჩია კატოს წასულიყო ბავშვთან ერთად სადმე.

კატოს შვილი სწრაფად იზრდებოდა და ისწავლა ლაპარაკი. როდესაც მოსწყურდა, დედა-შვილი მივიდნენ მდინარესთან, აქ კატოს გაუვარდა ბავშვი მოჭრილი ხელებიდან. გადაინია და როგორც კი შეეხო წყალს, მას გაუმთელდა ხელები. გზაში მას შეხვდნენ ალექსი და ნართია, რომლებიც ერთად ბრუნდებოდნენ ომიდან, მაგრამ ვერ იცნეს კატო. შემდეგ მოუყვა შვილს მთელ თავის თავგადასავალს და დაბრუნდა სასახლეში. აქ ისევ ვერ იცნეს კატო, მაგრამ კარგად მიიღეს. კატოს შვილმა მეფეს უმბო ზღაპარი, რომელიც დაამთავრა სიტყვებით, რომ ალექსი მისი მამაა, ნართია – ბიძა და მეფე – ბაბუა. ყველა გადაეხვია კატოსა და მის შვილს, ხოლო ნართიას ცოლი, საშა მიიყვანეს სასახლეში, რაშის კუდს გამოაბეს და დააგლეჯინეს. სამ ვაშლსა და სამ ბროწეულს, თქვენი ხელებით მოპოვებულს, ღმერთმა არ მომაკლოთ.

საკვანძო სიტყვები: ღმერთი, ნართია, საშა, ბოროტი, მედიატორი, უფლისწული, ალექსი, მეფე, რაში.

Keywords: God, Nartia, Sasha, evil, mediator, prince, Aleks, king, rashi

CMOMIK, 1898, №24, განყ. 2, გვ. 302-305, იოსებ სტეპანოვი, „კეთილი საქმე არასდროს დაიკარგება“: ამ ზღაპარში საუბარია სიკეთეზე. ერთხელ მდიდარი ვაჭარი გაემგზავრა ქალაქში. უკანა გზაზე მან ზღვის პირას ღამე გაათენა, იქ დაბრმავდა. გზაზე გამოიარა მღვდელმა, რომელმაც ის სახლში წაიყვანა. ვაჭარმა კარგად დაასაჩუქრა მღვდელი, გაყიდა მთელი თავისი ქონება, დაიწყო ცხოვრება პროცენტებით. ამ ვაჭარს ჰყავდა ერთადერთი თვრამეტი წლის ვაჟი, რომელიც ცდილობდა ვაჭრობის საქმის დანყებას და მამას სთხოვა ამისთვის ფული. მამამ თავიდან იუარა, მაგრამ შემდეგ მისცა რამდენიმე ათასი და უთხრა, რომ ფრთხილად ყოფილიყო, არ ემეგობრა, არ ეჭამა, არ ესვა ისეთ ხალხთან, რომელიც ყოველთვის უღიმოდა და მოაჩვენებდა თავს, თითქოს უხარიათ მასთან ყოფნა. შვილი გაუდგა გზას, მივიდა ერთ ქალაქში და შეხვდა ზუსტად ისეთ ხალხს, როგორმეც აფრთხილებდა მამა. მათთან ერთად გაფლანგა მთელი ფული და დაბრუნდა მამასთან. მამამ უსაყვედურა მას, რომ არ დაუჭერა. გავიდა დრო და შვილმა ისევ სთხოვა მამას ფული, წავიდა და ისევ ხელუცარიელი ჩამოვიდა. გავიდა რამდენიმე წელი და მესამედაც წავიდა. ქალაქში ნახა, რომ მოედანზე

რამდენიმე კაცი თავს დაესხა მიცვალებულს – ზოგი ლანძღავდა, ზოგი ურტყამდა, ზოგი ტანსაცმელს ხდიდა. ის აღშფოთდა და მიზეზი იკითხა. უპასუხეს, რომ ამ ყველასი მიცვალებულს ფული ემართა. ვაჭრის შვილს შეეცოდა მიცვალებული, დაარიგა მისი ვალები, თავისივე ფულით დაკრძალა ის და ისევ ცარიელი ჯიბით დაბრუნდა მამასთან.

საბოლოოდ, იგი გაემგზავრა მეოთხედ. გზაზე შემხვედრი ერთი ბიჭი წაიყვანა თავისთან ქალაქში და ერთად შეუდგნენ საქმეს. ამ დროს გაიგო, რომ მეფის ასული ძალიან ავად იყო და მეფე იმას მიათხოვებდა, ვინც განკურნავდა. ბიჭმა უთხრა ვაჭრის შვილს, რომ მას შეეძლო მეფის ასულის განკურნება და გაემართნენ სასახლისაკენ. აქ მათ ითხოვეს ასულთან მარტო დარჩენა და განკურნეს ის. მეფეს ძალიან გაუხარდა და გამოაცხადა თავისი შვილი იმის ცოლად, ვინც განკურნა ის სინამდვილეში. მზითვში ქალს გაატანა ორი გემი და ძვირფასეულობით დატვირთული რამდენიმე აქლემი. ბედნიერი ახალგაზრდები დაემშვიდობნენ მეფეს და დაბრუნდნენ ვაჭართან.

ახალგაზრდა ბიჭებმა გადანწყიტეს ყველაფრის შუაზე გაყოფა. საქმე მივიდა ულამაზეს ცოლამდე. ბიჭს უნდოდა მისი გაყოფასაც. ვაჭრის შვილი კი არ თანხმდებოდა. მაშინ ბიჭმა ამოიღო ხმალი, რომ გაეჭრა ქალი შუაზე, მაგრამ ამ დროს შეშინებული ქალის პირიდან ამოხტა უხსენებელი, რომელიც გააპო ბიჭმა. მაშინ ბიჭმა გადასცა ლამაზი ქალი ვაჭრის შვილს და დალოცა. შემდეგ ამ უხსენებლის ნაწილით შეეხო ვაჭრის თვალებს და აუხილა. ბიჭმა უამბო მათ, რომ იგი იყო ის მიცვალებული, რომელიც ოდესღაც დაკრძალა ვაჭრის შვილმა. ის გამოაგზავნა ღმერთმა, რათა მადლიერების ნიშნად ყველაფერში დახმარებოდა ამ ვაჟს. შემდეგ ბიჭი გაქრა, ხოლო ვაჭარი ვაჟთან და მის ცოლთან ერთად ცხოვრობდა ბედნიერად.

საკვანძო სიტყვები: ვაჭარი, სიბრმავე, მღვდელი, ფული, მოგზაურობა, მიცვალებული, ვალი, ავადმყოფობა, მეფე, მეფის ასული, უხსენებელი, სიკეთე.

Keywords: Merchant, blindness, priest, money, travel, dead man, debt, illness, King, daughter of the King, The snake, kindness.

CMOMIK, 1898, №24, განკ. 2, გვ. 306-309, იოსებ სტეპანოვი, „სულელი გედლაჩი“: ერთ კაცს ჰყავდა სამი შვილი. ორი შვილი იყო გონიერი, მესამე კი – სულელი. მას ერქვა გედლაჩი. როდესაც მამა დაბერდა, იხმო ვაჟები და უთხრა, რომ მისი სიკვდილის შემდეგ ღამით ედარაჯათ საფლავისათვის.

მამა მოკვდა. უფროს ძმებს ეშინოდათ ღამით სასაფლაოზე წასვლისა. მაშინ გედლაჩმა ჩაიცვა თავისი ძველი ჩოხა, აიღო ხმალი და წავიდა მამის საფლავთან. უეცრად ტყიდან გამოვარდა დიდი ცხოველი, მივარდა საფლავს და დაიწყო მისი თხრა, ბრჭყალებით. გედლაჩს არ შეეშინდა და მოჰკვეთა მას თავი. ერთ ნუთში საფლავიდან ამოვიდა გაცოცხლებული და ჯანმრთელი მამა, დალოცა გედლაჩი, ამოიყვანა საფლავიდან ცხენი, აჩუქა გედლაჩს და გაქრა. ცხენმა ადამიანური

ხმით უთხრა გედლაჩს, რომ ამოელო ყურებიდან ყველაფერი: ოქროს უნაგირი, ვერცხლის აღვირი, იარაღი და საოცრად ლამაზი ტანისამოსი.

გედლაჩი შეიმოსა, გადაიქცა ბუმბერაზად და გაფრინდა ცაში, შემდეგ ჩამოვიდნენ მინაზე და დაბრუნდა სახლში. ასე ყოველ ღამე მეორდებოდა. ძმები კი ვერაფერს ხვდებოდნენ.

მეფემ გამოსცა ბრძანება, რომ თავის ასულს ცოლად გააყოლებდა იმას, ვინც ცხენით აფრინდებოდა სასახლის მეოცე სართულზე და პირადად მეფის ასულისაგან მიიღებდა ბეჭედს. დათქმულ დღეს შეიკრიბა ბევრი ხალხი. სასიძოვები თავიანთი ცხენებით ჯირითობდნენ, მაგრამ არც ერთ მათგანს არ შეეძლო მიზანთან ნახევრამდეც კი მიახლოება. საბოლოოდ, სასახლესთან მივიდა ჩინებულად გამოწყობილი გედლაჩი. ყველამ მაშინვე მიაქცია მას ყურადღება. ის აფრინდა თავისი ცხენით ცაში, მოხსნა ბეჭედი მეფის ასულს თითიდან და ამაყად დაბრუნდა მინაზე. ყველა იყო გაოცებული და ხმამაღლა აღიღებდნენ მას. იმავე დღეს გედლაჩმა ჯვარი დაიწერა მეფის ასულზე. მეფემ აჩუქა მას ნახევარი სასახლე და გამართა ნადიმი. გედლაჩი ბედნიერად ცხოვრობდა, თავი დაანება სულელის როლის თამაშს, დაუძახა თავის ძმებს და აპატია მათ დამცირება.

საკვანძო სიტყვები: სამი ძმა, სულელი, საფლავი, გედლაჩი, ცხენი, ბუმბერაზი, მეფის ასული.

Keywords: three brother, silly, tumb, Feather, daughter of king.

CMOMIK, 1898, №24, განყ. 2, გვ. 309-311, იოსებ სტეპანოვი, „სამი ძმის შესახებ“: ძმები ძალიან ღარიბულად ცხოვრობდნენ. ერთხელაც მათ გადანწყვიტეს ეხეტიალათ სამყაროს გარშემო იმ იმედით, რომ ღმერთი გამოუგზავნიდა მათ რამე საქმეს. გზაში ძმები შეხვდნენ ერთ უცნობს. ეს იყო ღმერთი ჩვეულებრივი ადამიანის სახით მოვლენილი. ძმებმა, რა თქმა უნდა, ვერ იცნეს. ღმერთი დაჰპირდათ, რომ სამივეს თითო-თითო სურვილს აუსრულებდა. უფროსმა ძმამ ითხოვა ბევრი საქონელი, შუათანამ – ბევრი ფული, უმცროსმა კი კარგ ქალზე ქორწინება მოინდომა. ღმერთმა სამივეს აუსრულა სურვილი. უფროს ძმას უამრავი საქონელი უბოძა და გამდიდრდა. შუათანა გახდა მდიდარი კაპიტალისტი. უმცროსს კი ღმერთმა უთხრა, რომ კარგი ქალი ამ ქვეყნად მხოლოდ სამია, მაგრამ ორი მათგანი უკვე დაქორწინებულია, მესამე კი დღეს ქორწინდება. ღმერთმა მას მისცა ვაშლის ხის ტოტი და გაგზავნა სიძის სახლში და ის იქ უნდა ყოფილიყო, სანამ მაყარი არ მიიყვანდა საცოლეს, მას კი ყველასთვის უნდა ეთქვა, რომ ქალი მას ეკუთვნოდა და ამის დასამტკიცებლად სასწაულს მოახდენდა. მართლაც, მინაში თვითონ ჩაერჭო ტოტი, რომელმაც ნაყოფი დაისხა და პატარაძალთანაც ჯვარი დაიწერა.

ისინი ძალიან ღარიბები იყვნენ. უმცროსმა ძმამ როგორღაც ააშენა ქოხი გზის პირას. მისი ცოლი ყიდდა წყაროს წყალს და ამ ფულით აჭმევდა ახლადდაბადებულ ვაჟს. დიდი ხნის შემდეგ ღმერთი ისევ მივიდა ძმებთან ღარიბის სახით და

მონყალეზა ითხოვა. უფროსმა და შუათანა ძმებმა გააგდეს იგი. როდესაც ღმერთი მივიდა უმცროსი ძმის სახლში, ვაჟი არ დახვდა სახლში, ცოლი კი გლოვობდა ახლახანს დაღუპულ შვილს. როცა მან დაინახა ღარიბი, მოინმინდა ცრემლი, ბავშვის გვამს გადაათვარა ზენარი და მიიღო სტუმარი: გაართო ლაპარაკში, დაკლა ქათამი, მოამზადა უბრალო კერძი და გაუმასპინძლდა სტუმარს. სადილის დროს სტუმარმა აიღო ხორცის ნაჭერი და სთხოვა, მიეცა ის ხორცი ბავშვისთვის. როდესაც მან მიუტანა ბავშვს ხორცი, ბავშვი მკვდრეთით აღდგა. დედას ძალიან გაუხარდა. ღმერთი წასვლისას დაჰპირდა, რომ უფროსი ძმების მთელი ქონება უმცროსისა გახდებოდა.

ღმერთის სიტყვა მალევე ახდა და უფროსი ძმები თავიანთ ცოლებთან ერთად დადიოდნენ უმცროს ძმასთან საჭმლის ფულისათვის. ისიც მათ ყოველთვის ეხმარებოდა

საკვანძო სიტყვები: სამი ძმა, ღმერთი, მდიდარი, ღარიბი, მაყარი, ცოლი, წინასწარმეტყველება.

Keywords: three brother, God, rich, poor, makari, wife, prophercy

CMOMIIK, 1905, №35, განც. 2, გვ. 411-421, იოსებ სტეპანოვი, „ჯუმჯუმ ხელმწიფის დარდი“: ერთმა მდიდარმა ვაჭარმა სიკვდილის წინ იხმო თავისი სამი ვაჟი, თანაბრად გადასცა მათ დიდძალი ქონება და აუკრძალა სიარული ერთ ბაღში, რომელშიც დაიღუპებოდა. მამის სიკვდილიდან რამდენიმე წელში, უფროსი ვაჟი წავიდა აკრძალულ ბაღში. შესვლისთანავე აღფრთოვანდა იქაური მშვენიერებით, დაწყევლა მამა იმის გამო, რომ აუკრძალა იქ შესვლა. შემდეგ დაედევნა ჯერიანს, რომელიც მივარდა ცხიე-სიმაგრეს და იქ გადაიქცა ქაჯის ულამაზეს ქალად. ქაჯმა ჰკითხა ჯუმჯუმ ხელმწიფის დარდის მიზეზი. კაცმა კი ვერ უპასუხა. ამიტომ მოკლა იგი. ასეთივე ბედი ეწია შუათანა ძმასაც. უმცროსმა ძმამ კი ცხიესიმაგრის კედელში ჩამალული კაცის დახმარებით მოახერხა ქაჯის ქალისგან გაქცევა. შემდეგ მან გადაწყვიტა გაეგო ხელმწიფე ჯუმჯუმის დარდის ამბავი და გაუდგა გზას. გზაში მან გადაარჩინა სიკვდილს ფასკუნჯის ბარტყები (აქვე მოტანილია ამ ფრინველის სახელწოდების დამახინჯებული ფორმა – ფარშხუდი და შემკრების მსჯელობა ამ მითოსურ არსებასთან დაკავშირებით). მადლიერმა ფასკუნჯმა ვაჟს მისცა ორი კელაპტარი, კვესი, რამდენიმე ბუმბული და მიიყვანა ჯუმჯუმ ხელმწიფის სასახლეში. იქ ჯუმჯუმმა გააფრთხილა ვაჭრის უმცროსი ვაჟი, რომ, როგორც კი მოყვებოდა თავისი დარდის შესახებ, თვითონ მოკვდებოდა, თუმცა მაინც უამბო: მას ჰყავდა ცოლი, რომელიც ძალიან უყვარდა. მან გაიგო, რომ ის ღალატობდა ქაჯთან, რომელიც მოკლა. როდესაც ცოლმა გაიგო ყველაფერი, გადააქცია ჯუმჯუმი ჯერ ვირად, რომელსაც დიდხანს აწვალეზდა, შემდეგ – ძალღად და გააგდო სახლიდან. ის ცხოვრობდა ჯერ მწყემსთან, შემდეგ კი გადაარჩინა მეფის შვილი კატისგან. იმან დაუბრუნა ადამიანის იერსახე და აჩუქა ჯადოსნური ჯოხი.

ჯობის დახმარებით მან გადააქცია თავისი ცოლი ჯერ ვირად, შემდეგ კი ჩიტად, რომელიც დამწყვდეული ჰყავს ოქროს გალიაში.

შემდეგ ფასკუნჯის დახმარებით ზღაპრის გმირი გარბის ჯუმჯუმისგან, ხვდება ისევ აკრძალულ ბაღში, უყვება ქაჯის ქალს ჯუმჯუმის დარდის შესახებ. იგი აცოცხლებს ძმებს და ათავისუფლებს კაცს, რომელიც დამწყვდეულია კედელში. შემდეგ გმირი კლავს ქაჯის ქალს და ოთხივე ბრუნდება სახლში. ამის შემდეგ უკვე ეს ბაღი გახდა უსაფრთხო.

საკვანძო სიტყვები: ვაჭარი, შვილები, ბაღი, ჯეირანი, ქაჯის ქალი, ფასკუნჯი, ჯუმჯუმ ხელმწიფე, დედოფალი, ქაჯი, ლალატი, ჯადოსნური ჯობი, დარდი.

Keywords: Merchant, sons, garden, jeiran, demon woman, faskunji, jumjum princely, Queen, demon, betrayal, magic wand, grief.

CMOMIK, 1905, №35, განყ. 2, გვ. 422-427, რამიშვილი, „სოლოგი“: ბუმბერაზმა დევმა მისცა წამალი უშვილო მოხუც ცოლ-ქმარს. მათ გაურჩდათ სამი ვაჟი. შუათანა ვაჟი, სოლოგი, დევმა წაიყვანა თავისთან, აჭმევდა და უვლიდა მას. დევის რამისგან ბიჭმა შეიტყო, რომ დევს სურდა მისი შეჭმა. მაშინ მან რამის რჩევით აიღო სარკე, მაკრატელი და სავარცხელი, მოაჯდა ცხენს და გაიქცნენ. დევი ტახით დაედევნა მათ. სოლოგმა დაავლო სარკე ძირს და იმ ადგილას გაჩნდა ზღვა, შემდეგ დაავლო მაკრატელი – მიწა დაიფარა ბასრი რკინის კბილანებით. როდესაც ბიჭმა დაავლო სავარცხელი, გაჩნდა გაუვალი უღრანი ტყე, რომელიც დევმა ვეღარ გაიარა. ერთ-ერთ სოფელთან ბიჭი და რაში გაიყარნენ. იმ ადგილას, ღამ-ღამობით ვიღაცა ძარცვავდა მიცვალებულებს. სოლოგი გამოცხადდა სასათულოს დარაჯად და პირველსავე ღამეს, შეება და წააცალა ფეხსაცმელი რომელიღაც დიდ ფრინველს, რომელსაც უნდოდა მიცვალებულის წაყვანა. მეორე ღამეს მან მეორე ფრინველს წააცალა თავსაბურავი, ხოლო მესამე ღამეს – ბეჭელი. ეს ნივთები იყო იმდენად ძვირფასი, რომ მის ფასად შეიძლებოდა მთელი სამეფოს ყიდვა. ერთმა ქვეყნის მეფემ დაიტოვა ეს ფეხსაცმელი და მოითხოვა მისი ცალი, მომტანს კი სანაცვლოდ თავის სამეფოს დაჰპირდა. მეორე მეფემ – თავსაბური, მესამემ კი ბეჭელი მოითხოვა.

სოლოგმა იპოვა კოშკი, სადაც ცხოვრობდა სამი მზეთუნახავი, რომლებსაც წაართვა ეს ნივთები. ისინი ღვინოს სვამდნენ, თან მას ლოცავდნენ. როდესაც დაინახეს ქალებმა ის და გაიგეს რისთვისაც იყო მისული, მისცეს ეს ნივთები და თან გაჰყვნენ. ბიჭმა მიიღო სამი სამეფო, შემდეგ დაჰპატიჟა ძმები, დააქორწინა მზეთუნახავებზე. თვითონ იქორწინა უმცროსზე და გაუნაწილა სამეფოები ძმებს.

საკვანძო სიტყვები: დევი, რაში, სოლოგი, მეფე, მზეთუნახავი, სავარცხელი, სარკე, მაკრატელი.

Keywords:devi, rashi, Solog, king, beauti.

СМОМІІК, 1904, №33, განყ.3, გვ. 515-525, მ. გლუშაკოვი, „ღვთისავარი“: ერთ მეფეს ჰყავდა ძალიან ლამაზი ქალიშვილი. ის დაკარგვის შიშით გადამალა ძიძასთან ერთად კუნძულზე მდებარე სასახლეში. ერთხელაც ძიძამ ზღვასთან იპოვა დაუჯერებლად დიდი ვაშლი. ის ძიძამაც და მეფის ასულმაც შეჭამეს და ორივე დაფეხმძიმდა. განრისხებულმა მეფემ ბრძანა მათი დახოცვა, მაგრამ მათთან გაგზავნილმა დიდებულმა, მათ ნაცვლად მოკლა ორი კურდღელი, ამოაცალა გულ-ღვიძლი და ის წაუღო მეფეს.

მეფის ასულმა გააჩინა ვაჟი, რომელსაც დაარქვა ღვთისავარი. ძიძამ კი გააჩინა რვა ლეკვი. ღვთისავარი და ლეკვები მალე გაიზარდნენ და შეუყვარდათ ნადირობა. ღვთისავარმა გაიკეთა უზარმაზარი რკინის მშვილდ-ისარი. ერთხელაც მისი ისარი ჩავარდა დევების სახლის ეზოში, სადაც ათი ძმა ცხოვრობდა. ღვთისავარმა მოკლა ყველა და დაითანხმა დედა გადმოსულიყო მათთან. გავიდა ხანი და მათ სახლთან დაიწყო სიარული ერთმა ღარიბმა, რომელსაც დედა ყოველთვის აჭმევდა და საბოლოოდ შეუყვარდა. ეს ღარიბი აღმოჩნდა დევების უფროსი ძმა, რომელიც შემთხვევით გადარჩა ღვთისავართან ბრძოლის შემდეგ. მან დაითანხმა ვაჟის დედა, შვილი მოეკლა, ერთად ცხოვრება რომ შეძლებოდათ. დედამ შვილს სამჯერ მოაჩვენა თავი ავადმყოფად და აგზავნიდა სასიკვდილოდ ხან ირემთან, ხან – გარეულ ღორთან, ხან – არწივთან. მათ უთხრეს ღვთისავარს სიმართლე დედის ღალატის შესახებ და დაჰპირდნენ დახმარებას უბედურების შემთხვევაში. ერთხელაც დედამ და დევმა მოტყუებით ჩაკეტეს ღვთისავარი დიდ ქვაბში და გადააგდეს ზღვაში. ძაღლებმა დაიწყეს ყეფა და ღვთისავარს გაახსენდა და ინატრა ირმის, ტახისა და არწივის დახმარება. ისინი უმაღვე გამოჩნდნენ და გადააჩინეს. სახლში დაბრუნებულმა ღვთისავარმა კი მაშინვე დახოცა დედა, დევი და ძიძა.

შემდეგ იგი დაუძმობილდა ერთ მშვენიერ ყმაწვილს, მათ გადანწყიტეს შეერთოთ ცოლები და გაუღვნენ გზას. გზაში ისინი დაშორდნენ ერთმანეთს იმ პირობით, რომ გაჭირვებაში ერთმანეთს მიშველებოდნენ. ღვთისავარი გადავიდა მდინარეს და იქ იქორწინა მშვენიერ მეფის ასულზე. ერთხელაც ნადირობისას ის მოტყუებით გადაყლაპა ერთმა ბებერმა. მისი ძმობილი წავიდა მის საქმბნელად, მოახერხა დედაბრის მოკვლა და ღვთისავარის გადარჩენა. ისინი დაბრუნდნენ სასახლეში და რამდენიმე ხნის შემდეგ ღვთისავარის ძმობილიც დაოჯახდა.

საკვანძო სიტყვები: მეფე, მეფის ასული, ვაშლი, ღმერთი, ღვთისავარი, დევი, ირემი, ტახი, არწივი.

Keywords: king, princess, apple, God, Gvtisvari, devi, deer, throne, eagle, Caucasus.

СМОМІІК, 1904, №33, განყ. 3, გვ. 512-515, მ. გლუშაკოვი, „ღარიბი და სამი დევი“: ზღაპარში საუბარია ერთ ღარიბზე, რომელიც წავიდა უკეთესი ცხოვრების საქმბნელად. ღამით ტყეში შეხვდა ორ დევს, რომელთაგანაც გაიგო უფლისწულის დაავადების ამბავი და მისი განკურნების საშუალება. ის დევებს შეჰპირდა,

მოეყვანა ხარების ნახირი, იმათ კი ამის სანაცვლოდ მისცეს უფლისწულისთვის წამალი. როდესაც ღარიბმა გამოაჯანმრთელა უფლისწული, გახარებულმა მეფემ კარგად დააჯილდოვა ის. ღარიბი გამდიდრდა, დაქორწინდა და დაიწყო ხალხის მკურნალობა. ღვეებისთვის მიცემული პირობა კი დაავინყდა, მაგრამ მათ ახსოვდათ და როცა დრო იხელეთეს, დაიჭირეს, შეწვეს შამფურზე და შეჭამეს.

საკვანძო სიტყვები: ღარიბი, ღვეი, უფლისწული, წამალი, მდიდარი.

Keywords: poor, devi, prince, medicine, rich.

CMOMIK. 1898, №24, განყ. 2, გვ. 288-293, იოსებ სტეპანოვი, „გულთააზრი“: ამ ზღაპარში საუბარია, როგორ დაიბადა გულთააზრი. ერთ უშვილო ცოლ-ქმარს ღმერთმა აჩუქა ვაჟი და დაარქვეს გულთააზრი, რაც ნიშნავს „გულთა მხილველს“. ერთხელ მას რაღაც დაესიზმრა და მას შემდეგ გახდა გულჩათხრობილი. მამამ სცემა, მაგრამ სიზმარი მაინც ვერ ათქმევინა. გულთააზრმა დაიწყო ტირილი და გავიდა ქუჩაში. იგი მოიტაცეს ურსალებმა (ადამიანების გამტაცებლები) და მიჰყიდეს თურქს. ერთხელაც თუქრმა გადანყვიტა გაეგო, თუ საიდან აღმოჩნდა მასთან გულთააზრი. ბიჭმა ყველაფერი უამბო, მაგრამ სიზმარზე არაფერი უთქვამს. მაშინ თურქი გაბრაზდა და მიჰყიდა სულთანს. ერთხელაც სულთანსაც მოუწადა გულთააზრის სიზმრის გაგება, მაგრამ არც მას უამბო. სულთანმა ბრძანა გაეთხარათ დიდი ორმო და შიგ ჩაეგდოთ გულთააზრი. სულთანს ჰყავდა ულამაზესი და უნიჭიერესი ქალიშვილი. მის ოთახში ყოველთვის იყო განსხვავებული საჭმელი. გულთააზრმა დაიწყო ორმოდან ამოძრომა, ჩუმად შეპარვა მის ოთახში და საჭმლის ჭამა. სულთანის ქალიშვილმა შეამჩნია ეს, დაიჭირა იგი და გამოკეტა ციხეში. გავიდა მრავალი წელი, გულთააზრი გაიზარდა, დაკაცდა და გამოირჩეოდა თავისი მახვილი გონებით. ამ დროს სულთანსა და ინგლისის მეფეს უნდა ეთქვათ ერთმანეთისათვის სამ-სამი გამოცანა. რომელი მეფეც ვერ გამოიცილობდა, მას მოჰკვეთდნენ თავს. პირველი გამოცანა თქვა ინგლისის მეფემ. მან გაუგზავნა სულთანს ორი მტრედი და სთხოვდა გაერკვია, რომელი ეკუთვნოდა მეფეს და რომელი გლეხს. სულთანის ქალიშვილმა დასახმარებლად გულთააზრს მიმართა, რომელიც დიდხანს არ თანხმდებოდა დახმარებაზე, რადგან სულთანმა იგი სასიკვდილოდ განირა. დიდი ხვეწნის შემდეგ მათ ურჩია დაესვათ მტრედები ისეთ ადგილას, სადაც მათკენ იქნებოდა მიშვერილი კვამლი, რომელიც დავარდება ისაა მეფისაო. ასეც მოიქცნენ. შემდეგ ინგლისის მეფემ უთხრა მეორე გამოცანაც: მან გაუგზავნა ორი ერთნაირი ბიჭი და ითხოვა, გაეგო – რომელი იყო მეფის შვილი და რომელი გლეხისა. ისევ მიმართეს გულთააზრს დასახმარებლად. მან ურჩია დაეძინებინათ ბიჭები. რომელიც დაიძინებს გამართული, ის იქნება მეფისა; ხოლო რომელიც იქნება მოკუნტული, ის არის გლეხის შვილიო. ბოლოს გამოცანად სულთანს გაეგზავნა ხარი, რომელიც არ იქნება არც წითელი, არც შავი, არც თეთრი და არცერთი სხვა ფერისა. ისევ დაუძახეს დასახმარებლად გულთააზრს, რომელმაც ურჩია

სულთანს, რომ, ვინაიან ორჯერ უკვე უპასუხეს, ერთი მანაც გამოეცნო ინგლისის მეფეს. ამიტომ გულთააზრის რჩევის თანახმად, სთხოვეს გამოეგზავნა ვინმე ისეთ დროს, რომ არ იყოს დილა, არც საღამო, არც შუადღე, არც შუალამე, არც – სინათლეზე და არც – დაბნელებაზე. მეფემ ვერ უპასუხა ამ გამოცანას და წაავი. მაგრამ მან არ მოინდომა თავის მოკვება და გამოუცხადა სულთანს ომი.

ბრძოლის დროს, ცაში გამოჩნდა ორი თავი, რომლებმაც დაიწყეს ერთმანეთში ბრძოლა. ბრძოლა შეწყდა და ყველა უყურებდა ამ საოცრებას. ინგლისის მეფე შეჰპირდა თავისი ქალიშვილის მითხოვებას იმას, ვინც ახსნიდა თუ რატომ იბრძოდნენ ეს თავები ერთმანეთში ცაზე. მაშინ გულთააზრმა თქვა, რომ ოდესღაც ცხოვრობდა ორი ძმა, მათ იჩხუბეს და მოჰკვეთეს ერთმანეთს თავები. ღმერთი გაუბრაზდა მათ და არ შეუშვა ისინი სამოთხეში. მას მერე ისინი დაბოდიშალობენ და იბრძვიან ახლა იმისათვის, რომ დაანახონ სულთანსა და მეფეს, რომ ღმერთი მათაც მოექცევა ასე. ორივე ხელმწიფე უმაღლვე შერიგდა და ინგლისის მეფემ ცოლად გააყოლა თავისი ქალიშვილი გულთააზრს. ამავე დროს სულთანმაც გააყოლა თავისი ქალიშვილი მას და გულთააზრი მაშინვე გახდა ორი ხელმწიფის სიძე.

გულთააზრს გაეცინა და მოუყვა თავის სიზმარს ცოლებს. რომ იგი წევს ტახტზე, თავთან იჯდა მზე, ფეხებთან მთვარე, ხოლო ციდან ჩამოფრინდა ვარსკვლავი, რომელიც მან დაიჭირა და გულში ჩაიკრა. მას მერე მათ უფრო შეუყვარდათ ერთმანეთი.

საკვანძო სიტყვები: ღმერთი, სიზმარი, გულთააზრი, ურსალი, თურქი, ებრაელი, სულთანი, ინგლისი, თურქეთი, მეფე, გამოცანა.

Keywords: god, dream, Gultaazri, ursali, Turkish, jew, sultan, England, Turkey, king, riddle.

СМОМІІК, 1898, №24, განც. 2, გვ. 298-301, იოსებ სტეპანოვი, „გოლიათი და მღვდელი“: ამ ზღაპარში საუბარია, როგორ მოატყუა მღვდელმა ბუმბერაზი. ერთ მღვდელს ჰყავდა ორი დაოჯახებული ვაჟი. სამწუხაროდ, მალე მისი ორივე შვილი დაიღუპა და სახლში დარჩნენ მხოლოდ მღვდელი და მისი ორი რძალი. დაკრძალვის შემდეგ, დაწვა მღვდელი ფართო სკამზე ბუხართან და სამი წლის განმავლობაში არ ამდგარა იქიდან, იქვე ჭამდა, სვამდა და ისაქმებდა. მეოთხე წელს, მაისში მღვდელმა მოინდომა გარეთ გასვლა. მან სთხოვა რძლებს თავის სკამიანად გაეყვანათ სახლის ეზოში. საღამოს კი რძლებმა უკან მის შემოყვანაზე უარი თქვეს და დაუხურეს კარი. მღვდელმა რძლებს გამოართვა ფეხილი და ხაჭო, ჩაიდო ჩანთაში და გაუდგა გზას. რამდენიმე დღის შემდეგ შეხვდა გზაში ერთი გოლიათი.

გოლიათმა დაავლო მინაზე ქვა, რომელიც დაიფუხვნა. მღვდელმა ქვის ნაცვლად ისროლა ფეხილი. ამის შემდეგ გოლიათმა ქვიდან წყალი გამოადინა, მღვდელმა კი მოატყუა ხაჭოს წყალობით. გოლიათმა დაიჯერა, რომ იგი იყო

მეფე და დაპატიჯა თავისთან სახლში. გოლიათმა დაკლა თხა და მოხარმა, მღვდელს კი სთხოვა სარდაფიდან ღვინის ამოტანა. მან მღვდელს ისეთი დიდი ხელადა მისცა, რომ მღვდელმა ძვლივს მიათრია მიწაში ჩაფლულ ქვევრამდე. მღვდელმა დაიწყო ქვევრის მიწიდან ამოთხრა. დიდხანს რომ არ გამოჩნდა მღვდელი, გოლიათი თავად მივიდა და ჰკითხა, რატომ თხრიდა ქვევრს. მღვდელმა ბუმბერაზს უთხრა, რომ არ ეყოფოდათ ეს ღვინო. მაგრამ გოლიათმა უპასუხა, რომ მათ ეყოფოდათ ამ დოქით ღვინო, გამოავსო ის ჭურჭელი ღვინით და თავად წაათრია სახლში ღვინით სავსე დოქი. როდესაც ყველაფერი მზად იყო, ისინი მიუსხდნენ სუფრას. გოლიათმა შუაზე გაჭრა თხა და სწრაფად შეჭამა თავისი ნახევარი, მღვდელი კი ჩუმად აძლევდა ხორცს ძაღლებს. სადილის შემდეგ გოლიათმა დააბოყინა და გაგებმა მისი პირიდან ისეთი ძალით ამოხეთქა, რომ მღვდელი ავარდა სახლის ჭერზე. იგი მოეჭიდა ბოძს და ისე წარმოაჩინა, თითქოს ნებით აძვრა იქ. შემდეგ მან გააფრთხილა გოლიათი, რომ დაუმორჩილებლობის შემთხვევაში მას ჩამოკიდებდა ამ ბოძზე. სულელ გოლიათს შეეშინდა და მას შემდეგ ცბიერ მღვდელს პატიოსნად ემსახურება.

საკვანძო სიტყვები: მღვდელი, ბუმბერაზი.

Keywords: priest, greatest.

CMOMIK, 1904, №33, განყ. 3, გვ. 561-563, მ. გლუშაკოვი, „მელიის ხრიკები“: ზღაპარში საუბარია იმის შესახებ, თუ როგორ იშოვა მელიამ ტომარა ფეტვი მის ნაცვლად როგორ გამოართვა სხვას ქათამი, მეორეს ქათმის ნაცვლად – ცხვარი, მესამეს ცხვრის ნაცვლად – თხა, მეოთხეს თხის ნაცვლად – ხარი, ხოლო ბოლოს ხარის ნაცვლად – საცოლე, რომელიც ჩასვა ტომარაში და წამოიყვანა სახლში. გზაში მწყემსები გაუმასპინძლდნენ მელიას ცხვრის ხორციით, თვითონ კი შეუმჩნევლად გაათავისუფლეს საცოლე და ჩასვეს ტომარაში ძაღლი, რომელმაც მერე დაგლიჯა მელია. საცოლე დააბრუნეს საქმროს სახლში, სადაც მწყემსებისთვის მოაწყვეს ნადიმი.

საკვანძო სიტყვები: მელია, ეშმაკობა, ტყუილი.

Keywords: fox, cunning, deception.

CMOMIK. 1903, №32, განყ. 2, გვ. 480-482, მ. ჯანაშვილი, „კოდალა, მელია და ყორანი“: სოფ. კახი, ზაქათალას ოლქი კოდალამ გამოჩეკა სამი ბარტყი, მელიამ მოტყუებით შეუჭამა – ორი. როდესაც მიადგა მესამეს, კოდალამ არ მისცა და უთხრა, რომ მისი აღარ ეშინოდა, რადგან ყორანმა მელია ამხილა გაიძვერობასა და მსუნაგობაში. მაშინ მელიამ ყორანი დაიჭირა და მას დაუპირა შეჭმა. მაგრამ თავის გადასარჩენად ყორანი მელიას შეჰპირდა დიდი განძის ადგილსამყოფელის ჩვენებას. მან მიიყვანა მელია ერთი გლეხის სახლთან, სადაც ის ძაღლებმა დაგლიჯეს.

საკვანძო სიტყვები: მელია, ბარტყი, ყორანი, კოდალა.

Keywords: fox, Bart, Raven, woodpecker.

CMOMIK, 1903, №32, განყ. 2, გვ. 482-483, მ. ჯანაშვილი, „ლომი და ადამიანი“, სოფ. კახი, ზაქათალას ოლქი: გლეხი და კატა ყანაში იყვნენ, როდესაც მათთან მივიდა ლომი და კატას ჰკითხა, რატომ იყო ასეთი პატარა. კატამ ლომს გააცნო თავისი პატრონი. ლომმა კი გლეხს ძალის გამოცდა შესთავაზა. ისიც დათანხმდა, მაგრამ უთხრა, რომ ძალის ასაღებად უნდა სახლში წასულიყო. ლომი მის დაბრუნებამდე რომ არ გაქცეულიყო, მიაბა ხეს. მერე აიღო მათრახი და იქამდე სცემა, სანამ ლომმა არ აღიარა გლეხის ძალა.

მეორე ვარიანტი: მხენელმა ნაჯახით გახეთქა მორი, ჩაარტო სოლი და შესთავაზა ლომს თათებით გადაეხსნა მორი. როდესაც ლომმა ჩაყო ღრიჭომი თათები, გლეხმა ამოაგდო სოლი და ლომს გაეჭედა თათები მორში. იგი მხოლოდ მაშინ გაათავისუფლა, როცა ლომმა აღიარა ადამიანის ძალა.

საკვანძო სიტყვები: კატა, გლეხი, ლომი, ძალა.

Keywords: cat, The peasant, lion, power.

CMOMIK, 1903, №32, განყ. 2, გვ. 483-485, მ. ჯანაშვილი, „ბებერი მგელი“, სოფ. კახი, ზაქათალას ოლქი: ზღაპარში საუბარია იმაზე, თუ როგორ მოუწდა ბებერ მგელს ცხერის შეჭმა, მაგრამ ცხვარმა მოატყუა და რქებით გადააგდო ხრამში. ცხენმაც წიხლი ჰკრა და მოასწრო გაქცევა. შემდეგ მგელმა ვირის შეჭმა მოინდომა. ვირმა კი სიკვდილის წინ დაყვირების ნება სთხოვა. მის ყვირილზე მოცვივდნენ სოფლის ძაღლები და დაგლიჯეს მგელი.

საკვანძო სიტყვები: ცხვარი, ცხენი, ვირი, მგელი, ძაღლი.

Keywords: sheep, horse, donkey, wolf, dog.

CMOMIK, 1903, №32, განყ. 2, გვ. 483-486, მ. ჯანაშვილი, „თიკნები და მგელი“, სოფ. კახი, ზაქათალას ოლქი: ერთ თხას ჰყავდა სამი ბეკეკა. ყოველ დღე თხა მიდიოდა და აფრთხილებდა მათ, რომ არავინ შემოეშვათ სახლში. ერთხელაც მოვიდა მგელი, მოტყუებით გააღებინა მათ კარი და ერთი ბეკეკა გაიტაცა. როდესაც დაბრუნდა თხა და გაიგო მომხდარის შესახებ, გავარდა ეზოში და დაინყო ყვირილი, მაგრამ არათფერი გამოუვიდა.

საკვანძო სიტყვები: თხა, თიკანი, მგელი.

Keywords: goat, goatling, wolf.

CMOMIK, 1903, №32, განყ. 2, გვ. 486-488, მ. ჯანაშვილი, „ბელურა“, სოფ. კახი, ზაქათალას ოლქი: ბელურას ფეხში შეერტო კვრინჩხის ეკალი. იგი გაფრინა ერთი მოხუცის ეზოში და სთხოვ ეკლის ამოღება. მოხუცმა ეკლით დაანთო ლუმელი პურის გამოსაცხობად. როდესაც ბელურა დაბრუნდა, თავისი ეკლის სანაცვლოდ

მოითხოვა ხუთი პური. ამ ხუთი პურით იგი გაფრინდა მწყემსებთან, რომლებიც პურის ნაცვლად ცხვრის ნაკვალს ყრიდნენ რძეში და ისე ჭამდნენ. მათ სთხოვა არ ეჭამათ მის გარეშე პური, სანამ იგი არ დაბრუნდებოდა. მაგრამ მწყემსებმა მის გარეშე შეჭამეს მთელი პური. ამის სანაცვლოდ მათ მისცეს ბელურას ხუთი ცხვარი. ცხვრებთან ერთად იგი მივიდა ერთ სახლში, სადაც ქორწილი იყო. მან დაინახა, რომ სტუმრების გასამასპინძლებლად კლავდნენ ძაღლებს, იმგვარადვე ცხვრები გადაცვალა პატარძალზე. პატარძალთან ერთად იგი ტყეში გადაეყარა ერთ ახალგაზრდა მამაკაცს, რომელიც ჩონგურს აკვნესებდა. მან ჩონგურზე დაკვრა მოინდომა. სანამ ბელურა უკრავდა ჩონგურზე, ახალგაზრდა მამაკაცი და პატარძალი გაიქცნენ. ბელურა დაჯდა ხის კენწეროზე და დარდის გასაქარვებლად დაიწყო ჩონგურზე დაკვრა და სიმღერა, მაგრამ გაუვარდა ჩონგური ხელიდან. დაეცა ძირს და დაიმსხვა ნაწილებად. ბელურა გაფრინდა და გაუჩინარდა შვიდი მთის იქით.

საკვანძო სიტყვები: ბელურა, ეკალი, პური, ცხვარი, პატარძალი, ჩონგური.

Keywords: Sparrow, thorn, bread, sheep, bride, chonguri.

CMOMIIK, 1909, №40, განყ. 3, გვ. 388-391, ი. გულია, „ზღაპარი სერიმსა და კერიმზე“: ერთი ქვეყნის მეფემ გამოაცხადა, რომ თავის ქალიშვილს იმას გააყოლებდა ცოლად, ვინც დააშრობდა ზღვას. მასთან გამოცხადდა მდიდარი სერიმი და სთხოვა მეფეს დავალების ასრულებამდე გაეჩერებინა ყველა მდინარე, რომელიც ჩაედინებოდა ზღვაში. მეფემ ვერ შეძლო ამის გაკეთება და სერემს გააყოლა თავისი ქალიშვილი ცოლად. ქორწილის დროს სერიმმა თავის უმცროს ძმას – კერიმს მისცა ნაწილი თავისი კერძიდან და სთხოვა მიეტანა იმისთვის, ვისაც სერიმი უყვარდა ყველაზე მეტად. კერიმმა ნახევარი მისცა სერიმის ძაღლს, ხოლო მეორე – თვითონ შეჭამა. სერიმმა ნადიმის შემდეგ გაიგო კერიმისგან, რომ ცოლის ნაცვლად მან კერძის ნაწილი მისცა ძაღლს და მეორე ნახევარი კი თვითონ შეჭამა. ძმას იმით აუხნა, რომ მას და ძაღლს ყველაზე მეტად უყვარდათ, მისი ცოლი კი სისულელის გამო გაიქცა. კერიმი შეჰპირდა სერიმს, რომ ცოლს დაუბრუნებდა. ამის გამო მან იყიდა დიდი მინის ნაკვეთი, შემოღობა და ძვირად ყიდულობდა საქონელს. ქვეყანაში გაქრა ხორცი. მეფეს უნდოდა ხორცის ყიდვა კერიმისგან, მაგრამ მან უარი უთხრა. მეფემ კიდევ ერთხელ სთხოვა, მაგრამ კერიმმა ისევ უარი უთხრა ხორცის გაყიდვაზე იმიტომ, რომ სერიმი აგროვებს ამ ხორცს დიდი ნადიმისთვის, როდესაც ცოლს შეერთავსო. ეს რომ გაიგო მეფემ ისევ მიათხოვა თავისი ქალიშვილი სერიმს და მისცა დიდი მზითვი. სერიმს არასდროს დავინწყებია კერიმის სიტყვები, რომ ყველაზე მეტად ის კერიმს და ძაღლს უყვართ.

საკვანძო სიტყვები: მეფე, ზღვა, მეფის ასული, სერიმი, კერიმი.

Keywords: king, sea, princess, Serim, Kerim.

იგავ-არაკები

ТФБ, 1831, №21, 22, 23, გვ. 1, „კრაზანა და ფუტკარი“: კრაზანა და ფუტკარი მთელი დღის განმავლობაში შრომობდნენ: კრაზანა ყვავილიდან ყვავილზე ფრენდა, ხოლო ფუტკარი არ შორდებოდა ერთ ყვავილს. შემდეგ ფუტკარმა ფიჭა გაამდიდრა, კრაზანამ კი ვარდებისგან მხოლოდ განავალი დატოვა. დასკვნა ის არის, რომ მუშაკი მუშაკისგან განსხვავდება.

საკვანძო სიტყვა ფუტკარი, კრაზანა, ყვავილი

Keywords: Bees, buzz, flower.

ТФБ, 1830, №48, „ზანზალაკი“: იგავ-არაკში მოთხრობილია, თუ როგორ ხმამაღლა წკრიალებს ზანზალაკი, სანამ მიჰქრის სამცხენა ეტლი. მაგრამ, ადგილზე მისვლისას, მას ხსნიან, დებენ თაროზე და ღუმს. ავტორი ზანზალაკს აღარებს ისეთ ადამიანებს, რომლებიც ყველას აყრუებენ, სანამ მათ უმართლებთ, მაგრამ მერე მათზე აღარაფერი ისმის.

საკვანძო სიტყვები: ზანზალაკი, ეტლი.

Key words: small bell, chariot.

ТФБ, 1830, №52, „არწივი, თევზი და მონადირე“: იგავ-არაკში მოთხრობილია არწივზე, რომელიც დაფრინავდა ყველაზე ახლოს მზესთან და თევზზე, რომელიც დასურავდა ყველაზე ღრმად.

ერთხელ თევზმა მოინდომა მალლა – წყლის ზედაპირზე ასვლა, რომ დამტკბარიყო მზით და უხაროდა ჭყუმპალაობა. ის დაინახა არწივმა, გადანყვიტა, რომ თევზი არ იყო მზის სხივებზე გათბობის ღირსი და ისარივით დაეშვა თევზის დასაჭერად. ამ დროს კლდეზე მდგარმა მონადირემ არწივს ესროლა და მოკლა. თევზიც ვერ გადარჩა, რადგან მოხვდა ბადეში. ე.ი. ასეა მონყობილი სამყარო, ყველა ერთმანეთს ერჩის.

საკვანძო სიტყვები: თევზი, მონადირე და არწივი

Key words: Fish, hunter and eagle.

ТФБ, 1830, №6, გვ. 1, იგავ-არაკი, „ბატი“: ერთად მეგობრულად, მშვიდად და უზრუნველად ცხოვრობდნენ ფრინველები. უცებ საიდანდაც მათთან გაჩნდა ბატი, რომელიც არაფერს წარმოადგენდა, მაგრამ დაიწყო: თავის ქება, ტრაბახი; ასწია ცხვირი და ყველას აკრიტიკებდა.

ბოლოს ისე მოაბეზრა ყველას თავი, რომ ფრინველებმა დაკორტნეს და შერცხვენილი გააძევეს.

იგავ-არაკის მორალია – მხოლოდ იმ ადამიანებს აქვთ ფასი, რომლებიც უთქმელად აკეთებენ საქმეს. ხოლო ის, ვინც მარტო ყვირის და ტრაბახობს, ჰგავს ბატს.

საკვანძო სიტყვები: კორომი, ბატი, იგავი.

Key words: Grove, goose, fable.

CMOMIK, 1898, №24, ვანყ. 2, გვ. 285-28, იოსებ სტეპანოვი, „გლეხი და გველეშაპი“: ამ იგავში საუბარია, როგორ გადაარჩინა გლეხმა ცეცხლშემორტყმული უზარმაზარი გველეშაპი. გველეშაპმა კი სიკეთე არ დაუნახა და მისი შეჭმა მოინდომა. გველეშაპის საქციელი გაამართლეს ალუბლის ხემ და კამეჩმა, რადგან, კარგისათვის კარგი არავის უქმნია.ბოლოს მელიამ თავისი მოხერხებულობით გლეხი გადაარჩინა, გველეშაპი კი კვლავ ყუთში ჩაკეტა და გადასცა გლეხს.

საკვანძო სიტყვები: გლეხი, ცეცხლი, გველეშაპი, სიკეთე, ბოროტება.

Keywords: Peasant, fire, dragon, kindness, eviless.

ანეკდოტები, მახვილსიტყვაობები

CMOMIIK, 1894, №18, განყ. 3, გვ. 27-48, შ. ლომინაძე, მეგრული ზღაპრები – „წყელი ხარი“: ერთმა მეგრელმა გადანყვიტა რამენაირად ხელში ჩაეგდო მეზობლის ხარები, მიეპარა და დააჭრა ენის წვერები, რამდენიმე დღეში მიაღვა მეზობელს, ჩემი ხარები დამიბრუნეო. მეზობელმა, დამიმტკიცე, რომ შენი ხარები არიანო. ჩემს ხარებს ენის წვერები ნაჭრილი აქვსო. რას იზამდა მეზობელი, მისცა ხარები. გავიდა დრო და ინანა, ასე როგორ გამაბრიყვაო. მივიდა მინდორში, მანამდე კი ერთი ბიჭი გაათურობილა, სანამ მე ველაპარაკებო, ერთი ხარი გაიგდო. მივიდა მინდორში და ყვირის: – მიკვირს, მიკვირსო. – რა გიკვირსო? – რა მიკვირს და როგორ მიჰყავთ შენი ხარიო. დაედევნა მეგრელი ერთ ხარს, ვერ დაენია, ამასობაში მეზობელმა მეორე ხარიც წაიყვანა. რალას გააწყობდა მეგრელი. დარჩა ისევ ხარების გარეშე.

საკვანძო სიტყვები: მატყუარა.

Key words: a liar.

CMOMIIK, 1894, №18, განყ. 3, გვ. 27-48, შ. ლომინაძე, მეგრული ზღაპრები – „დლიური მუშა“: დაიქირავა ერთმა მეგრელმა დლიური მუშა იმ პირობით, რომ მზის ჩასვლის შემდეგ ერთ ქსანს (ერთი ფუთის ეკვივალენტი, ერთეული, რომელიც ბამბის ასაწონად გამოიყენება) მოგცემო. მზის ჩასვლის შემდეგ არ გადაუხადა, რადგან მზე ნათესავმა, მთვარემ შეცვალაო. რას იზამდა მუშა. მთვარეც რომ ჩავიდა, მივიდა გასამრჯელოს ასაღებად, თან თეთრი ქვა მიიტანა, როცა გადაუხადეს ერთი ქსანი, დადო ეს ქვა, ეს ერთი ქსანის ნათესავიო და ამისი წონა უნდა გადამიხადოო. არ უნდოდა მეგრელს გადახდა, მაგრამ დიამბეგმა დლიური მუშა გაამართლა.

საკვანძო სიტყვა: მოხერხებული მუშა, მატყუარა მეგრელი.

Key words: a liar Megrelian, a smart worker.

CMOMIIK, 1894, №18, განყ. 3, გვ. 27-48, შ. ლომინაძე, მეგრული ზღაპრები – „მიცვალებული“: პეტრეპავლობის წინ სამმა მეგრელმა ერთი ძროხა მოიპარა. უნდა გაეველოთ ქალაქი, სადაც გუშაგები თუ მიხვდებოდნენ, რომ ნაქურდალი ჰქონდათ, შეიპყრობდნენ. გადანყვიტეს, დაეკლათ საქონელი, დაესვენებინათ ჯალავერზე და ისე გაეველოთ. ასეც მოიქცნენ. დაასვენეს ხორცი ჯალავერზე და მიყვებიან, თან ტირიან, ვითომ მკვდარს დასტირიან: „ძმაო, პეტრე, ეს რა ნაღვლიანი დღესასწაული გავვითენო“. ასე გაიარეს ქალაქი, რადგან თავში არავის მოსვლია, რომ მიცვალებულის საკაცებე დაკლულ ძროხას დასტიროდნენ.

საკვანძო სიტყვები: მოხერხებული მეგრელები, ქურდი მეგრელები.

Key words: smart Megrelians, thief Megrelians.

CMOMIIK, 1904, №33, განყ. 3, გვ.508-512, მ. მაშურკა, „მარჯვე მეომარი“: ერთმა მეომარმა ოცდახუთწლიანი მსახურების შემეგ გადაწყვიტა მეფის ნახვა. მეფემ მიიღო იგი და დარჩა ძალიან გაკვირვებული მისი გულწრფელობითა და მოხერხებულობით. მეფის კითხვებს მეომარი სწრაფად და გონებამახვილურად პასუხობდა. მაგალითად, მეომარმა მეფე შეათვასა ოცდაცხრა ვერცხლად, რადგან ქრისტე ოცდაათ ვერცხლად გაიყიდა და მასზე მეტი ის არ ეღირებოდა და ა.შ. მეფეს მეომარი ძალიან მოეწონა და უბრძანა მეორე ოთახში დალოდებოდა. თვითონ კი დაიბარა სამი კარისკაცი იმავე კითხვებზე საპასუხოდ. მეფეს მათი პასუხები არ მოეწონა, თან ზოგიერთი კითხვის საპასუხოდ საღამომდე ჰქონდათ დრო. კარისკაცებს პასუხების მოფიქრებაში დაეხმარა მეომარი, რასაც მეფე აღვივლად მიხვდა. გახარებულმა მეფემ აკურთხა ის აზნაურად და გამოუშვა.

საკვანძო სიტყვები: ჯარისკაცი, მეფე, კარისკაცი, გონებამახვილობა.

Keywords: soldier, king, courtier, wit.

CMOMIIK. 1898, №24, განყ. 2, გვ. 275-277, იოსებ სტეპანოვი, „ეპისკოპოსი ბოგო“: ამ ზღაპარში საუბარია ერთ-ერთ სახელმწიფოში მცხოვრებ ეპისკოპოს ბოგოზე, რომლის შესახებაც ბევრ ცუდს ლაპარაკობდნენ. იმასაც ამბობდნენ, რომ ის არღვევდა მემვიდღე მცნებას. ეს ყველაფერი მივიდა მეფის ყურამდე და ბრძანა: სამეფო დღესასწაულის დროს მიეყვანათ ეპისკოპოსი მეფის სასახლეში. იქ მისულს მეფემ სამი გამოცანა უთხრა: რა ღირს მეფე, როდესაც მას აცვია თავისი ძვირფასი ტანსაცმელი, ამხედრებულია ცხენზე და გარშემორტყმულია მოსამსახურეებით? რა დრო სჭირდება დედამიწის შემოვლას? და უბრძანა, მოეფიქრებინა ისეთი ტყუილი, რომელიც მეფეს მანამდე არც გაეგო და ვერც კი წარმოედგინა.

მეფემ ამ დავალების შესასრულებლად ეპისკოპოსს მისცა შვიდი დღე. თუ ამ დროში ის უპასუხებდა ამ კითხვებს, მეფე დააჯილდოებდა, წინააღმდეგ შემთხვევაში მას სიკვდილით დასჯიდნენ. ეპისკოპოსს არ ჰქონდა პასუხები. მას დაეხმარა მწყემსი, რომელიც ძალიან ჰგავდა ბოგოს. მწყემსი გამოიწყო ბოგოს ტანისამოსში და გამოცხადდა მეფესთან. პირველ გამოცანაზე მან უპასუხა, რომ იესო ქრისტე გაყიდეს ოცდაათ ვერცხლად, ესე იგი მეფე ღირს ნაკლები. მეორე კითხვაზე მწყემსმა უპასუხა, რომ, თუ ადგები დილით ადრე და ივლი მზესთან ერთად, მაშინ მეორე დილისთვის შეძლებდა დედამიწის შემოვლას. მესამე კითხვაზე პასუხის გაცემის ნაცვლად, მწყემსმა გაიხადა ეპისკოპოსის ტანსაცმელი და მეფე მიხვდა, რომ ეს იყო ტყუილი. მეფემ აპატია ეპისკოპოსს და კარგად დააჯილდოვა მწყემსი.

საკვანძო სიტყვები: ეპისკოპოსი, ბოგო, მეფე, გამოცანა, მწყემსი.

Keywords: Bishop, bogo, king, riddle, shepherd.

CMOMIIK, 1898, №24, განყ. 2, გვ. 283-284, იოსებ სტეპანოვი, „ბრძენი მეფე“: ერთხელ გადაცმული ბრძენი მეფე შევიდა ერთი ღარიბი გლეხის სახლში. გლეხი გულითადად გაუმასპინძლდა სტუმარს, მაგრამ მასთან ერთად სუფრაზე არ

დაჯდა. სტუმარი სთხოვდა მასთან ერთად ესადილა, მაგრამ გლეხი ჯიუტად უარობდა. სტუმარი მაინც დაჟინებით მოითხოვდა მის სუფრასთან დაჯდომას. მაშინ გლეხი გამოვიდა წყობიდან და სილა გააწნა სტუმარს. სტუმარი უსიტყვოდ გაბრუნდა.

მეფე დაბრუნდა სასახლეში და გლეხი ნადიმზე მიიწვია. გლეხს გაუკვირდა, მაგრამ დათქმულ დღეს ეწვია. მეფემ დასვა გლეხი სუფრასთან ყველაზე საპატიო ადგილას. გლეხი დაემორჩილა მეფის ნებას და დაჯდა. როდესაც დაიწყეს ღვინის სმა, მეფემ შესთავაზა გლეხს დაეღია პირველს, ისიც დათანხმდა. მეფე ცდილობდა რამენაირად შეერცხვინა გლეხი და შური ეძია იმ სილის გამო, მაგრამ ვერაფრით ახერხებდა ამას. ბოლოს მეფემ ხელი გამოიქნია და ყველანაირი მიზგზის გარეშე სილა გააწნა გლეხს. მაგრამ გლეხი ხმის ამოუღებლად შეტრიალდა მეორე მხარეს და სილა გააწნა გვერდით მჯდომ მინისტრს. ყველა გაკვირვებული დარჩა. მაშინ გლეხს ჰკითხეს, თუ რატომ გაართყა მინისტრს. მან უპასუხა, რომ მინისტრს იმიტომ გაართყა, რომ მეფისგან სილის მიღების შემდეგ ჩათვალა, რომ ასე იყო საჭირო წესის მიხედვით. ყველას გაეცინა. მეფე კი მიხვდა, თუ რატომ გაართყა მას გლეხმა, დააჯილდოვა გლეხი გამჭრიახობისათვის და გამოუშვა სახლში.

საკვანძო სიტყვები: მეფე, გლეხი, სილა, ნადიმი, გამჭრიახობა.

Keywords: King, Peasant, bite, Hunt, Discernment.

მცირე უანრები

CMOMIK, 1882, №2, განყ. 1, გვ. 141-149. ა. ი. ჯავახიშვილი, „ქართული ხალხური ზეპირსიტყვიერებიდან“: აქ დაბეჭდილია 108 ანდაზა.

საკვანძო სიტყვები: ანდაზები.

Key words: Proverbs.

3KB, 1850, №1, გვ. 3, „საქართველოში შაჰ-აბაზის ყოფნის პერიოდის ანეკდოტები“: 1. შაჰ-აბაზის ნოსტრეში ყოფნისას გიორგი სააკაძემ ნებართვა სთხოვა მისი ძეგლი აღმართვისა. მართლაც, დაუდგა ძეგლი და ამით დიდად ასიამოვნა, მაგრამ ის წავიდა თუ არა, თავადვე დაანგრია და მის ადგილას ეკლესია დადგა.

საკვანძო სიტყვები: შაჰ-აბაზი, გიორგი სააკაძე, ძეგლი, ეკლესია.

Key words: Shah Abazi, George Saakadze, monument, church.

3KB, 1850, №1, გვ. 3, „საქართველოში შაჰ-აბაზის ყოფნის პერიოდის ანეკდოტები“: 2. შაჰ-აბაზი ნოსტეში მასპინძლობდა რა გიორგი სააკაძეს და სხვებს, მოითხოვა: ყალიონი, ყავა, ღვინო და ოპიუმი. მან თქვა, რომ ეს ოთხი საგანია აუცილებელი ელემენტი საერთო მხიარულებისა და კმაყოფილებისათვის.

საკვანძო სიტყვები: შაჰ-აბაზი, ყალიონი, ყავა, ღვინო, ოპიუმი.

Key words: Shah Abbas, pipe, coffee, wine, opium.

3KB, 1850, №1, გვ. 3, „საქართველოში შაჰ-აბაზის ყოფნის პერიოდის ანეკდოტები“: 3. შაჰ-აბაზის საქართველოში პირველი ლაშქრობისას ქართველებმა მას მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს. ერთი მოღალატე ქართველი აღიმართა შაჰის წინ. განრისხებულ შაჰს კი აუხსნა: თქვენი დაცვა და თქვენთვის თავის შეწირვა მინდოდაო. შაჰი განრისხდა, ლაჩარი ვგონივარო და მისთვის თავის მოკვეთა ბრძანა.

საკვანძო სიტყვები: შაჰ-აბაზი, მოღალატე ქართველი, სიკვდილით დასჯა.

Key words: Shah Abbas, a traitorous Georgian, was sentenced to death.

3KB, 1850, №1, გვ. 3, „საქართველოში შაჰ-აბაზის ყოფნის პერიოდის ანეკდოტები“: 4. შაჰ-აბაზმა მრავალძალის წმინდა გიორგის ეკლესიას შესწირა თავისი მოოქროვილი ხმალი – კედელზე დაკიდეთ პატივისცემის ნიშნად. ქართველებმა, მართლაც, დაკიდეს თავიანთი პატივისა და დიდების ნიშნად.

საკვანძო სიტყვები: შაჰ-აბაზის ხმალი, მრავალძალის ეკლესია, ტროფეი.

Key words: Shah Abbas Sword, Multipurpose Church, Trophy.

ЗУРНА, 1855, გვ. 129, ი. ღუნკელ-ველინგის „რევამ გოდაბრელიძე“: ძველად იმერლებს ჰქონდათ რწმენა: თუ ყვავი ცხენს სამჯერ დასჩხავლებდა, მის პატრონს სიკეთე არ ელოდა.

საკვანძო სიტყვები: ყვავი, ცხენი, მხედარი.

Key words: Spades, horse, rider.

СМОУК, 1886, №5, განყ. 2, გვ. 98, ი. პეტროვი, „მეგრული თქმულება ცალ-თვალაზე“: მეგრელებს სჯერათ, თუ ცხენს კუღზე ჯოხებს დაამაგრებ, მგლები მხედარს არ დაეცემიან.

საკვანძო სიტყვები: ცხენი, მგელი, ჯოხი.

Key words: Horse, wolf, stick.

СМОУК, №10, განყ. 2, გვ. 1-8, ბ. ნიჟარაძე, „სვანური ანდაზები, გამოცანები და სიმღერები“: სვანური ანდაზები, გამოცანები და სიმღერები შეკრიბა და თარგმანი დაურთო ბესარიონ ნიჟარაძემ. ტექსტებს ახლავს ლექსიკონიც. სულ მოცემულია ხუთი ანდაზა, ოთხი გამოცანა და ოთხი სიმღერა. ანდაზებია: კვერნა საშოვარზე წავიდა, მაგრამ ბენვიც იქ დატოვაო; შექება მღვდელს ცოცხლების დაკრძალვა დაანწყებინაო; როცა სახლი გაძარცვეს, კარი მერე ჩარაზესო; ტაძრის მაშენებელს ხელები მოაჭრესო; მთა მთას არც შეხვდება და კაცი – კაცსაო. გამოცანებია: როგორც დაარტყამ, ისე იმუშაკებს (სატეხი); ოთხი ძმაა, ოთხი შრომობს, ერთს მაღლობას უცხადებენ (მჭედელი, გრდემლი, ჩაქუჩი და მარწუხი); თექვსმეტი წყვილი მეფეა, ძმები არიან. ხან ავად, ხან კარვად მუდამ იბრძვიან (კბილები); ერთ მკვდარს ორი ცოცხალი ჰყავს და სამყაროს კვებას (გუთანი და ორი ხარი).

საკვანძო სიტყვები: ანდაზები, გამოცანები.

Key words: Proverbs, puzzles.

Г, 1882, №20, გვ. 4, „ქართული ანდაზები და გამონათქვამები“: აქ რუსულ ენაზე მოცემულია 10 ქართული ანდაზა-გამონათქვამი, გთავაზობთ მათ თარგმანს: თუკი წარმომავლობის ფასი 1000 რუბლია, 2000 ზრდილობისაა; მორბენალი ზაზუნა სჯობს, მწოლიარე ლომსაო; სამართალი ძალაზედ ჰკიდიაო; შეუშვი უსინდისო სახლში და ოჯახს ეზოდანაც გაგიგდებსო; ძალლის მიმართაც კი არ დაუშვა უსამართლობაო; ებრაელს ღორი ამძიმებდა და გოჭებიც დაუმატესო; ფაფის მოყვარულს კოვზი კისერზე უნდა ეკიდოსო; ფიცის მხოლოდ მართალთათვისაა, რომლებიც უმისოდაც სიმართლეს იტყვიანო; ცარიელი ტომრიდან მთლიან საწყაოს ვერ გადმოყრიო; ჯოჯოხეთში ღმერთს არ ადიდებენო.

საკვანძო სიტყვები: ანდაზები, გამონათქვამები.

Key words: folklore, proverbs, sayings.

Г, 1882, №24, გვ. 13, „ქართული გამონათქვამები“: აქ რუსულ ენაზე მოცემულია 4 ქართული გამონათქვამი, ვთავაზობთ მათ თარგმანს: ერთ სადარდებელს გაგყრი, მეორეს კი შეგყრიო (მსგავსი – ვაის გავეყარე, უის შევეყარეო); თათარი სხვის ტომარას თავის „ჩუვალს“ ეძახისო; ძუნწი გადარჩეს, იგივეა, რაც ვირი სამოთხეში მოხვედესო; სახელმწიფო მოხელემ შესცოდა და ებრაელს მოჰკითხესო.

საკვანძო სიტყვები: ანდაზა, გამონათქვამი.

Key words: proverb, saying.

СМОМПК. 1902, №31, განყ. 4, გვ. 63-67, ი. ნიჟარაძე, „ანდაზები“: გვხვდება 40 სვანური ანდაზა.

საკვანძო სიტყვები: ანდაზები.

Keywords: Proverbs.

СМОМПК.1900, №27, განყ. 2, გვ. 405-408, იასონ კაპანაძე, „ანდაზები“: გვხვდება 70 ანდაზა

საკვანძო სიტყვები: ანდაზები.

Keywords: Proverbs.

СМОМПК, 1902, №31, განყ. 4, გვ. 67-69, ი. ნიჟარაძე, „სვანური გამოცანები“: გვხვდება 29 სვანური გამოცანა.

საკვანძო სიტყვები: გამოცანები.

Keywords: Riddles.

СМОМПК.1900, №27 მე-2 განყ. გვ. 408-409, იასონ კაპანაძე, „გამოცანები“: გვხვდება 11 გამოცანა.

საკვანძო სიტყვები: გამოცანები.

Keywords: Riddles.

პოეზია

ИКОИРГО, 1901, №14, გვ. 39, ინფორმაცია ალექსანდრე მაკედონელთან დაკავშირებით: სოფ. ძერულიდან „ივერიას“ ატყობინებენ, რომ იქ ბერაძის ოჯახში აღმოჩნდა ორიგინალი პოემისა – „ალექსანდრიელი“. ეს არის მე-18 საუკუნის ხელნაწერი და ეძღვნება ალექსანდრე მაკედონელის ცხოვრებასა და მოღვაწეობას.

საკვანძო სიტყვები: ხელნაწერი, ალექსანდრე მაკედონელი.

Key words: Manuscript, Alexander the Great.

СМОМІІК, №10, განყ. 2, გვ. 1-8, ბ. ნიუარაძე, სიმღერები: პირველი სიმღერა ენიგმატური პოემის ნიმუშია და ის სასწაულზე მოგვითხრობს: როგორ ჩეხავს შემას თაგვი, როგორ შეუბიათ ჯიხვი გუთანში და მას მწყემსავს გარეული თხა, დათვი ყველს აკეთებს და ღორი დარაჯობს მოსავალს; მეორე სიმღერა იმაზეა, რომ ყველგან თოვლი და წვიმაა, სვანეთში კი მზე ანათებს; მესამე სიმღერა საბრალო ნუარსალაზეა. ტექსტში აღწერილია, რომ იფარელები ფეცილის ნაკლულობას ავსებენ კალიის ფეხებით, ხოლო ჩოლაშში ბესილს სამი ცოლი კი ჰყავდა, მაგრამ ქუდის გამოცვლა ვერ მოუხერხებია; მეოთხე სიმღერის ტექსტი მოგვითხრობს, როგორ გამოუცხო დედამ მონადირეს ხმიადები და მონადირემ როგორ იპოვა დალი, რომელიც კლდეში მშობიარობდა და როგორ გადმოუვარდა ჩვილი კლდიდან.

საკვანძო სიტყვები: სვანური ენიგმატური ლექსი, დალი, მონადირე, საბრალო ნუარსალი.

Key words: Svan enigmatic poem, Dali, a hunter, poor Nuarsal.

СМОМІІК, №10, განყ. 2, გვ. 9-68, ა. სტოიანოვი, „სვანური ხალხური პოეზია“: ჩანაწერს დართული აქვს ლექსიკონი, ხოლო ლექსიკონის შემდეგ დანართის სახითაა ფუთა დადიანის სიმღერის ტექსტი, რომელიც ქართულ ენაზეა ნათარგმნი. სიმღერა იწყება სიტყვებით „უშკულს ხევი დეიძრა, ეწერს კაცი გოუგზანა“. წერილში ასევე მოცემულია რვა ტექსტი (ნაგჩური, მეთქი, ბიმურზელა, ლილა, ვოსაბრელა უშკულამ ბაპარ, ბარბოლ, რავკენ, უშკულს მახე ხვაჟარს) თარგმანის გარეშე, ხოლო შესავალ ნაწილში ავტორი ჰყვება, თუ როდის და რა მიზნით ჩაიწერა ეს ტექსტები. შესავალ ნაწილში მოცემულია რვავე ტექსტის თარგმანი და გარჩევა რუსულ ენაზე. ასევე შესავალი წერილი გვიჩვენებს სვანური ტრანსკრიფციის გამოყენების წესებს.

საკვანძო სიტყვები: სვანური სიმღერის ტექსტები, სვანური ენის ტრანსკრიფციის წესები.

Key words: The texts of Svan songs, the rules of transcription of Svan language.

K, 1854, №77, „კავკასიური პოეზია“: ექიმ შაბუროვის მიერ ჩაწერილი თუშური პოეზია: „თუშთაგან გურიას მოსვლა და რჩევა, ვითარ იომონ ოსმალთა“ და „სიმღერა ჩოლოქის სპასპეტსა ზედა“. პირველ ლექსში თუშების მოწოდებაა, მამაცურად იომონ, რომ არ დაერქვათ დიაცის სახელი, ზურგი არ უჩვენონ მტერს. ნახსენებია მეთაური ივანე ანდრონიკოვი. მეორე ლექსში ნახსენებია ანგლია და ფრანცია, ოსმალთა, რომლებიც შეიკრნენ ჩრდილოეთის წინააღმდეგ. ლექსი ახსენებს ნაპოლეონს და ორ ფაშას – გათათრებულ მაჭავარიანსა და თავდგირიძეს. ლექსში აღწერილია, როგორ გაანადგურეს ოსმალელები ოცდაშვიდ მაისს და ივნისის თვეში.

საკვანძო სიტყვები: ოსმალთა, ნაპოლეონი, თუშები, ანდრონიკოვი.

Key words: Osmans (Ottomans), Napoleon, Tushetians, Andronikov.

CMOMIK, 1894, №19, გვ. 124-140, „ქართული სიმღერები“: წერილში თავმოყრილია თორმეტი ქართული სიმღერა, ამათგან პირველი ცხრა ჩაინერა რაჭაში ნ. მინდელმა, ხოლო ბოლო სამი ოზურგეთში თ. კალანდარიშვილმა. წერილის დასაწყისში აღწერილია, როგორ სრულდებოდა ეს სიმღერები, რომელს ჰყავდა წინამძღოლი, რომელი იყო საფერხულო, როდის სრულდებოდა მოძრაობები წალმა, როდის იყო გუნდი შერეული და რომელს ასრულებდნენ მხოლოდ მამაკაცები. წერილი სრულდება შემდეგი ტექსტებით: 1. დიდგორსა დასხდნენ ვაზირნი; 2. წერეთელმა დაიბარა ოსმანა; 3. დიდი აიძრა სულთანნი; 4. ამ გრიგოლამ და ბეკშიამ ერთმანეთს მისცეს ხელია; 5. უღელეს ჩამოდგა ოსი და დვალი; 6. ამირან და ყმანი მისნი; 7. ქალსა ვისმე ერქვა შრუშანა; 8. ამბავი ივანე ქვაციხისელისა – ჩართული პოეტურად გამართული სტროფებით; 9. ქრისტე აღდგა, გიხაროდესთ! 10. შავი შაშვი ჩიოდა; 11. მოვიდოდა მშვიდობა და გამარჯვება; 12. ერთ ალაგსა, დიდ მინდორსა.

საკვანძო სიტყვები: ქართული სიმღერის ტექსტები, ქართული ფერხულის აღწერა, ქართული სიმღერის შემსრულებლები.

Key words: Georgian songs, Georgian dances, performers.

CMOMIK, 1894, №18, გვ. 6-58, ქრ. გროზდოვი, „მეგრული ხალხური სიმღერების კრებული“: სულ ცხრამეტი სიმღერის ტექსტია მეგრულ ენაზე, რომელსაც ახლავს პარალელური რუსული თარგმანი. რეპერტუარის ძირითადი ნაწილი ჩაწერილია ზუგდიდისა და სენაკის მაზრაში, სოფელ ცაისში, ჭკადუაშში, სამღებროში, ხუნწსა და კიციაში. ზოგიერთ სიმღერას თანდართული აქვს განმარტება, რომელიც ჩამწერმა შემსრულებლისგან მოისმინა. ეს ეხება ტექსტის სავარაუდო შექმნის დროს და ტექსტში ნახსენები ისტორიული პირების შესახებ ინფორმაციას (მაგალითად, ანტონ დადიანი, კოჭლი როსტომ ჩიქოვანი). როდესაც პირი უცნობია, ჩამწერი აღნიშნავს, რომ მის შესახებ ცნობები ვერ მოიპოვა. ასევე, ტექსტებს ჩამწერი ურთავს ზედაპირულ აღწერას მუსიკალურ

მხარეზე. ჩამწერს შეუდგენია ფასდაუდებელი მეგრულ-რუსული ლექსიკონიც, რომელიც კრებულისთვის დაურთავს ოცდამეცამეტე გვერდიდან.

საკვანძო სიტყვები: მეგრული სიმღერები, იავნანა, საისტორიო სიმღერები, საქორწინო სიმღერები, სატრფიალო სიმღერები.

Key words: Megrelian songs, Lullabies, Historical songs, Wedding songs, Romantic songs.

CMOMIK, 1894, №18, გვ. 91-132, გ. ნიუარაძე, „სვანური ტექსტები“: სიმღერა „ვო საბრალო მირანგულა“, რომელიც სვანურ ენაზეა ჩანერილი. ტექსტს ერთვის სიტყვების, ზოგჯერ მთლიანი სტრიქონის თარგმანი და ახსნა.

საკვანძო სიტყვები: მირანგული.

Key words: Miranguli.

CMOMIK, 1894, №18, გვ. 91-132, გ. ნიუარაძე, „სვანური ტექსტები“: თქმულება ჩანერილია სოფელ იფარში, მთქმელი არის კ. ხორგვანი. ტექსტის სქოლიოში თარგმნილი და ახსნილია სიტყვები, თუმცა აქვს პარალელური თარგმანიც რუსულ ენაზე. თურმე ოდესღაც სვანეთში ასე ძლიერ არ ციოდა – კუპრში ყოფილიყვნენ ცოდვილი წინაპრები! კოშკის ადგილას იდგა მდიდრული სახლი, რომელშიც ცხოვრობდა ცოლ-ქმარი და მათი ქალ-ვაჟი. ბავშვები დღითიდღე იზრდებოდნენ და ძლიერდებოდნენ, ამიტომ უშგულელებს ხარკი დაადეს, საქონლის მეთადი უნდა გადაეხადათ. იმდენად კარგები დადგნენ ბავშვები, რომ მშობლებმა გადაწყვიტეს, ძმისთვის მიეთხოვებინათ და მდინარეზე წავიდა სარეცხის გასარეცხად. ძმას უბრძანეს, კარი არ გაეღო მისთვის, ვიდრე ცოლ-ბაზე არ დაითანხმებდა. როდესაც და დაბრუნდა, როგორ არ ემუდარა, გაეღოთ მისთვის კარი, ხან შეაცოდა თავი, სეტყვა მომკლაფსო, მაგრამ, სანამ პირობა არ მისცა, ცოლად გამოგყვებიო, კარი არ გაუღეს. სანამ და-ძმა ცოდვილი საქმით იყვნენ დაკავებულები, ღმერთმა კოშკი ააყირავა და ოჯახის ყველა წევრი ნანგრევებში მოიყოლა. მეუღლეებმა ისეთი ცოდვა ჩაიდინეს, რომ მთელი სვანეთი დაღუპეს. მათ თორმეტ ყუთში სამი მერცხალი ჰყავდათ გამომწყვდეული. ვაჟიშვილმა ახადა ყუთს თავი და გამოფრინდნენ მერცხლები. ამის შემდეგ დაიწყო გადაუღებელი თოვა. ამაზე უარესი რა უნდა დამართნოდა სვანეთს?! ღმერთის გეშინოდეს და კარგად იცხოვრებ!

საკვანძო სიტყვები: ინცესტი.

Key words: Incest.

CMOMIK, 1894, №18, გვ. 229-410, „ჩანანერები ხალხური ფანტაზიიდან და ყოფიდან (ტიფლისის და ქუთაისის გუბერნიები)“: წითელას სიმღერა – წითელას დროს ასრულებენ შემდეგ სიმღერას: ჩემო ბამბის ტომარა! / გესმის ყურსა თუ არა? / მე რომ ჯოხი მოგაბარე, / ეიხმარე თუ არა? – ამ სიმღერის ტექსტს ასე

განმარტავენ: ცხოვრობდა ცოლ-ქმარი. ქმარი საშოვარზე რომ წავიდოდა, ცოლი გასართობად ყმანვილკაცებს ეძახდა, ჩონგურზე უკრავდა და ასე ერთობოდა და ართობდა იმათაც. ერთხელ ქმარი შემორჩა სახლში. ცოლს მოსწყინდა, მონატრა გართობა და თავი მოიავადმყოფა, ქმარი კი ქალაქში გაუშვა ყინულის მოსატანად. ქმარს გზაზე ამხანაგი შემოხვდა, რომელმაც აუწყა ცოლის ღალატის ამბები და ერთად გადანყვითეს მოღალატის დასჯა. ამხანაგმა ჩასვა ქმარი ტომარაში, დააჭერინა ხელში ჯოხი და ტომარაგადაკიდებული მიადგა მის სახლს. შეუერთდა მხიარულებას. როდესაც ცოლმა ჩონგურზე დაკვრა დაასრულა, ამხანაგმა გამოართვა საკრავი და ჩამოკრა სიმებს. ჩონგურის ბგერების სასიამოვნო ხმის ქვეშ ტომრიდან ამოვიდა ქმარი და ჯოხი ურტყა ყველას.

საკვანძო სიტყვები: წითელა.

Key words: Measles.

ՅՕ, 1904, №4, გვ. 164-168, **არაკჩიევი, „გამგზავრება კაზაკ ქართველებთან თერგის ოლქში“:** ავტორი გვიამბობს, რომ 1904 წელს იგი აღნიშნულ ოლქში მივლინებული იყო ბუნებისმეტყველების, ანთროპოლოგიისა და ეთნოლოგიური საზოგადოებიდან ადგილობრივ ქართველებში სიმღერების შესაგროვებლად, რათა ისინი შემდგომ ამიერკავკასიელ ქართველთა სიმღერებთან შეედარებინათ. ავტორი აქაური ქართველების წარმომავლობის რამდენიმე ვერსიას გვანვდის. ავტორს აქ შემდეგი სიმღერები ჩაუწერია: „ალილო“, „ფერხული“, „შავლეგო“, „სუტრული“, „მელის სიმღერა“, „ავთანდილ გადვინადირე“, „სათამაშო“, „თეთრო ქალო, თეთრო მტრედო“. აქვეა ამ სიმღერათა მოკლე აღწერები დანიშნულებისა და შინაარსის მიხედვით. მათგან „ალილო“ პირდაპირ მიუთითებს, რომ წინაპრები კახეთიდან არიან წამოსულნი. ავტორი ამ სიმღერებს აღარებს რაჭის, თიანეთის, თელავის, ქიზიყის მაზრების სიმღერის ადგილობრივ მანერასთან და აკეთებს დასკვნებს. აქვეა ნახსენები ალევორიული ტექსტის ქიზიყური სიმღერა „ქალი თუ შარასაო“. ავტორი აღნიშნავს, რომ ეს სიმღერები ღირებულია იმდენად, რამდენადაც ისინი შემონახულია 170-200 წლის (ანუ გადმოსახლებამდე) წინანდელი სახით.

საკვანძო სიტყვები: კაზაკი ქართველები, იმიერკავკასია, ხალხური სიმღერები.

Key words: Kazak Georgians, North Caucasus, folk songs.

ТФВ, 1830, №27, **„ბეირუთის ქალწული“:** ლექსში ნათქვამია, რომ ჯარისკაცს შეუყვარდა მშვენიერი ქალწული და საპასუხოდაც იგივე მიიღო. ბედნიერი ჯარისკაცი იძულებული გახდა წასულიყო ოსმალებთან საომრად. თავზარდამცემი ბრძოლის დროსაც მას არ ავიწყდებოდა თავისი შეყვარებული. მაგრამ უეცრად მშვენიერ ქალწულს კლავენ. სევდით და დარდით სავსე ჯარისკაცი, მის ჭოროხის ნაპირზე მოგონებებში ჩათვლული.

საკვანძო სიტყვები: ჭოროხი, ბეიბურთი, შეყვარებული.

Key words: Chorokh, Beiburt.

ТФБ, 1832, №3, გვ. 1-2, „დამშვილობება“: ლექსი ახალგაზრდა შეყვარებულის მონოლოგია. იგი დროებით ტოვებს თავის შეყვარებულს, მიდის კავკასიაში მშობლებთან, რომ აიღოს ქორწინების ნებართვა. ის სთხოვს თავის მიჯნურს, დაელოდოს, მაგრამ თუ აიძულებენ სხვაზე გათხოვებას, მაშინ ურჩევნია დაიღუპოს ჩერქეზის ხელით. სჯერა, რომ ასეთ შემთხვევაში უკეთეს ცხოვრებაში შეხვდებიან ისინი ერთმანეთს.

საკვანძო სიტყვები: კავკასია, მიჯნური.

Key words: Kavkaz, lover

ТФБ, 1831, №30, 31, 32, ა. სანკოვსკი, „რუსი დარიალის ხეობაში“: ლექსში აღწერილია დარიალის ხეობა – შავბნელი ადგილი, ყველა მხრიდან შემორტყმული მთებით, რომლებიც დარდს და სევდას აფრქვევენ. შემდეგ თერგის მძვინვარე წყლები შედარებულია ცხოვრების სწრაფ დინებას. ავტორი წერს, რომ ყველაფერს თავისი დასასრული აქვს, მდიდარი თუ ღარიბი ცხოვრებას ერთნაირად ამთავრებს. იგი მიმართავს ღმერთს კითხვით, რატომ არის ამდენი ტანჯვა დედამიწაზე, თუ ყველას ბოლო მაინც ერთია?! ლექსის ბოლოს ავტორი აღიღებს ღმერთს.

საკვანძო სიტყვები: დარიალის ხეობა, თერგი, საქართველოს სამხედრო გზა.

Key words: Darial valley, Terek, Georgian military road.

СМОМІК, 1902, №31, განც. 4, გვ. 1-55, ი. ნიჟარაძე: დაბეჭდილია 20 ლექსი.

საკვანძო სიტყვები: პოეზია.

Keywords: Poetry.

ეთნოლოგია

ТЛИ, 1899, №8, გვ. 1-2, ვ. ა. პოტო, „ნარკვევი ძველი თბილისის ცხოვრებიდან (ხალხური თამაში – კრივი)“: ხალხურ თამაშობებში აქ განსაკუთრებული ადგილი უკავია კრივს. ამ თამაშის არსი ის არის, რომ თბილისი იყოფა ორ მხარედ და ერთი უპირისპირდებოდა მეორეს. ზაფხულში ეს მუშტიკრივი ქალაქის ქუჩაში იმართებოდა, ზამთარში კი ხმლებსაც იყენებდნენ. ეს ზამთრის ბრძოლა (ქვის კრივი) ქალაქგარეთ ტარდებოდა და ბევრ მაყურებელს იზიდავდა. ეს შეჯიბრი ახალგაზრდებში საბრძოლო შემართების გასალავივებლად იყო კარგი. აქ საუბარია ამ თამაშის ჩატარების დროზე, რომელიც მთავრდებოდა „ყეენობით“. ორივე მხარე ირჩევდა შაჰებს და აღწერილია მთელი მისი მსვლელობა. ამ თამაშს საბრძოლო იდეა ჰქონდა და მას ესწრებოდნენ მალაღჩინოსნები.

საკვანძო სიტყვები: კრივი, თბილისი, ყეენობა.

Key words: Box, Tbilisi, Keenoba (pagan folk festive tradition).

ИКОИРГО, 1882-1883, №7, ვლ. ჩერნიავსკი, მთქმ. ი. ივანიძე, „მეგრული ტრადიცია“: სამრევლოს მღვდელი გულითადად შეეცადა 104 წლის გარდაცვლილი პაპაჩემის სულის გადარჩენას და მისი ცოდვების გამოსასყიდად პანაშვილები უნდა გადაეხადა. პანაშვილების რაოდენობა განისაზღვრებოდა: გარდაცვლილის ასაკის, ცხოვრების წესისა და ცნობილი ცოდვების მიხედვით. ასეთი გამოთვლით მას 1800 პანაშვიდი სჭირდებოდა. ერთი პანაშვილის ფასი აბაზი იყო. სულ 300 მან. გამოდიოდა, ჩვენს ოჯახს კი ამის შესაძლებლობა არ ჰქონდა. მღვდელმა დაგვამშვიდა: თანხის ერთ მესამედს გვაპატიებდა ღვთისმშობელი, მეორეს – ჩვენი მრევლის ეკლესია, მესამე – თავისი წილიდან კი ნახევარი გვაჩუქა და ამიტომ ჩვენ გადავიხადეთ 50 მანეთი. პანაშვილს მღვდელი მაშინ იხდის, როცა ჩათვლის საჭიროდ. ნათესავები მას თვალს ვერ მიაღწევნებენ. უცნობია, მართლა ტარდება თუ არა რიტუალი. რომც არ ჩატარდეს, ამით ზიანი მიცვალებულს არ მიაღვება, მღვდელს ხომ თავის თავზე ჰქონდა აღებული ამ ცოდვებზე პასუხისმგებლობა. გარდა გადასახადისა, ტრადიციისამებრ, მღვდელი სათვისურში იღებს მიცვალებულის ზედა სამოსს. ამ ტრადიციას ძველად მკაცრად იცავდნენ, თანდათან კი ის ძალას კარგავს.

საკვანძო სიტყვები: მიცვალებული, ცოდვების გამოსყიდვა, მღვდელი, პანაშვიდი.

Key words: Dead, atonement for sins, priest, funeral.

ИКОИРГО, 1904, ტ. 17, №1. ა. პ. მეგავორიანი, „ჭოროხის აუზის ხალხების ეთნოგრაფიული მდგომარეობისათვის“: ჭოროხის აუზის შემადგენლობაში შედის ქ. ბათუმიც. ამ აუზის მოსახლეობა ადრე ქრისტიანი იყო, მაგრამ მუსულმანთა მიერ დაპყრობის შემდეგ ისინიც მუსულმანები გახდნენ. აქ ცხოვრობენ: 1)

ქართველი-გურულები ცნობილნი აჭარლების სახელით, 2) ქართველი-მეგრელები – ლაზების სახელით, 3) ბერძნები სახელით ოფლი და 4) სომხები სახელით – ხამშინლები. ამ ხალხებმა ახალი რწმენის შესაბამისად გარკვეულად შეცვალეს ეროვნული ჩვევები და ყოფაც. ე.ი. ახალი, მითუმეტეს დამპყრობელი ხალხის, რელიგიის მიღება ეთნოგრაფიულ ყოფაზეც აისახა. მეზობლობის გამო ისინი ერთმანეთის ყოფაზეც ახდენდნენ გავლენას.

აჭარლებს იარაღისკენ აქვთ ლტოლვა და განათლებისკენ ნაკლებად მიისწრაფვიან, მაშინ, როდესაც ქართველთა სხვა ტომები მთელი ძალისხმევით ცდილობენ ბავშვებს მისცენ განათლება. აჭარლებში მოღვაწედ არის შემორჩენილი სისხლის აღების ტრადიცია, რაც ქრისტიან ქართველებში თითქმის გამქრალია.

ლაზები ლაპარაკობენ თითქმის იმავე ენით, რომლითაც მეგრელები. ეს ერთი ენის სხვადასხვა კილოა. მათი ცხოვრების წესიც ესადაგება მეგრულს. სხვა მხრივ ლაზები მეგრელებისაგან გამოირჩევიან ზღვაოსნობისადმი და ადმინისტრაციული საქმიანობისადმი სიყვარულით. ყოველივე ეს მათ შეთვისებული აქვთ იტალიელი კოლონიალისტებისაგან, რომლებიც იქ სახლობდნენ. მეგრული ტიპის სილამაზე, მხიარული ცხოვრების სტილი და გუნდური სიმღერა ლაზებისათვის უცხოა. ამავე დროს უნდა ითქვას, რომ ცხენის პარვის ჩვევა, რომლითაც ამაცოფენ მეგრელები ლაზებისთვის პატივად არ ითვლება. ამ მხარის ხალხები თუ დიდად არიან მაჰმადიანური რწმენით გაჟღენთილნი, ლაზები ინდიფერენტულნი არიან მის მიმართ.

აჭარლები ცხოვრობენ მთაში, ლაზები – ზღვის ნაპირას. აჭარლები სრული შეიარაღებით დადიან. აჭარლებმა, ლაზებმა და ბერძნებმა სრულად შეინარჩუნეს მშობლიური ენა, განსხვავებით სომხებისაგან.

საკვანძო სიტყვები: ჭოროხის ხეობა, ბათუმი, აჭარლები, ლაზები, მუსულმანობა, ზღვაოსნობა.

Key words: Chorokhi Gorge, Batumi, Adjara, Laz, Muslim, Maritime.

ИКОИРГО, 1905, т. 18, №2, в. 8. **პერეველი, გვ. 69-123**, „კავკასიის ალპების მკვიდრთა ეთნოლოგიისათვის“ (ქართველები გვ. 69-93): ქართველთა თავდაპირველი ტიპი შემოინახეს: მეგრელებმა, ლაზებმა, ასევე – სვანებმა, რომლებიც მთავარი გზიდან მოშორებით ცხოვრობენ. მეგრელებს (200000 სული) ნოყიერი მიწა და მშვენიერი კლიმატური პირობები აქვთ. აქაურობა უმნიშვნელო შრომით შეიძლება სამოთხედ აქციო. მიუხედავად ამისა, ისინი ცხოვრობენ პირველყოფილ პირობებში. მამაკაცები მიწის დამუშავების ნაცვლად მიდიან ქალაქში და იქ მტვირთავებად და დღიურ მუშებად ღებებიან. მოუწესრიგებლები არიან, მაგრამ კეთილსინდისიერები და ამიტომ კეთილგანწყობით სარგებლობენ. ნოტიო და ჭაობიანი ნიადაგის გამო ფერმკრთალი და ავადმყოფური კანის ფერი მათ გარეგნობაზე მოქმედებს, მიუხედავად ამისა მამაკაცური სილამაზე გააჩნიათ.

მეგრული ენა ქართველურის განშტოებაა. ისინი ბერძნულ-კათოლიკური რელიგიის ქართული ტიპის მიმდევრები არიან და ქართველური ტომებიდან ბოლონი შეუერთდნენ რუსეთს.

იმერლები (300000 სული) სახლობენ მდინარე ცხენისწყალსა და სურამის ქედს შორის. ისინი გურულებთან ერთად ულამაზესი ხალხია კავკასიაში. ქალებიც ულამაზესები არიან ქართველურ ტომებს შორის. მათი გონებრივი განვითარება, ზნე და ხასიათი მსგავსია მათი აღმოსავლელი ტომელებისა. მათი ენა ქართულია (შერეული ცოტა თურქული და ბერძნული სიტყვებით) რწმენა მართლმადიდებლური აქვთ, ისევე როგორც ქართველებს. «იმერეთი ამ მხარეს მას შემდეგ ეწოდა, რაც ბაგრატ III (980-1014წწ) გააერთიანა თავისი გვირგვინის ქვეშ საქართველო. იმერეთი ნიშნავს იქითა მხარეს, რომელიც ადრე იწოდებოდა აფხაზეთად. აქვე საუბარია ქუთაისის აგებაზე და სხვა ისტორიულ ფაქტებზე.

ასევე აქ ვხვდებით ინფორმაციას გურულებზე და ისლამის მიმდევარ აჭარლებზე. მათ ჩაცმულობასა და მორთულობაზე; ასევე, გარკვეული ინფორმაციაა: მეფე დავით ნარინის ვაჟებზე, ალექსანდრე I-ზე და სხვა.

ქართველები აჭარლების, ლაზების და ინგილოების გარდა მართლმადიდებელი ქრისტიანები არიან. საუბარია ლაზებზე თურქების გავლენაზე. ძველი ქართული ენა იყო საერთო საფუძველი ყველა ქართველური ტომისა: სვანების, ხევსურების და ა.შ. სტატიაში საუბარია ქართული ანბანის სახეობებზეც.

აქ, ასევე, მოტანილია ინფორმაცია სვანების შესახებ, რომლებსაც ბერძენი და რომაელი მწერლები მოიხსენიებენ როგორც: სოანეს, სუანეთაე და ა.შ. ისინი ოდესღაც ბევრი იყვნენ, ახლა კი 120000-130000 სულია. მითითებულია მათი განსახლების ადგილი. აღნიშნულია, რომ სვანურმა ენამ შეინარჩუნა ზოგად ქართულის უძველესი ფორმები.

ფშავლების სახელწოდებასთან (9000-10000 სული) დაკავშირებით ნათქვამია, რომ ერკერტის მოსაზრებით, ის მოდის ფშა-დან. ალბათ, ასე ერქვაო ადრე ფშავის არავცს.

ხევსურების (7000-8000 სული) სახელი, როგორც ჩანს, მოდის «ხევი»-დან, ე.ი. ხევის ბინადრები. აქვე საუბარია თუშებზეც.

ქართველები მხიარულები, გულახდილები და გულლიები არიან; რაინდული სულის მქონენი, სტუმართმოყვარენი, მაგრამ თავქარიანებიც, პოეტური ნიჭის მქონენი. აქ შექმნილია რუსთაველი და თანამედროვე პოეტებიც. აქვეა სტრაბონის, ვახუშტის მოსაზრებები ქართველებზე. ესენი საკმაოდ ზერელედ ამუშავებენ მიწას, მაგრამ კარგი მოსაჯალი მოსდით. დაბალი ფენის ქართველებიც კი ქალებს პატივს სცემენ, განსხვავებით – სხვა კავკასიელი ხალხებისაგან. ქართველები გამოჩენილი არიან სხეულის მშვენიერი აღნაგობით და სახის კეთილშობილური ნაკვთებით. მოტანილია ძველი ისტორიკოსებისა და მოგზაურების მოსაზრებები ქართველებზე.

აქ მოცემულია სტრაბონისეული და ვახუშტისეული აღწერა-დახასიათება ქართველი (ივერიელი) ხალხისა. ესენი არიან: თუშები, ფშავლები, ხევსურები; ასევე – ჩეჩნები და სხვა კავკასიელი ხალხები.

საკვანძო სიტყვები: ქართული ტომების აღწერა-დახასიათება, სტრაბონი, ვახუშტი.

Key words: Description and characterization of Georgian tribes, Strabo, Vakhushhti.

ЗУРНА, 1855, გვ. 267-284, გამომცემელი „კატო და ანასი“ („კატო და ანას“ ავტორის ფსევდონიმია – მომავალი ქართველი მწერალი ქალი): გამომცემლის სტატიის ჩვენთვის საინტერესოა ციტატები მწერალი ქალის მოგონებებიდან, რომელიც გაჯერებულია ბიოგრაფიული ხასიათის მოგონებებით. აქ ჩანს მე-19 საუკუნის ქართული ტრადიციული ყოფის ელემენტები: თურმე გოგონებს მშობლები უშლიდნენ ენების სწავლას, ასევე – სიმღერას, რადგანაც ეს სამარცხვინოდ ითვლებოდა. მას რუსული მშობლების მალულად შეუსწავლია ამხანაგის დახმარებით. აქ, აგრეთვე, ჩანს წიგნის მოყვარული ახალგაზრდა ქალის ინტერესთა სფერო: სასულიერო, რუსული და ევროპული ლიტერატურა. მის მიერ წაკითხული ლიტერატურის ჩამონათვალიდან ჩანს, რაოდენ მრავალფეროვანი ლიტერატურა ყოფილა ხელმისაწვდომი მე-19 საუკუნის შუა წლებში თბილისში დაინტერესებული მკვლევლისათვის. სტატიის ავტორს უკვირს, საქართველოში მწერალი ქალის არსებობა, მიუხედავად იმისა რომ იცის, ქართველებს თამარ მეფე რომ გვყავდა.

საკვანძო სიტყვები: მე-19 საუკუნე, ქართული ყოფა, ქალის მდგომარეობა.

Key words: 19th Century, Georgian Being, Woman's Condition.

ЗУРНА, 1855, გვ. 219-251, რ. ერისთავი, „დაკონკილი (ფშაური ნამდვილი ამბავი)“: ნაწარმოებში მხატვრულად არის გადმოცემული ამბავი ტრაგიკული სიყვარულისა. აქ სისხლის აღების ტრადიციის საშინელებაა ნაჩვენები, როგორ მოჰყვა ერთ მკვლევლობას დიდი მსხვერპლი ორ გვარს შორის. აღნიშნულია, რომ ფშავლები თამარ მეფეს თავიანთ წმინდანად თვლიდნენ და მის სახელს ფიცულობდნენ. ასევე ჩანს: იმ პერიოდის ქართული საბრძოლო აღჭურვილობა; დღეისათვის დავინწყებული საკუთარი სახელები: ქალისა (მერცხალა, გულთამზე) და მამაკაცის (ლაშქარა, გამიხარდი).

საკვანძო სიტყვები: სისხლის აღების ტრადიცია, ქართული საჭურველი, თამარ მეფე, ადამიანთა საკუთარი სახელები.

Key words: Tradition of blood taking, Georgian armor, King Tamar, people's own names.

ИКОИРГО, 1911-1912, ტ. 21, გვ. 87-104, ი. ნ. ვორონოვი, „ბათუმის ოლქი“: აქ საუბარია ამ მხარის კლიმატზე, სოფლის მეურნეობაზე, ყოფაზე. მისი მკვიდრი

მოსახლეობა ქართველური ტომებისგან შედგება მუსულმანური რწმენისა. აჭარელები იგივე გურულები არიან, მაგრამ ისლამმა, რომელიც მე-17 ს. მიიღეს თურქების ზეწოლით, მოახდინა მათზე გავლენა. ლაზების ენა მეგრულს უახლოვდება. აქ ცხოვრობენ სომხები და ქურთებიც.

საკვანძო სიტყვები: ბათუმის ოლქი, აჭარელები, ლაზები, ისლამი.

Key words: Batumi region, Adjara, Laz, Islam.

CMOMIK, 1886, №5, განყ. 3, გვ. 230-262, ზ. გულისოვი, „სათამაშოები, თამაშობანი, გასართობები საქართველოში“: აქ გვაქვს ინფორმაცია:

1. ქართულ სათამაშოებზე: ნიჟარა, ეყვანი, სტვირი, სალამური, ბზრიალა, მშვილდი, ისარი, კონდახიანი მშვილდი, შურდული, თოჭინები.

2. მოძრავ თამაშოებზე: დავლაობა, ასკინკილა, დიდი არტურმა, პატარა არტურმა, ნიშხა-ნიშხა, ქედ უკან დაგდება, ფერხული.

3. ბურთით თამაშოებზე : კედელზე, კულაობა, გაკვრა ბურთი, გაკვრა – გაქცევა.

4. თამაშზე ბუშტი: მელორობა.

5. კენჭებით თამაშზე: დეკინობა, სალაობა.

6. ჭოხებით თამაშზე: დოშთოლობა, ჩილიკაობა, სახრეობა.

7. კოჭებით თამაშზე: ალჩიკი.

8. თოკით თამაშზე: წრელახტაობა, კაკუნაობა.

9. თვალის ახვევით თამაშზე : დახუჭობანა, კეკემალულა.

10. სიმბოლური თამაშები: ძერაობა, კატა-თავგობანა, აგანგალა-განგალა.

11. სახლის თამაშებზე: ბუზა-ბუზა, დანებით თამაში.

12. დიდ თამაშებზე: ლელო, მზემკრელო.

13. გართობებზე: ჭიდაობა, ჯირითი, ცხენოსნობა, სირბილში შეჯიბრი, მიზანში სროლა, ბერიკა, საქანელა.

საკვანძო სიტყვები: თამაშობები, სათამაშოები, გასართობები.

Key words: Games, toys, entertainment.

CMOMIK, 1886, №5, განყ. 3, გვ. 209-229, ი. სტეპანოვი, „თბილისის გუბერნიის ქ. ახალციხის ადგილობრივი თამაშობანი“: აქ აღწერილია შემდეგი თამაშები: მალაკი, გზირი, გერი, ჩიხ-ჩიხი; ასევე ბურთით თამაშობანი: ჯუზი-ტოპი, რუს-ტოპი, ბერძნული თამაში.

საკვანძო სიტყვა: თამაშობები.

Key words: Games.

3KB, 1845, №44, ივ. გძელიევი (გრძელიშვილი), „ქართველთა ადათ-წესები ავადმყოფობა ყვავილის ავადმყოფობის დროს“: ქართველთა რწმენით ეს არ არის ჩვეულებრივი ავადმყოფობა, არამედ მას ინვევენ დაბალი განვითარების

სულები, რომლებსაც ძალაუფლება აქვთ ჩვენზე და ერთხელ მაინც უნდა ეწვიოს ყველას. ამასთან ისინი გარდუვალ სიკვდილს გამოიწვევს იმისას, ვინც ავადმყოფობის დროს ცოდვას ჩაიდენს. ამიტომ მათ უნოდებენ ბატონებს, ანგელოზებსაც კი. ამიტომ პატივს მიაგებენ ავადმყოფს, მაგიდაზე უწყობენ: ტკბილეულს, ხილს, ყვავილებს, სხვადასხვა მატერიის ნაჭრებს, რადგან ყვავილი ცოცხალი არსებაა. ყვავილის ანგელოზები ამ ყველაფერს მიერთმევენ შუა ღამისას, როცა ყველას სძინავს. ასევე, უკრავენ ჩონგურს, მღერაან.

საკვანძო სიტყვები: ავადმყოფობა ყვავილი, სულები, ბატონები, რიტუალი.

Key words: chiockenpox, souls, the masters, the ritual.

ЗКВ, 1852, №39, გვ. 160, ნ. ბერძენოვი (ბერძენიშვილი), „წარსულის ფურცლები – ჯანაოზი, კარაბადინი“: „კარაბადინი“ არის ხელნაწერი წიგნი საოჯახო მკურნალობის შესახებ. ქართული მითოლოგიის შესასწავლად ბევრი საინტერესო მასალაა ამ წიგნში. ის შეიცავს ექიმბამობისა და სამედიცინო ხელოვნების არა ერთ საიდუმლოს, რომლითაც საქართველოში ხანდაზმული ქალები იყვნენ დაკავებულნი. მასში დაფიქსირებულია მთელი რიგი გამოლოცვები, შელოცვები, ლოცვები სხვადასხვა ავადმყოფობისაგან განსაკურნებლად. მშვენიერია, რომ ამ წყევლებში ავადმყოფობები წარმოდგენილია სახეშეცვლილი ფორმით, მაგალითად, შაკიკი (თავის ტკივილი) რკინის მღრღნელი ხარის სახით; მუნი – შავი კლდიდან გამოსული ურჩხულის სახით შედის ადამიანის სხეულში და ა.შ. აქვე აღწერილია შელოცვის რიტუალის შესრულების წესი.

საკვანძო სიტყვები: კარაბადინი, ავადმყოფობა, შელოცვა, რიტუალი.

Key words: Carbadine (book of cure), illness, spell, ritual.

ЗКВ, 1854, №30, ვ. პერევალენკო, „ატენის სიონი“:

საკვანძო სიტყვები: ატენი, სიონი.

Key words: Ateni, Sioni.

ИКОИРГО, 1902, ტ. 15, №4, გვ. 247-252, ვ. ი. პოდოზერსკი, „სამეგრელოში“: მეგრელთა კეთილდღეობას ძირითადად განსაზღვრავს სიმინდისა და ყურძნის მოსავალი. მინის დამუშავება ძირითადად ხელით ხდება – წერაქვით, იქ კი, სადაც ადგილი იძლევა საშუალებას, – ხარების დახმარებით. მეგრელის სახლის წინ, სიმინდის მიწაში, ტყეში არის მამებისა და პაპების მიერ დარგული: თუთის, წიფლის და სხვა 2-2 ხე, ზედ დახვეული ვაზის ლერწით. ამ ვაზებზე მოსავალი ადამიანის ჩარევის გარეშე მოდის. გლეხები ღვინოს და სიმინდს ან ადგილზევე ყიდიან, ან მიაქვთ ზუგდიდში, ახალსენაკში, ანაკლიაში. მოსავლის მისაღებად სასუქს არ ხმარობენ. აქ ასევე ფასეული მცენარეებია: ღომი, თამბაქო, ლობიო, ბამბა, რომლებსაც მხოლოდ პირადი მოხმარებისათვის აწარმოებენ. მეგრელი

სექტემბრის ბოლოს და ოქტომბრის დასაწყისში სამეურნეო საქმიანობას ასრულებს.

მეგრელები ყოველდღიურ ყოფაში მოუწესრიგებლები არიან. ზვიმებზე კი ახალგაზრდა ქალები ირთვებიან – ძველმოდურ ევროპულ ფერად კაბებში; ვაჟები კი – შავი, ზოგჯერ ყავისფერი ან თეთრი ფერის ყაბალახებით. ამ ზვიმებზე ჩამოდიან სხვა სოფლებიდანაც, ახლოს მყოფი ქალაქებიდან.

ბევრი ადამიანი იკრიბება დაკრძალვებზე. რაც უფრო ცნობილია გარდაცვლილი, მით უფრო მეტია ხალხი. იქ სრულდება რიტუალური სიმღერა – დატირება, ზარის ხმა ისმის ყოველი ახალი სტუმრის მისვლაზე. ყველას მიაქვს დასახმარებლად თანხა – სტუმრების დასაპურებლად. გარდაცვლილის სოფლამდე გზაზე შეიძლება ნახოთ 2 ურემი ხორბლის პური.

ცხენის ქურდობა ხდება მოცალეობის მიზეზით. დღეისათვის ეს ისე ხშირი აღარ არის, როგორც მე-19 ს. 50-60 წწ., მაგრამ არც ახლაა ეს საქმე დავიწყებული. ცხენებს განსაკუთრებით შემოდგომას და გაზაფხულზე იპარავენ, როცა დაუთესავ მინდვრებზე არიან გაშვებულები საბალახოდ. ეს არ ხდება გაჭირვების გამო, ცხენებს შეძლებულებიც იპარავენ. ეს სპორტია, სიმამაცის გამოვლინება. ასევეა აფხაზებშიც. მეგრელები თავმომწონეები არიან. ნასვამი ხანჯალში გამოიწვევს სხვას, რევოლვერიდან გაისვრის, თუნდაც ჰაერში. ირგვლივ მყოფნი, მღვდლის ჩათლით უყურებენ ამ სახიფათო ამბავს.

ქალიშვილის მოტაცებას ხშირად ხდება და პოლიცია ზოგჯერ არც ერევა ამ საქმეში. ზოგჯერ ქალის ნათესავებაც არიან ამით დაინტერესებულნი. ამ შემთხვევაში ისინი მზითევენ არ იძლევიან. ისეც ხდება, რომ ქალიშვილი თვითონ იპარება. ასეთ დროსაც არც ქორწილია საჭირო და არც – მზითევი.

საკვანძო სიტყვები: სოფლის მეურნეობა, რიტუალები, ცხენის ქურდობა, ქალიშვილის მოტაცება.

Key words: Agriculture, rituals, horse theft, kidnapping of woman.

ИКОИРГО, 1905, ტ. 18, №1, გვ. 46-49, ა. ცაგარეიშვილი, „ქორწილი იმერეთში“: ამ დღის ტრადიციულად აღნიშვნა უკვე უაზრობად ითვლება, მაგრამ მზრუნველმა დედამ რომელიმე ადათი, თუნდაც ფარულად, რომ არ შეასრულოს, ვერ მოისვენებს. სტატიის კარგად არის გადმოცემული ძველი ადათის ახლით შეცვლის მტკივნეული პროცესი. საუბარია: მაჭანკლის როლზე ამ საქმეში; საპატარძლოსათვის მირთმეულ საჩუქრებზე; მაყრების, მდადეს (ახლობელი ხანდაზმული ქალბატონის) ფუნქციებზე; ჯვრისწერის რიტუალზე; შემდეგ სიმამრის სახლში გამართულ ლხინზე, რომელიც მინიმუმ ორი დღე მანც იმართება. ამის შემდეგ უკვე ახალგაზრდები მიდიან სანოლ ოთახში. მათ სარეცელს აწყობს ვაჟის და ან უახლოესი ნათესავი. მეორე დღეს პატარძლის მშობლებთან ჩამოდიან ვაჟის მშობლები პატარძლისთვის საჩუქრებით (პირის სანახავით). პატარძალიც მათ საჩუქრებით ხვდება. სალამოს ყველანი მიდიან, სიძე კი ერთი კვირა რჩება.

წასვლისას სიძე სიდედრს ფულის უტოვებს- ორმოციდან ას მანეთამდე. ერთი წლის მანძილზე ცოლთან ჩამოდის ხოლმე კვირაში ორ-სამჯერ. ერთი წლის შემდეგ კი ცოლი მიდის ქმრის სახლში ქმრის მაყართან და მდადესთან ერთად და თან მიაქვს მზითევი. სიძის სახლშიც ისეთივე წვეულება იმართება, როგორც ქალის ოჯახში ჩატარდა. პატარძალს მამამთილი მართმევს შალის ძაფს და ტკბილეულს. ქმრის უახლოესი მეგობარი (ძმადე) ქმარს მიჰგვრის პატარძალს. შეასრულებენ სიმღერა კუჩხი ბედნიერს; წყვილი და მაყარი კერიას სამჯერ შემოუვლიან და წყვილს ზანდუკზე სვამენ. მამამთილი პატარძალს პატარა ბიჭს გადასცემს. თხუთმეტ წუთში წყვილი ზანდუკიდან დგება და სუფრასთან ჯდება, სტუმრებიც ასე იქცევიან. პატარძლის გვერდით ზის მდადე. მეორე დღეს სტუმრები და მდადე მიდიან. ერთი წლის შემდეგ კი პატარძლის მშობლები მიდიან სიძის სახლში. ისევ იმლება სუფრა, სიძე უძღვნის სიდედრ-სიმამრს საჩუქრებს. ამის შემდეგ მათ შორის ნათესაური ურთიერთობა გრძელდება.

საკვანძო სიტყვები: იმერეთი, ქორწილი, ტრადიცია, რიტუალი.

Key words: Imereti, wedding, tradition, ritual.

ИКОИРГО, 1903, ტ. 16, გვ. 24- 53, მ. ა. შოსტაკი, „რაჭასა და სვანეთში“: სვანეთში 12000 ადამიანია, რომელნიც 9 თვის განმავლობაში მონყვეტილნი არიან გარესამყაროს. მათ აქვთ თავისებური ჩვევები და აღმსარებლობა, თუმცა თავს მართლმადიდებლად თვლიან. ამის მიზეზი ის არის, რომ არა ჰყავთ განათლებული მღვდლები. მათი მთავარი საკვები ქერია და მოუსავლიანობის შემთხვევაში ქალებიც კი 1-2 ფუტს ეზიდებიან. საერთოდ სვანები მეტად მძიმე პირობებში ცხოვრობენ. ზამთარი არ გაივლის ვინმე რომ არ დაიღუპოს თოვლიან უღელტეხილზე. სტატიის ავტორის იქ მოგზაურობა განპირობებული იყო სვანეთში ოქროს არსებობის შესახებ არსებული ინფორმაციის გადამოწმების სურვილით.

აქ გადმოცემულია მგზავრობის პერიპეტეიები, აღწერილია რიონის პირის ბუნება ვენახებით, სამკურნალო მცენარეებით. აღნიშნულია, რომ აქ ვერცხლისა და ტყვიის შახტები უნდა არსებულიყო, ასევე – სპილენძის საბადოები; ყურადღება გამახვილებულია ხის დამუშავებაზე.

შემდეგ აღწერილია რაჭისკენ მიმავალი გზის ბუნება, უწერის მიმდებარე სოფლები, მამისონის უღელტეხილი; რაჭაში ებრაელთა საცხოვრებელი კვარტალი. საუბარია აქ მინისძვრების შედეგებზე, ადრეულ ცინვებზე და ცუდ მოსავალზე.

ძველ სვანეთზე ყველაზე კარგად ბარტოლომეი წერს: სვანები ძალიან ღარიბები არიან, პატივს მიაგებენ თავიანთ რელიქვიებს და საგანგებოდ მას შემდეგ უფროთხილდებიან, რაც გუბერნატორმა ლევაშოვმა და გრაფინია უვლოვამ აქედან გაიტანეს ხატი და სახარება. თვლიან, რომ ხატი, რომელიც მათ დააბრუნეს, ყალბია. ასევე, კვირიკეს მდიდრულ ეკლესიაში უხალისოდ უშვებენ ჩამოსულ დამთვალიერებლებს და მათ თავზე ადგანან თითქმის გაშიშვლებული ხანჯლებით. ერთ-ერთ ეკლესიაში ოქროთი მოჭედილი ხატი მიჯაჭვულია იმ

რწმენით, რომ გაიქცევა და ეს თუ მოხდა, სვანებს ელით შიმშილი და უბედურება. ქალები ეკლესიაში არ დადიან, მხოლოდ გარდაცვალების წინ ეზიარებიან. სვანები პატივს მიაგებენ თავიანთ ბაირალს. სტატიის ავტორი აღნიშნავს, რომ სვანთა ზნე-ჩვეულებანი მას და სხვებსაც ადრეც აქვთ აღწერილი.

საკვანძო სიტყვები: რაჭველები, სვანები, რწმენა, მეურნეობა.

Key words: Rachvelians, Swans, faith, farming.

3KB, 1846, №7, გვ. 81-82, „ბოლო პერიოდის ქართველ მეფეთა დაკრძალვის წესები“: აქ მოცემულია დაკრძალვის რიტუალების აღწერა.

საკვანძო სიტყვები: მეფე, დაკრძალვა, რიტუალი.

Key words: King, funeral, ritual.

3KB, 1845, №1, გვ. 8-9, პ. ი., „ახალი წლის აღნიშვნა საქართველოში“: საჭირო ცნობების უქონლობის გამო სავარაუდოა, რომ ქართველები ახალ წელს ადრე მარტში აღნიშნავდნენ. დროთა განმავლობაში კი ნიკეის მსოფლიო საეკლესიო კრების (318 წ.) გადაწყვეტილების მიხედვით საქართველოში, მსგავსად საბერძნეთისა, ზეიმობდნენ 1 სექტემბერს. ის დასავლეთში კარლოს დიდის დადგენილებით შეიცვალა 1 იანვრით, შემდეგ – რუსეთში პეტრე დიდის მიერ, საქართველოში კი ეს თარიღი დადგინდა ახალი წლის დასაწყისად 1730 წ. სტატიაში ასევე საუბარია ეკლესიის როლზე ამ საქმეში, ქართველ მეფეთა სასახლეში ამ დღის აღნიშვნის ტრადიციებზე და სხვა.

საკვანძო სიტყვები: ახალი წელი, თარიღი, ეკლესია, მეფის სასახლე.

Key words: New Year, Date, Church, King's Palace.

3KB, 1845, №1, გვ. 2-8, პ. ი., „ქრისტიანული რწმენით ქართველთა განმანათლებელი წმინდა ნინო“: აქ საუბარია – წმინდა ნინოს წარმოშობაზე, მის მშობლებზე, რწმენაზე, მოღვაწეობაზე, ცხოვრების წესზე, სასწაულებზე; ასევე: დედოფალ ნანაზე, მეფე მირიანზე, მის გარდაცვალებაზე, ბოდბეზე...

საკვანძო სიტყვები: წმინდა ნინო, წარმომავლობა, მოღვაწეობა, ბოდბე.

Key words: St. Nino, Origin, Activity, Bodbe.

3KB, 1847, №1, გვ. 5-8, ი. ევლახოვი, „ახალი წელი თბილისში“: აქ მოთხრობილია, რომ ზუსტად თორმეტზე მეტეხის ციხიდან დაიქუხებს ზარბაზანი, ქართველები თოფებსაც გაისვრიან. აქა-იქ გაისმება სიმღერის ხმა. ამ დროს ადამიანები დადიან სახლიდან სახლში და ერთმანეთს ულოცავენ ახალ წელს. აღწერილია რა ხდება ქუჩებში, ქეიფი გრძელდება გვიან ღამემდე...

საკვანძო სიტყვები: ახალი წელი, ზარბაზანი, სიმღერა, ქეიფი.

Key words: New Year, Paixhans gun, song, celebration.

3KB, 1845, №5, გვ. 36-38, პ. ი., „თვეების ძველქართული სახელწოდებები“: თვე I – აპანი, II – სარწყუნისი, III – მირკანი, IV – ივრიკა, V – ვარდობისა, VI – თიბვისა, იოანობისა, VII – მკისა, კვირიკობისა, VIII – მარიობისა, ქუელთობისა, IX – ენკენობისა, X – სთვლისა, ღვინობისა, XI – გიორგობისა, ტირსიკონი, XII – თირისლენი, ქრისტეშობისა.

საკვანძო სიტყვები: თვეების სახელები ძველ ქართულში.

Key words: Names of months in Old Georgian Language.

3KB, 1845, №7, ი. კ., გვ. 54-59, „ქართველთა ზეპირი მთვარის კალენდარი“: აქ მოტანილია მთვარის ფაზების სახელწოდებები.

საკვანძო სიტყვები: მთვარის ფაზები.

Key words: Phases of the Moon.

3KB, 1845, №3, 4, პ. ი., „ქართველთა წელთაღრიცხვა“: არ არის ცნობილი აღრე ქართველებს რა ტიპის წელთაღრიცხვა ჰქონდათ. ქრისტიანობის შემდეგ კი იყენებენ იულიუსის კალენდარს.

საკვანძო სიტყვები: წელთაღრიცხვა, ქრისტიანობა, იულიუსი.

Key words: Year, Christianity, Julius

3KB, 1845, №18, გვ. 183-184, პ. ი., „ხმალი გრემი“: სტატიაში მოცემულია ისტორიული ცნობები ამ ხმალთან დაკავშირებით. ის ეკუთვნოდა პოლკოვნიკ ე. ს. სუმბათოვს და ზედ ქართული ასოებით ეწერა „გრემი“.

საკვანძო სიტყვები: ხმალი, გრემი.

Key words: Sword, Gremi.

3KB, 1854, №41, გვ. 1, ივ. გძელიევი, „ღღესასწაული“: სტატიაში მოცემულია გიორგობის ღღესასწაულის აღწერა, რომელიც არ არის ლოკალური, რადგანაც მასში მონაწილეობას იღებს არა მხოლოდ მომიჯნავე მხარეები, არამედ – მთელი ქვეყანა. ის ეძღვნება წმინდა გიორგის. როგორც მითხრეს, ბევრი დღეობა იმართება ყოველ წელს მის სახელზე, მაგრამ ყველაზე უკეთესი ეს არის. 21 აგვისტოს, წინა ღღეს, წავედით იქ, გადავედით მდინარე პატარა ლიახვი და მივედით სოფელ არბოში. იქ პატარა ეკლესიაა, გადმოცემით – თამარ მეფის აგებული წმინდა გიორგის სახელობისა. აქ მთელი ღამე მოედინება მომლოცველთა ნაკადი. მოჰყავთ: ხარები, ცხვრები, მამლები და მსხვერპლად სწირავენ წმინდა გიორგის. გაისმის: ზურნის, სტვირის, ჩონგურის, დაირის, სიმღერის ხმა. ღამე გამოჩნდა მთვარე (ბუნების დედოფალი, როგორც ქართველები უწოდებენ). მთელი ღამე ისმოდა მომლოცველთა ხმები. მეორე ღღეს კი მიაგეს რა პატივი წმინდა გიორგის, თანდათან გაითანტნენ და სოფელში ისევ სიჩუმე დაისადგურა.

საკვანძო სიტყვები: დღესასწაული, გერისთობა, წმინდა გიორგი, მომლოცველები.

Key words: Fest, St George's Day, Pilgrimage.

ЗКВ, 1854, №5, ალ. სავანელი, „აღმშენებლის დღესასწაული“: დუშეთიდან სოფელ ალევში გავემგზავრეთ მიძინების დღესასწაულზე 15 აგვისტოს. გზა იყო რთული და საშიში. სამ საათში მივალწიეთ ალევის მთას, სადაც მდებარეობს ღვთისმშობლის მიძინების ტაძარი. ტაძარს ალევი სოფლის სახელწოდების მიხედვით დაერქვა, რომელიც, გადმოცემის მიხედვით, თამარ მეფის მიერ არის აგებული. ის ცნობილია ვერცხლითა და ძვირფასეულობით განყობილი ხატების სიმრავლით, რომლებიც შეუწირავთ თავად ერისთავებს, ამილახვრებსა და სხვებს. თეიმურაზის მეფობის პერიოდში ის გაუნადგურებია შაჰ-აბაზს, წაუღია განძი, მაგრამ ის ღმერთს დაუსჯია: ტაძრის დასარბევად შესული ბევრი მისი მებრძოლი დაბრმავებულა; ბევრმა კი ინამა რა ღვთის ძალა, გაქრისტიანებულა. ყოველივე ამით შეძრწუნებული შაჰი იძულებული გახდა, განძი ტაძრისთვის დაებრუნებინა. ტაძრის კარზე დღესაც უჩვენებენ შაჰის წარწერას. ტაძარში ჩატარებული რიტუალის შემდეგ ახალგაზრდები უკრავდნენ ზურნას, ჩონგურს; მღეროდნენ, ცეკვავდნენ; მესტვირეები მათ ხოტბას ასხამდნენ. საღამოს კი ყველა დაიშალა.

საკვანძო სიტყვები: სოფელი ალევი, ღვთისმშობელი, ტაძარი, ხატები, ახალგაზრდები, მესტვირეები.

Key words: Village Alevi, Virgin Mary, Temple, Icons, Youth, Stewards, pipers.

ИПК, 1902, №1, გვ. 3, გრ. ჩურსინი, „ტრაური კავკასიელ ხალხში“: აქ სხვა კავკასიელ ხალხთა ტრადიციის გარდა საუბარია ქართველთა (მეგრელებისა და იმერელებისა) სამგლოვიარო ტრადიციამაც.

საკვანძო სიტყვები: ტრაური, სამეგრელო, იმერეთი.

Key words: Mourning, Samegrelo, Imereti.

ИПК, 1903, №2, გრ. ჩურსინი, „ცრურწმენა“: აქ საუბარია სამგლოვიარო ტრადიციამაც: შავების ჩაცმის წესზე და სხვა.

საკვანძო სიტყვები: ტრაური, შავი სამოსი.

Key words: Mourning, Black clothes.

ЗКОИРГО, 1862, №5, გვ. 1-73, პლატონ იოსელიანი, „ქალაქ დუშეთის აღწერა“: აქ საუბარია დუშეთის მკვიდრთა სიმღერის კილოზე, რომელიც განსხვავებულია თბილისელთა და გამაჰმადიანებულ ქართველთა სიმღერის კილოსაგან.

საკვანძო სიტყვები: სიმღერა, დუშეთი, თბილისი.

Key words: Song, Dusheti, Tbilisi.

ЗКОИРГО, 1876, ტ.10, განყ. 2, გვ. 238, „მოგზაურობა სვანეთში“: სტატიამი მოცემულია გეოგრაფიულ-ეთნოლოგიურ-სტატისტიკური აღწერა. დართული აქვს სვანური ტექსტები.

საკვანძო სიტყვები: გეოგრაფია, ეთნოლოგია, ტექსტები.

Key words: Geography, Ethnology, Texts.

ТЛИ, 1899, №5, ეგ. ვეიდენბაუმი, „ყვენობა (ხალხური მასკარადი), რომელიც იმართებოდა დიდი მარხვის პირველ დღეს“: ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინ თბილისის ქუჩებში დიდი მარხვის წინა დღეს ტარდებოდა ხმაურიანი ხალხური მასკარადი – ყვენობა. დილიდან იწყებდა მოძრაობას ხალხმრავალი პროცესია. ახლა ასეთი დღეობების გამართვის უფლებას მხოლოდ გარეუბანში აძლევდნენ, არადა დასანანი, ის არათერს აშავებდა და არ უნდა დაგივიწყოთ ადრინდელი ტრადიციები. 20 წლის წინ თბილისში კრძალავდნენ ქორწილს ზურნის თანხლებით. სტატიამი მოტანილია მხატვრის მიერ შესრულებული ყვენობის ამსახველი სურათი. აღწერილია ეს რიტუალი: ყენი, ცხვრის ტყავმოსხმული, ვირსა ან აქლემზე შემომჭდარი, ზოგჯერ მისი მეუღლეც ჩანს. სტატიის ავტორი თვლის, რომ ამ მასკარადს არა აქვს რელიგიური დანიშნულება, არამედ ის ისტორიული მნიშვნელობისაა. ამ ტიპის მასკარადი სპარსელებსაც აქვთ და ყოველივე ეს წარმართული პერიოდიდან იღებს სათავეს.

საკვანძო სიტყვები: ყვენობა, მასკარადი, რიტუალი.

Key words: Pagan ritual Keenoba, Masquerade, Ritual.

ЗКВ, 1846, №9, 10, 11, 12, გვ. 91-101, 103-110, 112-118, 119-121, ს. ავტანომოვი, „ერთთვიანი მოგზაურობა შავი ზღვით“: აღწერილია საქართველოს ბუნება, დასახლებული პუნქტები, გადმოცემულია საერთო შთაბეჭდილება.

საკვანძო სიტყვები: მოგზაურობა, ბუნება, გეოგრაფიული პუნქტები.

Key words: Travel, nature, geographical destinations.

ИКОИРГО, 1913-1914, ტ. 22, ა. ნ. კრასნოვი, „ბათუმის სანაპირო, როგორც კულტურული ცენტრი რუსეთის სუბტროპიკული ოლქისა“: სტატიამი აღწერილია ბათუმის სანაპიროს ბუნება, კლიმატი, სოფლის მეურნეობა.

საკვანძო სიტყვები: ბათუმის სანაპირო, მეურნეობა.

Key words: Batumi coast, farming.

ЗКВ, 1847, №7, 8, გვ. 53-53, 60-62, დ. მ., „ნარკვევი კახეთზე“: აღწერილია კახეთის ბუნება, მოცემულია მისი ისტორიული მიმოხილვა; საუბარია კახელების გარეგნობაზე, მათ ბუნებაზე.

საკვანძო სიტყვები: კახეთი, კახელების გარეგნობა, ბუნება.

Key words: Kakheti, Kakhethian appearance, nature.

3KB, 1852, №39, გვ. 22, „დაკრძალვის რიტუალი დასავლეთ საქართველოში“: საქართველოში დატირების რიტუალის ხილვის მსურველი რუსი სტუმარი აღწერს ამ ცერემონიალს და აღნიშნავს, რომ ჰანაშვიდი სამი საათი გაგრძელდა. შემდეგ კი სტუმრებს გაუმასპინძლდნენ. სამძიმარზე თავადები მეორე დღეს უნდა ჩასულიყვნენ, მაგრამ თავად ვეღარ დარჩა. საერთოდ ეს რიტუალი სოფლებში გრილ დღეებში 8-10 დღე გრძელდება, თბილისში კი – ნაკლები. როგორც ამბობენ, დაობლებული ბავშვებისა და ქვრივისათვის სტუმრები, თავიანთი შესაძლებლობის მიხედვით, აკეთებენ შესაწირს; ჭირისუფალი მამაკაცები უშვებენ წვერს, იკერავენ შავ კოფთას, ქალებიც – შავ სამოსს. ისინი მთელი კვირა არ ჭამენ ხორცს; ტრაურს კი არ წყვეტენ ნახევარი წელი, ზოგჯერ – მთელი წელი. თავადები თავად განსაზღვრავენ ტრაურის ხანგრძლივობას. ალაპი ხშირად იმართება ახლო ნათესავებისათვის და ტარდება მსგავსად დაკრძალვის დღისა – ჩამოდიან ახლობლები და ტირიან.

საკვანძო სიტყვები: დაკრძალვა, რიტუალი, ტრაული.

Key words: Funeral, ritual, mourning.

BE, 1867, №3, გვ. 75-140 და N4, გვ. 1-25, ე. კოვალევსკი, „კავკასიის ეთნოლოგიის მიმოხილვა“: აქ აღნიშნულია, რომ, სანამ გენერალი უსლარი შეუქმნიდა ანბანს კავკასიის ჩრდილოეთში მცხოვრებ ეთნიკურ ჯგუფებს რუსულ ანბანზე დაყრდნობით, ისინი გამოიყენებდნენ ქართულ ანბანს, რომელიც კარგად ერგება მათ ენებს. ცალკე თავებში საუბარია კავკასიის ჩრდილოეთში მცხოვრებ ხალხებზე. ავტორი ჩერქეზების მიმართ რუსების დაუნდობელ დამოკიდებულებას ამართლებს და აღნიშნავს, რომ ევროპელებს, რომლებიც თვითონაც არ ექცეოდნენ კარგად კოლონიაში მცხოვრებ ხალხებს, არა აქვთ უფლება რუსებს ეს უსაყვედურონ. ნაშრომში ცალკეული თავები ეძღვნება სვანებსა და აფხაზებს, რომლებიც, ავტორის აზრით, ყველაზე ახლოს დგანან ჩერქეზებთან. აღნიშნულია, რომ ჩერქეზები, ისევე როგორც რუსები, აფხაზებს ხანდახან მოიხსენიებენ როგორც აბაზებს. თვითონ აფხაზები საკუთარ თავს აფსუას უწოდებენ. აფხაზეთის საზღვრების დადგენისათვის საინტერესოა ის ფაქტი, რომ, წერილის მიხედვით, აფხაზეთის მხარე ორ ნაწილად იყოფა და პირობითად ეწოდება დიდი და მცირე ანუ ახალი აფხაზეთი. წერილში მოცემულია ინფორმაცია სხვადასხვა საკითხზე, მათ შორისაა აფხაზური თავადური გვარები, ბუნებრივი და პოლიტიკური საზღვრები. წერილში დაფიქსირებულია გადმოცემა სამურზაყანოსა და მურზაყან შერვაშიძეზე. აღნიშნულია, რომ მათ ქალებს სილამაზით შეუძლიათ ჩერქეზ ქალებსაც კი გაეჭიბონ. აღმოსავლეთის ბაზრებზე ჩერქეზი ქალების შემდეგ – აფხაზი ქალები ფასობდნენ, შემდეგ იმერლები და ქართველები და ბოლოს – ევროპელებიო. აფხაზებს, ისევე როგორც ჩერქეზებს, ჰყავთ მონები, რომლებიც არიან ან ომის და ყაჩაღობის გზით მოპოვებულები ან დაბადებიდან ამ მდგომარეობაში მყოფნი. ადათების აღწერისას ავტორი საუბრობს ქალების

შებლუდულ უფლებებზე მემკვიდრეობის განაწილებისას. წერილში აღნიშნულია, რომ სასამართლოები იმართება მუხის ქვეშ, ხოლო სიკვდილით დასჯა მათ არა აქვთ.

სვანეთის აღწერისას კოვალევსკი ყვება სვანეთში არსებულ გადმოცემას, რომლის მიხედვითაც, იქ გამეფებულია თამარის კულტი, სჯერათ, რომ თამარი დაკრძალულია უშგულში, ის უკვდავია და აგრძელებს მიწისქვეშეთში სიცოცხლეს. ავტორი ახსენებს დადემქელიანებს და მკითხველს უამბობს, თუ როგორ გახდა სვანეთის ნაწილი თავისუფალი. სვანეთის აღწერისას და, განსაკუთრებით, სხვადასხვა წეს-ჩვეულებებზე საუბრისას, ავტორი წერილში ძირითადად დ. ბაქრაძის ნაშრომს იმონმებს. არ ავინყდება აღნიშნოს, რომ ისტორიულად ქართველები, მეგრელები, ლაზები და სვანები უძველესი დროიდან ერთმანეთთან არიან გადაჯაჭვულნი, რაც მათ ნათესაურ კავშირს ამტკიცებს.

წერილის მეორე ნაწილში, სხვადასხვა მეცნიერის მოსაზრებაზე დაყრდნობით, ავტორი განიხილავს ჩრდილოკავკასიელ ხალხთა წარმომავლობის საკითხს ადარებს რა ერთმანეთს მათ გარეგნობას. მას სურს გაარკვიოს, რა ადგილი უნდა მიეჩინოს ამ ეთნიკურ ჯგუფებს მსოფლიო ხალხთა შორის. კოვალევსკი გაკვრით ეხება აფხაზებსაც და მათ შესახებ მსჯელობისას იმონმებს ვახუშტის ცნობებს. საზღვრების დადგენის პროცესში მიაჩნია, რომ სამეცნიერო საზოგადოებამ ერთმანეთისგან უნდა განასხვავოს: ჯიქები, ჩერქეზები, აბაზები და აფხაზები. წერილში აღნიშნულია, რომ, მიუხედავად გარეგნული მსგავსებისა, ადათებში დამთხვევა და ჩაცმულობა არ ნიშნავს იმას, რომ ეს ეთნიკური უმცირესობები არაფრით არ განსხვავდებიან ერთმანეთისგან. ერთგან ავტორი შენიშნავს, რომ ამ ხალხისგან იმერლებსაც აქვთ ბევრი რამ გადმოღებული. ლაპინსკის ციტირებისას ამბობს, რომ აბაზები მოვიდნენ სამხრეთ-აღმოსავლეთიდან, იქ, სადაც მდინარე აბაზა ან ალაზა და მათი ქვეყანა იყო ალბანეთი. შემდგომში ადიღელები მათ უწოდებენ გვიან მოსულ ხალხს. წერილში დასკვნის სახით ნათქვამია, რომ, ვინაიდან ამ ხალხს ადგილზე უკვე დახვდათ ქართველური ტომები, ისინი გადავიდნენ ჩრდილოეთით და ამიტომაც არაა გასაკვირი ზემოაღნიშნული პროცესების შედეგად მათი გარეგნული მსგავსება ქართველებთან.

საკვანძო სიტყვები: ჩრდილოკავკასიელი ხალხი, აფხაზები, სვანები, თამარი, თავადების გვარები, ლამაზი ქალები.

Key words: North Caucasian People, Abkhazians, Svans, Tamar, Noble Names, Beautiful Women.

BE, 1874, №1-2, გვ. 232-282, ი. ი. მეჩნიკოვი, „ანთროპოლოგიური ჩანაწერი“: სტატიაში მიმოხილულია სხვადასხვა ხალხში ქორწილის ასაკთან დაკავშირებული ტრადიციები. აღნიშნულია, რომ კავკასიაში ეს ასაკი ადრეულია. ავტორს მაგალითად მოაქვს ქართველთა ასაკი, რომელიც ვაჟებს შორის 15 და ქალებს

შორის 12 წლით განისაზღვრება, ხევსური ქალებისთვის კი 20 წელია. აქვე აღნიშნულია აკვანში დანიშვნის ტრადიციაც.

საკვანძო სიტყვები: ქორწინება, ასაკი, ხევსურები.

Key words: Marriage, Age, Khevsurians.

ЗАКОИРГО, 1855, №3, გვ. 92-135, რ. ერისთავი, „თუშურ-ფშაურ-ხევსურული ოლქი“: წერილში აღწერილია და კარგადაა გამიჯნური თუშური, ფშაური და ხევსურული რწმენა-წარმოდგენები და ადათები, მოყვანილია სხვადასხვა გადმოცემა, განმარტებულია ამა თუ იმ ტრადიციასთან დაკავშირებული საკვანძო სიტყვები. წერილი საინტერესო იმითაცაა, რომ ხშირად ეს სიტყვები ქართული დამწერლობითაა დაფიქსირებული, თუმცა ქართულად არ წერია ადგილობრივი ღმერთების სახელები და ტოპონიმები. წერილში მოტანილი ინფორმაციის თანახმად, ხევსურები თავყვანს სცემენ: ადგილის დედას, მუხის ანგელოზს, გორის ანგელოზს, ჭიმაღის ჯუარს, უნჯის ანგელოზს, დიდ გორს, თეთრ გიორგის, კარის მებობელს და პარალელს ავლებს ბერძნებთან და მათ მითოლოგიურ ღვთაებებთან. პირველივე აბზაცი გვამცნობს: მიუხედავად ადგილობრივების განცხადებისა, რომ ისინი ქრისტიანები არიან, მათ ყოველდღიურ ყოფაში უფრო მეტია წარმართული, ვიდრე – ქრისტიანული. ადგილობრივების რწმენაზე დიდი გავლენა ჰქონია ისლამსაც, თუნდაც იმით, რომ ისინი არ ჭამენ ღორის ხორცს. ავტორისთვის უცნაურია ის ფაქტი, რომ ადგილობრივები აღნიშნავენ როგორც ქრისტიანულ, ასევე ებრაულ და მუსლიმურ უქმე დღეებს. ავტორს უკვირს, რომ მოსახლეობა არც კურდღლის ხორცს ეკარება და ამით ისინი ჰგვანან სომხებს, თუმცა სხვა არაფერი საერთო არა აქვთ სომხებთან. წერილში რამდენიმე გადმოცემაც გვხვდება: გულის დასახლებაში დაცულ ქათმისკვერცხისოდენა ქვაზე, კვერთხზე. წერილის სტრუქტურაში დაცულია შემდეგი თანმიმდევრობა: თემებისა და სოფლების ჩამონათვალი, რწმენა-წარმოდგენები, სასულიერო იერარქია და მათი არჩევის წესები, საკულტო ადგილები, დღესასწაულები (ხევსურული ათენგენობა, ფშაური ლაშარის ჯვარი და თამარ მეფე), მსხვერპლ-შენიღვის რიტუალი ვერბალური ნაწილით (სრულად), დღესასწაულების გამოთვლის წესი (ბობოლას მაგალითი), ნადირობა, ქორწინების (მათ შორის – მოტაცების), დატირების, დაკრძალვის ჩვეულებები, სამგლოვიარო ასპარეზობები, სტუმარმასპინძლობა (ეტიკეტი), ძმადნაფიცობა (ვერცხლი ჭამა), სისხლის აღება და სამართალი. ასევე წერილში აღწერილია ხევსურთა, ფშაველთა და თუშთა გარეგნობა, მათი სამოსი, ვარცხნილობა, საცხოვრისი, საყოფაცხოვრებო ნივთები და ყოველდღიური ყოფა (თრობა, ქალის როლი ჩხუბის დროს, დაჭრილის მკურნალობა), თესვის, მკის პერიოდები, საქონლის, ცხვრის, რემის და ღორების გადანაწილება ეთნიკური ჯგუფების მიხედვით. წერილში დაფიქსირებულია ადგილობრივთა ცრურწმენები მეხთან დაკავშირებით.

საკვანძო სიტყვები: ხევსური, ფშაველი, თუში.

Key words: Khevsurian, Pshavian, Tush.

ЗКОИРГО, 1864, №6, გვ. 39-57, დ. ბაქრაძე, „სვანეთი“: ავტორის ცნობით, სვანეთი და სვანები საბატონო და თავისუფალ სვანებად გაყვეს რუსებმა. თვითონ სვანები თავიანთ თავს „ერთობილნი სვანნი“-ს უწოდებენ და იყოფიან თემებად ხევეების სახელწოდებების მიხედვით. ავტორი აღწერს სვანების გარეგნობას, რომელიც, მისი დაკვირვებით, არაფრით არ განსხვავდება საქართველოს სხვა მთიანი რეგიონების მოსახლეობის გარეგნობისგან. შემდეგ გადადის მათ ჩაცმულობაზე, აღჭურვილობაზე, ენაზე, რომელშიც ხშირია ნასესხობები ქართული ენიდან. აღნიშნავს, რომ სვანები ვერ იტანენ სიციხეს და კვლებიან სიციხისგან. საცხოვრებლის აღწერისას აღნიშნავს, რომ მათ ემინიათ მტრის და დაბნელებისას იკეტებიან სახლებში. ჯარიმის შიშით არ მუშაობენ კვირაში სამი დღე. ნადირობისას ხოცავენ ჯიხვებს, რომლის რქებს ეკლესიას სწირავენ, ხოლო ხორცს თვითონ მიირთმევენ. საჭმელს ამზადებენ და სახლს უვლიან ქალები. ბაქრაძის აზრით, ქალების თავისუფალი ქცევა იმითაა განპირობებული, რომ სვანეთში სიღარიბის გამო გავრცელებული იყო ახალშობილი გოგონების მოკვლა (არ აკარებდნენ დედას ან პირში ცხელ ნაცარს უყრიდნენ). სვანები ქალებს უწმინდურ არსებებად მიიჩნევენ. ავტორი შეეხება სვანურ გვარებს და აღნიშნავს, რომ დიდგვაროვნების უმეტესობა უკიდურესად ღარიბია, მაგრამ ძველი წესისამებრ, მათ ცალკე კრძალავენ და მათი სისხლიც სისხლის ალების დროს უფრო მეტად ფასობს, ვიდრე – დაბალი ფენის წარმომადგენლისა. ჩრდილო კავკასიიდან სვანებს ჰყავთ მონებიც. ლიტურგიების აღწერისას ავტორი ჩამოთვლის სასულიერო პირებს და ტრადიციულ დღესასწაულებს, აღნიშნავს მათი შესრულების წესებში არსებულ განსხვავებებს, მაგალითად, საეკლესიო მსახურებისას ღვინის ჩანაცვლებას არყით და თაფლით. სვანური ქრისტიანული დღესასწაულებიდან ავტორი გამოყოფს: ივლიტასა და კვირიკეს, მარიამობის, შობისა და აღდგომის დღესასწაულებს. საინტერესოა გადმოცემები, რომლებიც უკავშირდება თამარ მეფეს, უშგულში თამარის საფლავს (თუ როგორი წესითაა დაკრძალული და ა.შ.). ავტორი აღწერს ასევე დატირების წესებს, სამართლის საქმეებს, ცრურწმენებს.

საკვანძო სიტყვები: სვანეთი, სვანები, თამარი, დატირება, სისხლის აღება, ახალშობილი გოგონების მკვლელობა.

Key words: Svaneti, Svans, Queen Tamar, blood law, murder of newborn girls.

ЗКОИРГО, 1904, №24/5, გვ. 33- 49, მ. ჯანაშვილი, „ვახუშტის გეოგრაფიის ეთნოგრაფიული ნაწილის დანართი“: პირველ ნაწილში ავტორი განმარტავს ზოგიერთ საკვანძო საკითხს „ქართლის ცხოვრებიდან“ და გვთავაზობს რამდენიმე მოსაზრებას ქართველთა წარმომავლობის, ქართველური ტომების განსახლებისა და ენის საკითხებზე, პარალელურად წარმოადგენს სხვადასხვა მკვლევრის

მოსაზრებას მისთვის საინტერესო თემებზე. შემდეგ ავტორი გადადის კოსმოგონიურ მითებზე და თეოგონიაზე. მეორე ნაწილი შეეხება ქართველთა ზნეს, წეს-ჩვეულებებს, კერპებს, მეფეებს, სასულიერო და საერო იერარქიას. ავტორი მსჯელობს მზის თაყვანისცემაზე, რომლის ნაშთებსაც ის ხედავს ქართულ ენაში: ახლობლის მზის დაფიცების წესში, ასევე, ამ სიტყვით ნაწარმოებ საკუთარ სახელებში. სახელ არამზს ავტორი უკავშირებს ორ სიტყვას: ალსა და მზეს. ყურადღებას ამახვილებს სიგელ-გუჯრებში ნახსენებ ბოროტ სულ სამალზე, რომელიც ყველანაირი ბოროტის საწყისია. ლეგენდის მიხედვით, ღმერთმა ადამიანს უფლება მისცა, შებრძოლებოდა სამალს. ამ ბრძოლისას მისი კუდის ქნევით წარმოიქმნა მთები და ხეობები. ღმერთმა ბადეში გააბა სამალი, რომელიც დაღრღნა თავგმა. ამის შემდეგ ღმერთმა ვენახი გააშენა, რომელიც სამალის თხამ შეჭამა, ღმერთმა შექმნა მგელი, რომელმაც შეჭამა სამალის თხა. აქ, ასევე, მოთხრობილი მზისა და მთვარის ლეგენდაც. მათ სხვადასხვა დედა ჰყავდათ და ერთი მამა. ღმერთის ნებით ის შვილი გაანათებდა დღეს, რომელიც პირველი გაიღვიძებდა. ამის გამო იმ დედის შვილი, რომელიც მწველ სანოლში ჩანვა, რომ ადრე გაღვიძებოდა, გამარჯვებული გამოვიდა, ხოლო ფუმფულა ლოგინში დაძინებულმა შვილმა ღამის მანათობლის ადგილი დაიკავა.

საკვანძო სიტყვები: მზე, მთვარე, სამალი, კოსმოგონიური მითები, თეოგონიური მითები, არამზი.

Key words: The sun, The moon, Samal, cosmogonic myths, theogonic myths, Armaz.

KBC, 1900, №1, გვ. 14-25, პ. ბასიხინი, „გერმანული კოლონიები კავკასიაში, ეთნოგრაფიული ნარკვევი“: ავტორი ყვება გერმანელი კოლონისტების საქართველოში გადმოსახლების ისტორიას, როგორ დამკვიდრდნენ ახალ მიწაზე ფრიკისა და კოხის წინამძღოლობით, რა სიძნელეები შეხვდათ; სპარსელებისა და ქურთების მიერ მათ ამონყვეტაზე; გადარჩენილების სურვილზე, დაეტოვებინათ ახალი საცხოვრებელი და გადასახლებულიყვნენ წმინდა მიწაზე იერუსალიმში წინასწარმეტყველ შპონის მეთაურობით, რაც წარუმატებლად დასრულდა. საქართველოში დარჩენილები კი, ადგილობრივებისგან განსხვავებით, იმდენად კარგად ცხოვრობდნენ, რომ სხვა გერმანელებსაც გაუჩნდათ მათთან შეერთების სურვილი. გერმანელები თავიანთ კოლონიებში თავისუფლად საუბრობენ ადგილობრივების ენებზე – ქართულად, სომხურად და თათრულად, რუსული კი მხოლოდ მამაკაცებმა იციან, ისიც დამტკრეული.

საკვანძო სიტყვები: გერმანელი კოლონისტები, წინასწარმეტყველი შპონი, ფრიკი და კოხი.

Key words: German settlers, prophet Shpon, Frick and Kokh.

KBC, 1900, №3, გვ. 51-61, პ. ბასიხინი, „რუსული დასახლებები კავკასიაში, გომბორი, ეთნოგრაფიული ნარკვევი“: წერილში აღწერილია, როდიდან გაჩნდა რუსული დასახლებები გომბორზე. ავტორი ამ მოვლენას უკავშირებს რუსული გარნიზონების შემოსვლას მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში. თავდაპირველად არასაკმარისი ყოფილა ქალების რაოდენობა, რის გამოც, სამხედრო პირები იძულებულები ხდებოდნენ, ადგილობრივებზე დაქორწინებულიყვნენ. შემდეგ სურათი შეიცვალა და უფრო მეტი რუსის ჩამოსახლებასთან ერთად შეწყდა შერეული ქორწინებებიც. წერილში გადმოცემულია, როგორ ცხოვრობენ და რომელ დღესასწაულებს აღნიშნავენ რუსები.

საკვანძო სიტყვები: რუსების დასახლებები საქართველოში, გომბორი, შერეული ქორწინებები.

Key words: Russian settlers in Georgia, Gombori, mixed marriages.

KBC, 1900, №4-6, გვ. 50-59, №6, გვ. 62-77, კ. განი, „მოგზაურობა ფშავლების, ხევსურების, ქისტების და ინგუშების ქვეყანაში (1897 წლის ზაფხული)“: კრებულის სამ ნომერში ადგილი ეთმობა მთის ხალხს. აქ აღწერილია ხევსურეთის ბუნება, ფეხონი, აკლდამები, რომლებშიც ხევსურები მჭდომარედ არიან გარდაცლილნი შავი ჭირის ეპიდემიის დროს. მათ შორის არის დედა, რომელიც მაშინ მომკვდარა, როდესაც შვილს ძუძს აწოვებდა. ავტორი აღნიშნავს, რომ შატალში ჭინჭარაულები, ხოლო გუროში გოგოჭურები დანარჩენ ხევსურებზე მარჯვენი არიან, ვინაიდან მათში სხვა ხალხის სისხლიცაა აღრეული, განსაკუთრებით, ჩეჩნური. უფლისწული ალექსანდრე (ერეკლეს ვაჟიშვილი ალექსანდრე ბატონიშვილი) აქ აგროვებდა ლაშქარს, მაგრამ ვერ მოასწრო, რადგან სპარსეთში უნდა წასულიყო და დღემდე ელოდებიან, რომ დაბრუნდებოდნენ. ავტორი ეყრდნობა ზისერმანის ჩანაწერებს და ამბობს, რომ შატალელები ქართველები არიან და გვარები არაბული და ჭინჭარაული დასაბამს იღებს ვინმე მალაროელი გუდანელისგან. აგრეთვე, წერილში ნახსენებია თამარის დროს აქ დარჩენილი ებრაელებიც, რომელიც ბისოში დასახლდა. ავტორი გამოთქვამს ვარაუდს, რომ გვარი „არაბული“-ის ძირი სემიტური წარმომავლობისაა და ლევენდა ბისოელ ებრაელზე სიმართლეს უნდა შეესაბამებოდეს. თუმცა ავტორს აკვირვებს მხოლოდ ხევსურებთან გავრცელებული რწმენა-წარმოდგენები, სასულიერო იერარქია და ჯვრისა და სამკუთხედის ფორმის ორნამენტები მათ სამოსზე, ასევე – მალტური ჯვრები ყუთებზე. მისი აზრით, ხევსურეთში, როგორც ჩანს, თავს აფარებდნენ სხვადასხვა ჯურის ყაჩაღები და დევნილები, მათ შორის, ჯვაროსნებიც, რომელთაგანაც ხევსურებს შემორჩათ მალტური ჯვარი ყუთებზე, რომელიც არაა გამოსახული მათ სინმინდებზე. წერილში საინტერესოაა აღწერილი, როგორ ექცეოდნენ ხევსურები ტყვეებს: ხელზე ჯაჭვს ისე მოაბამდნენ, რომ ბოლოთი ჩამოეკიდათ და ტყვეს არც დაჯდომა და არც დანოლა შეძლებოდა. დღემდე შემორჩენილია გამხმარი მკლავები, რომელთაც აჭრიდნენ ბრძოლისას

სხვადასხვა მთის ხალხს. ჩეჩნები სიღარიბის გამო ხშირად ესხმოდნენ თავს ხევსურებს და ველარც ბრუნდებოდნენ სახლშიო. წერილის მესამე ნაწილი, ძირითადად ჩეჩნებზე, ქისტებზე და ინგუშებზეა. დეტალურადაა აღწერილია ეკლესიის ნანგრევები, რომლის აგებასაც თამარს მიანერენ, ლეგენდა ინგუშების წარმოშობაზე და აღწერილია ამ მთის ხალხის ყოფა-ცხოვრება.

საკვანძო სიტყვები: ხევსურები, ქისტები, ინგუშები, ჩეჩნები, ტყვე, ჯვაროსნები, თამარის ეკლესია.

Key words: Khevsurians, Kists, Ingushs, Chechnians, a captive, crusadors, the church of Tamar.

CK, 1847, გვ. 102-115, „ტრჟასკოვის ჩანაწერებიდან, გურიის სოციალური ფენების შესახებ“: წერილი ცდილობს, განასხვავოს ხელმწიფე და ბატონი, რომელიც გურიაში არის გურიელი, ხოლო სამეგრელოში – დადიანი. დღეს ამ წოდებამ გვარის სახე მიიღო. მათი ცოლები იყვნენ დედოფლები, ხოლო შვილები ბატონიშვილებიო. გურიაში, ისევე როგორც იმერეთში, არიან თავადები, რომელთა შორის ყველაზე წარჩინებულია თავადი, შემდეგ საპატიო კაცი, შემდეგ კი მოღის აზნაურიო. ყმა ანუ გლეხი კაცი იყოფა: მსახურებად, მებეგრეებად და მოჭალაბეებად. ეს სამი კატეგორია კიდევ მრავალ ტიპად იყოფა თავის მხრივ, რომელთა შორისაც არიან მეთოხეები და შინაყმები.

საკვანძო სიტყვები: ხელმწიფე, ბატონი, გურია, გურიელი, თავადი, აზნაური, გლეხი.

Key words: The king, the master, gurie, the gurie, Gurieli, the nobleman, the peasant.

CMOMPK, 1890, №10, ნაწ. 1, გვ. 69-87, გვ. 69-87, დ. მარგიანი, „სვანები“: წერილი აღწერს სვანების ყოფას: ქალისა და მამაკაცის საქმიანობებს. ნადირობას უკავშირდება გარკვეული აკრძალვები. ამ აკრძალვებს შორისაა: ქალისთვის ხმის გაცემა, მასთან ფიზიკური სიახლოვის აკრძალვა, სანადიროდ გასვლის წინა ღამეს ოჯახში რომელიმე ქალის დედათა წესი უწმინდურ მოვლენად ითვლებოდა და სხვ. მონადირე ლოცულობს დალის სახელზე აღმოსავლეთით პირშებრუნებული. დალი ესაა ულამაზესი ქალი, რომელიც მაღალ კლდეებში ბინადრობს. მხოლოდ დალის შეუძლია, მონადირის საქმიანობა წარმატებული გახადოს. თუმცა მონადირე მთის მეუფეებსაც თხოვს შემწეობას, ძირითადად, ესაა რაფაელი. წერილი აღწერს სვანების სახლებს, შიდა მონყობილობას. წერილში გადმოცემულია ქორწინების, დაკრძალვისა და მიცვალებულთა მოხსენიების წესები. ქორწინების აღწერის შემდეგ ავტორი აღნიშნავს, რომ სვანებს საქორწინო სიმღერები სვანურ ენაზე არა აქვთ, თუმცა არსებობს ერთი მოკლე სიმღერა, რომელსაც ასრულებენ გაბმულად. მოტანილია მისი ტექსტი, სულ ორი სტრიქონი. ნიშნობასა და ქორწილს შორის უნდა გავიღოს ნახევარი წელი მაინც.

ქორწილი ეკლესიაში სრულდება. წერილის ბოლოს ჩამოთვლილია: ცრურწმენები, ნავსი დღეები, ფიცის დადება. მოცემულია მსხვერპლშენიერვის დროს წარმოსათქმელი ტექსტი სვანურ ენაზე რუსული თარგმანით.

ახალი წლის დადგომამდე ოჯახის ერთი წევრი მიდის ტყეში და ჭრის ხეს. პირველი ნაფოტი თუ მინაზე ქერქით დაეცემა, აღნიშნავს, რომ ხე ბედნიერია და ის მოაქვთ სახლში. მას უწოდებენ ხულ-ს. სახლში მოტანის მერე ბიჭს შემოისვამენ კისერზე და სამჯერ შემოუვლიან შუაცეცხლს სიტყვებით: ხიცი დუნუ ბანბხუ, ხიპინ გედან ბანბხუ. ამის შემდეგ ხის ერთ ბოლოს ცეცხლში ჩადებენ, მეორეს კი წაუსვამენ ცომს და მასზე მოათავსებენ შალს. მასზე გადატეხავენ პურს და სამსამჯერ წარმოთქვამენ: ესაა ძროხა, ესაა ხარი და ა.შ. ირჩევენ ერთ ქალს და ერთ კაცს, რომლებიც უთენია დგებიან, მიაქვთ სავსე კალათი წყაროსთან ისე, რომ ერთმანეთის სუნთქვაც კი არ უნდა ესმოდეთ, ილოცებენ და ბრუნდებიან სახლში.

წერილი აღწერს ნათლისღების დღესასწაულს და ლიტანიალი, ასევე, წარმოგვიდგენს წარმოსათქმელ ტექსტებს სვანურ ენაზე რუსული თარგმანით. სვანებს სწამთ, რომ მათი მიცვალებულების სულები ოჯახში ბრუნდებიან, მოისვენებენ და ისევ განაგრძობენ გზას. მობრუნებულები არიან ისინი, ვინც სიცოცხლეში კოჭლობდა და ამ მიზეზით დანარჩენ სულებს ვერ ეწვეიან და უჭირთ გადაადგილება. წერილი სრულდება ლამპრობის აღწერით და გადმოსცემს სვანურ ენაზე ტექსტებს, რომელსაც რიტუალში მონაწილეები წარმოთქვამენ. ესაა უმაღლესი ღვთაებისადმი, მიქაელ მთავარანგელოზის, სერაფიმებისა და ქერუბიმების, წმინდა გიორგის მისამართით აღსავლენი ლოცვა. ლოცვის გარდა, რიტუალის შესრულების დროს მნიშვნელოვანია, რომ პარასკევს დილით ერთი ქალი და ერთი მამაკაცი თითოეული ოჯახიდან უთენია დგება, მამაკაცი სრულიად შიშველი გამოობის და სახლს სამჯერ შემოურბენს თან წარმოთქვამს სიტყვებს: ჩვენი ქურდი შიშველია და ცარიელი წავა აქედან. ქალი კი მოკრებს ნახშირს, გააქვს გარეთ და წვავს. ვინც ამ წესს არ დაიცავს, მისი ცხვარი დაიღუპება.

საკვანძო სიტყვები: სვანური წეს-ჩვეულებები, სვანური დღესასწაულები.

Key words: Svan rites, Svan holidays.

СМОТРИК, 1890, №10, №1, გვ. 88-94, მღვდელი გულბიანი, „მოკლე მიმოხილვა (სვანების რელიგიურ-ზნეობრივი მდგომარეობა)“: მიუხედავად იმისა, რომ სვანები მართლმადიდებელი ქრისტიანები არიან, მათში ჯერ კიდევ შემორჩენილია წარმართული რწმენა-წარმოდგენები. მათ სჯერათ მთის, ტყის, ნადირის მფარველების არსებობა. ამიტომაც ხშირად მიმართავენ მსხვერპლშენიერვის წესს შემალღებულ ადგილებში. სვანები ხშირად ახსენებენ სამების სამივე წევრს, ქრისტეს როგორც მაცხოვარს და სულიწმინდას როგორც სული-ღმერთს. ისინი განსაკუთრებით პატივს სცემენ წმინდა გიორგის. მათ სჯერათ, რომ მიცვალებულები ფიზიკურად არსებობენ საიქიოში და სჭირდებათ საჭმელ-სასმელი. ყოველწლიურად მიცვალებულები ბრუნდებიან ოჯახებში და მათი სტუმრობა

გრძელდება ერთ კვირას. ამ დროისთვის სვანები განსაკუთრებულად ემზადებიან, ასუფთავებენ სახლებს, რეცხავენ ჭურჭელს, ამზადებენ გამორჩეულ სადილს. ხშირად სვანები იფიცებენ მზეს და ცეცხლს. მზის დაბნელებას უკავშირებენ გველეშაპის მიერ მზის გადაყლაპვას, ამიტომაც თოფებიდან ისვრიან გველეშაპის დასაფრთხობად. ხშირად უამინდობას აბრალებენ ახლად გარდაცვლილს და ამის გამო მას მიწიდან იღებენ და ხელმეორედ კრძალავენ, ეს შეიძლება რამდენჯერმე მოხდეს. სვანებს ხარები და კატები წმინდა ცხოველად მიაჩნიათ და პატივით ექცევიან, თუმცა გვალვის დროს კატას ჩუმად იჭერენ, ეკლესიაში კლავენ და მის სისხლს კედლებს მიაცხობენ. წერილი აღწერს ქრისტიანულ წესებსაც, რომლებსაც მისდევნებენ სვანები, მათ შორის მარხვას.

საკვანძო სიტყვები: მიცვალებულთა სტუმრობა, ცრურწმენები, ამინდთან დაკავშირებული წარმოდგენები.

Key words: Visiting deads, superstitions, beliefs about weather.

CMOMIK, 1890, №10, ნაწ. 1, გვ. 95-102, ს. სანებლიძე, „სენაკის მაზრა“: სენაკის მაზრის სოფლებია: სენაკი, საჩიქობავო, სორტა, კოტიანეთი და ძველი სენაკი და ის ქუთაისის გუბერნიას ეკუთვნის. წერილში მოცემულია განმარტებები სოციალური იერარქიის შესახებ, მაგალითად, დივანბეგის, სახლთუხუცესის, ბოქაულის. აღწერილია ისტორიული და არქიტექტურული ღირსშესანიშნავობები. კარმიდამოს აღწერისას საინტერესოა სამუარხოს, მარნის და ოფურჩის აღწერა. აქ საუბარია ამ სენაკელთა საკვებსა და ჩაცმულობაზე ამ მხარის ფლორითა და ფაუნით დაინტერესებული მკითხველისთვის.

საკვანძო სიტყვები: სენაკი, სოციალური იერარქია, ფლორა, ფაუნა.

Key words: Senaki, social hierarchy, flora, fauna.

CMOMIK, 1890, №10, ნაწ. 1, გვ. 102-113, ვ. გავუა, „ნოსირის დასახლება“: ნოსირი ახალ სენაკთან მდებარეობს. ავტორი აღწერს ნოსირელების: სახლკარს, სოციალურ იერარქიას, ფლორას, ფაუნას, ყოფას, რამდენიმე საყოფაცხოვრებო წეს-ჩვეულებს, ესენია: ბავშვის დაბადებასთან, ნათლობასთან, ქორწინებასთან, დაკრძალვასთან დაკავშირებული. განიხილავს ქორწილსა და დაკრძალვაში შესასრულებელ სიმღერებს. ცალკე გამოყოფს რამდენიმე სიმღერას და აღნიშნავს, რომ ლირიკული გმირის საგმირო საქმეების შექების ნაცლად, აქებენ მათ სამიჯნურო თავგადასავლებს. ავტორს მოაქვს ამის მაგალითები, რომელთა შორისაც არის ხუთი სიმღერის ნაწყვეტი. წერილის ბოლოს განხილულია ცრურწმენები და შეხედულებები მეტეოროლოგიურ მოვლენებზე, სულ – ოცდაერთი. მაგალითად, ჭექა-ქუხილი მათთვის არის წმინდა გიორგის რაშის ფლოქვების ხმა, როდესაც წმინდანი მისდევს ეშმაკს. მეხის დაცემა რომელიმე სახლზე კი იმის მომასწავებელია, რომ ეშმაკმა თავი შეათარა მას. ციებინმა ავადმყოფმა უნდა მოძებნოს ისეთი მუხა, რომელიც ერთი

ფესვიდანაა ამოსული და ორი ტანი აქვს, ხოლო შემდეგ ისევ ერთდება. თუ მათ შორის გაძვრება სნეული, განიკურნება. თუთაშით დაავადებული ბავშვის პერანგი უნდა დაინვას მის თავთან, რათა ავადმყოფი განიკურნოს; ახალ მთვარეს ვინც თვალს მოკრავს, ადგილიდან არ უნდა დაიძრას და წარმოთქვას: თუთა ახალ, ღორონთი სი გამახარი; ბელურას დაყვირება ახალი ამბავია, ყვავისა – კი ოჯახის წევრის სიკვდილი, როგორც მამლის ყვილი სალამოს; სიზმარში კბილის დაკარგვაც სიკვდილია, ხოლო სიკვდილი სიზმარში მტრის სიკვდილის მაუნყებელია.

საკვანძო სიტყვები: ნოსირი, მეტეოროლოგიური ცრურწმენები, საგმირო-სამიჯნურო სიმღერები.

Key words: Nosiri, meteorological superstitions, heroic-romantic songs.

СМОМПК, 1890, №10, ნან. 1, გვ. 113-116, ა. დგებუაძე, „აბედათის თემი“: აბედათის თემი სამი სოფლისგან შედგება. ესენია: აბედათი, ჯოლევი და კვაუთი. წერილი იმითაა საინტერესო, რომ გვიყვება ადგილობრივების რწმენაზე, უფრო სწორედ, ცრურწმენებზე. მათ ჰყავთ მაკითხეები, რომელთაც, ავადმყოფობების მორჩენის გარდა, შეუძლიათ მკითხაობა. ამას ისინი ეძახიან კითხირს. კითხირს ასწავლიან შვილებს და მემკვიდრეობით გადასცემენ ცოდნას. წერილი სრულდება იმ ამბის მოყოლით, თუ როგორ გააკოტრეს ოჯახი მაკითხეებმა და ბოლოს ფელშალმა როგორ მოარჩინა ავადმყოფი ერთი წამლით.

საკვანძო სიტყვები: აბედათის თემი, ექიმბაშები.

Key words: Avedati community, medical quackery.

HO, 1884, №226, „15 აგვისტო ალევის მთაზე (ღუშეთის მაზრა)“: მოკლე წერილში აღნიშნულია, რომ ადგილობრივები განსაკუთრებული მოწინებით აღნიშნავენ ორ ღღესასწაულს – ღუთისმშობლის მიძინებას აგვისტოში და გიორგობას ნოემბერში. ალევის მთის წვერზე არის ეკლესია, რომელსაც ვახუშტიც მოიხსენიებს. ამ ეკლესიას ოქროსკარიანიც ერქვა. ეკლესიაში ღღესასწაულზე იკრიბება ხალხი. მათი ქცევა საგრძობლად განსხვავდება ქართლის სხვა ეკლესიებში გამართული დღეობებისგან, სადაც კინტოები გამომწვევად ცუდად იქცევიან. ალევში პროცესიას წინ ხატებითა და დროშით ხელში მიუძღვის წინამძღოლი. ავტორი სხვა არაფერ საინტერესო ინფორმაციას არ აწვდის მკითხველს.

საკვანძო სიტყვები: ალევი, ოქროსკარიანი, კინტო.

Key words: Alevi mountain, Golden doors, Kinto.

HO, 1886, №754, 760-761, დ. სოსლანი, „კავკასიის ეთნოგრაფიიდან – ფშაველები“: ავტორი ამუსტებს, რომ ფხოველი ფშაველის სინონიმია, ფხოველებს კი უამთააღმწერლები ახსენებენ ქრონიკებში. ერთ-ერთი ცნობით, ფხოველებს გაქრისტიანება მირიან მეფის სახელს უკავშირდება; მეორეთი კი, ფხოველებს თავიანთი ფარებით და ფარიკაობის წესით გაუოცებიათ თვით პომპეუსი.

წერილში რომანტიკულადაა აღწერილი ფშაველი ქალების გარეგნობა და მათი ყოფის მახასიათებლები. ავტორი აღნიშნავს, რომ ფშაველ ქალს მშობიარობა უადვილდება, ვინაიდან ის ბოლო წუთამდე შრომაშია – ყოფილა შემთხვევები, რომ საძოვარზე საქონელი გაურეკია და საღამოს ჯუბით ახალგაჩენილი შვილი მოუყვანია. ავტორი განსაკუთრებით საინტერესოდ მიიჩნევს წაწლობის წესს. ის ამ წესს ხსნის იმით, რომ ნახირის სამწყემსად გასულ ფშაველ ქალს მცველი სჭირდებოდა და მცველის ფუნქციას წაწალი ითავსებდა, წინააღმდეგ შემთხვევაში, მარტოდ მყოფ ქალს უამრავი ხიფათი შეხვდებოდა. ის თვლის, რომ წაწლობას ქალების მოყვარული ლაშა-გიორგი მფარველობდა და ცალი თვალიც კი დაუკარგავს მათ დევნაში. სახელი ლაშა ლამაზს აღნიშნავს და მისი კულტი გადავიდა ლაშარობის დღესასწაულში. ფშაველი ქალები, ამორძალების მსგავსად, ცხენებით ჩამოდიოდნენ ბარში და იქ რამდენიმე დღით რჩებოდნენ მამაკაცების საზოგადოებაში. ამ მოსაზრების დასტურად მას ერთი ხალხური სიმღერის ნაწყვეტი მოაქვს: ბევრი ქალი გადიბოტებს ლაშარობას ლურჯაზედა.

საკვანძო სიტყვები: ფშაველი ქალი, წაწლობა, ამორძალი, ლაშა-გიორგი, ფარიკაობა.

Key words: Pshavian, Tsatsloba, Amazons, Lasha Giorgi (George IV of Georgia), Fencing with shields.

HO, 1886, №721, დ. სოსლანი, „კუსტარული მრეწველობა კავკასიაში“: წერილის მიხედვით, მართალია, ცივილიზაცია კავკასიაში რუსეთმა შეიტანა და აქ ველური ხალხი ცხოვრობს, მათ მაინც შეუძლიათ სხვადასხვა ტიპის პროდუქტის წარმოება. დღეს კუსტარული წარმოება შემორჩენილია მთაში, სადაც უპირატესობა ენიჭებათ ქალებს ქსოვილის და სხვა აუცილებელი საქონლის დამზადებისას. მაგალითად მოყავს ყაზბეგის გვარისა და სტეფანწმინდელი ქალები, რომელთა შემოქმედებაც იყო ის საჩუქრები, რომლებიც მხარეთვეს რუსეთის ხელმწიფეს უკანასკნელი სტუმრობისას. ამ ძღვენში გამორჩეული იყო ოქრომკერდით განწყობილი თივთიკი. წერილი აღნიშნავს თრუსოში წარმოებულ ყველს, რომელიც გემოთი არაფრით არ ჩამოუვარდება ჰოლანდიურს. მას კობელი მედექნეები იათად ყიდულობენ და ძვირად ყიდიან მოგზაურებზე.

საკვანძო სიტყვები: ოქრომკედი, თრუსოს ყველი.

Key words: Sewing with silver and golden threads, Trusoan cheese.

HO, 1897, №4555, 1-2, რ. ერისთავი, „სვანეთი – ეთნოგრაფიული ჩანაწერები“: წერილი საინტერესოა იმდენად, რამდენადაც ანალიზებს პრობლემას, რომელიც ახალშობილი გოგონების მკვლელობას მოჰყვა, ანუ მამაკაცთა დაქორწინების პერიოდისთვის ქალების უკმარისობას. ხშირად მამაკაცები შვილების დაბადებამდე თანხმდებოდნენ, თუკი მათ შეეძინებოდათ საპირისპირო სქესის

მაშვეები, დამოყვრდებოდნენ და დააქორწინებდნენ – ეს სიკვდილისგან იხსნიდა გოგონას. ამიტომვე, როდესაც ოჯახს შეეძინებოდა ქალიშვილი, ხშირი იყო გოგონას აკვანში დანიშვნა. ნიშნობისას ტყვიის ჩუქება ნიშნავდა იმას, რომ, თუკი ქალიშვილი ცოლად სხვას გაჰყვებოდა, ამ გოგონას მამა ან ვაჟიშვილის მამა სიკვდილით გასწორდებოდნენ. წერილში აღწერილია ნიშნობა, შუამავლის როლი და შეთანხმების მიღწევის შემდეგ წარმოთქმული სადღეგრძელოები, ასევე მზითვეი და სხვა დეტალები. ავტორი შეეხება სვანური დაკრძალვის წესსაც. მიცვალებულს ხშირად იქამდე აჩერებდნენ, სანამ ოჯახი არ იშოვიდა საკმარის არაყს და პურს ქელეხისთვის. ასეთ დროს ცხედარს ქვიშას აყრიდნენ. როდესაც აღამიანი ავადმყოფობისგან კვდებოდა და ის იცვლიდა ფორმებს, მაგალითად, სივდებოდა, მას სასაფლავს ტერიტორიიდან შორს კრძალავდნენ. თუკი დაკრძალვა სეტყვას გამოიწვევდა, ცხედარს ამოთხრიდნენ და სოფლისგან მოშორებულ ტერიტორიაზე დაკრძალავდნენ, მის საფლავს კი ქვებს შემოუწყობდნენ. მიიჩნევდნენ, რომ ასეთი მიცვალებული გარდაიცვალა ან ქელეფანით ან მან სიცოცხლეში სეტყვით მოკლული საქონლის ხორცი შეჭამა.

საკვანძო სიტყვები: სვანეთი, დაკრძალვა, აკვანში ნიშნობა, ტყვია, სეტყვა.

Key words: Svaneti, Burial, marriage in cradle, bullet, hail.

HO,1903, №6336, 6338, მ. შოსტაკი, „რაჭაზე და სვანეთზე“: ავტორი ცდილობს იმის ახსნას, რატომ ჰქონდათ სვანებს ცხოვრების სხვათაგან განსხვავებული წესები. მისი აზრით, ეს გამომდინარეობდა იქიდან, რომ სვანეთში მისასვლელი ცხრა თვით იკეტებოდა და მოსახლეობას ბუნების უმკაცრეს პირობებში უხდებოდა ცხოვრება. წერილში მიმოხილულია, რამდენად საინტერესო შეიძლება იყოს ბუნებრივი საბადოები იმპერიისთვის, არის თუ არა ოქროს, ვერცხლის, ტყვიის, ბარიტის (მას ფილოქსერასთან ბრძოლაში იყენებდნენ, ასევე სოფლის მეურნეობაში მიწის დამუშავებისას) მარაგი მთაში.

საკვანძო სიტყვები: რაჭა, ლაშხეთი, ცხენისწყალი, სვანეთი, ბარიტი.

Key words: Racha, Lashkheti, Tskhenistskali, Svaneti, Baryte.

HO, 1893, №3323, 1, ა. ხახანაშვილი, „სამოგზაურო ჩანაწერები – ინგილოების ჩვეულებები“: ავტორი წერილში ინგილოთა მიერ ხეთა თაყვანისცემის ფაქტს ხსნის იმ რწმენით, რომ ხეების ძირში დაფლული იყო ხატები. ისინი ხესთან წირავენ მსხვერპლს, არ ამბობენ უწმანურ სიტყვებს. ინგილოების მიერ სარწმუნოების შეცვლას რამდენიმე გადმოცემა უკავშირდება: თურმე ინგილოებს, ენის არცოდნის გამო, იმდენად გაუჭირდათ ახალ სარწმუნოებაში გარკვევა, რომ მათთან გამოგზავნილი მოლა შეეშვა მათ სწავლებას და უთხრა გაემეორებინათ, რასაც ის გააკეთებდა. ინგილოებმა ეს კარგად დაიმახსოვრეს. ერთხელ მოლას ქადაგებისას ცხვირიდან წასკდა სისხლი, ხელი მოიკიდა ცხვირზე სისხლის შესაჩერებლად და მდინარისკენ გაიქცა. მისი საქციელი ზედმიწევნით გაიმეორეს

ტაძარში მყოფმა ინგილოებმაც. გაოგნებული მოლა ვერ მიხვდა, რა ხდებოდა და ხელის ქნევით ანიშნა: – აბრუნდით სალოცავადო. ინგილოებს მოლასავით აუტეხავთ ხელის ქნევა. მეორე გადმოცემა მოგვითხრობს, თუ როგორ ასტკივდა მოლას კუჭი ქადაგებისას და როგორ მიბაძქეს მას ინგილოებმა. წერილი, ასევე, შეეხება ლეკების ბატონობას საინგილოში.

საკვანძო სიტყვები: ანეკდოტური გადმოცემა, საინგილო, წმინდა ხეები, ლეკები.

Key words: Anecdote, Saingilo, holy trees, Lezgins.

HO, 1894, №3525, 1, **აშკარ ნაკამი**, „სვანების ყოველდღიურობიდან“: წერილში აღწერილია, როგორ იძიებენ დანაშაულს სვანეთში. მაგალითად, ავტორს მოჰყავს ოთხმოცდაათიანი წლების დასაწყისში მომხდარი სასტიკი დანაშაული, როდესაც ჭირის სუფრაზე იქ მყოფები მოინამლნენ დარიშხნით, რამდენიმე ადამიანი კი გარდაიცვალა. სვანებმა შექმნეს „საგამოძიებო კომისია“, რომელმაც დასაბუთების გარეშე დაადგინა, რომ დამნაშავე იყო იმ გარდაცვლილის ცოლი, ვის ქვლებშიც დანაშაული მოხდა. ავტორი ამ მაგალითით ცდილობს იმის ახსნას, რომ მტკიცებულების გარეშე ხდება ადამიანების გამტყუნება და დადნაშაულება. ამიტომ სვანეთში ბევრია ძებნილი, რომელთაც, მიუხედავად იმისა, რომ დანაშაული არ ჩაუდენიათ, არ ელოდებიან სასამართლო როდის გაამართლებს და გარბიან. საქმე ისიცაა, რომ ქუთაისში, სადაც სასამართლო უნდა გაიმართოს, სვანები ადვილად ხდებიან ავად ციებ-ცხელებით. ეჭვმიტანილს კი ციებ-ცხელებისგან გარდაცვალებას ურჩევნია, გაიჭრას ტყეში და ძებნილი გახდეს, ვიდრე გამართლდეს.

საკვანძო სიტყვები: სვანეთი, ცილისწამება, ციებ-ცხელება, ძებნილი.

Key words: Svaneti, accusation, malaria (hyoerpyrexia), fugitive (a wanted person).

HO, 1896, №4426, 4442, 1, **რ. ერისთავი**, „ეთოგრაფიული ჩანაწერები – სვანეთი“: წერილში აღწერილია ახალი წლის დღესასწაული მეკვლეობის ტრადიციით, ლიფანალი, სვიმნობა და მისარობა. ახალ წელს სვანები გადიან ტყეში და ჭრიან იმ ხეს, რომლის მერქნის ნამტვრევიც ზედაპირით მიწაზე დაეცემა. ამ ხისგან ამზადებენ ხულს. ავტორი აღწერს ხულის მნიშვნელობას და ფუნქციას. ლიფანალი მიცვალებულთა სულების გამოხმობის დღეა. ამ დღეს განსაკუთრებული პატივით ექცევიან ბავშვებს. სვიმნობას 1-ლ თებერვალს აღნიშნავენ, ხოლო მისარობა ფარისეველთა კვირის დაწყებამდე აღინიშნება. ამ დღეს ლევულამს, საგანგებოდ ამ დღისთვის გამოზრდილ ღორს, აჭრიან ყურს და მარჯვენა ფეხებს, შიგნულთან ერთად ხარშავენ და წირავენ უღვლამის წმინდა გიორგის.

საკვანძო სიტყვები: სვანეთი, ახალი წელი, ლიფანალი (სულების გამოხმობის დღე), სვიმნობა, მისარობა (უღვლამის წმინდა გიორგის დღესასწაული).

Key words: Svaneti, New year, Lipanali (visiting dead souls), Svimmoba, Meisaroba (the day of Saint George of Ughvlami).

K, 1846, №44, „სვანეთი“: წერილი მომზადდა შახოვსკის 1834 წლის და 1839 წლის ნუმეროვიჩ-დანჩენკოს სამოგზაურო ჩანაწერების მიხედვით. ავტორი გვიყვება, როგორ დასახლდა ფარნავაზის ვაჟი, თავის მომხრეებთან ერთად, ამ ადგილებში და სიტყვა სვანეთს უკავშირებს „სავანეს“. აღნიშნულია, რომ 3000 ოჯახიდან 200 დადემქელიანებს ექვედებარება. წერილი მიმოიხილავს ადგილობრივების ყოფას, მათ შორის, რამდენიმე წესს: ნადირობის წინ მონადირე ესვრის ფრინველს და თუ ვერ მოკლა, ეს წარუმატებელი ნადირობის ნიშანია და აღარ წავა სანადიროდ. სანადიროდ წასულები ერთმანეთს არ სცემენ ხმას, გზაში მღერიან, მაგრამ ისე, რომ უკან ან წინ მიმავალს არ ესმოდეს. ავტორი შენიშნავს, რომ ოდესღაც სვანები ქრისტიანები იყვნენ, რასაც მოწმობს დიდებული ეკლესიები, იქ შემონახული ხატები და ხელნაწერები. ამ ტაძრების აგებას თამარის ეპოქას მიაწერენ. სვანებს სჯერათ, რომ მათთან ინახება თამარის თმის კულუღი და მისი სარტყელი. ახალშობილი გოგოების შესახებ წერილში დაცულია შემდეგი ცნობა: უშგულში ახალშობილ გოგოს კლავენ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი მანამდე ოთხი გოგონა დაიბადა და ოთხივე ცოცხალია. ნათლობისას ახალშობილის თავზე ჯვრის გამოსახვით შემოიფარგლებიან. ქორწინებისას დეკანოზი სიძის სახლში დასვამს ნეფე-პატარძალს და გამოუკვანძავს ნეფის პერანგის ბოლოსა და დედოფლის კაბის სახელოს. ამის შემდეგ ახალდაქორწინებულები შეუღლებულებად ითვლებიან. საინტერესოა, რომ წერილის ავტორი აღწერს ქუთაისში გარდაცვლილი და დაკრძალული სვანის სულის სახლში გაცილების წესს: საავადმყოფოში, სადაც აღესრულა სვანი, მიიყვანეს მამალი (ქალის შემთხვევაში იქნებოდა დედალი), გამოლოცვის შემდეგ გადაინაცვლეს საფლავთან, იქაც გამოულოცეს, პეშვი მინა გამოკრეს ქისაში და მამალი, რომელშიც ჩასახლდა სული, მოაბრუნეს შინ. სახლში უკვე ტრადიციული წესების მიხედვით აღასრულეს დაკრძალვა. წერილში აღწერილია სვანების გარეგნობა (ავტორს სვანები რუსებს აგონებს), მათი ხასიათი, განსჯის კარგი უნარები და ბუნებრივად მოქნილი ტვინი, მოსავლის აღების პერიოდები, ასევე უთანხმოების გადაწყვეტის წესები, შურისძიება და სხვა საკითხი. წერილს ერთვის „მამაო ჩვენო“-ს ტექსტი სვანურ ენაზე ჩაწერილი რუსული და ქართული ანბანებით.

საკვანძო სიტყვები: სვანები, მამლით სულის გადმოყვანა, ქორწინება, ნადირობა, თამარ მეფე.

Key words: Svanetians, taking soul by cock, wedding, hunting, King Tamar.

K, 1845, N50, ი. ცისკაროვი (ი. ცისკარიშვილი), „თუშეთის სურათი“: ავტორის მოსაზრებაა, რომ წოვა თუშები ქისტებს ენათესავებიან. წერილის ძირითადი ნაწილი აღწერს თუშეთის ბუნებას და აღნიშნავს, რომ ადგილობრივების ხალხურ

სიმღერებში დაცულია ინფორმაცია დაღესტნელების შემოსევების შესახებ. დაღესტნელებს მეთაურობდა ნუნსალი, რომელიც 1801 წელს გარდაიცვალა. წერილი ფოლკლორისტების ყურადღებას მიიქცევს მხოლოდ ლეგენდით, რომელშიც ავტორი ამირანის მთის აღწერისას აღნიშნავს, რომ ადგილობრივები, ისევე როგორც კახელები, ყვებიან, რომ ამ მთაზე მიჯაჭვული იყო გაბუდაყებული ამირანი. მას დარაჯობდა ორი ძაღლი, რომლებიც ლოკავდნენ ჯაჭვს. შეთხელე-ბული ჯაჭვი ყოველ ახალ წელს, მჭედელთა ძალისხმევით, ისევ მთელდებოდა. საინტერესოა, რომ, ავტორის ცნობით, მთხრობელი ჯაჭვის განწყვეტასთან დაკავ-შირებით ამბობს: „ღმერთმა დაგვიფაროს“. ავტორი გამოთქვამს ვარაუდს, რომ ლეგენდა პრომეთეს ამბავს იმეორებს და რომ, შესაძლოა, ბერძნებმა თავიანთ ლეგენდებში ქართველებისგან გადაიტანეს ეს სახე. თანაც ამირანის მთის წინ ძერას მთაცაა, ბერძნული ლეგენდის მიხედვით კი, პრომეთეს ღვიძლს ძერა უკორტნიდა.

საკვანძო სიტყვები: ნოვა-თუშები, ამირანი, პრომეთე, ნუნსალი.

Key words: Tsovatushians, Amirani, Prometheus, Nuntsal.

K, 1848, №27, ნაკაშიძე, „ახალი წელი და გურულების სხვა წეს-ჩვეულებები“: წერილი აღწერს ახალი წლის პირველ დღეს და მეორე დღეებსა და მარხვის პირველ დღეს შესასრულებელ წეს-ჩვეულებებს. ავტორის დაკვირვებით, ახალი წლის სამზადისი შემდეგნაირია: ზრდიან შინაურ ფრინველს (ოჯახის თითოეულ წევრზე თითო სულს), კლავენ ღორს, გამოაქვთ ოჯახიდან, რისი გაყიდვაც შეუძლიათ, რადგან სწამთ, რომ ამ დღეს განსაკუთრებულად უნდა შეხვდეს და, ვინც ამას ვერ ახერხებს, ის უბედურ ადამიანად მიიჩნევა თავს. მთელ ღამეს სიმღერებსა და ცეკვებში ატარებენ მამაკაცები, გამოთენისას კი ეწყობა დიდი მსვლელობა. პროცესიის მონაწილეებს წინ მიაქვთ წმინდა ბასილის ხატი, ჩაჩალაკი (ავტორი ასე უწოდებს ჩიჩილაკს) და ხონჩა, რომელზეც აუცილებლად ძვეს ღორის თავი. ასე მოივლიან ყველა სახლს. მასპინძლები ისე არ გააღებენ კარს, თუკი მოსულთა და დამხვდურთა შორის სამგზის არ გაიმართება საგანგებო დიალოგი. სახლის დატოვების შემდეგ პროცესიის თითოეული მონაწილე შეშას ისვრის ცეცხლში. მას შემდეგ, რაც პროცესია შემოივლის მთელ სოფელს, ისვრიან თოფებს და მიდიან ეკლესიებში. ეკლესიიდან გამოსულები მარანში აგუნას იხსენიებენ. წერილში აღწერილია როგორც ეს ჩვეულება, ასევე ის წესები, რომლებსაც მეორე დღეს აღასრულებენ ოჯახის დიასახლისები შინაური ფრინ-ველების გამრავლების მიზნით. ყურადღებას იმსახურებს მარხვის პირველი დღე. გურულები ჩუტყვავილისგან დასაცავ წეს-ჩვეულებებს მიმართავენ, რომელთა შორისაც პატარა ცომის ბურთულების გამოცხობაა. ვისაც სახადი არ შეხვედრია, არ ეკარება: მარცვლეულს, სავარცხელს, საკერავს, რადგან, თუკი დაავადება მაინც შეხვდებათ, არ დარჩეთ ნიშნები. ავტორი აღწერს მოლოგინების წესებს. მის ყურადღებას იქცევს მოსალლოცად მოსული თანასოფლელები, რომელთა

შორისაც, შესაძლოა იყვნენ ღორისა და ცხენის ფორმებში მორთული ქალებიც. წერილში დიდი ადგილი ეთმობა წეს-ჩვეულებას, რომლის მიხედვითაც, წმინდა თევდორეს ხსენების შემდეგ სპეციალურ ჭურჭელში ყრიან გამომცხვარ ფიგურებს. ამ ფიგურებს პირით იღებენ რიტუალის მონაწილეები და შემდეგ ბაძავენ ცხენებს. წერილი საინტერესოა შინაური პირუტყვისა და ფრინველის გამრავლებასთან დაკავშირებულ წეს-ჩვეულებებითაც.

საკვანძო სიტყვები: ახალი წლის პროცესია, ჩუტყვავილა, ჩიჩილაკი, ღორის თავი, ცომის ფიგურები, მარხვის პირველი დღე.

Key words: New-Year procession, smallpox, Chichilaki, a head of the pig, daugh figures, the first day of the lent.

K, 1850, №50, ვ. პერევალენკო, „გოჭის ხუთშაბათი“: ავტორის ცნობით, გოჭის ხუთშაბათს აღნიშნავენ ზემო რაჭაში ხოლო ქვემო რაჭველებს აქვთ ბოსლობა. ბოსლობის მომდევნო კვირაში, ყველიერის წინა კვირას, ორშაბათიდან მოსახლეობა მარხულობს და ემზადება ხუთშაბათისთვის. ლიტურგიის შემდეგ ანთებული სანთლით მიდიან ოჯახებში, სანთლით მოივლიან ბაგას, პირუტყვის სადგომებსა და ამის შემდეგ მიუსხდებიან გაშლილ სუფრას, რომელზეც ძირითადი კერძია გოჭი, თუმცა სუფრას არც ფრინველის კერძები აკლია განწყობილი კვერცხითა და მწვანილეულით. წერილში ავტორს მოაქვს ლოცვის ტექსტი რუსულ ენაზე. ამ ტექსტში მლოცველი უფალს ავედრებს პირუტყვს, ფრთოსანს და თხოვს მათ გამრავლებას.

საკვანძო სიტყვები: გოჭის ხუთშაბათი, ბოსლობა, რაჭული დღესასწაული.

Key words: Piglet Thursday, Bosloba, Rachvelian fest.

K, 1850, №97, 98, 99, დ. ბაქრაძე, „ჩემი ნაცნობობა ფშავლებთან“: წერილის პირველ ნაწილში ავტორი ჰყვება, როგორ მოხვდა ფშავლებთან სტუმრად. ის გაჰყოლია სასულიერო პირს, რომელსაც წესი უნდა აეგო მიცვალებულისათვის, 90 წლის დედათა მზისთვის, გამიხარდის ოჯახში. გამცილებელი ზურაბი არცთუ დადებითად ახასიათებს ფშავლებს და აღნიშნავს, რომ მათ ქართველებთან არაფერი აქვთ საერთო და ამიტომაც ამ ორს შორის ხალხს ქორწინება თითქმის წარმოუდგენელია. გამცილებელი ასევე უყვება თავისი ვაჟის ქორწილის შესახებ, რომელიც გომურში გამართეს და იქ შემოხეტებული ფშავლის შესახებ. ავტორის ცნობით, დედათა მზე სახლში გარდაიცვალა, რის გამოც მათთან მეზობლები აღარ დადიან, ვინაიდან, ფშავური წესით, ავადმყოფები და ქალები უწმინდურ არსებებად მიიჩნევიან და მათ სახლიდან მოშორებით მდგარ შენობაში უხდებათ გადასვლა, სანამ ჩვეულ ჯანმრთელ მდგომარეობას არ დაუბრუნდებიან. მეორე ნაწილში ავტორი ყვება, თუ როგორ მოინახულა ბოჭორმის ციხე, რომლის აგებას ვახუშტი ლეგენდარული ქართლოსის პერიოდს უკავშირებს, ხოლო ხალხი – თამარს. სავარაუდოდ, აქ მოსახლეობა თავს აფარებდა სპარსელების

შემოსევისას. ავტორი აღწერს წმინდა გიორგის ეკლესიას და, თუ რა ხდება ბოჭორმის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიაში 10 ნოემბერს, გიორგობის დღესასწაულზე. მესამე წერილი 70 წლის გულიაზეა. მამამისი, მამაცი, ლეკვებმა გაიტაცეს. მამაცი შეეგუა ლეკვებთან ცხოვრებას და ცოლიც მოიყვანა. მათი შვილი ბავშვობიდან ვერ იტანდა ლეკვებს ამიტომ მამა-შვილი გამოიქცა ახმეტაში და იქ დასახლდა. გულია ჩასაფრებულ ლეკვებს ადვილად უსწორდებოდა და მის სიაში მრავალის მოკვეთილი ხელი იყო. პირველი ცოლი ლალატისთვის ცხვირის მოჭრით დასაჯა, მეორე ცოლთან კი 20 წლის ვაჟიშვილი და ლამაზი გოგონა ჰყავდა.

საკვანძო სიტყვები: სამგლოვიარო წესი, ბოჭორმა, ცხვირის მოჭრა, ქალთა ყოფა, გომური – საქორწილო ადგილი.

Key words: funeral rites, Botchorma, cutting of the nose, the fate of women, Gomuri – a wedding-room.

K, 1851, №11, ვ. ცვეტკოვი, „ღამისთევა, სირისკუდი“: წერილის ავტორი საჩხერეში თავად წ.-ის ოჯახში სტუმრობისას შეესწრო საინტერესო წეს-ჩვეულებას: მელოგინეს, რომელმაც პირველად შვა ძე, უამრავი ადამიანი უთევდა ღამეს. თავადმა სტუმარს აუხსნა, რომ პირველი შვილის შემთხვევაში ღამისთევა გრძელდება 14 ღამე და ყოველ შემდგომ ახალშობილზე გათენებული ღამეების რაოდენობა ერთით იკლებს. ღამე არემარეს აყრუებენ თოფის სროლით, სიმღერებითა და თამაშობობებით. ღამისთევას მოსდევს სირისკუდი. ამ სიტყვის ეტიმოლოგიას მასპინძელი უკავშირებს სიტვა „სერი“-ს და მიაჩნია, რომ სირისკუდი ვახშმის კუდია, თუმცა იქვე დასძენს, რომ სირი ჩიტია, ზოგჯერ ბელურა, ზოგჯერ ფარშევანგი ან სირაქლემა. წერილის ავტორი ორივე წეს-ჩვეულებას ბერძნულ მითოლოგიას უკავშირებს (ამ მოსაზრებას ამყარებს იმ სათუო ფაქტით, რომ ახალციხეში იყო აპოლონის ტაძარი, ხოლო ზადენი ზევსია), კერძოდ, აპოლონისა და არტემისის დაბადებას და არგუსის მითს. მისი აზრით, სირისკუდი მომდინარეობს სირინქსიდან და სირისკუდი ჩვეულებრივი ჩიტის კი არაა, არამედ ფარშევანგის კუდია. წერილში ავტორი ღამის თევისას შესასრულებელი სიმღერებიდან გამოყოფს ერთს, რომლის ტექსტიც ქართულადაა ჩაწერილი. ეს სიმღერაა „მზევ შინა და მზევ გარეთა“ დამახინჯებული სახით, რადგან ტექსტი შეიცავს სტრიქონებს სხვა ტექსტიდან – „იაგუნდის მარანში“. თამაშებიდან ავტორი აღწერს ერთს – ყმანვილებისთვის შოლტის გადაჭერას.

საკვანძო სიტყვები: არგუსი, აპოლონის დაბადება, სირისკუდი, ღამისთევა, ბერძნულ-ქართული მითოლოლოგიური კავშირები.

Key words: Argus panoptes, birth of Apollo, Siris-kudi, Ghamis-teva, Greco-Georgian mythological relations.

K, 1851, №22-23, ა. ზისერმანი, „ჩანაწერები ხევსურეთზე“: აქ მოტანილია გადმოცემა, საიდან მოვიდნენ ხევსურები: კერძოდ, თქმულება გუდანელზე, ჭინჭარაულებისა და არაბულების წარმოშობის ისტორია, ებრაული სოფელი ბისო, რომელიც თამარის ეპოქას და ლაშქრობას უკავშირდება. ავტორი გამოთქვამს ვარაუდს ხევსურთა წარმომავლობაზე ჯვაროსნებისგან. მისი აზრით, ჯვაროსნები დარჩნენ ამ ადგილას და იქორწინეს ადგილობრივებზე. ამ მოსაზრებას ამყარებს ტანისამოსისა და იარაღის შედარებით ევროპულთან და ქართულთან. ავტორი მიმოიხილავს ხევსურთა ყოფას: ქალების როლს სამეურნეო საქმიანობაში, საქონლის შარდით თმის დაბანას ფუფხისგან დასაცავად, ჯიხვებზე ნადირობას, სტუმარმასპინძლობის წესს, ჩხუბისას გამოყენებულ საცერულს (დაკბილული ბეჭედი ცერა თითისთვის). აღნიშნავს, რომ ხევსურები აგდებულად მოიხსენიებენ ყველას (ქართველებს ეძახიან ყვითელას, რუსებს – ბაყაყს), ჰატივს მხოლოდ თუშებს სცემენ. წერილში ქართულ ენაზე მოტანილია ხევსურული სიმღერა „თესლი თქვენი სჯობ არწივნო“. მეორე ნაწილში ავტორი დეტალურად აღწერს დატირების წესს, დაკრძალვის შემდგომ სპორტულ შეჯიბრებას, საქორწინო წესებს, ცოლ-ქმრულ ურთიერთობას. ხევსურებში სირცხვილია, თუკი შვილი დაქორწინებიდან სამ წელზე ადრე შეეძინება წყვილს. წერილში საუბარია სალოცავებზეც და სასულიერო იერარქიაზე. ავტორი შენიშნავს, რომ სახელის დარქმევისას ხევსურები ცხოველების სახელებს ანიჭებენ უპირატესობას.

საკვანძო სიტყვები: ჭინჭარაული, არაბული, ჯვაროსნები, სამგლოვიარო წეს-ჩვეულება, საქორწინო წეს-ჩვეულება.

Key words: Chincharauli, Arabuli, Crusadors, Funeral rites, wedding rites.

K, 1852, №23, „ქართული ქორონიკონი“: წერილში ავტორი ამახვილებს ყურადღებას ქართულ ხუთასიან ქორონიკონზე, რომელიც 532 წლიანი ციკლია. მისი აზრით, სიტყვა „ქორონიკონი“ უკავშირდება ბერძნული დროის აღმნიშვნელ სიტყვა „ხრონოსს“, რომელიც იმავდროულად ღმერთიც იყო, ასევე მიიჩნევს, რომ ეს სიტყვა შორს არ უნდა იდგეს მეგრული ღორონთისგან და ქართული ღმერთისგანაც.

საკვანძო სიტყვები: ქართული 532 წლიანი ქორონიკონი, ხრონოსი.

Key words: Georgian 532 year indiction, Chronos.

K, 1853, №39, „ციების ორიგინალური მკურნალობა“: წერილი მოგვითხრობს ციებისგან განკურნების იმავე წესს, რომელიც თავის დროზე გამოუცდია და აღუწერია ვერბნიცკის. ამ წესის მიხედვით, ადგილობრივები ქათმის საღი კვერცხის აპკს ავადმყოფს შემოახვევენ ნეკა თითზე. აპკი მიეკრობა თითს და რამდენიმე საათში იწყება აუტანელი ტკივილი. ტკივილის ინტენსივობა დამოკიდებულია, რამდენად დროულად დაიწყეს მკურნალობა. განკურნებას სჭირდება მაქსიმუმი

სამი დღე და უებარია იმ ავადმყოფებისთვის, ვისაც არ სურს წამლებით მკურნალობა.

საკვანძო სიტყვები: ციება, კვერცხი, ალტერნატიული მკურნალობის მეთოდი.

Key words: Fever, an egg, alternative healing method.

K, 1854, №43-52, რ. ერისთავის მასალების მიხედვით, „ხევსურულ-თუშურ-ფშავური მხარის ჩანაწერები“: პირველ ნაწილში ავტორი მიმოიხილავს ამ სამი ჯგუფის გეოგრაფიულ საზღვრებს, შემდეგ ჰყვება, საიდან მოდიან ისინი, განსაკუთრებით აინტერესებს ხევსური არაბულებისა და ჭინჭარაულების წარმომავლობა და ლლიღვიდან თუშეთში გადმოსული წოვებისა და თუშების ასიმილაციის ამბავი. ფაქტების კონსტატაციის შემდეგ აკეთებს დასკვნებს, მათ შორის საინტერესოა ის, რომ ეს ხალხი ოდესღაც ბარის დასაცავად დააყენეს და მათი შთამომავლები არიან, ამიტომაც საუბრობენ ძველი ქართულით. პირველი ნაწილი სრულდება კლიმატური პირობების, ფლორისა და ფაუნის აღწერით. მეორე ნაწილში მინერალური წყლების განხილვის შემდეგ ავტორი გადადის სარწმუნოების საკითხებზე – აღნიშნულია, რომ მთის ხალხი მრავალღმერთიანობას მისდევს და ახსენებენ ქრისტე ღმერთთან ერთად ღიდ და პატარა და სხვა ღმერთებსაც. გადმოცემულია სამლოცველოების აღწერა, რომელიც ჩვეულებრივი უფანჯრო ოთახია გვერდებზე საჯაროთი და ლუდსახარშით, იქვე ბეღელია. აქვეა სასულიერო იერარქიის (ხევისბერი, დეკანოზი, ხუცესი, დასტური და სხვ.) თითოეული საფეხურისა და ფუნქციის განხილვა. მესამე წერილი აგრძელებს იერარქიების, მათ შორის მესულთანესა და მკითხავის როლის განხილვას და ჩერდება ჯერ ავადმყოფის თავზე ცხვრის დაკვლის (ხელ-მხრის გაბანვა) და მსხვერპლშენიერვის რიტუალზე. აქვეა დღესასწაულების აღწერა და დღესასწაულებისას აღსავლენი ლოცვების ტექსტების რუსული თარგმანი. მეოთხე ნაწილში წერილი გვიამბობს აღდგომის დაანგარიშების წესს ხევსურებში და საუბრობს ფშავებსა და ხევსურებში მთვარის დღის გამოანგარიშების წესის შესახებ მზის ჩრდილის მიხედვით. წერილი სრულდება ქორწინების, შობისა და დაკრძალვის რიტუალების აღწერით. ამ უკანასკნელის განხილვისას მოცემულია ჭირისწყენისა და მითიერების წესებიც. მომდევნო წერილი შეეხება მთიელთა ყოფას, ავადმყოფობებთან ბრძოლის წესებს, განსაკუთრებით, ფრინველთა დაძლევას, ე.ი. ცრურწმენას, რომ ამა თუ იმ გადამფრენს ესა თუ ის დაავადება გადააქვს. წერილის ამ ნაწილში ნახსენებია ე.წ. ფეხანი – ადგილი, სადაც იკრიბებიან ხევსურები და იხსენებენ ძველი დროების ამბებს. ბოლო წერილი შეეხება ხევსურების, ფშავლებისა და თუშების ურთიერთობას მეზობელ ხალხთან, ასევე – მათ ცრურწმენებს, წვიმის გამოწვევისა და შეწყვეტის რიტუალს; ბერიკაობას, რომლის დროსაც ღორად გადაცმულს ურტყამენ და ცდილობენ მისთვის ტყავის გაძრობას; ჭიაკოკონას, როდესაც განსაკუთრებულად უფრთხიან კატას და დედაბრებს, რადგან სჯერათ, რომ კატაზე ამხედრებული ეშმაკი შემოიპარება

სახლში. მოხუც ქალებს კი უყვართ ეშმაკის ზეიმებზე დათრობა. საინტერესოა, რომ გუგულების შესახებ ამბობენ, თითქოს ისინი ინდოეთში მიფრინავენ, პატარა ტანის ადამიანებად გადაიქცევიან და თავიანთი სამეფო გააჩნიათ. წერილი სრულდება ყეენობის და სამეკობროდ წასვლის აღწერით.

საკვანძო სიტყვები: პოლითეიზმი, ქორწინების რიტუალი, სამგლოვიარო რიტუალი, ცრურწმენები, აღდგომის გამოთვლა, გუგული.

Key words: Polytheism, wedding rites, funeral rites, superstitions, counting Easter, cuckoo.

K, 1854, №50, ვ. ერისთავი, „ბერძენოვის ფელეტონის გამო“: წერილის ავტორი ამხელს ბერძენოვის ფელეტონში აღწერილი ჭონას ტრადიციის უზუსტობებს, რომელიც სულ სხვა დროს იმართება, სხვა სიმღერებით სრულდება და სხვა მონაწილეები ჰყავს, განსხვავებთ, ბერძენოვის წერილში აღწერილი ტრადიციისა. ავტორის აზრით, ბერძენოვმა ან სხვაგან ნანახი აღწერა ან ის სხვა დროს სტუმრობდა ფელეტონში დასახელებულ სოფელ დ-ს.

საკვანძო სიტყვები: ჭონა.

Key words: Chona.

K, 1854, №99, ს. პუშკარევი, „ისევ აფხაზეთზე“: ეს წერილი პასუხია ჩერნიშევის წერილზე. ავტორი პატივისცემას უდასტურებს კრიტიკოსს, მაგრამ აღნიშნავს, რომ მისი წერილი მხოლოდ არ ამტკიცებს პუშკარევის წერილში გამოთქმულ ვარაუდებს აფხაზების შესახებ, განსაკუთრებით, აფხაზების სიზარმაცესა და ქალთა მდგომარეობაზე, ისევე როგორც სხვა დანარჩენ საკითხებზე.

საკვანძო სიტყვები: აფხაზი ცოლი, ზარმაცი აფხაზი.

Key words: Abkhazian wife, Lazy Abkhazian.

K, 1897, №152, ა. ვე, „სვანური ლინთურალი და ქალთა მიმართ რაინდული სამსახური“: წერილის დასაწყისში ავტორი მიმოიხილავს ევროპულ სარაინდო ჩვეულებას – მამაკაცის ერთგულ პლატონურ სიყვარულს საწინააღმდეგო სქესის მიმართ, და მიიჩნევს, რომ მას ფშავურ წაწლობაში იგივე საფუძველი უნდა ჰქონოდა. წაწლობა იმდენად წმინდა აქტად მიიჩნეოდა, რომ წაწლებს დაქორწინების და შვილის ყოლის უფლება არ ჰქონდათ. ამავე რიგში მოიაზრებს ავტორი სვანურ ლინთურალსაც. სვანური ლინთურალის მიხედვით, როდესაც ამ რიტუალის განხორციელება გადაწყდებოდა, მამაკაცი მიდიოდა ქალის ოჯახში – არ ჰქონდა მნიშვნელობა, გათხოვილი იყო ის თუ გასათხოვარი – გამასპინძლება არცით დალოცვით სრულდებოდა. შემდეგ დაჩოქილი მამაკაცი დაადებდა ქალს მარილდაყრილ ძუძუსთავზე კბილს და ეტყოდა: „შენ დედა და მე შვილი“. როცა მამაკაცი უფროსი იყო, ის მამა ხდებოდა და ქალი – შვილი. ამის შემდეგ დამოყვრებულები ერთმანეთს გადაკოცნიდნენ. წესის შესრულების შემდეგ ქალს

და მამაკაცს ერთ ლოგინში დაძინებას შეეძლოთ ისე, რომ არასოდეს არავინ მათი ურთიერთობის სინმინდემი ეჭვს არ შეიტანდა.

საკვანძო სიტყვები: ლინთურალი, ლიქრისდი, დედობილი, მამობილი, შვილობილი.

Key words: Linturali, Lichrisdi, adoptive mother, adoptive father, adoptive child.

K, 1894, №311, ა. ნიკიტინი, „ქორწინება ხევსურეთში - ზოგადი მიმოხილვა“: წერილი მიმოხილავს: ქალის მოტაცების, დანიშვნის, დაქორწინების, განქორწინების წესებს. ძველად ხევსურეთში მშობლების თანხმობით ხდებოდა ქორწინებები. ამის დასტურად მოტანილია რაზიკაშვილის გამოუქვეყნებელი წერილი ორ დაზე. უფროსი და მშობლების წინააღმდეგ წავიდა და სხვას გაჰყვა ცოლად, უმცროსმა დამ კი დაწუნებულ სიძეს შესთავაზა თავი. ისინი ბედნიერად ცხოვრობდნენ, უფროსი და კი სიღარიბეში. დღეს ხევსურები მშობლის თანხმობის მიუხედავადაც თხოვდებიან, რაშიც ადგილობრივები რუსებს ადანაშაულებენ. ხევსური გოგოსთვის მხარზე ხელის დადებაც დანიშვნის ტოლფასი იყო. თუკი ქალიშვილი უარს განაცხადებდა, მის ოჯახს 50-დან 16-მდე ძროხის საფასური უნდა გადაეხადა დაწუნებული სასიძოს ოჯახისთვის. იმ შემთხვევაში, თუკი ოჯახს არ გააჩნდა ამდენის საშუალება, ქალიშვილი 10-დან 40 წლამდე ვერ გათხოვდებოდა. დიდ ხუთშაბათს ხევსური გოგოები მარილიან კვერებს ჭამენ, სიზმრად კი სასიძოს ნახულობენ; თუ გოგო სიზმარში წყალს დაღვეს, ეს მას ღარიბ ქორწინებას უქადის, ხოლო ყველისა და ხაჭოს დასიზმრება სიმდიდრედ მიიჩნევა. ხევსურები უმცროს ქალიშვილს იქამდე არ გაათხოვებენ, სანამ უფროსი არ გათხოვდება. ეს უკანასკნელი თუ მახინჯია, მაშინ, რა თქმა უნდა, არავინ დაელოდება მის დაქორწინებას. არც ვაჟიშვილის დაქორწინებამდე აქვს ქალიშვილს გათხოვების უფლება, რადგან, წინააღმდეგ შემთხვევაში, ოჯახი დამხმარე ქალს კარგავს. ხევსური მამაკაცები ხშირად იტაცებენ ქალს. მოტაცება ურთიერთთანხმობითაც ხდება. გატაცებულს და-ძმასთან ერთად ათავსებენ ოთახში და მას გამტაცებელი არ ეკარება, თუ მოლაპარაკება მის სასარგებლოდ არ გადანწყდება. მოლაპარაკებისას ქალს აუცილებლად დაეკითხებიან, უნდა თუ არა მას ამ ოჯახში დარჩენა. თანხმობის შემთხვევაში, მას უკან დააბრუნებენ მშობლის სახლში და მხოლოდ ერთი წლის შემდეგ მობრუნდება ქმრის ოჯახში. ერთი წლით ტოვებს ქმრის ოჯახს ნებისმიერი ქალი, რომელიც გათხოვდება. საინტერესოა, რომ ხევსურები სახელით არ მიმართავენ ცოლს, არც სიდედრ-სიმამრს და არც დედამთილ-მამამთილს. სიძე ცოლის ოჯახში ვერც მიდის დიდი ხნის მანძილზე. დანიშვნით ქალს მისი ახლობლები ნიშნავენ. ქმრის ოჯახშიც ახლობლებს მოჰყავთ ქალი. სიძე ამ დროს სხვის ოჯახშია გადამალული. ის ოჯახში ბრუნდება და იწყებს სმას. ნასვამი ვილაცას ცემს, ნაცემია თვითონაც, მაგრამ ამ წესით ყველა კმაყოფილია. მეორე დღეს ის ისევ ბრუნდება ოჯახში და ისევ სვამს. სტუმრები ტოვებენ ოჯახს და ახლა უკვე თანასოფლელებში სვამენ, რომლებიც ვალდე-

ბულები არიან უმასპინძლონ მაყრიონს. ქმრის ოჯახში შემოსულ ქალს დედამთილი კალთაში ჩაუსვამს ბიჭს იმ იმედით, რომ რძალსაც ბიჭი ეყოლება. ხევსური გოგოები თამამები არიან, მაგრამ გათხოვებით ისინი ქმრის მონებად იქცევიან. მით უფრო ფასობს ხევსური, რაც უფრო დესპოტურად ექცევა ცოლს. ეს წესი რუსების შემოსვლასთან ერთად დავიწყებას მიეცა, ამიტომ ხევსურები ჩივიან, როგორ გარყვნეს ქვეყანა რუსებმა. ქალების ემანსიპაცია ხევსურეთში რუსების დამსახურებაა, აღნიშნავს ავტორი. წერილში აღწერილია აკვანში დანიშვნის წესიც. გოგონას მამა პირველად უარით ისტუმრებს მომავალი სასიძოს შუამავლებს, ორი-სამი დღის შემდეგ მეორედ მოსული შუამავლები ისევ უარით ბრუნდებიან უკან „რა დროს გოგოს გათხოვების“ საბაბით, მამა მესამეჯერ აღარ ეუბნება მოსულებს უარს და ბავშვიც აკვნიდანაა დანიშნული. ეს ნიშნობა შეიძლება მომავალში გაუქმდეს, თუმცა სიძის ოჯახის შეურაცხყოფად ითვლება. განქორწინება, თუკი ის ინიცირებულია მამაკაცის მიერ, სხვადასხვა მიზეზის გამო ხდება. ძირითადი მიზეზი მაინც უშვილობაა. თუკი განქორწინებული ქალი ორსულად აღმოჩნდება, მამაკაცი ვალდებულია, ისევ დაიბრუნოს ცოლი. ხევსური უარს არ ეტყვის ცოლს განქორწინებაზე, რადგან ასეთი მამაკაცი თანასოფლელთა პატივისცემით ვერ ისარგებლებს.

საკვანძო სიტყვები: აკვანში დანიშვნა, მოტაცება, განქორწინება, ხევსურები, რაზიკაშვილი.

Key words: Married in the cradle, bridenapping, dissolution of marriage Khevsurians, Razikashvili.

СМОМПК, 1893, №16, **ჯათარიძე, „სნეულებანი და მათი მკურნალობის ხალხური საშუალებები ქუთაისის გუბერნიაში – ონი“:** წერილის ავტორის ცნობით, ადგილობრივები მათ არასასურველ პირობებს: უვარგისი სასმელი წყალი, მღებარეობა, კლიმატი – ხაშმს უწოდებენ. მიუხედავად იმისა, რომ წყალი ონში სასმელად არაჩვეულებრივი გემოსია, მას მაინც სხვადასხვა სნეულების გამოწვევას მიაწერენ. ავტორის აზრით, ამ სნეულებების სათავეა გადამპალი ხილის ჭამა და თევზშიშველი ტანტალი. წერილში მოცემულია სხვადასხვა ავადმყოფობის დასახელება და მისი ქართული შესატყვისი. ასე მაგალითად, რევმატიზმი – ქარები, სისხლიანი დეფეკაცია – მუცელა, ბავშვური ისტერია (სავარაუდოდ, მიოკლონური ეპილეფსია) – საყმანვილო და სხვ. მისივე შენიშვნით, ყველა დაავადებისთვის არსებობს გარკვეული მკურნალობა, თუმცა, ადგილობრივების წარმოდგენით, ბატონები მკურნალობის შემთხვევაში რთულდება. ამიტომ მათ სიმღერებით, დაპირებებით მოილმობიერებენ. წერილში დასახელებულია მცენარეები, რომლებსაც იყენებენ ამა თუ იმ შემთხვევაში. საინტერესოა ე.წ. ბარგის (საველე) წამლები, რომელთა ქონაც ყველა ექიმბაშისთვის აუცილებელია. ბარგის წამლების რიცხვს განეკუთვნება: კუს და სირაქლემას კვერცხი, ქათური, ქალბანა, არდაშხანი, ჯავზი დედალ-მამალი, დედალ-მამალი

ყუფალი, თახვის წამალი, რეჰანდი, რუბრევანდი, წითელი მინა, ლილა, ჭის ფერი, ზღვის პირული, კინოს თვალი, თანძუ-სათაი. წერილს თანდართული აქვს ოთხი შელოცვა, აქედან ორი თვალყრისა და თითო წითელი ქარისა და შეშინებულისა.

საკვანძო სიტყვები: ონი, შელოცვები, ბატონები, ხაშმი, ბარგის წამლები.

Key words: Oni, incantations, children's infectious diseases (Batonebi), Khashmi – conditions causing diseases, Herbal remedies.

СМОТРИ, 1893, №17, გვ. 15-123, თ. მამალაძე, „გურულების რწმენა-წარმოდგენები და წეს-ჩვეულებები“: წერილში ქრონოლოგიურადაა დალაგებული ის დღესასწაულები, რომლებსაც განსხვავებულად აღნიშნავენ გურიაში. მათ შორისაა: ახალი წელი (წმინდა ბასილი დიდის დღესასწაული). მის შესახებდრად სამი ოთხი კვირით ადრე იწყება მზადება. თითოეული ოჯახი დასაკლავად ამზადებს ერთ ღორს და იმდენ სულ ფრინველს, რამდენი წვერიცაა ოჯახში, ასევე ერთ საბასილობო მამალს. იქვე მოტანილია გადმოცემა, რატომ აკურთხა ღორები საკვებად წმინდა ბასილი დიდმა. ერთხელ ბასილი დიდი და მუჰამედი დანაძლევედნენ, რომელი უკეთეს სასწაულს მოახდენდა. ბასილი დიდმა კლდეს დაკრა კვერთხი და აღმოაცენა წყარო, ხოლო მუჰამედმა წინა დღეს მინაში დაფლა ღვინის ტიკები, რათა მიწიდან ღვინო აღმოეცენებინა, მაგრამ მინა ამოუჩიჩქნიათ და ტიკები დინგებით გაუხვრეტავთ ღორებს. განრისხებულმა მუჰამედმა ფეხი დააბიჯა ღორებს კუდზე და დასწყევლა. სომხური ვერსიის მიხედვით, გადმოცემაში იესო და რძე ფიგურირებს. ღამის ორ-სამ საათზე იწყება შელოცვა ან ცხემლის ჭრა (რცხილა ან ცხემლის შეშა გამოიყენება საჭმლის მომზადებისას), იკვლება სასუქი ოჯახის ბედნიერხელიანი მამაკაცის მიერ, ქალები კი გვიან სადგომს და ნაგავს ყრიან მდინარეში ან ტყეში (არასოდეს წვავენ სახლში) სიტყვებით: „დაე, ამ სახლში ყველა ჯანმრთელი იყოს და არ იყოს უბედურება იქამდე, სანამ ამას უკან არ დავაბრუნებთ“. ფრინველი იხარშება მრგვლად, ხოლო შიგნულით მხოლოდ გათხოვილი ქალებისთვის მზადდება საკაკავი და საკაკავის პური. აღწერილია როგორ რთავენ ჩიჩილაკს/ჩიჩინათალს. ავტორი, მას შემდეგ, რაც მომზადების წესს აღწერს, გადადის მისი მორთულობის აღწერაზე. ჩიჩილაკს უკეთდება ვაზის რკალი, რომელიც ირთვება სუროს ფოთლებით, კურვანტელით, კვინკვილით; ჩამოაცმევენ ყველით და კვერცხით დატენილ ბრტყელ ბოკელს. ჯვრის ოთხივე კიდეს კი ჩამოაცმევენ ორ მრგვალ კვერს/ყვინჩილას, ორ ვაშლს ან ბროწეულს ან სხვა ხილს. ხშირად ჩიჩილაკს მონეტებით და ძვირფასი ნივთებითაც რთავენ. ჩიჩილაკს სახლში ახალი წლის დილამდე არ შეიტანენ. ნათხოვარს ამ დღეს უკან აბრუნებენ და განათხოვრებულს იბრუნებენ. საღამოს ოჯახის წევრები ლოცულობენ ხმამაღლა რიგითობის მიხედვით და მიუსხდებიან გაშლილ სუფრას. ამ დღეს მრგვლად მოხარშულ ფრინველს არავენ ახლებს ხელს, თუმცა ღორის ჭამა არ იკრძალება.

სუფრასთან მხიარულებაა, მაგრამ არავინ თვრება. ღამით შუა ოთახში დგამენ ღვინით სავსე ღოქს, თუ დილაშდღე წვეთი მაინც მოაკლდება, ეს ნიშანი უბედურ წელიწადს მოასწავებს. დღებიან უთენია და ჭამენ სამჭობინარს – მარილიან პურს ან მარტო მარილს. ეს გაზაფხულამდე, პირველი გადამთრენი ჩიტის მოთრენამდე გრძელდება. თუ ამ პროცესს ასწრებს სროლის ხმა, ესეც ავისმანიშნებელია. ამის ყველას ეშინია. დაძლევა შეუძლია ნებისმიერ ფრინველს, შინაურსაც კი, ასევე – პირუტყვს და პირველ იანვარს დაბადებულ ბავშვს. განსაკუთრებით უფროსიან გუგულს, თუმცა დაძლევა ჯინჯილასაც კი შეუძლია. თუ ციკანი დაძლევს, მთელი წელი ილაყბებს ძლეული, ხოლო თუ – მოლაღური, მას ვაჟიშვილი მოუკვდება, რადგან ამ ჩიტის ძახილს მიამსგავსებენ სიტყვებს: „შვილო გოგია“. ლოცვის დასრულებისთანავე მამაკაცები გადიან გარეთ, რთავენ ჩიჩილაკს და შედიან ასაკის მიხედვით დანყობილები სახლში. ოჯახის წევრებს ხელში უჭირავთ ასევე ღომის მარცვლებით სავსე ღოქი შიგნით მოთავსებული კვერცხით, ხონჩა ღორის თავით, ღვინო. ამ დროს თამაშდება შემდეგი სცენა სამჯერ: „– კარი გაგვიღეთ. – რა მოგაქვს? – წმინდა ბასილი მობრძანდება, მოაქვს მშვიდობა, თეთრი საქონელი მრავალი“. სახლში შესულები სამჯერ შემოივლიან ოთახს. ქალები, ასევე დანყობილები, თითოეულ მათგანს ეხებიან ხელით. ჩიჩილაგი გამოსაჩენ ადგილას იდგმება. სანამ ის ოთახშია, ყველანაირი ხელსაქმე იკრძალება. მამაკაცების ლოცვის შემდეგ იწყება თოფიდან სროლა და ცეცხლის მილოცვა: „ცეცხლო, ღმერთმა მრავალი კალანდა მშვიდობით გაგითენოს შენი ბატონიანა“. ამ სიტყვებს თითოეული წვერი წარმოთქვამს, პატარა კი შეშას ავლებს ცეცხლში. ამის შემდეგ ფეხბედნიერი წვერი იღებს ნაკვერჩხალს და მიდიან საქონლისა და ფრინველის დასალოცად. მერე უკვე ყველანი გადიან სოფელში, ეპატიჟებიან ფეხბედნიერ მფერხავს/მკვლეველს. უარის თქმა წარმოუდგენელია. უმასპინძლებიან საბასილობო ყვერულით (ნიგვზიან ქათმის ნახარში ჩანყობილი მამლის ნაჭრები). გურულები, სამკაცნიანი (ან მეტი) გუნდი, მღერიან მრავალჟამიერს. ბოლოს ოჯახის თავი ამოჩიჩქნის მინას და ჩაყრის მარცვალს. ამის შემდეგ იწყება მალღარ ვენახში გასვლა ღორის თავით, რომელსაც ურტყამენ და იძახიან: „ავუნა, ავუნა, ჩამოიარე; ბახუას კარი ჩამოიარე! ჩვენს მამულს ამოტენა (აიყვანენ ხელში ყმანვილს) მტევნები, სხვის მამულს ჩხერგი და ფურცლები“. ამას სამჯერ იძახიან და ამატებენ „ჩვენს ქალებს აბრეშუმი, სხვისას – კვირისთავი“. ბაღში გამართავენ საქანელას და მასზე ყველა ქანაობს მოხუცებისა და შვილების გარდა. არსებობს ცრურწმენებიც: ხმამალლა სახელის დაძახება აკრძალულია; ბავშვმა არ უნდა გაიაროს მამაკაცის წინ სადილაშდღე, თორემ ღვინო არ შეერგება მთელი წელი.

ქათმის ფერხვა – ორი იანვარი: მფერხავი უნდა აკმაყოფილებდეს რამდენიმე მოთხოვნას: არ უნდა ჰქონდეს ფიზიკური ნაკლი, არ უნდა იყოს დაბალი, არ უნდა ეცვას ძალიან მოკლე ან ძალიან გრძელი სამოსი, არ უნდა მოიხადოს ფაფახი, უნდა გაიხადოს სახლში შესვლამდე ნაბადი, მას უნდა ჰქონდეს ბედნიერი ფეხი,

რაც იმას ნიშნავს, რომ ხშირად მფერხავი წლიდან წლამდე არ იცვლება და ის ოჯახიდან ოჯახშია დაპატიჟებული. მის ფეხს დაბრალდება ყველა ის უბედურება, რაც ოჯახს წლის განმავლობაში შეემთხვევა. მფერხავი ოჯახს მშვილობას უსურვებს და მიემართება, როგორც კრუხი წინილებით, ბავშვებთან ერთად საქათმისკენ. მას ხელში უჭირავს ღომის მარცვლებით და კაკლით დატენილი ჭურჭელი. ლოცვის შემდეგ ღომს ტოვებენ საქათმეში, კაკალს კი ბავშვები ინაწილებენ. ცრურწმენები უკავშირდება თითოეულ დასახელებულ ქმედებას, ასევე თმის დავარცხნას, ამ დღეს ღორის ხორცის ჭამას, ყვირილს და ხმაურს. იშლება სუფრა, გათხოვილი ქალები მიირთმევენ საკაკავს და სპეციალურ პურს, რომელშიც უმ კვერცხს აყოლებენ და ღორის უკანა ფეხს მოკაკვეულ მდგომარეობაში. მფერხავს ასაჩუქრებენ წინდით, ხელთათმანით, თუთუნის ქისით. სამი იანვრიდან აღდგება ჩვეულებრივი ცხოვრება, უკვე სტუმარიც მოდის უშიშრად, რომ შემთხვევითი დაუპატიჟებელი მფერხავი არ გახდეს. ხუთ იანვარს ყველა მარხულობს.

ნათლისღება: თუკი ოჯახს გათხოვილი ქალიშვილი ჰყავს, წინა დღეს მას უგზავნიან მოსაკითხს – არშევს. ნათლისღება არაფრით არ განსხვავდება მსოფლიოს დანარჩენ კუთხეებში გავრცელებული ჩვეულებებისგან. მხოლოდ გურიამი შლიან ჩიჩილაკს, ჩამოსხნიან მოსართავეებს და ოთახს სამჯერ მარჯვნიდან მარცხნივ შემოუვლიან. ამის შემდეგ გადააქვთ მარანში. მარანი, როგორც წესი, შემორტყმულია რცხილის ხეებით და მასზე ჩამოკიდებენ. ჩიჩილაკი მასზე დაკიდებული რჩება წლების განმავლობაში, შეხება ბავშვსაც კი ეკრძალება. საინტერესოა, რომ გურიამი განაღდა ნათლისღების ჯვრის ამოღების ტრადიცია: მღვდელი იმას ამოაღებინებს ჯვარს, ვინც მეტ თანხას გადაიხდის. ჯვარს მდინარიდან ამოიღებს ის, ვინც იხდის თანხას, გადასცემს მას მღვდელს, შემდეგ მღვდელი მიუტანს სველ ჯვარს პირთან, რათა წვეთები პირში ჩაუვიდეს თანხის გადახდელს. საინტერესოა ისიც, რომ ქალები აგროვებენ ამ დღეს დამწვარი სანთლის ნარჩენებს და შემდეგ მთელი წელი უნთებენ აბრეშუმის ჭიას, თუკი მას დაავადება გაუჩნდება. ნათლისღება სრულდება თოფის სროლით. დაშლილი მოსახლეობა ცხენებით მიდის ნაკურთხ მდინარესთან და დაარწყულებს მას. ნაკურთხ წყალს მთელი წელი ინახავენ და გამოიყენებენ სხვადასხვა ავადმყოფობის სამკურნალოდ, განსაკუთრებით – უჟმურის.

მოისარობა: მოისარობა ესაა ყველიერამდე მესამე შაბათი. მოისარი ესაა მხედველობის მფარველი. ოჯახის დედა აცხობს სიმინდის კვერს, მოატეხავს ორ პატარა ნაჭერს, შემოუტარებს ოჯახის წევრს თვალებზე, შესთხოვს მოისარს და ღმერთს თვალის ჩინს და ჩააგდებს სუფთა წყლით სავსე ჭიქაში. ასე გრძელდება ოჯახის თითოეული წევრისთვის ცალ-ცალკე. ბოლოს წყალს კვერის ნამტვრევებით გადაღვრიან სუფთა მდინარეში.

სულთა ცოცხლისა და სულთა მკვდრისი: ხორციელის შაბათი არის სულთა ცოცხლისა (ამ დღეს ყველა არ ზეიმობს), ხოლო ყველიერის შაბათი – სულთა

მკვდრისი. ამ დღეს მზადდება საკურთხი, მიაქვთ ეკლესიაში, ხოლო წირვის შემდეგ გააქვთ საფლავზე. მღვდელი ან ცალ-ცალკე აკურთხებს საფლავზე საკურთხის ან ერთად მოაგროვებს და მერე ინაწილებენ. საკურთხის მიერთმევს ყველა, უცხო პირებიც. საკურთხი შედგება შემწვარი ან მოხარშული დედლისაგან, ღვინის, ყველის, ღომის, ხაჭაპურისგან. თუკი ოჯახში ახალი გარდაცვლილი ჰყავთ, ამას ემატება მიცვალებულის საყვარელი კერძიც. როცა ოჯახში რამდენიმე მიცვალებული ჰყავთ მოსახსენიებელი, დიასახლისი მათ სახელზე ჩაატანს მარილის იმდენ ნატეხს კერძში, რამდენი სულიცაა მოსახსენიებელი.

ბოსლობა: ბოსლობა მოძრავი დღესასწაულია და ის ყველიერის წინა შაბათს აღინიშნება. ამ დღეს ცხვება ვეებერთელა სიმინდის პური, რომელსაც გამოტენიან ახალი წლის ღორის დამარილებული ქონით. ტრაპეზის წინ ასხენებენ ბოსლე პატიოსანს. ტრაპეზამდე გამომცხვარს მოათავსებენ ლანგარზე, რომელზეც ანთია სანთელი, მიუდებენ კაკლით სავსე ჭურჭელს. ამ ლანგარს დედა გადაიტანს ბოსელში, მას თან მიჰყვება ბიჭი, რომელსაც წყლით სავსე დოქი უჭირავს, მასზე ასევე დანთებული სანთელია მიმაგრებული. პირუტყვის წინ დედა და ბიჭი გაითამაშებენ სამჯერ ამ სცენას: – ბოსლე, შინა ხარ? – შინ ვარ, ბატონო. – ძროხას მომცემ, ხარს მომცემ; ცხენს მომცემ; ვაცთა მშვილობას მომცემ; ფრინველებს მომცემ? – ბევრს, ბატონო. კაკლებს გადაუყრიან პირუტყვს და სახლში გამობრუნდებიან. კაკალი აღნიშნავს საქონლის სიმრავლეს, ქონი სიმსუქნეს, წყალი რძეს. ამ დღეს არც საკმეველს აკმევენ და არც სხვა სანთელს ანთებენ, იმ ორი დანთებული სანთლის გარდა.

ყვავილობა: ყველიერის ორშაბათს ყვავილობას უწოდებენ. ხალხს იმდენად ეშინია ყვავილის (ბატონების), რომელსაც თათრულსაც უწოდებენ და ამიტომ ყვავილით დაავადებულებს არც ღვინოს და არც ღორის ხორცს არ აჭმევენ. ყვავილის ანგელოზები კეთილებიც არიან და ბოროტებიც და მფრინავი რაშებით გადაადგილდებიან. ავადმყოფის სახლში სისუფთავეს იცავენ, ასევე სრული სინყნარეა, რათა ბატონები არ განრისხდნენ. ძალლი რომ შევიდეს ოთახში, მას კი არ გაავდებენ, თხოვენ, რომ გაბრძანდეს. ავადმყოფის წინ ოჯახის წევრები ჩაიმუხლებენ და ბატონებს შესთხოვენ ავადმყოფის ჩუქებას. ასევე წარმოუდგენელია, ვინმემ რამე ცუდი აკადროს ბატონებს და რა გასაკვირია, რომ წელიწადში ერთი დღე მის მოგონებას მიუძღვნან?! ამ დღეს არავინ ბანაობს, თუკი არ მოუხდიათ ყვავილი. ამ დღეს არანაირი საქმე არ იკრძალება გარდა ცხობისა და წერა-კითხვისა. თუკი რომელიმე სახლში ავადმყოფია, სხვა სახლებში ისე დაანთებენ სანთელს, რომ მისი შუქი ბატონებმა არ დაინახონ. ბატონები ღამით დადიან, ამიტომ ღამით არავინ გავა სახლიდან, არც თოფს ისვრიან. ბატონების რამე საგანგებო ლოცვას არ ამბობენ.

ყველიერის წინა საღამო: ამ საღამოს ვახშმის შემდეგ იღებენ კვერცხის ნაჭუჭს და ამოტენიან ვახშმის ნარჩენებით და ამბობენ, რომ ესაა ბუზების, კოლოების,

რწყილებების და სხვა ჩამოთვლილი მწერებისთვის, რათა მათ არ შეანუხონ ადამიანები მთელი წელი.

თედორობა: მარხვის პირველი შაბათი არის თედორობა. გადმოცემის თანახმად, ცხენები ოდესღაც მხოლოდ ზღვებში ცხოვრობდნენ და ისინი ხმელეთზე წმინდა თევდორემ ამოიყვანა, დაპირდა, რომ არასოდეს ივლიდნენ მინაზე ნალის გარეშე და რომ მათ ყურს არ გაუხვრეტდნენ. ზოგიერთ ოჯახში აცხობენ მრგვალ თხელ პურს, რომელიც განასახიერებს მინდორს, მასზე დადგამენ ცომის ცხენებს, ჯორებს, ურმებს ცხენის აღჭურვილობით, რამდენი სული ცხენიცაა და აცხობენ. გამომცხვარს დაფარავენ ღვინით. ბიჭუნები ხელებშეკრულები მიდიან და პირით ამოიღებენ ფიგურებს, დაიჭიხვინებენ და წიხლს დაარტყამენ კედელს.

ბუკობა: დიდმარხვის ოცდამეოთხე დღე არის ბუკობა, იგივე სკობა. ამ დღეს არანაირ საქმეს არ აკეთებენ, გარდა ახალი ინვენტარისა ფუტკრის ახალი ოჯახისთვის. ასევე საგანგებოდ ამ დღეს აცხობენ სიმინდის პურს თათულით.

აღდგომა: საინტერესოა, რომ დილას, წირვის დამთავრების შემდეგ, როდესაც მრევლი ეკლესიას გარს უვლის, თითოეული იღებს ქვას, ისვრის და იძახის: „გაი ურიას!“. მრევლი ეკლესიის ეზოში დასათვლავებულ თავიანთი მიცვალებულის საფლავზე დატოვებს შეღებილ კვერცხს, ასევე ერთმანეთში კვერცხებს გაცვლიან (გარდა ღრმა ტრაურში მყოფი პირებისა) და უტეხავენ. ქალებისთვის კვერცხის გატეხვა ცუდის ნიშანია. სააღდგომო პასკაზე გურულებს წარმოდგენა არა აქვთ. ახალგაზრდები გადიან სათამაშოდ. თამაშობებია: „ჩაკუნობა“, ამისთვის საჭიროა ჩაკუნი, ბოლოში მოხრილი ჯოხი, რომელსაც ურტყამენ ცხენის ძუისგან შეკონი-ნებულ ვაშლისოდენა ბურთს და ცდილობენ შეაგდონ მონინაალმდეგის ლელოში, წინასწარ მონიშნულ საზღვარზე. „ლელო“-ს გაჰყვრის მაყურებელი, როდესაც ბურთს შეაგდებს გამარჯვებული გუნდი; „გაგდება“-შიც ორი გუნდია და ცდილობენ ბურთის წართმევას. ბურთს ვისაც ართმევენ, ითვლება, რომ ის გუნდი „შიმშილობს“; „გატანა“ ხელით თამაშდება, აქვს მონიშნული ლელო და ბურთი უკვე ტყავისაა და – ადამიანის თავის ზომის. თამაში რამდენიმე საათი გრძელდება, რადგან ლელოებს შორის მანძილი საკმაოდ შორია. ხშირად გუნდების ფორმირება სოფლების მიხედვით ხდება; „მაია“-ს თამაშის წინ გუნდებად დაკომპლექტება ხდება მას შემდეგ, რაც „არჩევანი მე“ და „არადანი მე“-ს პრინციპით გაიყოფიან მოთამაშეები, ე.ი. სასურველ მოთამაშეს თავის მხარეს ასახელებს გუნდის ლიდერი, მეორე ლიდერი კი ჩუმადაა, სანამ წინა გუნდის ლიდერი მოთამაშეს ირჩევს. შემდეგ მეორე გუნდის ლიდერი ასახელებს სასურველ მოთამაშეს და პირველი გუნდის ლიდერი ჩუმადაა და ელოდება თავის ჯერს. დაყოფილი ბანაკები განთავსდება ხაზის უკან. ხაზის წინ დახაზულია მეორე ხაზიც, ამ მეორე ხაზზე დადგება მონინაალმდეგე და იწყება მისი დევნა ტყვედ ასაყვანად. ის უნდა იხსნას თავისი ბანაკის წევრმა, გამოცდილი მოთამაშეები გაიტყუებენ მადევრებს შორს და ისინი აჰყავთ ტყვედ, რითვისაც საკმარისია თითის დადება.

გამარჯვებულად ის ბანაკი ითვლება, ვისაც მეტი ტყვე ჰყავს რამდენიმე საათიანი თამაშის შემდეგ.

მაისის პირველი ორშაბათი: ოჯახში ცხვება სიმინდის პური. ერთ-ერთ წევრს გააქვს სხვის მიწაზე და იქ ჭამს. ამ პურს „ჩიტის წილი“ ჰქვია და ოჯახს მიაჩნია, რომ ამ წესის დაცვის შემდეგ ჩიტი აღარ დააზიანებს მის მოსავალს.

ელიობა: 20 ივლისი ღრუბელთა წინამძღვარის დღეა. წვიმის არცერთი წვეთი არ დაეცემა მიწას ელიას სურვილის გარეშე, მისი ეტლი ჭექა-ქუხილია. გურულები თავიანთ ნათესებზე, ეზოებში, სახლებში აღმართავენ ელიას გამოთლილ, საგანგებო ჯოხს ლუკუმს ხისგან ან ბლისგან, მასზე შემოხვეული აზალით (ელით), რადგან ამ მცენარის სახელი ელიას სახელს ემთხვევა. ხშირად ჯოხს ამაგრებენ ქვას ან ეკალს. ელის ჯოხები ავი თვალისგან დამცავიცაა.

ფერისცვალება: ნიგვზისგან ამზადებენ ურწყულ ზეთს და მოათავსებენ გაშლილი ჭურჭლის ფსკერზე. წირვიდან დაბრუნებულები ჩაიხედავენ ჭურჭელში და ამით გამოხატავენ ფერისცვალებას. ფერისცვალებაზე ჭამენ ადგილობრივი მდინარის კალმასს. ამ დღემდე ხილის ჭამა აკრძალულია.

თაგვ-მარიობა, ბასილობა, ყვავ-მარიობა ანუ ჩიტ-მარიობა: 15 აგვისტოს ღვთისმშობლის მიძინების დღეა, ხოლო 17 აგვისტო – თაგვ-მარიობა, 18 – ყვავ ანუ ჩიტ-მარიობა. ეს დღეები არაფრით არ გამოირჩევა, გარდა იმისა, რომ თაგვ-მარიობაზე აცხობენ ორ პურს, ერთს სიმინდისგან, მეორეს კი – ნაცრისგან. სწორედ ნაცრის პური თაგვებისთვისაა განკუთვნილი. ჩიტ-მარიობაზე არაფერი არ ხდება, რადგან ჩიტებს ილმობიერებენ მაისის პირველ ორშაბათს. 16 აგვისტო ბასილობაა, ამ დღეს მეფუტკრეები იღებენ თაფლს.

დადგი: პირველი სექტემბერი ოდესღაც წლის დასაწყისი იყო, რასაც მისი სახელი ინახავს. ამ დღეს ყველანაირი საქმიანობა იკრძალება, მხოლოდ ითვლება, რომ ამ დღეს მოჭრილი ხე მტკიცეა. პირველი სექტემბრის ღამე ჯადოქრების და როკაპების ღამეა. როკაპები მიუდგომელ კლდეებში ზღვის მახლობლად ჭაჭვეთში ცხოვრობენ. მას სტუმრობენ კუდიანები და შავ კბილებში ურტყამენ ქვას. რაც უფრო ძლიერია დარტყმა, მით უფრო ხარობს როკაპი. ამგვარი მისაღმების შემდეგ კუდიანი როკაპს მიაართმევს ძღვენს - ცხოველის ან ადამიანის გულს. ჯადოქრებს გურულები ასამართლებდნენ. მას მიიყვანენ სუფსის მახლობლად ბუკისციხეში (ან გურისტბასთან) და წყალში ბოლომდე ჩაუშვებდნენ თოკით. ბრალდებული მართლდებოდა, თუკი მას წყალი არ მიიღებდა. ჯადოქრობაში მხილებულს გავარვარებული რკინის ნაჭრით დადალავენდნენ, რაც შემდგომ მის საქმიანობას ანეიტრალებდა. კუდიანის ღამეს შებეჭდავენ – ამისთვის ოჯახის წევრებს, საქონელს, ფრინველს, ნათესს, ხეებს უსვამენ ცვილს, ნათესის შუაგულში დგება ოჯახის თავი და ყვირის: „ჯვარი აქა, ჯვარი აქა! შენი სვი და შენი ჭამე; ჩვენსას ჯვარი დაგვიწერე! უუუუ, კუდიანებო!“ ღამე ისვრიან თოფებიდან კუდიანების დასაშინებლად. გურულების წარმოდგენით, ამ დღეს ღმერთი ანგელოზებთან ერთად ადგენს სიას, ვინ უნდა მოკვდეს იმ წელს.

ნალიას ლოცვა: ნალია სასიმიინდეა, არსებობს ღომის ნალიაც. წერილის ეს ნაწილი აღწერს, როგორ ავებენ ნალიას და რა წესები არსებობს სიმიინდისა და ღომის შესანახად ბელელში/ხულაში მის გადატანამდე. მოსავალი ადვილად შეიძლება გაანადგუროს ხანძარმა, ამიტომ მოსავლის დაბინავებისას ყველა გურული ადავლენს ნალიის ლოცვას სექტემბრის ბოლოს. ამ დღეს, რომელიც განსხვავებულია თითოეული ოჯახისთვის, იკვლება სახლის მამალი, იკითხება ლოცვა და იკმევა საკმეველი. მამლის თავი ეკუთვნის მეხვავეს, იმას, ვინც ზურგით ზიდა საესე გოდრები.

ბარბალობა: 4 დეკემბერი წმინდა ბარბარეს დღეა, რომელიც, ღმერთის დავალებით, ყვავილის მკურნალია. როგორც წესი, ამ დღეს იწყება ახალ წელს დასაკლავი ღორისა და ფრინველის საგანგებო გამოკვება.

შობა: მრავალწლოვან ეძახიან შობის წინა ღამეს. ამ დღეს იკვლება ღორები და ამ სიტყვის ფუძის მეორე ნაწილს ავტორი „წოლას“ უკავშირებს. შობის წინა დღეს ცხვება ნახევრად რკალისებური ღვეზელი, მასში სართავად დებენ კვერცხს, რომელსაც რამდენიმე დღით ადრე ხარშავენ, ასუფთავებენ ნაჭუჭისგან და ბოლავენ. იმავე საღამოს გათხოვილ შვილს უგზავნიან ძღვენს. დაკლული საქონლის ტყავი იმისია, ვინც ძღვენს მიუკითხავს. როგორც კი მამალი დაიყილებს, მარხვა ხსნილია და ბავშვები ღამის სანოლიდან აუდგომლად ჭამენ ღვეზელებს თვალის დახამხამებაში. „ალილოს“ სამ ხმაში მღერაიან და ბეთლემის მწყემსებს განასახიერებენ: „ალილო, ალილო! ოცდახუთსა ქრისტეშობისთვის ქრისტე დაბადებულაო; შობის მახარობლები ვართ, ღმერთმა ბევრჯერ გაგითენოსო“. მომღერლები, იგივე მადიდებლები, ისე იფუთებიან, რომ ვერავინ ცნობს. მათ ახლავს მეთხე პირიც, რომელიც მათთვის მირთმეულ საჩუქრებს აგროვებს. ხშირად ალილოზე რამდენიმე გუნდი დადის და ოჯახები ყველას ასაჩუქრებენ.

სტატიის მეორე ნაწილში აღწერილია ის რწმენა-წარმოდგენები, რომლებიც არანაირ დღესასწაულს არ უკავშირდება. ესენია – დატირება და დაკრძალვა: როგორც კი ვიღაც გარდაიცვლება, მის სახლში ისეთი ყვირილი და მოთქმა ატყდება, რომ მეზობლებს ესმით ხმა და ისინიც მიდიან. მიმსვლელი მამაკაცები გულზე ხელს იკრეფენ, მარჯვენას შუბლზე იცემენ, ქალები კი სახეს იხოკავენ და თმას იპუტავენ და ხმამაღლა კვიან. ოფიციალური დატირება, როდესაც შორს მცხოვრებ ნაცნობებსა და ნათესავებს ჰატიფებენ, მესამე ან მეოთხე დღეს ხდება, ამის შემდეგ კი მიცვალებულს დაკრძალავენ. ამ დღეს სრულდება მოზარების მიერ ზარი, რომელშიც ხშირად ისმის შორისდებული „ვაი“. სანამ ოჯახში მიცვალებულია, იქ სადილი არ მზადდება. ხორცს ჭირისუფლები პირს არ აკარებენ სულის ახსნამდე. ჭირისუფლებს აცვიათ შავი. იყო დრო, როდესაც კუბოში იმდენ მიცვალებულს დებდნენ, რამდენსაც ჩაიტევდა. ეკლესიის ეზოში ჩამარხულ კუბოს ამოიღებდნენ და საკაცით მისვენებულ მიცვალებულს მასში გადაიტანდნენ. როგორც წესი, ახლობლები ოჯახს ეხმარებიან შესაბურავით და შესაწირით.

მღვდელი წესის აგებისთვის საწირავს იღებს. სახლიდან გააქვთ სულის საგზალიც. ვისაც სულის საგზალი მიაქვს, მან უკან არ უნდა მოიხედოს. კუბოს/საკაცის გატანის შემდეგ იმ ადგილას ტეხავენ კვერცხს და ასხამენ წყალს, სახურავზე გადაისვრიან ქვას, რომელზეც მობმულია თოკი და ხანდახან ამტვრევენ შუშას. გამოსვენებისას არ უნდა შეეხონ კარს, წინააღმდეგ შემთხვევაში წლის ბოლომდე ვიღაც მოკვდება იმავე ოჯახში. შინ დაბრუნებულ ჭირისუფალს ხელს ძმრით ბანენ. ორმოცამდე სადილობისას მიცვალებულის პორცია სუფრავზე იდგმება. 39-ე ან 41-ე დღეს სრულდება გამოტირება. ამ დღეს იხდიან შავსაც. წერილში აღწერილია ტანსაცმლის შეღებვის ტექნიკა, ასევე, როგორ ხდება მძიმე ტრაურის ჩანაცვლება შედარებით მსუბუქი ფერებით. აღსანიშნავია, რომ, თუკი მიცვალებული გარდაიცვალა გადამდები სნეულებით, მას მეორე დღესვე კრძალავენ და მისი დატირება ხდება გარკვეული დროის გასვლის შემდეგ. ამ დროს ან მის ტანსაცმელს, ან საგანგებოდ ვაკეთებულ თოჯინას დაასვენებენ, რომელსაც შესაბამისი წესით დაიტირებენ.

მშობიარობა: მელოგინეებს ამშობიერებს ბებიქალი. მშობიარობა ხდება მინაზე საგანგებოდ გაშლილ ღომის გამხმარ ღეროებზე. იქვეა (მკერდის თავზე) ვაკვანძული თოკი, რომელსაც ექაჩება მშობიარე. როცა მშობიარობა რთულდება, იწყებენ ლოცვას და დაპირებებს, ხანდახან შემოჰყავთ ცხვარი და თუ ასეთი არ ჰყავთ, მაშინ რომელიღაც საგანს დაარქმევენ, თითქოს ის ცხვარია და ისე ექცვიან, როგორც შესაწირ ცხოველს მოექცეოდნენ. ამ საგანს საწინდარი ჰქვია. მშობიარესთან მოაქვთ ხატი, ამას ჰქვია ხატის ძვრა, იშვიათ შემთხვევებში მიმართავენ სახლის ძვრასაც. ოჯახის თავი სახლის ოთხივე კედელს დაარტყამს ნაჯახს. ბიჭის დაბადებას თოფის სროლა მოჰყვება. მელოგინე კი გადაჰყავთ ტახტზე და გადააფარებენ ბადეს. იქვე დააწყობენ ხანჯალს, სავარცხელს – ბოროტი სულელებისგან დასაცავად. ახალბედა დედას დიდხანს ასვენებენ, მისი საქმეა ძუძუს მიცემა, რომელიც ხშირად ურთულდებათ. ამას უწოდებენ კუს-ქარს, რადგან კუს ბაკანს წვავენ და უკმევენ გამაგრებულ მკერდთან. ბავშვის გაჩენის აღსანიშნავად ახლობლები ოჯახს უგზავნიან სანახავს. მერვე დღეს ხდება ლოგინის აღება, ანუ მინის გაჯერება. ამ დღეს მზადდება მუხლის კვერი, ორი ყველით დატენილი ბურთულა, რომელსაც აჭმევენ ბავშვს. ამ ბავშვმა ჭამის პროცესში უნდა ირბინოს. თუ ოჯახში არაა ბავშვი, მაშინ – მეზობლის ბავშვმა. მინის გაჯერებისას კი ბებიქალი იმ ადგილას, სადაც ქალმა იმშობიარა, აკეთებს რამდენიმე ნახვრეტს, შიგდებს ცვილისა და ფქვილისგან მოზედილ ცომის ნაჭრებს და ასხამს ღვინოს ან ქათმის ნახარშს. ოჯახის წევრები დგანან ანთებული სანთლებით, რიტუალის აღსრულების შემდეგ ბებიქალი ანთებული სანთლით მიდის ნამშობიარე ქალთან და შემოუტარებს სანთელს სამჯერ წელზე.

გურულებს სჯერათ სხვადასხვა ბოროტი არსებების, მათ შორისაა: ეშმაკი, ჭინკა (ორივე სქესის), ქაჯი (მდედრობითი სქესის), უჟმური – რომელიც სნეულებაა და ხის ფულურობებში ბინადრობს. უჟმური ადამიანს უსახლდება და დაგვიანებული

„მკურნალობა“ ტრაგიკულად სრულდება. წერილში ჩართულია უჟმურის ლოცვის ოთხი ტექსტი, ასევე აღწერილია მისი მკურნალობის სხვა პრაქტიკაც. უჟმური ხანდახან გადაიზრდება „ბრალი“-ში. ბრალის მიზგზია წინაპრის ცოდვა ან წყევლა. ფიცის გატეხვა: გურულები, წყევლის შემთხვევაში, ბრალის ლოცვისას წმინდა გიორგის ლომისკარელის ხატს ძირს დასწვენ შემდეგი სიტყვებით: „წმინდაო გიორგი, ასე დააქციე მისი ოჯახი“. ცრუფიცის შემთხვევაში დამნაშავე ანეიტრალებს ბრალს, როდესაც ბავშვს გაახსნეფინებს საყელოს. საყელოს გახსნა ბრალისგან დახსნის ტოლფასია.

გურულებს სჯერათ გათვალვის. ამიტომ, თუკი რომელიმე გურულს მეორის რალაც მოეწონება, მაშინვე იტყვის: „ჯვარი გწერია ჩემი თვალისაგან“. იმავე სიტყვებს წარმოთქვამენ რალაც ცუდის დანახვის შემთხვევაშიც, მაგალითად, თუკი დაჭრილი აჩვენებს მეორეს ჭრილობას. განსაკუთრებულად ცუდი თვალი აქვთ წითურებს. ამ მონაკვეთს წერილში ჩართული აქვს ოთხნაწილიანი ლოცვა ავი თვალისგან.

როცა გურული რალაცას დაკარგავს ან როცა ვილაც ავად გაუხდება, ის მიდის შემლოცველთან/გამომლოცველთან. მათ იციან მკითხაობაც ლობიოზე, მარილ-ზე. ავადმყოფობის შემთხვევაში ნაკვერჩხალს მოათავსებენ ზღურბლზე და დააყრიან მარილს. გახურებული მარილი თუ სახლში გადმოცვივდება, ავადმყოფი სახლში დარჩება და გადარჩება. თუ მარილი გარეთ გადაცვივდება, ე.ი. მოკვდება. გურულები მკითხავეებს კარგი თვალით არ უყურებენ, არ მიაჩნიათ მათი საქმიანობა საღვთო საქმედ, მაგრამ მაინც მასთან მიდიან ნებისმიერი გასაჭირისას.

მეხი: გურულების წარმოდგენით, წმინდა გიორგი თავისი ლახვრით დასდევს ეშმაკებს და მეხის ნებისმიერი გავარდნა ერთი ეშმაკის განადგურებაა. ადამიანების სიახლოვეს მოკალათებული ეშმაკი ხშირად ამ ადამიანსაც წაიყოლებს. თუმცა ნებისმიერ ადამიანს მარცხენა მხარზე შემოსკუპებული ჰყავს ეშმაკი, რომელსაც წმინდა გიორგის მეხი არ ეხება, ამდენად, ადამიანის სიცოცხლისთვის საშიში არაა.

ციური სხეულები და მოვლენები: გურულები ნებისმიერ მეტეოროლოგიურ მოვლენაში რალაც ნიშანს ხედავენ. ახალმთვარობაზე არანაირი საქმის წამოწყება არ ვარგა, საქმის წამოწყება კარგია სავსე მთვარისას, ასევე ბავშვის დაბადებაც. ვარსკვლავის ჩამოვარდნა ადამიანის სიკვდილის ნიშანია. კომეტა – ან ომს, ან ეპიდემიას, ან მოუსავლიანობას; ან კიდევ – ბარაქის, ან დიდი ადამიანის დაბადებას მოახწავებს.

ცის გახსნა სულ ერთ წამს გრძელდება და ვინც ამ მომენტს შეესწრება, უნდა ჩაუთქვას სურვილი, რომელიც აუცილებლად აუსრულდება.

თუ ცისარტყელა აღმოსავლეთითაა, ის კარგი ამინდის საწინდარია, დასავლეთის ცისარტყელამ კი გაბმული წვიმები იცის. აღმოსავლეთით რამდენიმე ცისარ-

ტყელა ერთად გვალვის ნიშანია. თუ ცისარტყელას ვილაყის ეზომი აყეს ბოლო ან ვილაყის სახლს მოეყყევა თავზე, იმ ოჯახს უბედურება ეწვევა.

ჩამავალ მზეს, რომელიც ნითლად არის შეფერილი, გურულები მკვდრის მზეს ეძახიან.

გველის აღმასის მოპოვება რთული საქმეა, მაგრამ – შესაძლებელი, გველი წყალში შესვლის წინ აღმასს ნაპირზე ტოვებს და თუ მას ვინმე აღმასს მოპარავს, ის ეყას ურტყამს თავს და კვდება. როცა გველები ერთად შეიყრებიან, ისინი აღმასით თამაშობენ. ვინც გველებს კაბას გადაუვდება, აღმასს მოიპოვებს. გველები გამტაცებელს დაედევნებიან, მაგრამ წყალშიშესული ქურდი კვალს აურევს. აღმასის მფლობელმა აღმასის შესახებ არავის უნდა გაუმილოს. გველის ნაკბენის შემთხვევაში დაგესლილმა აღმასის მფლობელს უნდა მიმართოს, რომელიც აღმასს წყალში ჩაავდება და ამ წყლით მობანს ნაკბენს. ხდება ისე, რომ აღმასი ძევს ახლადდადებულ კვერცხშიც. აღმასის მფლობელები უსაზღვროდ მდიდრდებიან, რადგან აღმასის სიახლოვეს რასაც დადებენ, ის გაორმაგდება.

სულეიმანი ნითელი ძვირფასი ეყაა. მისი მფლობელი ვისთანაც ამ ეყით მივა, იმ ოჯახში ყველა განაყოფიერებული არსება მოკვდება ჩანასახშივე. ეყის მფლობელი უშიშრად ამყარებს კავშირს ქალთან ისე, რომ მას არ გაანაყოფიერებს. სულეიმანი ცოცხალი ეყაა და მისი თხოვება შეიძლება. როდის და რატომ კვდება ეს ეყა, უცნობია.

ჯვარის ძალი კონუსისმაგვარი ცეცხლოვანი აღია, რომელიც ციდან ჩამოეშვება, დააჯდება ხეს, რის შემდეგაც ეს ხე ხელშეუხებლად ითვლება. ცუდია, თუკი ჯვარის ძალი სახლს დააჯდება მოსასვენებლად. გურულები ლამაზ კაცს ჯვარის ძალს ადარებენ.

მეთევზეობა: სათევზაოდ წასულს არავინ არ უნდა უთხრას „გამარჯობა“, არამედ – „დილა/საღამო მშვიდობისა“. მეთევზეებს ღმერთი კი არა, წმინდა ზებედე მფარველობს. გურულებს სწამთ, რომ კალმახებს, რომლებსაც თავთან ჯვრის ფორმის ფხა აყვთ, ეს ფხა მას შემდეგ გაუჩნდათ, რაც ისინი ქრისტემ აკურთხა და ჯვარი გარდასახა. ნებისმიერ საქმეზე წასულ გურულს კარგ ნიშნად მიაჩნია გველის ნახვა, თუმცა ცუდის ნიშანია გომბემოს შეხვედრა. თუ საქმე გადაუდებელია, გომბემოს შუაზე ჭრიან და ამით ანეიტრალებენ მის მავნებლობას.

ფრინველებსა და ცხოველებთან დაკავშირებული ცრურწმენები: ადამიანები განსაკუთრებულად უფრთხიან ოფოფს, ყვავს, ჭოტს, მაგრამ სკვინჩას კარგისა და ცუდის მოტანაც შეუძლია. თუ სკვინჩა მარცხნიდან გამოსცემს მჭახე ხმებს, მაშინ ეს ცუდის მომასწავებელია. პირიქითაა, როცა სკვინჩა მარჯვნივ უბის ადამიანს და წყნარად გამოსცემს ხმებს. ოფოფი, სადაც არ უნდა დაჯდეს ხეზე, მიწაზე თუ ღობეზე, უკვე ცუდის ნიშანია. ყვავი, რომელიც სახურავზე გადაფრინდება, ცუდზე

მიანიშნებს. ჭოტი ან ბუ, რომელიც ღამით სახლთან ახლოს მიფრინდება, შორიახლო შემოჭდება და კვილს ატეხავს, სიკვდილს მოუტანს ოჯახს.

მარტში გზაზე შემომხვდარი ძროხა თუ შემხვედრს შებღავლებს, მის გასანეიტრალებლად გურული ამოაძროხს ბენვს და თავზე გადაიტარებს სიტყვებით: „შენი ფასი ავიღე“. არაფერს კარგს ან ცუდს არ მოასწავებს წელიწადის სხვა დროს ხარის ან ძროხის შებღავლება, მაგრამ თუკი ხარი გაბმით შებღავლებს, ეს იმდენად კარგის ნიშანია, რომ შემხვედრი მას მადლობასაც უხდის და ქედს უხრის მადლიერებს ნიშნად.

ცხვირის დაცემინება შუა ლაპარაკის დროს სიტყვების დამოწმების ნიშანია და დამცემინებელს „სიცოცხლეს“ უსურვებენ. მაგრამ, თუკი ცხვირის დაცემინება დაემთხვევა გარდაცვლილის ხსენებას, მას ეტყვიან „იმის მოსვლამდი არაფერი გეტკინოს“.

სლოკინი იმის ნიშანია, რომ ვიღაც მას ახსენებს. თუკი გურულს აინტერესებს, ვინ ახსენებს მას, სლოკინის დროს მოკაკავავს ცერა თითს და გადაიტარებს წარბზე, ამ დროს კი ჩაითქრება რომელიღაც სახელს, თუ წარბიდან ბენვი ამოძვრება და თითზე შერჩება, ეს იმის ნიშანია, რომ სახელი გამოცნობილია. სლოკინი თუ შემანუხებელია, გამოდის, რომ მას კარგად არ ახსენებენ.

გველის ხსენებას გურიაში ტაბუ ადევს და მას ევფემიზმებით მოიხსენიებენ. როცა საუბარში წამოიჭრება სახელი „მცურავი“ ან „უხსენებელი“, ეს ნიშნავს, რომ მოსაუბრეზე ვიღაც ცუდად ჭორაობს ან ავისტყვაობს.

ცხვირის ქავილი წვიმის, თოვლის ნიშანია, თუმცა გურულებს სჯერათ, რომ ცხვირის მოქავეებისას მასთან ვიღაც მოდის სტუმრად.

ქვაზე ჯდომა არ არის კარგი. მას, ვინც არ უნდა დაჯდეს ქვაზე, ყმანვილი თუ ქალიშვილი, ახალგაზრდა თუ ასაკიანი, გურულებს სჯერათ, რომ მას სიდედრი/დედამთილი გაუცივდება, ანუ მოუკვდება. გურიაში განსაკუთრებით უყვართ ეს ადამიანები, ამიტომ სიძე არაფრის დიდებით არ ჩამოჭდება ქვაზე სიდედრის სიკვდილის თავიდან აცილების მიზნით.

13 და 5 – გურულებს არა აქვთ ცამეტთან დაკავშირებული ცრურწმენები, სამაგიეროდ, მათ არ უყვართ ხუთიანი. ამის გამო გურიაში არაფინ იტყვის „სამას სამოცდახუთო წმინდაო გიორგი შემინყალე“. ყველა ერიდება ამ სიტყვის თქმას, რადგან ის წააგავს თავისი უღერადობით სიტყვას „ხუთვა“ და ვინც მის მსგავს სიტყვას წარმოთქვამს, ჩასაფრებული ეშმაკი დააყოლებს: „ჩემგან იყოს დახუთული“.

საკვანძო სიტყვები: გურულები, რწმენა-წარმოდგენები, ცრურწმენები, დღესასწაულები.

Key words: Gurians, beliefs, superstitions, holidays.

СМОМПК, 1894, №19, გვ. 84-159, ნ. მინდელი, „სორის დასახლება (რაჭის მაზრა, ქუთაისის გუბერნია)“: წერილი კარგად აღწერს: სოფლის მღებარეობას,

კლიმატურ პირობებს, მოსახელობის საქმიანობებს, წეს-ჩვეულებებს; მეორეც აქ შემონახულია ის ლექსიკა (ბოტანიკური, ზოოლოგიური, საყოფაცხოვრებო და სხვ.), რომელიც ფაქტობრივად გამქრალია დღევანდელი ქართულიდან; ავტორს ტექსტში გადმოტანილი აქვს ეკლესიის წარწერები; დაფიქსირებული აქვს რამდენიმე კერძის მომზადების (მაგ., შვეცილი, ბოხჩა) და სხვადასხვა ჭურჭლის გამოყენების წესები (მაგალითად, სარწყული კვახი), ასევე ნაბიჯ-ნაბიჯ აღწერილია ფრინველზე (მახით) და შველზე ნადირობისა და მეთევზეობის (ლეშკა) წესი, სამოსელისა და ადგილობრივი ფეხსაცმლის კერვის მეთოდები, ღვინის დაყენების ტექნოლოგია, ადგილობრივი ყურძნის ჯიშები და ღვინის ტიპები; ამ მხრივ წერილი მნიშვნელოვანია არა მარტო ეთნოლოგებისთვის, რადგან მოცემულია სხვადასხვა დღესასწაულის აღწერა ტექსტებითურთ (მაგალითად, ბოსლობა), არამედ დიალექტოლოგებისა და ლექსიკოლოგებისთვისაც. გარდა ამისა წერილში მოტანილია რამდენიმე თქმულება-გადმოცემა, ბოლოს კი წერილს ერთვის შელოცვა-გამოლოცვები: წითელი ქარის, გათვალულის, ორსული ქალის, სიმსივნის, თვალის ტიკივილის, შაკიკის (ორნაირი) და საქონლის. თქმულება-გადმოცემებიდან საინტერესოა შემდეგი: 1. შქმერის-კლდეზე ფრინველის ბუდესავით მიხუტებულია ქვის ნაგებობა. როგორც ადგილობრივები ყვებიან, მისი აგება თამარის ეპოქას განეკუთვნება. ამიტომაც დედოფლის საყდარს უწოდებენ; 2. ჯვრის მონასტერში ჯვარია დაცული, რომელიც ოდესღაც გადამშის ეკლესიას ეკუთვნოდა. ერთხელ მდინარე სონტარული ადიდებულა და მას წამოუღია ეს ჯვარი. ეკლესიაში მცხოვრებ ბერებს დაუნახავთ, როგორ ატრიალებდა წყალი ჯვარს, შესულან ადიდებულ წყალში და გამოუტანიათ. ამაზეა შემდეგი სიმღერა: „სონტარულს შემოუთვლია: / მოვალ და მოველალები, / ფეხზე არ მინდა ნალები. / წისქვილი ბევრი წავიღე / ზედ დაჭედილი კარები. / მონასტერს მიუვახლოვდი, / ზედ გადავხვიე მკლავები, / კარგი ჯვარი ქვე მივართვი, / ბუშტები აქვს და თვალები, / ანდრია მინდელს – ხუცესსა / გადავურიე ქალები; / იმას ბოსტანი მოვსტაცე: / ქინძი, ქონდარი, კამები; / რცხალის ღვინო ბევრი ჰქონდა, / წითელი იყო ლალები. / მინდოდა შინ შესულიყო, / მენახა მათი ქალები; / ჭიშკრებზე რომ დამინახეს, / ფიცხლად მოკეტეს კარები. / ჩიჩაბაძის ვენახს ვეცი, / მოვიდლოზე იქ ვაზები; / რიონო ჩამომეცალე / სკოლორას მივექანებ“; 3. მინდაციხეზე (მინდლისციხე) ეს ლექსია შემორჩენილი: „მინდლისციხე მინდია, ჩემის ცოდვით სავსეა: თავ-წითელა მინდლის შვილი კირწისთავით ასვია“. ეს ლექსი უკავშირდება ციხის აგების შესახებ არსებულ თქმულებას: როდესაც ციხე აუშენებიათ, მის კედლებში პატარა ბიჭი ჩაუყოლებიათ. დედამისი საშველად მისულა, მაგრამ ბავშვის შველა ვეღარ შეძლო და ატირებული მიმართავდა, რაზეც ბიჭი პასუხობდა: – შვილო, სადნამდი? – დედა, მუხლამდი!... მუცლამდი!... გულამდი!... თავამდი!... გავთავდი!... მოსახლეობაში იმდენადაა გამჭდარი რწმენა, რომ ხიდების და სხვადასხვა ნაგებობების კედლებში ბერძნები ატანენ ბავშვებს, რომ 1863 წელს, როდესაც ბერძნები სამხედრო გზაზე ხიდს

აგებდნენ, უფროსები ბავშვებს გარეთ გასვლას უკრძალავდნენ. ხიდის მშენებლობა უსისხლოდ დასრულდა, მაგრამ მოსახლეობაში გამჭდარია რწმენა, რომ ამ ხიდში ბერძნებმა, ბავშვის ნაცვლად, მამალი ჩააყოლეს.

საკვანძო სიტყვები: ლეშკაობა (თევზაობა), ნადირობა შველზე, ადამიანის ჩატანება მშენებლობისას.

Key words: Leshkaoba (fishing), hunting on wild goats, human sacrifice while building bridges and castles.

CMOMIK, 1894, №19, გვ. 144-159, ა. გვასალია, „წალენჯიხის დასახლება (ზუგდიდის მაზრა, ქუთაისის გუბერნია)“: წერილში აღწერილია წალენჯიხის გეოგრაფიული მდებარეობა, ფლორა და ფაუნა, მოსახლეობის ძირითადი საქმიანობა, ასევე ქრისტიანული სინმინდევები, რომელთაგან შთამბეჭდავია მაცხოვრის აღმასებით და ოქროთი შემკული ხატი. საინტერესოა, რომ მოსახლეობას სჯერა, თითქოს წალენჯიხის ეკლესიის მახლობლად უძველესი ტაძრის ნანგრევებზე აღმართული ჯვრის ძირში დაფლულია მაცხოვრის სასწაულმოქმედი ხატი. ამ ადგილას ადგილობრივები მიდიან და წირავენ ცხოველებს, ფულს და სხვადასხვა ნივთებს. წალენჯიხაში ჩამოედინება მდინარე ჩენიწყარი, ავტორის განმარტებით, სახელწოდება უკავშირდება იმ მონადირე და მეთევზე ხალხის სახელს, რომელიც ოდესღაც ამ ადგილებში ბინადრობდა. წერილში კარგადაა აღწერილი ქორწილისა (მარებელის მაჭანკლის დახმარება; ავსულების დასაფრთხობად ხანჯლების უღარუნში ნეფე-პატარძლის გავლა) და დაკრძალვა-დატირების წეს-ჩვეულებები. ასევე ავტორი ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზე, რომ წალენჯიხელები განასხვავებენ ბოროტი ჯადოქრებისაგან კეთილებს, რომლებსაც ბოროტი ჯადოქრების ბოროტების განეიტრალება ძალუძთ თავიანთი ლოცვებით, ასევე, მკითხავ-მჩიხავებს, რომელთაც მოპარულის პოვნა შეუძლიათ. საინტერესოა ისიც, რომ წალენჯიხაში ფართოდაა გავრცელებული ხატზე გადაცემა. ქურდებს იმდენად ეშინიათ ამის, რომ თუ გაიგეს, რომ ისინი ხატზე გადასცეს, ნაქურდალს უკან აბრუნებენ. ღვთისმშობლის მიძინებისა და იოანე ნათლისმცემლის დღესასწაულის წინა საღამოს მოსახლეობა ჩეჩეთობასერს უწოდებს. ამ საღამოს ავსულები ძაღლების, კატების და ქალების სახით იპარებიან სახლებში და იტაცებენ ბავშვებს, რათა მიუყვანონ ტაბაკონის მთაზე წმინდა გიორგის მიერ მიჯაჭვულ გოლიათს. ამ ბოროტ არსებას თანაშემწეები ჰყავს და მათ მენცარები ჰქვიათ. მენცარები, როგორც წესი, ბებერი ქალები არიან. მათ დასაშინებლად ხალხი თოფიდან ისვრის და მთელ ღამეს ფეხიზლად ატარებს სიმღერებითა და ცეკვებით. წერილში მოტანილია რამდენიმე ცრურწმენა: ჭიჭავის ჭიჭაკვი უბედურების ნიშანია; ყურში ზარების რეკვის მსგავსი ხმა ახლობლის სიკვდილის საწინდარია; ბაყაყის მოკვლამ წვიმა იცის; ქათამი თუ ფრთას დასწევს, შეიარაღებულ კაცს ნახავ; თუ ცხენი უკანა ფეხს ასწევს, წასვლა მოგიწევს; თუ კატა იბანს და პირი ზღვისკენ აქვს შექცეული, უამინდობა იქნება;

მარცხენა ხელისგულის ფხანა ფულიანობაა, მარჯვენის კი – პირიქით; ცხვირის ფხანამ სტუმარი იცის; ქალიშვილი საბედლოს ნახავს სიზმრად, თუ საღამოს მარილიან ღომს შეჭამს და წყალს არ დალევს; ყვავი თუ სახლს გადააფრინდება, ამ სახლში ვიღაც მოკვდება; ქათამი თუ ფრთას ადამიანის წინ აიქნევს, კარვის მომასწავებელი არაა; თუ ძროხა ადამიანს შებლაგვლებს, მისთვის კარგი არ არის; დილაუთენია მელიის დანახვამ გამარჯვება იცის, კურდღლისამ კი – მარცხი; როცა ჯვარს იწერენ, წყვილს ხალხი გამართული უნდა უყურებდეს, თორემ გაიყრებიან; მიცვალებულის წინაშე დაცემინება კარგს არ უქადის; ახალ წელს უარს თუ გეტყვიან, მთელი წელი დათარსული გექნება (იგივეა, თუ ამ დღეს გაგქურდავენ ან რამეს დაკარგავ); ძაღლის ყმუილი უბედურების მაუწყებელია; მამლის ყვილი ბღურბლზე სტუმრის მოსვლას ამცნობს; ახალშობილს არ უნდა გადააბიჯო, თორემ არ გაიზრდება; ავი თვალისგან დასაცავად ცვილს იმაგრებენ თმაზე; დილას გზაზე ჯადოქარი თუ შეგხვდა, უბედურად აგისრულდება ის საქმე; საბედლოს ნახვა თუ გინდა, ოთახში მარტო უნდა შეიკეტო ისე, რომ არავინ დაგინახოს და სარკეში იქამდე იყურო, ვიდრე მომავალი ქმრის ლანდს არ დაინახავ სარკეში.

საკვანძო სიტყვები: მენცარი, ჩენი-წკარი, ჩეჩეთობა-სერი, ცრურწმენები.

Key words: Mentsari, Cheni-tskari, Chechetoba-seri, superstitions.

CMOMIK, 1894, №19, გვ. 160-180, თ. ხუსკივაძე, „ყვირილის დასახლება (შორაშნის მაზრა, ქუთაისის გუბერნია)“: წერილი იწყება ადგილის, ფლორის, ფაუნის, ნიადაგის, მოსახლეობის, დანესებულებების აღწერით. მდინარე ყვირილზე აღწერილი დასახლება შედარებით ახალია და მანამდე ზედა ფონი და ქვედა ფონი ყოფილა, რომელსაც მდინარეზე გადებული ხიდი ყოფდა. საინტერესოა, რომ წერილი აღწერს საქორწინო წეს-ჩვეულებებს. ადგილობრივები ადრეულ ქორწინებას ამჯობინებენ, მათ მიაჩნიათ, რომ ქალიშვილი 14-15 წლის ასაკიდან მზადაა გათხოვებისთვის, ხოლო ვაჟიშვილი 16-17 წლიდან – დასაქორწინებლად. ამიტომ, როგორც კი ამ ასაკში შეაბიჯებენ ახალგაზრდები, მათი მშობლები მიმართავენ მაშვლებს. აღსანიშნავია, რომ პატარძალი მეუღლის სახლში რამდენიმე თვე ან ხანდახან რამდენიმე წელიც კი არ გადადის, ქმარი კი მას წელიწადში რამდენჯერმე აკითხავს. უამრავი ცრურწმენა არსებობს, როგორც უნდა მოიქცეს როგორც ნეფე-დედოფალი, ასევე – მაცარი. მაგალითად, არავინ არ უნდა გაიაროს წყვილს შორის, წინააღმდეგ შემთხვევაში ქორწინება უიღბლო იქნება; მეუღლებულებს პირში შაქარს უდებენ ტკბილი ცხოვრების დასანათლად; არც პატარძალმა უნდა გაიაროს ორს შორის, თუ უნდა, რომ პირველი შვილი ქალიშვილი არ ეყოლოს; პატარძალს კალთაში ბიჭს ჩაუსვანემ ვაჟიანობისათვის, ახლად შეუღლებულები გადაჯვარედინებული ხანჯლების ქვეშ გაივლიან და ბღურბლზე ნეფე თეფშს ამტვრევს ბოროტი არსებების დასაფრთხობად. ეკლესიაში ჯვრისწერაზე მისულები კედელს არ უნდა მიეყრდნონ, წინააღმდეგ შემთხვევაში ქალს მშობიარობა გაურთულდება. უკანა გზაზე მაცარი მაცრულს

მღერის: „მოგვყავს და მოგვიხარიან, ორი უცხო ფრინველია, გალიაში გაზრდილები, ვით მაისის ბულბულია. ისე ვაჭმევდით შაქარსა, როგორც ყველი და პურია, ვაჟია ჩვენი ძმისწული, ქალია თქვენი ასული.“ წერილში მოტანილია იმ სახუმარო-სალაღობო სიმღერების ტექსტები (სულ ექვსი, სამი ქალების შესასრულებელი, სამი კი – ვაჟების), რომლებითაც ორ ბანაკად გაყოფილი პატარძლის მეგობრები და ნეფის მეგობრები ეპაექრებიან ერთმანეთს. წერილი აღწერს სუფრაზე წარმოთქმული სადღეგრძელოების რიგსაც, თითოეული სრულდება „მრავალჟამიერ თქვენი სიცოცხლე“-ს სიმღერით. სუფრა ნეფე-დედოფლისთვის სრულდება სიტყვებით „მეფე სალამს არის!“, რის შემდეგაც პატარძალი მდადეს გაჰყავს დარბაზიდან სანთობოში, ეხმარება მონესრიგებაში, სანამ ნეფე შევა. ნეფეს პატარძალი იქამდე არ სცემს ხმას, სანამ ხმის გამოსაღებს არ მიიღებს. წერილში დაცულია პირველი სადღეგრძელოს ტექსტი, რომელსაც უხუცესი სტუმარი წარმოთქვამს: „დიდება ღმერთსა, დამბადებელო ღმერთო! გააბედნიერე დღევანდელი ამ ოჯახის ნეფე და დედოფალი; ბედნიერი ცხოვრებით, კეთილ წარმატებით, შეაბეროთ ერთი ერთმანეთი ისე, როგორც მზე და მთვარე. ღმერთმა ყველას გაუმარჯოს, შენდობა მამაო!“ წერილი აღწერს მშობიარობის შემდგომ წესებსაც, მათ შორის ძეობას (იგივე მესამე დღე). ამ დღეს დედა აცხობს ხაჭაურს, ბებიქალი შემოუნთებს სანთლებს, აიღებს ღვინით სავსე ჭიქას, ხოლო ხაჭაპურს მარცხნიდან მარჯვნივ ამოძრავებს და ამბობს შემდეგ ტექსტს: „ყოვლად მონყალეო ღმერთო! აღზარდე ყმაწვილი ესე! გამოიყვანე კაცი: გონიერი, ბედნიერი, დედ-მამის მონა-მორჩილი, ტანმრთელი და გულმხიარული, წალმათ დააბრუნე ისი ცხოვრება და წალმართიანათ! ამინ!“ ამ დღეს აჭრიან ახალშობილს ჭიპლარს. დედა გაახვევს მას და ქმარს უდებს ჭიბეში. ბიჭის ჭიპლარს მამა ქალაქში ვინმეს კარზე დაავდებს იმ იმედით, რომ ამ სახლში მისი ვაჟიშვილი ისწავლის ხელობას, ხოლო გოგონას ჭიპლარს ეზოში მარხავენ, რათა გარეგარე არ ისეირნოს და კარგი მეურნე დიასახლისი გაიზარდოს. საინტერესოა ისიც, რომ ქალიშვილის დაბადებას მამას ხშირად არც ეუბნებიან, ბიჭის დაბადება კი დიდ სიხარულთანაა დაკავშირებული.

საკვანძო სიტყვები: საქორწინო წეს-ჩვეულებები, ძეობა, საქორწინო ცრურწმენები.

Key words: wedding rituals, wedding superstitions, the birth of the son (dzeoba).

СМОТРИК, 1894, №19, გვ. 79-103, ი. სტეპანოვი, „ქართველთა წარმოდგენები და ცრურწმენები (თელავის მაზრა, თბილისის გუბერნია)“: წერილში თავმოყრილია თელავის სასწავლებლის მოსწავლეების მიერ შეგროვილი ცრურწმენები, რომლებიც მათ ჩაინერეს მშობლებისგან და მიმდებარე სოფლებში მცხოვრები გლეხებისგან. სულ 200 ცრურწმენაა. აქედან ნაწილი უკავშირდება მეტეოროლოგიურ მოვლენებს, მზისა და მთვარის დაბნელებას, მთვარის ლაქების გაჩენას, წვიმას, ცისარტყელას ფერებს, ვარსკვლავთა რაოდენობას, კომეტას და სხვ.;

ასევე ნაწილი შეეხება ადამიანის წერას (ეს სიტყვაა გამოყენებული). რომელიც ყველას შუბლზე აწერია, კვირის ნაფს ღღეებს, უწმინდურ არსებებს (მაგალითად, დამხრჩვალს რომ არ აჩენენ), ბავშვის სიცოცხლისუნარიანობასთან დაკავშირებულ ცრურწმენებს (ფრჩხილის მოჭრა, ბავშვის სახელზე კვერილის გამოცხობა), ოჯახის წევრების სიკვდილის მომასწავებელ ნიშნებს; გარკვეული ნაწილი აღწერს ავადმყოფობებისგან დამცავ ცრურწმენებს (მაგალითად, მთვარევე ახალო, ახალო, მეჭეჭო ნაცარო, ნაცარო) ვერბალური ფორმულებით, ბატონებს და მათი სტუმრობისას შესასრულებელ რიტუალებს, ისევე როგორც ჩამოთვლის და ახსნის იმ საქმიანობებს, რომლებიც აკრძალულია ბატონების სტუმრობისას. საინტერესოა ტერმინები „ძილის გუდა“ (მწერის ჭუპრი) ჭუპრი, რომელსაც უდებენ ბავშვს აკვანში, „ხატის მონა“ (ხატმა თუ მოუვლინა სწეულემა); წერილში დაცულია რამდენიმე ჯადოს გაკეთების წესი სიყვარულის და მტრის მოცილების შემთხვევაში. პირუტყვის დასაცავი წესები და უნაყოფო ხის შესაშინებელი მეთოდები; აღსანიშნავია ცრურწმენები, რომლებიც უკავშირდება სხვადასხვა ფრინველისა და ცხოველის ხმებს და დანახვას; შვილიერებასთან, მშობიარობასთან და ორსულობასთან დაკავშირებული ცრურწმენები ერთადაა თავმოყრილი.

საკვანძო სიტყვები: რწმენა-წარმოდგენები, ცრურწმენები.

Key words: beliefs, superstitions.

СМОТРИК, 1896, №21, გვ. 107-150, გ. ჯაფარიძე, „რაჭველთა ხალხური დღესასწაულები, წეს-ჩვეულებები და რწმენა-წარმოდგენები“: წერილის პირველ ნაწილში აღწერილია დღესასწაულები, მეორე – მოგვითხრობს სხვადასხვა წეს-ჩვეულებასა და საყოფაცხოვრებო წესზე. მესამე კი – კოსმოგონიურ წარმოდგენებზე. ავტორი ცდილობს, ის განსხვავებებიც გადმოსცეს წერილში, რომლებიც არ გვხვდება საქართველოს სხვა კუთხეებში. თუმცა წესების უმეტესობა რაჭაშიც იგივეა, რაც სხვაგან.

ახალი წლის წინა საღამოს რაჭველები გადიან ტყეში, აგროვებენ შემას და სახლში მოაქვთ პყვორის, მუხისა და თხილის ფოთლიანი ტოტები. ამის შემდეგ აცხობენ ვეებერთელა კერიაბერს და კაცაბასილებს ოჯახის თითოეული წევრისათვის, რომც არ იყოს ის სახლში. ბავშვებისთვის ცხვება ბიკიკები – ცხოველის ფორმის ნამცხვრები. საახალწლო სანოვაგეს ღორის თავთან და ღვინოსთან ერთად დააწყობენ ფიცარნაგზე და გააქვთ ბელელში. მაკვლიერი დგება დილაუთენია და ისე, რომ ხმას არავის გასცემს, მიდის დილაუთენია ბელელში და უკან ამ სანოვაგით ბრუნდება. სპეციალური სიტყვების წარმოთქმის შემდეგ მას უდებენ კარს და მაკვლიერი ამბობს: „წავიდა ძველი წელი, მოვიდა ახალი წელი, მოაქვს თან პური და ღვინო, ფული ბევრი, კაცთა სიმთელე, ღორისა და ქათმის სიმრავლე“. ამ სიტყვების თქმისას, მაკვლიერი ტრიალებს მარჯვნიდან მარცხნივ და იცინის. ეს მეორდება სამჯერ. მაკვლიერის სიცილს სიცილითვე პასუხობენ ოჯახის წევრები. მაკვლიერი ოჯახის წევრებს პირში შექარს უდებს სიტყვებით: „ასე

ტკბილათ დამიბერდი!“ სანოვაგეს დგამს მაგიდაზე, რომელიც ახალი წლის მესამე დღემდე ხელუხლებელი რჩება. ამ დღეს კი ყველაფერი იჭმევა, გარდა ბასილებისა, რომლებსაც ნათლისღებამდე არ ეკარებიან (ნათლისღებაზე კი ჭამენ სიტყვებით „ყანა და ვენახი გაგიკეთდებაო“). შემდეგ გადიან ბოსლებში საქონლისთვის მისალოცად: „მრავალ ახალ წელს შეხვდით ბატონიანად“. ბოლოს სახლში შემოაქვთ პყვიანი, მუხის და თხილის ტოტები, რთავენ სანოვაგეს და მიუსხდებიან სუფრას. დილას ადრე დგებიან, რომ ვერც ერთმა ჩიტმა ვერ დაასწროს. გამთენიისას ოჯახებში უკვე გარე მაკვლიერი მოდის, რომელთაც ოჯახები თავად ირჩევენ ფეხბედიერობის ხედვით. მაკვლიერი, ძირითადად, ათ წლამდე ასაკის ბავშვია. ახალ წელს სტუმარი ეზოდან არ დაუძახებს მასპინძელს, აუცილებლად აიღებს ქვას და კარს დაარტყამს. არსებობს ცრურწმენა, რომლის მიხედვითაც, დაძახება მოასწავებს მთელი წელი საქონლის ხმაურს.

ბოსლობაზე ბავშვები მთელი დღე უსაქმურობენ და არაფერს აკარებენ პირს. ამას ჰქვია „ბავშვების პირის უწყობა“. ბავშვები პოულობენ მსხვილ ტოტებს, თლიან და აჭრელებენ, რადგან გოჭები ასეთივე მსუქნები და ლამაზები გაიზარდონ. ერთ ღორზე 10-15 ჯოხს აკეთებენ. ოჯახის დიასახლისი აცხობს განატეხს, ღორის ქონით ან ლობიოთი გამოტენილ ღვეზელს. განატეხი ბოლომდე უნდა შეიჭამოს ბოსელში, სადაც გაემართება პროცესია დედის წინამძღოლობით, რომელიც ბავშვების მიერ მომზადებულ ჯოხებს ღორებზე გადააგდებს. მეორე დღე, აუცილებლად შაბათი, ბოსლობა და ქალებისთვის უქმეა, თუმცა ხანდახან არც კაცები მუშაობენ, ბიჭები ისევ მარხულობენ. საღამომდე აცხობენ განატეხს და მიდიან ბოსელში. ბავშვები უფროსებს შემოაჯდებიან ზურგზე და ყვირიან: „ბოსელ, ბოსელ, ბუ“. განატეხით ჯვარს გადასწერენ პირუტყვს სიტყვებით: „გვარვიდეს ჯვარის ძალა“, მერე კვერცხს – სიტყვებით: „ასე გამრგვალდი“. სახლში შემობრუნებულებს კარს უღებს ოჯახის ის წევრი, რომელიც სახლში რჩება. სპეციალური ვერბალური გაბაასების შემდეგ ის კარს უღებს ოჯახის წევრებს და გადაასხამს წყალს. მეორე დღეს ბავშვები ბოსლებში დამალულ კვერცხებს ეძებენ.

გოჭის ხუთშაბათი: ეს დღე ეძღვნება ქათმებს. მას აღნიშნავენ ყველიერის კვირის წინა ხუთშაბათს. უქმეა და ქალები მარხულობენ. დღის ბოლოს განატეხით მიდიან საქათმეში და ლოცავენ ქათამს.

შიობა: ყველიერის ხუთშაბათი უქმეა. წინა ღამეს ტოვებენ ხელუხლებელ ღვინოს დოქით. ღამე, როცა ჩამოივლის წმინდა შიო, თავის მათრახს ჩაყოფს ღვინოში და დალოცავს ოჯახს.

ჩიტფაფაობა: ყველიერის შაბათს ზოგიერთი ამჯობინებს უქმედ გაატაროს. დილაუთენია დიასახლისი ამზადებს ფაფას. მასთან მისული ოჯახის წევრი კითხულობს: – დედი, რას აკეთებ? – ჩიტ ფაფას. – ვის აჭმევ? – შენ და შავესო, ივანე გამრეკელასაო. ხალხს სჯერა, რომ ივანე გარეკავს მხეცებს. ამის შემდეგ დიალოგის მონაწილენი გაცვლიან როლებს და დიასახლისი კითხულობს: –

მელა რას ჭამს? – სხვის ქათამსა. – მგელი რას ჭამს? – სხვის ცხენსა. და ასე ასახელებენ ყველა მტაცებელ ცხოველს. დასასრულს დედა შემოივლის ფაფით ეზოს და წაუსმევს ფაფას ღობეს სიტყვებით „ეს მელას, ეს მგელს, ეს დათვს და ა.შ.“ ბოლოს ფაფას ოჯახის წევრები შეჭამენ, რომ მათ არ სძლიოს (ძლევა – არ უნდა გაიგონონ ჩიტის ხმა) რომელიმე ჩიტმა.

მელა-კვერიობა: ეს დღე ყველიერის კვირას აღინიშნება. გამომცხვარ კვერს ბავშვები გაიტანენ სხვის მიწაზე და ნაწილ-ნაწილ უყრიან წილს: მელიას, ქორს, მგელს და სხვა მტაცებლებს. ცრურწმენის მიხედვით, ბავშვებმა კვერი არ უნდა ჭამონ თავიანთ ეზოში, თორემ მტაცებელი მათი ეზოდან შინაურ ფრინველს და პირუტყვს გაიტაცებს.

დედოფლობა: დედოფლით ვნების კვირაში ბავშვები დაივლიან მეზობლებს და მღერიან: „დედოფალა კარს მოადგა, დია უცხო და უფალი, სახლად ღმერთმა ავაშენოს, მოგცეს დიდი ბარაქა, სახლო სალხინოდ დადგმულო, დერეფან ჩამოხატულო, დედოფალა არასა სჭამს, მარტო კვერცხის გულის მეტსა, ალათასა, მალათასა ხელი ჩავჰყავ კალათასა, თუ ორი კვერცხი არ იყოს, ერთი მაინც ჩქარათასა“. ბავშვებს მეზობლები ასაჩუქრებენ კვერცხით, (დაახლოებით 200-300 გროვდება) კვირის ბოლოს ინანილებენ. დედოფალასაც შეხვდება კვერცხი, რომელიც მის პატრონს ეკუთვნის.

დიღხუთშაბათი: დიდი ხუთშაბათი რაჭველებისთვის კუდიანების დღეა. ისინი თავიანთ უფროსთან, როკაპთან მიემგზავრებიან ძაღლებზე, კატებზე ან ჯოხებზე ამხედრებულები ანგარიშის ჩასაბარებლად. კუდიანი როკაპს კბილებში ქვას ურტყამს: რაც უფრო დიდია ქვა მით უფრო სერიოზულია მსხვერპლი, რომელიც მალევე მოკვდება, საბოლოო ვადა მეორე წლის დიდი ხუთშაბათი. თუკი კუდიანი ვერ ახერხებს მსხვერპლის შეწირვას, ის სასტიკი ტანჯვით კვდება. კუდიანები მოილხენენ, ადამიანს თუ მათი დანახვა უნდა, თუთაზე უნდა აძვრეს და საცერში გაიხედოს. მაგრამ ცნობისმოყვარე ხიდან ჩამოვარდება, ამიტომაც თუთაზე ასვლის მსურველიც ცოტაა. თუ სოფელს სწადია, დაადგინოს, ვინაა მათ შორის კუდიანი, ბზიკის ცვილისგან სანთელი უნდა გააკეთოს და ეკლესიას გარს შემოუაროს. აღდგომა დილას კუდიანს მარჯვენა მხარზე გამოუჩნდება ის ცხოველი ან საგანი, რომლითაც როკაპთან იმყოფებოდა. კუდიანმა უარი რომ თქვას ჯადოქრობაზე, მას შუბლზე გავარვარებული რკინით დადაღავენ. საღამოს ანთებენ კოკონს – წია კოკონიას, ბავშვები კი მას ახტებიან: „წია, წია, კოკონია, წია წია კოკონი! ჩვენს ქალებსა ტახის თავი, სხვის ქალებსა ვირის თავი, ჩვენს ბუჭკერში დიდი ცომი, სხვის ბუჭკერში დიდი ლოდი, ჩვენ კაცებსა თოფ-ლეკური, სხვის კაცებსა დიდი ჯოხი, ჩვენ ჭურებში ღვინო მწვანის, სხვის ჭურებში გველ-ბაყაყი, ჩვენს ბელელში მარცვალიო, სხვის ბელელში ხვარხვალიო“.

აღდგომა: ბავშვები მთელი საღამო რეკავენ სამრეკლოდან ზარებს. ლიტურგიის შემდეგ ყველანი ჩამოსხდებიან ეკლესიის გალავანთან და იმ ოჯახის ჩამოსარიგს ელოდებიან, რომელსაც იმ წელს ვიღაც გარდაეცვალა. საფლავზე

აუცილებლად ტოვებენ კვერცხს და ანთებენ სანთლებს. ბავშვები ჩამოუვლიან საფლავეებს და შემდეგ ერთობიან კვერცხების გორაობით. ადგილობრივებს სჯერათ, რომ აღდგომის დილას მზე ბატკანს ეთამაშება. ამ მოვლენაზე დაკვირვება კი შუშის საშუალებით შეიძლებოდა, რომელიც სადღაც გაქრა.

ელიობა: წელიწადში ოთხჯერ, აღდგომის მომდევნო სამ ხუთშაბათს და 20 ივლისის რაჭველები წმინდა ილიას დღეს აღნიშნავენ. ეს დღეები უქმეა, 20 ივლისი კი ყველაზე დიდი პატივით აღინიშნება და მას წითელელიობა ჰქვია. ამ დღეს გზაზე ნაპოვნი მწიფე მსხლის ჭამაც არ შეიძლება. რაჭველებს ასეთი გადმოცემა აქვთ: თავდაპირველად ილია მენალე იყო და სახელოსნო თბილისში მთაწმინდაზე ჰქონდა მიწისქვეშა მღვიმეში. მას არ სურდა, ზევით ამოსულიყო და ცოდვით დამძიმებული ქვეყანა ენახა, არც არავის უშვებდა თავისთან. ერთხელაც ილიასთან ცოდვილი ქალი მივიდა, გამოიტყუა და აცთუნა. ილიამ დაითხარა თვალები. ღმერთმა მას ისევ უბოძა მხედველობა და ღრუბლების წინამძღოლობა დააკისრა. წვიმა, ჭექა-ქუხილი, სეტყვა წმინდა ილიას პატრონაჟის ქვეშაა. როცა სეტყვა დაიწყება, ოჯახის რომელიმე წევრი გარბის ეკლესიაში და რეკავს ზარებს, რათა გააგონოს წმინდა ილიას, რომ შეწყვიტოს სეტყვა.

კვირიკობა: 22 ივლისის საღამოს ოჯახის თავი შემოვიღოს ვენახს, ისვრის თოვს და ყვირის: „არურე, კუდიანებო!“ თუ ასე არ მოიქცევა და არ დააფრთხობს ბოროტ არსებებს, კუდიანები ნაცარს დააყრიან მის ვენახს და მცენარის დაავადებას გამოიწვევენ.

ფერიცვალება: ამ დღეს, 6 აგვისტოს, რაჭველები თევზს მიირთმევენ. განსაკუთრებით ბევრ კალმახს იჭერენ ადგილობრივ მდინარეებში. ბავშვები სახეს მაცვლით ითხუპნიან.

შობის შემოლოცვა: საღამოს მზადდება კორკოტი, რადგან, როგორც ამბობენ, ღვთისმშობელმა მოლოგინების შემდეგ პირველად კორკოტი იგემა. კორკოტს ინახავენ და დღესასწაულის შემდეგ პირველ სამუშაო დღეს აჭმევენ საქონელს. სახლის ოთხივე კუთხეში ანთებენ სანთელს. ეს სანთლები თანაბარი ზომის უნდა იყოს. რომელი სანთელიც პირველი ჩაიწვება, იმ მხარეს ცუდი მოსავალი იქნება. ალილოზე რაჭველები ბარბალობის, ანუ 4 დეკემბრის, შემდეგ დადიან.

მეორე ნაწილში აღწერილია რაჭული ქორწილი როგორც დიდგვაროვანთა, ასევე გლეხების ოჯახებში; მშობიარესთან დაკავშირებული წარმოდგენები. ამ დროს ყველაზე მეტად შიშობენ, ბოროტმა სულმა არ შეიპყროს მშობიარე, ამიტომ თავთან ღვთისმშობლის ხატს უდებენ. მოლოგინების შემდეგ მშობიარეს აბანავენ, რაც ხშირად მისი გარდაცვალების მიზეზი ხდება. ახლად ნამშობიარეები საწოლიდან ერთი თვე არ დგება. საინტერესოა, რომ ორი თვის ბავშვს დედა მოჭრის თმას და მას შემდეგ აჩვენებს, რაც გამართულ მეტყველებას დაიწყებს. დედა ეკითხება შვილს: – ვისი თმებია? თუ ბავშვი საკუთარ თავს დაასახელებს, ის ბედნიერი იქნება. ჭიპლარს დედა იქამდე ინახავს, სანამ ისეთ ადამიანს არ ნახავს, ვისაც უნდა, რომ მისი შვილი დაემსგავსოს. მერე ჩუმად აისვრის მის

მხარეს ამ ჭიპლარს. აქვეა აღწერილი გონჯაც. ეს არის წვიმის გამოსათხოვი რიტუალი. რაჭველები ცეკვავენ და ხმამაღლა იხმობენ წვიმას: „გონჯა მოდგა კარებსა, აბრიალებს თვალებსა, რილასა, რილასა, ღმერთი მოგცემს წვიმასა“. გონჯას როლს ასრულებს ბიჭი, რომელიც 10 წლამდე ასაკისაა. ის გაიხდის ტანზე სამოსს და მოითხოვს ნახშირით. ხელში უჭირავს ეკლები და მას ჩუქნიან ქათამს. თუ გონჯა მეორე გონჯას შეხვდება, ისინი ჩხუბობენ. თუ წვიმას მაინც ვერ გამოიწვევენ, ამაში გონჯაა დამნაშავე. შემდეგ წერილი აღწერს საქონლის ლოცვას, ტექსტში მოტანილია ლოცვის ტექსტიც. საინტერესოა რამდენიმე ცრურწმენა, რომელიც უკავშირდება ფრინველებს. ესაა ჭოტის კვილი და მისი მოკვლა. დაწყველილი ადამიანი რომ გადარჩეს, მისმა ოჯახმა უარი არ უნდა უთხრას მარილზე მოსუღს. სამოგზაუროდ წასასვლელად მომზადებული რაჭველი არ გადააბიჯებს სახლის ზღურბლს წინდამხდურის გარეშე. ამას კი უამრავი წესი უკავშირდება. წერილში ასევე მოტანილია სხვა ცრურწმენებიც. ცალკეა გამოყოფილი ავი თვალის ახსნა.

მესამე ნაწილში აღნიშნულია, რომ რაჭველთა რწმენა-წარმოდგენებით სამყარო სამი ნაწილისგან შედგება: ჩვენი ქვეყნის გარდა არსებობს ზემო და ქვემო სოფლები. წერილში აღწერილია რაჭველთა შეხედულებები: ცაზე, მთვარეზე, მზეზე, ვარსკვლავებზე, კომეტებზე, ცისარტყელაზე, ცის გახსნაზე. ასევე ციდან ზარების რეკვის ხმაზე, რომელიც მამლის ყივილამდე ისმის და მისი გაკონება მხოლოდ უცოდველ ადამიანს ძალუქს.

საკვანძო სიტყვები: ცრურწმენები, დღესასწაულები, სამყაროს ნაწილები.

Key words: superstitions, holidays, the parts of the universe.

HO, 1888, №1731, ი. ხონელი, „ბავშვობის მოგონებები“: წერილი საინტერესოა იმით, რომ ავტორი, თუმცა ზედაპირულად, მაგრამ მაინც საინტერესოდ აღწერს ბავშვობის მოგონებას ალილოზე და ხაცციზე. მისი მოგონებები იმერეთიდან ნათელს ჰყენს საკითხს, რომ ხაცციც ეს იყო სუფრა, რომელიც იშლებიდა მხოლოდ ბავშვებისთვის შობის ღამეს, უფრო სწორად კი – შუალამის შემდეგ, გათენებამდე. ბავშვებს, თუკი ჩაძინებულები იყვნენ, აღვიძებდნენ, ულოცავდნენ შობას და მიიპატიუებდნენ გაშლილ სუფრასთან. ბავშვები ხელპირდაბანილები მიუსხდებოდნენ სუფრას და დილამდე ილხენდნენ. უფროსები არ ერეოდნენ ბავშვურ ლხინში, მხოლოდ ემსახურებოდნენ მათ. ალილოსთვის ბავშვები შობამდე ორი კვირით ადრე ემზადებოდნენ, შემდეგ კი იწყებდნენ კარდაკარ ჩამოვლას. ხშირად მოპოვებული გროშების გამო, ჩხუბობდნენ კიდევ, რადგან აზრი იყოფოდა, რა უნდა ექნათ ფულისთვის. წერილში ნახსენებია „ჩურჩხელა“ და „ტკბილი-კვერი“ – ნუგბარი, რომელსაც ბებია ახვედრებდა სასწავლებლიდან საშობაოდ დაბრუნებულ შვილიშვილს. სამწუხაროდ, წერილში არ არის ჩამოთვლილი, ვარიის გარდა, რა კერძებისგან შედგებოდა ხაცციც.

საკვანძო სიტყვები: ალილო, ხაცცი - ბავშვების სუფრა, შობა.

Key words: Alilo – Christmas carols, Khatsitsi – children’s feast, Christmas.

BE, №22/2, გვ. 1-22, ა. ბეკეტოვი, „ყურძენზე და ღვინოზე - რუსეთის სავენახე სარტყელის დადგენის მცდელობა“: ავტორი წერილის დასაწყისში აღწერს სურათს, თუ როგორ დაუტვირთავს ჩოხოსან ქართველს ურემი ტიკით. იქვე ახსნილია, რომ ტიკი ესაა ნავთით გაპოხილი კამეჩის ტყავი, რომელშიც ასხია ღვინო. ტიკს ჯერ მზის სხივები ურტყამს, მერე გზაზე ჯანჯლარებს, მერე მოხვდება გასაყიდად და მის ბუკეტს ნავთის გემო დაჰკრავს, თუმცა ქართველებს მაინც მოსწონთ ის. ამის შემდეგ ავტორი რიტორიკულ კითხვას სვამს: განა შეიძლება ეს ღვინო შეედაროს ან ბურგუნდიულს ან ბორდოს ღვინოს?! თუმცა იქვე მონყაყად აღნიშნავს, რომ ღვინის შენახვის ქართული წესი იმეორებს ბერძნულ წესს, რომელიც აღწერილია „ოდისეაში“, როცა ოდისევსი ციკლოპს სტუმრობს. სამწუხაროდ, ქართველები ჩამორჩნენ დროს და წინ ვერ წავიდნენ, ღვინოს ან ტიკებში ინახავენ ან ქვევრებში. მიუხედავად იმისა, რომ აცნობიერებენ, რომ ღვინის ამოღება ამგვარი ჭურჭლიდან მოუხერხებელია და მასზე ნიადაგი გავლენას ახდენს, რადგან ღვინო უონავს; თანაც, როცა ახალდაყენებულ ღვინოს ჩაასხამენ ქვევრში და მის გვერდითაა ძველი ღვინო, ისიც დაიწყებს დუღილს, ამიტომაც ერიდებიან ძველისა და ახლის გვერდიგვერდ მოთავსებას. ავტორი ასკვნის, რომ ქართველებს ამ საკითხებში განათლება აკლიათ, რუსეთშიც არაა მეღვინეობა განვითარებული, ამიტომ საჭიროა ევროპაში მოგზაურობა, იქაური და კავკასიური წესების შედარება და უკეთესის არჩევა რუსეთისთვის. მას შემდეგ, რაც ავტორი მიმოიხილავს ევროპის სხვადასხვა ქვეყნის ტრადიციას, საფრთხეებს, მიდის გადაწყვეტილებამდე, რომ, მიუხედავად იმისა, რომ კავკასია დაბალგანვითარებულია ამ კუთხით, უპრიანია, კავკასიური ჯიშის ვაზი გაშენდეს ყირიმში კლიმატისა და ლანდშაფტის მსგავსების გამო. გამოყოფს სამ ღვინოს, წინანდალს, ოჯალეშს და საჯავახოს, რომელსაც სხვა ყურძენს არ ურევენ დაყენებისას და რომელიც არაფრით არ ჩამოუვარდება ევროპულს. გარდა ამისა, ქართული ჯიშები ოდითგან ხარობს ქვეყანაში თავისით, ისინი გავლურებული კი არაა, არამედ გარეული ჯიშებია, ისეთ ადგილებში გვხვდება. ავტორი ახსენებს მაჭარს, რომელსაც ქართველები სვამენ და უკვირს, რომ ისინი ღვინოს სახელებს ფასის მიხედვით არქმევენ, მაგალითად, ორაბაზიანი, სამაბაზიანი ღვინო და ა.შ.

საკვანძო სიტყვები: წინანდალი, ოჯალეში, საჯავახო, ღვინის ჭურჭელი, ქვევრი, ტიკი.

Key words: Tsinandali, Ojaleshi, Sajavakho, wine wessels, kvevri, tiki.

BE, №15/2, გვ. 65-11, ა. ბეკეტოვი, „მოგონებები თბილისსა და მის შემოგარენზე“: ავტორმა ხუთი წელი იცხოვრა თბილისში. წერილში ის თავის ბოტანიკურ ინტერესს გამოხატავს, ამ კუთხით კარგად აღწერს თბილისს, მის კლიმატს,

ვენახებს, განსაკუთრებით, ავლაბარს, უსახურავო და აივნებით გარშემორტყმულ სახლებს, ტერასული ტიპის ბაღებს, ასახელებს მცენარეებს (მათ შორის უნახს და ფშატს, ქართულ დასახელებებს უძებნის ლათინურ სახელწოდებებს), რომლებიც გავრცელებულია თბილისში და მის შემოგარენში, ფაუნას – ცხოველებს, ფრინველებს, მწერებსაც კი. თბილისის აღწერისას გამოირჩევა ბაზრების – თათრული მაიდანის და ერეენის ბაზრის აღწერა და ამ ბაზრების მიმდებარე ქუჩები, სადაც თავი მოუყრიათ ხელოსნებს. წერილი ჩამოთვლის, რა იყიდება პატარა მაღაზიებში, ვინ ვაჭრობს, რომელი ეთნოსის წარმომადგენლები გვხვდებიან, რა ტიპის დუქნებია, რამდენად სუფთა რესტორნებია და რა მზადდება იქ. ავტორი ამ ყველაფერს საკმაოდ დეტალურად განიხილავს, არც ის ავიწყდება, რომ სახლების ბანზე ქათობიანი ქალები საქმიანობენ, წითელ-ყვითელ ნაჭრებში გახვეული მათხოვრები მონყალებისთვის დადიან. თბილისის შემდეგ ავტორი აღწერს საგურამოს, ზედაზენს, სადაც ხალხი იკრიბება დღესასწაულზე მაისში და მშვენივრად იღვინს; ასევე აღწერს ალგეთს, კოჯორს, რომელიც თბილისელებისთვის ზაფხულის ხვატის დროს საუკეთესო თავშესაფარია; თეთრწყაროს და მანგლისს, სადაც არ იციან არც ინფექციური ეპიდემიები, არც ციება და არც ქოლერა ჯანსაღი ჰავის წყალობით. თეთრწყაროში ავტორს ხვდება კვარცის კრისტალები, რომელსაც თურმე ქვის წვიმას ეძახიან. მას ხვდება *Pyrethrum roseum*, რომლისგანაც ამზადებენ ფეხვილს რწყილების და სხვა მკვებრებისგან დასაცავად. ავტორი იხსენებს კახეთს, სადაც სიღნაღიდან ალაზნის ველით გადავიდა თელავში, მერე კი თიანეთში. არ ავიწყდება აღნიშნოს, რომ იორს უნინ კამბიზუსი ერქვა. თელავში ჩასვლამდე მას ღამე ერთ-ერთ სტუმართმოყვარე თავადთან გაუთენებია, რომელიც დილას გლეხებთან ერთად გავიდა მინდორში და მაღალი კაკლის ხის ქვეშ ვერცხლის აზარფეშით სვამდა მსუბუქ ღვინოს და შესცქეროდა, როგორ მღეროდნენ გლეხები მკის დროს შეძახილებით შრომის სიმღერებს. თიანეთში მას უნახავს ლეკური ტრადიციით მოკვეთილი მარჯვენა ხელები, რომლებიც ეკიდა მოედანზე და ჰყვებოდა მტრისთვის ხელის მოკვეთის გავრცელებულ წესზე ხევსურებში, თუშებსა და ფშავლებში. უკვირს, როგორ ჰგონიათ, რომ ჯორი ცხენისა და ძროხის ან ვირისა და ძროხის ნაჯვარია და ეს ისეთივე არასწორ წარმოდგენად მიაჩნია, როგორც კავკასიელთა წარმოდგენა, რომ ნიორი ხორბლიდან წარმოდგება. ავტორს არ მოსწონს, როგორ ეპყრობიან ქართველები ვირებს, აღნიშნავს, რომ აქ ვირი სალანძღავი სიტყვაა და მასთან მრავალი უწმანური ხუმრობაა დაკავშირებული. ქუჩაში ბიჭები ხშირად ცემენ ამ მორჩილ ცხოველს, მერე კი აპკიდებენ ტვირთს საზიდრად. თბილისში მხოლოდ ორკუბიანი აქლემები უნახავს, იშვიათად, მაგრამ ხანდახან აქლემებს სპეციალურად აჩხუბებენ სანახაობის მიზნით. ავტორი აქებს კამეჩის რძეს. ქართულ ძროხებს და ცხენებს ტანდაბლად მიიჩნევს, მაგრამ მოსწონს მათი გამძლეობა, სილამაზე თუ ნაყოფიერება. ასევე ჰყვება, როგორ უყვართ ქართველებს ბატკნის ჭამა, განსაკუთრებით, აღდგომის დღეებში; ხოლო ღორები მხოლოდ იმერე-

თიდან ჩამოჰყავთო, რადგან აღმოსავლეთში მის ხორცს იმდენად არ ჭამენ ისლამის გავლენის გამო; კურდღლის ხორცი კი ეზიზებათ სომხებსო. წერილში აღნიშნულია, რომ ქართული დათვიც კი მომცრო ტანისაა და მას არ წერტნიან, თუმცა ხშირად ჯაჭვით ჰყავთ დაბმული გასართობად. ავტორს არ ავიწყდება ყანწის სმის ტრადიცია, რომელიც ბოლომდე უნდა დაიცალოს, თუკი ძალა გერჩის. წერილი უთუოდ საინტერესოა ადგილობრივი ფლორითა და ფაუნით დაინტერესებული მკითხველისთვის.

საკვანძო სიტყვები: ხელის მოკვეთა, თათრული და სომხური ბაზარი, თბილისი, Pyrethrum roseum, ყანწიდან დაღევა, ფლორა, ფაუნა.

Key words: Cutting off the hand, Tatar and Armenian markets, Tbilisi, Pyrethrum roseum, drinking from horns, flora, fauna.

БЧ, 1837, №23, 18-26, 6. გოლიცინი, „კავკასიის მთებზე გადასვლა“: წერილში აღწერილია რუსეთიდან თბილისამდე მგზავრობა, რომელიც 1827 წლის თებერვალში შედგა. ავტორი ემოციურად მოგვითხრობს, როგორ შეჩერდნენ მოგზაურები კობში, რომელსაც აღწერს, როგორც ჭუჭყიან და მოსაწყენ ადგილს და, მიუხედავად ზვავის საშიშროებისა, როგორ იმგზავრეს ბოლომდე. ლარსიდან დარიალის საგუშაგომდე ავტორმა დაინახა მაღალი კლდის მწვერვალზე ნანგრევები, რომელთა შესახებაც ყვება ერთ გადმოცემას: თურმე ყაჩაღი დარია თავისი სილამაზით იტყუებდა მგზავრებს, აწამებდა და შემდეგ თერგში გადაჩხავდა. ავტორი საკმაოდ მწირად აღწერს იმ საცხოვრებელს, რომელშიც გაჩერება მოუხდათ. აფიქსირებს, რომ ეს იყო ქართველების სხვა საცხოვრისების ტიპის ნაგებობა, რომელშიც სინათლე ზევიდან ჩადიოდა, ისევე როგორც ზევით ადიოდა ცეცხლის კვამლი, რომელსაც პირდაპირ მიწაზე აჩაღებდნენ. წერილში ნახსენებია გუდას ჯვარიც, რომელიც აღმართული იყო მთის მწვერვალზე. აწანურისა და დუშეთის ხსენების შემდეგ ავტორი ჩამოღის თბილისში, სადაც მიწვეულია თავად მადათოვის მეჯლისზე.

საკვანძო სიტყვები: კობი, მადათოვი, დარია, გუდას ჯვარი.

Key words: Kobi, Madatov, Darya, Jvari (the cross) of Guda.

БЧ, 1838, №29, გვ. 17-48, თ. ბარონ კორფი, „გავლით ამიერკავკასიის მხარეში“: წერილში აღწერილია მოგზაურობა ირანამდე. დარიალის ხეობის ბუნების აღწერის გარდა ავტორი დამატებულად საუბრობს ევროპელი მოგზაურების შეცდომებზე და იმ საკუთარ სახელებზე, როგორებიცაა სენტკრისტოფის მთა ჯვრის მთაზე და ანგელოზების ველი. ასევე ახსენებს პომპეოსის ხიდს მცხეთასთან, რომლის შესახებაც წარმოდგენა არა აქვთ ადგილობრივებს. წერილში კარგადაა აღწერილი თბილისის ეთნიკური სიჭრელე, აბანოები (ახსენებს სიტყვას „დაქაფო“), მოედნები, ქარვასლა და ეკლესიები. აღნიშნულია, რომ მომლოცველები, განსაკუთრებით, ქალები, ფეხშიშველნი ადიან ხოლმე მამადავითზე. ავტორს არ

ავიწყდება განიხილოს ვახტანგ მეფის წვლილი თბილისის დაარსებაში და მიმოიხილოს ტოპონიმთან დაკავშირებული საკითხები.

საკვანძო სიტყვები: თბილისი, აბანოები, ქარვასლა, ვახტანგ მეფე.

Key words: Tbilisi, bathes, Karavansaray, King Vakhtang.

БҲ, 36, გვ. 1-33, დიუბუა-დე-მონპერე, „მოგზაურობა კავკასიის გარშემო, ჩერქეზეთში და აფხაზეთში, სამეგრელოში, გეორგიაში, სომხეთსა და ყირიმში“ (მეორე სტატია): წერილი ციტირებს სხვადასხვა საისტორიო წყაროს და მრავალ ავტორს, რომელთაც უწინ უმოგზაურიათ სათაურში ჩამოთვლილ გეოგრაფიულ ადგილებში. გაგრამდე ავტორი აღწერს უკანასკნელ ჩერქეზელ ტომს, არდონებს, რომლებიც აფხაზეთში ცხოვრობენ და ძველ დროში უფრო განათლებულები იყვნენ. სტრაბონი მათ ფტიროფაგებს (ტილიჭამიებს) ეძახდა, რომელიც სიტყვა-სიტყვით კი არ უნდა ითარგმნოს, არამედ ღარიბს უნდა აღნიშნავდეს. დიუბუა პირველად გაგრას ეწვია, რომელიც ჩერქეზეთის ჯიქეთსა და აფხაზეთს აკავშირებს. ის ყვება თავდასხმებზე, რომელსაც რუსულ გარნიზონს უწყობდნენ, თუმცა აღნიშნავს, რომ თავდასხმები ნელ-ნელა მინავლდა. გაგრის შედეგ მოგზაური გადადის პიცუნდის (ბიჭვინთის) აღწერაზე. აფხაზებს საუკეთესო საჩუქრად იარაღი მიაჩნიათ, ყიდიან ტყვეებს თურქეთის ბაზარზე, თუმცა არასოდეს არ ახლებენ ხელს თანამემამულეებს გაყიდულის ნათესავების მხრიდან შურისძიების შიშით. აფხაზები 52000 მოსახლეს შეადგენენ და ოთხ ტომად იყოფიან, სამურზაყანოს ავტორი მეხუთე ტომად მიიჩნევს. მოგზაურობის ავტორი აფხაზეთის მერე იმერეთს, კერძოდ, ქუთაისს აღწერს. მოსახლეობა ჭრელია და შედგება ვაჭარი სომხებისგან, ვაჭარი ებრაელებისგან, რომლებიც არ გვანან ლიტველ და პოლონელ ხმაურიან ებრაელებს, ხელოსანი იმერლებისგან, ღვინით მოვაჭრე ქართველებისგან და რუსებისგან, რომლებიც სამხედრო პირები არიან. ქუთაისის ყოფა მას ახსენებს კლასიკურ ბერძულს. ბაგრატიის ტაძრის შემდეგ ავტორი აღწერს გელათს. ის იზიარებს აკადემიკოს ფრენის მოსაზრებას, რომ რკინის ჭიშკარი გადაადნეს, როცა ლურსმნები შემოაკლდათ მშენებლებს. გადმოცემის მიხედვით, კარები არა დერბენდიდან, არამედ კარაბაგიდან (ყარაბახი) არისო. არ ავიწყდება გადმოცემა წყალნითელზე, რომლის წყალიც მონამე დავით და კონსტანტინეს სისხლს გაუწითლებია, თუმცა ათეიქსირებს კლაპროტის მოსაზრებას, რომ წითელი სოკო ფერავს წყალს. ავტორის აზრით, არათფერი შეედრება თამარის ციხე-დარბაზს, იგივე პროკოპის მუხერიზისს, რომელიც ფაზისის ნაპირზეა, და შენიშნავს, რომ, მიუხედავად იმისა, რომ ქართველები მიანერენ მის აგებას თამარს, აშკარად ლაზების პერიოდს ეკუთვნის. მას არ ავიწყდება ახსენოს ვარდქალაქი-ვარციხე, იგივე გულისტანი და იგივე როდოპოლისი, ანუ ლაზების მთავარი ქალაქი, რომელიც ლაზებმა გაანადგურეს კუტაია კუტატისიუმთან და მუხერიზისთან ერთად, მტერს რომ არ ჩავარდნოდა ხელში. დიუბუა აღნიშნავს, რომ ამ ადგილების ნახვისას ევროპელს თვალწინ წარმოუდგება ძველებური

ლხინი, მაგრამ თავად აღფრთოვანებული არაა იმერული ნადიმის წესით, რომელიც 1833 წელს იხილა. მოეწონა მხოლოდ იმერული შემწვარი წინილის გემო, რადგან ფრინველს კარგად კვებავენ და ასმევენ ბრონეულის წვენს. კარგადაა აღწერილი წესი – პირველად სტუმრის სადღეგრძელოს შესმისა, რომელსაც სამადლობელი მოჰყვება. თურმე ქართველები, იმერლები და მეგრელები მზისქვეშეთში საუკეთესო მსმელები არიან, ხოლო სტუმარს აძალებენ დაღევას. სადილზე ხუთი ბოთლი არავის უკვირს. მისი აზრით, იმერეთის ბაღდადის ღვინო საუკეთესოა. აღნიშნავს, რომ გამბას ნახატიც კი აქვს, როგორ სვამენ მეგობრობის ნიშნად. ნადიმის შემდეგ თბილი წყლით უღვაშს იბანენ და წყალს პირში ივლებენ, ნარჩენებს მომსახურეებს უტოვებენ. სტუმარი იძინებს ფულუროში, რომელიც იბლიანის სტუმრებისთვისაა განკუთვნილი. ხანში მოგზაური გაჩერდა მოურავთან, რომლებსაც სომხები მელიქებს უწოდებენ. ამის შემდეგ საათაბაგოში გადადის, სადაც კლიმატი მშრალია. ახალციხის აღწერისას ამბობს, რომ ლეკიანობის დროს გატაცებულები აქ ჩამოჰყავდათ, საიდანაც ბილიკებით გადადიოდნენ თურქეთში. 1833 წელს ახალციხეში ერზრუმიდან და ყარსიდან ჩამოსახლეს სომხები და ახლა მათ აქვთ სამი იაკობიტური ღარი-ბული ეკლესია, ორიც კათოლიკური, ებრაული სინაგოგა 117 სახლეულზე და დარჩენილი მუსლიმი მოსახლეობისთვის მეჩეთის ნანგრევები. ყურადსაღებია საუკეთესო ყველაზე მაღალი, 130 ფუტის სიმაღლის, მინარეთი. ახალციხის მოსახლეობა ჭრელია და შედგება: თურქების, ლაზების, ლეკების, ქართველების, სომხების, ებრაელების, ქურთების, ყარაბაღელებისა და თურქმენებისგან. ათაბაგების ისტორიის მოთხრობისას აღნიშნავს, რომ გადმოცემით, საფარა ყვარყვარე ათაბაგის ძმამ, მანუჩარმა აავო. მოგზაურის აზრით, ხერთვისში საუკეთესო პეიზაჟებია, ციხე-სიმაგრე ააშენა თამარმა, თუმცა ქართველების გადმოცემით – ალექსანდრე დიდმა. წერილში კარგადაა აღწერილი თმოგვი და თამარის ციხე, ასევე ვარდსი ანუ ვარდციხე, სადაც, როგორც ადგილობრივები ყვებიან, თამარს უყვარდა ცხოვრება. მისი აზრით, ციხე თამარის ეპოქაზე აღრინდელია. გადმოცემა გვიამბობს, რომ აქაა თამარის საფლავი, რომელიც საშინელ მდგომარეობაშია, ქვაში კი ეკლესია თამარმა გამოაკვეთინა. იქვე ინახება ღვთისმშობლის სასწაულმოქმედი ხატი, ისევე როგორც აწყურის მეთერთმეტე საუკუნის მონასტერში, რომელიც ყველაზე მდიდრულია მორთულობით საქართველოსა და იმერეთში. სანამ რაჭაში გადავა, მოგზაური გზაზე ხვდება და აღწერს იმერულ წისქვილებს. უწერადან გადადის ჩიორში, სოფელში, რომელიც ისეთი მდიდარია კომპურებითა და სათოფურებით, რომ ვერ შეედრება გერმანიის ვერც ერთი სოფელი. მოგზაური აღფრთოვანდა ღების ნახვისას, მაგრამ გლოლა კიდევ უფრო მოეწონა. ზემო რაჭა მდიდარია მუავე წყლებით, სახელგანთქმულ ნარზანსაც ჯობნის გემოთი, მაგრამ განსაკურნებლად ჩასული ცოტაა, რადგან მოსახლეობა უკმეხია. ბოლოს ჩერდება ლეჩხუმში საირმეს მონასტერში, ჩამოთვლის რამდენიმე სოფელს, მათ შორის ლაილაშს, უსახელოურს. თურმე

მას მურში არ დახვდა დადიანი და მისმა ცოლმა ცუდი მასპინძლობა გაუწია. თუმცა ცხენისწყალზე მდებარე სოფელ გორდაში დადიანმა გამოისყიდა დანაშაული და კარგი მასპინძლობა გაუწია მოგზაურს.

საკვანძო სიტყვები: ტილიჭამიები, ქუთაისის ებრაელები, იმერული ნადიმი, წყალწითელი, ნოქალაქევი, ვარციხე, ახალციხის მოსახლეობა, რაჭის მუავე წყლები.

Key words: phiteiophags, Jews from Kutaisi, Imeretian feast, red river, Archeopolis, Rodopolis, population of Akhaltsikhe, mineral waters of Racha.

БЧ, 1840, №38, გვ. 85-118, დიუბუა-დე-მონპერესა და დემიდოვის ჩანაწერებზე, „რუსეთის სამხრეთში მოგზაურობა“ (პირველი სტატია): ავტორი აქ მიმოიხილა იმ სამოგზაურო ჩანაწერებს, რომლებიც მრავლად იბეჭდება ევროპაში და მნიშვნელობის მიხედვით გამოყოფს ორი ავტორის, დიუბუასა და დემიდოვის ტომებს. შემდეგ მსჯელობს სამეგრელოს ეთნონიმის შესახებ, რომელიც, მკვლევართა აზრით, ახალია და ეგრისიდან, უფრო ზუსტად კი, ენგურიდან მომდინარეობს. საუბრობს ამ მხარის საზღვრებზე ლეჩხუმთან და სვანეთთან და გადადის სვანეთის აღწერაზე. ამბობს, რომ სვანეთი ღარიბია, მაგრამ ხალხი მაინც არ ყაჩაღობს, თუმცა არ შიმშილობს. ზემო სვანეთში არ ხარობს ხეები. აღნიშნავს, რომ სვანებს ენა გააჩნიათ, რომელიც ქართველურია და აქ ოდითგან მოიპოვება სპილენძი და ტყვია, იციან რკინის წრთობა და რომ გამონაგონი არ უნდა იყოს ოქროს მოპოვების წესი, რომელზეც აპიანე და სტრაბონი საუბრობენ. სვანეთის მერე გადადის ლეჩხუმის აღწერაზე, რომლის მოსახლეობაც ძირითადად იმერლები არიან და ქართულად საუბრობენ, განსხვავებით ოდიშელი და დანარჩენი მეგრელებისგან. იქვე მიუთითებს ლინგვისტურ კანონზომიერებაზე – როგორ იცვლება ხმოვნები ქართულიდან მეგრულში. სამეგრელოში ავტორი აღწერს მარტვილს, სადაც ეპისკოპოსს უთქვამს, რომ მეგრული სხვა ენაა. ნოქალაქევის აღწერისას არ აფიქსდება კირკე და არგონავტების მოგზაურობა და დამაჯერებლად დაასკვნის, რომ ეს უძველესი აიაა. იქვე შენიშნავს, რომ ნაგებობები წააგავს თამარის სასახლეს ვარდსში (ვარძიაში). ფოთის გზაზე ჩერდება სიღნაღში, რომელშიც ბაზარია და ეკლესია. მიუხედავად იმისა, რომ გზის გაყოლებაზე დაუსახლებელი ადგილებია, საკმაოდ გამწვანებულია თხილნარით, მუხნარით, ლელვით, ალუბლით, ჭადრით და ველური ვაზით (სავარუდოდ, გულისხმობს მალღარის ტიპის ვენახებს). სახელი ფოთი, მისი აზრით, მეგრულად წარმოთქმული ფაზისია. ნატანების შემდეგ აღწერს გურიას, კერძოდ, ოზურგეთს, იქაურ ეკლესიებს და საფლავებს, ჩიკოტაურს, სადაც დადიანის დამ და ერისთავის ცოლმა უმასპინძლა. აღნიშნავს, რომ გურიაში ყველაფერი ახალი ძველითაა ნაგები. საინტერესოა შავებში ჩაცმული წვერიანი გურულების დატირების წესი, რომელსაც გაბმული სახე აქვს, და ენაცვლებიან დამტირებლები, რომლებიც რიგრიგობით ეკითხებიან გარდაცვლილს, თუ რა

აკლდა სააქაოში (სახლი? საჭმელი? სასმელი? სამოსი?) და თუ არ აკლდა, რატომ მოკვდა. მოგზაურს უკვირს, რომ გურიაში პროდუქტი არის, მაგრამ არაა განვითარებული ვაჭრობა, თუმცა თურქებმა მოსახლეობა რუსების შემოსვლამდე მიაჩვიეს ადამიანების გაყიდვას. გურიის შემდეგ ქუთაისია აღწერილი, სადაც მხოლოდ ოქტომბერში და ნოემბერშია კარგი ამინდები და ზამთარში რბილი კლიმატი. აღნიშნავს იმერლების სტუმართმოყვარეობას და სიკეთეს, ასევე – მათ ფიცხ ხასიათს. მოსახლეობის რიცხოვნება შემცირდა ჭირის ეპიდემიის შედეგად. ქუთაისის შემდეგ მოგზაური ეწვევა საჩხერეს. შენიშნავს, რომ მესხები არიან იბერიელები, დაოსტატებულები – ვაზისა და მინდვრების დამუშავებაში. ბოლოს მოგზაური ჩამოდის გორში. ქალაქის მოსახლეობა დაშინებულია ლეკიანობით. ქართლის პური სახელგანთქმულია და გორის მინდვრები საუკეთესო კავკასიაში. უფლისციხეს ადარებს ვარძიას, თუმცა არ ავინყდება, რომ ბევრად უფრო ძველია, თითქმის წარღვნისდროინდელი. გორის შემდეგი გაჩერებაა ტიფლისი. მის ეტიმოლოგიაზე მსჯელობისას, ტრადიციულ ვერსიასთან ერთად, რომ თბილ აბანოებს უკავშირდება სიტყვა, არ ავინყდება არაბული ვერსიაც, რომ „ტიფლისი“ არის სიტყვა „უფულო“ და რომ ამის გამო ბევრი კალამბური გაუგონია. წერილი სრულდება მოსახლეობის სტატისტიკური მონაცემებით და ავტორი სომხეთის აღწერაზე გადადის. აღსანიშნავია, რომ სტატიაში მრავლადაა ისტორიული წყაროების მიმოხილვა, საკუთარი სახელები: ვარძია, ოზურგეთი, ჩოხატაური, ზემო ქვეყანა (სემოკლიკანა) დამახინჯებულია.

საკვანძო სიტყვები: ოქროს მოპოვება, აია, ტიფლისი, ლეკიანობა, ჭირი.

Key words: gold mining, aia, Tiflis, kidnapping by lezgians - lekianoba, pestilence (plague).

BE, 1873, №11, რ-ოვი, თეოფილაქტე რუსაკოვი, „საქართველოს პირველი ეგზარხოზი, ბიოგრაფიული ნარკვევი (1765-1821 წწ.)“: თეოფილაქტე ეგზარხოზად რომ დანიშნეს, ორმოცდაათი წლის იყო. ის რიაზანიდან გადმოიყვანეს. უამრავი მტერი ჰყავდა და გრძნობდა, რომ ასე მოიპორეს თავიდან და ბოლო გამოსვლისას ტირილი ვერ შეიკავა. საქართველოში თან ჩამოიყვანა სემინარისტები და მგალობლები, რომელთაც ადგილობრივებზე დაქორწინებას ჰპირდებოდა, ხოლო დაქორწინებულებს კარგ ადგილებს, რამდენიმე მათგანი გზიდან გაექცა, რომელიც ეგზარხოზმა შეავსო ტამბოველი სასულიერო პირებით. საქართველოში საკმაოდ მტრულად დახვდა ადგილობრივი სამღვდელთა, რომელიც მრევლსაც ცუდად განწყობდა. მაშინდელი ქართველები მთიელი კავკასიელებივით იყვნენ განწყობილები რუსების მიმართ. მალე თეოფილაქტემ მოიპოვა მხარდამჭერები თეთრ სამღვდელთაში, მათ შორის იყო დეკანოზი ჩუბინოვი. ქართველებმა არ იცოდნენ რუსული და ეგზარხოზი აიძულებდა თავის ჩამოყვანილებს ესწავლათ ქართული და განაწესა კარგ ადგილებში. მას მფარველობდა ერმოლოვი, ხოლო გუბერნატორი არ წყალობდა.

საკვანძო სიტყვები: ეგზარხოსი თეოფილაქტე, სასულიერო პირები.

Key words: a bishop-exarch Theophilact, a spiritual seminary.

BE, 1879, გვ. 278-283, მ. რ-ჩ, „**მოსკოვიდან თეირანამდე და უკან, მოგზაურის მოგონებებიდან**“: წერილის ავტორი ქალია, რომელიც შთაბეჭდილების ქვეშაა გოლოვინის პროსპექტით, სადაც უამრავი ევროპული ყაიდის მაღაზიაა, მოსწონს მეფისნაცვლის სასახლე, მოედანი, მუშტაიდი და ბოტანიკური ბაღები, მთანმინდა, გერმანელთა დასახლება. მაგრამ მას არ მოსწონს სოლოლაკის მიღმა თბილისური ცხოვრება, რომელიც ჭუჭყიანია და ჭრელი. მისი დაკვირვებით ბაზრებში არ დადიან ქალები, მხოლოდ ერთი ჩადრიანი სპარსელი და ერთი მახინჯი სომეხი ქალი შენიშნა. თბილისის შემდეგ მას აღარ მოეწონა ბაქო, რომელიც კიდევ უფრო ჭუჭყიანი და ნაკლებად ევროპულია. იქ დაესწრო წარმოდგენას ცირკში, რომელიც დაბალი დონის იყო. უკვირს, რომ ბაქო არაა განათებული ღამით, როცა ნავთობი საკმარისია მთელი რუსეთის გასანათებლად.

საკვანძო სიტყვები: გოლოვინის პროსპექტი, ბაქოს ცირკი.

Key words: Golovin avenue, circus in Baku.

BE, 1868, №6, გვ. 726-753, ი. კრეტოვიჩი, „**მგზავრის ჩანაწერებიდან**“: ავტორი აღწერს სამხედრო გზას ვლადიკავკაზიდან. ბალტასთან ის შენიშნავს თამარის ციხესიმაგრის ნანგრევებს, რომელიც იმდენად მიუდგომელ ადგილასაა აგებული, რომ ყველაზე მარდ და მოქნილ ოსსაც გაუჭირდება ასვლა. ანანურის სიახლოვეს ის დაინახავს კარგად მოვლილ ატმის ბაღებს და ვენახებს, ასევე სიძველეებს, რომელთა რაოდენობაც დიდია თბილისამდე. მისი თქმით, მიწები სულ ტყუილად ცდება. ავტორს თბილისი არ მოსწონს ბინძური ქუჩების გამო, თუმცა მოსწონს პატარა ბოტანიკური ბაღი და მიაჩნია რომ მთელი თბილისი ასეთი უნდა გახდეს კარგი დაგეგმარების პირობებში. ჩამოთვლის და აღწერს ღირსშესანიშნაობებს, ესენია: მუშტაიდი, ქარვასლა, ხიდები, თათრული კლუბი, გერმანელთა დასახლება, ბიბლიოთეკა მკითხველის გარეშე, ოპერის პატარა ლამაზი შენობა (იმ საღამოს იდგმებოდა „რიგოლეტო“), მუზეუმი, ობსერვატორია. ღამით ისმის მოქეიფე ახალგაზრდებისა და ზურნის ხმები. თბილისის ზაფხული ცხელია და ადგილობრივები თავს აფარებენ კოჭორსა და ბორჯომს. ავტორის დაკვირვებით, ქართველები, რომლებიც რუსულ სასწავლებლებში სწავლობდნენ, გამჭრიახი გონებით გამოირჩევიან. გუვერნანტები ინგლისიდან და გერმანიიდან სიამოვნებით თხოვდებიან ადგილობრივებზე, ხოლო ქართველები რუსებზე. თბილისის შემდეგ მოგზაური მიემართება დასავლეთ საქართველოში. მას შედარებით უფრო მოსწონს იაქაური სახლები და მოვლილი ბაღები, აღნიშნავს, რომ გურიაში არის მინის ქარხანა და ერთი სასტუმრო ქუთაისში. სამეგრელოში ხალხი ღარიბია, რადგან არ შრომობს კლიმატის გამო. ფოთს კარგ მომავალს უწინასწარმეტყველებს. თბომავლით გადადის სოხუმში. ვინაიდან კავკასიის ომი

ახალი დამთავრებულია, ხოლო მთის მკვიდრი ჩერქეზი მოსახლეობა თურქეთში გადაასახლეს, შემოგარენი დაცარიელებული და გავერანებულია. საქართველო-დან ავტორი მიემართება იალტაში.

საკვანძო სიტყვები: ოპერა, მუზეუმი, ობსერვატორია, ბიბლიოთეკა, მინის ქარხანა.

Key words: an opera house, a museum, an observatory, a library, a glass factory.

BE, 1889, №10, გვ. 700-716, ა. სტოიანოვი, ბათუმი, „მოაგარაკეთა ისტორიის გამო ბათუმის ოლქში“: ავტორი გულნატკენია იმ მიზეზით, რომ მისი სააგარაკო ნაკვეთის ბედი, როგორც სხვა დანარჩენი მოაგარაკეებისა, ადგილობრივმა ხელისუფლებამ სასწორზე შეავლო. არადა, მონაშენებმა დიდი წვლილი შეიტანეს ჭაობების დაშრობისა და აქაურობის აყვავების საქმეში. მათ, დ'ალფონსის (რომელსაც თავად ჰქონდა სანერგეები) რჩევით, დარგეს ხეხილი, დაფნა, როდოდენდრონი, აკაცია, მიმოზა და სხვ. ჩაყარეს სხვადასხვა ჯიშის ვაზი, მათ შორის, რაჭული ვაზი ყიფიანისგან, ფრანგული, რომელიც აკლიმატიზირებული იყო იმერეთში, შორაპნისა და იმერული. ავტორი მსჯელობს, რამდენად უკეთესია თურქი მუშების დაქირავება, რადგან მათ უკეთ ესმით, რას ითხოვენ მათგან, ხოლო გურული და მეგრული მუშები ყველაფერს აპროტესტებენ და ვაზის გარდა არაფერი იციან. წერილის ავტორი მასწავლებელია და უკვირს, რატომ არ ფიქრობს ხელისუფლება იმაზე, რომ დაოჯახებულ მასწავლებლებს სიძვირის გამო შვებულების გატარების საშუალება უცხოეთში არა აქვთ და მათ უნდა შეუქმნას პირობები, რათა ადგილზე შეძლონ სააგარაკე ნაკვეთების ყიდვა.

საკვანძო სიტყვები: დაქირავებული მუშები, ჭაობი.

Key words: hired labourers, Swamp.

BE, 1886, №8, გვ. 567-612, ი. ივანიუკოვი, მ. კოვალევსკი, „სამოგზაურო ჩანაწერებიდან, სვანეთში“ (ნაწილი პირველი): წერილის ავტორები აღფრთოვანებას ვერ მალავენ ამ მოგზაურობით, რადგან, მათი მოლოდინით, უამრავ არნახულ ველურ შთაბეჭდილებას ჰპირდებოდათ, რომლის მსგავსიც, ალბათ, აფრიკის ცენტრალურ ნაწილშიც კი არ არის. ხიფათიანი გზის აღწერისას წერილი ციტირებს ილინის წერილს, ხოლო ლენჯერის გზაზე ახსენდება სვანების მონათხრობი ლეგენდარულ „ტყის კაცებზე“, რომლებიც შიშვლები არიან, გრძელი თმა აქვთ და ხელში ჯოხი უჭირავთ. თათარკან დადემქელიანის მამასაც შესხვედრია ეს ტყის კაცი, რომელმაც თოფს დაავლო ხელი და შემთხვევით გაუვარდა, რამაც შეაშინა და გაიქცა. მთხრობელის ახსნით, ეს ტყის კაცები გავლურებული ადამიანები არიან, მაგრამ მიზეზი, თუ რატომ გავლურდნენ, მან არ იცის. სოფელ ენერამდე ლაშქარში არის მოგზაურთა შეჩერების პირველი პუნქტი. აქ სვანები შემდეგი სიტყვებით ესალმებიან შემხვედურთ: „დაე, ამ დღეს არაფერი ცუდი არ დაგემართოს!“ მასპინძელი მოსულელებს მთავრად მუავე რძეს,

ყველს და არაყს. ავტორები ჰყვებიან დადემქელიანების სვანეთში გადმოსახლების ამბავს, რომელიც მე-15 საუკუნეში მომხდარა. როგორც ჩანს, კვიციანები მანამდეც დანიშნურებული გვარი ყოფილა და ეს დღემდე შემორჩენილია. რუსეთს სვანები თავიანთი ნებით მიენდნენ, ჯერ 1847-ში – შვიდი თემი, მერე – ორი, 1853-ში კიდევ – ორი: ლენჯერი და ლატალი. სვანებს რუსებმა დაუნიშნეს წარმომადგენლად მიქელაძე, რომელიც სვანებს უყვართ, არა ჰყავთ მოსამართლე, რადგან არავის უნდა აქ საცხოვრებლად გადმოსვლა. ბეჩოელი დადემქელიანები იმის გამო, რომ გამაჰმადიანდნენ, ყველაზე ღარიბები არიან. ავტორები აღწერენ ეკლესიებს და კოშკებს, აღნიშნავენ, რომ გადმოცემით ეკლესიები თამარის აგებულია, რადგან მას უკავშირდება სვანების გაქრისტიანება. სვანები ეკლესიაში ქართულის არცოდნის გამო არ დადიან და, მიუხედავად იმისა, რომ სასტიკად უარყოფენ თავიანთ წარმართობას, მათ სწამთ ერთი ღმერთის და ბოროტი არსებების. სვანების რწმენით, ამ არსებების მოკვლა უწყინარია, თუკი პირისპირ შეხვედრისას მოკლავ, მაგრამ, თუკი რამდენიმეს შეხვდები, ისინი აუცილებლად შურს იძიებენ. მათი მოკვლის შემდეგ რჩება მხოლოდ ნერწყვი. ავტორები აღწერენ, რომელ თვეში რა დღესასწაული და რა ტიპის მსხვერპლშენიერვა სრულდება. საინტერესოა გარდაცვლილის წლისთავის აღწერა, თუმცა არანაკლებ საინტერესოა ყოველწლიური მოსახსენიებლები, რომლებიც მოსავლის აღების შემდეგ იწყება და დეკემბრამდე გრძელდება. თითოეული ოჯახი რიგრიგობით აღნიშნავს და გულუხვად უმასპინძლებს მიცვალებულის სახელზე მეზობლებს, ამიტომაც ამგვარი სუფრა ჩხუბით თავრდება. სვანებში დასვენების დღეებია: პარასკევი, შაბათი და კვირა. მათ სჯერათ, რომ, თუ ამ დღეებში იმუშავენ, მეტი საკვები ექნებათ, მაგრამ წესს არ არღვევენ. მოუსავლიანობას და ამინდს მარტივად ხსნიან და წესების დარღვევას უკავშირებენ. ერთ-ერთი წესის მიხედვით, მშობიარე სანოლიდან არ უნდა ადგეს 40 დღე. აღწერილია, როგორ მიაგნეს უშვულში ავდრის მიზეზს და როგორ უშველეს. დაწვრილებითაა აღწერილი სხვადასხვა დიდი დღესასწაული, მათ შორის ახალი წელი, შობა და ლიფანალი, ასევე პურობები, როდის რას აცხობენ და რა წარმოდგენებს უკავშირდება კოჭლი მიცვალებულთათვის კიბის ფორმისა და გარდაცვლილი ბავშვებისათვის ღია ტიპის გულსართიანი პურები. განხილულია მეკვლეობის წესი ვერბალურ ნაწილთან ერთად. წერილი შეეხება სვანების ყოფა-ცხოვრებას, ყრილობებს, იურიდიულ და ეკონომიკურ წესებს, მეურნეობას, ცდილობს ახსნას ქალების ხშირი მოტაცებების მიზეზები და ე.წ. უკანონო ბავშვებად მიჩნევის წესები. აღნიშნულია, რომ, მიუხედავად ქალებისა და მამაკაცების არათანაბარი რაოდენობისა, ენდოგამიური ქორწინებები დაუშვებელია, ხოლო ჯაფარიძეებსა და დადემქელიანებში ხანდახან ეს წესი დარღვეულია. საინტერესოა დადემქელიანებისა და უშვულელების დაპირისპირების შესახებ გადმოცემის ორი ვერსია. პირველი ვერსიით, უშვულელებმა მოკლეს პუტა დადემქელიანი დაკისრებული ბეგარის გამო. ეს ისე მოაწყვეს, რომ ბრალეული მთელი სოფელი ყოფილიყო –

გასროლისას გამოიყენეს ეკლესიის თოფი, ჩახმახს მოაბეს თოკი, რომელიც თითოეული სამოსახლოს 42 ბიჭს ეჭირა, ტყვიის ჩამოსხმაშიც კი ყველა გვარი იღებდა მონაწილეობას. დადემქელიანის შვილმა მამის მკვლელობის გამო სასტიკად იძია შური, ამოხოცა თითო წვეთი სისხლისთვის 7 კაცი, ორსულებს მუცლები გამოუფატრა, გადარჩა მხოლოდ სამი გვარი, რომლებიც იმ დროს არ იყვნენ სოფელში. მეორე ვერსიის მიხედვით, ცოცხალ-მკვდარ მამას შვილმა ჰკითხა, რა ერჩინა, სისხლის აღება თუ სამაგალითო ჰანაშვილები, მომაკვდავმა მეორე აირჩია და ამის შემდეგ უშგული გათავისუფლდა გადასახადებისგან. წერილში უხვადაა გამოყენებული სვანური სიტყვები, თუმცა ბევრი არასწორად და ახსნილია მათი მნიშვნელობა.

საკვანძო სიტყვები: ლიფანალი, უშგული, დადემქელიანი, ტყის ველური კაცი, ბოროტი არსებები.

Key words: Liphinali, Ushguli, Dadeshkeliani, a wild man of forest, evil creatures.

BE, 1886, №9, გვ. 5-59, ი. ივანიუკოვი, მ. კოვალევსკი, „სამოგზაურო ჩანაწერებიდან, სვანეთში“ (ნაწილი მეორე): წერილში ავტორები მიმოიხილავენ სამოქალაქო, სისხლის, კერძო, სამემკვიდრეო, შრომის და საპროცესო სამართლის ტიპებს სვანეთში ზოგადად და კონკრეტული მაგალითების ფონზე. ხშირ შემთხვევაში სვანურ სამართალს ადარებენ ოსურს და იშვიათად კავკასიის სხვა მთიელი ხალხის სამართალს, ხოლო, სადაც საჭიროა, განმარტებები მოაქვთ მსოფლიო სამართლის ისტორიიდან. საინტერესოა ტექსტები, რომლებიც ფიცის დადებას ახლავს და ტერმინების სვანური ეკვივალენტები. ეხებიან ქვით ჩაქოლვის იშვიათ წესებს. ავტორები ცდილობენ, ახსნან ახალშობილ გოგონათა მკვლელობა, რომელიც მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეშია გავრცელებული და მოსახლეობის გამოკითხვის შედეგად ასკვნის, რომ ყურადღებაა მისაქცევი თავად სვანების ერთ-ერთ ახსნაზე: გოგონებს კლავენ, ვინაიდან მათი გაჩუქების უფლება აქვთ ბატონებს. ერთ-ერთ სქოლიოში ქორწილის დღეს შესრულებული სიმღერის ტექსტია დაცული, იქვეა ახსნილი, რომ ახლად დაქორწინებულების გაშიშვლებული ხანჯლების ქვეშ გატარების წესი ავი სულების დაფრთხობას უნდა უკავშირდებოდეს. ლატალის ეკლესიიდან გამოსულმა სტუმრებმა მოისმენეს ორ სიმღერა, რომელიც ფერხულით შესრულდა. ერთი სიმღერა იყო იმაზე, თუ როგორ დაპატიჟეს მესტიელებმა მულახიდან ორი ძმა და მზაკვრულად მოკლეს, ხოლო მეორე სიმღერა უშგულელების ტრაგიკულ ნადირობაზე იყო, რომელსაც წინ ავი სიზმარი უსწრებდა. წერილში მოთხრობილია დემეტის მიერ მოთხრობილი ამბავი: თურმე ბეჩოში დასახლდა ეშმაკი შუბლზე ცალი თვალით და იტაცებდა საქონელს. გიომ უთხრა ცოლს, არ დავიძინოთ და არ მივცეთ ეშმაკს საქონლის მოტაცების უფლებაო. ცოლი ისე მოიქცა, როგორც გიომ დაარიგა, აავიზიანა თივა, მუხუდო შეუყარა ეშმაკს ფეხებში. დაბმული ეშმაკი სკამს მიამაგრეს. მეორე დღეს გიომ მიიღო თითო ოჯახიდან ერთი ცხვარი და მოაკვლევინა

ისრებით თანასოფლელებს სკამზე მიბმული ეშმაკი. ეს გადმოცემა მეგზურმა მას შემდეგ გვიამბო, რაც აუხსნა, რომ მარტო ამ გზას არ გაივლიდა, რადგან მდინარეში, ქვის ქვეშ ეშმაკი ცხოვრობდა, რომლის ძმაც ბეჩოელებმა მოკლეს უხსოვარ დროში, სანამ ისრებს თოფები შეცვლიდა. წერილში დაფიქსირებულია ლეგენდა ქვაზე, რომელიც სოფელ მაზაშეში გზაზე ძევს და ჯორის ნაწიხლარი ეტყობა. ამ ქვის შესახებ სვანი დადიანები ყვებიან: იესო ქრისტე ჯორით სვანეთში მოდიოდა. მაგრამ ვინრო გასასვლელის შეეშინდა და უკან გაბრუნდა. სვანები ამის გამო წუხან და მიაჩნიათ, რომ იესო რომ სვანეთში ჩასულიყო, მათ ბედს ძალი არ დაყვებდა.

საკვანძო სიტყვები: სამართალი, მემკვიდრეობა ახალშობილი გოგონების მკვლელობა, იესო, ცალთვალა ეშმაკი.

Key words: laws, inheritance, infacide, Jesus, one-eyed devil.

BE, 1900, №9, 118-119, „**რუსული სომხეთი**“: წერილში კობი-გუდაურის გზა, ანანურისა და მცხეთის ბუნება და ღირსშესანიშნაობებია აღწერილი. აღსანიშნავია, რომ გამცილებელი ოსი ბიჭია. ავტორი აღფრთოვანებით საუბრობს მცხეთის უძველეს არქიტექტურაზე, ახსენებს ყველაზე მნიშვნელოვან ძეგლს, რომლის სახელიცაა სტეფანწმინდა, რომელიც აღმართულია მტკვრის საპირისპირო მხარეს, სადაც მას ხმაურიანი არაგვი ერთვის. ოდესღაც ქართველ ცეცხლთაყვანისმცემელთა მზისა და ცეცხლის ტაძრის ადგილას ახლა უმანკო ჩასახვის მონასტერი დგას. მონასტერში რამდენიმე ბერი ცხოვრობს. ავტორის ცნობით, ეს პეიზაჟები ფარავს უამრავ ბიბლიური ხანის ლეგენდას, ამ ლეგენდებმა გამოიარეს სპარსეთი და მოაღწიეს წმინდა ნინოს ქალაქში. სამწუხაროდ, მას ამ სიტყვების დასადასტურებლად არცერთი ლეგენდა არ მოაქვს.

საკვანძო სიტყვები: ჩასახვის ტაძარი, ცეცხლთაყვანისმცემლები, სტეფანწმინდა.

Key words: monastery of intercession, fire worship, Stepantsminda.

БЧ, 1837, №22, გვ. 119-131, „**ნადიმი კავკასიაში**“: ავტორის ირონიული ენა მწვავე კრიტიკას შეიცავს არა მარტო ქართული სუფრის, არამედ თბილისის შესახებაც, რომელიც შემოსილია აზიური წითელი ხალათით, მხრებზე რუსული ეპოლეტები აქვს, გადაპარსულ თავზე ცხვრის ფაფახი ახურავს, სპარსული ფეხსაცმელი ამოუცვამს, თვლებით მოჭედილი ქამარ-ხანჯალი არტყია. თბილისს ავტორი ევროპულ ვინეგრეტს უწოდებს. როდესაც აღწერს ღარიბი ქართველების მიწურებს, შენაშნავს, რომ მიწაშია კარიც, ფანჯარაც და საკვამურიც, რომ ქუჩები არაა განათებული და მიწურში ჩავარდნის შემთხვევაში ხიფათიანი მგზავრი შეაშინებს ამ მიწურის მასპინძელ უჩადრო ქალს. ახალი თბილისი ფართო ქუჩებით რუსების აშენებულია, უწინ კი აქ ლეკები იტაცებდნენ დაშინებულ მაცხოვრებლებსო. რუსების მიზანი, ავტორის მტკიცებით, ქართველთა სწავლება და განათლებაა. წერილში ავტორი საუბრობს ძველად არსებულ მანკიერებებზე,

მაგალითად, ქრთამსა და ფეშქაშზე. ბოლოს კი დანვრილებით აღწერს ნადიმს – ტულუ-ბაშით, აზარფეშით, მუსიკოსებით, საკრავებით, ცეკვებით, ლავაშის სხვადასხვა მიზნით გამოყენების წესით, განსხვავებული სასმისებით (ყანწით), მომსახურე ჩუბუკჩებით, სადღეგრძელოებით და ალავერდის დაძალებით; ავტორი უკმაყოფილოა არსებული წესებით, მაგრამ აღფრთვანებულია საუკეთესო მომღერლით, რომლის სახელიცაა ომარი.

საკვანძო სიტყვები: ნადიმი, ლავაში, აზარფეშა, ტულუბაში, სადღეგრძელო, მომღერალი ომარი.

Key words: Georgian Feast, Lavash, azarpeshi, Tulubashi, toast, minstrel Omar.

ЗКОИРГО, 1881, №11/2, გვ. 164-261, გ. რადე, „ხევსურეთი და ხევსურები - 1876 წლის ზაფხულის მოგზაურობის აღწერა (თარგმნეს პ. ვევერტსმა და ვეილენბაუმმა)“: ეთნოგრაფიულ ნაწილში ავტორი იწონებს ერისთავის წერილს და აკრიტიკებს ზისერმანის სუბიექტურობას, ზედაპირულობას და არ ეთანხმება მის მოსაზრებას, თითქოს ხევსურები ჯვაროსნების შთამომავლები არიან. რადე აღწერს ხევსური, ფშაველი, თუში და ქისტის ქალებისა და მამაკაცების გარეგნობას; აფიქსირებს განმასხვავებელ ნიშნებს შატილელებს, არდოელებს, ერწოელებსა და წოვებს შორის. მათ ღონეს იმით ხსნის, რომ ხშირად უხდებათ ზურგით ცენტნერამდე ტვირთის გადაზიდვა გაუკვალავ გზებზე და მიუვალ კლდეებზე ნადირის დევნა. ხევსურთა იარებით ასკვნის, როგორ იყენებდნენ ცერა თითზე ჩამოსაცმელ დაკბილულ სანერულს (ერთვის ნახატი). რადეს აღწერა მისდევს ერისთავის წერილის თანმიმდევრობას, თუმცა აფიქსირებს რამდენიმე განსხვავებულ წესსა და ჩვეულებას, რომელიც შეეხება ქალების გამზითვებას, ყოფას მშობიარობის, დედათა წესის დროს; ავტორი ცდილობს, გვიანი ქორწინებით და არასრული კოიტუსით ახსნას ბავშვების მცირე რაოდენობა ხევსურულ ოჯახებში. ავტორს არ აფინყდება გავრცელებული საკუთარი სახელების ჩამოთვლა. ბავშვების აღზრდისას გამოყოფს ორ აუცილებელ მომენტს: ორატორობისა და ფარიკაობის შესწავლას. აინტერესებს თვითმკვლელობების მიზეზები ქალებს შორის და უკვირდება, რომ ხევსური გოგონები კეთილგონიერებით, ხოლო თუშები აღვირახსნილობამდე მისული თავისუფალი ქცევით გამოირჩევიან. დამე ქმრებთან შეპარვის წესი, გამოჩენა, ცოლის მიტოვება, სირცხვილის თავისებური აღქმა ავტორის ინტერესის საგანია. სასულიერო იერარქიის, რიტუალების დროს გამოყენებული საგნებისა და ნივთების აღწერის შემდეგ ცალკეული მონაწილის როლს შეეხება (ლუდის ხარშვა, მესულთნე, მკითხავი და სხვ.) ამ რიტუალებში და გადადის შობის, აღდგომის, თამარის, იახსარის ლაშარისა და სხვა ჯვრების საკულტო დღეების აღნიშვნის და დღეობის აღწერაზე. ეთნოგრაფიული ნაწილი სრულდება სამი თქმულება-გადმოცემით კარატის ჯვარზე, ხახმატის საკულტო ადგილზე, ავსულებზე და ცრურწმენების აღწერით ოფოფების, გუგულების და მერცხლების შესახებ, რომელთაც გადაფრენისას

გადააქვთ სნეულებები. არ ავინწყდება სისხლის აღებისა და სამართლის წესის შესწავლაც. საინტერესოა წერილში გადმოცემული მოსაზრება ბისოს მცხოვრებ-თა კავშირზე ებრაელებთან, რომელიც ეყრდნობა ხალხურ გადმოცემას.

საკვანძო სიტყვები: ხევსურები, ჯვაროსნები, შათილი, ბისოელი „ებრაელები“.

Key words: Khevsurians, crusadors, Shatili, „Jews“ from Basiso.

ЗКОИРГО, 1876, N10/2, გვ. 431-472, ა. სტოიანოვი, „მოგზაურობა სვანეთში“:

სამოგზაურო ჩანაწერი იმითაა აღსანიშნავი, რომ აქვს დანართი, რომელიც შეიცავს ზეპირსიტყვიერების სამ ნიმუშს, აქედან პირველი ორი ლექსია (საბრალო მოხუცის ნაგჟურ რიჩკიანის და მონადირე მეთქის ამბავი). ლეგენდა წმინდა გიორგიზე პროზაული ხასიათისაა. სამივე ჩანწერილია სვანურად და ერთვის თარგმანი რუსულ ენაზე. საკუთარი სახელები არასწორად უნდა იყოს ჩანწერილი სპეციფიკური ასოებისა და წარმოთქმისას სმენით არასწორი აღქმის გამო. მაგალითად, სიმღერა მონადირე მეტკიზე (წერილში სახელი ამგვარად მოიხსენიება) ავლენს მსგავსებას ბეთქილის ამბავთან. სამოგზაურო ჩანაწერში ავტორი დანწერილებით აღწერს სვანურ დღესასწაულებს: ლამპრობას, ახალ წელს (რომლის მეორე დღეც კვიმატი ყოფილა), აღდგომას და სხვ; ყოფით ტრადიციებს: ვაჟიშვილის შეძენას, შვილად აყვანას, ქალთა მდგომარეობასა და უფლებებს, ნათლობას და სამგლოვიარო რიტუალებს; აფიქსირებს შემთხვევებს, როცა მუსლიმი სვანი მონოგამია, ხოლო ქრისტიან სვანს ორი ან სამი ცოლი ჰყავს, მიუხედავად იმისა, რომ სვანეთში ქალების ნაკლებობა იყო დაბადებისას მათი მკვლელობის გამო. ბოლო რვა წლის მანძილზე ამის ათამდე შემთხვევას ჰქონია ადგილი. წერილში გამოთქმულია მოსაზრება, თუ რას უნდა უკავშირდებოდეს გადმოცემა ლახამულდელის ებრაელობის შესახებ, რომელსაც ავტორი თავად ემიჯნება. ზედაპირულად ყველა ოთარ დადაშქელიანის მსახურის ამბავს, ცრურწმენას თათლის შესახებ და ოქროს მოპოვების წესს, ასევე აღნიშნავს, რომ არსებობს ლეგენდა, თუ როგორ ააშენა თამარმა ენიაშჯირა.

საკვანძო სიტყვები: სვანეთი, სვანები, სამგლოვიარო რიტუალები, ახალშობილი გოგონების მკვლელობა, პოლიგამია სვანებში, ლახამულდელი „ებრაელები“.

Key words: Svaneti, Svans, funeral rites, murder of newborn girls, polygamy, Lakhamuldian „Jews“.

K, 1847, N18, ა. ზისერმანი, „გამგზავრება შათილში“: მოკლე წერილში ავტორი აღწერს შათილის გზაზე დამლელი მგზავრობისას მიღებულ შთაბეჭდილებებს. შათილელების შესახებ მწირ ცნობებს იძლევა, შემოიფარგლება რა მხოლოდ მათი ხელობის, ჩაცმულობისა და გარეგნობის აღწერით. აღნიშნავს, რომ ერთ-ერთ კოშკში უფლისწული აღექსანდრე ცხოვრობდა. ზედაპირულად ყველა 40-

იანი წლების მოვლენას, როდესაც შატილელები ვაჟკაცურად იცავდნენ თავს ახვერდ-მუჰამედისგან.

საკვანძო სიტყვები: უფლისწული ალექსანდრე, ახვერდ-მუჰამედი, შატილი.

Key words: Prince Aleksandre, Akhverd-Mohammad, Shatili.

БЧ, 1848, №89, გვ. 1-18, „კრიტიკა წიგნის «საქართველო და სომხეთი»“: წერილი შეეხება 1848 წელს სანკტ-პეტერბურგში დასტამბულ მურავიოვის წიგნს. ავტორი სიამოვნებით აღნიშნავს, რომ ავტორის მიგნება, აღწეროს ორი მხარის მნიშვნელოვანი რელიგიური ადგილები, მისასაღმებელია, რადგან საქართველოც და სომხეთიც ამ მხრივ მეტად საყურადღებოა არა მარტო ქრისტიანული სინონიმების მხრივ, არამედ წარმართული კუთხითაც – ლეგენდები იალბუზზე, არიმანი დევებთან ერთად, ჯადოსნური ფრინველი აკა, კოლხეთში იასონი, დარიალის ციხესიმაგრე, რომლის მისადგომებთან მომლოდინე საყვარლები ერთი ღამის გატარების სანაცვლოდ სიკვდილზეც თანახმანი არიან, პრომეთე და სხვ. წიგნის პირველი ნაწილი უმეტესად საქართველოში მოგზაურობას ეხება, მეორე – სომხეთს და განსხვავებებსა და მსგავსებებს სარწმუნოების კუთხით (საინტერესოა, რომ მურავიოვის წიგნის მეორე ნაწილის საპასუხოდ იმავე გამოცემის 1849 წლის №95-ში 115-122 გვერდებზე დაბეჭდილია მიუკერძოებელი სომეხის პასუხი). ხოლო მესამე ნაწილში იმერეთის და სამეგრელოს ამბებია მოთხრობილი, მათ შორის აღწერს ნოქალაქევს, დავით აღმაშენებლის საფლავს გელათში და თამარის ციხეს. ავტორს არ ავიწყდება აღნიშნოს, რომ საქართველოში ლამის ქალაქი არაა, რომელიც რაღაცით მაინც არ უკავშირდებოდეს თამარ მეფეს, რომელსაც ეკატერინე მეორეს აღარებს სიღიადით. წიგნში მურავიოვს მოაქვს რუსთაველის პოემიდან ერთი ნაწყვეტის თარგმანი. ავტორი აქებს პოემას, თუმცა აღნიშნავს, რომ აჯობებდა, მთარგმნელებს პროზაული თარგმანი შეესრულებინათ.

საკვანძო სიტყვები: მურავიოვი, სომხეთი, საქართველო, თარგმნილი რუსთაველის პოემა.

Key words: Muraviov, Armenia, Georgia, translated epic poem by Rustaveli.

СМОТРИК, 1882, №2, გვ. 59-108, ა. ჯავახოვი (ალ. ჯავახიშვილი), „ქალაქი გორი“: წერილი აღწერს ქალაქს და უამრავ საინტერესო ინფორმაციასთან (მაგალითად, ასახელებს მსხლის ჯიშებს: მილახური, ხეჭვჭური, გულაბი, ყურძნის ჯიშებს: საფერავი, მწვანე (გორული), ღრუბელი, თავკვერი, ანდრეული, რქანთელი, ბუდეური, ხარისთვალი, ქიშური, ჩინური, თითა; მოსახლეობის ეთნიკურ შემადგენლობას და სხვ.) ერთად საინტერესოა იმითაც, რომ მასში გადმოცემულია ლეგენდა გორისციხეზე. თურმე თამარ დედოფალს ძალიან ყვარებია ტბის სიახლოვეს ნადირობა. ერთხელ მისი საყვარელი მიმინო დადევნებია მტრედს და ტბაში მდებარე მთის წვერზე დამჯდარა და უკან ვეღარ გამოსულა.

დედოფლის ერთგული მსახური შესულა წყალში ცხენით, ასულა მთაზე და ჩამოუყვანია მიმინო, მაგრამ უკანა გზაზე მსახურიც, ცხენიც და მიმინოც წყალში დამხრჩვალან. თამარმა ბრძანა ტბის დაშრობა, მთაზე ციხე-სიმაგრე ააშენა და იქ განმარტოვდა სიცოცხლის ბოლომდე.

საკვანძო სიტყვები: თამარი, გორისციხე.

Key words: Tamar, the castle of Gori.

HO, 1890, №2232, 2235, 2237, 2242, 6. **დმიტრიევი, „ლაშქრობა სვანეთში“:** მიუხედავად იმისა, რომ წერილი რამდენიმე ნომერში გრძელდება, არ წარმოადგენს მნიშვნელოვან წყაროს სვანეთის ეთნოგრაფიის შესწავლისათვის. ლაშქრობის მონაწილეებს უნახავთ ცნობილი ლეგენდარული ლოდი, რომელზეც, როგორც სვანები განმარტავენ, შემორჩენილია ქრისტეს ნაფეხური, როდესაც მან გაბრაზებულმა შეიტყო, რომ სატანამ დაასწრო სვანეთის მონახულება და იქ ვენახების გაშენება. წერილი აღწერს იმ ქალების სამოსს, რომლებიც გზად ხვდებოდნენ მოგზაურებს, ასევე სახლებს და საოჯახო იარაღს.

საკვანძო სიტყვები: სვანეთი, ლაშქრობა, ქრისტეს ნაფეხური, ვენახი, სატანა.

Key words: Svaneti, pedestrian excursion, footmark of Christ, vineyard, Satan.

K, 1860, №48-49, დ. **ბაქრაძე, „ჩანაწერები სამეგრელოზე, სამურზაყანოზე და აფხაზეთზე“:** ავტორი გაბათხულზე თავად ერისთავთან ერთად გაემგზავრა დასავლეთ საქართველოში, რომელსაც ოდესღაც კოლხეთისა და ლაზიკას სახელით იცნობდნენ, ხოლო შემდეგ დაიყო: იმერეთად, გურიად, სამეგრელოდ სამურზაყანოდ და აფხაზეთად. ავტორის აზრით, სამურზაყანოში მცხოვრებნი აფხაზებისა და მეგრელების ნაჯვარს წარმოადგენენ, თუმცა აღნიშნავს, რომ ამბობენ, თითქოს ეს ხალხი ლეგენდარული ფარაონ სესოსტრისის დროს გადმოსახლებულან ამ მიდამოებში, ამას მოწმობს მათი გარეგნული მსგავსება, კოპტური სიტყვები ლექსიკაში და კოლხური მონეტების ეგვიპტურთან მსგავსება. ფილოლოგიურ ექსკურსში ავტორი აფხაზური ენისა და ჩერქეზულის მსგავსებაზე მიუთითებს. თუმცა არც იმას გამოირიცხავს, რომ ეს მსგავსება ხანგრძლივმა ისტორიულმა მეზობლობამ განაპირობა. მეგრელების ენა ავტორს დამახინჯებული ქართული ჰგონია, ამავე ენაზე საუბრობენ ტრაბზონელი ლაზებიცო, რომლებიც, მიუხედავად ჭოროხელ ქართველებთან მეზობლობისა, მათ ენაზე არ საუბრობენო. საინტერესოა, რომ ავტორი მიიჩნევს, თითქოს გვარი დადიანი მომდინარეობს ციხესიმაგრე დადის სახელწოდებიდან, ამავე სახელს ატარებს მდინარეცო. ხოლო გვარი შარვაშიძე, ლეგენდის თანახმად. დავით აღმაშენებლის დროს გადმოსახლებული შირვანელი ემირი ბენი-შედადისგან იღებს სათავეს. წერილში ავტორი აღწერს ადგილობრივების გარეგნობასა და ხასიათს, ბოლოს კი აღნიშნავს, რომ ისინი თანდათანობით ეზიარებიან ცივილიზაციას და, იმედია, მალე ვიხილავთ, როგორ დაუბრუნდა თითოეული ოჯახი ქრისტიანობას.

საკვანძო სიტყვები: აფხაზეთი, სამეგრელო, სამურზაყანო, სესოსტრისი დადიანი, შარვაშიძე.

Key words: Abkhazeti, Samegrelo, samurzakhano, Sesostris (Senusret), Dadiani, Sharvashidze.

K, 1891, №77, ი. პანტიუხოვი, „ნაქალაქევი – სამკურნალო ადგილი“: ავტორი წერილში ცდილობს დაამტკიცოს, რომ მდინარე ტეხურის პირას მდებარე ნაქალაქევი (სწორი ფორმაა ნოქალაქევი) ბევრად ჯობია კავკასიის ჩრდილოეთის სამკურნალო კურორტებს მდებარეობით. წერილის დასაწყისი ეძღვნება მცირე ისტორიულ ექსკურსს, რომლის მიზანიცაა დაარწმუნოს მკითხველი, რომ ნაქალაქევი არის აიეტის ქალაქი. ამის საფუძველს მას აძლევს ბერძენ ავტორებთან დადასტურებული ცნობები იმის შესახებ, რომ აიეტის სასახლეში იყო თბილი წყლის შადრევანი. ასევე, ის ცდილობს მეგრულ ქალებში დაინახოს სხვადასხვა გარეგნული და შინაგანი მახასიათებლები მედეასთან, რომელიც კიდევ უფრო გაამყარებს მის მოსაზრებას.

საკვანძო სიტყვები: ნაქალაქევი (ნოქალაქევი), აიეტი, მედეა.

Key words: Naqalaqevi (Archaeopolis), Aeetes, Medea.

K, 1847, №20, ვ. ერისთავი, „ხოხბებზე ნადირობა კახეთში“: წერილი შესანიშნავად აღწერს ბაზიერების მიერ მიმინოს (ястреб ვთარგმნეთ როგორც მიმინო, თუმცა ლექსიკონებში ეს სიტყვა ითარგმნება როგორც ქორი) მოთვინიერების წესს, რომელიც რამდენიმე დღე გრძელდება. ავტორი შენიშნავს, რომ მცირე ზომის მიმინოს მწყერზე სანადიროდ, ხოლო დიდი ზომისას ხოხბებზე სანადიროდ გამოიყენებენ. თურმე მიმინოსთვის აბრეშუმის ძაფით თვალის ახვევა არ შეიძლება, რადგან ასეთ დროს ფრინველს მხედველობა უფუჭდება. აღწერილია მოთვინიერებული ფრინველით პირველი ნადირობის წესიც.

საკვანძო სიტყვები: ნადირობა, მიმინოს მოთვინიერება.

Key words: falconry, gamehawking.

K, 1848, №6, ა. ზისერმანი, „წერილები თიანეთიდან“: ავტორი აღწერს, როგორ იმოგზაურა 1847 წლის 14 ივნისს ფშავში ლაშარობაზე, ლაშარის ჯვრის დღესასწაულზე. სქოლიოში აღნიშნავს, რომ სახელწოდება მომდინარეობს თამარ მეფის ძის, ულამაზესი ლამას სახელიდან. მიუხედავად იმისა, რომ თავად ავტორს ეს ვერსია უფრო დამაჯერებელი ჰგონია, იქვე დასძენს, რომ ლეგენდის მეორე ვერსიის მიხედვით, ძველ დროში ცხოვრობდა ბერი, რომლის სახელიც იყო ლაში და მან გააქრითიანა ადგილობრივები. სახელი ლაში კი უკავშირდებოდა მის დიდი ზომის ტუჩებს, „ლაშებს“. წერილში თანმიმდევრობითაა აღწერილი, როგორ მიაქვს მოსახლეობას შესანიშნავი და როგორ ელოდება თავის რიგს. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებენ: ქადაგები, ავადმყოფი ბავშვები,

რომელთაც დეკანოზები სისხლიანი თითებით ჯვარს გამოსახავენ შუბლზე; ასევე, სხვადასხვანაირი ფორმისა და ზომის ვერცხლის ჭურჭელი, რომელსაც გამოიყენებენ რიტუალში, ზანზალაკებიანი დროშა. ავტორს მოსწონს ფშავლების წესი, როდესაც ყოველგვარი დავა ამ დღესასწაულზე წყდება, რადგან მორიგებულები-სათვის განაჩენი საბოლოოა და გასაჩივრებას აღარ ექვემდებარება, ფიცით განმტკიცებული დასკვნა ყველასთვის მისაღები და ერთადერთი სწორი გადაწყვეტილებაა.

საკვანძო სიტყვები: ლაშარის ჯვარი, ლაშა, თამარი, ლაში, დროშა, ფიცი.

Key words: The cross of Lashari, Lasha, Tamar, Lashi, Droshi- a flag, Oath.

K, 1848, №9, ა. ზისერმანი, „წერილები თიანეთიდან“: წერილში ავტორი მკითხველს მოუთხრობს ფშავში არსებულ სამსხვერპლოებსა და მასთან დაკავშირებულ ამბებზე. სამსხვერპლოები იგივე სამლოცველოები რამდენიმეა, მათგან მთავარი ლაშარის ჯვრისაა, არის, ასევე, წმინდა გიორგის სახელზე, თამარის სახელზე აგებული სამლოცველოები; წარმართული ღმერთების – კოპალასა და პირქუშის სახელზე აგებულები. ყველა სამლოცველოს თავისი ხევისბერი და დასტური ჰყავს. დასტურს ერთი წლის ვადით ირჩევენ. ავტორი გაკვირვებულია, როგორ პატიოსნად აღასრულებს ერთი წლით არჩეული დასტური საკუთარ მოვალეობებს, რომელთა შორისაა: ამ ვადის განმავლობაში სახლისგან მოშორებით, სამლოცველოსთან აშენებულ საცხოვრებელში ცხოვრება; ყოველ კვირა დღეს, ამინდის მიუხედავად, მდინარეში განბანვა და სხვ. ამ წესებს შორისაა ისიც, რომ დასტური არ უნდა გაეკაროს ქალებს, რომლებიც უწმინდურებად მიიჩნევიან. დასტურს აქვს მარცვლეულის მარაგი და სპეციალურ წისქვილში ფქვავს საჭიროებისამებრ, თავად აცხობს ხმიადს და ხარშავს ლუდს, რომლის გარეშეც არ ჩაივლის არცერთი დღესასწაული ფშავში. ავტორი ყველა გადმოცემას ერთი კუნძის შესახებ: ეს კუნძი წმინდა მუხის გადანაჭერია, რომელშიც უძველეს დროში მუხის ანგელოზები სახლობდნენ. ზურაბ ერისთავმა, რომელმაც რამდენჯერმე ააოხრა ფშავი და დღემდე მას უარყოფითად მოიხსენიებენ მთაში, მოჭრა ეს ხე. სანამ ხეს მოჭრიდა, მან დაკლა კატა და მისი სისხლით გაანეიტრალა ხის ძალა. წერილში გამოთქმულია ავტორის მოსაზრება კუნძთან დაკავშირებულ ცრურწმენებზე, რომლის წყალობითაც დღემდე მონინებით ეპყრობიან სინმინდეს.

საკვანძო სიტყვები: ზურაბ ერისთავი, მუხის ანგელოზები, დასტური, ხმიადი, ლუდი, წისქვილი.

Key words: Zurab Eristavi, the agels of the oak-tree, Dasturi Khmiadi, Beer, a mill.

CMOMIK, 1893, №17, გვ. 73-89, კ. გრიკოროვი, „სოფელი ყვარელი“: მას შემდეგ, რაც წერილი აღწერს სოფელ ყვარლის მდებარეობას, ასახელებს იქ არსებულ სხვადასხვა დანესებულებას და ხუთ ეკლესიას, საიდანაც ერთი სომხურია და ოთხი ქართული, ავტორი გადადის ადგილობრივი მოსახლეობის

საცხოვრებელი პირობების შესწავლაზე. მისი ცნობით, სოფლის მკვიდრნი ძალიან ბინძურად ცხოვრობენ, არ ბანაობენ და მხოლოდ ზაფხულის ხვატში გასაგრძობლად ჩადიან მდინარეში. გლეხები არასოდეს რეცხავენ ტანსაცმელს და ხშირად მთელი ცხოვრება გაუხდელად აცვიათ ერთი ხელი სამოსი. მათი სახლები შედგება ერთი ოთახისგან, აქვთ შუაცეცხლი, სახლებს მიდგმული აქვთ გომური და მოშორებით, ხანძრის შიშის გამო, თორნე. სოფელს აქვს გალავანი. მდინარე დურუჯის, ხევის, არიხაულის, და ფატმასურის აღწერის შემდეგ ავტორი ყვება შემდეგ ლეგენდას: თურმე ლეკების შემოსევის დროს მდინარეები იმდენად აღიდებულა, რომ სასმელად უვარგისი გამხდარა. ქალები წასულან წყაროზე, იქვე ჩასაფრებულ ლეკებს აუტეხიათ ყვირილი: ფატმა სური (ქალების წყარო) და გაუტაცნიათ ისინი. წერილში გადმოცემულია ცნობები: ნიადაგის, კლიმატის შესახებ, ასევე მოსახლეობის საქმიანობაზე; საუბარია: ქორწინებებზე, შობადობაზე, საყვარელი კერძებზე (მწვადი და ყაურმა) და სხვა მნიშვნელოვან ინფორმაციაზე. საინტერესოა, რომ განხილულია ისეთი საკითხები, როგორებიცაა: ღვინის გადაღება, თრობა, თამადაობა. წერილი სრულდება გადმოცემით: თურმე უხსოვარ დროში რომელიღაც ქართველი მეფე სანადიროდ გასულა თავისი ამალით. მომქანცველი ნადირობის შემდეგ მოსასვენებლად შეურჩევიათ დურუჯის მარცხენა ნაპირი. სანამ ყაურმას და მწვადს ამზადებდნენ, მეფე თავშესაქცევად სასეირნოდ წასულა და შეჩერებულა პატარა ჩანჩქერთან. აღფრთოვანებულმა შესძახა: „ეს რა საყვარელი ადგილია, აქ სოფელი უნდა აშენდეს!“ მართლაც, მეფის სურვილი შესრულდა და სოფელი მიმდებარე ყორიანიდან გადმოსული მოსახლეობით შევსებულა, ხოლო სოფლის სახელი მომდინარეობს სიტყვიდან „საყვარელი“.

საკვანძო სიტყვები: ყვარელი, ფატმასური, ლეკიანობა.

Key words: Kvareli, Fatmasuri, Iekianoba (marauds od Dagestani people to Georgia).

CMOMIK, 1888, №6, გვ. 1-9, ა. ნიკოლსკი, „ქალაქი გორი (ორნითოლოგიური კუთხით)“: წერილი, წელიწადის თვეების მიხედვით, აღწერს, რომელი ფრინველები გვხვდება ქალაქ გორში. ქალაქში, რომელშიც ჩამოდის მდინარე მტკვარი, მის ორივე მხარეს სრულიად განსხვავებული ხასიათის ფლორა და ფაუნაა.

საკვანძო სიტყვები: გორი, მტკვარი, ორნითოლოგია.

Key words: Gori, Mtkvari, Ornithology.

CMOMIK, 1894, №18, გვ. 229-410, „ჩანაწერები ხალხური ფანტაზიიდან და ყოფიდან (ტიფლისის და ქუთაისის გუბერნიები)“: ჩანაწერები გაკეთებულია მ. მაშურკოს მიერ და მათ საფუძვლად დაედო რამდენიმე თავადისა და გიმნაზიის მასწავლებლების – გ. მაჭავარიანისა და ი. შავლაძის მონათხრობები. წერილი პირობითად შეგვიძლია დავყოთ რამდენიმე ნაწილად. ბოლო ნაწილში განმარტებულია, რას წარმოადგენს ე.წ. საიდუმლო ენა. საიდუმლო ენის მისაღებად

ყოველი მარცვლის შემდეგ ურთავენ თანხმოვან ჯ-ს და წ-ს, რომელსაც დაავრძელებენ წინა მარცვლის ხმოვნით (მაგალითად, ქა-წა-ჯი-ჯი, საიდანაც პირველი მარცვალი არის ჩაფიქრებული სიტყვის პირველი მარცვალი, მეორე მარცვალია თანხმოვანი ჯ, რომელიც წინა მარცვლის შემცველი ხმოვნითაა დაავრძელებული, მომდევნო მარცვალი არის ჩაფიქრებული სიტყვის მეორე მარცვალი, ხოლო ბოლო მარცვალი არის თანხმოვანი წ, რომელიც დაავრძელებულია წინა მარცვლის ხმოვნით). საიდუმლო ენის განმარტების შემდეგ ავტორი აღწერს, რომ ქართველები ბეჭის ძვალს იყენებენ საწერად, ხოლო მელანს ნახშირისგან და წყლისგან ამზადებენ.

საკვანძო სიტყვები: საიდუმლო ენა.

Key words: the secret language.

СМОМІІК, 1894, №18, გვ. 229-410, „ჩანაწერები ხალხური ფანტაზიიდან და ყოფიდან (ტიფლისის და ქუთაისის გუბერნიები)“: ჩანაწერების პირველი ნაწილი იმერეთის სხვადასხვა მაზრაში გაბატონებული ცრურწმენებია, რომლებიც უკავშირდება: მწერებს, ფრინველებს, ცხოველებს და უწმინდურ არსებებს. ამ ცრურწმენებში გვხვდება სიყვარულის და სიძულვილის წამალი, ამა თუ იმ მოვლენასთან ბრძოლის წესები, როგორ უმკლავდებოდნენ ადამიანები მოსალოდნელ განსაცდელს, როგორ ირიდებდნენ თავიდან განსხვავებულ პრობლემას. მაგალითად, სურვილების ასრულება სხვადასხვა დროს ხდება: სექტემბერში და ოქტომბერში გამთენიისას ოთხ საათზე ცის კარი იღება ათი წუთით. ერთ ქალს დღეგრძელობა უთხოვია და იქამდე იცოცხლა, ვიდრე ნეკათითისხელა არ გახდა. ერთ კაცს სურვილის ჩათქმისას დავიწყებია დაკონკრეტება და ღმერთმა მას სამოცი ცარიელი ტომარა მისცა.

ბალახი იონჯა, რომელსაც სამი ფურცელი აქვს, სურვილის ასრულებაში გვხმარება, თუ მეოთხე ფურცელსაც უპოვი, მოაძრობ და სურვილს ჩაუთქვამ; მის სამ ფურცელს ქერდები ოქროს ბეჭდით მოჭრიან და გამოახვევენ ნაჭერში. სახლის გასაძარცვად მისულები სახლის კარს შეახებენ ტომსიკას და კარი თავისით გაიღება; ასევე, კარი თავისით იღება, თუ მას ადამიანის გადამდნარი ცხიმისგან გაკეთებულ სანთელს დაუნთებ.

მეორე ნაწილი უკავშირდება დაკარგული შინაური ცხოველისა და ფრინველის პოვნის გზებს. მათ შორისაა შელოცვები და გამოლოცვები. მაგალითად, ეკენია, ბეკენია, ბერსა ხატი სვენებია, ღმერთო, ღმერთო, ჩამოაგდე ცხრა კლიტული კლიტოსანი... მესამე ნაწილი ატმოსფერულ მოვლენებთან დაკავშირებული ცრურწმენებია. ცალკე უნდა გამოიყოს გვალვის დროს, მკა-თესვისას შესასრულებელი წესები. რამდენიმე გვერდი ეთმობა ყოველდღიური საქმიანობების შესრულებისას სხვადასხვა ცრურწმენას; მეოთხე ნაწილია სიზმრების ასსნა და სხეულის ნაწილების ამა თუ იმ მდგომარეობით (მაგალითად: თხანა, ცემინება) წინასწარმეტყველება. საინტერესოა ის ჩამონათვალიც, რომელიც სხვადასხვა

კერძის, ზომისა და ფორმის საკვების სხვადასხვა დღეებში აკრძალვებს ასახავს. ჩანაწერებში ჩართულია თათრული სიმღერის ტექსტი „ფიჯაკ, ფიჯაკ“, რომელსაც მკითხაობისას ასრულებს „დედოფალი“; ქმრის სიკვდილის დასაჩქარებელი სიმღერა „ვავა“, ასევე, ქმრის დასამორჩილებელი მეთოდები. ჩანაწერებში აღწერილია კალენდარული დღესასწაულები. ასევე ქორწინების, დაკრძალვის, მსხვერპლშენიერვის, დამხრჩვალის შემთხვევაში შესასრულებელი რიტუალები სხვადასხვა გეოგრაფიულ ადგილას. საინტერესოა, რომ ინფორმაციის გადმოცემისას ყოველი ფურცლის მინდორზე მითითებულია გაბატონებული წესჩვეულების აღნიშვნის სოფელი. მაგალითად, ყვარლის სოფელ წინწყაროსა და თბლისში მოგროვებული მასალის მიხედვით, ახალი წლის დადგომამდე საღამოს აცხობენ ბედის პურებს, რომლებსაც ნათლისღებამდე ინახავენ. ნათლისღებაზე კი დაამტვრევენ, ურიგებენ ოჯახის წევრებს და ვისაც შეხვდება ცომში ჩამალული მონეტა, იმას წინ ბედნიერი წელი ელის. ქუთაისის მასალა ამბობს, რომ ახალი წლის მეორე დღეს ბედის დღე ჰქვია. აქ ახალ წლამდე ბასილებს – ცომის პატარა კაცუნებს აცხობენ, თვალების ნაცვლად ქიშმიშით. ცხობისას ბასილების ამოფეხვა ხვავრიელი წლის ნიშანია. ახალი წლის დადგომას გარეთ სროლით ხვდებიან, სახლს სავსე ლანგრებით (აუცილებელი ატრიბუტია წითელი ვაშლი ან ბრონეული და არაავითარ შემთხვევაში კომში ან ფორთოხალი, რადგან, გავრცელებული ცრურწმენით, ეს ხილი ციებ-ცხელების საწინდარია) უვლიან, მღერიან, ბოლოს შედიან სახლში სიტყვებით: შამოვდგი ფეხი, გწყალობდეთ ღმერთი, ფეხი ჩემი, კვალი ანგელოზის, მრავალ წელიწადს ღმერთმა დაგასწროთ მშვიდობის და კეთილ წარმატებით. სანირეში და საფიჩხი-აზე ამ ტექსტს ამბობენ: – რა მოგაქვს? – მხეთისა და ბატონის წყალობა. – ხელმწიფემ რა შამოთვალა? – როგორც მე ვდიდრდებოდე, ისე თქვენც მდიდრდებოდეთ! და დიალოგის სამჯერ გამეორების შემდეგ დიასახლისი კართან მდგარ ვაჟიშვილს სახეში ცივ წყალს შეასხმას. ამ ჩანაწერების მიხედვით, სხვადასხვა სოფელში გვხვდებიან მეფერხეები, მაკვლიერები და მეფეხურები. გარდა ამისა, ჩანაწერებში აღწერილია ღვინის დაჭაშნიკება ახალ წელს და წითელ პარასკევს. ჭიხაშის მასალის მიხედვით კი, მარანში საპურშაოს დაჭაშნიკება აღდგომის მეორე ან მესამე დღეს. საპურშაოს ვერავინ დააკარებს პირს, თუ ერთ ჭერქვეშ არ ცხოვრობენ (ვერც გათხოვილი ქალიშვილის ოჯახის წევრები); ხოლო ყვარლის მასალის მიხედვით, აღწერილია ზედაშეს მნიშვნელობა. განსაკუთრებული ადგილი ეთმობა სხვადასხვა სწეულებებთან გამკლავების წესებს – სამკურნალო ბალახის შეგროვების, ნურბელის დასმის დროს; წითელქაფებშებმული მუხის ტოტებქვეშ გაძრომას გამოჯანმრთელების მიზნით; ავითვალის, შეშინებულის, ძილის, ტყეში ღამით გასვლის, შელოცვა-გამოლოცვების შესრულების აღწერას; თვალის გუგამზე სინითლისა და ბაიაზე თეთრი ლაქების მკურნალობას; შაკიკისგან, მოტეხილობებისგან, ამოვარდნებისგან, ფხის გაჩხირვისგან, უჟმურისგან განკურნების ტექსტებს; ბუასილის, დამწვრობის, წყლულების, ფალარა-

თის, ყაბზობის, კუჭის ტიკვილის, ტემპერატურის მომატების წამლებს; ბატონების მოსალმობიერებელ ტექსტებს და ქმედებებს (სასთუმალთან ჩოქვით შემოვლა, საჩუქრად გაფერადებული მამლის მირთმევა, გზის გასაყარზე ბატონების ტაბლის გატანა, ავადმყოფის თავთან ბაზმის დანთება); აკრძალვებს (ავადმყოფს ეძახიან ძალღს ან ძაღლის სახელს, რომელსაც დაბადებისას აძლევდნენ. ასეთი სახელებია კეკოუბუ, ბახულია; არ ჭრიან, არ კერავენ, არ ანთებენ სანთელს, არ ხარშავენ იმ ოთახში, რომელშიც ავადმყოფია, რათა შემთხვევით ნემსი, დანა, მაკრატელი, ალი ან ორთქლი არ მოხვდეთ ბატონებს; არავენ ახსენებს სხვის ავადმყოფს სახლში იმის შიშით, რომ ავადმყოფობა არ შემოიპატიოს) და ოჯახის წევრების მიერ შესასრულებელ რიტუალებს. სხვადასხვა წარმოდგენით, ყვავილის ბატონები ქალია, რომელიც ჯორზეა ამხედრებული ან თათარი ან არაბი ან შავი კაცი (ამ უკანასკნელის შემთხვევაში სიკვდილი გარდევალა). თუ ის (ან სხვა ბატონები) წაიყვანს დაავადებულს, გარდაცვლილის დატირება არ შეიძლება. ცალკე აღნიშვნის ღირსია ჩანანერის ის ნაწილი, რომელშიც გადმოცემულია წარმოდგენები მითიურ და ნახევრად მითიურ არსებებზე. ესენია: წყლის ალები, ჭიმ(ნ)კები, ქაჭები, კუდიანები (ორსულები როცა ბოროტ არსებებს ალის და კაცის სულები აქვთ), როკაპი. კუდიანებს აფრთხობენ სროლით, ბოლოს კი იძახიან „უხ“ ან „ჰარურუ კუდიანებს“. კუდიანები თუ მარანში იკრიბებიან, მათ გაყრიან სიტყვებით: „შენი სვი და შენი ჭამე, ჩემსას ჯვარი დამინერე“.

საკვანძო სიტყვები: ცურუნმენები, ავადმყოფობების მკურნალობა, ავი ნიშნები.

Key words: superstitions, omens, healing diseased.

HO, 1888, №1583, 1585, ბ. ი., „სვანების წარმოდგენა საიქიოზე“: სვანების წარმოდგენით, სულეთი ხასხასა მღელაო, რომელშიც სულებს მოხვედრა ერთი კარიდან შეუძლიათ. ცოდვებით დამძიმებული სულები სიბნელეში არიან, ხოლო მადლიანები კაშკაშა ადგილას. მღელაოზე გაშლილი სუფრაა სულებისათვის. სუფრის თავში კი ზის ქრისტე. სულების საქმეა ქრისტესთან საუბარი, მისი სინათლის ჭვრეტა და სეირნობა. რაც შეეხება საკვებს, თითოეულ სულს მხოლოდ ის შესაწირი ერგება, რომელიც მისმა ნათესავებმა მისთვის გაიმეტეს. სულები ერთმანეთს არ უნაწილებენ საკვებს, მხოლოდ ნათესავების სულები ერთმანეთს პატრონობენ. სული ვერ ჭამს და ვერ სვამს. ახლობლები ერთმანეთს ცნობენ. რაც შეეხება ცოდვილებს, მათი სასჯელი ისაა, რომ ვერ ხედავენ საკვებს. ცოდვად ითვლება: ქურდობა, მიწის მითაცება, ცილისწამება, მკვლევლობა, ინცესტი. კუპრის ტბაში ცოდვისგან დამძიმებული ისეთი სულების ადგილია, რომელთაც ნათელ-მრონობის წესი არ დაიცვენ. მიწის მიმტაცებლებს კისერზე მიწით სავსე კალათი ჰკიდიათ, მკვლევლებს კი მოკლეულის ოხვრა და ტირილი არ ასვენებთ. ცოდვილებს, იმათ გარდა, ვისი ადგილიც კუპრის ტბაშია, შეუძლიათ „სამოთხეში“ გადანაცვლება, თუკი მის სიზმარში ნათესავს აცნობებენ მითაცებული მიწის შესახებ და ის ნათესავი დაუბრუნებს მითაცებულს დაზარალებულს. ხშირად საკვები,

რომელიც ცოდვილებისთვის იწირება ნათესავების მიერ, უნაწილდებათ იმ სულეს, რომლებიც იმსახურებენ შესაწირს, მაგრამ არ ახსენდებათ ნათესავებს. სვანებს არ ეშინიათ სიკვდილის. მათ სჯერათ, რომ სიკვდილის წინ მათთან გარდაცვლილი ნათესავების სულები მივლენ და მეგზურობას გაუწევენ სულეთისკენ. სულებს ის ტანსაცმელი აცვიათ, რომელიც გარდაცვალებისას ეცვათ. ვისაც ნათესავები ჩაატანენ ტანსაცმელს, ის უკეთეს მდგომარეობაშია. სულმა შესაძლოა მისცეს ტანსაცმელი უქონელ სულს. საინტერესოა, რომ აღდგომაზე და ლიფანალის კვირაში სულები სტუმრად მოდიან ცოცხლებთან, მათ უყვართ ზღაპრების მოსმენა, ამიტომ ყველა ოჯახში ეს კვირა ეთმობა ზღაპრების მოყოლას. ორშაბათს აცილებენ სტუმრად მოსულ სულებს დიდი პატივით. სვან ქალებს არ შეუძლიათ თავიანთ მიცვალებულებს გაუმასპინძლდნენ. სიძე ამბობს სიტყვებს, თუკი დაგრჩებათ რამე, ამა და ამ სულს უწილადეო და ახსენებს ცოლის გარდაცვლილი ნათესავების სახელებს. ამიტომაც, რომ სვანები, სანამ ვაჟიშვილი არ ეყოლება, ვერ მოისვენებენ, მათ ეშინიათ, რომ სულეთში გამასპინძლების გარეშე დარჩებიან და სხვის კმაყოფაზე უნდა იყვნენ.

საკვანძო სიტყვები: სულები, სულეთი, სუფრა, კუპრის ტბა, ცოდვები.

Key words: The souls of deads, underworld, feasts of deads, Lipanali, black pitch lake.

СМОМІІК, 1894, №18, **განყ. 3, გვ. 1-26, ი. ტენცოვი, „მეგრელთა რწმენა-წარმოდგენებიდან“:** ოსხჰაჰუე – ეს არის ფერხული, რომელიც იწყება დღესასწაულის წინა დღეს და გამთენიისას მთავრდება. მონაწილეობას იღებენ ქალებიც და მამაკაცებიც, ახალგაზრდებიც და მოხუცებიც. როცა მის ორგანიზებას ერთი ოჯახი იღებდა თავის თავზე, მასზე იყო სტუმართა გამასპინძლება. ამისთვის კი სტუმარი სხვადასხვა საქმეში ეხმარებოდა (თესვა ან მოსავლის აღება). მონაწილეებს ჭრელები აცვიათ, შეკრავენ წრეს, ხან მარჯვნივ და ხან მარცხნივ მოძრაობენ და მღერიან, ჯერ ერთი გუნდი შემოსძახებს და მერე მეორე ავრძელებს. ქალები გამოეყოფიან კაცებს და წრეში მეორე მომცრო წრეს აკეთებენ, შემდეგ მათ მამაკაცები ჩაენაცვლებიან. შემდეგ იწყება თამაში – მარულა. გამარჯვებული იღებს ჯილდოს ქალებისგან. აღდგომაზე ქალიშვილები წინასწარ ამზადებდნენ ფერად ბურთებს და შიგნით პრიზებს მოათავსებდნენ, შეკრავდნენ წრეს და ქალიშვილი ამ წრეში შედიოდა, აავდებდა ბურთს და რომელიმე ყმანვილს უნდა დაეჭირა, თუ ბურთი ძირს დავარდებოდა, მისი ალების უფლება ყმანვილებს არ ჰქონდათ. ყმანვილებს ენაცვლებიან მამაკაცები, თუ ისინიც ვერ მოიპოვებდნენ ჯილდოს, მათ შეეცვლიდნენ მოხუცები, ამ დროს მნიშვნელობა აღარ ჰქონდა, მოხუცები დაიჭერდნენ თუ არა ბურთს, ჯილდო მათ რჩებოდათ.

ჩეჩექობა ოცი ივლისის (ილიობა) და თხუთმეტი აგვისტოს (მარიაობა) ღამე იმართებოდა. ამ ღამეს მიწაზე ჩამოდიან ავსულები, ამიტომ არაფერ არ უნდა დაიძინოს. ავსულებს (მაზაკვალი) ავადმყოფობების მოვლინება შეუძლიათ. არსებობს ცრურწმენები, რომლებიც ამ ღამით გაგონილ ხმებს სხვადასხვანაირად

სსნის (მაგალითად, მკაფიო ხმა ყმანვილის სიკვდილის მომასწავებელია, ღომის დაფქვის ხმა – ქალის სიკვდილის). ოჯახის ის წევრი, რომელსაც სიკვდილი ელის, თილისმას – ცვილის სანთელი) ატარებს მთელი წლით.

ქორწილი კარგადაა აღწერილი, როგორ ხდება ქალის დანიშვნა. ასევე, ახსნილია, რატომ ხდება მოტაცება – მიზეზი ხშირად ქალის უარია, მაგრამ იმდენად სამარცხვინოა უკან დაბრუნება, რომ ქალები ამჯობინებენ გათხოვებას. მეგრული ქალები სირცხვილად თვლიან, თუკი მათ ვინმე საქმის კეთებისას დაინახავს, ამიტომაც მალულად აკეთებენ ყველა საქმეს. საქორწილო სუფრიდან სტუმრებს ულუფას ატანენ; ქორწილის სუფრაზე ისმის სიმღერა „ვორიდა! დალიე და შეგერგება“.

საკვანძო სიტყვები: მეგრული ფერხული, მარიამობის ღამე სამეგრელოში, მეგრული რწმენა-წარმოდგენები.

Key words: Megrelian dance, the night before Virgin Mary's day, Megrelian beliefs.

СМОИИК, 1893, №17, გვ. 124-143, ი. სტეპანოვი, „თელავის მაზრის ქართველთა რწმენა-წარმოდგენები“: წერილი ძირითადად ეყრდნობა სოფელ კალაურის მკვიდრი ს.კ.-ს მონათხრობს, რომელიც უსწავლელი გლეხია, მაგრამ საკმაოდ პატივცემული და პატიოსანი. წერილი რვა ნაწილადაა დაყოფილი – 1. მოგვითხრობს, რომ, გარდა ჩვენი ხილული სამყაროსი, არსებობს ადამიანებით დასახლებული კიდევ ორი სამყარო, ერთი ჩვენს ქვევით, მეორე კი – ზევით. ჩვენი შუა სამყარო შემოსაზღვრულია, ისევე როგორც დანარჩენი ორი. ქვემო სამყაროს სარტყელი ბარძაყებზეა შემოხვეული, ხოლო ზემოსი – მკერდზე ან კისერზე. სამყარო დიდი ხანია, რაც არსებობს და იარსებებს კიდევ უფრო დიდხანს, იმაზე დიდხანს, ვიდრე მისი შექმნის დღიდან დრო გავიდა; 2. ხილული სამყაროს შექმნას: ღმერთმა შექმნა ბრტყელი მიწა და შემდეგ გაუკეთა სახურავი (ცა), მაგრამ ეს ცა იშხელა უნდა ყოფილიყო, რომ მთლიანად გადაფარვოდა მიწას, ამიტომაც ღმერთს მისი შექმნა გაუჭირდა. ასპარეზზე გამოჩნდა ეშმაკი, რომელმაც მონაწილეობა მიიღო შექმნის პროცესში, მომავალში ღმერთთან ერთად რომ იბატონოს სამყაროზე. ღმერთს, ცხადია, არ მოეწონა ეშმაკის ჩანაფიქრი. ეშმაკმა მოქსოვა ცის ის ნაწილი, რომელიც ღმერთს დააკლდა, მაგრამ ღმერთმა შექმნა თავი, რომელმაც ისე გადარღვნა ეშმაკის ქსელი, რომ წარმოდგენელი გახდა მათი შეერთება. ეშმაკმა ურჩია ღმერთს, შეემცირობინა მიწა – ხელით მოეჭმუჭნა, რათა დატეულიყო უკვე მოქსოვილი ცის ქვეშ. ასე წარმოიშვა: მთები, ხეობები, ქვაბულები, უფსკრულები და სხვა; 3. ღმერთმა ეშმაკს და მის ამაღლას მიუჩინა საცხოვრებლად ეს უსწორმასწორო ადგილები, თვითონ კი ანგელოზთა დასთან ერთად დასახლდა ზეცაში, საიდანაც ადამიანებს მოესმით ზარების ხმა, ხანდახან იხსნება ზეცა და ადამიანს, რომელიც დაინახავს ამ მოვლენას, შეუძლია, ჩაუთქვას და ღმერთს ნებისმიერი სურვილის შესრულება სთხოვოს; 4. მოთხრობილია, რომ თავიდან ცა იმდენად ახლოს იყო მიწასთან,

რომ ადამიანი ხელითაც ეხებოდა მას და ადვილად აგებინებდა ღმერთს ხმას. თურმე მეხრეებს ხარისთვის სახრე რომ მოუქნევიათ, ცისთვის მიუწვდენიათ. ერთხელ ქალი აცხოვდა თონეში ლავაშს და ჭუჭყიანი ბავშვი დედას ლავაშით გაუნმენდია. ამაზე განრისხებულმა ღმერთმა პირველად ატეხა ჭექა-ქუხილი და ასე დააშორა ცა მიწას; 5. ადამიანისა და ცხოველთა სამყაროს შექმნას ეძღვნება. ღმერთმა გამოსაცდელად ირემს და ხარს უბრძანა, შემოერბინათ ცა. ირემი ხტოდა, მაგრამ ხარზე ადრე დაიღალა და გაჩერდა, თუმცა ცაზე დატოვა თავისი ნაკვალევი – ირმის ნავალი, ხარმა კი – ხარის ნავალი. ღმერთმა ადამიანს დამხმარედ ხარი უბოძა, ირემი კი ტყეში გაუშვა, მაგრამ ადამიანს დაუსჯელად მისცა მასზე ნადირობის უფლება. მალე ისევ გაჩაღდა პაექრობა ღმერთსა და ეშმაკს შორის. ეშმაკმა ღმერთს მოსავლის ის ნარჩენი სთხოვა, მიწის სიახლოვეს რომ იყო, რადგან ხედავდა, როგორ იყრებოდა მარცვალი მიწაზე. ღმერთმა ხორბლის ნათესი რომ აიღო, თავთავი თავისთვის დაიტოვა, ძირები კი ეშმაკს მისცა. ღმერთმა ნიორი მოიყვანა. ეშმაკმა იფიქრა, ახლა თავს ვთხოვო და ისევ მოტყუებული დარჩა, რადგან ღმერთს ბოლქვები დარჩა, ეშმაკს კი – გამოუსადეგარი ნაწილები. ღმერთმა წისქვილის შექმნისას ეშმაკი დაიხმარა. ჯილდოდ ეშმაკმა ყველა იმ ადამიანის სული მოითხოვა, ვინც წისქვილით ისარგებლებდა. ღმერთმა ამ გარიგებაზე უარი თქვა და მხოლოდ მათი სულები მისცა, ვინც რამე თაღლითობას იკადრებდა წისქვილში. ეს ნაწილი მთავრდება მოსაზრებით, თითქოს ქართველებს, სწორედ ამ გარიგების გამო, უდიდეს ცოდვად მიაჩნიათ ფქვილის მოპარვა და უვარგისი პურით კარგი პურის ჩანაცვლება; 6. აქ საუბარი მშობიარებზეა, რომელსაც სამი დღე იმდენად უჭირდა, რომ ნათესავებმა გაგზავნეს მზის დედასთან მსახური. მსახურს გზაზე შეხვდა კაცი, რომლის გუთანი სულ რკინის იყო. მეგუთნემ მზის დედასთან თავისი დანაბარების გადაცემა სთხოვა მსახურს. შემდეგ მსახურს შეხვდა ცხვარი, რომელიც მძიმე ბენჯს ვერ ზიდავდა. იმანაც დააბარა მზის დედასთან მსახურს თხოვნა, დახმარებოდა სიმძიმის დაძლევაში. შემდეგი თხოვნა მწყემსის იყო, რომელსაც სულ ეფანტებოდა ცხვარი, მერე – მკლისა, რომელსაც მწყემსები კომბლებით ცემდნენ, მშიერი რომ შეიპარებოდა ბაგაში. ბოლოს მსახურს შეხვდა ირემი, რომლის რქები ცას ებჯინებოდა. იმანაც სთხოვა მსახურს მზის დედას გაეთავისუფლებინა ამ გასაჭირისგან. მსახური ირმის რქებით ავიდა მზის დედასთან. მზე სახლში არ იყო, მზის დედამ კი ეს მსახური ნემსად გადააქცია, რათა მზეს თავისი მცხუნვარებით არ დაეწვა ადამიანი. სახლში დაბრუნებულმა მზემ იგრძნო ადამიანის სუნი, მაგრამ დედამ დაამშვიდა. საუბრისას დედამ ჰკითხა შვილს, რა ხდებოდა მიწაზე. მზე მოუყვა, რაც ნახა და დააყოლა, რომ სამი დღეა, ქალი მშობიარობს და აჯობებდა ადამიანებს ის თივაზე გადაეწვინათ, მის ირგვლივ მატყლის საფენი გაეკეთებინათ, თავთან რკინის იარაღი დაედოთ და ისეთი ადამიანი მოეძებნათ, რომელმაც გველის პირიდან ბაყაყი დაიხსნა, რომელიც იტყოდა: – დაეხსნას შვილი დედას, როგორც მე დავიხსენი ბაყაყი გველისგანო. ასევე მზემ დედას

უთხრა მეგუთნებზე, რომ მხოლოდ სახნისი და საკვეთი უნდა ჰქონდეს რკინის, დანარჩენი ნაწილები კი – ხის. ცხვარი ადამიანებმა წელიწადში ორჯერ რომ გაკრიჭონ, აღარც ცხვარი დაიტანჯება ბენჯის სიმძიმით და ადამიანებიც მეტ ხეირს ნახავო. მწყემსმა ცხვარი რომ არ დაფანტოს, უნდა მოძებნოს ფარაში უნიშნო შავი ცხვარი და მისი სისხლი დანარჩენებს აჰკუროს. მგელი თურმე წვიმიან საღამოს უნდა შეპარულიყო ბაგაში და მწყემსებისთვის უკანა ფეხებით ტალახი ესროლა, მაშინ ვეღარ დაეწეოდნენ. ირემი კი წელიწადში სამჯერ რქებით უნდა გაეხახუნოს რამე მაგარს, რომ არ იტანჯებოდეს. მზე დარდობდა, რომ ამ სატანჯველისგან გამოსავალს მათ ვერაფერს აუწყებდა. დილას, როდესაც მზე სახლიდან გავიდა, დედამისმა ნემსი ისევ ადამიანად აქცია, უამბო, ვინ როგორ უნდა მოქცეულიყო, რჩევა მისცა მსახურს, რომ ირმისთვის იქამდე არ ესწავლებინა, სანამ დედამიწაზე არ ჩავიდოდა. მსახური ისე მოიქცა, როგორც მზის დედამ ურჩია. მგლის ტალახი მწყემსებს ფეხზე შეახმათ და ასე გაუჩნდათ მუხლისთავები, რამაც საგრძნობლად შეანელა ისინი. ქართველები ამ რჩევის გამოა, რომ ყოველთვის ცდილობენ, ჰყავდეთ თითო შავი არსება, ფრთოსანი იქნება ის, თუ – ჩლიქოსანი. მზის დედის დამსახურებაა ისიც, ქართველები ამგვარი წესით რომ უვლიან მელოგინეებს; 7. ღმერთის ნათლულ ამირანზე: ღმერთი იმდენად ახლოს იყო ადამიანებთან, რომ ამირანი მონათლა კიდეც. ამბრი უძლიერესი იყო, მას ვერაფერს მოერეოდა, ასეთივე იყო ამირანიც. მან გადაწყვიტა შერკინებოდა ამბრის, ღმერთი დარწმუნებული იყო, რომ ამირანი მას ვერ აჯობებდა, ამიტომ მანამდე მოკლა ამბრი. როდესაც ამბრის მარხილით მოასვენებდნენ, ამირანი შეხვდა პროცესიას. ამბრის ხელი გადმოვარდნოდა მარხილიდან, დედამისმა სთხოვა ამირანს, ხელი გაესწორებინა. ამირანმა ვერ ასწია მიცვალებულის დაკიდებული ხელი, რაზეც ამბრის დედამ დასცინა. ამირანი მივიდა ნათლიასთან, რომელმაც დაარწმუნა, რადგან ამბრი უკვე მკვდარი იყო, მას ველარაფინ მოერეოდა. ამირანმა გადაწყვიტა ღმერთთან შეებმა. ღმერთი არ აჰყვა ამირანს და შესთავაზა, თოკი ერთი ბოლოთი გამოება სოლისთვის, მეორე კი ფეხზე შემოება და ამოეგლიჯა მიწიდან სოლი. ამირანმა ეს ვერ შეძლო, რადგან ღმერთმა თოკი ჯაჭვად აქცია და ამირანი სამუდამოდ მიაჯაჭვა ამ სოლს. მას შემდეგ ამირანი ისეა გაგული-სებული თოკის გამო ქალებზე და ჯაჭვის გამო – მჭედლებზე, რომ, როგორც კი თავს აიხსნის, მათზე შურს იძიებს. ამირანი, შიმშილმა რომ არ მოკლას, ღმერთმა ცალ ხელში პური და მეორეში წყლის დოქი მისცა, რომლებიც არ ილევა. ამირანის სიახლოვესაა მისი შუბი, მაგრამ ვერ სწვდება, რომ გატეხოს ბორკი-ლები. ამირანის ძაღლიც ლოკავს ჯაჭვს, მაგრამ შეთხელებული ჯაჭვი ყოველი წლის დიდ ხუთშაბათს ისევ სქელდება მჭედლების წყალობით. ამირანთან მოხვედრა წარმოუდგენელია, რადგან ღმერთმა კარები გააკეთა, რომელიც იღება ხოლმე. ერთხელ მონადირე შევიდა ამ კარებში და ამირანს თავისი პური მიაწოდა, ამირანმა პურს სისხლი გამოადინა და აჩვენა, რომ ადამიანები საკუთარი სისხლის ფასად მოიპოვებდნენ პურს. მონადირემ ვერ ასწია შუბი,

ამიტომ ძირს განვა, ხელები ჩაავლო იარაღს, ამირანი კი შეეცადა მის მოქაჩვას, მაგრამ ეს იმდენად მტკივნეული აღმოჩნდა, რომ შეეშვა. ამირანმა სთხოვა მონადირეს, რომ სახლიდან მისთვის მოეტანა ჯამბარა (საბელი, რითიც გუთანში შებმულ წინა ხარებს უკანა ხარებთან აბამენ), მაგრამ არ გაემხილა არცერთი ქალისთვის, წინააღმდეგ შემთხვევაში, კარი დაიხურებოდა. მონადირემ ვერ გაუძლო ცთუნებას და გზაზე შემხვედრ ქალს უამბო, რისთვის სჭირდებოდა ჯამბარა. ამის შემდეგ ამირანი კიდევ უფრო განრისხდა ქალებზე; 8. ეს ნაწილი გვიამბობს, რომ ამირანმა მოუვლინა ადამიანებს ქარები, მაგრამ ღმერთმა ამით ასარგებლა ადამიანებს, როდესაც ხეებიდან ნაყოფი ჩამოყარა. ქართველების წარმოდგენით, ვარსკვლავები ცაზე ჩიტის ბუდეებივით არიას მიკრული. ცაზე იმდენი ვარსკვლავია, რამდენი ადამიანიც, ამიტომ ვარსკვლავის მოწყვეტა ადამიანის სიკვდილის მომასწავებელია. ციური სხეულებიდან მოძრაობენ მხოლოდ მზე, მთვარე და კომეტები. მზე დაა, ხოლო მთვარე – ძმა, მათ ჰყავთ დედაც. მზეს უყვარს აღდგომა დილას ბატკანთან თამაში. ვინც ამ მოვლენას შეესწრება, დაინახავს, რომ მზე ხან წითლდება, ხან ფერმკრთალდება, ხან კაშკაშებს, ხან აქეთ-იქით მოძრაობს – ეს იმიტომ, რომ ეთამაშება ბატკანს. მთვარე ზომამში არც იკლებს და არც იმატებს, მისი ფაზები იხსნება ვუაღით, რომელიც მას ეფარება ღმერთის მითითებით. მთვარის ლაქებზე კი ჰყვებიან: შინ დაბრუნებულმა მშიერმა მთვარემ დედას პურის გამოცხობა არ აცალა, იმან კი მოუქნია ცომიანი ხელი და სახეში გაართყა. მნათობთა დაბნელების მიზეზია დრაკონი, რომელიც დევნისას პირით იჭერს მათ. ამიტომაც ქართველები თოფს ისვრიან დაბნელებისას, რათა დააფრთხონ საზარელი არსება. მნათობები მხოლოდ აღმოსავლეთიდან დასავლეთის მიმართულებით მოძრაობენ, ხოლო კომეტები, რომლებიც უწმინდური არსებებივით კუდიანები არიან, სხვადასხვა უბედურებას მოასწავებენ – მოუსავლიანობას, ომს და სხვ. დედამინა თევზზეა განთავსებული, რომელსაც პირით ბოლო უჭირავს, ხანდახან თევზს გაუსხლტება ბოლო და დედამინა იძვრება. ქართველებს სჯერათ, რომ ცვარი დედამინაზე მზეს მოაქვს, რომ არ იყოს მზე, არც ცვარი იქნებოდა – მზე ხომ ზღვიდან გამოდის. ასევე, მზიდან გამოდის წვიმაც და ცისარტყელაც. ღრუბლები ეშვებიან ზღვაზე და ისრუტავენ წყალს, მერე წვიმა მოდის. ცისარტყელას ფერები კი სოფლის მეურნეობის დარგებს შეესაბამება. თუ წითელი უფრო ჩანს, ღვინის მოსავალი იქნება უკეთესი, თუ ყვითელი – სიმინდის, მწვანე – ფეტვის. სეტყვა ღვთის სასჯელია. თუ ადამიანები კარგად იქცევიან, ელიას ღრუბელი გადაჰყავს მთის იქით. მაგრამ, ვინაიდან ელია ბრმაა, მას გზას უღობავს ბოროტი სული, არასწორ მითითებებს აძლევს და, მთის ნაცვლად, სამოსახლოების თავზე გადაატარებს. ადამიანებმა იციან რა, რომ სეტყვა ბოროტი სულის მიზეზითაა, ცდილობენ გააგებინონ ელიას შეცდომა. ამიტომაც, რომ მთელ კახეთში სეტყვისას ზარების რეკვას იწყებენ.

საკვანძო სიტყვები: კოსმოგონია, ციური სხეულები, მეტეოროლოგიური მოვლენები, ამირანი.

Key words: Cosmogony, Celestial bodies, meteorology, Amirani.

СМОМІІК, 1893, №17, გვ. 144-173, მ. ჯანაშვილი, „ქართველთა რწმენა-წარმოდგენები“: წერილი თექვსმეტი ნაწილისგან შედგება – 1. სამყაროსა და ადამიანების შექმნას ეხება. სვანების წარმოდგენით, სამყაროს შექმნიდან ექვსი დღე გადაუღებლად წვიმდა. რამდენი წვიმის წვეთიც დაეცა მიწას, იმდენი ანგელოზი ჰყავს ღმერთს. ისინი თავიდან ზეცაში ცხოვრობდნენ. სველ მიწაზე გავლისას ღმერთი წამოდო ქვას, დაარტყა მას და იქიდან ამოხტა სამალი. სამალი ღმერთთან მუდმივ დაპირისპირებაშია. ადამი და ევა ზეციდან მიიღებდნენ მუდმივად გამზადებულ საკვებს, რომ არ განერისხებინათ ღმერთი. პირველი ადამიანები ღმერთმა ჩასვა კიდობანში და უბრძანა, არავისთვის დაეჭვებინათ და მიუჩინა მგლები დარაჯად. ანგელოზებმა ღმერთს არ დაუჭერეს და ამის გამო დაისაჯნენ – ღმერთმა ციდან გამოყარა ისინი. ასე იქცნენ ანგელოზები ბოროტ დემონებად. ერთი მათგანი შეუძვრა გველს და აცდუნა ადამი და ევა. ღმერთი მიუტევებდა მათ, მაგრამ ევას სამშობიარო ტკივილებისგან დახსნა ადამმა სთხოვა ვინმეს და დაჰპირდა, რომ ყველა სურვილს აუსრულებდა. სამალი დათანხმდა უშობელის არდაბადებამდე და უკვდავის სიკვდილამდე თუ შენი შთამომავლობა ჩემს სამსახურში იქნებაო. ღმერთმა ამ პირობისგან ადამის მოდგმის დასახსნელად გააჩინა ქრისტე, რომელიც, სვანების წარმოდგენით, მხოლოდ თორმეტი წელი იყო დედამიწაზე.

2. ზაქათალას ინგილოთა გადმოცემა: ღმერთი თავიდან ახლოს იყო ადამიანებთან, მაგრამ მას შემდეგ, რაც დედამ ლავაშით განმინდა გაჭუჭყიანებული შვილი, ის გაბრაზდა და დააშორა დედამიწას ზეცა. ქართველები კი დაგდებულ პურს თუ ნახავენ, აიღებენ, აკოცებენ და ისეთ ადგილას შემოდებენ, რომ უწმინდურება არ გაეკაროს.

3. აქ მოთხრობილია დედამიწის რელიეფის გაჩენის შესახებ: ერთმა ბერმა ღმერთს სთხოვა, თავად გამკლავებოდა ეშმაკს. როდესაც ეშმაკმა თავი შეყო კარებში, ბერმა ცხვირზე წაავლო ორკაპი. სიმწრისგან ეშმაკი თავის გრძელ კუდს ურტყამდა მიწას და რამდენჯერაც დაარტყა, იმდენი მთა, ხეობა, ბორცვი, ხევი, ქვაბული გაჩნდა.

4. ეხება გველიარშაპის (სვანურად) და მნათობების მტრობაზე. როგორც კი ურჩხული გადაყლაპავს რომელიმე მნათობს, ადამიანები ატეხენ ყიჟინას, თოფებიდან სროლას, აფრთხობენ მას. წითელი მთვარე ამის შემდეგ არის გველეშაპის დაკანრული. გველიარშაპის ცალი გვერდი ხის წნულია, რადგანაც გადაყლაპული მზე წვავს მას და ასე თავისუფლდება.

5. სვანები სეტყვას ბრმა არსებად წარმოიდგენენ. მას გამცილებლად ეშმაკი ჰყავს და როდესაც გასეირნება მოუნდება, გამცილებელი ატყუებს და გამწვა-

ნებულ ბალ-მინდვრებზე გადაატარებს ხოლმე. ხალხი ამ დროს ასე ლოცულობს: კვარკვალო ბედნიერო, ღელე-ღულე იარეო, კობის წინამძღოლო, გვიშველეო, დამბადებელო გვიშველე, გვიშველე შენის მადლისათვის, მთავარანგელოზო გვიშველე...

6. სვანების რწმენით, ჭექა-ქუხილი დევების ორთაბრძოლას უკავშირდება. მეხი მათი თოფის ხმაა. მეორე გადმოცემით, ქუხილს ინვეს ცაში დევების მიერ გობების გადაგორების ხმა. ქართველების წარმოდგენით, ელია ზის ტახტრევანზე, რომელშიც შეხმულია ცეცხლოვანი რაშები. რაშები დაქრიან ცაზე, რომლის ნაწილიც ყინულისაა. ის გამოსცემს ხმებს. ინგილოები ყვებიან, რომ ელია ტახტრევანზე კი არა, კვერზე ზის. კვერის ქვედა ნაწილში წვეტიანი ქვებია და ისინი გამოსცემენ ხმებს.

7. წვიმის წარმოშობას ეხება. ქართველები ამასაც ელიას უკავშირებენ. გვალვისას ქალები აკეთებენ თოჯინას და შემოუვლიან სიმღერით სოფელს. ხალხი ადის სახურავებზე და თოჯინას და ლაზარეს ცერემონიალში მონაწილე ქალებს წყალს გადმოსახამს და დაასაჩუქრებს კვერცხითა და კარაქით. თუ ამან არ უშველა, მაშინ ქალები შეეხებებიან გუთანში და გაივლიან დამშრალ არხში. წვიმიან ამინდში სიმღერის ტექსტი იცვლება და, ტალახის ნაცვლად, მომღერლები ითხოვენ გორიხს.

8. ცისარტყელას ფერებს განმარტავს: წითელი აღნიშნავს სისხლს, წარინჯისფერი – ღვინოს, ყვითელი – ხორბლის მოსავალს, მწვანე – ბალახეულს, ცისფერი – მშრალ ამინდს, დარს, ლურჯი – მშვიდობას, იისფერი კი – ომს. ცისარტყელას ბოლოებში ჩაფლულია განძი. ვინც მის ბოლოს მიაღვება, განძიც მას დარჩება.

9. ინგილოთა წარმოდგენით, წელიწადში ერთხელ მთელ სამყაროს ძილი მოერევა, ამ დროს ცისკარი გამოჩნდება და მღვიძარე ადამიანს ღმერთის დანახვა შეუძლია. რასაც ის ჩაიფიქრებს, აუცილებლად აუსრულდება. ავტორი გამოთქმას „ერთი პირი ძილი წყალსაც მოუვაო“ ამ მოვლენას უკავშირებს.

10. აქ ნათქვამია, რომ ინგილოების სწამთ, თითქოს ოდესღაც ყველა და ყველაფერი ქართულად ლაპარაკობდა და მხოლოდ გველს ესმის მათი ენების. ამის დასტურია ერთი კაცის ამბავი, რომელმაც თეთრ გველს მოაშორა ოთხი შავი გველი. მამამისმა კი მისცა ნიჭი, ჩაჰბერა რა პირში, ნებისმიერი არსების ენის გაგებისა. მაგრამ ამ საიდუმლოს თუ გათქვამდა, ის მოკვდებოდა. კაცმა საიდუმლო გაუმხილა ცოლს და მაშინვე აღესრულა.

11. პირველი ეპოქის ადამიანები „თვითონ იყვნენ აყლაყუდა, ჭკუა ჰქონდა მოკლეკუდა“. ეს აყლაყუდები ქონდრისკაცებმა შეცვალეს (ჩვენ). ამ ნაწილში გადმოცემულია ამბავი, როგორი მოხერხებული იყო ქონდრისკაცი აყლაყუდასთან შედარებით იმ პერიოდში, როცა ორივენი ერთად ცხოვრობდნენ.

12. აქ საუბარია საიქიოზე. ინგილოებს სჯერათ, რომ მიცვალებულები გორების მიხედვით ნაწილდებიან, ამიტომაც დიდი უბედურებაა უცხო მხარეში სიკვდილი.

გარდაცვლილები ჭამენ და სვამენ, მაგრამ ისე არ მრავლდებიან, როგორც ცოცხლები. თუკი ცოცხალი ნათესავები არ ზრუნავენ გარდაცვლილებზე, მას შიდა და წყურია, რადგან დანარჩენი მიცვალებულები ვერ უწილადებენ თავიანთ საკვებს. ორ სამყაროს ერთმანეთისგან ყოფს კუპრის ტბა. ამ ტბაზე ხილია გადებული, რომელიც გაპოხილია კარაქით. ადამიანს მასზე გავლას ძალი უადვილებს, რომელიც ლოკავს კარაქს, ხოლო კატა კუდით ისევ უსმევს ხიდს კარაქს. ცოდვილი ხიდიდან ვარდება, ხოლო უცოდველი ადვილად მიაღწევს მეორე ნაპირამდე. ხიდის თავში დგას ცხოვრების გამომცნობელი, რომელიც წონის ცოდვებს. მარცხენა თასი თუ გადანონის, ცოდვა მეტია. ინგლოებს სჯერათ, რომ სულებს იქ პეპელა მიაცილებს. აქ გადმოცემულია ის ტრადიციები, რომლითაც ისტუმრებენ ინგილოები გარდაცვლილს საიქიოში. კარგადაა აღწერილი ტაბლა, დატირება, მსხვერპლმენიერება, ორმოცი და სხვ. განსაკუთრებით საინტერესოა, რომ გამოსვენებისას პატარა ბიჭი ქვას დაადევნებს სასახლის მზიდავ ჭირისუფლებს სიტყვებით: „აქ შენი წილი აღარაფერია და აწი თავი დაგვანებე“. ბოროტ კაცს მინა არ იღებს და ის მგელკაცად ბრუნდება. ოჯახის წევრებს ზრუნვა არ უწევთ მხოლოდ გარდაცვლილ ბავშვებზე, რომლებიც რძის ტბის პირას ამოსულ ხეზე სხედან ბედნიერები და როცა მოშივდებათ, ხე დასწევს ტოტებს და ბავშვები რძის სმით ძლებიან. ამ ნაწილში ლექსია, რომელიც ასახავს საიქიოს ოთხი წყაროთი, კუპრის ტბით და ბენვის ხიდით, ხეხილის ბალით, რომელშიც ზოგი ხე მწიფს, ზოგი ყვავილობს, ზოგსა მკუხენი ასხია.

13. აქ მოთხრობილია ალეებზე, 14. ჭინკებზეა, 15. მაჯლაჯუნებზეა, 16. დანარჩენ ბოროტ არსებებზეა. ალეები ხან ბავშვის, ხანაც ლამაზი ქალის სახით იტყუებენ ადამიანებს უღრან ტყეში. ალს თუ პირველი მიესალმები, მაშინ შერკინებისას აუცილებლად დაძლევე მის ძალას. ჭინკების და ალეების თვე იწყება 15 ოქტომბრიდან და 7 ნოემბრამდე გრძელდება. ამ დღეებში წვიმებია მოსალოდნელი და უბედურების თავიდან ასაცილებლად მოსახლეობა აკეთებს თიხისგან ან ქვებისგან ჯვრებს, აგდებს ბოსლებში, საჭინბოებში, ტანსაცმელზე და ამბობს, რომ წმინდა გიორგის ბეჭელი დაადო. ჭინკობის თვეში დაბადებულს თუ გიორგის ან მარიამს არ დაარქმევენ, ჭინკის, ალის სამსხვერპლო გახდება. ჭინკობის თვეს ჭინკას ნებისმიერი ადამიანის საქმიანობიდან წილი ერგება. მაგალითად, თუკი ქალები რამეს ქსოვენ, ჯერ ჭინკას მოუქსოვენ, მერე კი თავისთვის. ჭინკა და ალი თმას უფროთხილდებიან განსაკუთრებულად, რათა ადამიანებმა მათი დამორჩილება მისი დახმარებით ვერ შეძლონ. მაჯლაჯუნა მძინარეს აწვება და ახრჩობს, თუკი მას ზურგზე ძინავს. ბოლოს გადმოცემულია ლეგენდა, თუ როგორ დაჭაბნა სოლომონ ბრძენმა კუნძულები და თავი უკრა დოქში ყველა ბოროტ ძალას, დალუქა და გადააგდო ზღვაში. თხუთმეტი საუკუნე ცხოვრობდნენ ქართველები წყნარად, მაგრამ, სამწუხაროდ, მეთევზეების უტვინობით ბოროტი არსებები ისევ დაუბრუნდნენ დედამიწას – ტყეებს, მდინარეებს, მღვიმეებს. ამ ბოროტ არსებებს დედებრები დაუახლოვდნენ. მათ კუდიანებს უწოდებენ. ყოველი

წლის დიდ ხუთშაბათს იალბუზზე იკრიბებიან ყველანი სატანასთან. სატანას ბოროტი არსებები და კუდიანები პირში ესვრიან ქვეს, რაც უფრო დიდია ქვა, მით უფრო მოიმაღლიერებენ სატანას, თუმცა საუკეთესო ძღვენი ადამიანია, რომლის სანაცვლოდაც მკითხაობის ნიჭს იღებენ. იალბუზზე ასასვლელად ჯადოქრები ღამით ხელში მოხვედრილ პირველივე საგანს გაპოხავენ კვინტილათი. ეს საგანი ფრენის უნარს შეიძენს და საკვამურიდან გააფრენს ჯადოქარს იალბუზზე. ხშირად ცოცხის, დოქის და სხვა საყოფაცხოვრებო საგნის მაგივრად ჯადოქრები კატებს გაპოხავენ. თავის დასაცავად წინა ღამით ადამიანები ჭიაკოკონას გააჩაღებენ და კოკონს სამჯერ გადაახტებიან შემდეგი სიტყვებით: არი ურული, ურული, ურული, კუდიანები! ზოგიერთ ადგილას კი ჭიაკოკონას ნაცვლად, კარებზე, ფანჯრებზე, საკვამურზე მცენარის ტოტებისგან გაკეთებულ ჯვრებს აკრავენ.

საკვანძო სიტყვები: კოსმოგონია, ადამიანის შექმნა, მეტეოროლოგიური მოვლენები, ალი, ჭინკა, კუდიანი დედაბერი, მაჯლაჯუნა.

Key words: Cosmogony, Creation of humans, meteorology, Ali, Tchinka, old woman with tail, Majlajuna.

CMOMIIK, 1897, განყ. 22, გვ. 1-53, 163-247: აქ თავმოყრილია სხვადასხვა ავტორის ჩანაწერები საქართველოს რამდენიმე სოფელზე. ეს ჩანაწერები განსხვავებული კუთხითაა ღირებული ფოლკლორითებისა და ეთნოლოგიისათვის – ქალაქი ართვინი – ქუთაისის გუბერნია (კ. მაჭავარიანი): ავტორი უკავშირებს ქალაქ ართვინის სახელს ორ მწყემს ძმას, არუთინს და ლივანს, რომლებმაც, გადმოცემის თანახმად, აღმოაჩინეს ეს ადგილი. აღნიშნულია ისიც, რომ სომხურად ეს სახელი ახალ დვინს ნიშნავს. აქ ჩამოთვლილია ქართული ტოპონიმიკა და გვარები, რომელთა ჩამოთვლაც არ ავიწყდება წერილის ავტორს. აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდში მოსახლეობის უმეტესი ნაწილი ჯერ კიდევ საუბრობს ქართულად, მიუხედავად იმისა, რომ ჩამოასახლეს თურქები და სომხები. განსაკუთრებით კარგად საუბრობენ ქართულად ქალები და ბავშვები, მამაკაცები კი, კანონის გამო, სკოლაში შედიან და იქ ავიწყდებათ მშობლიური ენა. წერილში ძალიან კარგადაა ასახული ადგილობრივების ჩაცმულობა, საყოფაცხოვრებო ნივთები და ბოლოს წერილი სრულდება ნიშნობისა და ქორწინების რიტუალის აღწერით.

თავისუფალი სვანეთის ყოფა-ცხოვრებიდან (ნ. დმიტრიევი): თავისუფალი სვანეთის შემადგენლობაში შედის: უშგულის, კალას, ივანის, მულახის, მესტიის, ლენჯერის და ლატალის თემი. უბატონო თემების დაქვემდებარება მეთექვსმეტე საუკუნეში გადაუნყვეტია თავად დადემქალიანს. მისი გეგმის თანახმად, ჯერ უშგულელებს მოატყუებდა და შემოიერთებდა კალელებზე გამოსალაშქრებლად, შემდეგ ამ უკანასკნელთ შემოიერთებდა და ასე თანმიმდევრობით დაიპყრობდა სრულიად თავისუფალ სვანეთს. მაგრამ სვანებმა გაუგეს დადემქელიანს, აცალეს უშგულამდე მისვლა, იქ კი ამოუხოცეს რაზმი და თავადიც მოკლეს. ამბობენ, რომ

დადეშქელიანის სიკვდილში ხელი ერია ყველა თემს. ამისთვის მათ გამოაბეს თოკი ჩახმახს და დაძახებაზე თითოეული კომლის თითო წარმომადგენელმა ერთდროულად გამოქაჩა თოკს, გავარდა ტყვია და დამნაშავე უკლებლივ ყველა გამოვიდა. ამის შემდეგ დადეშქელიანები ირონიით ჰყვებიან, თითქოს მათი პატრიარქის მკვლელობის გამო აზღვევინეს თავისუფალ სვანებს და თითო წვეთ სისხლზე თითო კომლიდან შვიდი უშგულელი მოკლესო. უშგულელები კი ამბობენ, ამდენი კაცი უშგულში არც ცხოვრობდა, ეს რომ სიმართლე იყოსო და ტრაბახობენ, რომ ამ ამბის შემდეგ აღარავის მოუნდომებია უშგულელი სვანების დამორჩილება. წერილი აღწერს თავისუფალ სვანეთში ნადირობის, თევზაობის, მეფუტკრეობის, ხელსაქმის წესებს. წერილში ჩართულია ჩანახატი, როგორი იყო დაზგა. სანტერესოა, რომ წერილში მოცემულია სვანური სიტყვები, რომლებიც აღნიშნავს ზემოჩამოთვლილ საქმიანობებთან დაკავშირებულ ტერმინოლოგიას, საკუთარი სახელები, რომელთაც სვანები იხსენიებენ: ცხენებს, საქონელს, ცხვარს. ასევე წერილი სრულდება სვანურ ენაში არსებული სიტყვების ჩამონათვალით, რომლებიც აღნიშნავს: ადგილობრივ საზომ ერთეულებს, წელიწადის დროებს, თევებს, კვირებს და კვირის დღეებს, თვლის ათობით სისტემას და მასთან ერთად თვლის წყვილობითი, სამობითი და ექვსობითი წესებით თვლასაც კონკრეტულ შემთხვევებში (მაგალითად, ათი ექვსეული ღირს საცოლვე). მოცემულია ნადირობის წესების აღწერა, თუკი მონადირეები ამ წესებს უკლებელიყოფენ, ისინი შინ ხელმოცარულები დაბრუნდებიან. წესებს შორისაა მოკლული ნადირის ძვლების შებლაღვა, ჭამისას ხორცის მიწასთან შეხება და სხვ. ნადირის რქას წირავენ წმინდა გიორგის, რომელიც ნადირობის მფარველად მიიჩნევა. სანადიროდ მარტონიც დადიან და ჯგუფურადაც. მონადირეს შეიძლება თან ახლდეს მიკაცირი (კაცი ტომარაა), რომელიც იარაღს და მოკლულ ნადირს ატარებს. ნანადირევის განაწილება შემდეგნაირად ხდება: თავი, კისერი და ტყავი მონადირისაა, ხოლო დანარჩენი ნაწილს თანაბრად იყოფენ. თუკი მონადირე მონადირეს შეხვდება, მათ შეუძლიათ დადონ შეთანხმება, დღის ბოლოს ისევ შეხვდნენ ერთმანეთს და გაიყონ თანაბრად ნანადირევი. თუკი ერთიმეორეს არ ეტყვიან სიტყვებს „სევ ეშვი“ (საერთო იღბალი), გაყოფის ვალდებულება არ არსებობს.

რიონის ხეობაში (შ. ლომინაძე): ამ წერილში ნახსენებია ხვამლის მთა, სადაც, ადგილობრივების გადმოცემით, აქ ბერები ცხოვრობდნენ; ხიდის-კარი-ხიდი აერთებდა ზემო რაჭას ქვემო რაჭასთან და აქ, ხელსაყრელი ბუნებრივი პირობების გამო რაჭის ერისთავები ადვილად იგერიებდნენ იმერეთის მეფის ლაშქარს. ავტორი საგანგებოდ ჩერდება რაჭველი ქალების გამძლეობაზე, რომლებიც მამაკაცების მხარდამხარ ამუშავებენ მიწას და მამაკაცებივით მღერიან ნადურს. რაჭველების ასაკი ხშირად ას წელზე მეტს ითვლის. ივანა მეტრეველი 140 წლის გარდაცვლილა, მისი ცოლი კი 130. წერილში განმარტებულია, რომ ე.წ. ონური შალი სინამდვილეში ონში კი არ მზადდება, არამედ მთის გაღმა ოსურ და თათრულ სოფლებში, ხოლო ონელებს ჩამოაქვთ ის გასაყიდად ქუთაისში.

ღების სოფლის თემი – ქუთაისის გუბერნია, რაჭის მაზრა (ლ. მაისურაძე):
საინტერესოა დადემქელიანებისა და ჯაფარიძეების მტრობა. დადემქელიანმა, როცა ჯაფარიძეები დაარბია, ჯაფარიძემ იმერეთის მეფე ბაქარს სთხოვა დახმარება. როდესაც ლაშქარი დაინახა დადემქელიანმა, ჯაფარიძესთან მოლაპარაკება გადანიჭდა, ჯაფარიძემ კი, ზავის სანაცვლოდ, ერთი ჩექმა ჭიანჭველების ტვინი მოითხოვა. წარმოუდგენელ პირობას დადემქელიანი ვერ შეასრულებდა და ჯაფარიძეს უბოძა გოგრიჭიანების შვიდი კომლი სოფელ ხიდურადან. ჯაფარიძემ ერთი კომლი უბოძა არემიძეს, ექვსი კი რაჭის სხვადასხვა სოფელში ჩაასახლა. ამათვან ზოგმა ხიდურელი დაირქვა. გოგრიჭ გოგრიჭიანი, არემიძის საჩუქარი, ეახლა ღების მონასტრის ბერებს და სთხოვა, ნება დაერთოთ, ღების მონასტრის კუთვნილ შემოღობილში ეცხოვრა. ბერებმა რჩევა კითხეს გავნიძეებს და ლობჟანიძეებს, რომლებიც დათანხმდნენ გოგრიჭიანის თხოვნას. ამის შემდეგ ლობჟანიძემ და გოგრიჭიანმა გაცვალეს სამკვირდოები და ლობჟანიძეებს შეუერთდნენ ბოხაშვილები. გავნიძეები განსაკუთრებული პატივით სარგებლობდნენ არა მარტო ღებელეს, არამედ მიმდებარე ოსურ და მთის სხვა ხალხთა შორისაც. ერთხელ დიგორელმა თაიმაზმა თავისი ვაჟიშვილი გამოგზავნა გავნიძის გასაძარცვად. გავნიძემ მოკლა თაიმაზის შვილი, ხოლო გავნიძე მოკლეს ჩასაფრებულმა დიგორელებმა, რომლებმაც გაიტაცეს ტყვეები. თაიმაზმა გამოიგლოვა დაღუპული შვილი, ტყვეები კი გაზატყვევებულა. ღებში დასახლებულან საგურამოელი გავაშელიშვილები, დიგორელი გობეჯიშვილები და ალხიძეები ოსეთიდან. ღებზე სამი ძმა არემიძე ბატონობდა. მათ დაანესეს პირველი ღამის უფლება. ამის გამო ზვიად ლობჟანიძეს არ სურდა ცოლის მოყვანა. როდესაც მისი მოგვარეები შეწყვიტდნენ, უშვილოდ არ გადაგვარებულიყო გვარი, მან თქვა, რომ ცოლს მოიყვანდა, როდესაც არემიძეები მოკვდებოდნენ. ასე შეიკრა გვარი, მათ მოისყიდეს არემიძის მოურავი. როდესაც ორი ძმა სანადიროდ წავიდა, ამცნო მოურავმა ლობჟანიძეებს. ისინი ხიდთან ჩაუსაფრდნენ, მაგრამ ერთი ძმა გადარჩა, რადგან მდინარეში ჩახტა და ცურვით გადაირჩინა თავი. როგორც კი ისარს დაუმიზნებდნენ, არემიძე ჩაყვინთავდა. მონასტრის ეზოში დათვისგან დაკოდილი გულითად ლობჟანიძე ესვენა ჩელტბე. როდესაც ხმაურის მიზეზი შეიტყო ცოლისგან, მოითხოვა მშვილდ-ისარი, დაუმიზნა არემიძეს მდინარეში და განგმირა. მესამე ძმა კი ასე მოიშორეს თავიდან: მდინარის პირას მას დახვდა მოხუცი ქალი, რომელმაც თავი შეაბრალა და მდინარეზე გადაყვანა სთხოვა. როდესაც მდინარეში შევიდნენ, ქალმა ხელები მოხვია კისერზე და წყალში ჩაითრია მოძულეული არემიძე. ბასიანის ოსები ხშირად ესხმოდნენ თავს ღებელეს, ასევე სვანებს. ერთ-ერთი გამოლაშქრებისას თან წაუღიათ ღების მონასტრის ჯვარი. მის დაბრუნებას ღებში უკავშირებენ ბათხაძეს. ბათხაძეს ვაჟიშვილი დაუტოვებია საქონლის სადარაჯოდ. ღამე თვითონაც გასულა მასთან, გზაზე მსხლის ხესთან მიახლოებულს საეჭვო ხმა შემოესმა, იფიქრა, დათვიაო და თოფიდან გაუსვრია. იმ ღამეს არ მიუახლოვდა ხეს, რადგან დათვი დაჭრილი

რომ ყოფილიყო, გამწარებულ ნადირს ვერ გადაურჩებოდა. მეორე დილას მივიდა ხესთან და აღმოაჩინა, რომ მას დათვი კი არა, საკუთარი ვაჟი მოეკლა. მამამ იგლოვა შვილი, ტრაურის დასრულების შემდეგ გამოსულა თანასოფლელებში და უთქვამს, რომ მის ცოდვას ვერაფერი გამოისყიდდა, ამიტომ დააბრუნებდა ჯვარს. მათხოვრად გადაცმული ბათხაძე გადავიდა სვანეთში. სვანებს დაუშვიათ, რომ მათხოვარი მათთან სხვა საქმისთვის იყო მოსული. საღამოს წირვაზე ერთად შევიდნენ ეკლესიაში. ვერც შენიშნეს, როგორ დარჩა წირვის დასრულების შემდეგ მათხოვარი ეკლესიაში. ბათხაძემ ძლივს მოახერხა, რომ ღამით ჯვართან ერთად გადმომძვრალიყო სარკმლიდან და გაპარულიყო ღებში. ღებში მისულმა მოიხმო თანასოფლელები, რომელთაც ეძინათ და სთხოვა, თაყვანი ეცათ ჯვრისთვის. მას შემდეგ ღებელებს წესად აქვთ, სამღლიანი მარხვა შეინახონ ჯვრის პატივსაცემად.

ლანჩხუთის სოფლის თემი – ქუთაისის გუბერნიის ოზურგეთის მაზრა (დ. კერესელიძე): ავტორის ცნობით, ლანჩხუთს ადრე ნაჩხუბი ერქვა. ეს სახელი უკავშირდება მუდმივ დავას და მტრობას, რომელიც გურულებს, მეგრელებს და იმერლებს აქვთ ერთმანეთთან. მეგრელებმა და იმერლებმა გადაწყვიტეს, აღარ ეხადათ ხარკი ქართლის მეფისთვის, ხოლო გურულმა მაინც მიართვა ქართლის მეფეს ძღვენი. ამაზე გაბრაზებულმა იმერეთის და სამეგრელოს მეფეებმა შეიპყრეს გურიის მეფე და წელიწადნახევარი გამოამწყვდიეს დილეგში. გათავისუფლებულმა გურიის მეფემ ასე იძია მათზე შური: თითქოს სამეგრელოს მეფის ვაჟზე გადაწყვიტა ქალიშვილის მითხოვება. გახარებულმა დადიანმა გამოაგზავნა ვაჟიშვილი გურიელთან. აქ მას თავი მოჭრეს. მოჭრილი თავი ჩადო მოზრდილ ზარდახშაში და დაპირდა მას დიდძალ ქონებას, ვინც დადიანს მიართმევდა ამ „საჩუქარს“. მხოლოდ ვინმე ებრალიძემ გაბედა დადიანთან ამის წაღება. მიმტანი მოიტყუა, თითქოს ზარდახშის გასაღები სახლში დარჩა და უკან გამობრუნდა. როდესაც აღარ დაბრუნდა, დადიანმა გახსნა ზარდახშა. დადიანმა ლანჩხუთზე გამოსალაშქრებლად გამოუშვა ჯაიანი. ჯაიანი გურულებმა მოკლეს იმ დროს, როდესაც კულათი სვამდა დადიანის საღვთვერძელს და იქაღნებოდა, გურიელს ჭკუას ვასწავლიო. დადიანმა თურქებს სთხოვა დახმარება. თურქებმა სანგრები გაიკეთეს და გადახურეს თივით. გურიელმა ლაშქარს უბრძანა, ისრებისთვის გამოებათ ლელქაში და ცეცხლმოკიდებული ესროლათ სანგრებისათვის. ასე ამოხოცეს ცეცხლის წვიმით თურქები. გაქცეულმა მეგრელებმა კი ჩოხები დატოვეს სანგრებში, ამიტომაც ამ ადგილს დაერქვა ჩოხატოული. მეთექვსმეტე საუკუნეში მამია გურიელის მეურვე იყო ქაიხოსრო გურიელი. მას დაუპირისპირდა ზუბალდელ ჟორდანი. ქაიხოსრომ მოატყუა ჟორდანი, თითქოს იშვილა და შემდეგ სტუმრად მიპატიჟებული შვილობილი ეზოში მოკლა. ამის შემდეგ მანჩხუთელ ჟორდანიებს სათავეში ჩაუდგა სიკო ჟორდანი. ქაიხოსროს წინააღმდეგ. ქაიხოსრომ დახმარება იმერეთის მეფეს სთხოვა, მაგრამ უშედეგოდ, სანამ ისევ თავისიანმა არ გასცა და ციხესიმაგრეში დაბანაკებულ

სიკოს ლაშქარს გურიელები არ ამოაყუჟინა. ლანჩხუთელების მეთაურობით ჩიბათელები, ნიგოითელები და ჯურუყვეთელები ხარკის გაუქმების მოთხოვნით აუჯანყდნენ ნაკაშიძეებს. ნაკაშიძეებმა აინუნშიაც არ ჩააგდეს აჯანყებულების მოთხოვნა, ბოლობოლო ეს ამბოხი ჩაახშო გიორგი წერეთელმა. ამბობენ, რომ მეჩვიდმეტე საუკუნეში ლეკებმა დაანგრეს წმინდა გიორგის ეკლესია. დიდხანს არ ჰქონდათ მანჩხუთელებს ეკლესია, თუმცა მოახერხეს პატარა საყდრის აგება, რომლის ეზოშიც ვეებერთელა მუხა იდგა. ერთხელ მუხის ქვეშ მსხდომებმა გაიგეს რაღაც ხმა, ვერავინ შეძლო მუხის წვერზე ასვლა, ხმის მიზეზი რომ დაედგინათ, მიუხედავად იმისა, რომ მუხას გამძლე ტოტები ჰქონდა. ბოლოს ხეზე აუშვეს მღვდელი, გვარად ცინცაძე. მან მოახერხა კენწერომდე ასვლა და დაინახა წმინდა გიორგის ხატი, რომელიც ძირს ჩამოაბრძანა. ააგეს პატარა ეკლესია და იქ დააბრძანეს წმინდა გიორგის ხატი, მეორე დღეს ხატი გაპარული დახვდათ. ისევ ჩამოაბრძანეს ხატი მუხიდან და ახლა მას ბინა მეორე საყდარში დაუდეს. ასე გრძელდებოდა იქამდე, სანამ ახალი ეკლესია მოჭრილი მუხის ადგილას არ ააგეს. ამბობენ, რომ ეს ხატი გაიტაცეს აფხაზებმა მეცხრამეტე საუკუნეში და ამჟამად წმინდა გიორგის ხატი ილორის ეკლესიაშია.

ამ სტატიაში აღწერილია: ქორწინებასთან, მშობიარობასთან და კალანდობასთან დაკავშირებული წეს-ჩვეულები.

სოფელი ნიგოითი – ქუთაისის გუბერნია, ოზურგეთის მაზრა (ს. ჯორბენაძე): სოფლის მცხოვრებლებს უჭირდათ წყალი, ამიტომ თავადმა მაჭუტაძემ გადაწყვიტა მდინარე ხევის-წყლის სოფელში შემოყვანა. სამწუხაროდ, თავადი გარდაიცვალა და მისი გეგმა ადგილობრივებმა არ განახორციელეს.

წერილში გადმოცემულია მშობიარობასთან დაკავშირებული წესები. ახლად-ნამშობიარების ულუფა შედგება ძირითადად ხავინისგან. ესაა ხორბლის ფქვილისგან და თაფლისგან მომზადებული ნოყიერი თვათა. მელოგინეს თავთან უდებენ დანას, რათა დაიცვას ბოროტი ძალების დასაცავად. მელოგინესთან ექვსი თვის შემდეგ მიდიან ბებიაქალი და ის ქალები, რომლებიც მშობიარობას ესწრებოდნენ. ბებიაქალი ქოთანს გაავსებს პურიით, ხორციით და მინით, დაასხამს ღვინოს და ჩაფლავს მინაში სიტყვებით: „მინავ, ეს ჭამე და ეს სვი“. თან მიუთითებს ღვინიან ჭიქაზე: „გაუვსე ძუძიები რძით და არ ავნო არც მათ, მიეცი ჯანმრთელობა“ (ტექსტი რუსულ ენაზე). ამის შემდეგ მინაში ჩარგავს სამ კაკალს, თუ ერთი მაინც გაიხარებს, ბავშვიც დიდხანს იცოცხლებს.

საკვანძო სიტყვები: სოფლები – ართვინი, რიონი, ლეხი, ლანჩხუთი, ნიგოითი; წეს-ჩვეულებები, ილორის წმინდა გიორგის ხატი.

Key words: Villages – Artvin, Rioni, Ghebi, Nigoiti; Lanchkhuti, Rituals, The Icon of St. George of Ilori.

EA, 1901, №210, გვ. 3, ა.ნ., „ხევსურები“: ავტორი აღნიშნავს, რომ ხევსურები ერთ-ერთი ორიგინალური ხალხია კავკასიაში. ზოგიერთი მკვლევრის აზრით,

ხევსურები ჯვაროსანთა შთამომავლები არიან. ავტორს აღწერილი აქვს ხევსურთა ჩაცმულობა. სადაც არ უნდა იყვნენ ხევსურები ქალაქად თუ სოფელში, შეიარაღებას ყოველთვის თან ატარებენ. ხაზგასმულია სტუმარმასპინძლობის ადათ-წესების დაცვის მნიშვნელობა ხევსურისათვის. აქვე მოკლედაა აღწერილია ხევსურების ბევრი წესი: მაგალითად, ოჯახის შექმნასთან დაკავშირებით ხევსურს მოწონებული გოგონა ერთი წლით მიჰყავს ოჯახში „გამოსაცდელად“, ერთი წლის შემდეგ კი იღებს გადანყვეტილებას. განსაკუთრებით არაცივილურად მიიჩნევს ავტორი ხევსურების მშობიარე ქალთან და მშობიარობასთან დამოკიდებულებას. თუმცა, აღნიშნავს, რომ ხევსური მიუხედავად ამ მინუსებისა, გარკვეული სიმპათიურობითაც გამოირჩევა: იგი გულლიაა, პატიოსანი, ჰუმანური და სხვ. სტატიას თან ახლავს ხევსურული ლხინის ილუსტრაცია.

საკვანძო სიტყვები: ხევსური, წეს-ჩვეულებები, ხევსურეთი.

Key words: Khevsurian, customs, Khevsureti.

A, 1901, №18, 19, 20, 23, 24, გვ. 10-13, 7-8, 12-14, 7-9, 6- 8, დ-დ ს-ნი, „ციმბირი და კავკასიელები ციმბირში“: სტატილაში ავტორი მოგვითხრობს ციმბირში გადასახლებული კავკასიელების შესახებ – იმაზე, თუ როგორ ეგუებიან ისინი ადგილობრივ გარემოსა და მოსახლეობას. კავკასიელებს, თურმე, საერთო სახელით „ჩერქეზებად“ მოიხსენიებენ. მათ ადგილობრივი ცივი კლიმატის ატანა უფრო უჭირთ, ვიდრე მეორე პრობლემის – შიმშილისა. ძალიან დიდი კავკასიელების ნოსტალგია სამშობლოსი. ავტორი ციმბირში მყოფ კავკასიელს რობიზონ კრუზოს ადარებს. №18-ში მოთხრობილია ერთი ქართველის ისტორია, რომელიც კატორღიდან გამოქცეულა ქალაქ ტომსკში და ერთ შეძლებულთან შეუთარებია თავი. ყველაზე დიდი ქალაქები – ტომსკი, კრასნოიარსკი, ირკუტსკი და ჩიტა გავსებულია კავკასიელი გადასახლებულებით. ასევე, მოთხრობილია ერთი გურული თავადის, ვინმე რაფაელ ე-ს, ასევე ლეჩხუმელი თავადის ლევან ჩ-ს ტრაგიკული ისტორიები. ავტორი ამ პიროვნებათა მიმართ, განსხვავებით სხვა ქართველებისაგან, სიმპათიითაა განწყობილი. ავტორი აღნიშნავს, რომ სხვა კავკასიელებთან შედარებით ქართველები ციმბირში გაგზავნილი ნათესავების მიმართ უგულობით გამოირჩევიან, ამის შესახებაც მოჰყავს რამდენიმე ისტორია, მათ შორის ერთი დიალოგის სახითაა ჩაწერილი ვინმე „მთიულთან“. 23-ე ნომერში, საკმაოდ გრძელ ნარკვევში, გადმოცემულია ასევე ერთი ქართველის, მეგრელი პლატონ დ-ს ციმბირული ცხოვრების ამბები. ავტორი მასთან სტუმრად ყოფილა და ეს ისტორიები თავად მასპინძელს უამბუნია სურფასთან. პლატონ დ. ქორწილში იმერელი თავადის მკვლევლობისთვის გადაუსახლებიათ. პლატონ დ-ს ციმბირში ჰქონდა თავისი მეურნეობა პურისა და ღვინის (ამავე ნომერში წარმოდგენილია ხევსური ბავშვის – გიორგი ჭინჭარაულის ფოტო ტრადიციულ სამოსში). ბოლოს ავტორი გვიამბობს ირკუტსკის სასტუმრო „იმპერიალში“ ყოფნისა და მის ქართველ მფლობელთან გასაუბრების ამბებს. აქ ავტორი

აფიქსირებს ისეთ ქართულ, თბილისურ გამოთქმებს როგორცაა: „მატრაბაზი“, „დარდიმანდი“, „შენი თავის გახეთქვამ“, „ხაზინ-ჯან“, „აბაზი“, „ტილიპუჭური“ და სხვ.

საკვანძო სიტყვები: ციმბირი, კავკასიელი, გადასახლებული, კატორღელი.

Key words: Ciberia, Caucasian, exiled, convict.

ՅՕ, 1889, №3, გვ. 13-28, ნ. ლ. აბაზაძე, „საოჯახო ერთობა ქართველებთან (დიდი – ოჯახი)“: სტატიაში საუბარია ქართული ოჯახის მონყობისა და მართვის წესებზე. ავტორი განიხილავს საყოფაცხოვრებო წესებთან დაკავშირებულ ისეთ ტერმინებს, როგორცაა დარბაზი, ზედსიძე, დიასახლისი, უფროსი კაცი, უფროსი ქალი და სხვ. ავლებს ზოგიერთ პარალელს მსგავს ოსურ წეს-ჩვეულებებთან. დანვრილებითაა აღწერილი, როგორ ხდება უფროსი ქალისა და უფროსი კაცის არჩევა ოჯახში, რა არის მათი უფლება-მოვალეობები და პასუხისმგებლობები სხვადასხვა საოჯახო საკითხში, როგორებიცაა: ეკონომიკურ-სამეურნეო, საქორწინო, სასამართლო საქმეები და სხვ. სტატიაში ვხვდებით ასევე ისეთ ტერმინთა განმარტებას, როგორცაა სათაენო, საუფროსო და სხვ. ავტორი სტატიას აჯამებს იმით, რომ დიდი-ოჯახის ერთობის საფუძველს წარმოადგენს საერთო შრომა და წარმომავლობა და რომ ეს ერთობა პატრიარქალურ წესებზეა დაფუძნებული.

საკვანძო სიტყვები: ქართული, ოსური, ეთნოგრაფია, პატრიარქალური, დიდი-ოჯახი, უფროსი-კაცი, უფროსი-ქალი.

Key words: Georgian, Osetian, ethnography, patriarchal, Didi-ojakhhi, Ufrosi-katsi, Ufrosi-kali.

ՅՕ, 1889, №3, გვ. 29-40, ა. ხახანოვი, „ახალი წლის აღნიშვნა ქართველებთან“: სტატია იწყება ქართული სამეფო კარის საახალწლო წეს-ჩვეულებების აღწერით. შემდეგ კი აღწერილია ინგილოების, გურულების, ქართლელებისა და ჯავახების საახალწლო წეს-ჩვეულებები. ინგილოებთან ავტორი აღწერს ისეთ წეს-ჩვეულებებს, როგორცაა მეკვლეობა, ტაბლის განყოფილება და სხვ. ისინი საახალწლო რიტუალების დროს კუმურხის წმინდა გიორგის შესთხოვენ წყალობას. ქართლელებთან ავტორი საუბრობს ისეთ ჩვეულებებზე, როგორცაა ბედის-კვერის დაცობა, ბასილა, აბრამიანი და სხვ. გურულებთან ის საუბრობს კალანდობის დაღესასწაულსა და რიტუალზე. ჯავახებთან საუბარია სხვადასხვა სახის პურეულის ცხობის ტრადიციებზე და აღწერილია საახალწლო რიტუალი. ავტორი აჯამებს, რომ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მეტნაკლებად ერთნაირად აღნიშნავენ ახალ წელს.

საკვანძო სიტყვები: ახალი წელი, წეს-ჩვეულებები, ქართლი, კალანდა, პურეული.

Key words: New Year, customs, Kartli, Kalanda, cereals.

ՅՕ, 1891, №4, გვ. 192-195, ა. ხახანოვი, „ქართველი გლეხების სამინათ-
მოქმედო ჩვეულებები“: სტატიაში ნათქვამია, რომ ქართული გუთნით მუშა-
ობა დიდ სახსრებთან იყო დაკავშირებული, ამიტომ შესაძლოა ერთი გუთნის
გამართვაში რამდენიმე ოჯახი ყოფილიყო ჩართული. ამდენად, იქმნებოდა
გარკვეული „ამხანაგობა“, რომელიც საერთო გუთანს ფლობდა. ავტორი სტა-
ტიაში სწორედ ამ „ამხანაგობის“ მოწყობის წესებსა და მისი წევრების უფლება-
მოვალეობებზეა საუბარი, მაგალითად, ამ ჯგუფის თავზე – „გუთნის დედაზე“,
გუთნის დღით და ღამით „გამტარებლებზე“, „ალოს“ ანუ წილის ცნებაზე და სხვ.

საკვანძო სიტყვები: მინათმოქმედება, გუთანი, წესები.

Key words: agriculture, plough, rules.

ՅՕ, 1892, №2-3, გვ. 233, 234, ა. ხახანოვი, „კანონები მკითხავეებისა და
ჯადოსნების ქართული მიმართ“: ამ სტატიაში საუბარია „გუჯარებში“ დაბეჭდილ
აქტზე, რომელიც მკითხავეებისა და ჯადოსნების დასჯას ეხება. ვახტანგ მეფეცხის
დროს შედგენილ კანონთა კრებულში შესულია ლევე VI ბრძენის დროს
გამოსული „ბერძნული კანონები“, რომელთა მცირე მიმოხილვაცაა აქ წარმოდგე-
ნილი. სტატიაში დასახელებულია ასევე კონკრეტული ერეტიკული მოქმედებების
შესაბამისი სასჯელები ქართული რეალობიდან და წყაროებიდან. ავტორი
აღნიშნავს, რომ ერეტიკული საქმიანობის გამოვლენა ეკლესიის მოვალეობაში
შედიოდა.

საკვანძო სიტყვები: მკითხავეები, ჯადოსნები, გუჯარები, სასჯელი.

Key words: Soothsayers, witches, „Gujarebi“, punishment.

ՅՕ, 1893, №1, გვ. 141-149, ა. ხახანოვი, „საზოგადოებრივი ერთობის არსი
ქართველ მთიელებთან“: სტატიაში ავტორი მოგვითხრობს თემური საზოგადო-
ების წესების შესახებ ალექსანდრე ყაზბეგის შემოქმედებაზე დაყრდნობით. ის
ამბობს, რომ მისი ნაწარმოებები უბადლო წყაროა ეთნოგრაფიული მონა-
ხაზებისათვის. კონკრეტულ სტატიაში ა. ხახანაშვილი განიხილავს მოხვევე მთიულ-
თა ჩვეულებებს ნაწარმოებ „ელგუჯას“ მიხედვით. მოთხრობა „ელგუჯა“ იმ დროი-
საა, როცა თემი პოლიტიკური კომპეტენციითაც სარგებლობდა. ავტორი
დეტალურად გადმოსცემს ნაწარმოების სასამართლოს სცენას, სადაც უხუცესთა
გარდა სასულიერო პირები, დეკანოზებიც ჩანან. სათემო სასამართლოს კანონი
ასეთია: „ხმა ხალხისა ხმა ღვთისა.“ ხალხის წარმომადგენლები ერთი მხრივ,
მკაცრად დადგენილი იურიდიული წესებით ხელმძღვანელობენ, მეორე მხრივ კი,
ქრისტიანულ ღირებულებებს ავრცელებენ: პატიებას, გულმონყალებას,
სიყვარულს რაც ჩანს კიდევ აღნიშნულ ნაწარმოებში. მოთხრობა ყოფილი
სისხლისმიერი მტრების დანათესავებითაც კი მთავრდება: მომაკვდავი ბრალმ-
დებლის, სვიმონ ჩოფიკაშვილის, მეუღლეს დედობას სთხოვს მთავარი გმირი.

საკვანძო სიტყვები: მოხევე, მთიული, სასამართლო, წეს-ჩვეულებები, ალექსანდრე ყაზბეგი, „ელგუჯა“, მხატვრული ლიტერატურა.

Key words: Mokheve, Mtiuli, court, customs, Aleksandre Kazbegi, „Elguja“, fiction.

ՅՕ, 1894, №3, გვ. 141-144, ა. ხახანოვი, „**გლეხთა სამინათმოქმედო ჩვეულებები კახეთში**“: სტატიაში აღწერილია კახეთის სამინათმოქმედო, ხვნისა და თესვის, ტრადიცია. ერთი ჩვეულების მიხედვით, თესვის დაწყებამდე უხმოზენ მღვდელს, რომლის დალოცვის შემდეგაც გუთნისდებდა გადაინერს პირჯვარს და ღმერთს მიმართავს: „უფალო, მოიღე შენი გულუხვობა ჩვენს მოხნულ და დათესილ მიწაზე, მოამწიფე გულმონყალებით და დაეხმარე ჩვენს გუთანს“. შემდეგ აღწერილია ამ ჩვეულების გაგრძელება. ავტორი ასევე საუბრობს სხვადასხვა ნიშნებსა და რწმენებზე მოსავლის მომწიფებასთან დაკავშირებით. ასევე, აღწერილია ვნების კვირაში ჩასატარებელი რიტუალი ვიროხების განსადევნად. მოყვანილია ასევე ჩიტების, როგორც მანებლების, საწინააღმდეგო რიტუალი, „ჩიტისთვაფობა“. სტატიის ბოლოს მოცემულია ზოგიერთ საწყავ ერთეულთა შესაბამისობანი.

საკვანძო სიტყვები: მინათმოქმედება, ხვნა-თესვა, კახეთი.

Key words: agriculture, ploughing and sowing, Kakheti.

ՅՕ, 1896, №4, გვ. 157- 160, ა. ხახანოვი, „**წერილი პროვინციიდან (მოხუცის შთაბეჭდილებები ქართველი თავადის დაკრძალვის ცერემონიაზე)**“: წერილში აღწერილია 1896 წლის 2 ივნისს სოფ. ორსანტიაში თავად კონსტანტინე დადეშქელიანის დაკრძალვის ცერემონიალი. თავადის გარდაცვალების მიზეზი გულის შეტევა ყოფილა. დაკრძალვა გარდაცვალებიდან 22-ე დღეს დანიშნულა, რის გამოც გარდაცვლილისთვის ბალზამირება გაუკეთებიათ. ეს ცერემონიალი ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული ყოფილა, მას ათი ათასამდე ადამიანი ესწრებოდა. სტუმრებს შორის იყვნენ: გურიიდან, სამეგრელოდან, აფხაზეთიდან, სვანეთიდან, იმერეთიდან. აქ დეტალურადაა აღწერილი საცერემონალიო მორთულობა და ცერემონიალის მსვლელობა, დატირების რიტუალი. განსაკუთრებით შთაბეჭდავი ყოფილა 500 უახლოესი ნათესავის მიერ გარდაცვლილის დატირება. დაკრძალვას ესწრებოდნენ გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი გრიგორი და ალავერდის ეპისკოპოსი ბესარიონი. მიცვალებული დაუკრძალავთ იმ ადგილას, სადაც გარდაცვლილა; სადაც შენდება ეკლესიაც.

საკვანძო სიტყვები: დადეშქელიანი, თავადი, დაკრძალვა, დატირება, ცერემონია.

Key words: Dadashkeliani, „Tavadi“, burial, mourning, ceremony.

ՅՕ, 1898, №1, გვ. 126-132, ნ. ლ. აბაზაძე, „**ხანულობა**“: ქართლში ძველთაგანვე არსებობს ჩვეულება „ხანულობა“, რაც რძის გაზიარებაში მდგომარეობს. ეს

ტრადიცია არსებობს ქალებს შორის, „ხანული“ ჰქვია იმ ქალს, რომელიც რძის მოვროვებაში მონაწილეობს მეზობელ ქალთან ერთად, „ხანულობა“ კი თვითონ ამ შეამხანაგების სახელია. ხანულობის მოლაპარაკება ძირითადად ორ ქალს შორის იღება, რომლებიც თითო-თითო ძროხას ფლობენ, ძალიან იშვიათად ორს. რძის ერთობლივად დაგროვებით ისინი ერთად ამზადებენ რძის პროდუქტებს, ასე ზრუნავენ ხანულები არამართო ერთმანეთზე, არამედ ერთმანეთის ოჯახებზე. ხალხის რწმენით ეს ტრადიცია ღრმა სარწმუნოებრივ შინაარსსაც ატარებს და ხანულის მოლაპარაკე ქრისტეს გამცემს უტოლდება. სტატიაში დანვრილებითაა საუბარი ამ ჩვეულების დეტალებზე. სტატია მთავრდება ხალხური ლექსით, რომელშიც სხვა დანაშაულებებთან ერთად ხანულობის წესების დამრღვევის სასჯელიც არის აღწერილი.

საკვანძო სიტყვები: რძე, ქალები, ჩვეულება, ხანულობა.

Key words: milk, women, custom, Khanuloba.

ՅՕ, 1901, №1, გვ. 161-162, ა. ხახანოვი, „უცნაური ჩვეულება“: სამეგრელოში არსებული ეკლესიიდან სასწაულმოქმედი ხატის წაღების ჩვეულება. ავტორი გვიყვება ამბავს ვინმე გ.-ს ოინების შესახებ, როდესაც მან, თითქოს, სიმშარში იხილა, რომ ტ.-ს მიწა მისი გამხდარიყო, შემდგომ კი ტ.-ს ხატზე გადაცემით დაემუქრა, თუკი მიწას არ დაუთმობდა, რაც გააკეთა კიდევ. ყულიშკარის ეკლესიიდან წმ. გიორგის ხატი გამოითხოვა და მას გადასცა მეტოქე. მისი წაბადვით ბევრს დაუწყია ძველი წყნის გამო ერთმანეთის გადაცემა ანათემისათვის. ავტორი ამბობს, რომ მსგავს მანკიერ ჩვეულებას სასწრაფოდ ბოლო უნდა მოეღოს.

საკვანძო სიტყვები: სამეგრელო, ხატზე გადაცემა, ანათემასთვის გადაცემა, ყულიშკარის წმ. გიორგი.

Key words: Samegrelo, accurse, St. George of Kulishkari.

ՅՕ, 1911, №1-2, გვ. 125- 136, ვ. მილერი, „დაკრძალვის ზოგიერთი წეს-ჩვეულება კავკასიაში“: სტატიაში ავტორი გვიამბობს დაკრძალვის სხვადასხვა რიტუალის შესახებ. აპოლონიოს როდოსელის მიხედვით, კოლხები კაცების ცხედრებს ხეებზე ჰკიდებდნენ, ხოლო ქალებისას მარხავდნენ. ამ ჩვეულებას ავტორი ზოროასტრიზმის წესებით ხსნის. ავტორი ახსენებს ქ. გაგრაში გაკეთებულ აღმოჩენას, რომელიც ე.წ. მეორეულ, ანუ ჩონჩხის, დაკრძალვაზე მიუთითებს. კოლხთა აღნიშნული წესი, ქრისტეს შობამდე მე-3 საუკუნისა, აფხაზეთში მე-17 საუკუნეშიც კი მოქმედებდა. ასეა გადმოცემული მოგზაური ევლია-ჩელები-ეფენდის მიერ ჩანერილ სუბიშის ციხე-სიმაგრესთან მცხოვრები აფხაზური ტომის უცნაურ ჩვეულება. შემდგომ ავტორს მოჰყავს გარდაცვლილის ხეზე დაკიდების ჩვეულების პარალელები სხვადასხვა ხალხებთან: იაკუტიელებთან, იუკაგირების ტომთან, ტუნგუსებთან და სხვ. მსგავსი ჩვეულება ყოფილა ასევე ამერიკის,

ავსტრალიის, ოკეანიის, პოლინეზიის, აფრიკის ხალხებთან. შემდგომ საუბრობს ძველი კასპიელებისა და ოსების ტრადიციებზე ცხედრის ფრინველთათვის შეჭმის წეს-ჩვეულებზე. ავტორი ზემოთქმულს კოლხეებში, აფხაზებში, კასპიელებში, კუბაჩინცებსა და ოსებში ზოროასტრიზმის გავრცელებით ხსნის.

საკვანძო სიტყვები: დაკრძალვა, დაკრძალვის წეს-ჩვეულებები, კავკასია, კოლხეთი, ოსები, აფხაზები, ზოროასტრიზმი.

Key words: burial, burial customs, Caucasus, Kolkheti, Osetians, Apkhazians, Zoroastrism.

ՅՕ, 1913, №1-2, გვ. 336-338, ბ., „ეპილეფსია კავკასიაში“: ამ სტატიაში საუბარია ეპილეფსიის წარმოშობის მიზეზებზე, გავრცელების ადგილებზე, მკურნალობის მეთოდებზე კავკასიაში. აქ, ასევე, საუბარია არასამედიცინო მეთოდებით მკურნალობაზე და რწმენა-წარმოდგენებზე. ეპილეფსიისგან თავდასაცავად იყენებდნენ თილისმებს, როგორებიცაა: ნიჟარები, მარჯნები, კუდები, ჯვარი ქრისტიანებში, ლოცვები მუსულმანებში. მიმართავდნენ ასევე შელოცვებსა და მომლოცველობას. კავკასიის ქრისტიანებშიც ასევე იყო გავრცელებული სხვადასხვა ლოცვები და წმინდანების ლოცვა, განსაკუთრებით – წმინდა გიორგი მკურნალისა.

საკვანძო სიტყვები: ეპილეფსია, დაავადება, კავკასია, რწმენა-წარმოდგენები.

Key words: epilepsy, disease, Caucasus, belief.

К, 1876, №42, გვ. 1, ლ. ს. ისარლოვი, „უზური (საკითხი ადგილობრივი საყოფაცხოვრებო სამართლიდან)“: სტატია ეთმობა ქართული სამართლებრივი ტერმინის „უზურის“ განმარტებას. ეს უკანასკნელი აღნიშნავს პირს, რომელიც საკრედიტო ხელწერილის შესრულებაზე იღებს პასუხისმგებლობას. მიუხედავად იმისა, რამდენი ადამიანია კრედიტის ამღები, მათ შორის მაინც გამოირჩევა ერთი. ტერმინი ლათინური წარმოშობისაა და ნიშნავს იურიდიულ პირს. ის საქართველოში შემოტანილია ევროპელების, გენუელებისა და ვენეციელების მიერ ინდოეთის საზღვაო გზის აღმოჩენამდე, აბრეშუმის გზით აქტიური სარგებლობისას. იმერეთში მოგვიანებით ეს ტერმინი ჩაანაცვლა „სამართლიანმა პასუხმა“. თუმცა, მიუხედავად არსებული ცნობებისა, ავტორის თქმით, ტერმინის იურიდიული, ასევე, ისტორიული მნიშვნელობა მაინც ღიად რჩება.

საკვანძო სიტყვები: უზური, სამართლებრივი ტერმინი, სესხი, თავდები.

Key words: Uzuri, judicial term, credit, guarantor.

К, 1876, №134, გვ. 2, ოგრანოვიჩი, „გველის შემლოცველები კავკასიაში“: სტატიაში მოთხრობილია ე. ბელასუვარში (აზერბაიჯანში) ორი ირანელი გველთა შემლოცველის ჩამოსვლის ამბავი, რაც კონკრეტულადაა დათარიღებული 1876 წლის 31 ოქტომბრით. ავტორი ყვება, თუ როგორ მოიხმობდნენ შემლოცველები

სხვადასხვა შენობებიდან და ადგილებიდან გველეს. აღნიშნული „წარმოდგენა“ ერთ საათამდე გრძელდებოდა. შემლოცველებს 15 დაჭერილი გველისთვის გადაუხადეს კიდევ 5 რუბლი. აქვე აღწერილია გველის ნაკბენისგან თავდაცვის შელოცვის რიტუალი.

საკვანძო სიტყვები: გველი, შელოცვა, მოჭადოება.

Key words: snake, incantation, enchantment.

K, 1876, №136, 138, გვ. 1-2, გ. ს., „მოგზაურობა მთიან იმერეთში (მოგონებათა წიგნაკიდან)“: ავტორი თავდაპირველად აღწერს თბილისიდან ქუთაისამდე რკინიგზით მგზავრობას. შემდეგ ის ფოთის ნაცვლად გადანიშნავს იმერეთში მოგზაურობას და მიდის სოფ. ბაღდათში. აქ მოკლედ აღწერს იმერელი გლეხის, მემამულის მეურნეობასა და სახლ-კარს. შემდეგ მოგზაურნი გადადიან სოფ. ხანში, სადაც გაათევენ ღამეს, ავტორი აღფრთოვანებულია იმერეთის ბუნებითა და ჰავით. მეორე დღეს მახლობლად მთაში გავლენ ბუნების დასათვალიერებლად ადგილობრივთა თანხლებით. შემდეგ ავტორი საუბრობს სამედიცინო მომსახურების მიღების პრობლემებზე რეგიონში, ფერშალთა საჭიროებაზე. მატარებელში ყოფნის უკანა გზაზე ავტორი კვლავ ხაზს უსვამს მატარებლების მე-3 კლასის გაუსაძლის პირობებს, ხალხის სიტყრელესა და სხვ.

საკვანძო სიტყვები: მოგზაურობა, რკინიგზა, იმერეთი, ბაღდათი, ხანი.

Key words: journey, railway, Imereti, Baghdati, Khani.

K, 1877, №32, 38, 39, გვ. 3, დ. ბაქრაძე, „თურქეთის საქართველო („სამი თვე თურქეთის საქართველოში“, გ.ნ. ყაზბეგი, თბილისი, 1875 წ., V.), ლაზეთი“: ავტორი სტატიაში აღწერს გეოგრაფიასა და სამხედრო მოღვაწის – გიორგი ყაზბეგის მოგზაურობას ლაზეთში. თავდაპირველად გაკეთებულია აღნიშნული მხარის ფიზიკურ-გეოგრაფიული აღწერა. ავტორი ეხება ასევე ადგილობრივ ფლორას. ლაზეთში სამი დიალექტია გავრცელებული, რომელთა თვისობრიობასა და გავრცელების არეალსაც აღწერს ავტორი. მოცემულია მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა და სამეურნეო მონაცემები. საუბარია ლაზებისა და ზღვის ურთიერთობაზე. მცირე აბზაცი ეთმობა ლაზ ქალებს, რომლებიც სიმამაცითა და სილამაზით გამოირჩევიან. მოგზაურობის ეს თავი თავდება ისტორიული სახის მონათხრობით თავისუფალი და ფეოდალური ლაზეთის, თურქეთის მმართველთა ურთიერთობისა და სხვათა შესახებ.

საკვანძო სიტყვები: ლაზეთი, ლაზები, თურქეთის საქართველო, მოგზაურობა.

Key words: Lazeti, Lazians, Turkish Georgia, journey.

K, 1877, №189, გვ. 1, ი. ნ., „სასამართლო და სვანეთი“: სტატიაში საუბარია სვანეთში ახალ სასამართლო რეფორმასა და ძველ ჩვეულებებზე. ავტორი სვანებს „ნახევრად ველურ, ნახევრად ქრისტიან და ნახევრად წარმართ“ ხალხს

უწოდებს. ავტორის თქმით, სასამართლო რეფორმისთვის მძიმე გამოწვევა იდგა: აღეკვეთა სხვადასხვა ნიადაგზე წარმოშობილი სისხლიანი შურისძიებები. როგორც ავტორი ამბობს, სასამართლო ამ მდგომარობას ასწორებს და ახლა სვანი ანგარიშგებისთვის სასამართლოს უფრო მიმართავს, ვიდრე პირად ანგარიშსწორებას, რადგან თვლის, რომ ასე მისი „პიროვნულობა და საკუთრება უფრო დაცულია“. ავტორი ასევე საუბრობს იმაზე, თუ კიდევ რა შეიძლება გაკეთდეს სვანებში სამოქალაქო ცნობიერების ასამაღლებლად.

საკვანძო სიტყვები: სვანეთი, სასამართლო, სასამართლო რეფორმა, ჩვეულებები.

Key words: Svaneti, court, judicial reform, customs.

K, 1879, №211, გვ. 2-3, გ. იოსელიანი, „იმერლების მდგომარეობა თბილისში“: ავტორი ამბობს, რომ იმერეთში მემამულეები ძალიან სასტიკად ეპყრობოდნენ გლეხებს, ამის გამო თავისუფლების საძებნელად ბევრი გარბოდა თბილისში. ქალაქში ნამყოფთა მონათხრობები კი კიდევ უფრო მეტს აღუძრავდა იქ წასვლის სურვილს. არსებობდა ასევე ამ მიგრაციის ხელშემწყობი ფაქტორები, მაგალითად, ის, რომ იმერეთში მიწების დამუშავებას მეტი ძალისხმევა სჭირდებოდა. ავტორი შენიშნავს, რომ ქალაქში იმერლები ყველა დაწესებულებაში თვალშისაცემად ბევრნი იყვნენ. სტატიის ბოლოს ავტორი აღწერს ბედის საძიებლად ქალაქში ჩამოსული ახალგაზდრა იმერელის მდგომარეობას.

საკვანძო სიტყვები: იმერლები, თბილისი, გლეხი, მიგრაცია.

Key words: Imeretians, Tbilisi, peasant, migration.

K, 1880, №48, გვ. 2, წ., „რაჭა“: „ადგილობრივი ცნობების“ რუბრიკაში განთავსებული ეს მცირე სტატია გადმოგვცემს ინფორმაციას რაჭის ადმინისტრაციულ ერთეულებად დაყოფაზე, მოსახლეობის რაოდენობაზე. უფრო დაწვრილებითაა საუბარი ონის რეგიონის ადმინისტრაციულ მოწყობასა და ონის ძველ თუ ახლანდელ მნიშვნელობაზე. ავტორს ამ ცნობებს აწვდის ქვემო რაჭის მცხოვრები ვინმე ბ-ნ დვალი. საუბარია ასევე ადმინისტრაციული ცენტრის ონიდან ამბროლაურში გადატანაზე, რკინიგზის ხაზების მშენებლობაზე და სხვ.

საკვანძო სიტყვები: რაჭა, ქვემო რაჭა, ზემო რაჭა, ონი, ამბროლაური.

Key words: Racha, Lower Racha, Upper Racha, Oni, Ambrolauri.

K, 1882, №87, გვ. 2, „ადგილობრივი ხალხური დღესასწაულები (1855 წლის კავკ. კალენდრიდან)“: ამ სტატიაში საუბარია ქართულ ხალხურ დღესასწაულ კვირაცხოვლობაზე. აქ აღწერილია, როგორ აღინიშნება ეს დღესასწაული თბილისში თომას კვირას. რადგანაც იმ შემაღლებულ ადგილებს, სადაც ხალხი იკრიბება „წითელი მთა“ ჰქვია, ხანდახან თვითონ დღესასწაულსაც ასე ეძახიან. ავტორი აღწერს დღესასწაულის მსვლელობასა და ატრიბუტებს: მუსიკალურ

ფონს, თამაშებს, საჭმელებსა და სხვ. ავტორი აღნიშნავს, რომ აღწერილი თამაში (ბურთით) განსაკუთრებით სანახაობრივია იმერეთში. ავტორი ასევე განმარტავს იმას, თუ რატომ აღინიშნება ეს დღესასწაული თომას მთაზე (კუკის გარეუბანში).

საკვანძო სიტყვები: დღესასწაული, კვირაცხოვლობა, თბილისი, თომა, წითელი მთა.

Key words: Holiday, Kviratskhovloba, Tbilisi, Thomas, Red Mountain.

K, 1882, №173, 174, გვ. 2-3, ა. ე., „სახალხო თამაშები და გართობა ძველ საქართველოში“: სტატიაში ავტორი აღწერს თამაშებს: ბურთობა, ჭირითი, ჭიდაობა, მუშტიკრივი, სადაც, ასევე, ახსენებს ქვით კრივს, შურდლით კრივს და სარდასტით კრივს. ავტორი ამბობს, რომ ძველად ვერის ხიდს იქით, თბილისი-მცხეთის გზის მარცხნივ იყო დიდი ველი საბურთალო, ანუ საბურთაო ადგილი. ავტორი აღნიშნავს, რომ ჭირითი ერთ-ერთი საყვარელი თამაშია, რომელიც ქორწილებშიც იმართება. ჭიდაობები კი, ძირითადად, სატაძრო დღესასწაულებზეა გავრცელებული. მუშტიკრივში, როგორც მას ავტორი უწოდებს, ძირითადად თბილისის ორი უბანი – ზემო და ქვემო (საინტერესოა აღნიშნული დაყოფა: სიონის ტაძარი პირობითად ყოფდა თბილისს აღნიშნულ უბნებად), ეჯიბრებოდა ერთმანეთს. აქვე ასახელებს ზოგიერთ წარმატებულ მოასპარეზებს. მუშტიკრივის შემადგენელი ელემენტები იყო ქვით კრივი და შურდლით კრივი. ე.წ. სარდასტით კრივი კი იყო ხის დაშნებით ბრძოლა. სტატიის დასასრულს ავტორი გადმოგვცემს ერთი ამგვარი ბრძოლა-თამაშების დღის ამბავს ციციანოვის დროს.

საკვანძო სიტყვები: სახალხო თამაშები, გართობა, ჭირითი, ჭიდაობა, მუშტიკრივი, ციციანოვი.

Key words: folk games, entertainment, horsemanship, wrestling, fist-fight, Tsitsianov.

K, 1882, №264, გვ. 2-3, „მცხეთის დღესასწაული“: ავტორი სტატიაში გვიყვება მცხეთის დღესასწაულის იმწლეგანდელ (1882 წლის) მოვლენებს. იგი ირონიულად შენიშნავს რკინიგზის მოლარეებისა და მცხეთის მღვდელმსახურების მსგავსებას. ასევე აღნიშნავს, რომ, თურმე, ტრადიციული მსხვერპლშენიერვა ფულს ჩაუნაცვლებია. ავტორი ასკვნის, რომ ასეთ დღესასწაულებს ქართველები უფრო არქიმედენ არა წმინდანთა სახელებს, არამედ – ადგილისას, რაც მის პოლიტიკურ ხასიათზე მიუთითებს. დღეს კი მცხეთობა რელიგიური დღესასწაულია, თუმცა ესეც სუსტადაა გამოხატული. ავტორი გამოთქვამს ვარაუდს, თუ რატომ შეიძლება გაუფასურდეს ეროვნული სატაძრო დღესასწაულების მნიშვნელობა.

საკვანძო სიტყვები: სახალხო დღესასწაული, მცხეთობა, სატაძრო დღესასწაული.

Key words: folk holiday, Mtskhethoba, temple holiday.

K, 1883, №134, 146, გვ. 2-3, „ხალხური დღესასწაულები სვანეთში“: ავტორი აღწერს რამდენიმე სვანურ დღესასწაულს თავისი რიტუალებით: შობას-რომელსაც სვანები „ქრისდეშს“ უწოდებენ, შობის წინა საღამოს კი – „შობს“. ასევე ახალ წელს, რომელსაც სვანურად „ზომხა“ ჰქვია, დადემქელიანების სვანეთში კი „ქანდას“ უწოდებენ. აქვე მოთხრობილია „ლიფანალის“ დღესასწაულზე, რომელიც მიცვალებულთა მოსახსენიებელი დღეა. ავტორი აღნიშნავს, რომ „ლისგვინალი“, რომელიც სულთა დაბრუნების დღეა, ზღაპართა და სხვადასხვა ხალხურ მონათხრობთა შესაგროვებლად ყველაზე ხელსაყრელი დროა. შემდეგ ავტორი საუბრობს „ლიმპარის“ დღესასწაულზე, რომლის გავრძელებაცაა „ლიკვრაში“. აქვე მოყავს ამ დღესასწაულთა წარმოშობის თქმულება. ავტორი გამოყოფს გაზაფხულისა და ზაფხულის დღესასწაულებს და აღნიშნავს, რომ ისინი სვანებს ცოტა აქვთ.

საკვანძო სიტყვები: სვანეთი, სვანური დღესასწაულები, სახალხო დღესასწაულები.

Key words: Svaneti, Svanetian holidays, folk holidays.

K, 1883, №178, გვ. 2- 3, ნ. ნ.-ოვი, „მთის ზეპირ სასამართლოთა შესახებ“: სტატიის მთავარი საკითხია ის, თუ რატომ დაკარგა მთის სასამართლოებმა თავისი მნიშვნელობა. ავტორი ამბობს, რომ მთის სასამართლოები მხოლოდ ადგილობრივი წესებით – ადათითა და შარიათით – ხელმძღვანელობს, ხოლო როცა ეს არაა საკმარისი, მხოლოდ მაშინ მიმართავს იმპერიის კანონებს. ავტორი აღნიშნავს, რომ მოსამართლეთა მოსყიდვა ისეთ მძიმე მდგომარეობაშიც კი ჭრის, როგორცაა მკვლელობა. ავტორი მთის ტრადიციებს ძალადობის სათავედ თვლის და ბოროტებას უწოდებს. მისი აზრით, აქ მთავარი პრობლემა ისაა, რომ სასამართლოს თავმჯდომარეებმა არ იციან არც რუსული ენა და არც კანონები. ის იმედოვნებს, რომ ასეთი სასამართლოები მალე დაიხურება ან რეორგანიზდება, რათა მთის მოსახლეობამ დაისვენოს ძალმომრეობისაგან.

საკვანძო სიტყვები: მთის სასამართლო, ზეპირსიტყვიერი სასამართლო. კავკასიელი მთიელები.

Key words: mountain court, oral court, Caucasian highlanders.

K, 1884, №240, გვ. 2-3, ი. ბ., „ხალხური დღესასწაულები სვანეთში“: ავტორი აღწერს სვანეთში გავრცელებულ შემოდგომის დღესასწაულებს. წლის ამ დროს მათი უმეტესობა ეძღვნება მიცვალებულთა სულების მოხსენიებას. მიცვალებულთა სულების საცხონებლად აუცლიებელია შესრულდეს შემდეგი ჩვეულებები:

„ლაგ(ღ)ვანი“ ან „კონჩხარი“, „ბაცხ“ ან „კუნეგვემ“. ავტორი დეტალურად აღწერს ლაგვანის რიტუალებს და აღნიშნავს, რომ ეს დღესასწაული იმდენ რესურსს მოითხოვდა, რომ მხოლოდ შეძლებული ოჯახებისთვის უნდა ყოფილიყო შესაძლებელი, თუმცა ღარიბი ოჯახებიც ახერხებდნენ მის გადახდას ნაკლები რესურსით. შემდეგ ავტორი აღწერს „ბაცხის“ დღესასწაულს, რომელიც ბევრი რამით ჰგავს ლაგვანს. აქაც ცერემონიალებში აუცილებელია პაპის სასულიერო პირის ჩართულობა. ავტორი ასევე საუბრობს „კათხტაბაკ“-ზე, რაც არის იგივე ლხინი, ნადიმი, და „კერიაშზე“, რაც ტარდება ვინმეს მძიმედ ავადმყოფობის დროს.

საკვანძო სიტყვები: სვანეთი, დღესასწაულები, მიცვალებულთა მოხსენიება.

Key words: Svaneti, holidays, remembering of the deceased.

K, 1884, №252, გვ. 2, „დაკრძალვა და დატირება გურიაში“: ავტორი უარყოფითადაა განწყობილი დატირების რიტუალის მიმართ გურიაში. რათა კარგად წამოაჩინოს ამ ჩვეულების უარყოფითი მხარე, ის დეტალურად აღწერს ამ რიტუალს. სარიტუალო სადილის შემდეგ არის დატირების რიტუალი, რომელსაც ავტორი ტრაგიკომიკურ სურათს უწოდებს. დატირებას სამი მომღერალი ასრულებს და ტექსტი მხოლოდ „ვაი“-ს მოიცავს, მიუხედავად ამისა, გულისგამგვირავი ზემოქმედება აქვს მსმენელზე. დამტირებლებს მოზარეები ჰქვიათ. გარდაცვლილის, ქალიშვილი ან სხვა, განსაკუთრებით ახლობელი, კვილსა და მოთქმას ასრულებს. მიცვალებულის მიწას მიბარება საღამოს ხდება. ავტორი აღნიშნავს, რომ დაკრძალვის ამგვარი რიტუალი ძალიან ხარჭიანია, რადგან სხვა კუთხეებიდან ჩამოსულ სტუმრებს ღამის გასათევიც სჭირდებათ. ავტორი დაახლოებით ითვლის ყველა იმ ხარჯს, რაც ამ ყველაფერს ახლავს და ხაზს უსვამს უარყოფით ეკონომიკურ გავლენას მოსახლეობაზე. ავტორი იმედოვნებს, რომ ამ მდგომარეობას ყურადღებას მიაქცევს ეპისკოპოსი ალექსანდრე და შესაბამის ზომებს მიიღებს მის აღმოსაფხვრელად, რაც დიდი მადლი იქნება საზოგადოებისათვის.

საკვანძო სიტყვები: გურია, დაკრძალვა, დატირება, დაკრძალვის რიტუალი.

Key words: Guria, funeral, mourning, burying ritual.

K, 1884, №256, გვ. 2- 3, ი. ბ., „კერძო მსხვერპლთშენირვები სვანეთში“: სტატიაში აღწერილია კერძო საოჯახო მსხვერპლთშენირვის წეს-ჩვეულებები და რიტუალები. აღსანიშნავია ის, რომ თითოეულ სვანურ ოჯახს თავისი მფარველი წმინდანი ჰყავს: წმინდა კირილე, წმინდა გიორგი და სხვ. სვანები წელიწადის ოთხივე სეზონზე ასრულებენ მსხვერპლშენირვას სხვადასხვა მიზნით: მაგალითად, გაზაფხულზე კარგი ამინდებისათვის მოსავლის დასათესად და ა.შ. ასევე, დეტალურადაა აღწერილი, თუ როგორ აღასრულებს მსხვერპლშენირვის რიტუალს „პაპა“, ადგილობრივი სასულიერო პირი. ეს რიტუალი შემდეგ სხვა

ოჯახში რიტუალის აღმსრულებელ პაპებთან ერთად ტაძარში გრძელდება. სტატიაში რუსულ ენაზე მოყვანილია ტაძრიდან ოჯახში მობრუნებული პაპის მიერ წარმოსათქმელი ლოცვა. მსხვერპლთმეწიერის კიდევ სხვა სახეობაა „ლიბაში“, „ლილაი“, რომლისთვისაც ყველიანი პურები ცხვება და მას მხოლოდ ქალები აღასრულებენ. სრულდება „კორა მეზირის“ რიტუალიც, რომლის დროსაც სახლის სულს სცემენ თაყვანს, რომლის დროსაც წყალობას შესთხოვენ მამალმერთსა (პუენ-აბგაედიშ) და ქრისტეს.

საკვანძო სიტყვები: სვანეთი, მსხვერპლთმეწიერვა, რიტუალი, პაპა, მეზირი, ქალი, სარიტუალო პური.

Key words: Svaneti, sacrifice, ritual, Papa, Meziri, woman, ritual bread.

K, 1885, № 323, გვ. 3, ე. ტ., „მოგზაურობა ლაზეთის მთიან ნაწილში“: სტატია წარმოადგენს ზეპირსიტყვიერ რაპორტს რუსული გეოგრაფიული საიმპერატორო საზოგადოების სხდომაზე. ავტორი აღნიშნავს, რომ ლაზეთის შესახებ ისტორიული ლიტერატურა გეოგრაფიულზე უფრო მწირია. ტრაპიზონის ვილაეთში მცხოვრები ბერძენებისაგან შესაძლებელია გადმოცემებისა და ლეგენდების შეგროვება ლაზეთთან დაკავშირებით. შემდეგ ავტორი ატარებს მცირე ისტორიულ ექსკურსს თურქების შემოსვლასთან დაკავშირებით. აქვე არის ლაზეთის გეოგრაფიული აღწერა. ავტორის აზრით, მოსახლეობა სომხური წარმოშობისაა. თურქებს ლაზებთან, თურმე, არასახარბიელო ურთიერთობა ჰქონიათ, სიტყვა „ლაზი“ შეურაცხმყოფელი მნიშვნელობითაც იხმარებოდა. ავტორი საუბრობს ლაზების ცხოვრების წესზე, ლაზეთის ადმინისტრაციულ მონყოფასა და სამართლებრივ მდგომარეობაზე. აქ ხშირი ყოფილა სხვადასხვა დაჯგუფებების მიერ საგზაო ძარცვები. მოცემულია მცირე გადმოცემა უცნობი წმინდანის სასწაულმოქმედ საფლაგზე. თხრობა სრულდება ილიძის სამკურნალო წყაროებთან დაკავშირებული ცნობებით. აქვე ყოფილა „გველის წყარო“. ხალხის რწმენით, ამ წყაროს გველები წმინდა და ხელშეუხებელია.

საკვანძო სიტყვები: ლაზეთი, თურქეთის საქართველო, ლაზები.

Key words: Lazeti, Turkish Georgia, Lazians.

K, 1886, №104, გვ. 1-2, კ. შ., „საბავშვო თამაშობები და გასართობი ყუბანისა და თერგის ზოგიერთ რაიონში, ზოგიერთი ადგილობრივი თამაში ე. ახალციხეში, თბილისის გუბერნია“: ამგვარი სათაურითაა განთავსებული თამაშების აღწერილობები კრებულში „Сборник Материалов...“-ში, რომლებიც შეგროვილია მასწავლებლების მიერ. აქ შესულია როგორც ადგილობრივი თამაშები, ასევე, თვითონ მასწავლებლების გამოგონილიც. ავტორი ხაზს უსვამს ამგვარი კრებულის პრაქტიკულ საჭიროებას იმდროინდელ აღზრდაში. იგი აღარებს ქალაქელი და სოფლელი ბავშვების თამაშებს და აღნიშნავს, რომ სოფლელი ბავშვი ძალიან იშვიათად თამაშობს მარტო და რომ სოფლის თამაშების მთავარი

არსი სწორედ ურთიერთობაში მდგომარეობს. აქ გადმოცემულია თამაშები სხვადასხვა კავკასიური ოლქებიდან – ტამიშბენსკის, ყარაჩაის და სხვ. ავტორი გადმოსცემს ქართულ თამაშს „გზირი“, რომელიც შესაძლოა თურქებისგან იყოს აღებული. აქვე ახსენებს ქართულ ბურთით თამაშს „ჭუბი-ტონი“. ავტორი აღნიშნავს, რომ სოფლური თამაშების ქალაქერთან შერწყმით შესაძლოა ქალაქელი ბავშვის უკეთესი განვითარება.

საკვანძო სიტყვები: საბავშვო თამაშები, ქართული თამაშები, კავკასიური თამაშები.

Key words: children games, Georgian games, Caucasian games.

K, 1887, №59, გვ. 2, ა. გრენი, „კაპუნია, როგორც კანიბალიზმის ნაშთი სამეგრელოში“: კავკასიელი ხალხების წეს-ჩვეულებებში შემონახულია ბევრი რამ წარმართული დროიდან, ასეთი რიტუალია კაპუნია. ის წარმოადგენს მეგრულ რიტუალს, რომლის დროსაც წმინდა ხისთვის ხდებოდა მტრის შეწირვა ყველიერის კვირეულის ხუთშაბათ დღეს (თუმცა, სავარაუდოა, რომ წელიწადში რამდენჯერმე). ადამიანს კლავდნენ, თავს აჭრიდნენ და ხეზე კიდებდნენ. დღეს ეს კანიბალური რიტუალი სახეცვლილი ფორმით არსებობს: ცოლ-ქმარი, დანარჩენი ოჯახისგან ფარულად, კლავს ღორს, ხარშავს და შიგნეულს გულსა და ღვიძლს ჭამს. ამის შემდეგ ეძახიან ოჯახის დანარჩენ წევრებს და მათთან ერთად ასრულებენ ტრაპეზს. ამ დროს იკითხება სპეციალური ლოცვა, რომლის ჩაწერაც, სამუხებაროდ, ავტორს ვერ მოუხერხებია. მლოცველი ტრიალდება დასავლეთისკენ. ახალ მეგრულ სიმღერებში კაპუნია სრულად იღებს ღორის მსხვერპლ-შეწირვის მნიშვნელობას.

საკვანძო სიტყვები: მეგრული, კაპუნია, მსხვერპლთშეწირვა, კანიბალიზმი, ღორი.

Key words: Megrelian, Kapunia, sacrifice, cannibalism, pig.

K, 1887, №111, გვ. 1-2, უ. ნ. პროცენკო, „მსხვერპლთშეწირვა «კაპუნია» შესახებ სამეგრელოში“: ავტორი ჰყვება ა. გრენის მიერ ჩატარებული ეთნოგრაფიული მოკვლევების შესახებ მეგრულ წარმართულ მსხვერპლთშეწირვა კაპუნიაზე, რომელზეც იმეორებს, ასევე, გრენის აზრს, რომ გადმოცემებით იგი კანიბალიზმის ნიშნებს ატარებდა. ავტორი იხსენებს „კავკაზის“ ამავე წლის 59-ე ნომერში დაბეჭდილ გრენის სტატიას, სადაც გრენი აღწერს მეგრულ ტრადიციას კაპუნიაში, რომელიც გულისხმობს ტყვეთა ან რჩეული ღორის მსხვერპლთშეწირვას. შერჩეულ გოჭს სპეციალურად ასუქებენ და კლავენ ახალი წლის საღამოს, წმინდა გიორგის ან წმინდა მიქაელის დღესასწაულზე. ივერიის სამეფოში დამკვიდრებული მსხვერპლთშეწირვებზე ბევრი წყარო გვიყვება: მეფე ვახტანგის ისტორიანი, საბინინის „ქართული ეკლესიის ისტორია“, იოსელიანის „ქართული ეკლესიის მოკლე ისტორია“, დავით მეფის „საქართველოს მოკლე ისტორია“ და სხვ. დავით

მეფე ჰყვება, რომ ქართლოსის საფლავზე ფიცი მთავრდებოდა დაბალი წოდების ადამიანების გვამების ჭამით. მსგავს რიტუალზე, თითქოს, სოფ. კარსანის მაცხოვრებლებს ჰქონიათ გახუმრება სოფელ კოდმანის მაცხოვრებლებთან: „ერთი მიცვალებული გმართებთ ჩვენით.“ ავტორი ასკვნის, რომ მიუხედავად მოხმობილი ციტატებისა, აღნიშნული ტრადიციის ქართველთა წინაპართათვის მიკუთვნება არ შეიძლება, ანუ ძველი ივერიელებისა და ქართველების გაიგივებას იგი არ მიიჩნევს სწორად. პროცენკო ამბობს, რომ ივერიელთა და ქართველთა გაიგივებას საქართველოს ისტორიული მესხიერების გავრცობის მსურველნი ახდენენ. თუმცა, მისი აზრით, ეს დაშვება მხოლოდ პირობითი შეიძლება იყოს. ამდენად, მისთვის გრენის მიერ მეგრელთა რიტუალ კაპუნიაში კანიბალიზმის ატაუზიმის დანახვა, მიუღებელია. სტატია მოიცავს ასევე მცირე პასუხს შეკითხვაზე: სად არის ქალაქი პატრასი, სადაც წმინდა მოციქული ანდრია პირველწოდებული მტანჯველი სიკვდილით აღესრულა?

საკვანძო სიტყვები: სამეგრელო, კაპუნია, მსხვერპლთშენიერება, კანიბალიზმი, ივერია, სოფ. კარსანი, სოფ. კოდმანი.

Key words: Samegrelo, Kapunia, sacrifice, cannibalism, Iveria, Karsani, Kodmani.

K, 1888, №86, 87, გვ. 3, 3-სკი, „ფშავთა და ხევსურთა ყოფა-ცხოვრებიდან“: ავტორი ახასიათებს ფშავ-ხევსურებს სხვადასხვა ასპექტში. პირველ რიგში, ის ხაზს უსვამს მათ არაჰიგიენურობას, ამბობს, რომ ფშავ-ხევსურები ერთსა და იმავე ტანსაცმელს ზოგჯერ თვეობით ატარებენ, ასევე ისინი შინაურ ცხოველებთან ერთად ერთ შენობაში ცხოვრობენ. შემდეგ აღწერს, ასევე, აღზრდის წესს: სამოთხე წლამდე ბავშვი დედასთან იზრდება, შემდეგ კი მამას გადაეცემა. ავტორი ხაზს უსვამს ქალების დამცრობილ როლს ფშავ-ხევსურულ პატრიარქალურ ყოფაში და რამდენიმე ჩვეულებას მათთან მიმართებაში ბარბაროსულსაც უწოდებს. ასევე, ხევსურ ქალებზე ამბობს იმასაც, რომ ისინი კაცებივით ეტანებიან არაყსა და თამბაქოს. ავტორი ბავშვის აღზრდაზე კიდევ უფრო დანერვილებით საუბრობს და ხევსურულ აღზრდას სპარტანულს უწოდებს. ავტორი ასევე ჰყვება სტუმარ-მასპინძლობის მნიშვნელობაზე, აღწერს სადღესასწაულო ტრადიციებს. ავტორი აღნიშნავს, რომ ბერძენთა ოლიმპიური თამაშების მსგავსი ასპარეზობა ხევსურებთანაც გვხვდება და ზოგადად აღწერს მათ.

საკვანძო სიტყვები: ეთნოგრაფია, ფშავლები, ხევსურები, ყოფა-ცხოვრება, ჩვეულებები.

Key words: ethnography, Pshavians, Khevsurians, lifestyle, customs.

K, 1888, №107, გვ. 2, ე. ტ. ა., „ვნების კვირა ქართველებსა და სომხებთან“: ამ სტატიაში ავტორი საუბრობს იმ წეს-ჩვეულებებზე, რომელთაც ქართველები და სომხები ასრულებენ ვნების კვირაში. აქ აღწერილია, რა უნდა გაკეთდეს ორშაბათს, რათა უხვი მოსავალი იყოს; ასევე, რა უნდა გააკეთონ ქალებმა

სამშაბათს, რათა საქონლის მენველობა შეინარჩუნონ. ვნების კვირის ოთხშაბათს ქართველებიც და სომხებიც ატარებენ „ჭიაკოკონას“ (სომხ. ჩ/ჭ/რაგალუიც) კუდიანების დასაფრთხობად. ასევე მოთხრობილია დიდ ოთხშაბათთან დაკავშირებული სხვა ცრურწმენები, აღწერილია „ჭონას“ რიტუალი. დიდ ხუთშაბათს ეკლესიაში სრულდება ფეხის განბანვის რიტუალი, ამ დღეს ქალები არ იღებენ ხელში ნემსს, რათა ქრისტეს წამების თანამონაწილენი არ გახდნენ. ასევე აღწერილია წითელ პარასკევსა (სომხ. იუდას პარასკევს უტი-ურობატ) და დიდ შაბათს შესასრულებელი წეს-ჩვეულებები. აქვე მოთხრობილია ამ დღეებთან დაკავშირებული ცრურწმენები.

საკვანძო სიტყვები: ვნების კვირა, აღდგომა, ქართველები, სომხები, წეს-ჩვეულებები, ცრურწმენები.

Key words: Maundy-week, Easter, Georgians, Armenians, customs, beliefs, superstitions.

K, 1888, №112, გვ. 2, ე. ტ. ა., „წმინდა აღდგომის კვირა ქართველებსა და სომხებთან თბილისში“: აღდგომის კვირაში თბილისში სხვადასხვა სატაძრო დღესასწაულები აღინიშნება, ასევე სრულდება სხვადასხვა ჩვეულება და თავშესაქცევი რამ. ეს დღესასწაულებია: სომხური ეკლესიისა ნოვამენის, ქართული ეკლესიისა უძოს წმ. გიორგის სახელობის ტაძრისა. წმინდა კვირის სამშაბათს აღინიშნება სომხური ჭივრაშენისა და ქართული სამების ტაძრების დღესასწაულები, აღდგომიდან პირველ კვირას კი კვირაქხოვლობა. უძოსა და კვირაქხოვლობის დღესასწაულები სხვა დღესასწაულებისაგან განსხვავდება. ავტორი აღწერს უძოს წმ. გიორგის ტაძრის დღესასწაულის აღნიშვნის ჩვეულებებს. კვირაქხოვლობა აღინიშნება თომას კვირაში კვირა დღეს მახათას მთაზე. ავტორი ეხება ასევე კიდევ ერთ დღესასწაულს ჯოჯობას, რომელიც ხვლიკებისადმია მიძღვნილი; ასევე, აღწერს ნუშის დღესასწაულსა და მაისობას, რომელიც 1-ლ ან 7 მაისს აღინიშნებოდა.

საკვანძო სიტყვები: დღესასწაულები თბილისში, სატაძრო დღესასწაულები, უძოს წმ. გიორგი, კვირაქხოვლობა, ჯოჯობა, მაისობა.

Key words: holidays in Tbilisi, temple holidays, St. George of Udzo, Kviratskhovloba, Jojooba, Maisoba.

K, 1888, №264, გვ. 3, ივერი- შვილი, „რა იყო ცეცხლთაყვანისმცემლობა საქართველოში?“: სანამ ავტორი უშუალოდ ამ საკითხს შეეხებოდეს, იგი საუბრობს ზოგადად ცეცხლთაყვანისმცემლობის, ცეცხლის რელიგიის შინაარსზე: მის მთავარ მოძღვარზე – ზოროასტრაზე, ავესტას წიგნზე, ღმერთებზე: ორმუზსა და არიმანზე და სხვ. შემდეგ კი მას ადარებს ცეცხლთაყვანისმცემლობის ქართული ვატიანტის – არმაზის, იმავე ორმუზდის, თაყვანისცემას, წარმოდგენილს გაცითა და გაიმით. ძველი ქართველები თაყვანს სცემდნენ მზეს, მთვარეს,

ვარსკვლავებსა და ქართლოსის საფლავს. ავტორი გამოთქვამს ვარაუდს, რომ არმაზი იყო ქართლოსის, იგივე კოლდის (კალდი/ ქალდი), რეპრეზენტაცია, გაცი და გაიმი კი – ტეიზებისა და არისა. ავტორი გამოთქვამს ეჭვს, რომ აკმაყოფილებდა კი კულტურულად ასეთ განვითარებულ ერს, როგორც იბერიელები იყვნენ ასეთი პრიმიტიული რელიგია მაშინ, როცა გარშემო უფრო განვითარებული რელიგიებიც იყო? სწორედ ამ ფაქტორს უკავშირებს ავტორი საქართველოში ქრისტიანობის შედარებით მარტივ გავრცელებასაც.

საკვანძო სიტყვები: წარმართობა, ცეცხლთაყვანისმცემლობა, ზოროასტრი, არმაზი.

Key words: paganism, religion of fire, Zoroaster, Armaz.

K, 1889, №49, გვ. 3, ე. ტ. ა., „ყეენობა» ადგილობრივებთან თბილისში“: ავტორი სტატიაში საუბრობს სახალხო დღესასწაულზე- ყეენობა, რომელიც დიდმარხვის პირველ ორშაბათს, ანუ ყეენობის ორშაბათს, შავ ორშაბათს ტარდება. ყეენობის ისტორია უკავშირდება 1612 წელს შაჰ-აბასის მიერ საქართველოს აოხრებასა და ქართველთა ფერეიდანში გადასახლებას. დამპყრობლებისგან შეწუხებული ქართველობა მეფე თეიმურაზ I-ის ღრის შაჰის იმდროინდელ წარმომადგენელს – კარჩი-ხანს – აჯანყებია, გამარჯვებულებს ყეენი გაუმურავთ და ვირზე შესმული მთელს თბილისში მოუტარებიათ. ეს სწორედ წმინდა ორშაბათს მომხდარა, 1634 წელს. ამ წესით, თურმე, მიუღებელი ყოფაცხევის ქალებსაც სჯიდნენ. ეს დღესასწაული კი დამკვიდრებულა და ყოველ წელს ეს „ერთგვარი აზიური კარნავალი“ იმართებოდა. შემდეგ ავტორი აღწერს, როგორ ზეიმობდნენ ყეენობას ადრე და მის თანამედროვეობაში.

საკვანძო სიტყვები: ყეენობა, დღესასწაული, სახალხო დღესასწაული, დღესასწაულები თბილისში.

Key words: Keenoba, holiday, folk holiday, holidays in Tbilisi.

K, 1890, №10, გვ. 2, „ზოგიერთ ამიერკავკასიურ ტომთა სიმაღლის შესახებ“: სტატიაში მოყვანილია ექიმ ი. პანტიუხოვის მიერ 1889 წელს ჩატარებული კვლევის შედეგები აღნიშნული საკითხის შესახებ- კავკასიელ ხალხთა ფიზიკური ზომების. შესწავლილია: 30 ქართლელი, 50 ზრდასრული სომეხი და 75 ბავშვი, 30 იმერელი, 92 გურული, 245 მეგრელი, 39 თურქი, 18 ოსი, 28 ებრაელი, 19 სვანი, 8 აფხაზი, 10 ირანელი და სხვა რამდენიმე. მათ მონაცემებზე დაყრდნობით გამოილია სხვადასხვა ფიზიკური მონაცემები: სიმაღლე, თავის ქალას ზომა, მკერდის ღრუს გარშემოწერილობა და სხვ. და გაკეთებულია ზოგადი დასკვნები. კვლევა ჩატარებულია ბავშვებზეც.

საკვანძო სიტყვები: ფიზიკური მონაცემები, კავკასიელი ხალხი, ზომები, სიმაღლე.

Key words: physical characteristics, Caucasian people, measures, height.

K, 1890, №149, გვ. 1-2, ი. პანტიუხოვი, „ჩიყვი სვანეთში“: ავტორი აღნიშნავს, რომ სვანეთში ჩიყვის არსებობის შესახებ ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში წერდა ვახუშტი ბატონიშვილი, ასევე მოგზაური გიულდენშტედლი და სხვები, მაგრამ ზუსტი ცნობები დაავადებულთა რაოდენობის შესახებ არ გვაქვს, რადგან ამ საქმით ექიმები არ დაკავებულანო. ავტორის თქმით, ჩიყვი ძალიან გავრცელებული დაავადებაა სვანეთში და დიდ ყურადღებას იმსახურებს. გავრცელებულობის უდიდეს ხელშემწყობ ფაქტორად ავტორი გარემოს ასახელებს, ამიტომ ერთ-ორ სიტყვას მასზე ამბობს. ავტორი ასევე აღწერს სვანების ცხოვრების წესსა და აღნაგობას. გარკვეული მონაცემების მიხედვით, ავტორი ასკვნის, რომ ჩიყვი და კრეტინიზმი მალლა სვანეთში უფროა გავრცელებული, ასევე, ის უფრო ნაკლებად ემართებათ თაფლისფერთვალეზა და შავთმიან ხალხს, მას ასევე უკავშირებს სხვა ანატომიურ მახასიათებლებს, მაგალითად, თავის ქალის სიფართეს. დასკვნის სახით ავტორი ამბობს, რომ ამ კუთხესთან ფიზიკურად მიუწვდომლობის გამო ჯერაც რთული იქნება უფრო დეტალური მონაცემების მოპოვება, თუმცა აღნიშნავს, რომ ბევრი სამეცნიერო აღმოჩენის გაკეთება შესაძლებელია.

საკვანძო სიტყვები: ჩიყვი, კრეტინიზმი, დაავადება, სვანეთი.

Key words: goitre, cretinism, disease, Svaneti.

K, 1913, № 36, 38, 39, 50, 55, 58, 66, 67, 74, 89, 105, გვ. 3, ვ. პ. ვრადიი, „ჭოროხს გაღმა მხარე“: ავტორი სტატიათა ციკლში აღწერს ბათუმიდან ჭოროხს გაღმა მხარეში ფეხით მოგზაურობის ამბებს. მისი თქმით, მისი მიზანია აღნიშნული რაიონის ზოგად მახასიათებლებსა და ბუნებაზე დაკვირვება. ეს მხარე, როგორც ავტორი აღნიშნავს, არ არის გამოკვლეული. ადგილობრივის თქმით, ყველაზე მნიშვნელოვანი ჭოროხზე ხიდის აშენება იყო. 50-ე ნომერში აღწერილია ლაზების მიერ შევარდენის მოთვინიერების მეთოდი. ავტორი აღწერს ადგილობრივი გენერლის სახლსა და სარფის სოფლის სამმართველოში ვიზიტს. აქაც და ბათუმშიც გავრცელებული მეურნეობა თხების მოშენებაა. ავტორის შეფასებით სარფი საუკეთესო ადგილია ამ შემოგარენში და ის იმედოვნებს, რომ ეს მალე დატასდება. ამ სტატიებში წარმოდგენილია ასევე დიალოგები ადგილობრივ ლაზებსა და თურქებთან. სარფის რაიონში 600 კომლი და 2000 ადამიანი ცხოვრობს. მოსახლეობა შედგება ლაზების, თურქების, ქურთების, იმშილების, რუსებისა და ფერადკანიანთა, ე.წ. ნევრთა რამდენიმე ოჯახისაგან. აქ მოცემულია, ასევე, რუსი წარმომადგენლების კუთვნილი მიწების დეტალური აღწერა, ახსნილია რამდენიმე ტოპოგრაფიული ერთეულის ეტიმოლოგია, აღწერილია ფლორა, ფაუნა და სხვ.

საკვანძო სიტყვები: ბათუმი, მდინარე ჭოროხი, სარფი, ლაზები, თურქები.

Key words: Batumi, rv. Chorokhi, Sarpi, Lazians, Turkish.

K, 1913, №25, გვ. 3, ი. სევალი, „ერნოს ვაკე (საგზაო ჩანაწერებიდან)“: ავტორი აღწერს ერნოს ვაკის მდებარეობას. ერნოს ვაკე დასახლებულია ხევსურებით, თუშებით, ფშავლებით და სხვა ქართველი ხალხებით. ადრე ერნოს ვაკე კერძო მფლობელობაში ყოფილა, მეტნილად, ეკლესიისა. 60-იან წლებში ერნოს ვაკე საძოვრებს წარმოადგენდა, შემდგომ კი იჯარაში აღება და ხიზნებად ჩამოსახლება დაიწყო თუშებმა, ფშავლებმა და ხევსურებმა. აღწერილია ხიზანთა მდგომარეობა და ცხოვრების წესი. უფრო დეტალურადაა საუბარი ფშავლებზე, რომლებიც აქ ყველაზე მეტნი არიან, და ხევსურებზე. ფშავლებს ავტორი ყველაზე გულკეთილ ხალხს უწოდებს, ხევსურებს კი – ყველაზე იღუმალს. აქ არის მათი გარეგნობის, ცხოვრების წესის, რელიგიის აღწერა; ნაჩვენებია ქალების მდგომარეობა, ხევსურებში ქალის მშობიარობის ჩვეულება. ხევსურების რწმენა წარმოადგენს ბიბლიის, ქრისტიანობის, მუსულმანობისა და წარმართობის ნაზავს. მათ წარმართულ ჩვეულებათა შორისაა მსხვერპლთშენიერებები, ხეების თაყვანისცემა. ქრისტიანულ დღესასწაულებზე ისინი სტუმრობენ როგორც ეკლესიას, ასევე სამსხვერპლოს. მთავარი წმინდანები წმიდა გიორგი და თამარ მეფე არიან. ჩამოსახლებამ მათი ტრადიციული ტანსაცმელი ჩვეულებრივი და სამხედრო ტანსაცმლით ჩაანაცვლა.

საკვანძო სიტყვები: ერნოს ვაკე, ფშავლები, ხევსურები, ხიზნები, წეს-ჩვეულებები, ტოლათსოფელი.

Key words: Ertso flat, Pshavians, Khevsurians, squatters, customs, Tolatsofeli.

KC, 1873, № 3, გვ. 67-80, რ. ერისთავი, „სამოგზაურო ჩანაწერები სამეგრელოში“: ავტორი სამოგზაურო ჩანაწერებს რამდენიმე მონაკვეთად ჰყოფს – ანაკლიიდან ზუგდიდამდე, ზუგდიდიდან კვაშიხორამდე, კვაშიხორიდან მარტვილამდე, მარტვილიდან ხონამდე. ანაკლიაში ყორღანის გათხრისას ავტორს აოცებს ქრისტიანობამდე და ქრისტიანულ ნივთთა ნარევი. აქ, მდინარე ენგურთან თურქულ ციხესიმაგრესთან დღესაც შემორჩენენ თურქები. ავტორი აღნიშნავს, რომ დადიანების სასახლეს იმპერიაში ყველაზე მდიდარი ბაღი ჰქონდა, აქვე იმართებოდა 400-კაციანი ნადიმები. ჩამოთვლილია კერძები, რომლებიც აქ იყო სერვირებული. ავტორი საუბრობს ასევე ზუგდიდის ბლახერნის ღვთისმშობლის ტაძარზე და ზუგდიდის სხვა ღირსშესანიშნაობებზე. ხობის მონასტერი რამდენიმე სინმინდეს ინახავს. აღწერილია ხობის სატაძრო დღესასწაულის (15 აგვისტო) ტრადიციები. აქ შესრულებული ცეკვები ორი სახისაა: წყვილში და ჯგუფურად. ავტორი ამბობს, რომ მდინარე ტეხურასთან, ციხეგოჯის ნანგრევებთან იყო სწორედ ანტიკური კოლხეთის დედაქალაქი. სტატია საინტერესო მასალას წარმოადგენს სამეგრელოში ხუროთმოძღვრული ძეგლების შესახებ. მარტვილის მონასტრიდან ულამაზესი ხედი იშლება: წინ გადაჭიმულია ლეჩხუმის მთები – ასხი და ტაბაკელა, რომლებზეც ადგილობრივ-

თა თქმით, მიძინების საღამოს იკრიბებიან მაზაკვალები – ჯადოქრები. სამეგრელოსთან განშორებისას ავტორი ემშვიდობება ძველ კოლხეთსა და ჭკვიან მეგრელ ხალხს.

საკვანძო სიტყვები: სამეგრელო, მოგზაურობა, ტაძრები სამეგრელოში, ხობის სატაძრო დღესასწაული, ტაბაკელა, მაზაკვალი.

Key words: Samegrelo, journey, monasteries in Samegrelo, Khobi monastery holiday, Tabakela, Mazakvali.

CMOMIK, № 7, განყ. I, გვ. 164- 217, ვ. ივანოვი, „ქალაქი ახალციხე“: აღნიშნულ ვრცელ სტატიაში აღწერილი და შესწავლილია ქალაქ ახალციხის ბევრი სხვადასხვა ასპექტი: გეოგრაფიული მდებარეობა, საზღვრები, წყალმომარაგება, კლიმატი, ნიადაგის აგებულება, მინერალური სიმდიდრეები, სანიტარული პირობები და სასმელი წყალი, მებაღეობა, მევენახეობა, მარცვლეულის მეურნეობა, მეფრინველეობა, მეთევზეობა, ვაჭრობა, მრეწველობა. აქვეა დეტალური აღწერა ქალაქის შემოსავლებისა 1886 წელს, ინფრასტრუქტურის მიმოხილვა, მოსახლეობის აღწერა სხვადასხვა მახასიათებლების მიხედვით: ეროვნების, აღმსარებლობის, ასაკის მიხედვით და სხვ. აქვე არის ნარკვევი სახალხო საგანმანათლებლო დაწესებულებებზე. სტატიას თან ახლავს მრავალი ტაბულა, რომლებიც შემოაღნიშნულ ინფორმაციის დეტალურ აღწერებს შეიცავს. მაგალითად, აქ არის ტემპერატურისა და ტენიანობის წლიური მონაცემები, ასევე მაღაზიების რაოდენობის აღწერა მათი ტიპების მიხედვით: საბაყლო, გასტრონომიული, საგალანტერეო და სხვ. ასევე, მაგალითად, დამნაშავეთა კლასიფიკაცია დანაშაულების მიხედვით და სხვ.

საკვანძო სიტყვები: ახალციხე, აღწერა, მოსახლეობის აღწერა, გეოგრაფიული აღწერა.

Key words: Akhaltsikhe, description, demography, geographical description.

CMOMIK, № 10, განყ. I, გვ. 88- 93, გულბიანი, „სვანების რელიგიურ-ეთიკური მდგომარეობის მოკლე მონახაზი“: მიჩნეულია, რომ სვანებმა ყველაზე ადრე მიიღეს ქრისტიანობა, თუმცა ბევრი მახასიათებლის მიხედვით მათი მიჩნევა მართლმადიდებელ ქრისტიანებად შეუძლებელია: გარდა მამა ღმერთისა, ისინი უშვებენ სხვადასხვა ღმერთების არსებობას, მსხვერპლს სწირავენ ადგილის ღვთაებებს და სხვ. განსაკუთრებით თაყვანს სცემენ წმინდა გიორგისა და ილია წინასწარმეტყველს, სჯერათ ანგელოზების და ხანდახან წმინდანებს ღმერთზე მეტ ძალას მიანერგენ. მათ სწამთ იმქვეყნად ხორციელი არსებობა. ნათლისღების კვირა მიცვალებულთა მოსახსენიებელია. სვანები მარხვას ხშირად არღვევენ. ახსნილია, თუ რატომ ეთაყვანებიან მზესა და ცეცხლს. ძველი ეგვიპტელებივით სვანებიც ხარსა და კატას წმინდა ცხოველებად მიიჩნევენ. თუმცა, ხანგრძლივი წვიმების შესაწყვეტად კატას წირავენ მსხვერპლად. ტაძრების მდგომარეობა

სავალალოა. აღდგომას, ნათლისღებასა და თომას კვირაში ყველაზე მეტი მლოცველია ეკლესიებში. მოსახლეობამ არ იცის ლოცვები, რაც წერა-კითხვის უცოდინრობასა და სკოლების არარსებობას უკავშირდება. ასევე, განსაკუთრებით აღნიშვნადი დღესასწაულებია შობა და ბარბარობა. აღსარების გარეშე სიკვდილს სვანები დიდ უბედურებად მიიჩნევენ.

საკვანძო სიტყვები: სვანები, ქრისტიანობა, წეს-ჩვეულებები, რიტუალი, კატა, დღესასწაულები.

Key words: Svanetians, Christianity, customs, ritual, cat, holidays.

CMOMPK, №13, განყ. I, გვ. 3-13, „ქალაქ სამშვილდის სიძველეები“: სტატია მოგვითხრობს ექვს უძველეს ძეგლზე სამშვილდეში, მათ შორისაა ქალაქის ციხესიმაგრის ნანგრევები, ღვთისმშობლის მიძინების სომხური ტაძარი, სიონის ნანგრევები, ქვის ბოძი, ცხენის ფორმის საფლავის ქვა და სხვ. სტატია იწყება სამშვილდის დაარსების ლეგენდით, რომელიც წარმოდგენილია „ქართლის ცხოვრებაში“. სამშვილდეში ქრისტიანული ძეგლები პირველად 1852 წ. მოკლედ აღუწერიათ. მოცემულია სამშვილდის გეოგრაფიული აღწერილობაც. სამშვილდე მდიდარია კვარცის ტრაქიტით, ადგილობრივების რწმენით, ეს კრისტალები ხალხის დასასჯელად ღვთისგან გამოგზავნილი სეტყვა იყო. თვითონ სამშვილდის ეტიმოლოგიას ზოგი „სამ მშვილდს“, ზოგიც კი „სამ შვილს“ უკავშირებს. ღვთისმშობლის მიძინების ტაძარში არის წმინდა ქვა, რომლის თაყვანის საცემადაც თბილისელი სომხებიც ჩადიან 15 აგვისტოს, მარიამობაზე. ეთნოგრაფიული კუთხით განსაკუთრებით საყურადღებოა ამავე ტაძრის სასაფლაოს საფლავის ქვა, რომელსაც ცხენის ფორმა აქვს. ქვაზე გამოსახულია ადამიანის ფიგურა და სხვადასხვა საყოფაცხოვრებო თუ საბრძოლო ნივთი. ასევე, ამ ტაძართან ახლოს, მდინარე ხრამის ხეობაში, განთავსებულია ერთმანეთზე დალაგებული ოთხი ქვა, რომელთა სიმალლე დაახლოებით სამი მეტრია. გადმოცემის მიხედვით, ეს ქვები მსხვერპლთშენიერვის ადგილი იყო, რომელიც სამშვილდის პირველმოსახლეებს გაუკეთებიათ.

საკვანძო სიტყვები: ქვემო ქართლი, სამშვილდე, ტაძრები, ძეგლები.

Key words: Kvemo Kartli, Samshvilde, churches, monuments.

БГК, 1886, ნან. I, გვ. 1-28, ანტ. ფურცელაძე, „ქართველთა ცრურწმენები“: სტატიაში ავტორი აკრიტიკებს და ირონიზირებს ილია ჭავჭავაძის იმ აზრზე, რომ ხალხში არსებული ცრურწმენები ხალხის გენიის პროდუქტია. სტატიაში ავტორი ჰყვება ვინმე კურდღელაშვილის, ხეითის ეკლესიის წინამძღვრის თაღლითურ ოინებზე მრევლის გასაბრიყვებლად, ძალაუფლებისა და შესაწირავის მოსახვეჭად. შემდეგ საუბრობს ზოგად ხალხურ სამკლოვიარო ჩვეულებებზე, რომლებიც, მისი აზრით, დამაქცეველია ხალხისთვის: ქელები, თხუთმეტი, ორმოცი, წლის წირვა. საუბარია ასევე ბევრ სხვადასხვა ცრურწმენაზე: ციურ სხეულებსა და

მოვლენებზე. ამასთან დაკავშირებით მოხმობილია ნაწყვეტი პიესიდან „მზის დაბნელება“ ანტონოვისა; ასევე – მოარულ ხმებზე წარღვნასთან დაკავშირებით, სხვადასხვა წარმოსახვით არსებებზე: ალი, მაჭლაჭუნა, კუდიანი, ჭინკა. მოთხრობილია ეშმაკთა განდევნის რიტუალურ ჭიაკოკოკონაზე ლოცვით „ალილუია ეშმაკებსა“. ცრურწმენები კუდიანებზე განსაკუთრებით იმერეთში ყოფილა გავრცელებული. „ეშმაკის საბუდარი“ ისეთი ადგილი ყოფილა, სადაც ადამიანს ამოუცნობი ძალა იპყრობს, ამასთან დაკავშირებითაც მოთხრობილია ერთი ამბავი. საუბარია ასევე „ფუზესა“ და „ავ ქარებზე“. ქართველებს სწამთ, რომ ზოგიერთი ავადმყოფობა ანგელოზია. აღწერილია, თუ როგორ იქცევიან ბატონების დროს. აქვე რუსულ ენაზე წერია გვალვის დროს აღსასრულებელი ლაზარეს ლოცვა. ასევე აღწერილია მეურნეობასთან და შინაური ფრინველის მომრავლებასთან დაკავშირებული რიტუალები. საუბარია ასევე „ავ თვალზე“. ავტორი ამ ყველაფერს აბლაუბდას, ბოდვას უწოდებს და სტატიას ასრულებს ირონიული ტონით: რას იტყოდა ილია თავის ჟურნალში სტატიაში მოხმობილ ფაქტებზე?

საკვანძო სიტყვები: ცრურწმენები, რწმენა-წარმოდგენები, ილია ჭავჭავაძე.

Key words: superstitions, beliefs, Ilia Chavchavadze.

ՅՕ, 1989, №2, გვ. 40-62, ა. ხახანოვი, „თუშები“: სტატიაში არის თუშეთის ზოგადი აღწერა, საუბარია ტომის ეთნიკურ შემადგენლობაზე, მათ ყოფაზე, რელიგიაზე, ქალის როლზე, სხვადასხვა ტრადიციულ წესსა და პოეზიაზე. ავტორი საუბრობს ხევისბერის ინსტიტუტზე, ასევე – სოციალურ-რელიგიურ სტატუსებზე, როგორებიცაა: ხევისბერი, მნათე, დეკანოზი, ხუცესი. აღწერილია ლაშარობის დღესასწაულის წარმოშობა და ტრადიცია. მოთხრობილია ასევე დაკრძალვის სხვადასხვა წეს-ჩვეულება. ავტორი ასევე საუბრობს თუშ ქალებზე, მათ ხასიათსა და ადგილზე საზოგადოებაში. ასევე აღწერილია ზოგიერთი თუშური სამართლებრივი ნორმა. სტატიაში ჩართულია ლეგენდა ქრისტესა და იოანე ნათლისმცემელზე. ვრცლადაა საუბარი, ასევე, თუშურ პოეზიაზე. მოხმობილია რუსულ ენაზე თარგმნილი პოეზიის რამდენიმე ნიმუში.

საკვანძო სიტყვები: თუშები, წეს-ჩვეულებები, თუში ქალები, ლეგენდა, პოზია.

Key words: The Tushians, customs, Tushian women, poetry.

ՅՕ, 1890, №3, გვ. 21- 61, ლ. ვ. მალინინი, „საქორწინო გადასახადებისა და მზითვის შესახებ კავკასიელ მთიელებთან“: ავტორი აღნიშნავს, რომ სხვადასხვა ხალხთა ჩვეულებების შესწავლა სხვათა წესების ახსნას ემსახურება. თუკი ადრეულ საზოგადოებებში ძალადობრივი ქორწინება ჩვეული მოვლენა იყო, მთიელებთან ქალის მოტაცების სირცხვილს მხოლოდ სისხლისმიერი შურისძიება თუ ჩამორეცხდა; რასაც მთელი ტომებიც კი ეწირებოდნენ. შემდგომ ეს შეიარაღებული დაპირისპირება გარკვეულმა მატერიალურმა ანაზღაურებამ

ჩაანაცვლა. ასევე, ავტორი დეტალურად საუბრობს საპატარძლოს „გაყიდვის“ ტრადიციაზე სხვადასხვა კავკასიელ ხალხში – ჩერქეზებთან, ინგუშებთან, ინგილოებთან, ნოღაელებთან, ყაბარდოელებთან, ჩეჩნებთან და სხვ. დეტალურად ჩამოთვლილია, თუ რამდენი იყო გადასახადი თითოეულ ხალხთან. აქვეა საუბარი: სვანების, ხევსურების, თუშებისა და ფშავლების ქალის „შესყიდვის“ წესებზე. ახსნილია ტერმინი „საოსტატო“, რომელიც პატარძლის მამისთვის გადასახადია. აქვე შევხვდებით აფხაზთა და ოსთა ზოგიერთ ჩვეულებას. შემდგომ ამისა საუბარია ქალის მოტაცებისათვის დაწესებულ ჯარიმებზე. დასასრულს საუბარია მზითვის ტრადიციაზე. ქართველებთან მზითვის თან ახლავს აღწერა – „სია“. დასკვნის სახით, მთიელი ქალის ცხოვრება ძალზედ მძიმეა და შეფასებული: მას არც ქმრის ქონების მოხმარების უფლება აქვს და არც – მშობლებისგან გამოტანებისა. სტატიაში ჩართულია სხვადასხვა მკვლევართა მოსაზრებები, როგორცაა ფიუსტელ დე კულანჟი, გრაბოვსკი, ლვოვი და სხვ. სტატია ძალიან საყურადღებოა აღნიშნულ საკითხზე ეთნოგრაფიულ-ფოლკლორული მასალის სიმდიდრით.

საკვანძო სიტყვები: ქორწინება კავკასიელებთან, საპატარძლოს საფასური, მზითვი, მოტაცება.

Key words: marriage with Caucasians, price for Bride, marriage portion, kidnapping.

ՅՕ, 1891, №3, გვ. 1-39, ა. ხახანოვი (ხახანაშვილი), „მესხები (ეთნოგრაფიული მონახაზი)“: სტატია ძალიან საყურადღებოა ეთნოგრაფიულ-ფოლკლორული კუთხით. ის მდიდარია მესხეთის მოსახლეობის რწმენა-წარმოდგენების, წეს-ჩვეულებებისა და პოეზიის წარმოჩენის მხრივ. აქ აღწერილია ზოგიერთი რელიგიური ჩვეულება. მოთხრობილია რწმენა-წარმოდგენები იმქვეყნიურ ცხოვრებაზე, ცურწმენა თმოვან წარმონაქმებზე, საახალწლო წეს-ჩვეულებები, წმ. ელიასა და წმ. გიორგის კულტი, გრძელ არსებებზე – ჭაბუკი, ალი, როპაპი, და სხვ. ეთნოლოგიური თვალსაზრისით აქ აღწერილია მოსახლეობა, რელიგიური ფონი, ოჯახის მოწყობის წესები, სამინათმოდმელო ჩვეულებები. მოყვანილია თქმულება ნოესა და იობზე, ასევე პოეზიის რამდენიმე ნიმუში.

საკვანძო სიტყვები: მესხები, ფოლკლორი, ეთნოგრაფია, თქმულება, პოეზია.

Key words: Meskhians, folklore, ethnography, poetry.

ՅՕ, 1902, №3, გვ. 137-141, ა. ხახანოვი (ხახანაშვილი), „ქრისტეს მსახურები «პაპი» და ქრისტიანული წეს-ჩვეულებები სვანეთში (ხალხური ყოფის ნაშთები)“: ავტორი აღნიშნავს ქრისტიანობის თავისებურ განვითარებას სვანეთში. თუკი თავიდან ადგილობრივი სასულიერო პირები – პაპები და დეკანოზები – ცაგერისა და ცაიშის ეპისკოპოსებს ემორჩილებოდნენ, შემდგომ უკვე ისინი თვითნებურადაც ახდენდნენ დიაკვანთა ხელდასხმასაც კი. შემდგომ ავტორი დეტალურად აღწერს პაპების გარეგნობას და აღნიშნავს, რომ ისინი ჩვეულებრივი სვანებისგან თითქმის

არ განირჩეოდნენ. მიუხედავად იმისა, რომ პაპების რიცხვი რუსეთის გავლენასთან ერთად მცირდებოდა, მათ განსაკუთრებულ პატივს სცემდნენ, დანიშნულ სასულიერო პირებს კი ადგილობრივი არ სწყალობდნენ: მათი დამხმარე ადგილობრივი პირი ვინმე მარგიანი, მღვდლის მამა, მოკლეს კიდეც. შემდგომ ამისა ავტორი დეტალურად აღწერს ლიტურგიას, სხვადასხვა მსახურებას მათთვის საჭირო რეგალიებს, რიტუალებს, მოჰყავს წარმოსათქმელი ლოცვები (თუმცა რუსულად). სტატიაში აღწერილია სხვადასხვა მსახურება: ნათლობის, ჯვრისწერის, მირონცხების, დაკრძალვისა და აღდგომისა. ბოლოს ავტორი აკეთებს დასკვნას ქრისტიანობისა და წარმართობის ზოგადი მდგომარეობის შესახებ სვანეთში.

საკვანძო სიტყვები: სვანეთი, პაპი, სასულიერო პირი, ლოცვები, რიტუალები.

Key words: Svaneti, Papi, clergyman, prayers, rituals.

K, 1877, №80, გვ. 1-2, დ. ბაქრაძე, „სვანეთი (ა. ი. სტოიანოვის «მოგზაურობა სვანეთში»)“: სტატია წარმოადგენს კრიტიკა-მიმოხილვას ა. სტოიანოვის ეთნოლოგიური ნაშრომისა „მოგზაურობა სვანეთში“. ავტორის აზრით, ნაშრომის ნაწილი სვანური ენის შესახებ არასისტემური ხასიათისაა. მას მოჰყავს თვითონ სტოიანოვის სიტყვები, რომ ეს ნაშრომი უფრო მოყვარულებისთვისაა განკუთვნილი, ვიდრე ფილოლოგებისთვის. აღნიშნული წიგნი შეიცავს, ასევე, ქვეთავს „სვანური სიმღერები და ლეგენდები“. სტატიის ბოლოს ვიგებთ ასევე ერთი ძველი ხელნაწერის არსებობის შესახებ სოფელ ლანტელის კოშკიდან, რომელიც, ავტორის აზრით, წარმოადგენს ალაჰს, სადაც ჩამოთვლილია სვანური გვარები.

საკვანძო სიტყვები: სვანეთი, სვანური ენა, მოგზაურობა, ეთნოგრაფია.

Key words: Svaneti, Svanetian language, journey, ethnography.

K, 1878, №229, 230, „ქართული ხალხური დღესასწაულები (საკუთარი დაკვირვებებისა და ხალხური გადმოცემების მიხედვით)“: ავტორი ამბობს, რომ ქართველი ხალხი ძალზედ მიჯაჭვულია სატაძრო დღესასწაულებზე. დასაწყისში ავტორი აკეთებს სატაძრო დღესასწაულების ზოგად რიტუალურ და სანესჩვეულებო აღწერას. შემდეგ წმინდა მუხის თაყვანისცემის თემატიკაზე, ვხვდებით სვეტიცხოვლის ლეგენდის ორ ვარიანტს. ავტორი ამბობს, რომ თქმულებები მუხის თაყვანისცემაზე სამეგრელოშიცაა გავრცელებული, რაზეც მიუთითებს ტოპონიმი ჭყონდიდი. სვანეთში წმინდა მუხასთან დაკავშირებული ადგილია წმინდა კვირიკეს მონასტერი. ნახსენებია აწყურის თეთრი გიორგის დღესასწაული. ასევე ნაგარაუდევია ნაყოფიერებისა და მოსავლის წარმართული ღვთაების – მენა, მაიას – კულტის გარდაქმნა წმინდა მარიამის კულტად (მაიობა-მარიობა). მოყვანილია, ასევე, საინტერესო დაკვირვება ლაზური სოფლის – ათინას – სახელზე და მის კავშირზე „ათინა თინა“, „ადილა დილა“ – დილის სიმღერებთან.

მოთხრობილია სოფელ ილორის გიორგობის სასწაული. სტატიის ბოლოს დეტალურადაა გადმოცემული ანეკდოტში თეთრი გიორგის დღესასწაულის აღნიშვნა.

საკვანძო სიტყვები: ხალხური დღესასწაულები, სატაძრო დღესასწაულები, წმინდა მუხა, თეთრი გიორგი.

Key words: folk holidays, temple holidays, sacred oak, White George.

K, 1884, №84, 88, გვ. 2, 1, „ქართველ გლეხთა წეს-ჩვეულებები მიწის დამუშავებისას (წერილი ივრის მაზრიდან)“: სტატიაში აღწერილია გუთნის ფლობისა და მისი კოლექტიური მოხმარების წესები. ავტორი გუთნის ერთობის მოწყობის წესებსა და მისი წევრების უფლება-მოვალეობებზე საუბრობს. სტატიაში მოყვანილია ხალხური სიმღერა გუთნის „ღამით გამტარებლების“ მძიმე შრომის შესახებ: „ღმერთმა ხომ იცის, გუთანო, შენი მიყოლა ძნელია, // ღღისით გივრიხო წნელები, ღამით გავტეხო ბნელია!“ აქვე დეტალურადაა მოთხრობილი „ალოს“, ანუ შრომიდან წილის განაწილების წესები. ავტორი წერს ახალი ევროპული გუთნების გამოჩენაზე, რასაც დიდი პროტესტი მოჰყოლია მხენელთა მხრიდან, რადგანაც ახალი სახნისის მართვა ყველას შეუძლია, მხენელები კი ამ ფონზე თავიანთ როლს კარგავენ. ბოლოს ავტორი ასევე ჰყვება „საღმერთო გუთნის“ გაყიდვისა და „სალოცავი/ საღმერთო სადილის“ გამართვის ტრადიციებზე.

საკვანძო სიტყვები: მიწათმოქმედება, გუთანი, ალო, სამღვთო.

Key words: agriculture, plough, Alo, Holy.

K, 1884, №129, გვ. 1-2, *** (რელიგიური წეს-ჩვეულებები ხევსურეთში): ქრონიკის რუბრიკის ეს უსათაურო სტატია ეხება ხევსურეთში გავრცელებულ წარმართულ წეს-ჩვეულებებს. აღწერილია დეკანოზთა სალოცავზე მისვლის რიტუალი, რომელიც წელიწადში ერთხელ, ივლისში ხდება. საყდრის მოლოცვაზე სოფელში ორი დეკანოზი მიდის, რომლებიც ასრულებენ სხვადასხვა წარმართულ ჩვეულებებს მსხვერპლთშენიერვას, და წარმართულ ლოცვებს: „დიდება უფალს, დიდება მზეს, დიდება მთვარეს, დიდება ვარსკვლავებს!“ ავტორი აღწერს, რომ მსგავს შემთხვევას 1883 წლის 17 ივლისს შეესწრო თუშეთში ჩასული დეკანოზი მრელოვი. მან ასეთ წარმართულ ჩვეულებათა მიმდევარ დეკანოზ ხიზანაურს ჩამოართვა რეგალიები და ასევე ხელწერილი დაანერინა, რომ აღარ აღასრულებდა მსახურებას. ეს რომ თიანეთის მაზრის ხელმძღვანელ ჯანდიერს გაუგია, გამოუთქვამს ეჭვი მრელოვის საქციელის კანონიერებაზე და ეგზარქოსისთვის ცნობა მიუწერია. გამოძიების განაჩენი ამ საქმეზე სტატიის დაწერის დროისთვის ჯერ კიდევ უცნობი იყო.

საკვანძო სიტყვები: ხევსურეთი, თუშეთი, ფშავი, რიტუალი, წეს-ჩვეულებები, წარმართობა.

Key words: Khevsureti, Tusheti, Pshavi, ritual, customs, paganism.

K, 1887, №79, 81, გვ. 3, ე. ტ. ა., „ციური მნათობები, ატმოსფერული მოვლენები და ამინდის ნიშნები სომეხთა და ქართველთა რწმენით“: ავტორი ამბობს, რომ ქრისტიანობამდე მზე და მთვარე ღვთებებებად, ხოლო ატმოსფერული მოვლენები მათი ძალების გამოვლინებად მიიჩნეოდა. მას მოჰყავს რამდენიმე სომხური გამოთქმა, რომლებშიც მზის კულტის ნიშნებია. ასახელებს ასევე ქალის ქართულ და სომხურ საკუთარ სახელებს, რომლებიც, ასევე, მზისა და სხვა მნათობების კულტთანაა კავშირში. შემდეგ მოჰყავს რამდენიმე ხალხური ცრურწმენა ამინდის ამოცნობასთან დაკავშირებით, ასევე – მიწისძვრასა და სამყაროს მოწყობასთან დაკავშირებით. აქ, ასევე, საუბარია, თუ რას ნიშნავს ხალხური წარმოდგენებით მეხი, გრგვინვა, ცისარტყელა, ქარი და სხვ. სტატია სრულდება თვეების მიხედვით დალაგებული ანდაზებით, რომლებშიც ასახულია ხალხური წამოდგენები ამათუიმ ამინდის მომასწავებელ ნიშნებთან დაკავშირებით.

საკვანძო სიტყვები: მნათობები, ამინდი, წრმენა-წარმოდგენები, ქართული, სომხური.

Key words: celestial objects, weather, beliefs, Georgian, Armenian.

K, 1888, №103, გვ. 2-3, ე. ტ. ა., „ბზობის კვირა დღე სომხებსა და ქართველებთან“: სტატიაში საუბარია, თუ როგორ ზემოებენ ბზობას (სომხ. ცახკაზარდს) ქართველები და სომხები. ამ დღესასწაულზე ტაძრებში დილიდანვე ხალხმრავლობაა, რისთვისაც ქალები და გოგონები განსაკუთრებულად ემზადებიან, იკერავენ კაბებს და სხვ. ავტორი აღწერს ღვთისმსახურებას, რას აკეთებენ ამ დროს ყმანვილქალები, ყმანვილები. სომხური ცრურწმენის მიხედვით, ვისაც ყვავილგაშლილი ბზა შეხვდება, მას ხორბლის უხვი მოსავალი ექნება. ასევე ავტორი ჰყვება ბზისა და ბზობის სანთლების შენახვისა და მოხმარების წესებს წლის განმავლობაში. აქვე აღწერილია ახალგათხოვილისა და მისი ოჯახის მიერ შესასრულებელი წესები ბზობაზე. ასევე, ავტორი აღწერს უშვილობის საწინააღმდეგო სომხურ რიტუალს. ავტორი აღნიშნავს, რომ სომხებსა და ქართველებს ბზობასთან დაკავშირებით ბევრი სიმღერა და გამონათქვამი აქვთ, რომელთაგანაც მოჰყავს ერთი ცნობილი სიმღერის ტექსტი და რამდენიმე სომხური გამონათქვამი.

საკვანძო სიტყვები: ბზობის კვირა, ქართველები, სომხები, წეს-ჩვეულებები.

Key words: Palm Sunday, Georgians, Armenians, customs.

K, 1912, №276, გვ. 4, კონსტ. ყიფიანი, „ძველი წიგნიდან ქართველების შესახებ“: ავტორი გვანჯდის ცნობას 1802 წელს დაბეჭდილ რუსულ ბროშურაზე: „ისტორიული ასახვა საქართველოს პოლიტიკური, საეკლესიო და სასწავლო მდგომარეობისა“. კერძოდ კი, ავტორი საუბრობს ქართულ თამაშებზე, რომელიც ამ კრებულშია შესული. მრავალგვარი თამაშების გვერდით არსებობს სიტყვებით

თამაში, ე.წ. „ზმა“, კალამბური. შეიძლება, ამიტომაც არის საქართველოში ბევრი პოეტი, რადგან ბავშვობიდან ამ თამაშს ასწავლიანო; ასევე – ანბანით თამაში და სხვადასხვა სახელების დასამახსოვრებელი თამაში. ავტორი აღწერს ამ თამაშების წესებს. აქვე მოთხრობილია ლეგენდა ორ ბრძენზე, რომლებიც ცდილობდნენ გაერკვიათ, თუ როგორ სჯობს იცხოვროს ადამიანმა: სიმართლითა თუ სიცრუით. ბრძენები ახალგაზრდას, შუახნის ადამიანსა და მოხუცს გამოჰკითხავენ. გაირკვევა, რომ სიცრუე გაიმარჯვებს, რის გამოც ერთ ბრძენს, რომელიც სიმართლის მხარეს იყო, თვალებს დასთხრიან და ზღვაში გადააგდებენ. ის შემთხვევით ეშმაკისა და ჭინკების შეკრებაზე ხვდება, სადაც მრავალ საიდუმლოს შეიტყობს. ლეგენდა მთავრება იმით, რომ სიცრუის მომხრე ბრძენი ეშმაკის ლუკმა ხდება.

საკვანძო სიტყვები: თამაშები, სიტყვით თამაში, ზმა, ლეგენდა ორ ბრძენზე.

Key words: games, word games, „Zma“, legend of two Wise Men.

ЖМНП, 1877, ნან. 194, განყ. II, გვ. 208-231, აღ. ცაგარელი, „1877 წლის ზაფხულში კავკასიის მხარეში მოგზაურობის შესახებ“: მოგზაურობის მიზანი იყო მასალების შეგროვება მეგრული ენის შესწავლისათვის. ავტორი აღნიშნავს, რომ მეცნიერებმა კავკასიურ ენათა შესწავლით სრულიად ახალი სამყარო აღმოაჩინეს. ავტორს მცირეოდენი მასალა 1876 წელსაც მოუგროვებია. 1877 წელს მას, ძირითადად, უმოგზაურია ე.წ. „სალიპარტიანოში“. იგი აღწერს ზოგად ენობრივ თავისებურებებს, აზუსტებს მისი გავრცელების არეალებს, ყურადღებას ამახვილებს ტოპონიმებზე. მკვლევარს შემდეგი მასალა მოუგროვებია: ზღაპრები, სიმღერები, ანდაზები, გამონათქვამები, სახარებისეული იგავების თარგმანები, ლოცვები. ავტორი აღნიშნავს, რომ ხალხური პოეზია, რომელიც ზღაპრებსა და ლეგენდებს ეყრდნობა, შედარებით ღარიბია და „პოეტური კოლორიტის სიმკრთალით“ ხასიათდება; მაშინ როცა ანდაზები გამოცანები და მსგავსი მცირე უნარები გონებამახვილურია. ავტორს მოჰყავს სამი სიმღერა რუსულ ენაზე, რომელიც მას დაუსათაურებია: 1. „დასახრობად განწირულის ფიქრები“, 2. „ტურა და ადამიანი“, 3. „მეფე და დადიანი“. ავტორი მათ ანალიზებს და განმარტავს აღნიშნულ სიმღერებში მოყვანილ ტერმინებს, ეთნოგრაფიულ თავისებურებებს, პიროვნებებს და სხვ. შემდგომ ამავე მასალაზე დაყრდნობით წარმოდგენილია მეგრული ენის ლინგვისტური ანალიზი. ავტორი ხაზს უსვამს, რომ სამეგრელო ეთნოგრაფიულადაც ძალიან საინტერესოა და ამის წარმოსაჩენად კვირის დღეების მეგრულ დასახელებებს შიფრავს: მაგალითად, „უაშხა“ – მზის დღე, ანუ კვირა. ავტორს მოგზაურობისას ასევე უნახავს ზოგიერთი ხუროთმოძღვრული ძეგლი და ისტორიული დოკუმენტები „გუჯარები“. დასასრულს, ავტორი აღნიშნავს, რომ ამიერკავკასია და სრულიად კავკასია ეთნოლოგიურ, ლინგვისტურ, ისტორიულ-არქეოლოგიურ ჭრილში შესწავლის ამოუწურავ ობიექტს წარმოადგენს.

საკვანძო სიტყვები: სამეგრელო, მოგზაურობა, მეგრული სიმღერა, ლინგვისტიკა, ფოლკლორი, ეთნოლოგია.

Key words: Samegrelo, journey, megrelian song, linguistic, folklore, ethnography.

КС, 1872, №1, გვ. 7-18, „მზის ისტორიული მნიშვნელობის შესახებ სომხებთან“: მცირეაზიაში გავრცელებული მზის კულტის – საბეიზმის – მიმდევარნი სომხებიც ყოფილან. ამაზე ინფორმაციას თვითონ სომხური ენაც ინახავს. ავტორი შენიშნავს, რომ მზის სომხურ კულტში ირანული გავლენების არსებობა უდავოა. სტატიამ ავტორი საუბრობს სომხურ-გრიგორიანული ეკლესიის რამდენიმე ასპექტზე, რომელიც წარმართობიდანაა გადმოსული, თუმცა გამიზნულადაა შერწყმული ქრისტიანობას, მაგალითად, მითრას დღესასწაული, რომელიც ემთხვევა მაცხოვრის ტაძრად მიყვანებას. ავტორი ავლებს პარალელებს ქართულ მოტივებთანაც, მაგალითად, მკვდრის მზე ცნობილია როგორც სომხებთან, ასევე – ქართველებთან. სტატიის ბოლოს მოყვანილია ქართული გამოთქმები მზესთან დაკავშირებით, დალოცვა: მზით გაიხარო, მზის ყურებით გაგაძლოს ღმერთმა, წყევლა: მზე გასაშვევებლო, მზე დაგიბნელდეს, მზე დასაბნელებლო, მზე გაგიქრეს, შენი მზის დაბნელებამ, ფიცი: ჩემმა მზემ. ავტორი გამოთქვამს ვარაუდს, რომ ძველი იბერიელებსაც ჰქონდათ მზის სპარსებისგან დამოუკიდებელი, თუმცა მემოზებელ სომხებთან მსგავსი კულტი.

საკვანძო სიტყვები: მზის კულტი, სომხური, სპარსული, საბეიზმი, ქართული გამოთქმები მზეზე.

Key words: cult of the Sun, Armenian, Persian, Sabeism, Georgian expressions about the Sun.

КС, 1873, №3, გვ. 45-49, №6, გვ. 152-160, „წვერისა და თმის ტარების ჩვეულება სომხებთან (ისტორიული მონახაზი)“: სტატიამ მოყვანილია ისტორიული, რელიგიური, არქეოლოგიური, ეთნოლოგიურ-ფოლკლორული ხასიათის ჩანაწერები სომხეთსა და საქართველოში კაცებისა და ქალების მიერ თმის ტარების ჩვეულებებზე. გრძელი თმა წარმართებისთვის ვაჟკაცობისა და სიძლიერის სიმბოლო იყო. ქრისტიანობამ კი ამის საპირისპიროდ თმის შეჭრა დაანება, რაც ქრისტიანული შეგუებულობისა და თავის დამდაბლების ნიშანი იყო. სტატიამ მოყვანილია ბევრი სომხური ცრურწმენა და ჩვეულება ქალის თმასთან დაკავშირებით. მოყვანილია ქართული მოძახილი მთვარის მიმართ: „მთვარე ვნახე ბედზედა, ჩემსა გუნებაზედა, ქალი მიყვარს თმიანი, საქმე ბარაქიანი.“ ქართულ სამეფო კარზე დიდი იყო თმის ტარების ირანული მოდის გავლენა: გავრცელებული ვარცხნილობები იყო ზილფინი და კავი. სტატიის ბოლოს გადმოცემულია აგრეთვე ქართველთათვის და სომეხთათვის საერთო ჩვეულება: თუკი ოჯახში ხშირად უკვდებოდათ ბავშვი, მაშინ აღთქმა უნდა დაედოთ, რომ

გარკვეულ ასაკამდე (8-16) ბავშვს არ შეჭრიდნენ და არ დავარცხნიდნენ თმას და თეთრ ან წითელ სამოსში ატარებდნენ.

საკვანძო სიტყვები: სომხური, თმა, წარმართობა, ქრისტიანობა, ჩვეულება, ქრურწმენა, ქართული.

Key words: Armenian, hair, paganism, Christianity, custom, superstition, Georgian.

ИКОИА, 1882, ტომი I, გამ. I, გვ. 27- 44, დ. ბაქრაძე, «ქართლის ცხოვრების» ანუ ქართული მატანეების წყაროებისა და პირველადი გადმოცემების ხასიათის შესახებ“: ავტორი აღნიშნავს, რომ წინამდებარე სტატიის მიზანია „ქართლის ცხოვრებაში“ გადმოცემულ თავდაპირველ გადმოცემათა მიმოხილვა. მათში ისტორიული სინამდვილის პოვნა კი არქეოლოგიის საქმეა. ავტორი იწყებს თარგამოსისაგან კავკასიელ ხალხთა წარმოშობის მითით. აქ ავტორი გვიყვება სხვადასხვა კავკასიელი ხალხის წინაპრებზე, მათი განსახლების არეალებზე და სხვ. ავტორის აზრით, პირველი თავებიც ქრისტიანულ ეპოქაშია შეტანილი ნაწარმოებში. ბერძნული გავლენა “ქართლის ცხოვრების” პირველშემდგენლებზე ამკარაა, რაც, ავტორის თქმით, სომხეთიდან მოდიოდა. ავტორი საუბრობს სომხური და სპარსული გავლენების ნაშთებზე „ქართლის ცხოვრებაში“. დ. ბაქრაძე ჩამოთვლის სომხური მწერლობის გავლენის ასპექტებს ქართულზე: მაგალითად, თარგამოსებისა და ნებროტიდებს შორის ბრძოლის ამბები, მისი თქმით, აღებულია მარ-აბასის თხზულებებიდან. „ქართლის ცხოვრების“ მითითებით, არმაზის ტაძარი მცხეთასთანაა, ხოლო მოსე ხონერის ცნობით- კამახში (ანში). ასევე, ავტორის თქმით, წმინდა რიფსიმესა და ტირდადის შესახებ ამბავი აღებულია სომეხი მწერლის – აგატანგის, ნაშრომებიდან. სპარსულ გავლენებად შეიძლება ჩაითვალოს „შაჰ-ნამეს“ გმირთა სახელების გავრცელებულობა, დიდგვაროვანთა ბავშვების გაძიძავების ტრადიცია, გავარჯარებული რკინით გასამართლების წესი და სხვ. ასევე რელიგიური გავლენა. საუბარია ქართველთა შორის ბავშვთა მსხვერპლთშენიერვისა და კანიბალიზმის ჩვეულებებზე. კანიბალიზმი გავრცელებული იყო ალბანებშიც. აქ ასევე საუბარია ღვთაებების: არმაზის, დევეების, არიმანის (ამირანი- ქართული ვარიაციით) სპარსული ფესვების შესახებ. მოყვანილია ართავაზის შესახებ სომხური ლეგენდის ფრაგმენტი და მოტივები. ქართლის ცხოვრება მნიშვნელოვანი და სანდო წყაროა ბერძნულ-კავკასიური ომების, ასევე ხაზარებისა და ოსების ისტორიის თვალსაზრისით.

საკვანძო სიტყვები: „ქართლის ცხოვრება“, კავკასია, ქართული, სომხური, სპარსული (ირანული), ბერძნული, უცხოური გავლენები, მოსე ხონერი (ხონელი), ამირანი.

Key words: Kartlis Tskhovreba, Caucasus, Georgian, Armenian, Persian, Greek, foriegn influences, Moses Khoneli, Amirani.

CMOMPIK, № 13, განყ. II, გვ. 3-8, ვ. ლომინაძე, „ახალი წლის შეხვედრა იმერ-ლებთან“: იმერლისთვის ახალი წელი ბედის დღეს ნიშნავს, მას ბედნიერ დღესაც ეძახიან, ამიტომ ამ დღეს ოჯახში ბედნიერი ფეხით შესვლა უმნიშვნელოვანესია. ამ ფუნქციას ასრულებს „მეფერხე“. იგი კარგი თვისებებით გამორჩეული ადამიანია და ოჯახის ან მთელი სოფლის მიერ აირჩევა. აქ აღწერილია მეფერხის მიერ შესასრულებელი ბარაქის რიტუალი, რომლის დროსაც მეფერხე ოჯახში ღომის მარცვლებს მიმოყრის და ამბობს: „აი, ამდენი ოქრო და ვერცხლი; აი, ამდენი ძროხა და ხარი...“ და ა.შ. „ჩიჩილაკი“ უმნიშვნელოვანესი საგანია ამ დღესასწაულისთვის. იგი წარმოადგენს თხილის ხის გაშალაშინებულ ტოტებს, დანყობილს ჯვარივით და გარშემოხვეულს ასკილის რგოლებით, რაც განასახიერებს იესო ქრისტეს. ჩიჩილაკი სახლში რამდენიმე ადგილას უნდა დაიდგას: საცხოვრებელში, მარანში და სხვ. ახალი წლის წინა საღამოს დიასახლისი აცხობს სხვადასხვა ზომისა და ფორმის ღვებელებს (შიგთავსი – ყველი და კვერცხი). თითოეულს თავისი დანიშნულება აქვს, მაგალითად, ცილინდრული ფორმის განკუთვნილია ცხოველებისათვის, მათი მიტანისას ოჯახის უფროსმა უნდა უთხრას მათ: „გილოცავთ ახალ წელს, იყავით ასეთი საესე, როგორც ეს ღვებელი“ და სხვ. გამოცხობის შემდეგ ოჯახის უფროსი და დიასახლისი ხონჩაზე აწყობენ საერთო ღვებელს, ქათმის, ინდაურისა და იხვის ხორცს და სხვ. სულ ზევით დებენ ღორის თავს, რომელიც საახალწლო სუფრის მთავარი კერძია. ასევე ხონჩაზე იდება სხვადასხვა ძვირფასეულობა ან ფული. ასე განწყობილ ხონჩას ღამით ტოვებენ. დილას ხონჩასა და ქოთან ღვინოს ოჯახის უფროსი სახლს სამჭერ შემოატარებს, რის შემდეგაც სახლში შესვლამდე კარებთან რიტუალური დიალოგი უნდა შეგდეს, რომლის ტექსტიც (რუსულ ენაზე) ასევე წარმოდგენილია სტატიაში. სტატიაში ნათქვამია ასევე, თუ რატომ აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა ახალ წელს ბავშვებისათვის და აღწერილია, თუ რას აკეთებენ ისინი ამ დღესასწაულზე. „მაკვლიერი“, ასევე, „მეფერხის“ ფუნქციას ასრულებს იმ განსხვავებით, რომ მაკვლიერი აუცილებლად ოჯახის წევრი უნდა იყოს. აქვე აღწერილია მაკვლიერის ოჯახში შემოსვლის რიტუალიც. საახალწლო სუფრასთან ოჯახი სადილამდე სხდება, ამის შემდეგ კი ეკლესიაში მიდიან, სადაც ლოცვების შემდეგ ნაცნობ-ახლობლებს ულოცავენ დღესასწაულს.

საკვანძო სიტყვები: იმერეთი, ახალი წელი, საახალწლო წეს-ჩვეულებები, მეკვლე, საახალწლო ღვებელები, ბავშვები.

Key words: Imereti, New Year, New Year customs, Mekvle, New Year pies, children.

CMOMPIK, № 13, განყ. II, გვ. 9-13, შ. ლომინაძე, „მოგზაურობა რაჭაში (სამოგზაურო ჩანაწერები)“: სტატიაში აღწერილი მოგზაურობის მარშრუტი ასეთია: გელათი, ტყიბული, ნიკორწმინდა, სხვადა, მრავალძალი. მოყვანილია ლეგენდა გელათის მონასტრის დაარსების შესახებ. ლეგენდა მოგვითხრობს, თუ

როგორ აუშენებია დავით აღმაშენებელს გელათი ეშმაკის დახმარებით. წმინდა გიორგის მიერ რაშად ქცეული ეშმა მსახურთა დაუღვევრობის გამო გაქცეულა და გელათის მონასტრის საძირკველის ქვეშ მიმალიულა. ავტორი ამბობს, რომ გელათიდან ტყიბულამდე ტერიტორია, ანუ ოკრიბა, მიუხედავად მშრომელი მოსახლეობისა, ძალიან ღარიბია მიწის ნაკლები ნაყოფიერების გამო. ამიტომ ოკრიბელი ქალი აქაური კაცივით შრომობს. აქაური მოსახლეობისთვის დამატებითი შემოსავალია კეცის დამზადება-გაყიდვა. ასევე შემოსავლის წყაროა გიშერიც, რომლისგანაც სხვადასხვა სამკაული მზადდება. მოყვანილია ორი ანეკლოტი, რომლებიც, ავტორის თქმით, ოკრიბელთა „გონებასუსტობის“ დაცინვაა. ტყიბული მდიდარია ქვანახშირით. ტყიბულის შემდეგ იწყება ნაქერალას უღელტეხილი. მოცემულია პატარა გადმოცემა იმის შესახებ, თუ როგორ დაერქვა რაჭას სახელი. რადგანაც მინა რაჭაში ძვირად ფასობს, სოფლები მჭიდროდაა დასახლებული. იმერელ გლეხთან შედარებით რაჭველი უფრო მშრომელია, ის მოსავლის აღების შემდეგაც განაგრძობს შრომას, მიდის სამუშაოდ სხვადასხვა ქალაქში – ქუთაისში, თბილისში, ვლადიკავკაზში. ყველაზე ხშირად რაჭველები მუშებად საქმდებიან. მუშა ტვირთის გადამზიდველია. რაჭველი მუშები კეთილსინდისიერი და მეგობრულნი არაინ. რაჭველი ქალი, ხშირად ოჯახში მართო ყოფნის გამო, ისეთივე მშრომელია, როგორც კაცი. აქ საუბარია რაჭველების სტუმართმოყვარეობაზე, სამზარეულოზე, ღვინოებზე. გამორჩეული ღვინოა ყიფიანური, რომელიც სოფ. ტოლასა და ხვანჭკარაში მოდის. რაჭული სიმღერები, ძირითადად, შრომის ღროს სრულდება. მათი ტემპი თანდათან იმატებს, რაც აჩქარებს ასევე მუშაობის ტემპსაც. მოტანილია სიმღერა „ქვედრულას“ ორიგინალი ტექსტი რუსული თარგმანით. რაჭაში ბევრია, ავტორის შეფასებით, „ორიგინალური მონყობილობა“ – მცირე წისქვილები. შემდგომ ავტორი გადადის სოფ. სხვაეაში (ეტიმოლოგია: სხვა ჰავა), რომელიც იმერელ მეფეთა საზაფხულო რეზიდენცია ყოფილა. მართალია, ამგვარი ნაგებობის ნაშთები არაა შემონახული, თუმცა არის ძველი ციხესიმაგრის ნანგრევები. სხვაეას მიუდგომლობის, იზოლირებულობის გამო არსებობს ლეგენდა განძზე, რომელიც, თითქოს, ამ ციხესიმაგრეშია ჩატანებული. შემდეგი სოფელია ზემო კრიხი. ავტორი გვთავაზობს ამ სოფლის ეკლესიის დეტალურ აღწერას, რომელიც, კრიხელების რწმენით, თამარ მეფის აგებულია. აქ არის თამარ მეფის 4 ფრესკა. მოგზაურობის ბოლო პუნქტია სოფ. მრავალძალი, რომლის შემდეგაც თბილისის გუბერნიაა. აქ ავტორისთვის თვალშისაცემია საქონლის ნაკელის სიმრავლე, თუმცა ის აქ ძალიან ფასობს. მრავალძალში კლიმატი შედარებით ცივია ზღვის დონიდან მაღლა მდებარეობის გამო. მოსავალი ამის გამო ცუდად მოდის, თუმცა ეს არ იწვევს მოსახლეობის სიღარიბეს. თბილისთან ახლო მდებარეობის გამო, ისინი ხშირად დადიან ქალაქში სამუშაოდ.

საკვანძო სიტყვები: რაჭა, გელათი, დავით აღმაშენებელი, ოკრიბა, ღვინო, ქვედრულა, თამარ მეფე.

Key words: Racha, Gelati, Davit the Builder, Okriba, wine, Kvedrula, King Tamar.

СМОМПК, №10, განც. I, გვ. 69- 87, დ. მარგიანი, „სვანეთი (ყოფა-ცხოვრების მონახაზი)“: სტატიაში აღწერილია სვანების ყოველდღიური საქმიანობა, საცხოვრებელი გარემო, ქორწილი, დარკძალვა და პანაშვიდები, რწმენა-წარმოდგენები და დღესასწაულები. სვანები მისდევენ მინათმოდმედებას, მესაქონლეობას, ნადირობასა და მეფუტკრეობას. მოთხრობილია გარკვეული სამეურეო დეტალები და ნადირობის წეს-ჩვეულებები, მაგალითად, ნანადირევის გაყოფის წესი. სვანის სახლი ორსართულიანი შენობაა მცირე ავეჯითა და ჭურჭლეულით. აღწერილია ასევე სვანების ტრადიციული ჩაცმულობა. კაცები მნიშვნელოვნად სჭარბობენ ქალებს, რადგან ახალდაბადებულ გოგონებს ხშირად კლავდნენ, სჯეროდათ, რომ ღმერთი მათ ბიჭის შეძენით დაასაჩუქრებდა. აღწერილია დანიშვნის წესი, არსებობდა გადასახადი საპატარძლოს ოჯახისთვის. საქორწილო წამღერება: „ქორწილია, მოგვყავს დედოფალი, დაე, ბედნიერი იყოს იგი“. ქორწილები ერთი დღის საღამოდან მეორე დღის საღამომდე გრძელდება. აღწერილია მიცვალებულის გაპატოსნების, დასაფლავებისა და ქელების წესები. დიდ მწუხარებას შემდეგი სიტყვებით გამოხატავენ: „ვაი, ვაი, ვაი, ჩემი სულის ჩადგმას, ვაი!“ ბავშვის დაკრძალვაზე სვანი ნაკლებს ხარჯავს, ამ დროს პანაშვიდებიც იშვიათია. აღწერილია მიწის ნაყოფიერებისთვის აღსავლენი რიტუალი – მსხვერპლთშენიერვა. მოყვანილია რიტუალის დროს შესასრულებელი ლოცვა. აღწერილია ახალი წლის ზოგიერთი წეს-ჩვეულება. ამ დროს სვანები ასრულებენ საქონლის ნაყოფიერების რიტუალს. ნათლისღება მიცვალებულთა დღედ ითვლება, ამ დღეს ასრულებენ გარდაცვლილთა სულების შემორიგებისა და გაცილების რიტუალს. მოყვანილია ამ დროს შესასრულებელი სპეციალური ლოცვები. აღწერილია ასევე მეზვრისა და ფარისევლის კვირის საეკლესიო რიტუალი და ლოცვა. სტატიაში მოყვანილი ყველა ლოცვა მოყვანილია სვანურ და რუსულ ენებზე.

საკვანძო სიტყვები: სვანური, ყოფა-ცხოვრება, წეს-ჩვეულებები, რიტუალი, დაკრძალვა, ქორწინება, დღესასწაულები.

Key words: Svanetian, lifestyle, customs, ritual, burial, marriage, holidays.

ТЛ, 1910, №190, а. სტავროვსკი, „თავისუფალ სვანეთში“: თავისუფალ სვანეთს ესტუმრა სენატორი ე. ვატაცი. ავტორი აღწერს გზას ენგურის ნაპირას კალიდან უშგულამდე, კომპებიან სახლებს უშგულში, ადგილობრივი მოსახლეობის და სენატორის შეხვედრას და მათ საუბარს. შემდეგ ისინი ესტუმრნენ ადგილობრივ სკოლას, სადაც სვანები უგულოდ უშვებენ ბავშვებს სკოლაში, რადგან სწავლება მიმდინარეობს რუსულ ენაზე. სკოლის შემდეგ არ არის სხვა სასწავლებელი,

ქუთაისის სასოფლო სამეურნეო სკოლის გარდა. იქ დიდ ყურადღებას უთმობენ მებაღეობას, სვანეთში კი არ მისდევენ ამ მეურნეობას. აქ დაიწყეს მეფუტკრეობა, მაგრამ სვანებმა ჩათვალეს, რომ მათი პურის მოსავალი დაისეტყვა ფუტკრების გამო. ავტორი წერს, რომ სვანები ძალიან ცრუმორწმუნები არიან. შემდეგ ავტორი აღწერს უშგულის სახლებს, რომლებიც მას აფრთხობს უბადრუკობით, სიღუბნით. ასევე, ავტორი აღწერს ლამარიას ეკლესიას, რომელშიც ფრესკები გაცვეთილია. იქ არის ბევრი ხატი, მტვერი და სიბნელე. უშგულელებს გააჩნიათ დიდი საძოვარი ადგილები, რომლის ნაწილსაც ზაფხულში ოსებს აქირავენ. სტატიის ავტორი საუბრობს ერთი სოფლის ისტორიაზე, სადაც მოკლეს: ლეუსი, გრინიოვსკი და თავადი მიქელაძე. ასევე, შემდეგ აღწერილია უძველეს წმინდა გიორგის ეკლესია ხალხორის სოფლის მახლობლად და კვირიკისა და ივლიტას მონასტერი, სადაც დარაჯის გარდა არაფერია ცხოვრობს. მონასტერში იყო ბევრი ხატი ოქროთი მორთული. ასევე მასში დამალულია მერვე საუკუნის ბერძნული ხატი, რომელზეც ასახულია არიან წმინდა კონსტანტინე და ელენე ჯვართან. იგი იყო ძვირფასი ქვებით მოოჭვილი. აღნიშნულია, რომ მამა ბესარიონ ნიჟარაძემ შექმნა სვანური ლექსიკონი, რომელიც მალე დაიბეჭდა და რომ უშგულელმა სვანებმა არ იციან ქართული ენა.

საკვანძო სიტყვები: კალა, უშგული, ენგური, თავისუფალი სვანეთი, დადიანის სვანეთი, კავკასია, ზუგდიდის მაზრა, ქუთაისის გუბერნია, ბეჩო, მესტია, მულახი, ეკლესია ლამარია, ხალდესჭალა, ხალდა, მამა ბესარიონ ნიჟარაძე, წმინდა გიორგის ეკლესია, კვირიკეს და ივლიტას მონასტერი.

Keywords: Kala, Ushguli, Enguri, Free Svaneti, Dadiani Svaneti, Caucasus, Zugdidi Mazra, Kutaisi Governorate, Becho, Mestia, Mulakhi, Church of Lamaria, Khalda, Father Besarion Nizharadze, St. George's Church, Kirika and Uliet Monastery.

K, 1862, №68, ალექსეი რაგოზა, „ზედაზნის მონასტერი“: ავჭალის გზაზე ჩანდა უზარმაზარი არხის კვალი, XIII საუკუნეში თამარ მეფის მიერ გაყვანილი. ახლა იგი დანგრეულია. სტატიაში აღწერილია ზედაზნის მონასტერი, რომელიც აშენებულია V საუკუნეში. ამ ადგილას ძველი წელთაღრიცხვით 30 წ. ივერიის IV მეფის მეფობის დროს იყო დადგმული ზადენის კერპი. ამიტომ ამ მთამ და შემდგომ მონასტერმა მიიღო ეს სახელწოდება. ავტორი წერს წყალზე, რომელიც ჩამოედინება ტაძრის კედლიდან პატარა აუზში. აუზში წყლის დონე ყოველთვის უცვლელია, ხოლო თვითონ წყალი ყოველთვის – სუფთა, კრიალა და ცივი. წყალი სასწაულმოქმედი და მისი აღება შეიძლება მხოლოდ დღესასწაულზე.

ავტორი დანვრილებით აღწერს აქ გამართულ დღესასწაულს. ღვინის სმას, მხიარულებასა და სიმღერებს გმირ არსენზე.

საკვანძო სიტყვები: ტიფლისი, ზედაზნის მონასტერი, ავჭალა, მტკვარი, არაგვი, თამარ მეფე, ქართველი, სომეხი, გერმანელი, წმ.იოანე, მეფე ფარნაჯომი, ზადენი, ზედაზენი, წმ.გიორგი, არსენი.

Keywords: Tiflis, Zedazeni monastery, Avchala, Mtkvari, Aragvi, Tamar queen, Georgian, Armenian, germanyan, st.Ioan, king Pharnadjom, Zaden, Zedazeni, st.George, Arsen.

ყბ,1903, №39, „გურიის ნარკვევი“: სტატიის დასაწყისში აღწერილია გურიის გეოგრაფიულ მდებარეობა, მისი კლიმატი, მდინარეები და ბუნებრივი პირობები. აღნიშნულია, რომ გურიაში თესავენ სიმინდსა და ღომს. ამისთვის მიწას ამუშავენ ბენ ხელით. გურიის ეკლესიები და სასწავლო შენობები ქვისგან არის აშენებული. ზოგიერთი გურული ქვისგან აკეთებს სხვადასხვა საოჯახო ნივთს და ყიდის მათ როგორც გურიაში, ასევე – სამეგრელოსა და იმერეთში. მთებში თესავენ ბამბას და იღებენ კარგ მოსავალს. მეზამბეობას და მევენახეობას გურიაში მისდევენ ადრეული წლებიდან. იქ ძირითადად მოჰყავთ „იზაბელას“ ჯიშის ყურძენი. საძოვარი ადგილების ნაკლებობის გამო, გურიაში არ არის განვითარებული მესაქონლეობა, ყოველ ოჯახს ჰყავს მხოლოდ რამდენიმე სული საქონელი. სახლები გურიაში ძირითადად არის აშენებული ფიქრებისგან, ხოლო დახურულია ჩალით, ქვის იატაკზე ანთებენ ცეცხლს. ბოლო დროს სახლებში დაიწყეს ბუხრების აშენება.

გურიის ბაზრები და ბაზრობები ძალიან ხალხმრავალია. ეკლესიებში წელიწადში ერთხელ ტარდება საეკლესიო დღესასწაული, რომელზეც ჩამოდის ძალიან ბევრი ხალხი სხვადასხვა ქალაქიდან. არც ერთი ხალხი მთელ კავკასიაში არ მიისწრაფის განათლებისკენ ისე, როგორც გურულები. მათ თითქმის ყოველ სოფელში აქვთ ბევრი დანაწევითი სასწავლებელი და უფასო სახალხო სამკითხველო. სამკითხველოებში მოქმედებს ორკლასიანი სასწავლებელი, რომლებიც მდებარეობს სპეციალურად აშენებულ სკოლებში. სკოლებში არის ბიბლიოთეკები, ყველა გურული აგზაუნის თავის შვილს სკოლაში. ზოგჯერ სკოლაში ბავშვებს ღებულობენ კენჭისყრით, რადგან არ ყოფნით ადგილები. გურიაში არსებობს საეკლესიო და, ასევე, სახელმწიფო სკოლები. ზოგიერთ ხალხმრავალ საზოგადოებაში არსებობს გლეხური ბანკები. ქობულეთი ძველ დროში შედიოდა გურიის შემადგენლობაში და მაშინ გურია იკავებდა უფრო დიდ ტერიტორიას, ვიდრე ახლა. ქობულეთელები ცხოვრების წესით, ენის კილოთი, ზნე-ჩვეულებებით ბევრ რამეში ჰგვანან გურულებს. მაგრამ თურქეთთან მეზობლობის გამო ქობულეთელები ძირითადად მაჰმადიანები არიან. გურულები არიან სწრაფები ლაპარაკშიც და საქმეშიც, მათ აქვთ ფეთქებადი ხასიათი, მაგრამ არიან კეთილები. ადრე გურიაში იყო ბევრი მამაცი ყაჩაღი. მაშინ თურქები ხშირად გადმოდიდნენ აჭარის მთებზე და თავს ესხმოდნენ გურულ სოფლებს, ამიტომ გურულები ყოველთვის იყვნენ მზადყოფნაში. გურული ყაჩაღებიც ხშირად ესხმოდნენ თავს თურქებს. ბევრ მაღლობზე დღემდე არის შემორჩენილი გურიის ციხესიმაგრეების ნანგრევები.

საკვანძო სიტყვები: გურია, ოზურგეთი, ქუთაისის გუბერნია, ნიგოეთის ქედი, აჭარის მთები, მდინარე რიონი, მდინარე სუფსა, შავი ზღვა, სამეგრელო, იმერეთი, ქობულეთი, ყაჩაღი.

Keywords: Guria, Ozurgeti mazra, Kutaisi province, Nigoiti mount, Adjaria mount, riv. Rioni, riv. Supsa, Black sea, Samegrelo, Imereti, Kobuleti, robber.

ТФБ, 1831, №5, „საქართველოს ძველებური საქორწილო წეს-ჩვეულებები“: ძველი ადათის მიხედვით, მშობლები ჩვეულებრივ თვითონ ნიშნავდნენ თავიანთ შვილებს. ხშირად საქმრო და პატარძალი არც კი იცნობდნენ ერთმანეთს. მშობლები ადგენდნენ წინასწარ პირობებს. ზოგჯერ შვილების დაბადებამდეც კი წყვეტდნენ ამ საკითხს. ამ დაპირებებს კი პირნათლად ასრულებდნენ. ამ პირობების დარღვევა საპატიო მიზეზის გარეშე იყო აკრძალული. დარღვევის შემთხვევაში ჯარიმდებოდნენ დიდი თანხით ან სისხლის საურავით. ხშირ შემთხვევაში პატარძლის მშობლები, მოძღვრისა და საპატიო სტუმრების თანდასწრებით წამოაყენებდნენ თავიანთ პირობას მშითვის შესახებ. ასეთი პირობების გამო შეიძლებოდა ქორწილი გადადებულიყო განუსაზღვრელი ვადით ან საერთოდ ჩაშლილიყო. მაგრამ, თუ ხელს არფერი უშლიდათ, იწყებოდა ნიშნობა, რის შემდეგაც პატარძალი საქმროსაგან იღებდა ტკბილეულს და საჩუქრებს. ამავე დროს დანიშნულების მშობლები ეპატიუებიან ნათესავეებს, მეგობრებს, ნაცნობებს და მასპინძლობენ ტკბილეულით. ამავე საღამოს საქმრო ახლობელ ხალხთან ერთად მიდის პატარძლის სანახავად – „პირის ნახვაზე“. საქმრო, პატარძლის ახლო ნათესავეების თანდასწრებით შედიოდა პატარძლის ოთახში, ჯდებოდა მის პირისპირ, რომ უკეთ დაენახა პატარძალი, შემდეგ დგებოდა და უკეთებდა ბეჭედს ფირუზით და მიართმევდა მოოქროვილ ვაშლს, რაც იმას ნიშნავდა, რომ იგი აღიარებდა მის სილამაზეს და ღირსებას. შემდეგ საქმრო რჩებოდა ვახშამზე, რომლის შემდეგ პატარძალს უცვლიდა თავშალს და ბრუნდებოდა შინ. მეორე დღეს იგი იღებდა საჩუქარს სიდედრისგან, რომლისთვისაც ვალდებული იყო დაუყოვნებლივ მადლობა გადაეხადა პირადად მისთვის. ამავე დროს ინიშნებოდა ქორწილის დღე.

თბილისში ქორწილის წინა დღეს პატარძალი თავისი მეგობრებით მიდიოდა ქალთა გოგირდის აბანოში, ხოლო პროვინციაში ის ბანაობდა სახლში.

ქორწილები თითქმის ყოველთვის იმართებოდა საღამოს ან ღამე. ჯვრის წერის წინ, საქმრო ნათესავეებთან, მეგობრებთან და მამაკაც სტუმრებთან ერთად მუსიკის თანხლებით მიემართებოდა პატარძალთან. მაყარს ეჭირა ანთებული თათლის სანთელი. პატარძლის სახლთან მიახლოებისას მასთან მიდიოდა მაცნე და ატყობინებდა საქმროს მოახლოებას. მას ხვდებოდნენ პატარძლის მამა ან ძმა ღვინით სავსე ვერცხლის თასით და ჩუქნიდნენ შალს ან აბრეშუმის ნაჭერს.

შემდეგ სტატიის ავტორი აღწერს პატარძლის სამოსს და სახეს, ადარებს მას თოჯინას. პატარძალი თავდახრილი იჯდა ამალლებულ ადგილას. საქმრო

სტუმრების თანდასწრებით ხმის ამოუღებლად ჯდება პატარძლის მარჯვენა მხარეს. მათთან მიდის პატარძლის ერთ-ერთი ხანსამზული ნათესავი პატარძლის მარჯვენა ხელს აბარებს სიძეს. აქებს მის სილამაზესა და ღირსებას. ამის შემდეგ, სიძე-პატარძალი დგება, მათთან მიდის ნათლია და დიდი თათლის სანთლებით დგება მათ უკან, აშიშვლებს ხმალს და ყველა მიემართება ეკლესიისაკენ სიმღერითა და ცეკვით, ზოგჯერ – სროლითაც.

საკვანძო სიტყვები: თბილისი, აბანო, ჯვრისწერა, ხმალი.

Key words: Tbilisi, bath, Church marriage ritual, sword.

ТФБ, 1829, №20: სტატიაში აღწერილია თბილისის მოსახლეობის ხალხური დღესასწაულები, მათთან დაკავშირებული ადათები და რწმენა-წარმოდგენები. ქართველი და სომეხი ქალების ერთფეროვანი ცხოვრება იცვლება დღესასწაულების დროს. ასეთ დღეებში მათ შეუძლიათ გარეთ გასვლა, როდესაც თვეობით არიან გამოკეტილნი სახლში თავიანთი ქმრების ეჭვიანობის გამო. ავტორი აღწერს ნორაშნობას, როდესაც ქრისტეს აღდგომის წინა საღამოს ხალხი იკრიბებოდა სომხურ ეკლესიასთან და წირვის შემდეგ მიდიოდა სასეირნოდ. აგრეთვე, აღწერილია დღესასწაული გორიჯვრობა. დღესასწაული იწყებოდა ქართველების მიერ წმინდა გიორგის ხატის ბრძანებით გამოქვაბულში, რომელიც მდებარეობდა თბილისის აღმოსავლეთ მხარეს. საშუალო და დაბალი ფენის ქართველები, სომეხები და თათრებიც კი შედიოდნენ ამ გამოქვაბულში და ლოცულობდნენ. მაღალი ფენის წარმომადგენლები კი დღის ორ-სამ საათზე გადიოდნენ ცხენებით მთავარსარდლის მოედანზე და მართავდნენ სანახაობებს.

საკვანძო სიტყვები: ტიფლისი, ნორაშნობა, ნორაშენი, გორი-ჯვრობა.

Key words: Tiflis, Norashnobi, Norasheni, Gori-Jvaroba.

ТФБ, 1829, №21, „ღღესასწაული თელეთობა“: სტატიაში აღწერილია თბილისის მოსახლეობის დღესასწაულები, მათთან დაკავშირებული ადათები და წმენა-წარმოდგენები. ავტორი აღწერს ქართველი ქალების სილამაზეს, მათ მდიდრულ სამოსელს, მაგრამ ავტორი აღმფოთებულია იმით, რომ მათი ბუნებრივი მომხიბვლელობა დაფარულია ბევრი ფერ-უმარილით. სეირნობის დროს ყურადღებას იქცევენ ბრმა ბარდები, რომლებიც ხალხური მუსიკალური ინსტრუმენტების აკომპანიმენტზე აღიდებენ ქართველ გმირებს. ხალხი ყურადღებით და სიამოვნებით უსმენს მათ და აჯილდოებს ნაირნაირი საჩუქრებით. აგრეთვე, აღწერილია მთაწმინდობა, რომელიც იმართებოდა მთაზე თბილისის ჩრდილო-დასავლეთით, სადაც მაღალ ციცაბო კლდეზე აშენებულია ქალთა მონასტერი.

საკვანძო სიტყვები: თბილისი, თელეთობა, საქართველო, მთაწმინდობა.

Key words: Tbilisi, Teletoba, Georgia, Mtatsmindoba.

CMOMIIK, 1902, №31, განყ. 3, გვ.159-160, ო. მთავრიელი, „საქორწინო წეს-ჩვეულება კახეთში“: ავტორი აღნიშნავს, რომ 16 წლის ყმანვილს შეუძლია იქორწინოს და მამებიც ხელს უწყობენ ახალგაზრდას. ისინი მიდიან საპატარძლოს სანახსავად, რათა, ხშირ შემთხვევაში, დამხმარე ჰყავდეთ საოჯახო საქმიანობაში. ხოლო ბერბიჭა ითვლებოდა ბედისაგან დაჩაგრულ და ღვთისაგან დასჯილად ცოდვების გამო. ქალის მშობლები სასიძოს ოჯახთან ერთად იმ შემთხვევაში შემოუშვებენ, თუ სასიძო მათთვის მისაღები იყო, თუ არადა ვაჟის ოჯახი სხვა საპატარძლოს მოძებნიდა.

სასიძო საპატარძლოს მხოლოდ იმ შემთხვევაში ნახავს, თუ ორივე მხარის მშობლები თანხმა არიან. ქალის მშობლები გამოპრანჭავენ საპატარძლოს და სასიძოს წინ გაატარებენ საჩვენებლად, რომ საპატარძლოს არ აქვს ფიზიკური ნაკლი. მზითვის შესახებ მხოლოდ მას შემდეგ საუბრობენ, რაც ქალ-ვაჟს ერთმანეთი მოეწონებათ. შესაძლოა ქალს არ მოეწონოს სასიძო, მაგრამ სასიძო მაინც სათავისოდ გამოაცხადებს, თუ მოსწონს ქალი. ამ წესს „ხელის დადება“ ჰქვია. სასიძო საპატარძლოს ჩუქნის ფულს, ან ბეჭედს, ან აბრეშუმის თავსაფარს. ამის შემდეგ ქალ-ვაჟი დანიშნულებად ითვლება. შემდეგ დანვრილებით არის აღწერილი ჯვრისწერის პროცესი და ლხინი.

მახარობელი სასიძოს ოჯახს ახარებს ჯვარდანვრილთა შინ დაბრუნებას: „მე ვარ მახარობელი, / სახლის გამხარებელი, / ამიხვიეთ მხარი, / მტერს დაუდვა თალი“. ღვინით სავსე თიხის ფიალას აწვდიან მახარობელს, მახარობელი შესვამს ბოლომდე შემდეგი სტყვებით: „ასე მტერი დაგეცალოთ!“ და თიხის ფიალას დაამსხვრევს ძირს დანარცხებით. ლხინის დროს თამადა (ტოლუმბაში) ღვინით სავსე ვერცხლის აზარფეშით ადღეგრძელებს შემდეგი სიტყვებით: „მეფეო, ღმერთმა შენ მოგცეს / ბედი და ბედნიერება, / ვისაც რამე შენთვის შურდეს, / მას ჭირი ნუ დაეღევა“. ლხინის დროს იმართება შაირობა: მაგალითად: „პატარძლო, პატარაო, / წყალს მოიტან, სხვას არაო, / წამოჭლები კერასაო, / ატარტარებ ენასაო“.

საკვანძო სიტყვები: კახეთი, ხელის დადება, მზითვი, თამადა

Keywords: Kakheti, engagement, sunshine, tamada.

CMOMIIK, 1902, №31, განყ. 3, გვ. 168-176, ნ. დერუჯინი, „ქართველი მაჰმადიანების ქორწილი ბათუმის შემოგარენში“: ავტორი იმომებს ვახუშტისა და პროფ. ცაგარლის ნაშრომებს და მიმოიხილავს გურიას თავისი საზღვრებით.

მაჰმადიან ქალებს სახე დამალული აქვთ და საქმრო პირველად მას მხოლოდ საქორწილო რიტუალის შემდეგ ხედავს. მშობლები საპატარძლოს საკუთარი შეხედულებისამებრ ირჩევენ და სასურველი სარძლოს დასათანხმებლად გზავნიან მაჭანკალს. მაჭანკალს სულ ცოტა ოცჯერ მაინც უწევს საპატარძლოს ოჯახში მისვლა, რათა სასურველ მყარ შეთანხმებას მიაღწიოს ორივე მხარემ. შემდეგ სასიძოს ოჯახი (საქმრო არ მონაწილეობს) იწვევს საპატარძლოს მამას ან

ძმას და ყიდულობენ სარძლოსათვის სხვადასხვა ძვირფასეულობას (ოქროს ბეჭედი, საყურე, ერთი ან რამდენიმე ოქროს მონეტა, ქამარი და სხვ). შემდეგ ყიდულობენ ტასაცმელსა და თავსაბურავს. პატარძლის ოჯახიც თავის მხრივ უძღვნის სასიძოს საჩუქრებს. საქორწილო დღესასწაული იწყება ოთხშაბათს საღამოთი ან შაბთს, ღამის 12 საათზე, მანამდე კი სტუმრებს ართობენ ზურნითა და დოლით. საქორწილო ლხინის დაწყებამდე ტკბილეულს არიგებენ სტუმრები-სათვის (შაქრიან წყალს, ბრინჯს შავი წინაკით). ქორწილის დროს ბევრი მოშურნე ადამიანის თვალისაგან დასაცავად მექორწილეები კარიბჭედან სახლამდე ქმნიან გადაჯვარედინებული ხმლების დერაფანს, სიძე-პატარძალმა უვებლად რომ ჩაიაროს. სარწმუნოებრივი მხარე ქორწილისა შემოიფარგლება იმით, რომ მოლა განმარტოვდება ოთახში მეფე-დედოფლის უახლოეს ადამიანებთან ერთად. არავის აქვს უფლება ამ ოთახთან ახლოს მისვლისა, რადგან ეს დრო მეტად ხელსაყრელია ჯადოსნობისათვის. მოლა კითხულობს ლოცვას და რას ააკეთებს კიდევ მოლა, გარდა ლოცვისა, ავტორისათვის უცნობია.

საკვანძო სიტყვები: მოლა, ქორწილი, ოქრო, მაჭანკალი.

Keywords: Molla, Wedding, Gold, Matchankali (person who manages the marriage of couples).

CMOMIK, 1906, №36, განკ. 2, გვ. 408-413, დ. ჩერვენაკოვი, „დაკრძალვის წესები ზემო სვანეთში“: ზემო სვანეთის ადგილმდებარეობისა და მისი სეზონური იზოლირების გამო ადგილობრივ მოსახლეობაში შენარჩუნებულია ბევრი ნახევრად წარმართული ადათ-წესი. აქ ყველაზე რთულია

დაკრძალვის რიტუალი. გარდაცვალების შესახებ ამბავი მალე ვრცელდება და უკვე ერთ საათში სახლი გავსებულია ნათესავებით, რომლებიც იკრიბებიან განბანვისთვის. განბანვა იმართება ქრისტიანული წესით და ტირილის თანხლებით. შემდეგ მიცვალებულს ათავსებენ მიწაზე გაფენილ დიდ ქსოვილზე. რამდენიმე ადამიანი ტყეში ამზადებს სასახლეს და მასში ასვენებენ მიცვალებულს. ნათესავებისა და ახლობლების პირველ მოვალეობად ითვლება ტანსაცმლის გამოცვლა – ქალები იცვამენ ქურქებს გარეთ ბენვით და იშლიან თმას, მამაკაცები იცვამენ ახალ ტანისამოსს და ოთხი დღე დადიან უქულოდ. დაკრძალვა ტარდება მესამე, მეოთხე ან მეხუთე დღეს. ქელებსთვის, რომელზეც უნდა იმყოფებოდეს მთელი სოფელი (დაახლოებით 500 ადამიანი) ამზადებს ბევრ საჭმელსა და არაყს.

მიცვალებულის გამოსვენებამდე ხუთი საათით ადრე ჩაშვერავენ ჯიხვის რქას და მეზობლები იწყებენ შეკრებას; ორი საათით ადრე იწყება დატირება. ოთახი განათებულია სვანების მიერ ხელით დამზადებული სანთლებით. იქ იკრიბებიან მიცვალებულის ახლობლები და ნათესავები, წინა ოთახში კი მამაკაცების გუნდი ამბობს ზარს (სვანური სიმღერები, რომლებსაც მღერიან ასეთ შემთხვევაში, ინახება, შეძლებისდაგვარად საიდუმლოდ, და ავტორმა დიდი შრომით მოახერხა

მათი შინაარსის გაგება). მომღერლები აღნიშნავენ, თუ როგორი ბედნიერი იყო მიცვალებული; ასევე, გამოხატავენ თავიანთ მწუხარებას მისი ამ ქვეყნიდან წასვლის გამო და სთხოვენ იმ ქვეყნად ყოფნისას არ დაივიწყოს ოჯახის წევრები და ახლობლები.

სიმღერების შემდეგ იწყება დატირება. ქალი გამოდის ოთახის შუაში და იწყებს მიცვალებულის დიდებას, ტირილის თანხლებით. ყველა იწყებს ტირილს მასთან ერთად, ზოგი კი სახეს იკანწავს და ისისხლიანებს. ამის შემდეგ სასახლესთან მიდის ყველა რიგრიგობით და ემშვიდობება მიცვალებულს, ხმამაღალი ტირილითა და მკერდსა და სახეში მუშტების რტყმით. მღვდლის მოსვლისას ყველა ჩუმდება და იწყება ლოცვა. თუ მიცვალებული მამაკაცია გამოსვენებამდე მის სასახლესთან მიჰყავთ მისი ხარი, რომლის რქებზეც მიკრულია ანთებული სანთლები. სვანების თქმით, ეს არის ბოლო ბედნიერება, რომელიც თან მიაქვს მიცვალებულს იქითა სამყაროში.

სასახლეს მიასვენებს 6-8 ადამიანი, ამის შემდეგ მიდიან ქალები, ხოლო შემდეგ – მამაკაცები. სასახლის წინ ცხენით მიდის მიცვალებულის უახლოესი ახალგაზრდა ნათესავი. საფლავამდე ნახევარ გზაზე პროცესია ჩერდება, სასახლეს ასვენებენ მინაზე, ყველა დგება მუხლებზე, გარდა 15 მოხუცისა, და ქედს იხრიან. მოხუცები დგებიან გარშემო, შლიან ხელებს და სამჯერ იძახიან: „დარდი, მე! დარდი!“

როდესაც მიაქვთ სასახლე საფლავთან, მიცვალებულის დედა ან და ზარითა და ტირილით ხტებიან საფლავში და წვებიან შიგნით, იმისთვის რომ აჩვენონ თავიანთი მზადყოფნა გაჰყვნენ მას იმქვეყნად. ზოგჯერ ქალი დიდი ძალისხმევით ამოჰყავთ საფლავიდან. საერთო ყვირილისა და ტირილის ფონზე უშვებენ საფლავში სასახლეს. როგორც კი მას მიწას დააყრიან, მამაკაცები დგებიან საფლავის გარშემო და ისევ სამჯერ იძახიან: „დარდი, მე! დარდი!“ ამის შემდეგ ყველა ბრუნდება ქელეხში. დაკრძალვისას განეული უზარმაზარი მატერიალური ხარჯის გამო საკმაოდ უჭირს ოჯახს.

საკვანძო სიტყვები: ზემო სვანეთი, ლეჩხუმი, ქუთაისის გუბერნია, ენგური, სვანეთის ქედი, სვანეთის ჭიშკარი, ლატჰარის უღელტეხილი, მიცვალებული, სასახლე, განბანვა, ქელეხი, დატირება.

Keywords: Upper Svaneti, Lechkhumi, Kutaisi Governorate, Enguri, Svaneti Gate, Dead, Palace, Ghanavan, Kalekhi, Diving.

K, 1887, №90, გვ. 3, ე. ტ. ა., „აღდგომა სომხებთან და ქართველებთან“: ავტორი ამბობს, რომ შობისა და ნათლისღების შემდეგ აღდგომა ყველაზე მნიშვნელოვანი დღესასწაულია საქრისტიანოში. ავტორი აღწერს ახალჯვარდანიერითა ჩვეულებებს დიდ შაბათსა და აღდგომას. ასევე, ყვება, თუ რა უნდა გააკეთოს ახლადგარდაცვლილის ახლო ნათესავმა. აქვე აღწერილია, ასევე, ბებიისა და ბაბუის მიერ შესასრულებელი რიტუალი, რომელიც დიდმარხვის დასრულებას

გამოხატავს. ასევე აღწერილია ბევრი სხვადასხვა ჩვეულება თუ წესი, რომლებიც უნდა შესრულდეს ეკლესიასა თუ ოჯახებში. ბავშვების საყვარელი თამაშია წითელი სააღდგომო კვერცხებით თამაში, რომელსაც ქართულად „დაკვრა“ ჰქვია. შემდეგ მოყვანილია გამოთქმები, ანდაზები, გამოცანები, დაკავშირებული აღდგომასთან. ბოლოს ავტორს მოჰყავს ქალისა და მამაკაცის საკუთარი სახელები, რომლებიც ასევე დაკავშირებულია აღდგომის დღესასწაულთან.

საკვანძო სიტყვები: აღდგომა, ქართველები, სომხები, ჩვეულებები.

Key words: Easter, Georgians, Armenians, customs.

ისტორიული მონაცემები

ТЛИ, 1901, №25, გვ. 1, „საქართველოს შეერთება რუსეთთან“: 1800 წ. 22 დეკემბერს პეტერბურგში იმპერატორმა პავლემ ხელი მოაწერა საქართველოს რუსეთთან შეერთების მანიფესტს. ექვს დღეში, 28 დეკემბერს კი გარდაიცვალა საქართველოს უკანასკნელი მეფე გიორგი XII.

საკვანძო სიტყვები: რუსეთი, გიორგი XII.

Key words: Russia, George XII.

ТЛИ, 1901, №30, 31, 32, ა. ნათოფი, „საქართველოს შეერთება რუსეთთან“: ეკლესიის მმართველობა საქართველოში.

საკვანძო სიტყვები: საქართველო, ეკლესია.

Key words: Georgia, Church.

ТЛИ, 1901, №31, 32, 33, 34, ვ. რომანოვსკი, „საქართველოს შეერთება რუსეთთან“:

საკვანძო სიტყვები: საქართველო, რუსეთი.

Key words: Georgia, Russia.

ТЛИ, 1901, №30, „საქართველოს სიძველენი – საქართველოს დედოფალი გადასახლებაში“: მარიამ გიორგის ასულმა 1803 წ. თავისი ხელით მოკლა რუსი გენერალი ლაზარევი, მარიამის 17 წლის ასული თამარი კი შეეცადა პოლიციელის მოკვლას. იმპერატორ ალექსანდრე I-ის ბრძანებით ორივე დამნაშავე გადაასახლეს კურსკის გუბერნიის ქ. ბელგოროდში, სადაც დაამწყვდიეს შობის ქალთა მონასტერში. შერისხული დედოფალი იქ გაემართა თავისი ოჯახით – ოთხი უფლისწულითა და ორი ქალიშვილით. უფლისწული ბაგრათი კი მოსკოვში გაგზავნეს. ისინი დაახლოებულ თავადებსა და აზნაურებთან ერთად ჩავიდნენ დანიშნულების ადგილას. დედოფალი იყო 34 წლის, იქცეოდა თავდაჭერილად, ერიდებოდა ახალ ნაცნობობას. ქალიშვილი თამარი იყო ულამაზესი. ჰყავდა ბევრი თაყვანისმცემელი, მაგრამ იყო ძალიან მედიდური და მიუკარებელი. 1804 წ. მარიამის ორი ვაჟი პეტერბურგის კადეტთა კორპუსში მიიღეს. მარიამი ციხეში იყო 1811 წლამდე, შემდეგ გადავიდა მოსკოვში.

საკვანძო სიტყვები: დედოფალი, მარიამი, გადასახლება.

Key words: Queen, Mary, exile.

ТЛИ, 1901, №35, გვ. 1-2, ა. ვ. ივანენკო, „1811 წ. აჯანყება და 1832 წ. შეთქმულება“:

საკვანძო სიტყვები: აჯანყება, შეთქმულება.

Key words: Rebellion, conspiracy.

ТЛИ, 1899, №11, ვ. პოტო, „1799 წ. 2 ნოემბერი“: სტატიაში აღწერილია ის დღე, როდესაც თბილისში შემოვიდა რუსის ჯარი მას შემდეგ, რაც გაფორმა გეორგი-ევსკის ტრაქტატი.

საკვანძო სიტყვები: თბილისი, რუსის ჯარი.

Key words: Tbilisi, Russian Army.

ТЛИ, 1899, №11, გვ. 2, ე. ვ., „საქართველოს მდგომარეობა ერეკლე II-ის გარდაცვალების შემდეგ“: მეფე ერეკლე 82 წლის ასაკში გარდაიცვალა 1798 წლის 11 იანვარს თელავში. სტატიაში აღწერილია მეფის ოჯახში არსებული აზრთა სხვაობა ტახტის დაუფლებასთან დაკავშირებით, ასევე – ქვეყანაში არსებული მძიმე, უიმედო სიტუაცია, თურქების, ლეკების თარეში... იმპერატორი პავლე კი არ ჩქარობდა, ეცნო გიორგი მეფის სტატუსში. სპარსეთის შაჰს კიდევ ჰქონდა გიორგის გადაბირების მცდელობა. გიორგიმ იმპერატორის სიგელი მიიღო 1799 წლის 18 აპრილს.

საკვანძო სიტყვები: ერეკლე II, მეფე გიორგი, იმპერატორი პავლე, სპარსეთის შაჰი.

Key words: Erekle II, King George, Emperor Paul, Shah of Persia.

ТЛИ, 1899, №11, გვ. 2, ძველი კავკასიელი (ვ. პოტო), „ბრძოლა იორზე“: თბილისში რუსის ჯარის შემოსვლას მოჰყვა ირანის შაჰის გაღიზიანება. დაპირისპირებაში ჩაერთო ომარ-ხანი (ავარიელი) 15 000 მთიელით. ლეზგები დაეცნენ რუსის არმიას. იორის ბრძოლა დიდხან დარჩება კავკასიელთა მახსოვრობაში, რომელიც იყო ბოლო ბრძოლა თბილისის დასაცავად და რუსი გენერლების გამარჯვებით დასრულდა.

საკვანძო სიტყვები: ირანის შაჰი, ლეზგები, რუსი გენერლები.

Key words: Shah of Iran, Lezghins, Russian Generals.

ЗКВ, 1849, №44, გვ. 207-209; №45, გვ. 211-212, „წმინდა ნინო ქრისტიანული რწმენით საქართველოს განმანათლებელი“: სტატიაში აღნიშნულია, რომ ნინო იყო კაპადოკიიდან. საუბარია მის მშობლებზე, მათ ნათესაურ კავშირებზე, ნინოს ქრისტიანულ აღზრდაზე, ცხოვრების გზაზე – ის მოხვედრილა რომში, სომხეთში, შემდეგ კი – საქართველოში. აქ მან ვაზის ლერწმისაგან შექმნა ჯვარი და მთელ დროს ატარებდა ლოცვაში. ქრისტეს სახელით ის სასწაულებრივად კურნავდა ხალხს, რითიც იქცევდა ყურადღებას. მეფე მირიანი სასტიკად უპირისპირდებოდა ამ ბერძნულ რწმენას, მაგრამ მოხდა სასწაული: როდესაც ნადირობისას მას მზე დაუბნელდა და ამოვარდა ქარიშხალი, მეფეს მისმა ღმერთებმა ვერ უშველეს. ხსნა მხოლოდ ნინოს ღმერთის ხსენებას მოჰყვა. მაშინ მეფემ იწამა, რომ ნინოს ღმერთი იყო ღმერთების ღმერთი. ნადირობიდან დაბრუნებული შევიდა ნინოს

ქობში, დაიწყო ჯერის წინაშე და თავი გამოაცხადა ნინოს ღმერთის მონად. ნინოს რჩევით საბერძნეთის იმპერატორ კონსტანტინესთან გაგზავნა ელჩები თხოვნით – მოეცლინებინა მოძღვარი ნათლობის მისაღებად და ყველას გასაქრისტიანებლად. მირიანმა აავო ტაძარი, რომელიც განკურნავდა სნეულთ. ამის შემდეგ საბერძნეთიდან ჩამობრძანდნენ წარმომადგენლები მეფესა და დედოფალთან ძღვენით. ეს იყო: წმინდა ჯვარი, ხატი მსხნელისა, ერთი ლურსმანი და წერილი კონსტანტინესა და ელენესაგან. მირიანმა აავო კიდევ ორი ტაძარი, მოიწვია მთელი ხელისუფლება და ჩაატარა წმინდა ნათლობა. მოინათლა თვითონ, დედოფალი, ვაჟი მეუღლესთან ერთად; აკურთხა მდინარეები – არაგვი და მტკვარი და მონათლა ხალხი. ამ ადგილს ეწოდა მთავარი სანათლო. გაგრძელდა ტაძრების შენება და ხალხის მონათვლა. ნინოს თხოვნით მირიანმა ძალა არ იხმარა მთის ხალხის მოსანათლად.

წმინდა ნინომ ნავსაყუდელი ჰოვა ბოდბეში. გარდაცვალებამდე მეფედედიფალმა, ეპისკოპოსმა და მოსახლეობამ პატივი მიაგო წმინდა ნინოს. მეფის ასულმა სალომემ ნინოსაგან ჩაიწერა მისი გვარის ისტორია შთამომავლობისთვის. მთელი ქვეყანა ტიროდა ნინოს გარდაცვალების გამო. მეფეს სურდა, ნინო დაკრძალულიყო მცხეთაში, მაგრამ, ნინოს ანდერძის თანახმად, ეპისკოპოს იოანეს ნებით, ის დაიკრძალა ბოდბის ტაძარში. ეკლესიამ ის წმინდანად შერაცხა და მისი გარდაცვალების დღე დაწესდა მისი ხსენების დღედ.

საკვანძო სიტყვები: წმინდა ნინო, მირიანი, ჯვარი, ნათლობა, ბოდბის ტაძარი.

Key words: St. Nino, Mirian, The Cross, Baptism, Bodbe Temple.

3KB, 1849, №46, გვ. 215-216, „წმინდა რაჟდენი“: წმინდა რაჟდენი იყო პირველი წამებული ქართული ეკლესიისა, ერთი იმათგანი, ვინც, ღვთის წყალობით, ამარცხებდა მტერს V საუკუნეში. მაშინ საქართველო იყო სპარსელების გავლენის ქვეშ. ვახტან I-მა ზოროასტრიზმის მიმდევრები საქართველოდან განდევნა, დახურა მათი ნაცეცხლარი და კვლავ გაამყარა ქრისტიანობა. მისი მეორე მეუღლე, საბერძნეთის იმპერატორ ლეონის ასული ელენე მხარში ედგა მეუღლეს ეკლესიის განმტკიცებაში. სპარსელები ცდილობდნენ ურჩი ქართველების დასჯასა და განდევნილნი კვლავ შემოიჭრნენ ქვეყანაში. რაჟდენი წარმოშობით სპარსელი იყო, ქრისტეს რწმენით დატყვევებული და რამდენიმე წლის წინ მონათლული. ქრისტიანობის თავგამოდებული დამცველი ვახტანგმა მხედართმთავრად დანიშნა სპარსელთა წინააღმდეგ საბრძოლველად. სპარსელებმა დატყვევებულ რაჟდენს მოსთხოვეს რწმენის შეცვლა. ის კი ერთგული დარჩა თავისი რწმენისა, რისთვისაც დიდი სატანჯველი გადაიტანა. ბოლოს ჯვარს აცვეს წრომში, დაუნდობლებლა კი ისრები დაუშინეს. ასე დაიდგა მან წამებულის გვირგვინი. ქრისტიანებმა კი მალულად მღვდლის თანხლებით მისი ცხედარი მიწას მიაბარეს. ვახტანგ გორგასალმა დიდი ბრძოლით საბოლოოდ განწმინდა ქვეყანა სპარსელებისაგან, მოიძია წმინდანის ნეშტი და დიდი პატივით მიაბარა

ნიქოზის საკათედრო ტაძრის მიწას. მისი ხსენების დღეა 3 აგვისტო. გარდაიცვალა 454 წ. ვახტანგმა მალევე უჯარმაში აავიწმინდა შიოს სახელობის ტაძარი, მეორე კი – სამეგრელოში. ანტონ I-მა მას ქების წერილი უძღვნა გამოუქვეყნებელ ხელნაწერში.

საკვანძო სიტყვები: რაჟდენი, ვახტან I, ჯვარცმა, ნიქოზის ტაძარი.

Key words: Razhden, Vakhan I, The Crucifixion, Nicosia Temple.

3KB, 1849, №48, გვ. 220-225, „წმინდა იოანე ზედაზნელი“: წმინდა იოანე ზედაზნელი იყო მესოპოტამიიდან – ქრისტეს მებრძოლი ანგელოზის მორჩილების მქონე. განმარტოებით მოღვაწეობისას სიზმარში ღვთისმშობელმა დაავალა თავისი მონაფეხებიდან ამოერჩია 12 მორწმუნე და ივერიის მიწაზე წამოსულიყო სამოციქულო ქადაგებით. ასურელი მამები (ჩამოთვლილია მათი სახელები) საქართველოში ჩამოვიდნენ წმინდა ნინოს ქადაგებიდან 200 წლის შემდეგ, მეფე ფარნავაზის დროს. მათი ქადაგებებითა და სწეულთა განკურნებით ხალხი ივიწყებდა ძველ რწმენას ზადენზე. შემდეგ სულის შთაგონებით ის თავის მონაფეხებს ამწესებს ქვეყნის სხვადასხვა მხარეს. ორ თავის მონაფეს ჩააბარა ეპისკოპოსის კათედრა ნეკრესსა და წილკანში. სხვა წმინდა მამებმა მოიარეს რა საქართველოს სხვადასხვა მხარე, ბოლოს დაბინავდნენ და გარდაიცვალნენ იმ ადგილებში, რომელთა სახელებიც მიიღეს. ესენი იყვნენ: შიო მღვიმელი, დავით გარეჯელი, იოსებ ალავერდელი, ანტონ მარტყოფელი, თათე სტეფანწმინდელი, პიროს ბრეთელი, სტეფან ხირსელი, ზენონ იყალთოელი, ისიდორე სამთავნელი, მიხეილ ულუმბოელი. თვითონ იოანე კი ილია დიაკონთან ერთად განმარტოვდა მწვერვალზე. პირველი ტაძარი ზედაზნის მთაზე თავად წმინდა იოანეს აგებულა, სხვა კი საქართველოს კათალიკოს კლიმენტის მიერ გამოქვაბულის აღმოსავლეთით.

საკვანძო სიტყვები: იოანე ზედაზნელი, ასურელი მამები, ზედაზნის მთა, ტაძარი.

Key words: John Zedazneli, Assyrian Fathers, Zedaznani Mount, Temple.

3KB, 1849, №49, გვ. 227-228, „წმინდა შიო მღვიმელი“: შიო მღვიმელი წარმოშობით იყო ანტიოქიიდან, ძლიერი ოჯახის შვილი. მან მშობლებს შთააგონა – გაეცათ ქონება ლატაკებისათვის, გაეთავისუფლებინათ მონები და თავად მონასტერში წასულიყვნენ. ის 20 წლის ასაკში მშობლების უნებართვოდ იოანესთან ერთად პირველი 4 წელი იმყოფებოდა ზედაზნის მთაზე. იქ აირჩია განსასვენებლად მცხეთის დასავლეთით სარკინეთის ხეობა. მისი ცხოვრების ამალგებული წესი მნიშვნელოვანი გახდა ქართველებისათვის. ისინი მასთან მიდიოდნენ რწმენაში განსამტკიცებლად. მალე ეს ადგილი იქცა სასწავლებლად ქართული ეკლესიის შვილთათვის. მათი რაოდენობა მის დროსვე 1500 გახდა. წმინდა შიომ იქ ხელმძღვანელად სხვა დანიშნა, თვითონ კი თავისსავე ხელით გამოთხრილ

გამოქვაბულს შეაფარა თავი. საქართველოს მეფე ფარნავაზმა თავის კმაყოფაზე დააარსა ერთი ტაძარი მთის წვერზე, მეორე – ხეობაში იოანე ნათლისმცემლის სახელზე, მესამე კი – სამებისაზე; დანიშნა უდაბნოს მომსახირედ 4 სოფელი და სიგელით დაამტკიცა თავის შეწირულობა. მეფისა და ეპისკოპოსის თხოვნითა და რჩევით მან კათალიკოს მაკარისაგან მიიღო მღვდლის წოდება. გარდაიცვალა V ს. გამოქვაბულში. ქართულმა ეკლესიამ ის წმინდანად შერაცხა.

საკვანძო სიტყვები: შიო მღვიმელი, იოანე, ფარნავაზი, ტაძარი, წმინდანი.

Key words: Shio Mgvimeli, John, Parnavaz, Temple, Saint.

3KB, 1849, №12, 13, 14, 15, 16, 17, 18, გვ. 53-54, 57-58, 61-62, 65-66, 71-72, დიმიტრი ყიფიანი, „ნინო – საქართველოს განმანათლებელი“: აქ აღწერილია მთელი მისი ცხოვრება და მოღვაწეობა დაკრძალვის ჩათვლით.

საკვანძო სიტყვები: წმინდა ნინო.

Key words: Saint Nino.

3KB, 1849, №20, გვ. 83, „ზედაზნის ტაძრის ნანგრევების საკურთხევის კურთხევა“: სტატიის ავტორი ადგილობრივთან ერთად გაემართა ერთ-ერთი სირიელი მამის – წმინდა იოანე ზედაზნელის საფლავის სანახავად. მათ ერთი სერიოზული აზრი გაუჩნდათ, აღედგინათ ტაძრის ნანგრევი, რომ განეახლებინათ საკურთხეველი და ყოველ წელს წმინდა იოანეს საფლავზე ლიტურგია ჩატარებულიყო. მათ თანაუგრძნო უსამღვდელოესობა ისიდორემ და დაიწყო ხელმოწერების შეგროვება ამ მიზნით. 6 მაისს, წმინდა იოანეს ხსენების წინა დღეს შეკრებილი საზოგადოება სიამოვნებით შეხვდა ამ იდეას. აქ ჩამოთვლილნი არიან სამღვდელოების ის უმაღლესი წარმომადგენლები, რომლებმაც მიიღეს მონაწილეობა ამ დღის აღნიშვნაში. იქით მიმავალი გზა იყო რთული, ჩვენ ღრუბლებზე მაღლა აღმოვჩნდი. ხალხი ფეხით მიდიოდა, ქალების ნაწილი – ფეხშიშველაც კი. ხალხი აბსოლუტურად შეუიარაღებელი იყო, ე.ი. არანაირ ხიფს ელოდა. 30 წლის წინ აქ ლეზგები თარეშობდნენ. დღეს კი ისმოდა ღვთაებრივი სიმღერა. აღწერილია ტაძრის ნანგრევები. მახლობლად აუზია, როგორც ამბობენ, ის მთელი წელი მშრალია, მხოლოდ წმინდა იოანეს დღეს დგება მასში წყალო. აქა-იქ ტაძრის კედლებზეც ჩამოდის წვეთები, როგორც ცრემლები.

საკვანძო სიტყვები: სირიელი მამა, იოანე ზედაზნელი, ტაძრის აღდგენა, ლეზგები, ზედაზნის ტაძარი.

Key words: Syrian father, John Zedazn, rebuilding the temple, Lezgins, Zednazn temple.

3KB, 1849, №28, გვ. 109, „თბილისში წმინდა აბოს სამლოცველოს კურთხევა“:

საკვანძო სიტყვები: წმინდა აბოს სამლოცველო.

Key words: St. Abo Chapel.

3KB, 1849, №47, „წმინდა შუშანიკი“: I. სპარსელ-ცეცხლთაყვანისმცემელთა დევნის მიუხედავად, წმინდა შუშანიკმა ვახტანგ გორგასლის მეფობის პერიოდში (446-499 წწ.) თავისი ამაღლებული ცხოვრების წესითა და მოწამეობრივი აღსრულებით განამტკიცა ქრისტეს რწმენა ადამიანთა გულებში. დედოფალ შუშანიკის მეუღლე ვარსქენმა მიიღო სპარსელთა რწმენა და შაჰმა მეორე ცოლად მიათხოვა თავისი ასული. ამის შემდეგ შუშანიკი გაერიდა სასახლეს და თავი ტაძარს შეაფარა. იქ ის ღმერთს შესთხოვდა რწმენის შენარჩუნებას. განრისხებულმა ვარსქენმა არაერთგზის სცადა მისი დამორჩილება, მაგრამ უშედეგოდ. საბოლოოდ წმინდა დედოფალი ვარსქენის დაუნდობლობის მსხვერპლი გახდა, რის გამოც შუშანიკმა მოიპოვა საზოგადოების დიდი სიყვარული. წმინდანის გარდაცვალებიდან 120 წლის შემდეგ – 586 წელს საქართველოს კათალიკოსმა კირიონმა ცურტავის ტაძარში დაკლრძალული დედოფლის ცხედარი დიდი პატივით გადმოასვენა თბილისში, მეტეხის ტაძარში, სადაც დღემდე არსებობს მისი საფლავი. უცნაურია, მისი ხსენების დღე რატომ არის გადმოტანილი 28 აგვისტოს. შუშანიკის ცხოვრება აღწერა მისი წამების თვითმხილველმა. ანტონ I-მა კი XVIII საუკუნეში დანერა მასზე ქების წერილი.

საკვანძო სიტყვები: შუშანიკი, ვარსქენი, ვახტანგ გორგასალი, კათალიკოს კირიონი.

Key words: Shushanik, Varschen, Vakhtang Gorgasali, Catholicos Kiron.

3KB, 1849, №47, „წმინდა შუშანიკი“: II. წმინდა შუშანიკმა ექვსი წელი გაატარა ჯაჭვდადებულმა ტყვეობაში. მისმა გულშემატკივრებმა ძლივს მოიპოვეს უფლება ვარსქენისაგან, რომ საკვები მიეცათ. მისმა სულიერმა სიმტკიცემ ბევრზე მოახდინა დადებითი გავლენა. ის გარდაიცვალა 45 წლის ასაკში 458 წელს. ეპისკოპოსის თანდასწრებით მისი გვამი დაასვენეს იმ ტაძარში, რომლის ახლოსაც ის დიდხანს ეწამებოდა. წმინდა შუშანიკის ცხედარი დიდი პატივით გადაასვენეს ცურტავში. მისი ხსენების დღედ დანესდა 17 ოქტომბერი. ვახტანგ გორგასალი შეებრძოლა ვარსქენს, დაატყვევა და ჩამოკიდა.

საკვანძო სიტყვები: შუშანიკი, ვარსქენი, ვახტანგ გორგასალი, ეპისკოპოსი.

Key words: Shushanik, Varsaken, Vakhtang Gorgasali, Bishop.

3KB, 1849, №19, გვ. 77-79, ი. ა. სალივცი, „თამარ მეფე – ისტორიული მონაცემები, გადმოცემები და მისი გავლენა საუკუნოზე“: სტატიაში წარმოჩენილია თამარ მეფის იდეალური გარეგნობა, ბუნება, ნათელი გონება; მისი სწორი პოლიტიკური ხედვა. აღნიშნულია, რომ თანამედროვენი მისი მაგიური გავლენის ქვეშ იმყოფებოდნენ, შთამომავლები კი განსაკუთრებულ პატივს მიაგებდნენ. ისტორიკოსები მის მოღვაწეობას მაღალ შეფასებას აძლევენ, ახასიათებდნენ როგორც ბრძენს, სამხედრო ხელოვნების მკოდნეს, გულუხვსა და მოწყალეს,

არაჩვეულებრივი სილამაზის მქონეს. მის ხელზე ოცნებობდნენ მეფეები და უფლისწულები. თამარ მეფის აგებულია მრავალი ეკლესია და ციხე-სიმაგრე, ქალაქი და ხიდი. მას შერთეს რუსის დიდი თავადის ანდრეი ბოგოლიუბსკის ვაჟი იური – თავადი გიორგი. აქ მოცემულია თამარის ეპოქასთან დაკავშირებული ისტორიული მონაცემები და გადმოცემები; ნაწყვეტები შოთა რუსთაველის გამოუქვეყნებელი თხზულებიდან.

საკვანძო სიტყვები: თამარ მეფე.

Key words: Queen Tamar.

3KB, 1845, №6, გვ. 48-51, პ. ი., „საქართველოს მეფე დავით აღმაშენებელი (1089-1129)“: სტატიაში მოცემულია ისტორიული მონაცემები მეფის შესახებ.

საკვანძო სიტყვები: დავით აღმაშენებელი.

Key words:

3KB, 1849, №4, გვ. 14-15, „ირაკლი I ნაზარალიხანი“: აქ მოცემულია ამ მეფის პერიოდის საქართველოს ისტორიული მიმოხილვა.

საკვანძო სიტყვები: ირაკლი.

Key words: Irakli.

3KB, 1849, №7, გვ. 27, „ვახტანგ VI“: აქ მოცემულია ამ მეფის პერიოდის საქართველოს ისტორიული მიმოხილვა.

საკვანძო სიტყვები: ვახტანგ VI.

Key words: Vakhtang VI.

3KB, 1849, №9, გვ. 36-37; №10, გვ. 39-40; №11, გვ. 42-43, „კახეთი მაგომეტეანობის ძალაუფლების ქვეშ“: აქ გვაქვს XV-XVI საუკუნეების საქართველოს ისტორიული მიმოხილვა. კახეთში სპარსელების ზეწოლა იყო სუსტი, ვიდრე – ქართლში. ქართლის მეფეებს სათანადო მხარდაჭერა არ ჰქონდათ ქვეყნის შიგნით და ამიტომ სპარსელების გავლენას მეტად განიცდიდნენ. ეს იყო ქვეყნისთვის დამლუპველი პოლიტიკა, რაც ასუსტებდა კახეთსაც. აქ საუბარია: კახეთის გამგებელ გიორგიზე (ლევონ I-ზე), ქართლის – კონსტანტინეზე (1475 წ.) შაჰ ასუნ-ასანზე, შაჰ ისმაილ I-ზე, შაჰ თამაზე, ივანე მრისხანზე, ბორის გოდუნოვზე, ქეთევან წამებულზე.

საკვანძო სიტყვები: კახეთი, ქართლი, ქართველი მეფეები, ირანის შაჰები, ქეთევან წამებული.

Key words: Kakheti, Kartli, Georgian Kings, Shahs of Iran, Ketevan Martyr.

3KB, 1849, №10, გვ. 40, „არჩილი ან შაჰ-ნაზარ-ხანი (1664-1706 წ.)“: არჩილმა დედაქალაქი გადაიტანა თელავში, აქ აიშენა სასახლე, განაახლა ტაძარი, განამტკიცა ქრისტიანობა. ის დაქორწინდა თეიმურა I-ის ქალიშვილ ქეთევანზე.

აქვე საუბარია უფლისწულ ერეკლეზე (თეიმურაზის ვაჟზე), როსტომ ქართლის მეფეზე, რევამ ჩოლოყაშვილზე, ზაალ ერისთავზე; თათრების გამაგრებაზე ბახტრიონსა და ალავერდში; შალვა და ელიზბარ ერისთავებზე, ბიძინა ჩოლოყაშვილზე, უფლისწულ ირაკლიზე, ირანის შაჰზე...

საკვანძო სიტყვები: არჩილი, თეიმურაზი, ირანის შაჰი, თელავი, ქრისტიანობა.

Key words: Archil, Teimuraz, Shah of Iran, Telavi, Christianity.

3KB, 1849, №11, გვ. 42, „დავით იმამ ყულიხანი (1706-1722 წ.)“: დავითი გახლდათ ერეკლეს უკანონო შვილი. ის დაიბადა ისპაჰანში და გასაზრდელად დარჩა შაჰის კარზე, ასევე, მის სხვა უკანონო ძმა – კონსტანტინესთან ერთად. შაჰი იმედს ამყარებდა მაჰმადიანური რწმენით გაზრდილზე და 22 წლის ასაკში მამის – ირაკლის თხოვნით გამოგზავნა თავის სამეფოში (1706 წ.). ტანითა და გონებით სუსტი და გამოუცდელი, არათუ სცემდა პატივს რამე ქართულსა და ქრისტიანულს, ეზიზღებოდა ის, აქვე საუბარია ირაკლის კანონიერ ვაჟებზე – უფლისწულ თეიმურაზსა და ქართლის მმართველ ვახტან VI-ზე, კათალიკოს დომენტიზე, დედოფალ ანაზე (თეიმურაზის დედა).

საკვანძო სიტყვები: დავითი, ერეკლე, ვახტან VI, დედოფალი ანა, შაჰი.

Key words: David, Erekle, Vakhtang the VI, Queen Ana, Shah.

3KB, 1849, №11, გვ. 43-44, „მაგომედ ყულიხანი (1723-1729 წ.)“: ის გახლდათ ღვიძლი ძმა დავით ყულიხანისა, ქრისტიანული სახელით კონსტანტინე. ის ცხოვრობდა შაჰის კარზე. მისი ძმის გარდაცვალების შემდეგ კონსტანტინე გახდა კახეთის გამგებელი, რომელიც ვახტანგ მეფეს ცილს სწამებდა – რუსებს დამხმარედ იწვევსო და მას ამყოფებდა მძიმე მდგომარეობაში.

საკვანძო სიტყვები: კონსტანტინე, დავით ყულიხანი, ვახტან VI, შაჰი.

Key words: Konstantine, David Kulikhan, Vakhan VI, Shah.

3KB, 1845, №11, პ. ი., გვ. 94-96, „გურია და გურიის თავადები“: აქ აღწერილია გურიის ადგილმდებარეობა, ბუნება; მოცემულია ამ მხარის მოკლე ისტორიული მიმოხილვა; ჩამოთვლილნი არიან გურიის გამგებელი გურიელები – სულ 27 ისტორიული პირია დასახელებული.

საკვანძო სიტყვები: გურია, გურიელები, ისტორია.

Key words: Guria, Gurians, History.

3KB, 1850, №2, 3, 4, 5, 7, 8, 9, გვ. 6-7, 11, 19, 25-26, 29-30, 33-34, „საქართველოში ადრე და ახლა არსებული ქალაქები“: ეს ქალაქებია – ანანური, არაჯევანი, არმაზი ან ქართლი, არტაანი, ართვინი, არტანუჯი, ატენი, ახალგორი, ახალდაბა, ახალქალაქი, ახალციხე, აწყური, ბათუმი ან ბათო, ბაიბურთი, ბარალეთი, ბასიანი, ბეღია, ბოლნისი, ბოსტანქალაქი, გარდაბანი, ვარციხე,

თამარაშენი, თბილისი, თელავი, თმოგვი, ლორე, მძორეთი, მოვაკანეთი, მცხეთა, ნაქალაქევი ან აია, ნეკრესი, ოძრახი, ოზურგათი, ოლთისი, ონი, ოფრეთი, ორბეთი, რიზა, სათლე, სურამი, ქუთაისი ან ქუთათისი.

საკვანძო სიტყვები: საქართველოს ძველი ქალაქები.

Key words: Old Towns of Georgia.

3KB, 1845, №6, „დერბენდის რკინის კარი იმერეთში“: დარუნაბდის ან დერბენდის კარი საქართველოს დიდებული ეპოქის ნაწილია. ამ კარზე არსებული არაბული წარწერა გადმოწერა დიუბამ, ხოლო გაშიფრა აკად. ფრენდმა. აქ დასახელებულნი არიან არაბი ისტორიული პირები. სტატიაში მოტანილია ისტორიული ცნობები ამ ეპოქის საქართველოსთან დაკავშირებით (X-XI სს.). ისტორიული ცნობებით გელათის მონასტერი ააგო დავით III აღმაშენებელმა და მანვე მოიტანა დერბენდიდან ეს კარი. სტატიაში მოხსენიებულნი არიან: სომხეთის მეფე დავით I, ეკატერინე II, იმერეთის მეფე სოლომონ I, ასევე – ქ. ანი.

საკვანძო სიტყვები: დერბენდის კარი, დავით აღმაშენებელი, გელათის მონასტერი.

Key words: Derbent Door, David the Builder, Gelati Monastery.

3KB, 1845, №22, გვ. 217-220, „მოგზაურის ჩანაწერები კახეთში“: ეს სტატია ეხება ორკვირიან მოგზაურობას, რომელიც იწყება თბილისის ორადგამყოფი მდინარე მტკვრის მეორე მხარეს – ნავთლულით და მოგზაური აღწერს ყველა ღირშესანიშნაობას, რაც თელავამდე შეხვდა: მეფე ერეკლე II-ის ციხეს, დასახლებულ პუნქტებს: ჰატარა და დიდ ლილოს, საჯავახოს; დასახლებულია ამ კუთხეების ეკლესიები, ამ მხარესთან დაკავშირებული ღირშესანიშნაობები: ლოჭინი (ძველი დასახელებით, ომანისხევი), სალომიანი, მარტყოფი, სართიჭალა, გარეჯი, სამგორი, გლდანი, ყარაგაჩი, საგურამო, გარდაბანი, უჯარმა – საურმაგ II-ის გაშენებული (III ს. ქრისტეს შობამდე), ხაშმი, მუხრანიანი, ნუკრიანი, სიღნაღი. ჩამოთვლილნი არიან რუსთავის ეპისკოპოსები: ზაქარია, დომენტი, პავლე, ნიკოლოზი, იოსები. მოცემულია მათ შესახებ მოკლე ინფორმაციები.

საკვანძო სიტყვები: თბილისი, მტკვარი, თელავი, ეკლესიები, ეპისკოპოსები.

Key words: Tbilisi, Mtkvari, Telavi, Churches, bishops.

3KB, 1845, №12, 13, 14, 16, გვ. 94-96, 126-132, 163-165, პ. ი., „შიო მღვიმის უდაბნო“: სტატიაში მიმოხილულია ამ კუთხის ისტორია დაწყებული ქრისტეს შობამდე; საუბარია: არმაზზე, მცხეთაზე, შიო მღვიმის მონასტერზე, მეფე ფარნავაზზე, მთელ რიგ სირთულეებზე რაც ამ მხარეს გადახდა. დაბეჭდილია წარწერები ტაძრის კედლებიდან; გამოქვეყნებულია ისტორიული მნიშვნელობის აქტები.

საკვანძო სიტყვები: შიო მღვიმის უდაბნო, არმაზი, მცხეთა, ფარნავაზი.

Key words: Shio –Mghvime Desert, Armazi, Mtskheta, Parnavaz.

ЗКВ, 1852, №42, გ. პერევალენკო „ხონი“: ხონი მღებარეობს მდინარე სიონში ჩამდინარე წყალტან. ახლა ის მშვენიერი სავაჭრო ცენტრია. ბაზრის გარდა, აქ პარასკევობით იმართება ბაზრობა და 25 ოქტომბერს სხვადასხვა მხრიდან მოაქვთ საოჯახო წვრილმანები, ქეჩა, ლეზგური მაუდი, მაგრამ მთავარი მაინც არის თამბაქოს წარმოება. აქ მშვენიერი ამერიკული თამბაქოს ნათესებია. აქ არის უძველესი წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია, რომელიც, ქართველი ჟამთააღმწერლის მიხედვით, აგებულია I საუკუნეში, მაგრამ ლეგენდა მის აგებას თამარ მეფეს მიანერს. ეკლესიაში ასვენია ფეხზე მდგომი წმინდა გიორგის ვერცხლით მოჭედილი საუკეთესო ხატი. ისტორიული წარწერიდან ჩანს, რომ ჭედურობით დამშვენებულია ბაგრატ კურაპალატის ვაჟის – მეფე გიორგის მიერ და შემდგომ არის განახლებული. აქვეა ღვთისმშობლის მომცრო ხატიც – ანჩისხატად წოდებული. ნათქვამია, რომ ის გადმოტანილია თბილისის ანჩისხატის ეკლესიიდან. მნიშვნელოვანია, ასევე, მეფე ბაგრატის ჭედური ვერცხლის ჯვარი ღვთაებისა და წმინდანების გამოსახულებით – არქიეპისკოპოს ზაქარაის დროინდელი. არის, აგრეთვე, მომცრო ზომის მხედარ წმინდა გიორგის ხატი – 1663 წელს შექმნილი და ლევან დადიანის შეწირული ისტორიული წარწერით.

საკვანძო სიტყვები: ხონი, ბაზრობა, ეკლესია, მეფე, ხატები.

Key words: Khoni, Fairs, Church, King, Icons.

ЗКВ, 1830, №10, პლატონ იოსელიანი, „საქართველოს ქალაქების აღწერა“: ამ სტატიაში აღნიშნულია, რომ ხონში მე-19 საუკუნემდე იყო მთელი იმერეთის საკათედრო ტაძარი. ის ლაზებს აუგიათ პირველწამებულ სტეფანოზის სახელზე.

საკვანძო სიტყვები: ხონი, ლაზები, ტაძარი, იმერეთი.

Key words: Khoni, Laz, Temple, Imereti.

ЗКВ, 1845, №16, გვ. 163-165, პ. ი., „კაცხის ტაძარი იმერეთში“: აქ მოცემულია ამ ტაძართან დაკავშირებული ისტორიული ცნობები; გეოგრაფ ვახუშტის მიერ იმერეთის აღწერა.

საკვანძო სიტყვები: კაცხის ტაძარი, იმერეთი, ვახუშტი.

Key words: Katschi Cathedral, Imereti, Vakhushti.

ИКОИРГО, 1916, ტ. 24, №3, გვ. 341-345, ლ. მ., მელიქსეთ-ბეგი, „ცურტავის ადგილმდებარეობის საკითხისთვის“: აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აქ მიმოხილულია „შუშანიკის წამებისა“ და „მოქცევაი ქართლისაის“ მონაცემები, სადაც არაფერია ნათქვამი ამ პუნქტის ადგილმდებარეობის შესახებ, ისევე, როგორც – შუშანიკის ცხოვრების სომხურ ვერსიაში. არაფერია ნათქვამი VII-ის

გეოგრაფიაშიც. ძველ სომხურ ეპისტოლეში ცურტავი მოიხსენიება როგორც სომხურ-ქართული საეპისკოპოსო (V-X სს.); ასევე, მოცემულია ამ სახელის ეტიმოლოგიის ცდა; განხილულია ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფია, სომეხი ისტორიკოსის- უხტანეს (X ს.), ფ. უორდანიას, მ. ბროსეს მონაცემები. ბოლოს კი ავტორი მიუთითებს, რომ ცურტავის ადგილსამყოფელი საძიებელია ან ახლანდელი ახტალის, ან ძველი გაჩიანის მიდამოებში, კერძოდ კი სად – უცნობია.

საკვანძო სიტყვები: ცურტავი, შუშანიკი, საეპისკოპოსო.

Key words: Tsurtavi, Shushanik, Episcopal.

ИКОИРГО, 1916, ტ. 24, №1, გვ. 36-40, ლ. მ., მელიქსეთ-ბეგი, „ახალი შეხედულება «ივერიის» სახელწოდების წარმოშობის შესახებ“: აქ მოცემულია „ივერიის“ (იბერიის) სახელწოდების ეტიმოლოგიის ცდისას გამოთქმული ადრინდელი და ბოლო დროინდელი მოსაზრებები; მოტანილია: ნ. მარის, ივ. ჯავახიშვილის, ი. ყიფიანის კვლევების შედეგები.

საკვანძო სიტყვები: ივერია, იბერია, ეტიმოლოგია.

Key words: Iveria, Iberia, etymology.

СМОМПК, 1882, №2, განყ. 1, გვ. 18-35, ვ. განი, „მწერლების მოკლე ცნობები კავკასიის შესახებ“: აქ მოცემულია მწირი ინფორმაცია: კოლხეთის, არგონავტების ლაშქრობის, აიეტის, ფაზისის შესახებ. მოტანილია ინფორმაცია: ჰესიოდეს, ჰეროდოტეს, პინდარეს, ესქილეს, ქსენოფონტეს, ჰიპოკრატეს, სტრაბონის მოსაზრებებიდან; ასევე – ისტორიული ცნობები აფხაზეთისა და იბერიის შესახებ; ნახსენებია ლაზიკა.

საკვანძო სიტყვები: კოლხეთი, არგონავტები, აფხაზეთი, იბერია.

Key words: Colchis, Argonauts, Abkhazia, Iberia.

СМОМПК, 1882, №2, განყ. 1, გვ. 59-65, ა. ი. ჯავახიშვილი, „ქალაქი გორი“: სტატიაში მოცემულია ისტორიული ცნობები ქ. გორთან, გორის ციხესთან, ურბნისთან დაკავშირებით. აქ ვხვდებით «გორის» ეტიმოლოგიას, გორის ციხის აღწერას; ასევე მოცემულია ისტორიული მიმოხილვა ბაგრატ II-სთან, ბიზანტიის იმპერატორთან, სოლომონ მეფესთან, როსტომ მეფესთან, ვახტანგ VI-სთან, ერეკლე II-სთან და თეიმურაზ II-სთან დაკავშირებით. აქვეა უფლისციხის აღწერა, ინფორმაცია – ძველი ქალაქის ურბნისის ნანგრევებთან დაკავშირებით.

საკვანძო სიტყვები: ქ. გორი, ქართველი მეფეები, ურბნისი, უფლისციხე.

Key words: City Gori, Georgian Kings, Urbnisi, Uplistsikhe.

ИКОИРГО, 1905, ტ. 18, №1, გვ. 39-46, ი. ი. კალფოგლუ, „ცნობები ბათუმის შესახებ“: აქ მოცემულია ბათუმის ისტორია რუსეთთან შეერთებამდე (1878 წ.), ასევე – უძველესი ისტორიული ცნობები: ბათუმის, ლაზაკას, ფაზისის შესახებ; აქ

ნაჩვენებია თუ როდიდან, სად და ვის მიერ მოიხსენიებოდა ეს სახელი; მითითებულია – რომელ მდინარეს ერქვა ბათუმი; აქვეა „ბათუმის“ ეტიმოლოგია. ნათქვამია, რომ ის თურქული სიტყვაა. საუბარია: არაბთა, სპარსელთა ბრძოლებზე; აქვე ნახსენებია: ბიზანტია, სომხეთი, ტრაპიზონი, კონსტანტინეპოლი, იბერია, კოლხები, თურქები, ასევე მოიხსენიებიან: თამარ მეფე და სხვა ისტორიული პირები. მოცემულია ამ კუთხის ისტორიული მიმოხილვა; აქ საუბარია ბათუმის მიმართ თურქთა ინტერესებზე; ნახსენებნი არიან ქართველი და თურქი დიდგვაროვნები.

საკვანძო სიტყვები: ბათუმი, ლაზიკა, ფაზისი, თურქერები, ისტორიული პირები.

Key words: Batumi, Lazika, Fazis, Turks, historical persons.

3KB, 1846, №2, გვ. 17-26, მ. მაისუროვი, „თბილისი“: აქ აღწერილია თბილისის ბუნება, მისი რაიონები, თბილისისა და საქართველოს ისტორია, განათლების საკითხები; საუბარია მასზე როგორც კომერციულ ცენტრზე. ყოველივე ამის საფუძველზე ავტორი საუკეთესო მომავალს უწინასწარმეტყველებს საქართველოს.

საკვანძო სიტყვები: თბილისი, საქართველო, ისტორია.

Key words: Tbilisi, Georgia, History.

3KB, 1846, №4, გვ. 52-54, პ. ი., „ერეკლე მეორის დროინდელი მონეტები“: აქ აღწერილია და დახასიათებულია ქართული მონეტები: შაური, აბაზი, სამი აბაზი, უბალთუნი, სპარსული აბაზი, ჩერნოვეცი.

საკვანძო სიტყვები: მონეტა, შაური, აბაზი, ჩერნოვეცი.

Key words: Coin, shaur, abaz, chernovets.

3KB, 1846, №6, 8, გვ. 67-73, 83-90, პ. ი., „ქართველთა სხვადასხვა სახელწოდებები“: აქ საუბარია უძველესი დროიდან მოყოლებული: ქართველების, მათი ტომებისა და დასახლებული პუნქტების სახელწოდებებზე.

საკვანძო სიტყვები: ქართველები, ტომები, გეოგრაფიული პუნქტები სახელწოდებები.

Key words: Georgians, Tribes, Geographical Points.

3KB, 1845, №3, 4, 5, 6, 7, გვ. 22-25, 28-33, 40-51, 54-59, „მონასტერი საქართველოში“: დიდი ანტონ მარტყოფელის წმინდა სავანეში მომლოცველები დადიოდნენ 15 აგვისტოს – ღვთისმშობლის მიძინების დღეს და 19 იანვარს წმინდა ანტონის ხსენების დღეს. სტატიაში აღწერილია იქ შესრულებული რიტუალი, რომელიც ღამისთევით იწყებოდა; საუბარია მამა ანტონზე, რომელიც იქ 445 წ. ჩასულა ქრისტიანული რწმენის გასამტკიცებლად, ასევე – მის მოღვა-

წეობაზე; აღწერილია მონასტეთან დაკავშირებული XVII, XVIII, XIX საუკუნეების მოვლენები. ამ მონასტრის ბოლო წინამძღვარი ყოფილა არქიმანდრიტი ზენონი.

საკვანძო სიტყვები: მონასტერი, რიტუალი, მამა ანტონი, ზენონი.

Key words: Monastery, Ritual, Father Anthony, Zenon.

ЗКВ, 1845, №19, 20, გვ. 191-192, 202-207, ი. ნ., „უფლისციხე“: სტატიაში აღწერილია მისკენ მიმავალი გზის ბუნება; შემხვედურ სასაფლაოსთან არსებული 4 ძალიან ძველი ეკლესია. საფლავებთან დაყრილი ჭურჭლის ნამსხვრევებით. გაირკვა, რომ დაკრძალვის შემდეგ საფლავთან სუფრა იშლება, მოხმარებულ ჭურჭელს კი ამტვრევენ. მტკვარზე გადებული გორისა და უფლისციხის დამაკავშირებელი ხიდი ნანგრევებად არის ქცეული. სხვა ნანგრევებიც საკმაოდ არის. ყოველივე ეს მიანიშნებს, რომ აქ ოდესღაც დულდა ცხოვრება, რომელიც დიდი ხანია შეწყვეტილა. აქვეა ეკლესია. სტატიაში აღწერილია შენობათა განლაგება. აქ ცხოვრება ყოფილა ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ქართველები თაყვანს სცემდნენ მზეს. ეს ხდებოდა სკვითთა შემოსევამდე, ე.ი. უფლისციხე დაარსებულია უძველეს დროში. ის გააძლიერა არტამუჯმა, რომელიც მეფობდა ქრისტემდე ოცი წლით ადრე. სტატიაში ნახსენებია პომპეი და რომი.

საკვანძო სიტყვები: უფლისციხე, მტკვარი, დაკრძალვა, სუფრა, პომპეი, რომი.

Key words: Uplistsikhe, Mtkvari, Funeral, Table, Pompeii, Rome.

ЗКВ, 1845, №22, 23, 24, 25, 26, გვ. 217-221, 224-232, 236-244, 248-258, 278-285, პ. ი., „კახეთში მოგზაურის ჩანაწერები“: მოცემულია კახეთის ისტორიული მიმოხილვა.

საკვანძო სიტყვები: კახეთი, ისტორია.

Key words: Kakheti, History.

ЗКВ, 1846, №12, გვ. 121-126, ა. კორსუნოვი, „თბილისი“: აქ აღწერილია მისი ბუნება, უბნები, მოსახლეობა, ეკლესიები, აბანოები, ბაზრები... მოცემულია თბილისის ისტორიული მიმოხილვა.

საკვანძო სიტყვები: თბილისის უბნები, აბანოები, ისტორია.

Key words: Tbilisi neighborhoods, baths, history.

ИКОИА, 1884, ტ. 1, გვ. 11-22, დ. ზ. ბაქრაძე, „ახლად მოპოვებული მასალები ვახუშტის საქართველოს ისტორიიდან“: მოცემულია საქართველოს ისტორიული მიმოხილვა.

საკვანძო სიტყვები: ვახუშტი, ისტორია.

Key words: Vakhushhti, History.

ТЛ, 1889, №189, „ქართველი დედოფალი და სპილენძის ფული“: სახელმწიფოს ბრძანებით 1810 წელს ქართველი დედოფალი მარიამი ცხოვრობდა კურსკის გუბერნიის სამაზრო ქალაქ ბელგოროდში. იქ მისი ცხოვრება იყო მოწყენილი და ერთფეროვანი. მას ჰქონდა დანიშნული ჯამაგირი, მაგრამ ბელგოროდის სამაზრო ხაზინიდან არც ისე რეგულარულად იღებდა მას. ამდენად, ქართველი დედოფალი საკმაოდ მძიმე პირობებში ცხოვრობდა.

საკვანძო სიტყვები: დედოფალი, ჯამაგირი, კურსკის გუბერნია, ბელგოროდი, ხაზინა, გუბერნატორი.

Keywords: Queen Mariam, salary, Kursk governor, Belgorod, treasury, governor, D. A. Prozorovsky.

ТФБ, 1831, №24, 25, 26, „ტიფლისის ისტორია“: საქართველოს დედაქალაქ ტიფლისის ისტორია არის მოკლე წარმოსახვა 1500-წლიანი ბრძოლებისა ამ პატარა სამეფოს მრისხანე მეზობლებთან. ტიფლისის დაარსება დაკავშირებულია ომთან, როდესაც მეოთხე საუკუნის ბოლოს ოცდამეშვიდე მეფის ვარაზ-ბაკურის მეფობის დროს, თავს დაესხა საქართველოს სპარსელი შაჰი უბარაბი. ეს მოხდა იმის გამო, რომ ქართველი მეფე იყო კავშირში საბერძნეთის იმპერატორ ფიოდოსიესთან. სპარსელები მიუახლოვდნენ მცხეთას, მაგრამ ვერ დაიპყრეს იგი. მაშინ უბარაბმა გადაწყვიტა მცხეთასთან ახლოს აეშენებინა ციხესიმაგრე, რომ მუდმივ შიშში ჰყოლოდა ქართველები. მან ადგილი შეარჩია თბილ წყაროებთან მალ-ლობზე, თანამედროვე ტიფლისის სამხრეთ ნაწილში, სადაც დღემდე ჩანს ნანგრევები, მაგრამ მისი მმართველობა მალევე დასრულდა.

საკვანძო სიტყვები: ტიფლისი, მცხეთა, მეფე ვარაზ-ბაკური, შაჰი უბარაბი, საქართველო, კახეთი, ივერია, იმპერატორი ფიოდოსიე.

Key words: Tiflis, Mtskheta, king Varza-banar, shah Ubarab, Georgia, Kakheti, Iveria, Emperor Fiodosii.

ТЛ, 1898, №44, ა. ერისცივი, „ქართველი მეფის ერეკლე II ის გარდაცვალება და დაკრძალვა“: 1798 წლის 10 იანვრის ღამეს, 11 იანვარი რომ თენდებოდა, თელავში გარდაიცვალა 78 წლის ასაკში ქართველი მეფე ერეკლე II. ამ დროს საქართველოში ჯერ კიდევ ხალხი გონზე არ იყო მოსული ალა-მახმად-ხანის თავდასხმის გამო. გარდა ამისა, სამეფო ოჯახის უთანხმოებებმა ანგრევდა დიდი ძალით შექმნილ სამეფოს: მისი ცოლის, დარეჯანის, ინტრიგებმა, შვილების მტრობამ და ურჩობამ, მიაჯაჭვა ის ლოგინს. უფლისწულმა გიორგიმ 1797 წელს გაამგზავრა თავისი შვილი დავითი პეტერბურგში, რომ მიეღო თანხმობა მამის ტახტზე ასასვლელად. პავლე I-მა მიიღო დავითი იმ დროს, როცა თელავში დაიღუპა ერეკლე II. ცოლმა აიძულა ერეკლე, სიკვდილის წინ შეეცვალა ანდერძი, რომელშიც იყო ჩამატებული, რომ გიორგის სიკვდილის შემდეგ ტახტზე ავიდოდა მისი შვილი იულონი.

ერეკლე II სიკვდილის შემდეგ განვითარებულ მოვლენებზე ჩვენ ვიგებთ შენშინის წერილიდან, რომელიც ჩამოვიდა თელავში ერეკლე II შვილთან მირიანთან ერთად.

სიკვდილის დღეს ერეკლეს ოჯახი შედგებოდა 89 ადამიანისგან, აქედან 49 მამაკაცი და 40 ქალი. ერეკლე სამჯერ იყო დაქორწინებული. ყოფილი ორი ცოლისგან ერეკლეს შთამომავლობა 16 ადამიანი იყო, ხოლო დარეჯანისაგან – 39. გიორგი ორჯერ იყო დაქორწინებული და მისი ოჯახი შედგებოდა 34 ადამიანისგან. ერეკლეს ოჯახის წევრებს ყოველთვის ერთმანეთში უთანხმება ჰქონდათ და ცდილობდნენ საქართველოს ნაწილებად დაყოფას. სიკვდილის დროს ერეკლესთან იმყოფებოდნენ მხოლოდ დარეჯანი, მათი შვილები – კათალიკოსი ანტონი, ვახტანგი და გიორგის შვილი ბაგრათი. გიორგი იყო ყიზიხში, დანარჩენები – სამეფოს სხვადასხვა ნაწილში. თბილისში არაფერ იყო შავი ჭირის გამო. თავად ერეკლეც ტიფლისში 1795 წლის 13 სექტემბერის განხეთქილების შემდეგ არ დაბრუნებულა, რადგან მას არ შეეძლო დანგრეული თბილისის ყურება.

როგორც კი გაიგო გიორგიმ მამის დაღუპვის ამბავი, მაშინვე მეფედ გამოაცხადა თავი და ერთგულების ფიცი დაადებინა თავად-აზნაურებსა და ხალხს. დაკრძალვაზე იყო მოწვეული ყველა თავადი და აზნაური. ყველა მომსვლელს დაურიგდა სამგლოვიარო სამოსი – ზედა ხიფთანი, რომელიც შეკერილი იყო შავი ტილოს ქსოვილისგან. ყველა იღებდა საკვებს. შეიკრიბა ბევრი ხალხი. ესვენა მეფის სხეული ორმაგ კუბოში, რომელიც ყველა მხრიდან იყო ყინულში. კუბო დასვენებული იყო თელავის მონასტერში. მონასტრის ეზოში ბოძებზე იყო გაკეთებული გალერეა, სადაც გაფენილი იყო ყველაზე მდიდრული სპარსული ნოხები, რომლებზეც ეწყო ყველა სამეფო იარაღი, ტანსაცმელი, ძვირფასეულობა, ღირსეუბები, აბჯარი. იქვე მახლობლად იყო მეფის ორი საყვარელი სპარსული ცხენი.

შემდეგ ავტორი აღწერს ერეკლე II-სთან დამშვიდობების ცერემონიას. ლოცვას კითხულობდა კათალიკოსი ანტონ II. დაკრძალვის მსვლელობა ჯარის თანხლებით დაიძრა მცხეთისაკენ. კუბო მიჰქონდათ თავად-აზნაურებს. ორი უფლისწული აცილებდა მამას უკანასკნელ გზაზე, დანარჩენები კი დარჩნენ თელავში. გზაში ისინი სამი დღე იმყოფებოდნენ და როდესაც მივიდნენ მცხეთაში, კუბო მოათავსეს უკვე მომზადებულ სამარეში.

დაკრძალვის შემდეგ კახეთის თავად-აზნაურები დაბრუნდნენ თელავში, სადაც მეფე გიორგიმ აიძულა მათ ფიცის დადება. მეორე დღეს თელავში მეფედ აღიარეს გიორგი.

საკვანძო სიტყვები: ერეკლე II, დედოფალი დარეჯანი, გიორგი, პეტერბურგი, პავლე I, დავითი, მირიანი, გეორგიევსკი, თელავი, ვახტანგი, კათალიკოსი ანტონ II, გორი, ტიფლისი, ალექსანდრე, მცხეთა.

Keywords: Erekle II, Aga-Magomed-Khani, Queen Daria, George, Petersburg, Pavle I, David, Mirian, Giorgievsky, Telavi, Vakhtang, Catholic Anthony II, Gori, Tiflis, Alexander, Mtskheta.

ТФБ, 1830, №93, „ერეკლე მეორეს მეფობა“: ერეკლე მეორე დაიბადა 1716 წელს, საქართველოსთვის ყველაზე არეულ პერიოდში, როდესაც ლეზგები აწყობდნენ მუდმივ თავდასხმებს კახეთზე, ქართველი მეფეები იყვნენ მაჰმადიანთა უღელქვეშ, მათ ავიწროვებდნენ თურქები და სპარსელები. ერეკლე აღზარდეს კათალიკოსმა ანტონმა და მღვდელმა ზაქარიამ. მან ისწავლა ბევრი მცნება, ცხენოსნობა და სროლა. ერეკლე იყო ძალიან მორწმუნე ქრისტიანი, ხშირად დადიოდა ეკლესიაში. მამამისი, თეიმურაზი, მეფობდა 1731–1737 წწ. მოტყუებითი იგი გაემგზავრა შაჰ-ნარინის, რომელმაც ერთგულების ნიშნად უბრძანა იქ ჩაეყვანა მისი შვილები – ერეკლე და ქეთევანი. ქეთევანი გაათხოვეს შაჰ-ნარინის ნათესავზე. მხოლოდ თეიმურაზი დაბრუნდა საქართველოში. შაჰ-ნარინმა წაიყვანა ერეკლე სალაშქროდ ინდოეთზე. ამ ლაშქრობაში ერეკლემ გამოიჩინა თავმჯდომეობა და წინამძღოლის უნარი. შაჰ-ნადირი უსმენდა მის რჩევებს, ხოლო ინდოელმა ბრამინებმა და ფაკირებმა იმდენად დააფასეს ერეკლე, რომ მისი გამონათქვამები გამოიყენეს ანდაზებში. დაბრუნებისთანავე შაჰ-ნარინმა გამოუშვა ერეკლე საქართველოში, თან დაჰპირდა დახმარებას და რომ არ შეაფინროვებდა მის სამეფოს.

1745 წლიდან ერეკლემ დაიწყო კახეთის მართვა. მას ახასიათებდა სიმამაცე და გამჭრიახობა. 1745 წელს, როდესაც გივი ამილახვარი თურქების დახმარებით შეეკედლა სურამს და აუჯანყდა ერეკლეს, შაჰ-ნადირის დახმარებით ერეკლემ დაამარცხა ის. შაჰ-ნადირის სიკვდილის შემდეგ, საქართველოში სიმშვიდემ დაისადგურა.

საკვანძო სიტყვები: ერეკლე II, თეიმურაზი, ქეთევანი, კახეთი, კათალიკოსი ანტონი, მღვდელი ზაქარია, საქართველო, ტიფლისი, ისპაჰანი, შაჰ-ნარინი, სპარსეთი, ალი-ყული-ხანი, ინდოეთი, გივი ამილახვარი.

Key words: Erekle II, Teimuraz, Qetevan, Kakheti, catholic Anton, priest Zakhari, Georgia, Tiflis, Ispagan, Shah-Narin, Percia, Ali-Kuli-Khan, India, Givi Amilakhvari.

ТФБ, 1830, №94, „ერეკლე მეორეს მეფობა“: ალი-ყული-ხანი, მეტსახელად შაჰოვი, როცა ავიდა სპარსეთის ტახტზე, თავისთან იხმო თეიმურაზ მეფე. ერეკლე დატოვა ქართლის მბრძანებლად, მაგრამ ყველა საქმეში ის უნდა შეთანხმებოდა უფლისწულს და იესე-აბდულ-ბეგს (არჩილს). მეფის წასვლის შემდეგ, აბდულ-ბეგი ურჩევდა სომხებს აჯანყებას ერეკლეს წინააღმდეგ. უზარმაზარი ჯარის შეკრების შემდეგ, აბდულ-ბეგი ჩავიდა თბილისში. ერეკლე მეფე დაუყოვნებლივ თავს დაესხა მას და გააგდო ქალაქიდან. აბდულ-ბეგი მიიმალა სამშვილდის ცხისმეგრეში. ერთი წლის შემდეგ სპარსელებმა, რომლებიც დარაჯობდნენ ნარიყალას, აბდულ-ბეგის მოსცილულებმა, მიიტანეს იერიში ქალაქზე. ერეკლემ

ჯარით ქალაქის მაცხოვრებლებთან ერთად ალყა შემოარტყა ნარიყალას. ატყდა სისხლისმღვრელი ბრძოლა. ამ დროს დაღესტანიდან შემოვიდნენ ლეზგები და დაიკავეს ავჭალა. ერეკლემ დაარბია მათი ჯარი შირაქთან და დაბრუნდა დედოფლისწყალში. ცოტა ხანში ლეზგები დაბრუნდნენ უფრო დიდი ჯარით, თუმცა ერეკლემ მაინც დაამარცხა ისინი და ისევ გაემართა თბილისისაკენ. იქ მან აიღო ნარიყალასა და სამშვილდის ციხესიმაგრეები. 1749 წელს ერეკლე დაბრუნდა თბილისში, ასევე – მამამისი თეიმურაზიც. თეირანში, იბრაგიმ-შაჰის სიკვდილის შემდეგ, აზერბაიჯანის ოლქის მეთაური მაგომედ-ხანი თავს დაესხა ერევნის ციხეს და ალყაში მოაქცია. ერევნელებმა ერეკლესა და თეიმურაზს დახმარება სთხოვეს.

საკვანძო სიტყვები: ალი-ყული-ხანი, ადილ შაჰოვი, სპარსეთი, მეფე თეიმურაზი, ერეკლე II, აბდულ-ბეგი, ტიფლისი, ნარიყალა, დაღესტანი, ავჭალა, დედოფლისწყარო, მაგომედ-ხანი, აზერბაიჯანი, ერევანი.

Key words: Ali-Kuli-Khan, Adil Shakhov, Persia, king Teimuraz, king Erekle II, Kartalinia, Abdul-Beg, Tiflis, Narikala, Dagestan, Avchala, Dedoflistskali, Magomed-Khan, Azerbaijan, Erevan.

ТФБ, 1830, №95, „ერეკლე მეორე“: აზერბაიჯანისა და მთელი სპარსეთის მეთაურმა, აზათ-ხანმა, გაუშვა მუსა-ხანი ჯარით ერევნის ციხესიმაგრის ასაღებად. ციხესიმაგრის მცხოვრებლებმა თეიმურაზსა და ერეკლეს დახმარება სთხოვეს. ერეკლემ შეკრიბა ჯარი და გაილაშქრა ერევნისაკენ. ამის გაგებისთანავე, მუსა-ხანმა დაუყოვნებლივ დატოვა ერევნის ციხე-სიმაგრე. ერეკლე მივიდა ერევანში, დაურიგა გაჭირვებულებს ნადავლი, წამოვიდა და გაჩერდა ყარაბულაყში. მუსა-ხანმა ამბავი მიუტანა აზათ-ხანს ერეკლეს ქმედების შესახებ, რომელიც განრისხდა, შეაგროვა ჯარი და დადგა ბანაკით გორნიჩაიში. ამის გაგებისთანავე, ერეკლემ მოიწვია საბჭო. ბევრმა ურჩია დანებება, მაგრამ მამაცი ერეკლე არ დანებდა. ერეკლე 2500-კაციანი ჯარით დაუპისპირდა სპარსეთის 30000-იან ჯარს. სტატიაში მოცემულია ბრძოლის აღწერა, სადაც თავიანთი მეფის უშიშრად ბრძოლის შემხედვარე ქართველები მამაცურად იბრძოდნენ. მტერი დამარცხდა და მთელი იარაღი დარჩათ ქართველებს. მეფე ერეკლე ზარზეიმით დაბრუნდა თბილისში.

საკვანძო სიტყვები: მეფე ერეკლე მეორე, მეფე თეიმურაზი, აზათ-ხანი, მუსა-ხანი, სპარსეთი, ერევანი, თავრიზი, ყარაბულაყი, გორნიჩაი, მეფე გიორგი, საქართველო, სულთანი ალავერდი, თბილისი.

Key words: Erekle II, king Teimuraz, Azat-Khan, Musa-Khan, Persia, Tavriz, Karabulak, Gornichai, king Giorgi, Georgia, sultan Alaverdi, Tiflis.

ТЛ, 1900, №57, ალ. მირიანაშვილი, „ლევან მეფის ქალიშვილი“: 1520 წელს ტახტზე ავიდა ლევან I, მეფე ავგიორგის შვილი. იგი მეფობდა კახეთში. მეფედ

იკურთხა ბოდბეში, წმინდა ნინოს მონასტერში და დაიღუპა 1574 წელს. თავისი მეფობის დროს მან კახეთს შეუერთა ფშავი, ხევსურეთი და თუშეთი, აგრეთვე, ლეზგეთის ნაწილით.

შემდეგ ავტორი აღწერს თანამედროვე ქალაქ გრემს, რომელიც ოდესღაც კახეთის დედაქალაქი იყო. ახლა ყველგან ჩანს ქალაქის ნანგრევები. აქ ყურადღებას იქცევს ძველი ტაძარი, ეკლესია ქვის ღობით, რომელსაც უერთდება სამეფო სასახლე. ტაძარი აგებულია პატარა კლდეზე და იგი იყო ყველაზე კარგი თავშესაფარი იმ დროს.

ავტორი წერს, რომ ხალხის მახსოვრობაში ცოცხლობს ერთი ძველი ლეგენდა: მეფე ლევანს ჰყავდა ულამაზესი ქალიშვილი. მისი სილამაზის შესახებ ყველამ იცოდა და ჰყავდა ბევრი ხელის მოხოვნილი, მაგრამ ყველას უარით ისტუმრებდა. მამაც არ ჩქარობდა მის დაოჯახებას, რადგან ძალიან უყვარდა და არ უნდოდა მასთან განშორება. ერთხელაც დაღესტნიდან ლეზგების უზარმაზარი ჯარი უეცრად აღმოჩნდა კახეთში, ლევან მეფე თავისი ოჯახით გადავიდა გრემის ეკლესიაში. ლეზგებმა ალყა შემოარტყეს ეკლესიას, მაგრამ ერთი თვის განმავლობაში ვერ შეაღწიეს შიგ. მეფე თავისი ოჯახით თვალყურს ადევნებდა მტერს. ლეზგების მეთაური იყო 25-26 წლის ოფიცერი, დიდებული გვარის წარმომადგენელი. ერთხელ საღამოს, როცა ახალგაზრდა მამაკაცი დადიოდა ციხესიმაგრის აღმოსავლეთ მხარეს, კედლის ხვრელიდან უეცრად გადმოგორდა ვაშლი. ახალგაზრდა მამაკაცმა გაჭრა ის და ამოიღო წერილი. წერილში მეფე ლევანის ქალიშვილი მას სიყვარულს ეფიციებოდა, სთხოვდა მას შეხვედრას და ჰპირდებოდა დახმარებას ციხესიმაგრის აღებაში. დათქმულ დროს მამაკაცი მივიდა შეხვედრაზე. მან ხელი ჰკრა მეფის ქალიშვილს და უთხრა, რომ ის, ვინც მამას და საკუთარ ქვეყანას ღალატობს, მას არ სჭირდება. ამ სიტყვების წარმოთქმისას მან ამოიღო ხანჯალი და თავი მოჰკვეთა ქალს.

საკვანძო სიტყვები: მეფე ლევანი I , მეფე ავგიორგი, გრემი, საქართველო, კახეთი, ბოდბის მონასტერი, ალაზნის ველი, ლეზგები, დაღესტანი, ღალატი, ფშავი, ხევსურეთი, თუში.

Keywords: king Levan I, king Avgeorge, Gremi, Georgia, Kakheti, Bodbe monastery, Alazani valley, Lezghins, Daghestan, treason, Pshavs, Khevsurian, Tushs.

K, 1862, №48, „მანგლისის ტაძარი“: IV საუკუნეში წმინდა ნინომ წარმართულ საქართველოში შემოიტანა ქრისტიანობა. ამავე დროს მიეკუთვნება მანგლისის ტაძრის დაფუძვნება, რომელიც მდებარეობს მაღლობზე, მდინარე ალგეთის თავზე, შემორტყმული მთებით, რომლებიც დაფარულია დაბურული ტყით. ავტორი წერს, რომ ტაძრის 1500 წლიანი არსებობა ეჭვს არ ბადებს და მოაქვს ისტორიული მტკიცებულებები.

მირიანი ის მეფეა, 252-329 წლებში, საქართველოში, რომელმაც პირველმა მიიღო ქრისტიანობა და გაავრცელა იგი. მან სთხოვა ბერძენ იმპერატორ

კონსტანტინეს, რომ გამოეგზავნა საქართველოში მაცხოვრის ჯვრის ნაწილი, მღვდლები, ეპისკოპოსი და მშენებლები. კონსტანტინემ შეასრულა მირიანის ყველა თხოვნა და გაუგზავნა ჯვრის ფიციარი, რომელმაც იყო იესო ქრისტე ჯვარცმული. აგრეთვე, სამი ლურსმანი ოთხიდან, რომლებითაც ქრისტე იყო გაკრული ჯვარზე. იგივე მემატთანე წერს, რომ მირიანმა ეს ძვირფასეულობა გადაანაწილა ერუშეთსა და მანგლისში. ავტორი წერს მრავალი თქმულების შესახებ, რომლებიც ვრცელდება ხალხში. მოსახლეობის თქმით, ეკლესია იძარცვებოდა, მის ქვეშ იყენებდნენ საკუთარი სახლების ასაშენებლად. ასე შეიძლებოდა გამქრალიყო წარწერებიანი ქვებიც.

საქართველოს ხევებში, ტყეებსა და ვაკეებზე არის ბევრი მსგავსი ძველებური ძეგლი. ქართველები, რომლებიც იღვევებოდნენ ბარბაროსების მიერ ქრისტიანობის გამო, მტკიცედ იცავდნენ საკუთარ რელიგიას იარაღით ხელში, აშენებდნენ ქრისტიანულ ტაძრებს. ეს ერი იყო მიტოვებული ყველასგან, ღმერთის გარდა. 1857 წელს ერევნის პოლკის და შემდგომ გენერალ-მაიორ გოლიცინის დახმარებით მანგლისის ტაძარი მთლიანად იყო რესტავრირებული და ის საქართველოს ეგზარქოსმა ევსევმა აკურთხა როგორც ღვთისმშობლის მიძინების ტაძარი.

საკვანძო სიტყვები: საქართველო, წმინდა ნინო, მანგლისი, მეფე მირიანი, იმპერატორი კონსტანტინე, ქრისტიანობა, მანგლისის ტაძარი, რესტავრაცია, მაცოცხლებელი ჯვარი, ეგზარქოსი ევსევი, ღვთისმშობლის მიძინების ტაძარი

Keywords: Georgia, St. Nino, Manglisi, King Mirian, Emperor Constantine, Christianity, Manglisi Cathedral, Restoration, The Cross of Life, Exarchus Evsev, Cathedral of the assumption of the Virgin Mary.

CCKT, 1870, №4, გვ. 17, ა. პოსერბსკი, „ინგილოთა შესახებ“: გასული საუკუნის 60-იან წლებში ზაქათალის ოლქი შეისწავლა რუსმა მკვლევარმა ფ. პოსერბსკიმ. მან 1865 წელს გამოაქვეყნა ამ მხარის საკმაოდ დეტალური აღწერა. „ახლანდელი ზაქათალის ოლქის საზღვრებში შემავალ მინაზე დასახლებულ ტომთაგან, მას შემდეგ, რაც იგი ალბანელებმა დატოვეს, რომლის შესახებაც სტრაბონი მოგვითხრობს – პირველები დამკვიდრდნენ ქართველები“. ეს მხარე ალბანეთის სახელმწიფოში აღარ შედიოდა უკვე პირველ საუკუნეში. ზაქათალის ოლქის მოსახლეობა მოხსენიებულია „ქართველებად ანუ ინგილოებად“. „მრავალი შავი ღლე ნახეს იმ ქართველებმა, რომლებსაც სახელწოდება ქართველი ინგილოთი უნდა გამოეცვალათ. მათ, ქრისტიანებს, რომელთაც დანარჩენი კახეთიდან მდინარე გამოჰყოფდა, თაყვანი უნდა ეცათ ისლამის მაშინდელი მრისხანე ხმლისათვის. ამ ქართველებს არბევდნენ და ანადგურებდნენ, ერთი მხრივ, სპარსელები, მეორე მხრივ კი – კავაკსიონის მთიელები. ორივე ბარბაროსი ხალხი თითქოს ერთმანეთს ეცილებოდა მათზე გაბატონებაში.

საკვანძო სიტყვები: ზაქათალა, ინგილო, პოსერბსკი.

Keywords: Zakatala, Ingilo, Poserbski.

၁ ၈ ၆ ၁ ၈ ၇ ၆ ၈

ზეპირსიტყვიერება

მითები

СМОМПК, 1894, №18, განყ. 3, გვ. 49-58, „ერამხუტი და ჯვარელების სიწმინდე“: სქოლიოში განმარტებულია, რომ სიტყვა ხუტი აფხაზეთში ახლაც გამოიყენება. ერამხუტის შესახებ თქმულება ჩანერილია ბორის გეორგიევისგან და მოგვითხრობს ყაბარდოელ გოლიათზე, რომელიც არბევდა დიდ აფხაზეთს. თქმულებაში, ასევე, დასულია ლეგენდა წინაკვირკვეს ხატზე, თუმცა მანამდე ვიგებთ, რომ აფხაზებს დაურბევიათ ერამხუტის აული, მსხვერპლად შეწირული ოთხი წლის ხარი გაუკრავთ ხეზე. ამ მსხვერპლის ტყავისგან შეიკერა ქალამანი ერამხუტემ და როდესაც დიდი აფხაზეთის აულები დაარბია, მდინარეზე გადასვლისას ფეხიდან წასძვრა ქალამანი. ის იმხელა იყო, რომ ორი კაცი თავისუფლად ჩაეტეოდა, ამიტომაც აფხაზებმა თავი დაანებეს დევნას და ღმერთის მადლიერები იყვნენ, რომ თვითონ მაინც გადარჩნენ ცოცხლები. ამის შემდეგ ერამხუტი მივიდა შერვაშიძესთან, რომელიც ცუდად გაუმასპინძლდა გოლიათს, განაწყენებულს კი უთხრა, თუ მაგარი ხარ, წადი და ჯვარელებს მოერიეო. ერამხუტემ სძლია ჯვარელებს და მას შემდეგაც არაერთხელ ააოხრა იქაურობა. ჯვარელებმა მიმართეს წმინდა გიორგის და წინაკვირკვეს ხატებს. ეს ხატი დასაბამს იღებს იმ გადმოცემისან, რომ ოდესღაც მათ სოფელში მისულა ერთი კაცი, სახელად კვირკვე. მან არ იცოდა სიტყვა ღმერთი და ლოცულობდა ცისა და მიწის დამბადებლის სახელზე. რომ ვერ შეაცვლევინეს ეს სიტყვები, ადგილობრივებმა მოკლეს კვირკვე (ტექსტში წერია, რომ ეს სახელი ითარგმნება როგორც ივლისი). მის საფლავზე ანგელოზები ჩამოდიოდნენ და ტიროდნენ. ცოტა ხანში ჯვარელებთან მოვიდა ხატი კვირკვეს გამოსახულებით და მას შემდეგ ის გახდა ჯვარელების უმაღლესი სალოცავი. სწორედ ამ ხატთან შეიკრიბნენ ჯვარელები და დახმარება სთხოვეს. ამ დროს გამოჩნდა ერამხუტი. გამოემართნენ ჯვარელები და დაამარცხებდნენ კიდევ გოლიათს, ის რომ არ გაქცეულიყო ჯვარელების სიმამაცით შეშინებული. ბოსტან-ბოსტან გარბოდა ერამხუტი და ერთგან დაინახა ულამაზესი აფხაზი ქალი. მისმა თვალბმა ისე მონუსხეს ერამხუტი, რომ სულ გადაავიწყეს მდედარი. მაგრამ დროულად გამოთხიზლდა, დასტაცა ქალს ხელი და ისიც გაიტაცა. შევარდა მთის წვერზე ტყეში და ავიდა მაღალ ხეზე, რომელსაც ფულურო ჰქონდა და იქ დაიმალა. სანამ ქალი ყვიროდა, მანამდე ჯვარელები მისდევდნენ ერამხუტს, მაგრამ, როგორც კი ფულუროში მოიხელთა ქალი, ერამხუტმა ის დააშინა და იმანაც შეწყვიტა ყვირილი. ჯვარელებმა მაინც არ დაიხიეს უკან და ძებნა დაუწყეს გოლიათს. ერთმა ჯვარელმა მიაგნო ფულუროს. ერამხუტმა ის მოკლა, სამაგიეროდ, გასცა თავისი სამალავი. ჯვარელებმა ალყა შემოარტყეს ხეს, მოკლეს ერამხუტი და მის მკერდზე კოცონი გააჩაღეს. ამ დროს ჯვარელებთან მივიდა გოჯია შონია და დასაწვავად არ დაანება ჯვარელებს

ერამხუტი. დაკრძალეს გოლიათი, ხოლო მისი მოჭრილი თავი ჩამოკიდეს ხატების წინ ხეზე, მისი საჭურველი კი ხატებს შესწირეს. დღესაც ერამხუტის სახელი აფხაზეთსა და სამეგრელოში სიმამაცის აღმნიშვნელ ეპითეტად გამოიყენება.

საკვანძო სიტყვები: ერამხუტი, აფხაზები, ჯვარელები, კვირკვეს ხატი.

Key words: Eram-Khut, Abkhazians, the villagers from Jvari, the icon of Kvirkve.

ИПК, 1903, №2, **უენერეს გადამუშავებული, „აფხაზი პრომეთე“:** აქ საუბარია ავი სულისა და აფხაზი თავადი ქალის მეგრის ერთი ღამის სიყვარულზე, რომლის შედეგადაც დაიბადა ნახევრად ღვთაება აბსკილი.

საკვანძო სიტყვები: ავი სული, თავადის ქალი, აბსკილი.

Key words: Evil soul, matron, abskil.

ИПК, 1905, №4, **უენერეს გადამუშავებული თქმულება, „ტყის დედოფალი“:** ეს გახლავთ სვანური „ბეთქილის“ მეგრული ვარიანტი.

საკვანძო სიტყვები: ბეთქილი.

Key words: Betqili.

СМОПІК, 1904, №34, **განყ. 3, გვ. 509, ო. ლუკიანოვი, „სამყაროს დასასრული“:** ერთი ძლიერი ადამიანი არის მიბმული კლდეზე სქელი ჯაჭვით. მისი ძალდი ლოკავს ამ ჯაჭვს, ცდილობს გაათავისუფლოს გოლიათი. როგორც კი გაცვდება ჯაჭვი ძაღლის ლოკვისგან, გოლიათი გაათავისუფლდება, გაიფართხალებს და დაანგრევს მთელ დედამიწას.

საკვანძო სიტყვები: გოლიათი, ჯაჭვი, ძაღლი.

Keywords: giant, chain, dog.

СМОПІК, 1904, №34, **განყ. 3, გვ. 510, ო. ლუკიანოვი, „ტყის სამეფო“:** ტყეში, მშვენიერ მწვანე სასახლეებში ცხოვრობენ ტყის ქალები, ისინი არიან ძალიან მახინჯები, მაგრამ თავს ლამაზად წარმოაჩენენ. მათ აქვთ გრძელი თმა, ხოლო ძუძუები – უზარმაზარი და ჩამოკიდებული. ისინი იკვებებიან ადამიანის ხორციით. შთანთქავენ ჰაერს და ყველა ცოცხალ არსებას ისრუტავენ. ადამიანთან შეხვედრისას იბრძვიან, თუმცა ეშინიათ ზოგიერთი ცხოველისა.

საკვანძო სიტყვები: ტყის ქალები.

Keywords: forest women.

СМОПІК, 1904, №34, **განყ. 3, გვ. 510-511, ო. ლუკიანოვი, „წყლის სამეფო“:** წყალში არსებობს სამეფო, რომელშიც ცხოვრობენ ძალიან ლამაზი ქალები – წყლის დედები. ისინი ცხოვრობენ შუშის სასახლეში. მათ ჰყავთ დედოფალი. მათი ფეხები განსაკუთრებით არის მოწყობილი – ქუსლით წინ. ამის გამო, მათთან ბრძოლისას, ისინი უნდა გადააყირავო წინ და არა უკან. ღამლამობით ისინი

ამოდინ მიწაზე და იტყუებენ მამაკაცებს. თავიდან ისინი აჩვენებენ მამაკაცს ათ თითს, რაც ნიშნავს, იმას, რომ ეპატიუება ათი წლით თანაცხოვრებისათვის. თუ მამაკაცი უარყოფს, მაშინ ისინი აკლებენ წლებს. მაგრამ თუ კი მამაკაცი არ თანხმდენა ნახევარი წლითაც, მაშინ იწყება ბრძოლა. ეს ქალები არიან ძალიან ძლიერები და, თუ დააგდებენ მამაკაცს მიწაზე, მან უნდა იცხოვროს მასთან ათი წელი. ასეთ შემთხვევაში მამაკაცი უჩინარდება რამდენიმე დღით და თუ გამოჩნდება ხალხში, მაშინ ჰგავს არანორმალურს. მაგრამ თუ ამ ბრძოლაში იმარჯვებს მამაკაცი, მაშინ ის მოითხოვს ქალი არ შეეხოს მის ნათესავებს.

საკვანძო სიტყვები: წყლის დედები, დედოფალი, მამაკაცი, ბრძოლა.

Keywords: mothers of water, queen, man, fight.

CMOMIK, 1904, №34, განყ. 3, გვ. 510-511, ო. ლუკიანოვი, „წყლის სამეფო“: ზღვის შუაში არის ხვრელი, საიდანაც მიწის ქვეშ გადის არხები დიდ მანძილზე. წყალი გადის არხებში, ამოდის მიწის ზედაპირზე და შემდეგ მიედინება დაბლა. ამის გამო ზღვაში წყალი არ მატულობს – რამდენიც არ უნდა მოიტანოს მდინარემ, იმდენივე გაედინება მიწისქვეშა არხების საშუალებით.

საკვანძო სიტყვები: ზღვა, ხვრელი, არხი, მდინარე, წყალი.

Keywords: sea, hole, channel, river, water.

CMOMIK, 1904, №34, განყ. 3, გვ. 511-512, ო. ლუკიანოვი, „მთვარის ლაქები“: ერთ ქვრივს ჰყავდა ვაჟი, რომელიც არასდროს ჭამდა სახლში. ერთხელაც ვაჟი წავიდა საქონლის საძებნელად, დედა კი მას გაჰყვა. როდესაც ისინი შევიდნენ ტყეში, მზემ და მთვარემ მიუტანეს მას საჭმელი. დედა განრისხდა და ესროლა მათ ტალახი. მზემ მოასწრო დოქში დამალვა. და მთელი ტალახი მოხვდა მთვარეს. ამის შემდეგ მთვარე გახდა დალაქავებული.

საკვანძო სიტყვები: მზე, მთვარე, ტალახი, ლაქები.

Keywords: sun, moon, dirty, smudges.

ლეგენდები, თქმულებები, გადმოცემები

ИКОИРГО, 1905, ტ. 18, №1, გვ. 52-60, ა. ი. დიაჩკოვ-ტარასოვი, „ბზიფის აფხაზეთი“: 1. აქ რამდენიმე ლეგენდაა თავმოყრილი – აფხაზთა პანთეისტურმა მსოფლმხედველობამ მდინარე მიჩიშას სათავის მახლობლად გამოქვაბულში განათავსა რამდენიმე სული. მოხუცი მთხრობელის აზრით, ამ სულებს ჯერაც არ დაუტოვებიათ ეს გამოქვაბულები.

საკვანძო სიტყვები: გამოქვაბული, სულები.

Key words: caves, souls.

ИКОИРГО, 1905, ტ. 18, №1, გვ. 52-60, ა. ი. დიაჩკოვ-ტარასოვი, „ბზიფის აფხაზეთი“: 2. ეს ლეგენდა ცოლ-ქმარ მუხას ეხება. პირველი მღებარეობს წმინდა მთა დიდ-რიპშზე, მეორე კი – ბიჭვინთის ახლოს სოფელ ლძაასთან. მეუღლეებს პერიოდულად აერთიანებს ერთმანეთზე გადასული ელვა. ამ მუხებს შორის მანძილი 24 ვერსია.

საკვანძო სიტყვები: მუხა, ელვა, ცოლ-ქმარი.

Key words: Oak, Lightning, Couple.

ИКОИРГО, 1905, ტ. 18, №1, გვ. 52-60, ა. ი. დიაჩკოვ-ტარასოვი, „ბზიფის აფხაზეთი“: 3. იყო ერთი აული პროვალილსია, რომლის მკვიდრთაგან დარჩა მხოლოდ ერთი ოჯახი, მათი შთამომავლებიც ახლა ცხოვრობენ ჩინარგარტში. აქ დადიოდა ზღვის სული და ყოველ წელს ხარკად ზღვაში მიჰყავდა ქალიშვილები. ერთხელაც რიგით მურზაყანს მოუწია ქალიშვილის მიცემა. მან მორთო თავისი მშვენიერი ასული, შეკაზმა ვირი, დატვირთა ისრებით, აიღო მშვილდი, გაემგზავრა და მივიდა ზღვასთან. დაინახა, რომ ზღვიდან მათკენ მოემართებოდა თოვლივით თეთრი ღრუბელი. მურზაყანმა აიღო ისრები და ესროდა. ღრუბელი თანდათან გავარდისფერდა. ისევ ესვროდა გულმოდგინედ და ხმა შემოესმა: – მურზაყან, შემობრალე! – მაგრამ ის ისევ ესროდა და ღრუბელი სისხლის წვეთებად ჩამოიღვენთა ნაპირზე. მაშინ მურზაყანი და მისი ქალიშვილი სახლში დაბრუნდნენ, იქ კი აული აღარ დახვდათ. მის იქ არ ყონაში აული პროვალილსია გაქრა. მაშინ მურზაყანი გადასახლდა ჩინარგართში და დღესაც იქ ცხოვრობს მისი შთამომავლობა.

საკვანძო სიტყვები: ზღვის სული, ქალიშვილი, ღრუბელი, აული.

Key words: The spirit of the sea, the daughter, the cloud, the aul.

СМОМПК, № 14, განყ. II, გვ. 1-8, „აფხაზური ზღაპარი ოთხი ძმის შესახებ“: იყო ოთხი ძმა, რომლებიც მამის სიკვდილის შემდეგ ცუდად ექცეოდნენ დას: ოთახში კეტავდნენ და მხოლოდ ნანადირევი ცხოველის ტვინს აჭმევდნენ. ერთხელ და უზარმაზარმა გველმა მოიტაცა. ძმებმა გადანყვიტეს მის მოსაძხნად წასვლა,

ერთმა თქვა: – მე შემძლია, ცხოველს შვილი შეუმჩნევლად გამოვსტაცო; მეორემ: – შემძლია, ჩვენ გარშემო რკინის ღობე ერთ ნაშში შემოვაფლოო; მესამემ: – გატაცებულ წინილას შევარდენსაც კი უსაფრთხოდ გამოვსტაცებდიო; მეოთხემ: – მიწაზე რომ რამე ვარდებოდეს, უსაფრთხოდ დავიჭერო. ასეც გააკეთეს: უფროსმა ჩუმად გამოსტაცა გველს და, მეორემ ღობე შემოავლო, მესამემ გველს ესროლა, მეოთხემ კი და დაიჭირა. სოფელში დაბრუნებულები დიდხანს დაობდნენ, ვის უფრო დიდი წვლილი მიუძღოდა დის გადარჩენაში. საბოლოოდ, დედის ჯილდო – ახალუხი, ერთ თანასოფლელს შეხვდა.

საკვანძო სიტყვები: ძმები, და, გველი.

Key words: brothers, sister, snake.

CMOMIK, 1909, №40, განყ. 3, გვ. 392-393, ი. გულია, „ღამურა, ეკალი და ჭარლი (ფრინველი)“: გადმოცემის მიხედვით, ღამურამ, ეკალმა და ჭარლმა გადაწყვიტეს გაეხსნათ მანუფაქტურული მაღაზია. ღამურამ ისესხა ფული ჩიტებისაგან. სამივენი გაემგზავრნენ ზღვის იქით, ყველაფერი მომგებიანად იყიდეს, ატვირთეს მთელი საქონელი ჭარლის ზურგზე და გამოფრინდნენ უკან.

გზაზე საქონელი ჩავარდა ჭარლის ზურგიდან ზღვაში, სადაც იგი გადაყლაპა თევზმა. ამის შემდეგ ჭარლი იჭერს თევზებს ზღვაში, მდინარეებსა და ტბებში, რომ იპოვოს ის თევზი და დაიბრუნოს საქონელი. ეკალი გავრცელდა მთელ ხმელეთზე იმისთვის, რომ ხელთ იგდოს საქონელი, თუ ვინმე დააპირებს მის წაღებას, ან ყველას ტანსაცმელზე ეკვრება, ამით ცდილობს საქონლის მოძებნას. ღამურა კი იმალება მოვალე ჩიტებისგან.

საკვანძო სიტყვები: ღამურა, ეკალი, ჭარლი, საქონელი, ზღვა.

Keywords: bet, thorn, Kingfisher, goods, sea.

CMOMIK, 1909, №40, განყ. 3, გვ. 393-397, ი. გულია, „თიკანი, ბატკანი და ხბო“: მწყემსმა დაკარგა: თიკანი, ბატკანი და ხბო. საღამოს ისინი შეიკრიბნენ ერთ ადგილას. ტყეში არც ისე მოშორებით იყვნენ: დათვი, მგელი და მელა. რიგრიგობით მოდიოდნენ მათთან დათვი, მგელი და მელა ხორცისათვის, მაგრამ თიკანმა თავისი მოხერხებით შეაშინა ისინი და გააქცია ტყეში. შემდეგ თიკანი, ბატკანი და ხბო მოკალათდნენ დასაძინებლად ხეზე. იქ ისევ მივიდნენ დათვი, მგელი და მელა, მაგრამ პატარებმა ისინი ისევ მოატყუეს და გადაირჩინეს თავი. დილით კი თავისი საქონელი მწყემსმა იპოვა.

საკვანძო სიტყვები: თიკანი, ბატკანი, ხბო, ეშმაკობა, მელია, მგელი, დათვი.

Keywords: kid, lamb, calf, trick, fox, wolf, bear.

CMOMIK, 1904, №34, განყ. 3, გვ. 509, ო. ლუკიანოვი, „სამყაროს შექმნა“: ჩვენი სამყაროს გარდა არსებობს კიდევ რამდენიმე სამყარო. ზოგი არსებობს ჩვენზე

დაბლა, ზოგი კი მაღლა, ჩვენ ვიმყოფებით შუაში და ამიტომ ვატარებთ ქამრებს ნელზე.

საკვანძო სიტყვები: სამყარო, ქამარი.

Keywords: world, belt.

CMOMIK, 1904, №34, განყ. 3, გვ. 509, ო. ლუკიანოვი, „მინისძვრა“: დედამიწის ბოლოში დგას დიდი ბოძი, რომელზეც დაბმულია დიდი ცხოველი. როდესაც მას სძინავს, ყველაფერი მშვიდად არის, ხოლო როდესაც იღვიძებს და მოძრაობს, მაშინ ხდება მინისძვრა.

საკვანძო სიტყვები: ბოძი, ცხოველი, მინისძვრა.

Keywords: post, animal, earthquake.

CMOMIK, 1904, №34, განყ. 3, გვ. 509-510, ო. ლუკიანოვი, „ჭექა-ქუხილი და ელვა“: ეშმაკი ამოდის ზღვიდან, გადაიქცევა ბუზად და მიტრინავს დიდ მთაზე. წმინდა გიორგი მისდევს მას და ცდილობს მოახვედროს ისარი. ეშმაკი ხშირად ემალება ისრებს ან მთებში ან ხეებში. მაგრამ წმინდა გიორგი ისრების სროლით აგდებს მას იქიდან. ამის გამოა, რომ ელვა ხშირად ხვდება ან მთას, ან ხეს და ზოგადად მაღალ საგნებს.

საკვანძო სიტყვები: ეშმაკი, ბუზი, წმ.გიორგი, ისარი, ჭექა-ქუხილი, ელვა.

Keywords: devil, fly, st.George, arrow, thunder, lightning.

CMOMIK, 1904, №34, განყ. 3, გვ. 510, ო. ლუკიანოვი, „მთები“: მთები წარმოიქმნა იმით, რომ დედამიწა ვერ ეტეოდა ცის ქვეშ და სავალდებულო გახდა მისი დაჭმუჭვნა. ასე გაჩნდა დედამიწის ნაკეცი, მთებისა და ველების სახით. და კიდევ, როდესაც ჩხუბობდნენ გოლიათები მათი დაცემით წარმოიქმნა უსწორმასწორო ადგილები დედამიწაზე.

საკვანძო სიტყვები: მთა, ველი, გოლიათი.

Keywords: mountain, valley, goliath.

ზღაპრები

СМОМПК, 1888, №6, გვ. 4, „აფხაზური ზღაპარი“: კრებულის მეექვსე გამოცემას ერთვის დანართი, საიდანაც ვიგებთ, რომ ხალხური რეპერტუარის სწორად ჩანერის მიზნით, შეიქმნა რამდენიმე ანბანი, მათ შორის, აფხაზური. მოცემულია რამდენიმე რჩევა, როგორ უნდა მოიქცეს ფოლკლორული მასალის შემგროვებელი, რათა ჩანერისას არ დააზიანოს ზეპირი ტექსტები ჩანერისას. დანართს მოჰყვება ორი ზღაპარი, ერთი აფხაზური, მეორეც უდიური, რომლებიც საგანგებოდ შექმნილი ანბანებითაა ჩანერილი. ტექსტებს წინ უძღვის ამ ენებისთვის განკუთვნილი ანბანები. ასევე, ამ ანბანით შესრულებული ჩანანერი სტრიქონებს შორის ზუსტი თარგმანით და ბოლოს თავისუფალი თარგმანი რუსულ ენაზე. აფხაზური ზღაპარი ჩაუნერია გორის სემინარისტ ნ. ჯანაშიას სოფ. აძუბუაში 1887 წლის აგვისტოს.

ორი ქურდი: ორი ქურდი, ისლამი და ედგი, რომელთაგან ერთი მაღალ მთაში, მეორე კი ზღვის ნაპირზე ცხოვრობდა, ერთმანეთს არ იცნობდა, თუმცა ერთიმეორის სანაქებო ამბების შესახებ ბევრი სმენოდათ. როდესაც შეხვდნენ ერთმანეთს, გადანწყიტეს გაჭიბრებოდნენ. ისლამმა ედგის, სანამ ის ლოდზე შემომჯდარ მტრედს ბუმბულს მიპარვით ამოაცლიდა, ნიფხავი გააძრო. ამის შემდეგ ორივემ ერთმანეთი დააფასა, დამეგობრდა და ერთად გააგრძელა ცხოვრება.

საკვანძო სიტყვები: აფხაზური ზღაპარი, ქურდი.

Key words: Abkhazian tale, thief.

მცირე უანრები

ՅՕ, 1908, №1-2, გვ. 218, „აფხაზური ანდაზები“: მოკლე ბიბლიოგრაფიული ჩანაწერი ცნობას გვანვდის დ. ო. გულიას მიერ გამოქვეყნებული აფხაზური ანდაზების შესახებ, ასევე გ. ქურციკიძის წიგნზე, სადაც 394 აფხაზური ანდაზაა. აფხაზურ ტექსტს მოჰყვება რუსული თარგმანი. აქვეა დაბეჭდილი გულიას მიერ ჩანწერილი 11 აფხაზური გამოცანა და 17 ენისგასატეხი.

საკვანძო სიტყვები: ბიბლიოგრაფია, აფხაზური, ანდაზა, გამოცანა.

Key words: bibliography, Abkhazian, folklore.

ეთნოლოგია

ИКОИРГО, 1905, ტ.18, №1, გვ. 58-67, ა. ი. ღიაჩკოვ-ტარასოვი, „ბზიფის აფხაზეთი“: აფხაზეთის სოფლების მოვლის შემდეგ ორი დღით დავსახლდით აფხაზეთის დედაქალაქ – დასახლება ლიხნში (ასე ეძახიან მას რუსები, თურქები კი – სოუკ-სუ-ს). ის უძველესი დროიდან იყო აფხაზეთის მფლობელისა – შერვაშიძეთა გვარიდან. ის ზოგჯერ ცვლიდა თავის რეზიდენციას, მაგრამ პირველობა მაინც ლიხნს რჩებოდა.

საუბარია ახალი ათონის მონასტერზე, სადაც ცხოვრობს ორმოცდაათამდე ბერი და მორჩილი. ცნობილია ღუბუა 1833 წ. არის ნამყოფი მონასტერში და ამტკიცებდა, რომ შესაძლებელი იყო აქ ქალაქის კედლის, ქუჩების და მოედნების განლაგების გარჩევა; რომ სახლების კედლებზე შესამჩნევი იყო: თურქული, არაბული, ლათინური წარწერები მე-15 და მე-16 საუკუნეებისა. ახლა კი მსგავსი აღარაფერია. იქვე ახლოს შეიმჩნევა კოშკის კვალი, აქეთ-იქით ჩანს ტაძრის ნანგრევები; ასევე ყოველ ნაბიჯზე გვხვდება თიხის ჭურჭლის, აგურის ნამსხვრევები. ე.ი. ჩვენ დავდივართ ოდესღაც მჭიდროდ დასახლებულ ადგილებზე. აქვეა აღწერილი მდინარე მიუსერას, ბიჭვინთის, გუდაურის მიდამოები.

მდინარე მიჩიშასთან არსებული გამოქვაბულების სიახლოვეს არის ციხე სბაშენკი. ხალხმა არ იცის მისი აგების პერიოდი. მის შესახებ არანაირი ლეგენდა არ არსებობს. მაზიხვის მცხოვრებლების თქმით, ვინმე შერვაშიძე ასულა იქ და უნახავს ვერცხლის საშანდლე, ასევე – რამდენიმე რკინის ნივთი.

აფხაზები ყოველთვის იქ არ ცხოვრობდნენ, სადაც – ახლა. მათი გადმოცემების, ბევრი ისტორიული ცნობისა და ზნე-ჩვეულებათა მიხედვით, ისინი ჩრდილოეთიდან არიან. გადმოვიდნენ აქ და შეავიწროეს ქართველური ტომები, ენგურთან შეჩერებამდე. ასე შეერივნენ ერთმანეთს მეგრელები და აფხაზები – წარმოშობით ორი ერთმანეთისთვის უცხო ტომი და მოგვცა შერეული ტომი სამურზაყანოელები. სამურზაყანო დიდხანს იყო განხეთქილების საკითხი მეგრელ და აფხაზთა შორის. ხშირი იყო უთანხმოება თავადებს, აზნაურებს, თავისუფალ ადამიანებს შორისაც. ამის მიზეზი ძირითადად იყო ეკონომიური და გვაროვნული შერისძიებები. აქ ჩამოთვლილი ფენების გარდა იყვნენ: მებატონენი, მონები (ტყვეები, თურქეთში ნაყიდნი) ან უკანონოდ გაჩენილები. მას შემდეგ, რაც ძალაუფლება გადავიდა შერვაშიძეთა ხელში, გაჩნდნენ შინაყმანი (მცველები). აფხაზური წესით მიწის მფლობელი ყველა ფენის წარმომადგენელი შეიძლება ყოფილიყო, გარდა – მონებისა.

საკვანძო სიტყვები: ლიხნი, ათონის მონასტერი, წარწერები, ბატონები, მონები.

Key words: Likhni, Monastery of Athos, graffiti, masters, slaves.

ИКОИРГО, 1910, ტ. 20, „აფხაზეთი და სოხუმი მე-19 საუკუნეში“: აქ საუბარია მე-19 საუკუნის დასასრულის აფხაზეთზე, თავად შერვაშიძეებსა და აფხაზეთის სხვა

დიდგვაროვნებზე. მოხსენიებულნი არიან: ლევან შერვაშიძე, სეფერ-ბეი შერვაშიძე, მიხეილ შერვაშიძე, კელემ-ბეი, დადიანი. მოთხრობილია: რუსეთის ჩართულობაზე მეგრელთა და აფხაზთა საქმეში; რუსების მიერ აფხაზეთის აღებაზე; ერმოლოვის დროს აფხაზეთის მდგომარეობაზე; არსლან-ბეისა და აფხაზეთის აჯანყებაზე; გენერალ კორჩაკოვსა და 1823 წ. აჯანყებაზე; არეულობებზე აფხაზეთში; სამურზაყანოსა და მისთვის ბრძოლის ამბებზე და სხვა.

საკვანძო სიტყვები: აფხაზეთის დიდგვაროვნები, შერვაშიძეები, რუსეთი, აჯანყებები.

Key words: Nobles of Abkhazia, Shervashidze, Russia, uprisings.

ИКОИРГО, 1910, ტ. 20, გვ. 149-210, ა. ნ. დიაჩკოვა-ტარასოვა, „აფხაზეთი და სოხუმი მე-20 საუკუნეში“.

საკვანძო სიტყვები: აფხაზეთი, სოხუმი.

Key words: Abkhazia, Sokhumi.

СМОМПК, 1884, №4, განყ. 2, გვ. 40-76, ვ. მაჭავარიანი, „ზოგიერთი მახასიათებელი აფხაზთა ცხოვრებიდან“: აქ საუბარია ქალის მდგომარეობაზე აფხაზეთში: მის როლზე ოჯახში, ფეხმძიმობის პერიოდზე, ძუძუმტეობის ინსტიტუტზე, როგორ იცავს ის სარწმუნოებრივ ადათებს. დაბალი ფენის ქალს ეხება როგორც საოჯახო, ასევე – მინდვრის საქმე; მაღალი ფენისა კი მამაკაცის თანაბრად ჩართულია საზოგადოებრივ საქმიანობაში.

საკვანძო სიტყვები: ქალი, რიტუალი, მეურნეობა, საზოგადოება.

Key words: Woman, ritual, farming, community.

ЗКОИРГО, 1853, №4, გვ. 180-193, ლ. ი. ლიულე: აქ ჩამოთვლილია აფხაზთა (აზგეთა) 11 ტომი, ნაჩვენებია მათი საქმიანობის სფერო, ასევე – გადაადგილების გეოგრაფია.

საკვანძო სიტყვები: ტომები, საქმიანობა, გადაადგილება.

Key words: Tribes, activities, urbanisation.

ИКОИРГО, 1905, ტ. 18, №1, გვ. 58-67, ა. ი. დიაჩკოვა-ტარასოვი, „ზმიფის აფხაზეთი“: აფხაზური დასახლებები გამორჩეულია სიდიდით. მისი მაცხოვრებლები შეიძლება ერთი ვერსიით და მეტიც იყვნენ დაშორებულნი და თვეობით ვერ ხედავდნენ ერთმანეთს, მაგრამ ყველაფერის საქმის კურსში არიან. ზმიფის ორივე ნაპირზეა გადაშლილი დიდი დასახლება კალდახვარა – ეკლესიით, ღუქნებით. სოფელ ლიახვის და ზვანდრიშის მკვიდრნი ფლობენ არაჩვეულებრივ უნარს, ვერსს იქით გადაძახილით ლაპარაკისას. ეს უნარი აფხაზებს ღრმა მოხუცებულობამდე მიჰყვებათ.

აფხაზეთის სოფლებში ავტორს დაფიქსირებული აქვს ბევრი ნანგრევი, არარეგისტრირებული ეკლესიები. აღწერილია ზოგიერთი მათგანი. მღვდლის სიტყვებით, შლარსკის ეკლესიას მთელი წლის მანძილზე ასე აფხაზი (ორივე სქესისა) თუ მოაკითხავს. მომლოცველთა დიდი ნაწილი აქ მეგრელები არიან. ისინი სკოლაშიც უხალისოდ დადიან. აქ მოჰყავთ ვაზი, სიმინდი; ღვინოს აყენებენ, რომლის დიდ ნაწილსაც ყიდნიან.

აქ აღწერილია აფხაზეთში მგზავრობისას ნანახი ბუნება, აფხაზის მწვანე ხავერდით მობიბინე ეზო; იქაური მასპინძლობა მაგარი არომატული ღვინო ამლახით; დაბალ მრგვალ მაგიდაზე ორი ტოლჩით მორთმეული ცნობილი აფხაზური ფენოვანი ყველით...

აფხაზები შემოდგომას იღებენ: ყურძნის, სიმინდის, კაკლის, წაბლის, ხურმის, კომშის, ვაშლისა და მსხლის მოსავალს. ბზიფის აფხაზეთში ასევე მოდის გარგარი და ბროწეული. მომავალში ეს კუთხე გადაიქცევა მშვენიერ ელდერადოდ.

აქ, ასევე, მოთხრობილია, სისხლისმღვრელ დაპირისპირებებზე, ციების შემთხვევებზე; საუბარია ვაჭრობის საკითხებზე, ამ საქმეში მეგრელებისა და თურქების როლზე. აფხაზები ვაჭრობას ხელს არ კიდებენ. ასევე – იმ სირთულეებზე, რაც ახლავს ხელქვეითთა მიერ ქორწინების, მიწის დასაკუთრების უფლების, ტყის სიკეთის მოხმარების უფლების მოპოვებას და სხვა.

თავადი შერვაშიძე, ადათის თანახმად, ველის თავზე მდგარი ოთხი ცნობილი ცაცხვის ქვეშ განსჯიდა კონფლიქტურ საქმეებს და გამოჰქონდა განაჩენი. აქვე არის საკათედრო ტაძარი, აგებული – არა უგვიანეს მე-11 საუკუნისა, აფხაზეთისა და საქართველოს მეფის ბაგრატ IV-ის დროინდელი, 1066 წ., საინტერესო წარწერით. ასევე, საუბარია აფხაზური ენის თავისებურებებზე.

საკვანძო სიტყვები: აფხაზური სოფლები, მომლოცველები, მოსავალი, ვაჭრობა, ციება.

Key words: Abkhazian villages, pilgrimage, harvest, trade, fever.

ИКОИРГО, 1905, ტ. 18, №2, გვ. 69-123, ნ. 8. **პერეველი**, „კავკასიის ალპების ეთნოგრაფია“: აფხაზებს ეხება გვ. 93-95. აქ კავკასიის სხვა ხალხებთან ერთად მოცემულია ინფორმაცია აფხაზთა საცხოვრისის ადგილმდებარეობის, ეთნოლოგიის, ენის შესახებ; მოტანილია მათთან დაკავშირებით: სტრაბონის, ბერძენი და ბიზანტიელი მწერლების მონაცემები; საუბარია მათ გარეგნობაზე და სხვა.

საკვანძო სიტყვები: აფხაზთა საცხოვრისი, ენა, ბერძენი და ბიზანტიელი მწერლები.

Key words: Abkhazian dwelling, language, Greek and Byzantine writers.

ЗКОИРГО, 1893, №16, „აფხაზეთი და აფხაზები“.

საკვანძო სიტყვები: აფხაზეთი.

Key words: Abkhazia.

ИКОИРГО, 1878, ტ. 5, №3, გვ. 162-163: აქ საუბარია აფხაზთა ტრადიციებზე.

საკვანძო სიტყვები: აფხაზური.

Key words: Abkhazian.

ЗКОИРГО, 1894, №16, გვ. 1-64, მ. ჯანაშვილი, „აფხაზეთი და აფხაზები (ეთნოგრაფიული წერილი)“: წერილს შესავალ ნაწილად ავტორი ურთავს 1892 წელს დაწერილ გამოკვლევას, რომელშიც გამოთქვამს ვარაუდს, რომ ეთნონიმებს „აფსილები“, „აფსარები“, „აფსუა“ აქვთ საერთო ძირი, რომელიც აღნიშნავდა სიტყვას წყლის მნიშველობით. ის ცდილობს აღადგინოს საერთო ძირი და დააკავშიროს ამავე ძირის მქონე ქართულ სიტყვებთან და ტოპონიმებთან, ასევე ჩრდილოკავკასიურ ლექსიკურ ერთეულებთან. დასკვნის სახით კი მკითხველს სთავაზობს ვერსიას, ეთნონიმი „წყლის პირას მცხოვრებს“ უნდა ნიშნავდეს. წერილის ძირითად ნაწილში ავტორი ახასიათებს აფხაზებს გარეგნული ნიშნით, შემდეგ გადადის მათი წესების, ჩვეულებებისა და ადათების აღწერაზე, რომელთა შორისაცაა: ქურდობა (მანკიერ ჩვეულებას აბრალებს ფოლკლორში ქურდების გადამეტებულ ქებას), სისხლის აღება, ორატორული ნიჭი, სტუმართმოყვარეობა, პატიოსნება და სხვ. აქვია ხალხური თამაშების აღწერა და აფხაზური ხალხური პოეზიის ცალკეული ნიმუშები. თხრობისას ჩართული აქვს აფხაზური ანდაზების თარგმანები და სიტყვები აფხაზურ ენაზე. კარგადაა აღწერილი აფხაზური საცხოვრისი, საყოფაცხოვრებო ნივთები, კერძები, ეტიკეტი, უფროს-უმცროსობის წესი. განსაკუთრებით საყურადღებოა გაძიძავების ინსტიტუტის, გამზრდელის ოჯახისა და გასაზრდელის ოჯახის ურთიერთობა (მე-3 თავი), ქორწინება (მე-4 თავი), სამგლოვიარო რიტუალები (მე-5 თავი), რწმენის ნაწილი, რომელშიც დიდი ადგილი ეთმობა წარმოდგენებს გარდაცვლილთა სულებზე, პოლითეიზმზე (მჭედელი ღმერთები, ბედისმწერლები), აქვე ავტორს სრულად მოაქვს ლეგენდა, როგორ ხდება ბედის მინიჭება ახლად დაბადებულისთვის, რომლის შეცვლაც წარმოდგენელია. მე-7 თავი ეთმობა ლოცვებს და რიტუალებს, განსაკუთრებულად გამოყოფს მიწის (ადგილის) დედის, წყლის დედის ცერემონიალებს, ასევე ცისარტყელის, ქარის, ფუძის ღვთაების, ძაღლების ქალბატონის, საქონლის პატრონის, ტყის, ნათესის, ფუტკრების, ბუნების მოვლენების, ავადმყოფობების, სხვადასხვა ღვთაებებისა და წმინდანების მიმართ აღსავლენ წესებს (სულ ოცდაორი ნაწილი. აღწერისას არ არის გამოტოვებული დეტალები), ხოლო შემდეგ დაწვრილებით აღწერს იმ რიტუალებს, რომლებიც სრულდება სხვადასხვა დღესასწაულების დროსა და გვალვის დროს. წერილს დასასრულს ერთვის ანდაზები და გამონათქვამები.

საკვანძო სიტყვები: აფხაზები, ყოფა, ეტიკეტი, რწმენა, ცრურწმენები.

Key words: Abkhazians, daily life, etiquette, beliefs, superstitions.

K, 1853, №90, ს. ზვოლბაი, „მსხვერპლშენიერის ყოველწლიური რიტუალი აფხაზებში“: წერილის ავტორი დეტალურად აღწერს, როგორ ტარდება მსხვერპლშენიერის რიტუალი აფხაზებში, რომელიც ილორის წმინდა გიორგის ეძღვნება. სამსხვერპლო პირუტყვი რიტუალამდეა დანიშნული, მას ყურის ნაწილი აქვს მოჭრილი. რიტუალი სრულდება ამ მიზნისთვის გამოყოფილ ჭურჭელთან (სავარაუდოდ, საუბარია ქვევრზე), რომელშიც ინახება წითელი ღვინო. წერილში რიტუალის დროს წარმოსათქმელი ტექსტი რუსულ ენაზეა. ავტორი მიუთითებს, რომ ამ რიტუალს აღდგომა ღღეს აღასრულებს ყველა აფხაზი, მიუხედავად მისი სარწმუნოებისა. თუკი რაღაც მიზეზით ვერ მოხერხდება მსხვერპლის შეწირვა, მას გადადებენ ზაფხულამდე. აფხაზეთში მცხოვრები არააფხაზი პირველივე ავადმყოფობის შემდეგ უერთდება აფხაზებს და ისიც მათსავით იქცევა. სწეული, რომელიც ცრუფიცის გამო დაავადდა, ინანიებს დანაშაულს იმის წინაშე, ვისაც ზარალი მიადგა ცრუფიცის გამო. მოიხმობენ სასულიერო პირს, რომელიც კითხულობს ლოცვას, აჭრის ყურს საქონელს, რომელიც ამ გზით ხდება დანიშნული.

საკვანძო სიტყვები: მსხვერპლშენიერვა, ილორის წმინდა გიორგი, ყურის ნაწილის მოჭრა, აღდგომა.

Key words: sacrifice, Saint George of Ilori, Cutting part of the ear of sacrificial animal, Easter/Pascha.

K, 1854, №60-61, ს. პუშკარევი, „აფხაზეთი და აფხაზები“: პირველ ნაწილში აღწერილია აფხაზეთი, მისი საზღვრები, ბუნება. ხელიც რომ არ გაანძიროს აფხაზეთში მცხოვრებმა, ის მშიერი მაინც არ დარჩება იმდენად გულუხვია ბუნება მათ მიმართ. შემდეგ ავტორი მიმოიხილავს აფხაზების ბუნდოვან ისტორიას. ამბობს, რომ აფხაზები არიან ქრისტიანებიც, მუსულმანებიც და წარმართებიც. მათი მთავარი და უძველესი ტაძარია ილორის წმინდა გიორგის ეკლესია იქ დაცული სიწმინდეებით. აღნიშნულია, რომ აფხაზები ქურდობით არიან სახელგანთქმულები. ავტორი აქვე აღწერს აფხაზების ჩაცმულობას, საჭმელს, შექცეულია აფხაზი ქალების სისუფთავე და ჩაცმის მანერა.

საკვანძო სიტყვები: აფხაზი ქალი, ილორის წმინდა გიორგის ეკლესია, ქურდობა.

Key words: Abkhazian woman, St. George church in Ilori, thieffry.

K, 1854, №81-83, კ. ჩერნიშევი, „ისევ აფხაზეთზე“: წერილში გამოთქმულია ვაკვირება პუშკარევის ზედაპირული მიმოხილვის გამო და ბერაყეს წერილიდან ნაწყვეტია მოტანილი, რომელიც აფხაზების შესახებ მრავალმხრივი ინფორმაციის შემცველია. წერილის პირველი ნაწილი აფხაზების გარეგნობას და სარწმუნოებრივ საკითხებს შეეხება. ავტორი აღნიშნავს, რომ პუშკარევი აღწერს მხოლოდ თურქეთიდან გადმოსახლებულ აფხაზებს და ამიტომაცაა წერილი უსარგებლო. აქ საუბარია ბიჭვინთისა და ილორის წმინდა გიორგის ეკლესიებზე. მეორე

ნაწილში მიმოხილულია აფხაზების დამოკიდებულება ცოლებთან. როგორც ჩანს, აფხაზები თითქმის აფეტიშებენ ცოლებს, მათი პატიოსნება მისაბაძია, თუმცა, შესაძლოა, იმის გამოც, რომ ცოლებმა იციან, რომ ქმარი არც მათ და არც საყვარელს არ დაინდობს ღალატის შემთხვევაში. შემდეგ განხილულია საზოგადოების სოციალური ფენები. გლეხების გარდა არიან აზნაურები, მათში დაწინაურებული გვარია მარღანია, ხოლო თავადებიდან – შერვაშიძე. მესამე ნაწილი შეეხება აფხაზთა წეს-ჩვეულებებს და სამართლის წესებს. დანაშაულისათვის სასჯელია: ფულადი, თავისუფლების აღკვეთა, ჯაჭვის დადება და გაძევება (ბერძნული ოსტრაკიზმის მსგავსად). შურისძიებისა და სისხლის აღების წესი დაუნდობელია, ფიცს დებენ ილორის მუხის ქვეშ, რომელიც ასევე წმინდა ადგილადაა მიჩნეული. საქორწინო წეს-ჩვეულებებზე მეტი ინფორმაციისათვის ავტორი ასახელებს ზვანბაის ბროშურას „ფარდის მიღმა“. წერილი სრულდება აფხაზების სიმღერების, ფერხულისა და თამაშობის აღწერით, რომელთა შორისაცაა ქვის ტყორცა.

საკვანძო სიტყვები: აფხაზი ცოლი, წმინდა მუხა, ფიცი, სოციალური ფენები აფხაზეთში.

Key words: Abkhazian wife, holy oak-tree, oath, social classes in Abkhazia.

K, 1855, №81, „აფხაზური მითოლოგია“: შესავალში ავტორი აღნიშნავს, რომ დიდგვაროვანი აფხაზები მეტწილად ქრისტიანები არიან, რაღაც ნაწილი მუსლიმია, ხოლო ძირითადად აფხაზები წარმართობას მისდევენ. ქრისტიანები წესიერად ვერ ერკვევიან ღოგმატებში და წეს-ჩვეულებებში. წერილში აღწერილია, როგორ ემსახურებიან ადგილობრივ ღმერთებს, რომელთაც არანაირი გამოსახულება არ გააჩნიათ. ეს ღმერთები შექმნა შემოქმედმა: აფი – ატმოსფერული მოვლენების ღმერთი, შასჰუ – მჭედლობის ღმერთი, აჯვენმაა აბნა-ინჩვახუ – ტყისა და ტყის ბინადართა ღმერთი, მონადირეთა მფარველი, აითარი – შინაური ცხოველის მფარველი, ჯაჯი – ნათესების და მცენარეთა საფარის მფარველი (წერილში სახელები, სავარაუდოდ, არასწორი დაწერილობითაა მოცემული). საინტერესოა აღწერილი მეხის დაცემით დაღუპულის დაკრძალვა, როდესაც, სანამ ძვლები არ დარჩება მიცვალებულისგან, მანამდე არ ჩადებენ მიწაში კუბოს. ავტორი ამბობს, რომ ვახუშტიმ, როგორც ჩანს, ეს მოვლენა ნახა და დაასკვნა, რომ აფხაზები მიცვალებულებს არ კრძალავდნენ. წერილში სხვა წეს-ჩვეულებებთან ერთად აღწერილია ასევე სამჭედლოში დაფიცების წესიც, როდესაც ტყუილი ფიცის დამდებს მჭედლობის ღმერთი თავის ტკივილით სჯის, ასევე, წარუმატებელი ნადირობის გამომწვევი მიზეზებიც. როდესაც მონადირეს სანადიროდ სახლიდან გასულს ვიღაც შეხვდება, ეს წარუმატებელი ნადირობის მიზეზი შეიძლება გახდეს, ამიტომაც მონადირე ცდილობს, ამოაძროს შემხვედრს ტანსაცმლიდან ბეწვი და შემდეგ დაწვას კოცონში და დაახტეს მას.

საკვანძო სიტყვები: აფხაზების ღმერთები, ტყუილზე დაფიციება, თავის ტკივილი, წარუმატებელი ნადირობის ცრურწმენა.

Key words: Gods of Abkhazians, perjury, headache, unsuccessful hunting superstition.

K, 1894, №27, 32, კ. მაქსიმოვი, „აფხაზეთის მთებში, მოგზაურის შთაბეჭდილებები და დაკვირვებები მთიელთა ცხოვრებაზე“: 1892-1893 წლებში წერილის ავტორი იმყოფებოდა აფხაზეთში. ის აღწერს გზებს მთებში, რომელზეც ადვილად დადიან აფხაზები თავიანთი ჩუსტებით. თურმე ხანდახან, როდესაც ჩუსტებითაც ვერ გაივლიან თოვლში, იხდიან ფეხზე და ფეხშიშველები მოძრაობენ გაუვალ ადგილებში. ავტორი შენიშნავს, რომ აფხაზური ჩუსტებით ბევრად უფრო იოლია მიუვალ გზებზე სიარული, ვიდრე სხვა ტიპის ფეხსაცმლით. მთაში ხშირად გარეული თხაც შეხვედრია ავტორს. მონადირეები ყოველთვის ირჩევენ სამონადირეო გაუკვალავ გზებს მათ მოსანადირებლად. მესხისგან ნაქცეული ხეები მთავარი წინალობაა მთის ბილიკებზე. როცა ცხენი ვერ გადაახტება ნაქცეულ ხეს და ვერც მისი განწევა მოხერხდება, აფხაზები გამოჩორკნიან გასასვლელს. მეორე წერილში ავტორი საუბრობს გიგანტურ ხეებზე, რომლებიც განსაკუთრებული თაყვანისცემის ობიექტს წარმოადგენს. მათთან მოგზაურები ჩერდებოდნენ და თავიანთ ნიშანს ამოტვიფრავდნენ მერქანზე. ავტორი საუბრობს ვერცხლისა და ტყვიის საბადოებზეც. აფშრას ხეობის ნიადაგში ხეობაში რკინის შემცველობაც მაღალია, ასევე ავადხარას ხეობაში გვხვდება ნახშირჟანგის ნატრიუმის (სოდა) მინერალური წყლებიც.

საკვანძო სიტყვები: წმინდა მთა, ცხვრის მსხვერპლშენირვა, მთის ბილიკები, მინერალური წყლები.

Key words: saint mount, sacrifice of sheep, highways, mineral waters, boxwood, midges.

K, 1893, №131, 136, 160, 175, 177, 180, 184, 186, 187, 201, 295, 320, 322, 326, 329, გ. რიბინსკი, „წერილები აფხაზეთიდან“: წერილები წარმოადგენს ავტორის მიერ აფხაზეთში გატარებული ღღეების აღწერას და ძირითადად შეეხება მის ბუნებას, ინფრასტრუქტურას და სხვა დეტალებს. მესამე წერილი საინტერესოა იმით, რომ ავტორი შენიშნავს, როგორ არის გავრცელებული საქონლის ქურდობა ამ მხარეში, ისევე როგორც მეგრელებში. ამ მანკიერებასთან გასამკლავებლად ადგილობრივები, განსაკუთრებით, სამურზაყანოში და კოდორის ხეობაში, თავიანთი თემიდან ირჩევენ ორ აზნაურს და რამდენიმე გლეხს და მათ თვალი უჭირავთ ეჭვმიტანილებზე. ავტორი გვესაუბრება, რა ცუდ გავლენას ახდენენ მეგრელები აფხაზებზე და როგორ დაივიწყეს სამურზაყანოს აფხაზებმა თავიანთი ენაც და ქართულიც, ჩვეულებები და დაემსგავსნენ მეგრელებს. ავტორის დამოკიდებულება მეგრელების მიმართ მკვეთრად უარყოფითია. ერთ-ერთი

წერილი იმაზეა, რომ ავტორმა შეიტყო ფილოქსერას გავრცელების შესახებ ცხინვალში. სხვა წერილი მოგვითხრობს სოხუმელების განაწყენებაზე, რომელიც რემიზოვისა და როზოვის კრიტიკულმა წერილმა გამოიწვია. ამ წერილის მიხედვით, სოხუმი ვერ შეედრება ზამთრის საზღვარგარეთ არსებულ კურორტებს, მაგალითად, ნიცას. სოხუმელები წერილით შურაცხყოფილები კი არიან, მაგრამ ვერა და ვერ დაწერეს საპასუხო წერილი. ავტორის აზრით, სოხუმი ნამდვილად საუკეთესო კურორტი იქნებოდა, თუკი იქაც ააშენებდნენ წვიმიან დღეებში თავშესაქცევ დაწესებულებებს, ისეთივეს, როგორიც ნიცაში და სხვა სახელგანთქმულ კურორტებზეა. ავტორის აზრით, სოხუმს უნდა დაუბრუნდეს ისტორიული ფუნქცია, რომელიც დიოსკურიას ჰქონდა. ის მომხრეა ისტორიულ-არქეოლოგიური მუზეუმის გახსნის, რომელიც იგეგმება და ასაბუთებს კიდევ ამ პროექტის მნიშვნელობას. ასევე აღნიშნავს, როგორ უხმაუროდ და ზედმეტი პომპეზურობის გარეშე დაიწყო სოხუმი-ზუგდიდის შემაერთებელი გზის მშენებლობა.

საკვანძო სიტყვები: სოხუმი, ფილოქსერა ცხინვალში.

Key words: Sokhumi, phillozera in Tskhinvali.

K, 1885, №62, გვ. 2- 3, ვ. ჩ., „აფხაზი ქალი“: ავტორი აღნიშნავს, რომ აფხაზი ქალი ეთნოგრაფიულად საინტერესო და მდიდარ შესასწავლ ობიექტს წარმოადგენს. აფხაზი ქალი გამოირჩევა დამოუკიდებლობით. იგი ოჯახის მოვლის გარდა ოდითგანვე მონაწილეობდა პოლიტიკურ და საზოგადოებრივ მოვლენებში. თუმცა, ეს ეხებოდა მაღალი წოდების ქალებს, ქალები დაბალი ფენიდან კი ნაკლები უფლებებით სარგებლობდნენ. ავტორი საუბრობს ბავშვის აღზრდასა და ქალების როლზე მასში. გაძიძავებულ აღსაზრდელ გოგონას ოჯახში აუცილებლად ჰყავს ძუძუმტე და რომელსაც ყველა საიდუმლოს უზიარებს. აფხაზი ქალი დიდ დროს უთმობს თავის გარეგნობაზე ზრუნვას. აქ არის მოყვანილი თავის მოვლის რამდენიმე რჩევა ქალებისთვის. აფხაზ გოგონას უყვარს გართობა სახალხო შეკრებებზე. ავტორი ახასიათებს აფხაზ ქალს, თუ როგორია იგი სხვადასხვა ოჯახურ თუ საზოგადოებრივ ვითარებაში: ახალდაოჯახებული, ქმართან კონფლიქტისას, ახლობლის გარდაცვალებისას და სხვ. ავტორი მოკლედ ახასიათებს ასევე ქალის სახეებს წრმენა- წარმოდგენებში: ჯადოქარსა და ალს.

საკვანძო სიტყვები: აფხაზეთი, ქალი, ქალის როლი.

Key words: Abkhazia, woman, woman's role.

СМОМІІК, № 13, განყ. II, გვ. 32- 43, ვ. გარცკია, „აფხაზური ხალხური გადმოცემებიდან და წრმენა-წარმოდგენებიდან“: სტატიაში წარმოდგენილია ორი აფხაზური ზღაპარი – „ტბა პაპანწყური“ და „აბრსკილი“ – და აჩვი-ტიზგოს გამოქვაბულის აღწერა. პირველი ზღაპარი გვიამბობს უღვთო მღვდლის შესახებ, რომელმაც ნაღში მეზობლებსა და ნათესავებს ძალი დაუკლა. ამით

აღმფოთებულმა სიძემ სიმამრი და მისი მოდგმა დაწყევლა სიტყვებით: „დაე, მინამ ჩაგიტანოს შენი შვილებითა და ცოლით“. დასტურად იქ მყოფთაგან „ამინ“ მოითხოვა. როგორც კი შეკრებილთ „ამინ“ წარმოსთქვეს, მაშინვე მინა გასკდა და მღვდლის სახლ-კარმა ვარდნა დაიწყო. მღვდლის სიძე ცდილობდა თავისი ცოლი დაეჭირა, მაგრამ მინამ ისიც ჩაიტანა. დიდხანს დარდობდა კაცი ამ წყევლაზე, რომლითაც, უნებურად, თავისი ცოლიც დაწყევლა. ამბობენ, რომ პაპანწყურიდან დღესაც ისმის მღვდლის ძაღლების ყეფა და მამლების ყვილი. გამოთქმა კი: „მინამ ჩაგიტანოს, როგორც პაპანწყური“ – დასაწყევლად გამოიყენება.

აბრსკილი აფხაზი პრომეთეა. იყო ერთი ულამაზესი და უსათნოესი გოგონა, რომელიც ღვთის გზას შეუდგა. ერთ დღესაც გოგონა დაორსულდა და ვაჟი გააჩინა. ბიჭი დღითიდღე იზრდებოდა. ათი წლისა უკვე ოცისას ჰგავდა. ღმერთი მას ვაჟუკაცობისა და გულადობისათვის მფარველობდა. აბრსკილი გაყოყოჩდა, თავი ღვთის ტოლად მიაჩნდა. მან თავისი თავნებობებით განარისხა ღმერთი. ღვთის ანგელოზებმა დიდი დევნისა და ოინების შემდეგ შეძლეს მისი დაჭერა და გამოქვაბულში (ჩ/ჭილოუ-ს დასახლების ახლოს) გამოკეტვა. აფხაზ ამირანს ორი „მცველი“ ჰყავს: რაში და ლეკვი. აბრსკილს გამოსახსნელად თანასოფლელი ჯომლატ (სასრუკ) ანჩაბაძე მოაკითხავს, მაგრამ ვერ გამოიხსნის. რამდენადაც ახლოს მიდიან მასთან, იმდენად შორს მიჰყავთ იგი ანგელოზებს. სჯერათ, რომ აბრსკილი დღესაც ცოცხალია და მეორედ მოსვლის უამს განთავისუფლდება. მისი რაშის ნაკელი გამოქვაბულიდან გამოსულ მდინარეს ომერ-ფაშის შემოსვლამდე მოჰყვებოდა (ანუ ცოცხალი იყო). გადმოცემის ამ ვერსიის მთქმელია ხუმპრია ტუზბა.

„აჩკი-ტიზგო“ სწორედ გამოსულ ნაკელს ნიშნავს. ასე ჰქვია ზუსტად იმ გამოქვაბულს, სადაც აბრსკილია დატყვევებული. ნარკვევში ეს გამოქვაბული დეტალურადაა აღწერილი. ადგილობრივთა რწმენით, მასში შესვლას ძლიერი ჭექა-ქუხილი და წვიმა მოჰყვება, ამიტომ უკმაყოფილება გამოუთქვამს ხალხს ამ ექსპედიციაზე: ძიუაუს (საფრთხობელას) ჩვენც კი გავაკეთებთ წვიმის მოსაყვანადო.

საკვანძო სიტყვები: აფხაზური, ფოლკლორი, პაპანწყური, ამირანი, პრომეთე, აბრსკილი, ვარციხე, ასუბა და კაცუბა, ანჩაბაძე, აჩკი-ტიზგო.

Key words: Apkhazian, folklore, Papantskuri, Amirani, Abrskili, Vartsikhe, Asuba and Katsuba, Anchabadze, Achki- tizgo.

ТЛ, 1904, №266, გვ. 1, სიმონ ესაძე, „აფხაზეთის ავტონომიის გაუქმების ორმოცი წლისთავზე“: ავტორი წერს, რომ ძველ თხზულებებში შავი ზღვის ჩრდილო აღმოსავლეთ ნაპირზე ცხოვრობდნენ კერკეტებისა და გენიოკების ტომები, რომლებიც შეერივნენ ახეებს და დასახლდნენ ციმერიის ყურემდე, მათი

საზღვარი მთავრდებოდა ქალაქებით კოროცონდამით, ახილეუმით, ცეპით და ფინაგორიით (მითრიდატი), რომელიც იყო ქვეყნის მთავარი სავაჭრო ცენტრი.

აფხაზეთი ხდება უფრო ცნობილი რომის იმპერიის დაყოფისას. იმ დროინდელ წყაროებში იგი ნახსენებია ან დამოუკიდებელ ქვეყნად ან ქართველი მეფეების ხელდასხმულად, ზოგჯერ კი საქართველოს (ივერიის) შემადგენელ ნაწილად. ამავე დროს აფხაზები ხდებიან ქრისტიანები. შემდეგ აფხაზეთში სახლდებიან ბერძნები და გენუელები, რომლებიც ქართველების მსგავსად შეერივნენ ადგილობრივ მოსახლეობას. ყოველ საზოგადოებას ჰქონდა ზეგავლენა ადგილობრივების ადათ-წესებზე. ცხრა საუკუნის მანძილზე ასეთი ზეგავლენა ნელ-ნელა ანადგურებდა აფხაზების ძველი წარმოშობის ნიშნებს. ასე მეთორმეტე საუკუნის ბოლოს აფხაზებმა დაკარგეს თავიანთი ერობა. ჩინგიზ-ხანის დროს ჩერქეზების, კაბარდოელების, აბაზგების ტომები გადასახლდნენ აფხაზეთში მონღოლებისგან გადარჩენის მიზნით. ერთ-ერთი მათგანი იყო ზეგავლენიანი და მდიდარი თავადი აჩაა (ანჩაბაძე), რომელმაც გადმოიყვანა აფხაზები თავის მხარეს, დაყო პარტიებად, მეთაურობდა მათ და დაიკავა საუკეთესო მიწები. ყუბანიდან ჩასახლებულებმა შეიტანეს აფხაზეთში ახალი პოლიტიკური წყობა და შიდა ცხოვრების ახალი ფორმები. აფხაზეთში მეორე ზეგავლენიანი გვარის მქონდე თავადები იყვნენ ჩეჩაა (შერვაშიძე). მეთხუთმეტე საუკუნემდე ისინი იმყოფებოდნენ ქართველი მეფეების ზეგავლენის ქვეშ. ქართული სამეფოს დაშლის შემდეგ გახდნენ დამოუკიდებლები. ცხომელი (აფხაზეთის) შერვაშიძეები დიდი ხანი იმყოფებოდნენ სამეგრელოს ზეგავლენის ქვეშ. როდესაც 1453 წელს დაიღუპა იმპერატორი კონსტანტინე, თურქებმა ხელში აიღეს ხელისუფლება. აფხაზეთში დაიწყო ბერძნების დევნა, შეფერხდა მრეწველობა და განათლება, დაიწყო არეულობები, აფხაზები ვერ ეწინააღმდეგებოდნენ მეზობლების თავდასხმას. დაიწყო მდიდარი ქრისტიანული ტაძრების დარბევა, რელიგიისადმი გულგრილობა, გაჩნდა მიუღებელი ადათ-წესები.

თურქების დახმარების იმედით, შერვაშიძე გამოეყო სამეგრელოს, დანათესავდა ანჩაბაძესთან და დაიპყრო აფხაზეთის დიდი ნაწილი. ამავე დროს აფხაზები ხდებიან მაჰმადიანები და იღებენ თურქულ ადათ-წესებს. შემდეგ აღწერილია თავად შერვაშიძეების გენიალოგია, ვინ ვინ იყო და რას აკეთებდა აფხაზეთში ერთმანეთის მტრობისას იმ პერიოდში, როდესაც აფხაზეთი იყო თურქების ზეგავლენის ქვეშ.

საკვანძო სიტყვები: შავი ზღვა, კერკეტი, აფხაზეთი, რომის იმპერია, საქართველო, ივერია, ქრისტიანობა, ბერძენი, თურქი, ევროპა, ქართველი, ჩერქეზი, ყაბარდოელი, ანჩაბაძე, შერვაშიძე, იმერეთი, დადიანი, გურიელი, სამეგრელო, დადემქელიანი, კონსტანტინოპოლი, თურქეთი, ბათუმი, სუხუმ კალე, ანაკლია.

Keywords: Keywords: Black Sea, Abkhazia, Roman Empire, Georgia, Iveria, Christianity, Greek, Turkish, Circassian, Kabardian, Anchabadze, Shervashidze, Imereti, Dadiani, Gurieli, Samegrelo, Dadishkeliani, Constantinople, Turkey, Batumi, Sukum Kal, Anaklia.

ТЛ, 1904, №267, სიმონ ესაძე, „აფხაზეთის ავტონომიის გაუქმების ორმოცი წლისთავზე“: სტატიის ავტორი წერს, რომ აფხაზეთის მეთაურ სეფერ-ბეის ესმოდა ასლან-ბეის ძლიერებისა, რომელსაც თურქები გვერდს უმაგრებდნენ. იმისათვის, რომ გაეძლიერებინა ქვეყნის მმართველობა, სეფერ-ბეიმ აფხაზეთი დაუქვემდებარა რუსეთს. იგი სთხოვდა რუსეთის იმპერატორს დაეტოვებინათ მისი შთამომავლები აფხაზეთის მმართველად. ასევე, იღებდა ვალდებულებას, რომ აღიარებდა ქრისტიანობას. 1810 წლის 17 თებერვალს რუსეთის იმპერიამ დააკმაყოფილა ყველა მისი თხოვნა. ამასობაში აფხაზეთის კანონიერი მემკვიდრე ასლან-ბეი თურქულ გარნიზონთან ერთად გამაგრდა სოხუმში, მაგრამ სეფერ-ბეიმ რუსეთის ჯარის დახმარებით აიღო ქალაქი. ამის შემდეგ სეფერ-ბეიმ მიიღო ქრისტიანობა, შეიცვალა სახელი და გახდა გიორგი. მისი სიკვდილის შემდეგ რუსეთის იმპერატორმა აფხაზეთის მმართველად დანიშნა მისი შვილი დემეტრე, მაგრამ აფხაზეთი აჯანყდა, რადგანაც აფხაზები არ მიიჩნევდნენ მას კანონიერ მემკვიდრედ და მხარს უჭერდნენ ასლან-ბეის. დემეტრემ რუსეთის დახმარებით დაარბია აჯანყებული მოსახლეობა. თავად შერვაშიძეების მეთაურობის დროს აფხაზეთი ხშირად ჯანყდებოდა, მაგრამ ყოველ ჯერზე რუსეთის ჯარი არბევდა მათ. 1880 წელს რუსეთის ჯარის მიერ იყო დაკავებული მნიშვნელოვანი პუნქტები: ბომბორა, გაგრა, ბიჭვინთა.

აფხაზეთის ხალხი იყოფოდა თავადებად, აზნაურებად და გლეხებად. მრავალი საუკუნის მანძილზე აფხაზეთი იმყოფებოდა სამმაგი ზეგავლენის ქვეშ: ზღვიდან მაჰმადიანი თურქების, მთებიდან – ჩერქეზებისა და ვაკიდან – ქრისტიანი ქართველ-მეგრელების. ასეთმა ზეგავლენამ დაატყო თავისი კვალი აფხაზების ცხოვრებასა და ადათ-წესებს.

შემდეგ საუბარია რუსეთის დაქვემდებარებაში მოქცეული სოხუმისა და აბუინის ოლქების შესახებ და თავად მიხეილ შერვაშიძის როლზე 1853-1856 წლების აღმოსავლეთის ომის დროს.

საკვანძო სიტყვები: აფხაზეთი, რუსეთი, საქართველო, იმპერატორი ალექსანდრე I, პეტერბურგი, აფხაზი, ჩერქეზი, ტიფლისი, იმერეთი, შერვაშიძე, გაგრა, ბიჭვინთა, თურქეთი, სოხუმი, აღმოსავლეთის ომი, რუსული ჯარი, სამეგრელო, გიორგი დადიანი.

Keywords: Abkhazia, Russia, Georgia, Emperor Alexander I, St. Petersburg, Abkhazian, Circassian, Tiflis, Imereti, Shervashidze, Gagra, Bichvinta, Turkey, Sokhumi, Eastern War, russian army, Samegrelo, George Dadiani.

СМОМПК, 1907, №37, განც. 1, გვ. 241-278, ი. დერჟავინი, „აფხაზეთი ეთნოგრაფიული კუთხით“: სტატიის დასაწყისში ავტორი ასახელებს სხვადასხვა გამომცემლობასა და ავტორს, რომლებიც აფხაზეთსა და აფხაზეთის ყოფა-ცხოვრებას ეხება.

1903 წელს მან მოინახულა აფხაზეთი ეთნოგრაფ დ. ლაკერბაიასა და გიმნაზისტ ვლადიმერ ლაკერბაიას დახმარებით, შეაგროვა დიდძალი ეთნოლოგიური მასალა, რომელშიც აღწერილია ყოფა-ცხოვრება აფხაზეთში (მის მიერ შეგროვებული მასალის სხვა ნაწილი: მშობიარობისა და ქორწინების ადათ-წესები დაბეჭდილია СМОМПК, №36-ში).

ავტორი წერს, რომ ყოველ გვარს აფხაზეთში ახლაც გააჩნია თავისი კვირის დღე, რომელსაც ჰქვია ამშ-შარა=ჩვენი დღე: ამ დღეს არ შეიძლება მუშაობა, კითხვა, ქსოვა, არ შეიძლება რაიმეს გაცემა და აკრძალულია ტირილი. ბევრი აფხაზის გვარი ემთხვევა კვირა დღეს. უფროსებს აფხაზეთი მოკრძალებულ პატივს სცემენ, ოჯახში ყველაფერი მისი თანხმობით კეთდება. ქალის საქმეებს კი უფროსი ქალი განაგებს. ოჯახში ყველა წესსა და ლოცვას უფროსი ქალი და მამაკაცი ასრულებენ. ნებისმიერი გვარისათვის ტიპურად ითვლება საგვარეულო შურისძიების წესი – ნათესავის სიკვდილის გამო სავალდებულოა შური იძიოს მთელმა სანათესაომ. შურისძიება ვრცელდება მკვლელის ოჯახის ყველა წევრზე. ქმარი და მამაკაცი ერთი ტერმინით განისაზღვრება – ახაცა, ცოლი და ქალბატონი – აფხუს. ავტორი აღწერს აფხაზეთის საქორწილო რიტუალს. ცოლს არა აქვს უფლება, თქვას „ჩემი ქმარი“. მას არ აქვს უფლება, მიმართოს სახელებით ქმარს, მამლებს, ოჯახის წევრებს და ა.შ. ასევე, ქმარი არასდროს წარმოსთქვამს ცოლის სახელს. ავტორი წერს, რომ ნელ-ნელა აიკრძალა გვარში ერთმანეთს შორის ქორწინებად, ამდენად, გაჩნდა აუცილებლობა სხვადასხვა გვარეს შორის დაქორწინება. ავტორი აღწერს აფხაზის ოჯახში ცოლ-ქმრის დამოკიდებულებებსა და მათ მოვალეობებს. აფხაზი ქალი დიდი თავისუფლებით სარგებლობს. აფხაზი ქალები ზოგჯერ ყაჩაღობებშიც იღებდნენ მონაწილეობას მამაკაცებთან ერთად.

სტატიაში დანვრილებით აღწერილია აფხაზი ქალის მშობიარობის პროცესი. ახალშობილის მამა არ იმყოფება სახლში ცოლის ორსულობის პერიოდში, მშობიარობის შემდეგ კი არ ეკარება სადღესასწაულო სუფრას. ბავშვს დედა აჭმევს მხოლოდ სამი დღე, შემდეგ ატანს ბავშვს მორდუს (ძიძას). ბავშვები იზრდებიან 7-8 წლის განმავლობაში, შემდეგ კი აჩვენებენ მშობლებს. გოგოს აღზრდა 12 წლის ასაკში სრულდება, ბიჭისა კი – 16 წლის ასაკში და შემდეგ შეილება უბრუნდებიან მშობლებს. ბავშვების აღზრდის ითვლებიან ოჯახის წევრებად და ამ ოჯახებს შორის ქორწინება აკრძალულია. შემდეგ დანვრილებით არის აღწერილი ბავშვის გაძიძავების წესი, რასაც ჰქვია ატალის ინსტიტუტი ან ძუძუმტე-ნათესაობა. ეს ადათ-წესი არსებობს ძირითადად მაღალ საზოგადოებასა და მდიდარ გლეხებში.

აფხაზეთში შემონახულია ქერუმთა არსებობის ნაკვალევი. გუდაუთაში არის წმინდა მთა დიდრიფში, რომელზეც ასვლა აკრძალულია. მთის ძირში დგას წმინდა მუხა, რომელზეც კიდია სპილენძის თასი, ნაჯახი არაბული წარწერით და ხმალი. ახლოს არის დიდი ქვაბი. ამ ადგილას აფხაზები ღვთაებას მსხვერპლს სწირავენ და ფიცს დებენ. ქერუმთა როლი ეკუთვნის ჩიჩბას გვარის წევრებს, რომლებიც ცხოვრობენ ახლო სოფელში, აჩანდარაში.

საკვანძო სიტყვები: აფხაზეთი, აბაზგი, ცებელდა, შავი ზღვა, გუდაუთა, ლაკერბაია, ოჯახი, ქორწილი, მშობიარობა, ძუძუმტე, სამურზაკანო, სამეგრელო, გურია, იმერეთი, შერვაშიძე, ქერუმი, დავით აღმაშენებელი, თამარ მეფე, გაგრა, ადლერი.

Keywords: Abkhazia, Abazgi, Cebelda, Black sea, Gudauta, Lakerbaya, family, married, birth, milk kinship, Samurzakano, Samegrelo, Guria, Imereti, Shervashidze, priest, David the Builder, King Tamar, Gagra, Adler.

ყБ, 1899, №203, კ. მაჭავარიანი, „აფხაზეთის ნარკვევები“: აფხაზებს არასდროს ჰქონდათ დამწერლობა, რომ გაიგო მათი ისტორია. შეუძლებელია არ მოიხიბლო ამ კუთხით, რომელიც მდებარეობს შავი ზღვის აღმოსავლეთ ნაპირზე. აფხაზური არ ჰგავს არც ერთ ინდოევროპული ჯგუფის ენას. ამ ენის ბევრი გამონათქვამი არ ითარგმნება სხვა ენაზე. სტატიამი მოთხრობილია სოხუმის ისტორია, ბერძნებისა და რომაელების დროიდან მოყოლებული თურქების მიერ შავი ზღვის აღმოსავლეთი ნაპირის დაპყრობამდე. დაბეჭდილია ლეგენდა დიოსკურების შესახებ.

საკვანძო სიტყვები: აფხაზეთი, სოხუმი, აფხაზები, აფხაზური ენა, დიოსკურია, შავი ზღვა, ცხუმი, არგონავტები.

Key words: Apkhazia, Sukhumi, Apkhazian language, Dioskuria, Black sea, Tskhum, Argonavts.

СМОМПК, 1906, №36, განყ. 2, გვ. 260-269, ნ. ს. დერჟავინი, „ქორწილი აფხაზეთში“: აფხაზებში აკრძალულია ერთი და იმავე ტოტემელთა დაქორწინება, ე.ი. ერთი გვარის წევრებმა ცოლები უნდა მოიყვანონ სხვა გვარიდან, რომლებიც თავიანთ მხრივ იღებენ გამოსასყიდს. ასეთი საგვარეულო ურთიერთობის გამო ერთი საგვარეულო იტაცებს პატარძალს მეორე საგვარეულოდან იარაღის გამოყენებით. მოგვიანებით ყველაფერი შეიცვალა და მშვიდობიანი შეთანხმება ხდება. აფხაზეთში აზნაური ვერ იქორწინებს გლეხის ქალზე და, ასევე, აზნაური ქალბატონი ვერ გაჰყვება ცოლად გლეხს. თუ ქორწილი იგეგმება მოლაპარაკებით, მაშინ სიძე გზავნის პატარძლის ნათესავებთან სანდო პირს (იზირხიას), რომელიც პატარძლის მშობლებისგან თანხმობის მიღებისთანავე შედის პატარძალთან ოთახში და მის წინ აგდებს ტყვიასა და დენთის მუხტს, რაც ნიშნავს იმას, რომ იგი მძევლად არის აყვანილი, ანუ დანიშნულია. შემდეგ იგი ჰაერში ისვრის და აცნობებს შეკრებილთ, მშობლებსა და ახლო ნათესავებს ამ ამბავს. ამავე

დღიდან სიძე-პატარძალი ერიდება ნათესაობას. შემდეგ სიძის მამა ძვირფასი საჩუქრებით მიდის პატარძლის ოჯახში, სადაც მას უმართავენ ნადიმს. ამ წესით პატარძალი გაყიდულად ითვლება და ორ კვირაში სიძე თავის მეგობრებთან ერთად მიდის პატარძლის სანახავად. ამ დღეს პატარძალი ნადიმზე ეპატიუება თავის მეგობრებს, ნათესავებს, მეზობლის ქალებს, მაგრამ თვითონ რჩება თავის ოთახში. ნადიმის დროს საქმროს ეპატიუება მეგობარი პატარძლის ოთახში, რომელიც მეგობრებით გარშემორტყმული დგას კუთხეში. ხშირად ამ დროს სიძე პირველად ნახულობს თავის საცოლეს. იგი ჯდება ტახტზე, მეგობარი სთხოვს პატარძლის მეგობრების დაშლას და მიჰყავს მასთან სიძე. სიძე გადაეხვევა პატარძალს, ქალი წინააღმდეგობას უწევს, მაგრამ შემდეგ ერთად სხდებიან ტახტზე და ოთახში იწყება ცეკვა – მხიარულება, შემდეგ სიძე მეგობრებთან ერთად ბრუნდება ნადიმზე. ასე გრძელდება რამდენიმე დღე, სანამ არ დაინიშნება ქორწილის დღე.

ქორწილის წინა საღამოს სიძე აგზავნის პატარძალთან თავის ამაღას, ძმასთან და დასთან ერთად, რომელიც შედგება 80-100 ადამიანისაგან. პატარძლის სახლში ღამე იმართება ნადიმი. დილით პატარძლის მშობლები უგროვებენ მას მზითვს, გარდა ამისა, ყოველი ნათესავი, ახლობელი თუ მეზობელი უძღვნის პატარძალს სამახსოვროდ ნივთს. როდესაც ქონება გაიგზავნა, პატარძალი ემშვიდობება ნათესავებს. მას აცილებს მხოლოდ რამდენიმე ახლო მეგობარი. პატარძალს სვამენ ცხენზე და უშვებენ სიძის ოჯახში. თანასოფლელები არ უშვებენ მას. სიძის ამაღა იწყებს მათთან ბრძოლას, რაც სრულდება სიძის გამარჯვებით და ამაღა სროლითა და სიმღერით აგრძელებს გზას. ო რე-დე-და, ო რე-დე-და, მოფა – ეს არის ერთადერთი საქორწილო სიმღერა და მისი აზრი აფხაზებმა არ იციან.

სიძის ჭიშკართან პატარძალს სროლით ხედებიან (პატარძალს სახე მანდილით აქვს დაფარული). შეჰყავთ თავის ოთახში და სიძის ოჯახში იმართება ნადიმი. სიძე ამ დღეს არ ენახება სტუმრებს. პატარძალი დგას ოთახში მეგობრების თანხლებით. თუ კი რომელიმე სტუმარს მოუნდება პატარძლის ნახვა, მიდის მასთან, პატარძლის მეგობარი აწევს სახეზე ჩამოფარებულ მანდილს, აჩვენებს ნახვის მსურველს და ისევ უმაღლავს სახეს. მეჯვარე უვლის სტუმრებს თეფშით, რომელზეც სტუმრები აწყობენ ფულს. აფხაზების მთელ ამ რიტუალს ჰქვია ატაცა-ბარა.

ქორწილის მეორე-მესამე დღეს სტუმრები იშლებიან, მაგრამ პატარძალი ერთი კვირის განმავლობაში არ ენახება დედამთილსა და მამამთილს. თუ კი მათ სურთ რამის თქმა, გზავნიან მასთან ვინმეს. ერთ კვირაში იმართება ნადიმი, რომელზეც იმყოფებიან ძირითადად ქალები. ამ დროს ახალგაზრდა დიასახლისი შეჰყავთ სიძის მშობლების სახლში. ამ წუთიდან იგი ერთვება ქმრის ოჯახის ცხოვრებაში და ქორწინება იღებს სრულყოფილ სახეს. რამდენიმე დღის შემდეგ ისინი ჯვარს იწერენ ეკლესიაში.

საკვანძო სიტყვები: ადათ-წესი, საგვარეულოს ჯგუფი, პირველყოფილი ხალხი, პატარძლის მოტაცება, გამოსასყიდი, მაჭანკალი, ქორწილი, საქმრო, პატარძალი, მზითევი.

Keywords: Tradition, group of ancestors, people of the bride, kidnapping of the bride, ransom, matchmaker, Mejvare, wedding, fiance, bride, dowry.

CMOMIK, 1903, №32, განყ. 3, გვ. 677-679, ი. ხრამელოვი, „მდინარეში დამხრჩვალის სულის დაჭერა“: აფხაზების ამრით, დამხრჩვალის სული ვერ პოულობს მოსვენებას, იგი დაბოდიშობს იმ მდინარის გარშემო, რომელშიც დაიხრჩო და ყოველ ღამე სანწყლად კვნესის, უსტვენს და სიმწრით ყვირის. მდინარიდან დამხრჩვალის სულის ამოსაყვანად მთელი მოსახლეობა იქ იკრიბება. ერთი ნაწილი დგება მდინარის ერთ ნაპირზე, მეორე კი – მეორეზე. ერთი ნაპირიდან მეორეზე ჭიმავენ ლამაზ აბრეშუმის თოკს, რომლის შუაშიც ებმება ახალი, სუფთა ბენვი ისე, რომ იგი არ ეხებოდეს მდინარეს. ბენვის ხვრელი გახსნილია, ამის შემდეგ ამბობენ ლოცვას და ორივე ნაპირზე მდგომნი იწყებენ ცეკვას და სიმღერას. უხარიათ, რომ სული ბრუნდება წინაპრებთან. როგორც კი ბენვი იწყებს გაბერვას, მაშინ სიმღერასა და ცეკვას უკლებენ, რომ არ დააფრთხონ სული. როდესაც სული თავსდება ბენვში, დგება სიჩუმე, ბენვთან მიდიან საგანგებოდ შერჩეული ადამიანები და კრავენ ხვრელს. ისევ იწყებენ სიმღერასა და ცეკვას, ყველა მხიარულობს, ბედნიერია და მიემართება დამხრჩვალის სახლთან (ხანდახან მიდიან მის საფლაფზეც), სადაც ბენვი იხსნება და სული მიდის წინაპრებთან ისევე, როგორც ბუნებრივი სიკვდილით დაღუპული. აღმოსავლეთ აფხაზეთში ეს ადათი გაქრა, დასავლეთში კი ისევ არსებობს.

საკვანძო სიტყვები: აფხაზეთი, აფხაზი, სული, დამხრჩვალი.

Keywords: Apkhazia, apkhazian, soul, drowned.

ᄃ ᄂ ᄇ ᄆ ᄆ

ზეპირსიტყვიერება

ლევანდები, თქმულებები, გადმოცემები

ССКГ, 1870, №3, გვ. 6-7. „ღვთისმოყვარე წინასწარმეტყველი“: უშვილო ღვთის-მოყვარე წინასწარმეტყველმა საღვთო წიგნში ამოიკითხა, რომ შეეძინებოდა გოგონა, რომელიც თავადის ყმის ბედი იყო. ღვთის იმედით მოინადინა ამ ბედის შეცვლა. ჯერ არ გაჩენილი ბიჭის დასალუპად დედა წაიყვანა მინდორში და მუცელი გაუფატრა. ქალი გადარჩა. წინასწარმეტყველმა შემდეგ ისევ ამოიკითხა წიგნში, რომ ვაჟი ცოცხალი იყო. მერე უკვე წამოზრდილ ბიჭს ცოლთან წერილი გაატანა – წერილის მომტანი დალუპეო. ეს წერილი კი ნახა წინასწარმეტყველის ქალიშვილმა, რომელსაც ვაჟი ძალიან მოეწონა და ის შეცვალა. ამგვარად, ღვთის ნება აღსრულდა.

საკვანძო სიტყვები: წინასწარმეტყველი, საღვთო წიგნი, ღვთის ნების გარდუვალობა.

Key words: Prophet, Scripture, The Inevitability of God's Will.

ССКГ, 1870, №3, გვ. 8-9. „ღმერთი“: ერთხელ ღმერთი გამოვიდა თავისი გაამაყებული ხალხის სანახავად. თვითონ ძონძები ჩაიკვა, ღვთის მონები კი მდიდრულად შემოსა. აულში ასე გამოწყობილ ღმერთს არაფერს მიესალმა. ერთმა სანყალმა კაცმა კი ესენი ყველანი სახლში შეიპატიჟა და მათთვის ძროხის დაკვლა მოინდომა, მაგრამ არ დააკვლევინეს. მერე ხბოს მწვადით გაუმასპინძლდა სტუმრებს. იქიდან წამოსულ ღმერთს გზაზე სამი მშიერი მგელი შეხვდა. ღმერთმა ერთს ურჩია იმ სანყალი კაცის შეჭმა, მეორეს – იმის ცოლისა, მესამეს კი – იმისი ძროხისა. იმათაც სამივე შეჭამეს. საბოლოოდ კი ყველა ეს შეჭმული ბედს ეწია და საუკეთესო პირობებში აღმოჩნდა. როგორც აღმოჩნდა, ყოველივე ეს ღვთის წყალობა იყო ამ კაცის კეთილშობილებით განპირობებული. შემდეგ ამ კაცს შვიდი ვაჟი შეეძინა. სამწუხაროდ, ისინი გაამპარტავდნენ, რისთვისაც სასტიკად დაისაჯნენ.

საკვანძო სიტყვები: ღმერთი, ღვთის წყალობა, ღვთის სასჯელი.

Key words: God, God's mercy, God's punishment.

ССКГ, 1870, №3, გვ. 15-18, „გრძნეული გოგო“: ჩემს წინაპარს ჰყავდა ორი ვაჟი. მათ შეეძინათ და, რომელიც დაბადებისთანავე გაქრა. ის მეორე ოთახში იპოვეს მამამ და ძმებმა, კერიასთან წამოსუპული ილიმებოდა. კითხვაზე – ვინ ხარო? არ პასუხობდა. მისი საქციელიდან გამომდინარე ჩათვალეს, რომ არ იყო წმინდა სული, რომელიც მათ დალუპავდა და გადანყვითეს მოეკლათ, სანამ ხალხი შეიტყობდა მის არსებობას. ადგნენ და ის ხელ-ფეხშეკრული მთიდან გადააგდეს ხევში. გოგოს არაფერი ევნო და ნახეს, რომ ისევ იქ იჯდა, სადაც –

პირველად. მერე მდინარეში მოისროლეს, ხმლითაც სცადეს მოკვლა, ცეცხლშიც ჩააგდეს, მაგრამ ვერაფერი დააკლეს. გოგონა კი იზრდებოდა. ამასობაში ხალხმაც გაიგო მისი არსებობის შესახებ. იქაურმა წმინდანმა ძმებს უთხრა, რომ ჩემს გარეშე მიზანს ვერ მიაღწევთ და შეუთვალა, მასთან მიეყვანათ ის თორმეტ თანატოლ გოგონასთან ერთად. ასეც მოიქცნენ. წმინდანი სათითაოდ ყველა გოგონას ფეხზე ვერცხლის ბორკილს აზომება. ის არავის მოერგო ამის მეტს და წმინდანმა ის მიჭაჭკული თავისთან დატოვა. მას მერე ეს ამბავი მთელ მათ გვარს ახსოვს და ყოველ წელს თიბვის დროს მოსახსენიებელს უკეთებენ: მოადულებენ ლუდს, აცხოვენ ფუნთუშებს... აკეთებენ რკინისა და ხის ჯოხებს სამ-სამ დიუმიანს, მიიტანენ გოგოს შებორკვის ადგილას და ეუბნებიან: ჩვენ არაფერი გვინდა, კარგიც და ავიც ამათ უსურვეო, – ჯოხებზე ეუბნებიან. მერე კი შეექცევიან საჭმელს და უკან მთელი ძალით გამორბიან იმ რწმენით, რომ უკან ჩამორჩენილი იმ წელს გარდაიცვლება. ამ დღისთვის მომზადებულ საკვებს ქალებს არ აჭმევენ – უნაყოფობას გამოიწვევსო.

საკვანძო სიტყვები: წმინდანი, მიჭაჭკული უწმინდური გოგო, უწმინდურისგან თავდასაცავი რიტუალი.

Key words: A saint, a chained unclean girl, a rite of protection from the unclean.

ССКГ, 1870, №3, გვ. 18-19, „რატომ გაუჩინარდა წმინდანი“: წმინდანი მუდამ აღმოჩნდებოდა ხოლმე იქ, სადაც დასახმარებლად უხმობდნენ. ერთხელ ერთმა ვაჟმა მოინდომა, ამაში დარწმუნებულიყო და იხმო ის. წმინდანი მაშინვე იქ გაჩნდა ნაცრისფერ ცხენზე ამხედრებული და თეთრ სამოსში გამონწყობილი და როდესაც გაარკვია, რატომაც იხმეს, ძალიან იწყინა. ამის შემდეგ წმინდანი აღარ-სად ჩნდება, ურწმუნო ვაჟი კი თავის ფარასთან ერთად გაქვავდა.

საკვანძო სიტყვები: წმინდანი, ურწმუნო ვაჟი, სასჯელი.

Key words: Saint, unbelieving son, punishment.

ИКОИРГО, 1916, ტ. 24, №3, გვ. 229-234, ჩამწ. ს. გ. კარგინოვი, მთქმ. ფატა ბასკაევი 127 წლის, „ოსთა ხალხური თქმულებები და წესჩვეულებები (ძუარ თხოხლი)“: „წმინდა თხოხლი“ მფარველობდა ჩვენს აულს და გვიცავდა მტრისა და უბედურებისაგან. საჭირო დროს ის „ფადისის“ დაძახებისას (საშველად ხმობისას) არ აყოვნებდა. ერთხელ კი მისი ნახვა მოისურვა მეცხვარე ბიჭმა. მან ურს-დურის ქვასთან მყოფმა, რომლის ქვეშაც ბინადრობდა ძაურ თხოხლი, სამჯერ დაიძახა „ფადის“. მაშინვე ქვის ქვემოდან გამოვარდა თეთრი ცხენით თავგადაპარსული მხედარი – თეთრი სამოსით თავიდან ფეხამდე შეიარაღებული. როცა მან გაიგო, რომ ბიჭი ამასხარავებდა, თქვა, რომ ის დაძახებაზე აღარ გამოცხადდებოდა, ბიჭი და მისი ცხვრის ფარა კი გააქვავა. ამის თქმაზე მთხრობელმა მსმენელს უჩვენა გაქვავებულთა ქვების გროვა. ყოველივე ამის შემდეგ, ურწმუნო ადამიანთა გამო, ღვთაება უხილავად მფარველობს თავის სამწყსოს.

საკვანძო სიტყვები: ძაურ თხოსდი, ღვთაება, ფადისი, მხედარი.

Key words: Dzaur Tkhosdi, divine, Fadisi, Rider.

ССКГ, 1870, №3, გვ. 19-23, „უასტირჯის (წმინდა გიორგის)ორი ცოლი“: უასტირჯის ჰყავდა ორი ცოლი. თვითონ ერთხელ მთელი წელი სხვაგან იყო. ამ დროს ცოლები წაკამათდნენ. სახლში დაბრუნებულ ქმართან უფროსმა ცოლმა უმცროსი დააბეზდა: შენზე უკეთესად მარგუეცს თვლისო. უასტირჯი წავიდა მარგუეცის გასაცნობად, ცოლს კი დაპირდა, ის თუ ჩემზე უკეთესი არ აღმოჩნდა, ცხვირს მოგაჭრიო. დიდი ძებნის შემდეგ იპოვა. მარგუეცი, მართლა, ღირსეული ადამიანი ყოფილა. ბოლოს მარგუეცს კითხა: - შენი ცხვირის დაკარგვის მიზეზი რა არისო? იმან უპასუხა: - ჩემთვის ცხვირი არავის მოუჭრია, ეგ მე თვითონ გავაკეთეო და უამბო: თორმეტი წელი სახლიდან ყოფილა წასული, ცოლი კი ფეხმძიმედ ჰყავდა დატოვებული. ვაჟი შესძენია, მან კი არ იცოდა. სახლში დაბრუნებისას მამაკაცის სუნი იყნოსა თავისი ცოლის გვერდით. განრისხებული ოთახში შევედა თუ არა, უცხო კაცის ნაცვლად თავისი ცოლ-შვილი დახოცა: - ამიტომაც ასე დავისაჯე თავიო. ეს რომ გაიგო უასტირჯიმ, მივიდა დახოცილების საფლავთან და გააცოცხლა ისინი. უასტირჯიმ შემდეგ იკითხა მარგუეცის სიმამრის სახელი. გაირკვა, რომ მისი ცოლიც მარგუეცის სიმამრის შვილი ყოფილა და ისინი ნათესავეები აღმოჩნდნენ.

საკვანძო სიტყვები: უასტირჯი (წმინდა გიორგი), მისი ორი ცოლი, მარგუეცი, მკვდრების გაცოცხლება.

Key words: Wastyridge (St. George), his two wives, Marguece, resurrection of the dead.

ССКГ, 1870, №3, გვ. 27- 29, „რწმენათა კვალდაკვალ“: ოსებსაც, სხვა ხალხთა მსგავსად, ყოველი ადგილისა და დასახლებისათვის ჰყავდათ ღვთაებები. ის ხალხს იცავდა ბოროტებისაგან, მათ სწყალობდა და კეთილ გზაზე აყენებდა. მაგალითად, ასეთი იყო ნოგ-ძუარი (ახალი წმინდანი), რომელიც პატრონია შანაევთა მიწაზე, კანში მცხოვრებთა. ალაგერის მიწაზე მცხოვრებთა პატრონი კი არის ხეტაჯი-ძუარი (წმინდა ხეტაჯა). ხალხი მათ მსხვერპლს სწირავდა, მათ დღეებს ზეიმობდა, მღეროდნენ ღვთაებათა საპატივცემულოდ, სწირავდნენ ძვირფას ნივთებს. ეს ღვთაებები ხალხს იცავდა, მაგრამ ამას ყოველთვის ვერ ახერხებდნენ სხვა ღვთაებებთან დაუპირისპირებლად.

ეს წარმართული რიტუალები სრულდებოდა ქრისტიანულისა თუ მაჰმადიანურის პარალელურად.

საკვანძო სიტყვები: ადგილის ღვთაებები: ნოგ-ძუარი, ხეტაჯი-ძუარი, დღეობები.

Key words: Deities of the place: Nog-Zoo, Khetaji-Zoo, Days.

CCKT, 1870, №3, გვ. 33-35, „ლეგენდა ნოგ-ძუარზე“: „ნოგ“ ნიშნავს ახალს, „ძუარ“ – წმინდას, სუთთა სულს და კიდევე ჯვარს. მას თაყვანს სცემდნენ ჩვენი მორწმუნე წინაპრები შანაევთა მიწაზე მთებში, კანში. მისი სახელწოდების დღეს არც თუ შორეულ წარსულში, მას მსხვერპლს სწირავდნენ. მხოლოდ ერთმა მოხუცმა იცოდა, რატომ მიაგებდნენ მას პატივს: თურმე ერთხელ კანში ირმების დიდი ნახირი ბალახობდა. ამ დროს ატეხილა ჭეჭა-ქუხილი, მეხი ნახირს დაეცა და ერთი ხარი მოისროლა მიხი-ბრინკის მღელღოზე. იმავე ნახირის მეორე ხარი კი აღმოჩნდა იქვე დიდ ხეზე. ამიტომ გამხდარა ეს ადგილი თაყვანისცემის ობიექტი. ოსთა შორის ჯერ კიდევე არიან ისეთნი, რომელნიც ყოველ წელს ნოგ-ძუარის საპატივცემულოდ ადიან მთაში. შემდგომ, როცა დაინყეს მისი თაყვანისცემა, უწოდეს ძუარა-ლაგა (ე.ი. წმინდანის მსახური). ერთხელ მოხდა სასწაული: ამ ძუარა-ლაგამ ნახა მათკენ მიმავალი ირემზე ამხედრებული ნოგ-ძუარა, რომელსაც მარჯვენა ხელში ეუვნებით მორთული მათრახი ეჭირა და როგორც კი დაარტყა ირემს, ხმა მეხის გავარდნას ჰგავდა. ირემზე მჯდომი მიუახლოვდა მას და უთხრა: „ნადი და თქვი, რომ აულმა მსხვერპლი გამიზარდოს და იგემოს ეს დღე; კუგოველებს კი უთხარი, რომ ცოტა ხანში ისინი გაქრებიან!“ ერთი წელიც არ იყო გასული, რომ ყველა კუგოველი გადაშენდა – მათ თავს დაატყდათ ნოგ-ძუარის რისხვა.

შემდეგ აღწერილია, თუ როგორ იმართებოდა ნოგ-ძუარისადმი მიძღვნილი დღესასწაული ადრე და ამ ჩანაწერის გაკეთების პერიოდში. აქვე ნათქვამია, რომ სხვა ღვთაებებისადმი მიძღვნილი დღესასწაულებიც ამგვარად ტარდებოდა.

საკვანძო სიტყვები: ნოგ-ძუარი, რიტუალი, სასწაული, ირემი, წყევლა.

Key words: Nog-dzuar, ritual, miracle, deer, curse.

CCKT, 1873, №7, მ. შანაევი, ამ ლეგენდაში ოსეთის მფარველ წმინდა უასტირჯიზე დიდი მნიშვნელობა ენიჭება სტუმარმასპინძლობის ტრადიციას. სტუმარი ითვლება ღვთის საჩუქრად. სამმა ძმამ სიხარულით მიიღო მხედრის სახით მოვლენილი წმინდა უასტირჯი სტუმრად. მან კი სამივეს დიდი სიკეთე უბოძა. გარკვეული პერიოდის შემდეგ კი ორმა მათგანმა ყველაფერი დაკარგა, რადგან მათ არ განიკითხეს ამჯერად გაჭირებულის სახით მისული სტუმარი.

საკვანძო სიტყვები: სტუმარმასპინძლობის ტრადიცია, უასტირჯი, ღვთის წყალობა და სასჯელი.

Key words: The tradition of hospitality, uastrij, God's mercy and punishment.

CCKT, 1873, №7, ნართებზე თქმულების ორი ვარიანტი.

საკვანძო სიტყვები: ნართი.

Key words: Narties.

ССКГ, 1870, №3, გვ. 35-38, „თაგაურების წარმოშობა“: ოდესღაც, უცნობი მიზეზით, სომხეთიდან გამოქცეულა თავადი, შეიძლება მეფე, თაგაური (ოსურად-თაგა). გადმოცემით ცნობილია, რომ ამ ერთი დევნილისაგან წარმოშობილან ქურთათელები (ოსურად-ქურთათა). ის მოსულა დღევანდელ ალაგირში და იქ აუშენებია სახლი, რომლის ნანგრევები დღესაც არსებობს. აქაც ის ცხოვრობდა როგორც თავადი, დაოჯახდა, შეეძინა სამი ვაჟი: კამბია, ტოტიკა და ზაგაგა. ისინი საკმაოდ გამრავლებულან. ზაგაგას შთამომავლები სხვაგან გადასახლდნენ. ერთხელაც გაურკვეველი მიზეზით კამბიას შთამომავლებმა გადანყვიტეს ტოტიკასა და მისი შთამომავლების ამონყვეტა. მართლაც, დახოცეს ტოტიკას ვაჟი-შვილები და ნათესავები. თავად ტოტიკა კი გადარჩა – ის გაუფრთხილებიათ და მტერს შეასწრო თავის ციხესიმაგრეში. იქიდან მან მოახერხა, ციხესთან მიახლოება ეთხოვა თავისი გამზრდელისათვის, შემდეგ ზემოდან ტომარა ჩამოუშვა და დაუძახა: – ეს მატყლი მტერს რატომ დარჩეს, შენ გქონდესო. ამ ტომარაში კი ახალშობილი ბიჭი იწვა – ტოტიკას შვილი. გამზრდელმა იმ ღამესვე წაიყვანა ბავშვი ყაზარდოში და მიუყვანა მთელ ამ მხარეში ყველაზე ძლიერ გვარს-დობხუკოვებს. იქ ბავშვს დაარქვეს სანა, რომელიც ძლიერი გაიზარდა და ამხანაგებს ჯაბნიდა. ბავშვებმა კი წამოსძახეს, რომ ის აღიღეული კი არა, ოსი იყო. ვაჟმა ძიძა აიძულა, სიმართლე ეთქვა. წამოზრდილმა კი დობხუკოვებთან ერთად სისხლი აიღო მამისა და ახლობლების დახოცვის გამო, დაიბრუნა მამისეული მიწები და იქ დამკვიდრდა, დაოჯახდა, ეყოლა დიდი შთამომავლობა და იქვე დაბერდა. სიბერეში მან კიდევ ერთხელ გადანყვიტა მამამისის მკვლელი ქურთათელებისათვის სამაგიეროს გადახდა. ეს უთხრა თაგაურებს და სტუმრად მოიწვიეს ისინი, კარგად გაუმასპინძლდნენ, შემდეგ კი დახოცეს. ამის მერე სანამ აღარ ისურვა მტრებთან ერთად ცხოვრება და გადასახლდა კანში. ასეთია გადმოცემა.

საკვანძო სიტყვები: თაგაურები, ქურთათელები, სისხლის აღება.

Key words: Tagurians, Kurtatians, blood taking.

ССКГ, 1870, №3, გვ.24-25, „ქალების მაქციობა მგლებად“: ბატირსა ბასილტის ცხვრის ფარას უვლიდა. ერთხელ მე და მან ერთად მივრეკეთ ცხვარი მარილიან წყაროსთან და მოშორებით ვიცდიდით. როცა ცხვართან მივბრუნდით, ვნახეთ, ცხვრების ნაწილი ირგვლივ დათუღეტილი ეყარა. ჩემი და ბატირსას ცხვრები კი უვნებლები იყო. ბატირსამ იქვე დაინახა დიდი ნაცრისერი მგელი, მაგრამ თქვა, რომ ეს არ იყო მგლების გაკეთებული და რაღაც მავნებლობა იყო მიზეზი. ის თოფით გაყვა ამ მგელს და ნახა, რომ გენერალ ტუგანოვის აულში მგლის კვალი აღამიანის კვალით შეიცვალა. მიჰყვა ისევ და წისქვილთან მივიდა, მის ქვეშ კი შეშინებული ქალი იმალებოდა. მოკვლა უნდოდა, მაგრამ ქალის მუდარას დაჰყვა, რომელიც ტანსაცმლის შეკერვას დაჰპირდა. ე.ი. ქალი-ჯადოქრები სხვადასხვა ცხოველებად გადაიქცევიან ხოლმე და ვიზუც ნაწყენები არიან, მას

ზიანს აყენებენ. სხვა შემთხვევაც ყოფილა: კაცმა შვიდი წლის წინ მოკლა ქალი, როცა მგლად იქცა. მისი ვაჟიშვილები მეზობელ აულში ცხოვრობენ.

საკვანძო სიტყვები: ქალი-ჯადოქარი, მგელი, მაქციობა.

Key words: Female magician, wolf, witchcraft.

CCKT, 1870, №3, გვ. 25-27. „რა არის საქონლის მოარული სენი“: ეს სენი ყოველ ჯერზე დიდ ზიანს აყენებს სოფლის მოსახლეობას. ხალხი მას გასულიერებულად წარმოიდგენს ჯადოქარი ქალის სახით. ოსებს ეზინიან მისი და სძულთ. აულის უხუცესი მოყვა: ერთხელ როცა მძვინვარებდა ეს სენი, ძალიან განვიცდიდი ჩემი ხარის დაღუპვას და მაშინ უცნაური სიზმარი ვნახე: შუალამისას სახლიდან გამოვიდა საშინელი გარეგნობის ქალი, რომელიც ცნობილი იყო როგორც ჯადოქარი. ის იყო გაბურძენული გაშლილი თმებით. ვკითხე, რა უნდოდა შუალამისად გარეთ? მან კი მითხრა, რომ ის იყო მოარული სენი. შენ კი ნუ წუხარ, აღარაფერი დაგელუპებაო. მე ახლა შენი მეზობლების საქონელს დავეუვლიო. მართლაც, მე საქონელი აღარ დამღუპვია, მაშინ როდესაც ზოგ მეზობელს ერთიც არ შერჩა. ქალ-ჯადოქართან დაკავშირებით სხვაც მოყვა იმავე ტიპის თავის სიზმარს.

საკვანძო სიტყვები: საქონლის სენი, ქალი-ჯადოქარი, სიზმარი.

Key words: Beard, female magician, dream.

CCKT, 1873, №3, „ოსური თქმულებები“.

საკვანძო სიტყვები: თქმულებები.

Key words: Sayings.

K, 1858, №30, ნ.დუნკელ-ველინგი, „გუდას სიყვარული (ოსური ლეგენდა)“: ვის არ შეუმჩნევია მდინარე არაგვის ხეობაში გუდიგორისა და ეშმაკის ველის მახლობლად შეფენილი ოსების ღარიბული სახლები. ერთ-ერთ ასეთ სახლში პატარა გოგონა ნინა ცხოვრობდა, ულამაზესი, ჩინარივით ტანწერნეტი, რომელიც შეუყვარდა მთის მოხუც გუდას. ღვთაება როგორ არ მფარველობდა ქალიშვილს და მის ოჯახს, როგორ არ ევლებოდა თავს ნინას, მაგრამ პირდაპირ ვერ დაენახვებოდა. თხუთმეტი რქა რომ დაიკიდა (აღამიანის წლებს რქებით ითვლიან ოსები), ნინას მეზობელი სოსიკო შეუყვარდა. გუდა ცდილობდა ყმანვილის დაღუპვას, როცა ის არჩევს დასდევდა მთაში, მაგრამ – ამაოდ. ერთხელაც, როცა ნინა და სოსიკო სახლში მარტონი იყვნენ, ჩამონვა დიდთოვლობა და სახლიდან ცხვირს ვერ გაყოფდნენ, სანამ მაშველები გარედან არ განმენდნენ შესასვლელს. თავიდან ყმანვილებს უხაროდათ მარტო ყოფნა, მერე მოშივდათ და, რაც სახლში იყო, ყველაფერი მიირთვეს. გავიდა დღე, მეორე და მათ უფრო და უფრო შივედებოდათ, სოსიკომ ალერსის და კოცნის ნაცვლად მხარში კბილი ჩაასო ნინას, ამ დროს კარი გაიღო და მაშველები შეცვივდნენ სახლში. შეყვარებულები ერთმა-

ნეთის მტრებად იქცნენ, გუდა კი ისე ხარხარებდა, რომ გუდას მთიდან ქვები ცვიო- და ეშმაკის ველზე.

საკვანძო სიტყვები: ასაკის ანგარიში რქებით, ქვათაცვენა, გუდგორა, ეშმაკის ველი.

Key words: Counting Age with Horns, Stonefall, Gudgora, The Valley of Satan.

K, 1859, №20, ნ. დუნკელ-ველინგი, „ოსური ლეგენდა პრომეთეზე“: ეს ლეგენდა ჩანერილია რაჭაში, სოფელ უწერაში, თუმცა მისი მოსმენა შესაძლებელია მამისონის უღელტეხილის სოფლებშიც. თხების მწყემსი ნაბოლარა ბესო სიმონა-შვილი მოხვდა გამოქვაბულში. ამ გამოქვაბულში მიჯაჭვული იყო ოქროსკულუ-ლებიანი პატიმარი, რომელიც გმინავდა და ვერ წყვეტდა ჯაჭვს. პატიმარმა თხოვნით მიმართა ბესოს. ბესოს ახალი ქალამანი ეცვა და ეგონა, მიჯაჭვული მას ქალამნებს თხოვდა. თურმე ის მწყემსს განძს უძღვნიდა, თუკი ჯაჭვის ბოლოს მიაწვდიდა. ბესომ ძლივს ასწია ჯაჭვის ბოლო, მაგრამ ვერ მიაწვდინა პატიმარს. გადაწყდა, ბესო გამოჭედავდა ახალ ჯაჭვს და დაბრუნდებოდა პატიმრის გასათავისუფლებლად, მტაცებელი ფრინველის ჯინაზე. გავიდა თვეები, ბესო მთელი გულმოდგინებით ჭედავდა ახალ ჯაჭვს, მასალად იყენებდა აქა-იქ ნაპოვნ ლურსმნებსა და ნალის ნამტვრევებს. ბოლობოლო, როდესაც გამძლე ჯაჭვი მზად ჰქონდა, გაუდგა გზას, მაგრამ ბესოს ახალი აკვიატება შეუმჩნეველი არ დარჩენიათ თანასოფლელებს. მათ გამდიდრების სუნი იყნოსეს, მალულად გაჰყვნენ ყმანვილს, შეიპყრეს და სიმართლე ათქმევინეს. ეს იყო და ეს, გაისმა გრგვინვა და ის მთა, რომელშიც გამოქვაბული იყო, ჩამოიქცა და მიწამ ჩაიტანა. მას შემდეგ ჯკუიდან გადასული გამხდარ-გალეული, ჩოხაშემორღვეული ბესო სოფელ-სოფელ, ტყე-ტყე დაიარება და ფეხებზე იყურება – ჰგონია, რომ მას ისევ ახალი ქალამანი აცვია.

საკვანძო სიტყვები: გამოქვაბულში მიჯაჭვული პატიმარი, ძერა, მწყემსი ბესო სოლომონაშვილი, უწერა.

Key words: The Prisoner Chained in the Cave, Kite, Shepherd Beso Solomonashvili, Utsera.

ССКГ, 1971, № 5, გვ. 1-5, დ. შანავეი, ხალხური გადმოცემა „სოსრიკო“: ოსურ ხალხურ გადმოცემაში საუბარია ეპიკური გმირი სოსრიკოსა და სამი ნოღაიდელის ორთაბრძოლაზე. აღწერილია, თუ როგორ დაამარცხა ისინი სოსრიკომ და ნიშნად გამარჯვებისა როგორ აყარა მათ იარაღი. ამასთანავე, გადმოცემაში ნახსენებინი არიან: აღსარი, ახსატარგი – სოსრიკოს უმცროსი აღსაზრდელები, რომლებიც იღუპებიან სამ ნოღაიდელ გმირთან ბრძოლის დროს. აგრეთვე, საუბარია ოსური ნართის ეპიკური გმირის აგუნდას (შავი მთის ბატონის აღდარის ქალიშვილი), სოსრიკოს ცოლის შესახებ.

საკვანძო სიტყვები: ნართები, სოსრიკო, აგუნდა, აღსარი, სამი ნოღაიდელი გმირი.

Key words: Narts, Sosriko, Agunda, Three nogaedian heroes.

ССКГ, 1971, №5 გვ. 5-9, დ. შანაფი, „აღგატე“: გადმოცემა ეხება ცნობილი გვა-რის აღგატეთა მოდგმას. ერთ-ერთ თავყრილობაზე იყვნენ სხვადასხვა შტოს წარმომადგენლები: ურიზმაგი, ხამიცი, სოსრიკო და ხიზა. უნდა აერჩიათ მოდგმის თავკაცი. სოსრიკო და ხიზას შვილი წაკამათდნენ. ისინი სვამდნენ. სოსრიკოს აზრით, სჯობდა, რომ ფარსაგი ყოფილიყო მოდგმის თავკაცი. ისინი, ასევე, ერთ-მანეთს ეჭიბრებოდნენ ცეკვაში – თავზე სასმისით ცეკვავდნენ, ვინც დაღვრიდა, დამარცხებული აღმოჩნდებოდა. გამარჯვებულს კი ერგებოდა ულამაზესი აგუნდა.

საკვანძო სიტყვები: ოსეთი, ალაგატე, სოსრიკო, ხიზა, აგუნდა, ურიზმაგი, პანცი-რი.

Key words: Ossetia, Alagate, Sosriko, Khiza, Agunda, Urizmag, Panciri.

ЖМНП, 1903, ნან. 348, გვ. 452-457, მოსკოვი, 1902, ლ. მ., რეცენზია: „დიგორუ-ლი თქმულებები დიგორელ ი. ტ. სობიფის, კ. ს. გარდანოვის და ს. ა. ტუკაევის ჩანაწერების მიხედვით“: ვს. მილერის „დიგორული თქმულებები“ წარმომადგენს ფოლკლორულ-ეთნოლოგიური პროზისა და პოემის ნიმუშების კრებულს. ტექსტებს თან ახლავს ტრანსკრიფცია და რუსული თარგმანი. ტექსტები ჩანერი-ლია კირილიცაზე დაყრდნობით შექმნილი ოსური ანბანით. რეცენზიის ავტორის თქმით, აღნიშნული გამოცემა საინტერესოა ორ ასპექტში: ლინგვისტური, როგორც ოსური ენის დიალექტის და ფოლკლორულ-ეთნოლოგიურ ჭრილში. რეცენზიაში მოყვანილია გამოცემის შინაარსი: მაგალითად: „სიმღერა უძლეველ ასლამბეგზე“, „ბორაევ ბოროფერნუგი“, „სიმართლე არ იკარგება“, „ძანბოლატ და ანტონიკო“, „სოსლანი და ნართები“, „ორი ყრუ“ და სხვ. ჯამში, თავმოყრილია 14 თხზულება.

საკვანძო სიტყვები: მილერი, ოსური, დიგორული, თქმულებები, ფოლკლორი.

Key words: Miller, Osetian, Digorian, folk-tales, folklore.

СМОМПК, № 13, განყ. II, გვ. 141- 144, ზღაპარი „ქუნნი მდიდარი“: იყო ერთი მდიდარი და ქუნნი კაცი. ჰყავდა ცხვრის ფარა და მწყემსები, მაგრამ მწყემსებს ცხვრის ხორცს არასდროს აჭმევდა, მხოლოდ რასაც მოინადირებდა, იმას აძლევდა. ერთხელ ნადირობისას მან სატანას ჩვილი გადაარჩინა. სატანამ მადლიერების ნიშნად თავის ოჯახში მიიყვანა და გაათრთხილა არაფერი აეღო, რასაც მისი ძმები შესთავაზებდნენ და ეთქვა: “მომეცით ჩემი კუთვნილი“, სანამ დიდ სიმდიდრეს არ მისცემდნენ. ასეც მოდბა. ამის შემდეგ კაცი გულუხვი გახდა, მწყემსებს ყოველდღე ცხვარს უკლავდა და მოწყალეებას უხვად გასცემდა.

საკვანძო სიტყვები: ოსური, ზღაპარი, მდიდარი, ქუნნი, სატანა.

Key words: Osetian, Folk-tale, Wealthy Man, Mean, Satan.

ზღაპრები

CCKT, 1870, №3, გვ. 14-15, „ხარის ბეჭი“: ქორმა ხარი აიტაცა და ხეზე ჩამოჯდა. ამ ხეს მზისგან ეფარებოდა მწყემსი. ხიდან ჩამოვარდნილი ხის ბეჭი მწყემსს თვალში ჩაუვარდა, რაც სახლში მისულს დედამ ნიჩბით ამოაცალა. მასზე მდელიო გაშენდა. მელია დაეძგერა ამ ბეჭს და აქეთ-იქით ატრიალებდა. აუღს უკვირდა, რა გვემართებაო?! ერთხელაც მოკვდა ეს მელია და ერთ მხარეს ტყავი გააძრეს, მეორე მხარეს კი ვერ გადააბრუნეს. პატარძალმა ის რომ ნახა, ნაჰკრა ფეხის წვერი, გადაატრიალა და ტყავი გააძრო: - ჩემი ბიჭის ქუდის ძირისთვის მინდაო. თუმცა ეს ტყავი ქუდის ძირის ნახევარსაც არ ეყო.

საკვანძო სიტყვები: ხარის ბეჭი, მწყემსი, მელია, პატარძალი.

Key words: Bull fur, shepherd, fox, bride.

CCKT, 1870, №3, გვ. 3-4. „ნაცრისფერი მგელი“: მგელმა მაჩვის შეჭმა მოინდო-მა. მაჩვმა უთხრა: შენი წინაპრები შეჭმამდე მაჩვებს ჯერ გზის ზევით მოისროდნენ, შემდეგ – ქვევითო. მგელიც ასე მოიქცა და მაჩვი თავის სოროში აღმოჩნდა. მერე კი მაჩვმა უთხრა: – ჩემი წინაპრები შენსას ასე ასულელებდნენო. როცა მგელმა მეგობრობის შეთავაზებაზე უარი მიიღო, სიმწრით სული განუტევა.

საკვანძო სიტყვები: მგელი, მაჩვი.

Key words: Wolf, badger.

CCKT, 1870, №3, გვ. 4-5. „მეზობლები“: დათვი, მგელი და ღორი ერთად ცხოვრობდნენ; ცხვარი, ვაცი და მამალი კი – ცალკე. პირველებს ერთხელ ცეცხ-ლი ჩაუქრათ. მგელი სათხოვნელად მივიდა მეზობლებთან. ცხვარი მართო დახე-და და სტუმარი შინ მიიწვია: – ჯერ მგლის ხორციით გაგიმასპინძლდები, ვაცი თავი-სი რქებით ადვილად შოულობს და ცეცხლსაც მოგცემო. ამის გაგონებაზე შეშინე-ბული მგელი გაიქცა. იგივე დაემართათ დათვსაც და ღორსაც. მერე სამივენი ერთად როცა მივიდნენ მეზობლებთან, მოეჩვენათ, რომ ისინი ისევ მათ ეძებდნენ ცაში, მთაზე, მინაში და თან იმუქრებოდნენ. ახლა კი ისე მოკურცხლეს, რომ სადღაც გადაიჩენნენ.

საკვანძო სიტყვები: დათვი, მგელი, ღორი, ცხვარი, ვაცი, მამალი.

Key words: Bear, wolf, pig, sheep, goat, cock.

CCKT, 1870, №3, გვ. 10-14, „მდიდარი და ღარიბი“: მდიდარი და ღარიბი სანადიროდ წავიდნენ. მთელი დღე მათ ვერაფერი მოინადირეს, სალამოს კი ღარიბის ძლივს ნაშონი საგზლით ივახშმეს. მეორე დღეს მდიდარმა ღარიბს თვალეები დასთხარა ვახშმის საფასურად და ისე გააგდო. სანყალმა თვალდათ-რილმა თავი შეათარა სადგომს, სადაც დათვი, მგელი და მელია იკრიბებოდნენ. იმათგან კი გაიგო მხედველობის დაბრუნების, გამდიდრების საშუალებები და ასე

ბედს ეწია. მდიდარსაც მოუნდა მეტი ქონება. იმანაც იგივე გზა განვლო, მაგრამ ამ საქმეს ემსხვერპლა. ყოფილი ღარიბი კი ღმერთმა დააჭილდოვა და დღესაც ცოცხალია.

საკვანძო სიტყვები: მდიდარი, ღარიბი, თვალების დათხრა, ღვთის წყალობა.

Key words: rich, poor, the winking eyes, the mercy of God.

СМОМПК, 1882, №2, განყ. 2, გვ. 161-164, რ. სიკოვეი, „მძინარე წყარო ხუსაგდონი“: წყარომ ეს სახელწოდება იმიტომ მიიღო, რომ წყალი მასში 1 სექტემბრიდან მარტის ბოლომდე პერიოდულად იკარგება ხოლმე. ხალხი დარწმუნებულია, რომ ღმერთი მათ სიმტკიცეს ცდის რწმენაში. ამიტომ ხალხი პერიოდულად იკრიბება მასთან (რაჭიდანაც კი ჩამოდიან) მოსალლოცად. იქ სურთ გაიგონ რამდენად ცოდვილნი არიან, ასევე – თავიანთი ბედი თუ უბედობა. მათი ლოცვის შემდეგ წყარო თუ განაახლებს დენას, უცოდველნი არიან, თუ – არა, ცოდვილნი და უბედურნი.

გადმოცემის მიხედვით, დედამთილს რძალი არ უყვარდა და ერთხელ დაავალა სამ დღეში შესასრულებელი ყანის საქმის ერთ დღეში დასრულება. ყანა წყაროსთან იყო, ქალმაც წყაროს სთხოვა დახმარება და, მართლაც, მისი შეწევნით საქმეს ერთ დღეში მორჩა. სამუშაოს დასრულების შემდეგ წყარომ ქალს გადმოუყარა ოქროს საგნები: სავარცხელი, მაკრატელი და წყვილი წინდა. სახლში მისულმა ეს საგნები კერასთან დააწყო და მოყვა წყარომ როგორ დაასაჩუქრა. გაათავა თუ არა მოყოლა, ქალი გარდაიცვალა და ის წყაროსთან დამარხეს. სწორედ ამ ამბის მერეა წყაროში წყალი რომ იკარგება ხოლმე. ეს ნივთები კოშკში ინახებოდა, რომელიც რუსებმა დაანგრიეს და ისინიც დაიკარგა. გავეების გვარი ყოველი ახალი წლის ღამეს მიდის კოშკთან და იქ ლოცულობს.

საკვანძო სიტყვები: წყარო, რძალი, ოქროს ნივთები, ლოცვა.

Key words: Fountain, daughter-in-law, golden things, prayer.

ანეკდოტი

ССКГ, 1870, №3, გვ. 5-6, „კაცი და ქალი“: ცალ-ცალკე მიმავალი კაცისა და ქალის გზები შეერთდნენ. კაცს ზურგზე მოკიდებული ჰქონდა ქვაბი, ერთ ხელში ქათამი ეჭირა, მეორეში – ჯოხი და კიდევ თხა მიჰყავდა. მათ ხევი უნდა გაეველოთ. ქალმა უთხრა კაცს: – თხრილზე გადასვლისას რამე კი არ დამიშავო. კაცმა უპასუხა: – აბა, როგორ დაგიშავებ, ხო ხედავ, დატვირთული ვარო. ქალმა აუხსნა, როგორც შეძლებდა ამის მოხერხებას. კაცმაც რჩევა გაითვალისწინა და ქალმაც მიიღო, რასაც ეძებდა.

საკვანძო სიტყვები: კაცი, ქალი, ქალის „სიფრთხილე“.

Key words: Man, Woman, Woman's „Caution“.

მცირე უანრები

ЖМНП, 1887, ნან. 253, განყ. II, გვ. 339- 340, რეცენზია: ვს.მილერი, „ოსური ეტიუდები, მცირე უანრები“: თავისი ნაშრომის ამ ნაწილში მილერს მოჰყავს ისტორიული ცნობები ოსებზე სხვადასხვა წყაროდან, რათა დაადგინოს მათი წარმომავლობის ბინდითმცული ამბავი. ავტორი ცდილობს დააზუსტოს ძველად ოსთა განსახლების ადგილები. ოსების წინაპრები შედიოდნენ ისეთ ტომებში, როგორებიცაა: სარმატები და სკვითები. თუმცა, ავტორი გამიჯნავს სკვითთა ორ ჯგუფს. ოსთა წინაპრები ასევე იწოდებოდნენ ალანებად. ავტორი განიხილავს ასევე ოსური ენის ფონეტიკურ, გრამატიკულ თავისებურებებს. წიგნის ბოლოს თავმოყრილია ოსური სიტყვიერების ნიმუშები: სამხრეთ-ოსური დიალექტის გამოცანები, დიგორული და ირონული ანდაზები და სხვ.

საკვანძო სიტყვები: ოსები, ალანები, დიგორული, ირონული, წამორმავლობის საკითხი, ოსური სიტყვიერება.

Key words: Osetians, Alans, Dogorian, Ironian, Origins, Osetian Speech.

პოეზია

ЗКВ, 1853, №4, ვ. პერევალენკო, „ოსური საქორწინო სიმღერა“: აქ სტროფებს ახლავს მისამღერი: „იოჰ, ტაირირა! იოჰ, რირა!“

საკვანძო სიტყვები: ქორწილი, სიმღერა.

Key words: Wedding, song.

ეთნოლოგია

ИКОИРГО, 1916, ტ. 24, №3, გვ. 229-231, ს. გ. კარგინოვი, „ოსთა ხალხური იქმულებები და წესჩვეულებები (ტუარ თხოსდი)“: გაზაფხულობით აულ კუსურტის (ვლადიკავკაზის ოლქი) მცხოვრებლები მართავენ კუვდს (ვედრებას) მიძღვნილს თავიანთი აულის პატრონისადმი – ტუარ (წმინდა) თხოსდისადმი. ამისათვის ისინი საზოგადოებრივ საწყისებზე ხარშავენ ლუდს 60-80 ვედროს ტევადობის სპილენძის ჭურჭელში, კლავენ ხარს, ცხვრებს და კაზდონის ველზე პატივს მიაგებენ თავიანთი აულის მფარველს. ამ ზეიმზე ჩამოდის ბევრი ხალხი – ოსეთის სხვადასხვა მხარის მოსახლეობა, რათა ტუარ თხოსდის სთხოვონ მთელი წლით მფარველობა. ახალგაზრდები აქ ცხოვრების თანამგზავრსაც ირჩევენ.

თიალა ლუდი, შამფური მწვადი და არტაძიხონი (სამკუთხა ღვეზელი) სიმბოლოა სამსახოვანი ღვთაებისა. ამასთან აულის უხუცესი წევრი – პატრიარქი გულმხურვალედ შესთხოვს ტუარ თხოსდის დაბრუნდეს მათთან, შეუნდოს ცოდვები და რისხვა შეცვალოს წყალობით. ამ ლოცვის შემდეგ ლოცვა გრძელდება მთელი კვირა, სანამ არ გათავდება მთელი საჭმელი და სასმელი.

საკვანძო სიტყვები: ტუარ თხოსდი, რიტუალი, ღვათაება, ლოცვა.

Key words: Dzuar Tkhodsi, ritual, divine, prayer.

ИКОИРГО, 1912, ტ. 21, გვ. 257-276, ა. მ. დირი, „თაგურთა და ქურთათელთა ოსეთი“: უძველეს დროში ჩრდილოეთ კავკასიისა და შავი ზღვისპირეთის უმეტეს ხალხებში ერთი საერთო რელიგია ბატონობა. მაგალითად, ოსების ერთი უმაღლესი არსების სახელია ავსატი. ის მართავს ნადირს, ძირითადად – ჭიხვს. მონადირეს მისი ნებართვის გარეშე არაფრის მოკვლა არ შეუძლია. მას მონადირე თხოვნით მიმართავს აჩუქოს ნადირი. მასთან მიაქვს შესაწირავი თავისი ნანადირევის ხორცი იმავე ადგილას, სადაც მოკლა ნადირი; ის ასევე უნდა გაუმასპინძლდეს შემხვედრს და თავისი აულის წევრს. ვინც ამ წესს არ შეასრულებს, მას ავსატი აღარაფერს მისცემს. ასეთივე წესი აქვთ აფხაზებს, სადაც გარეული ცხოველის მფარველი (უფალი) არის აჟუეფუზა; ასევე – სვანებს, მათი ნადირთ მფარველი არის დალი. ჩეჩნებთან - დელეა. ეჭვი არ არის, რომ რწმენა და ტრადიცია ამ ხალხებისა არის მსგავსი.

მე შევძელი სამონადირეო ენის აღმოჩენა ოსებთან და აფხაზებთან, რომელსაც მონადირეები იყენებენ მხოლოდ ნადირობისას, ნადირი რომ მოატყუონ და მოიგონ აჟუეჰჰასა და ავსატის გული. მაგალითად, სიტყვა ძაღლის ნაცვლად ოსი მონადირეები ამბობენ „მონადირეს“, ირემის ნაცვლად – „რქიანს“, კურდღლის ნაცვლად – „ყურცქვიტას“ და ა.შ. აფხაზი მონადირეები კი კურდღლის ნაცვლად ამბობენ: ტოტ-ს გრძელი ყურებითა და ფაფუკი ბენვით. განსაკუთრებული სახელები აქვთ: დათვისთვის, ცხენისთვის და ა.შ. ასეთი სიტყვები ორივე ხალხთან არ არის ცოტა. სამწუხაროდ, მე არა მიქვს მათი გრძელი სია (იქვე სტატიის

ავტორი ადგილობრივ მოსახლეობას მიმართავს, მიაწოდონ ინფორმაცია მონადირეთა ყოფაზე). დარწმუნებული ვარ, სხვა კავკასიელ ხალხებსაც აქვთ ასეთი ენა, მაგალითად, სვანებს, მაგრამ ჩვენს ეთნოლოგიურ ლიტერატურაში არაფერია ამაზე ნათქვამი.

საკვანძო სიტყვები: ავსატი, მონადირეთა საიდუმლო ენა, შესანიერი.

Key words: Avsat, The Secret Language of Hunters, Sacrifice.

ИКОИРГО, 1916, ტ. 24, გვ. 231-234, ა. ლ. რეინგარდი, „ოსების გადმოცემებიდან და ხალხური ზნე-ჩვეულებებიდან – მოსისხლეთა შერიგება“: სისხლის აღების ეს წესი არა და არ მიეცა დავიწყებას. არც სასჯელის მოხდა შველის დამნაშავეს; გაუფრთხილებლობით მომხდარი უბედური შემთხვევის დროსაც კი ხდება სისხლია აღება. მაგალითად, 1914 წ. ოსურ სოფელში ცხენები შევიდა მეზობლის სიმინდის ყანაში. ყანის პატრონის 13 წლის ბიჭი ცდილობდა მათ გაყრას, მაგრამ ის ცხედმა მოკლა. ამის გამო კარგა ხანი იყო გვარებს შორის სისხლის აღების საშიშროება. მათ შერიგების საქმეში ჩაერთო ალაგირის ხეობის ყველა პატივსაცემი პიროვნება. ამ შუამავლებმა გადაწყიტეს: მკვლელს (ცხენის პატრონს) დაღუპულის ნათესავებისთვის მოეწყო სუფრა 80 კაცზე, დაეკლა ორი ხარი, 10 ცხვარი, მოეხარშა 60 ვედრო ლუდი, 30 ვედრო არაყი; მიეცა 900 მანეთი, ასევე – 150 მანეთად ღირებული ცხენი. შემდეგ მკვლელის მთელი ნათესაობა პატიების სათხოვნელად უნდა მისულიყო დაღუპულის დედასთან. შემდეგ დედა მკვლელს თავისი შალის ნაწილს თავზე დააფარებდა, ბოლოს კი ძუძუს მოაწოვებდა, რის შედეგადაც მოსისხლეები უკვე შერიგებულად ითვლებოდნენ.

საკვანძო სიტყვები: სისხლის აღება, შუამავლები, შერიგება.

Key words: Blood taking, mediators, reconciliation.

ИКОИРГО, 1905, ტ. 18, №2, ნ. 8., პერეველი, გვ. 69-123, „კავკასიის ალპების მკვიდრთა ეთნოგრაფიისათვის“ (ოსები, გვ. 103-110): აქ საუბარია ამ ხალხის ეთნოლოგიურ, ლინგვისტურ მონაცემებზე. აღნიშნულია, რომ ოსები ირანული ტომია. მოტანილია ვახუშტის, რომაელი, ბერძენი ისტორიკოსების მონაცემები მათ შესახებ.

საკვანძო სიტყვები: ოსები, ეთნოლოგია, ლინგვისტიკა.

Key words: Ossetians, Ethnology, Linguistics.

ЗУРНА, 1855, გვ. 177-201, ავტორი ნ. ბერძენიშვილი, „ოსური საფო – სურათები და ზნე-ჩვეულებანი ჩემი მოგონებებიდან“: აქ დაფიქსირებულია ოსი ხალხის რწმენები, ტრადიციები და ერთი ლექსი.

საკვანძო სიტყვები: რწმენები, ჩვევები, ტრადიციები, ლექსი.

Key words: Beliefs, habits, traditions, verse.

ССКГ, 1870, №3, გვ. 38-40, „ოსების სათაყვანებელი ღვთაებები“: ბერძენთა მსგავსად ოსებისთვისაც ყოველ ადგილს ჰყავდა თავისი წმინდანი და მფარველი. ეს რწმენა იმდენად ძლიერი იყო, რომ მისი მახსოვრობა დღემდე შემორჩა. სტატიაში ჩამოთვლილია 17 ასეთი წმინდანის სახელი და მათი საგამგებლო სივრცის დასახელება; ასევე, რამდენიმე მათგანთან დაკავშირებული გადმოცემა.

საკვანძო სიტყვები: ადგილის მფარველი წმინდანების ჩამონათვალი, გადმოცემა.

Key words: List of the saints of the place, given.

ССКГ, 1870, №3, გვ. 29-30, „შავი მხედრის წმინდანი“: ოსთა რწმენით, ქურდობასაც, რომელიც ითვლებოდა ყმანვილთა აღზრდის ერთ-ერთ აუცილებელ პირობად, ჰყავს თავისი პატრონი ან წმინდანი. შავი მხედრის წმინდანი – ასე იწოდებოდა ის. ქურდობისას თუ ღამის სხვა ფათერაკებისას მას სთხოვდნენ შეწევნას. ღამის თავგადასავლების მაძიებლები თვლიდნენ, რომ შავებში გამოწყობილი ეს წმინდანი მიუძღვოდათ წინ და წარმატებულ გზას კვალავდა მათთვის. წარუმატებლობა ამ წმინდანის უკმაყოფილებით იხსნებოდა. ხიფათიან საქმეზე წასვლის წინ ოჯახში გარკვეული რიტუალი სრულდებოდა, წმინდანის გულის მოსაგებად. მისი ადგილსამყოფელი იყო გამოქვაბული ალგირის ხეობაში.

საკვანძო სიტყვები: ქურდობის წმინდანი, ქურდობის წინ შესასრულებელი რიტუალი.

Key words: The saint of theft, the ritual performed before the theft.

ИКОИРГО, 1909-1910, ტ. 20, გვ. 18-20, ს. ფარფოროვსკი, „ოსების ეთნიკურ მახასიათებელთა ცვლილებები“: რუსების მიერ კავკასიის დაპყრობამდე ოსები ცხოვრობდნენ მთის ზოლზე და ყაბარდოელები აფერხებდნენ მათ დასახლებას ბარში. რუსეთის ხელისუფლებამ ყაბარდოელები შეაფინროვა და ოსებიც დაბლა ჩამოსახლდნენ, სადაც ისინი გამრავლდნენ, შეიცვალეს ეთნიკური ნიშნები და გარეგნობა (თავის ქალის ფორმა, რაც მხოლოდ გენეტიკაში მომხდარი ცვლილებებით შეიძლება იყოს გამოწვეული). ყოველივე ეს მათი ქორწინების წესით არის განპირობებული. საქმე ის გახლავთ, რომ მათი მამაკაცები ქალებს იტაცებდნენ. ამ ტიპის ქორწინებებმა ძალიან შეცვალა ოსების ტიპი. ეს გარემოება მათ ხალხურ სიტყვიერებაშიც აისახა. ოსთა ნართების თქმულებები ძალიან გავს ყაბარდოულ და ჩეჩნურ თქმულებებს. ოსურმა ეპოსმა ქართული სიუჟეტებითაც ისარგებლა.

საკვანძო სიტყვები: ყოფა, ტრადიციები, ეთნიკური ცვლილებები, ფოლკლორი.

Key words: Life, Traditions, Ethnic Changes, Folklore.

ИКОИРГО, 1905, ტ.18, №2, ნ. 8. პერეველი, გვ. 69-123, „კავკასიის ალპების მკვიდრთა ეთნოგრაფიისათვის“ (ოსები, გვ. 103-110): აქ საუბარია ამ ხალხის ეთნოგრაფიულ, ლინგვისტურ მონაცემებზე. აღნიშნულია, რომ ოსები ირანული ტომია. მოტანილია ვახუშტის, რომაელი, ბერძენი ისტორიკოსების მონაცემები მათ შესახებ. საუბარია ოსთა საცხოვრისის ადგილმდებარეობაზე, ენაზე, რწმენაზე, სოფლის მეურნეობაზე, ქალთა მდგომარეობაზე და სხვა.

საკვანძო სიტყვები: ისტორია, ენა, რწმენა, მეურნეობა.

Key words: History, language, faith, farming.

ССКГ, 1873, №3, გვ.1-80, ჯ. შანაევი, „ოსების ტრადიციული ფიცი“.

საკვანძო სიტყვები: ფიცი.

Key words: Oath.

ИКОИРГО, 1878, ტ. 5, №3, გვ.164-168. აქ საუბარია ოსთა ტრადიციებზე.

საკვანძო სიტყვები: ტრადიციები, ყოფა.

Key words: Traditions, being.

СМОМПК, 1883, №3, გვ. 168-314, „ისტორიული მიმოხილვა“.

საკვანძო სიტყვები: ისტორია.

Key words: History.

ТЛИ, 1901, №24-25, იკაევი, „წმინდა შობის დღე ოსებთან“: მიმინვიეს სოფ. სადოხში, ჩრდილო ოსეთში შობის აღსანიშნავად. მისკენ მთელი ორი დღე მივიდოდით. 24 დეკემბერს ჩავედით ადგილზე. დღევანდელ დღეს ყოველ შეძლებულ ოჯახში კლავდნენ ცხვარს, წვავდნენ მწვადს. მთელ აულში გამოცოცხლება იყო. ყველა ერთმანეთს თავისთან ევატიყებოდა. ვახშამზე ჩემმა მასპინძელმა ლუდის ჭიქით ხელში დაიწყო ლოცვა. ჩვენ ყველამ ქუდები მოვიხადეთ (ქრისტიან ოსებს სახლში ქუდები ასურავთ). ყველანი ერთად პერიოდულად ვამბობდით „ამინ!“ პირველი ლოცვის შემდეგ სუფრაზე მოიტანეს სამკუთხედად გამომცხვარი „არტხურონჩირი“, ე.ი. სამი მზისა. მასპინძელმა დაიწყო სამი განუყოფელი მზის ლოცვა. ამ ნამცხვრის ნაწილი ყველას უნდა ეგემა, რადგან მისით იღებს ღვთის წყალობას. ამ ნამცხვრით უმასპინძლდებიან ცხოველებსაც. 25-ში დილის 4 საათზე გაგვალვიძეს, რათა შეგვეხედა განსაკუთრებული კოცონისთვის. მთელი აული უკვე ფეხზე იყო. აქეთ-იქით ყველა ასაკის მამაკაცები, ბავშვების ჩათვლით, ემზადებოდნენ კოცონის გასაჩაღებლად. ნიშანზე ყველა აინთო. ახალგაზრდები ირგვლივ დახტოდნენ ძახილით: „მთელი ბოროტება ცეცხლში დარჩეს!“ შემდეგ ყველანი ხელჩაკიდებულები სიმღერით უვლიდნენ კოცონს. შემდეგ მოხუცმა ლუდის სასმისით ხელში ისურვა – მომავალ შობას ყველა შესწრებოდა. შემდეგ ქონი ჩაავლო კოცონში სიტყვებით: „ჩვენი ცხოვრება

ღმერთისთვის იყოს ისეთი სასიამოვნო, როგორც ქონი ჩვენს ცხოვრებაში!..“ ბოლოს ბულატმა წარმოთქვა საბოლოო ლოცვა მთელი მეურნეობის პატრონთა – მიქაელისა და გაბრიელის სახელზე და მათ სთხოვა პური და სასმელი. როგორც მითხრეს, 1-ლი იანვარი კიდევ უფრო საინტერესოდ აღინიშნება.

შობის პირველ კვირას, ახალი წლის მოლოდინში, იყო განუწყვეტლივ – დილიდან საღამომდე სახალხო მხიარულება.

ახალგაზრდები წინასწარ გეგმავდნენ, ვისთან უნდა მისულიყვნენ მისალოცად, ამზადებდნენ თოფებს ძველი წლის გასაცელებლად და ახლის შესახვედრად. მოხუცი მამაკაცები და ქალები კარებთან ამბობენ ლოცვებს, შემდეგ ყველანი შედიან სახლში და სუფრას მიუხდებიან. სუფრაზეც ამბობენ ლოცვებს ოცნებებისა და სურვილებს შესასრულებლად. ითვლება, რომ დილას ადრე რომელი ქალი თუ ქალიშვილიც პირველი მოითანს წყალს, ის იქნება ყველაზე ბედნიერი და იმას ოჯახისთვისაც მოაქვს ბედნიერება.

საკვანძო სიტყვები: შობა, ცხვარი, ლუდი, კოცონი, ლოცვა, ახალი წელი.

Key words: Christmas, Sheep, Beer, Bonfire, Prayer, New Year.

K, 1850, №15, ნ.ბერძენოვი (ნ. ბერძენიშვილი), „ჩანაწერები ოსეთიდან“: იმ ადგილას, სადაც ახლა ტყეა, ადრე ყოფილა აული, რომელშიც ცხოვრობდა ხეთაგი. ხეთაგმა წინასწარ იცოდა, ვის რა ელოდა, შაითანს (სატანას) ათვინიერებდა; თუ სადმე წასვლა უნდოდა, გადააქცევდა ცხენად, ბუზად ან სხვა არსებებად და მიდიოდა იქ, სადაც მოისურვებდა. ამიტომაც ვრდიდებოდა სატანა ამ ადგილებს. როცა ხეთაგი დაბერდა და დაუძლურდა, დასავლეთიდან მტრის მოსვლა აუწყა სოფელს შიკრიკმა. ხეთაგი ვერ დატოვებდა სახლს, ამიტომაც უბრძანა ტყეს, მასთან მისულიყო და ისე დაემალა. მას შემდეგ გადარჩენილი მოსახლეობა და მათი შთამომავლები, ამ ტყეს ხეთაგის ტყეს ეძახიან.

აქვე საუბარია ოსური სტუმართმოყვარეობის წესებზე: მოსისხლე მტრის შეფარებას სტუმარმასპინძლობის საღვთო წესია. მეზობლები თუ სახლიდან გაიგონებენ ტირილის ხმას, მივლენ პატივის მისაგებად. აქ კარგადაა აღწერილი მიცვალებულის დატირების წესი და დაკრძალვა. ავტორმა ნახა, რომ გარდაცვლილს ჩააყოლეს ცხენი, ხოლო ადგილობრივმა მოლამ წარმოთქვა სიტყვა. ამ სიტყვაში აღწერილია, თუ როგორ უნდა გაიაროს გზა გარდაცვილმა, რომ მშვიდობით მივიდეს სამოთხეში. სამი გზიდან შუა არის უსაფრთხო, მას შეხვდება წყვილი, რომელიც ერთმანეთს კბენს, შემდეგ კი მოსიყვარულე ცოლ-ქმარი. მიცვალებულს ატანენ სანოვაგეს, რათა მოშიებულმა გვერდზე არ გაიხედოს. ცხენი, რომელსაც მას აყოლებენ, მიიყვანს დანიშნულების ადგილამდე, მაგრამ, თუკი გზაში დაიღლებს, ის უნდა გადაჯდეს მუჰამედის ცხენზე.

საკვანძო სიტყვები: სტუმარმასპინძლობა, სამგლოვირო რიტუალი, თქმულება ხეთაგზე, ცხენი, მსხვერპლშენიერვა.

Key words: Funeral Rite in Ossetia, Legend of Khetag, Horse, Sacrifice.

K, 1850, №95, ნ.ბერძენოვი, „ჩანაწერები ოსეთიდან, ჩინზ-ახსავ, სოი-სოი“: წერილი იწყება იმით, რომ ოჯახის თავი ოჯახის წევრებს უყვება ზღაპარს, რომლის პერსონაჟებიც არიან წმინდა გიორგი, რომელიც მონადირეს ტყეში მოხეტიალე სულისგან იცავს და დედაბერი, რომელმაც ისიც კი იცის, რას ჭიკჭიკებს მერცხალი. მაგრამ, სამწუხაროდ, არ აინტერესებთ ეს ზღაპარი, არამედ – ოჯახის თავის ვაჟიშვილი. მას ცოლის მოყვანის დრო დაუდგა. წერილში აღწერილია საქორწინო რიტუალი. წერილი მთავრდება იმით, რომ წლისთავზე ახალშეუღლებულებს ვაჟიანობას ულოცავენ.

საკვანძო სიტყვები: ოსური ზღაპარი, წმინდა გიორგი, საქორწინო რიტუალი, ვაჟიანობა.

Key words: Ossetian Tale, Saint George, Wedding Procession, Giving Birth to a Son.

БП, 1870, №7/3-25, გვ. 225-240, ვ. ვერეშჩაიჩი, „ამიერკავკასიაში მოგზაურობა“, 1864-1865 წწ: წერილის დასაწყისში აღწერილია ლეკებისა და ყაბარდოელების ყოფა-ცხოვრება, მათი ჩვეულებები, გადმოცემები, წერილში ჩართულია ავტორის ნახატები, მათ შორისაა აფხაზის პორტრეტიც. მთიელთა აჯანყების დეტალურად განხილვის შემდეგ ავტორი გადადის ოსების ცხოვრების მიმოხილვაზე. ამბობს, რომ ოსები ქართველებთან ერთად სახლობენ დარიალის ხეობაში, თუმცა ოსები უფრო კომპაქტურად გვხვდებიან ვლადიკავკაზიდან სამხრეთ-დასავლეთში, ყაბარდოელების აულების დასრულებისთანავე. საინტერესოა მოსაზრებები გერმანელთა და ოსების საერთო წარმომავლობაზე, თუმცა ავტორი იქვე აღნიშნავს, რომ ზოგიერთი მკვლევარი მიიჩნევს, თითქოს ოსები სლავები არიან, ხოლო, დანარჩენების ამრით, თურქული მოდგმის ხალხია. ავტორი საინტერესო ანეკდოტურ ამბავს ჰყვება ოსების გაქრისტიანების ისტორიიდან. რუსეთი ამ მიზნით ოსებში აგზავნიდა ახალგაზრდა სასულიერო პირებს, რომლებიც ადგილობრივებს ტაძარში საუბარს უკრძალავდნენ. თურმე ლიტურგიაზე ერთ ოსს მოუწყენია, რადგან არ ესმოდა რუსული ენა, გადანყვითა, ყალიონი მოენია, მაგრამ ჯიბეში არ ელო კვესი. უეცრად ამბიონიდან გამოვიდა მღვდელი საკმეფლის კმევით და ოსმა ცეცხლი სთხოვა, ალბათ ჩათვალა, რომ ღმერთმა მისი ლოცვა შეისმინა და ცეცხლი გამოუგზავნა. საინტერესოა ავტორის მოსაზრებები თამარის ციხესთან დაკავშირებით, როცა ის ციტირებს სტრაბონს, პლინიუსს და მარუდის. საინტერესოა, რომ თურმე მცხეთაში გიორგობაზე შეკრებილი ხალხი ცეკვავდა, მღეროდა და დღესა და ღამეს ათევდა ლხინში. სამწუხაროდ, ავტორი მხოლოდ ამ ფაქტების ხსენებით შემოიფარგლება და არ აფიქსირებს არც ტექსტებს და არც ცეკვებს აღწერს.

საკვანძო სიტყვები: მთიელ კავკასიელთა აჯანყება, ანეკდოტი, ოსების გერმანული წარმომავლობა.

Key words: A Rebellion of Mountainous Caucasians, An Anecdote, German Origin of Ossetians.

К, 1855, №17, ი. ბერიძე, „ცნობები ოსეთიდან“: ავტორი სასიამოვნოდ გაკვირვებულია იმ სურათით, რომელიც მას დახვდა ჯავის ხეობაში. თუ ოდესღაც ოსები ისეთივე თავზარს სცემდნენ ქართლის მოსახლეობას თავიანთი თავდასხმებით, როგორც – ლეკები, მას შემდეგ, რაც გაქრისტიანდნენ, სკოლაც კი ააშენეს. ამ სკოლაში ორმოცამდე ბიჭუნა იღებს განათლებას, კარგად კითხულობენ ქართულად, რუსულად, უქმეებზე დადიან ეკლესიაში. სამასამდე მონათლულმა ოსმა, რომელიც მანამდე ისლამისა და წარმართობის ნაჯვარს მისდევდა, ჯვარი დაიწერა, როცა მანამდე მათში მრავალცოლიანობა იყო.

საკვანძო სიტყვები: ჯავა, ოსი, სკოლა, ჯვრისწერა.

Key words: Java, Ossetian, School, Church Wedding.

СМОМІІК, 1894, 20, ნ. დმიტრიევი, „გადასვლა როკისა და მამისონის უღელტეხილზე“: ავტორმა ივნისში ათკაციანი ჯგუფის შემადგენლობით იმოგზაურა გორიდან ცხინვალამდე და შემდეგ კვხვიდან ჯავაში, უწერაში, გლოლოსა და ონში. მისი ცნობით, ოსები, რომელთაც იჯარით მრავალწლიან სარგებლობაში ჰქონდათ მაჩაბლის მიწები და იყვნენ ხიზნები, დღემდე ედავებიან რაჭველებს სხვადასხვა ინსტანციაში, რათა მოიპოვონ იქ სამუდამოდ ცხოვრების უფლება. წერილი მეტწილად შთაბეჭდილებებზეა დაფუძნებული, თუმცა ალაგ-ალაგ გვხვდება საინტერესო ეთნოგრაფიული შენიშვნებიც ოსების ცხოვრებიდან. ეს შეეხება მათ ყოფა-ცხოვრებას, ყველისა და კარაქის წარმოებას, ლუდის ხარშვას, ხვნა-თესვასა და მოსავლის აღებას, კარმიდამოს აღწერას. ოსების მიერ ამოყვანილი ყველი, ისევე როგორც კარაქი, კარგი გემოთი გამოირჩევა. ყველი დაახლოებით ხუთ წელიწადს ინახება, მაგრამ მგზავრობისას ფუჭდება. განსაკუთრებით საინტერესოა ის პასაუი, სადაც ავტორი შეეხება ოსი ქალების უფლებებს. ის აღნიშნავს, რომ, ლეკებისგან განსხვავებით, რომლებიც ქალს პირუტყვივით ექცევიან – მამაკაცები მოეკიდებიან ზურგზე და ასე გადალახავენ მდინარეებს, ოსის ქალებს მეტი უფლებები აქვთ, არ ერიდებიან უცხო მამაკაცებს, მხოლოდ პირისახეს იფარავენ თავსაფრის კიდით. გზაზე მოგზაურებს წყაროებთან ხვდებოდათ საგანგებოდ მოწყობილი ქოხები. აქ ნათესავები იკრიბებიან მიცვალებულთა სულების მოსახსენიებლად, ტოვებენ საჭმელს და სასმელს და სჯერათ, რომ მიცვალებულები მოვლენ და დაიკმაყოფილებენ შიმშილსა და წყურვილს. ასევე, ავტორის დაკვირვებით, მთელი გზის გაყოლებაზე შეხვდებით ხეებს, რომლებიც მორთულია ძაფებით, ეყვნებითა და სხვადასხვა მოკაზმულობით, ეს ხეებიც მიცვალებულთა ხსოვნისთვისაა. ხშირად ამგვარი ხეები მთის კენწეროშია და მათი მოჭრა აკრძალულია.

საკვანძო სიტყვები: ოსები, ხიზანი, მიცვალებულთა მოხსენიება, მიცვალებულთა სახელზე მორთული ხეები, ლეკი ქალები, ოსური ყველი.

Key words: Ossetians, Lease Holder, Remembrance of Dead, Decorated Memoriam Trees, Lezgin Women, Ossetian Cheese.

K, 1955, №24, ნ. **დუნკელ-ველინგი**, „ოსების ზოგიერთი ჩვეულების შესახებ“: ავტორი გვიყვება, რომ მამისონისა და კუდარის ხეობის ოსები ესაზღვრებიან იმერლებს, დიგორელების დასახლების დაწყებამდე. აქაური ოსები ძალიან გვანან იმერლებს და რაჭველებს. ავტორი აღწერს, როგორ გადავიდა საჩხერის მხარის ბოლო სოფელი ჭალიდან, რომელიც აბაშიძეს ეკუთვნოდა, ოსებით დასახლებულ მხარეში. თუმცა მანამდე მას კარგი მასპინძლობა გაუწია აბაშიძემ. მდინარის კალმახთან და სხვა კერძების გვერდით, განსაკუთრებით გამოყოფს საჩხერის საამაყო ხორბლისგან დამზადებულ ქათქათა პურს. ვახშამზე სტუმარმა, რომელიც ახლდა ავტორს, იკითხა, ადგილზეა თუ არა ქედი? აღმოჩნდა, რომ ადგილობრივები და ოსები მიწის ნაკვეთზე დავობდნენ, რომელიც ძალიან სჭირდებოდათ ოსებს. ეს მიწა ნოციერი იყო და ბოლოს რაჭველებმა მოიფიქრეს ასეთი რამ: შუაგულ მინდორში ჩაარჭვეს პალო და ზედ წამოაცვეს ფაფახი და შესთავაზეს მამისონელ ოსებს, მოეძროთ ქედი, თუკი სიმართლე მათ მხარეს იყო და მიწა თუ ნამდვილად მათ ეკუთვნოდათ. ვერც ერთმა ოსმა ვერ გაბედა ქედის მოძრობა და ორწლიანი დავა რაჭველების სასარგებლოდ გადაწყდა. ავტორი ამ ჩვეულებას ამყარებს სხვა მაგალითის აღწერით: როდესაც მამისონის ხეობაში გადავიდნენ, მის სტუმარს ერთმა ოსმა საჩივრით მიმართა, რომ მეზობელმა მას ცხვარი მოჰარა. მეზობელმა ამოიწყვიტა ყველაფერი, არ დაინდო ოჯახის წევრებიც და ქურდობაში არ გატყდა. მომჩივანმა მაშინ მოსთხოვა, ჯობით მოეკლა კატა. მან კი არ მოინდომა კატის სისხლით დაესვარა ხელები. ასე გამოირკვა, რომ ის დამნაშავე იყო ქურდობაში. მერე დამნაშავემ ამხილა ბრალმდებელი, რომ მან იმ მოჰარული ცხვრის ტყავი მოიპარა და, თუ დამნაშავე არ იყო, უნდა გადაეხიზებინა ქვისთვის, რომელიც ჩამოქცეული საყდრის ეზოდან მოიტანა. ბრალმდებელმა ვერ გადააბიჯა ქვას და ამით გასცა თავი. ავტორი ამ მაგალითით მკითხველს აჩვენებს, რომ ადგილობრივი ოსები მარტივად წყვეტენ დავებს ერთმანეთის სინმინდეების გამოყენებით. ეს სინმინდე ხან რომელი უსულო საგანია და ხანაც – რომელი. აღსანიშნავია, რომ მამისონელი მოღავე გლეხების გვარებია კვიტალია და თორიაშვილი (ან ტორიაშვილი).

საკვანძო სიტყვები: დავის გადაწყვეტა, კატა, საჩხერის ხორბალი, მამისონელი ოსები.

Key words: Dispute Resolution, A Cat, Wheat from Sachkhere, Mamisonian Ossetians.

K, 1855, №75, ი. **ბერიძე**, „ოსების წეს-ჩვეულებები – ვაშკირკები“: როდესაც საქართველოს მტერი შემოესეოდა, ქვეყანა ყურადღებას ვეღარ აქცევდა ოსებს და ისინიც ივიწყებდნენ ქრისტეს რჯულს და უბრუნდებოდნენ წარმართობას თუ

ისლამს. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მათ მაინც მტკიცედ სწამთ წმინდა გიორგის და 9 ნომბერი მათთვის წმინდა დღესასწაულია. სადაც არ უნდა იყოს ოსი, მას ეს თარიღი ახსოვს. ავტორი შესწრებია, როგორ აღნიშნა დანთებული სანთლებითა და ლოცვით სამასმა მილიციელმა ბორჯომში ვაშკირკა, ანუ წმინდა გიორგის დღესასწაული. რაც შეეხება ხეობებს, ამ დღეს ოსები და ქართლებიც პატარა ლიახვის გერის მთაზე აგებულ წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიისკენ მიემართებიან. ადგილზე მისულები არყით, ღვინით და ხაბიზგინებით ზეიმობენ. მანამდე დეკანოზი ხორავს მიიტანს მომლოცველებთან. მომლოცველები ამბობენ: ხორბ რაგი ვაშკირკი (საუკეთესო გვიბოძე, წმინდა გიორგი). რიტუალის და სმა-ჭამის შემდეგ გააჩაღებენ დოღს. ეკლესიაში მოჰყავთ სულით ავადმყოფებიც, რომელთაც თოკით გამოაბამენ მუხას და ჩაუშვებენ ხევში, ამ დროს სწეულმა უნდა დაიძახოს სახელი იმ უწმინდურისა, რომელსაც იგი შეუპყრია. ამბობენ, უამრავი განკურნებულა იმის შიშით, რომ არ ჩაეგდოთ ხევში. ყოფილა შემთხვევები, რომ ავადმყოფი არ ასახელებს სახელს, რადგან მას უწმინდურის უფრო ეშინია, ვიდრე ხევში ჩაგდების.

საკვანძო სიტყვები: ვაშკირკა, წმინდა გიორგის ეკლესია გერის მთაზე, სულით დაავადებულის განკურნება.

Key words: Vashkirka, Saint George Church in Geri, Healing Mental Illness.

K, 1850, №2, ნ. ბერზენოვი (ნ. ბერძენიშვილი), „ახალი წელი ვლადიკავკაზის ოსებში“: ავტორი აკონკრეტებს, რომ ოსები ცხოვრობენ მცირე ლიახვის გასწვრივ. მათი და ვლადიკავკაზის ოსების ენაც და წეს-ჩვეულებებიც განსხვავდება ერთმანეთისგან, თუმცა დარწმუნებულია, რომ ესენიც ოდესღაც ქრისტიანები იყვნენ და მათ მოქცევას თამარს უკავშირებს. წერილში კარგადაა აღწერილი ახალი წლისთვის მზადება, ოჯახის დიასახლისების მიერ არყისა და ლუდის მოხარშვა, საგანგებო საკვები, იარაღის დუმილში განწმენდა. აქვე ახსნილია, რისი გამოძახილი უნდა იყოს ეს წესები. ახალი წლის დადგომისთანავე, ავტორის ცნობით, მამაკაცები ჩამოივლიან კარდაკარ სიმღერით და ერთმანეთს უსურვებენ ირმის მონადირებას, ვაჟიანობას და ბასილის შემწეობას. ოსებში, ისევე როგორც ქართველებში, სჯერათ ბასილის და აცხოვენ ბასილებს და სხვა ფიგურებს. ოსები ქართველებს იმითაც ჰგვანან, რომ ამ დღეს ისვრიან თოფს, თუმცა ამ ორის რწმენა-წარმოდგენები განსხვავებულია. ოსები თოფით აფრთხობენ ციურ არსებას, რომელიც მთვარეს ჩაყლაპვას უპირებს. ავტორი შენიშნავს, რომ დღესასწაულზე ისე თვრებიან, რომ სიხარულითა და სიმღერით დანყებულნი ზეიმი ტირილით სრულდება. წერილში დაცულია ოსურ ენაზე ჩანერილი სიმღერის ტექსტები და რამდენიმე ფრაზეოლოგიური გამონათქვამი.

საკვანძო სიტყვები: ვლადიკავკაზის ოსები, ბასილი, მთვარე, საახალწლო სიმღერა.

Key words: Vladikavkazian Ossetians, Basil, The Moon, New Year Song.

K, 1850, №7, ნ. ბერზენოვი (ნ. ბერძენიშვილი), „ოსური წეს-ჩვეულება: მიცვალებულის წამოჯდომა (მარტი ბადანი ბონ)“: წერილში ავტორი მკითხველს უყვება ოსური წეს-ჩვეულების შესახებ, რომელიც საკუთარი თვალით ნახა. მარტი ბადანი ბონი, როგორც წესი, აღინიშნება იმ ოჯახებში, რომლებმაც ახლობელი დაკარგეს იმ წელს. შებინდებისას ნათესავები იკრიბებიან გარდაცვლილის სახლში, სადაც მათ ელოდებათ კუთხეში მდგარი უახლოესი ნათესავი ხელში ორი ჯოხით, რომელიც ხმით ტირის. ამ ორი ჯოხით აკეთებენ ჯვარს, რომელსაც ჩამოაცვამენ გარდაცვლილის ტანსაცმელს და მოათავსებენ საგანგებოდ გამზადებულ სკამზე. იქვე დაუწყობენ საყვარელ ნივთებს, ასევე საჭმელ-სასმელს. ქალები განლაგდებიან ერთ მხარეს, კაცები საპირისპირო მხარეს და დაიწყებენ ვეუ-ვეუ-თი მოთქმას. ერთი ქალი, მიცვალებულის სახელით, მოთქვამს – როგორ დააკლდა მზე, სითბო, საჭმელ-სასმელი. მას პასუხობს, ახლობლების სახელით, მოხუცი ქალი და ჩამოთვლის უმისობით გამოწვეულ დანაკლისებს. რიტუალის მონაწილეები იხოკავენ პირისახეს. მეორე დღეს კი იმართება ცხენებით ჯირითი, გამარჯვებულებს ურიგებენ გარდაცვლილის: ცხენს, ხარს, ფაფახს.

საკვანძო სიტყვები: ოსური წეს-ჩვეულება, ჯირითი, პოსტ-სამგლოვიარო რიტუალი ოსებში.

Key words: Post-funeral Rites in Ossetians, Horse Racing.

K, 1850, №39, ვაშკირკი: დღეები – თხუთმეტი ნოემბრიდან პირველ დეკემბრამდე წმინდა გიორგის სახელს უკავშირდება და ამის გამო წყვილის გაშორებაც არაა მოსალოდნელი, პირიქით – იმართება ნიშნობები და ქორწილები კუდარის და მამისონის უღელტეხილის ოსებში. წეს-ჩვეულებები წერილში კარგადაა მიმოხილული. ესაა: სასიძოსა და შუამავლის ორკვირიანი სტუმრობა პატარძლის სოფელში, მასპინძლის ოჯახში სტუმრების მიმართ გამოჩენილი გამასპინძლება, საპატარძლოს ოჯახში მისვლა და მზითვეზე შეთანხმება, თანხმობის შემთხვევაში სიძის დაბრუნება თავის სოფელში, პატარძლის გასტუმრება, მისი ქცევა მეუღლის ოჯახში პირველი შვილის შექენამდე.

საკვანძო სიტყვები: წინასაქორწინო წესები, სასიძო, შუამავალი.

Key words: Pre-wedding Rites, Groom, Mediator.

K, 1850, №47-48, ნ. ბერზენოვი (ნ. ბერძენიშვილი), „ჩანაწერები ოსეთიდან: თუთარობა, არმონ-ბონი და ვაცილა“: პირველ სტატიამი ვინმე სოზრიკო, უხუცესი, თუთარობას აღნიშნავს თანასოფლელებთან ერთად. თუთარობა ესაა დიდმარხვის პირველი პარასკევი. უხუცესი მიმართავს ღმერთს, სხვადასხვა წმინდანს, მათ შორის, ბაცილას (წმინდა ილია) დაიკვას ხალხი, მისცეს წვიმა და სასურველი ამინდი და ყველანაირი კეთილდღეობა. სალოცავი სიტყვის შემდეგ იწყება ლხინი. ლოცვის ტექსტი რუსულადაა, თუმცა რამდენიმე სიტყვაა ოსურად, რომელსაც მოსდევს თარგმანი რუსულ ენაზე. მეორე სტატია იწყება არმონ ბონის აღწერით.

ამ დღესასწაულს ახლავს გულუხვი ტრაპეზი ხაბიზგინებით და საკლავით. რაც შეეხება ვაცილას, ის წარმოედგინათ ცეცხლოვან ეტლში, რომელსაც ცეცხლოვანი ფრთოსანი ცხენები მიაჭენებენ. თუ სოფელში დიდხანს გაგრძელდება გვალვა, მუხის ქვეშ ჩაატარებენ მსხვერპლშენიერვას. მეხის გავარდნის შემთხვევაში მოხუცი ქალი იწყებს ლაღადს და წმინდანის სახელით მოითხოვს შესაბამის მსხვერპლს. წერილი საინტერესოა მათთვის, ვინც იკვლევს მდინარე არდონის პირას მცხოვრები ოსების დღესასწაულებს. წერილში ავტორი განიხილავს ოსების წარმომავლობის საეჭვო ვერსიას, რომლის მიხედვითაც, ისინი მომდინარეობენ ძველი ალთქმის დანყველილი პერსონაჟისგან, რომელმაც ეგვიპტის მეფეს ტყუილებით დასტყუა ძღვენი და ამის გამო დასაჯა წინასწარმეტყველმა. ამბავი მოთრობილია მეფეთა წიგნში.

საკვანძო სიტყვები: თუთარობა, ვაცილას ლოცვა, ოსების წარმომავლობა.

Key words: Tutaroba, The Trayer of Vatsilla (st. Ilia), Origin of Ossetians.

K, 1853, №39, ვ. პერევალენკო, „ოსური დღესასწაული ხორ-ხორი“: ხორ-ხორი ოსურად ნიშნავს მოსავალს. ამ სიტყვას ყვირიან მას შემდეგ, რაც მასპინძელი აღაველენს ლოცვას და კითხავს სტუმრებს, რას ისურვებდნენ მომდევნო წელს. ლოცვაში მოიხსენიებენ: მიქაელ მთავარანგელოზს, წმინდა ნიკოლოზს, ღვთისმშობელ მარიამს და, რა თქმა უნდა, წმინდა ილია წინასწარმეტყველს, რომელსაც მოსავლის მფარველად მიიჩნევენ. წერილში რუსულ ენაზეა ლოცვის ტექსტი, ასევე იმ სიმღერის ტექსტიც, რომელსაც ლოცვის შემდეგ ასრულებენ. წესჩვეულების აღსრულების შემდეგ მიმართავენ მიქაელ მთავარანგელოზს, როგორც რინი ბარგადს, დაიცვას ავადმყოფობისგან; წმინდა ნიკოლოზსა და წმინდა გიორგის კი ომებსა და გზებზე მფარველობას შესთხოვენ.

საკვანძო სიტყვები: ხორ-ხორი, მთავარანგელოზი მიქაელი, წმინდა გიორგი, წმინდა ნიკოლოზი.

Key words: Khor-khor, Archangel Michael, Saint Nicholas, Saint George.

K, 1897, №185-187, „ეშმაკეულების განკურნების წესი ოსებში“: ავტორი აღწერს შეპყრობილების, ეშმაკეულების განკურნების წესს, რომლის თვითმხილველიც თავად იყო. წერილის დასაწყისში ის ჰყვება 26 წლის ორი ქალიშვილის დედაზე, რომელიც ერთ საღამოს სახლში მარტო იყო და საოჯახო საქმეებს შეჰყვა. დანგრეული ტაძრიდან ჭოტის ხმა ისმოდა, რომელიც კარგს არაფერს მოასწავებდა, ცრურწმენის თანახმად. ქალს ეშმაკი გამოეცხადა ქმრის სახით. გამოცხადებული რომ ეშმაკი იყო, ამას მისი შებრუნებული ტერფებით მიხვდა. ქალმა გონი დაკარგა. ამის შემდეგ ქალს შეეძლო აბდაუბდა საუბრით წინასწარმეტყველება, აღარ ჭამდა, რადგან ეგონა, რომ მისი მონამვლა უნდოდათ და მიეცა ისეთი ღონე, რომ რამდენიმე კაციც ვერ აკავებდა. ქალი მიიყვანეს მოლასთან სამკურნალოდ. მოლა მივიწყებულ ნაგებობაში, რომელშიც არანაირი პირობები

არ არის, რამდენიმე შეპყრობილს მოათავსებს და ამიმშობებს. მას შემდეგ, რაც დაავადებულებისგან ძვალი და ტყავი დარჩება, იწყება მათი წამება. ცემით მოლა მიაღწევს იმას, რომ ავადმყოფებს ათქმევინებს ეშმაკის სახელებს, რომელთაც ჩამოწერს ქალაღდზე. შემდეგ ტერფებზე მიაღებს გავარვარებულ ლითონს. ოთახში ამიშხინებული ხორცის სუნი ღვება. ბოლოს მოლა წვავს ეშმაკის სახელებს, ავადმყოფი კი ცდილობს მათ გადარჩენას. ავტორის აზრით, ყურანის არაბულად წაკითხვა, რომელსაც სამკურნალო წიგნად მიიჩნევენ, ისლამის მისტიფიცირებას ახდენს. მოსახლეობას რომ რუსულ ენაზე დაუდო ყურანი, ის იტყვის, რომ ეს სხვა წიგნია და არაფერი საერთო არა აქვს ნამდვილ არაბულ ყურანთან. ამით სარგებლობენ მოღლები და ხალხში ამტკიცებენ რწმენას, რომ ყურანით განკურნება შესაძლებელია. მეორე წერილში მოთხრობილია, როგორ გაიპარა ეშმაკეული, ჩახტა მდინარეში და ყვიროდა, რომ უნდოდა ხიდის აშენება ორ სახლს შორის, რომლებიც სისხლიან დაპირისპირებაში ჩაერთვებოდნენ. ეს წინასწარმეტყველება მალევე ახდა. წერილში აღწერილია, როგორ გამოსტყუებს მოლა ეშმაკის სახელებს შეპყრობილს. გადმოცემულია მოლას დამზადებული ამულეტების აღწერა. ამ ამულეტებს ავადმყოფები იყენებენ რიგი დაავადებებისგან განსაკურნებლად, რომელთა შორისაცაა რევმატიზმი, ტიფი და სხვ.

საკვანძო სიტყვები: ეშმაკის განდევნა, ეშმაკის ტერფი, ეშმაკის სახელები, ამულეტები.

Key words: Casting out Demons, Toe of Devil, Names of Devil, Amuletes.

K, 1846, №30, ა. მ. „სარწმუნოებრივი წეს-ჩვეულებები ოსებში, ინგუშებსა და მათ მეზობელ ტომებში“: წერილი, მას შემდეგ, რაც დაადგენს ოსების გავრცელების არეალს, ზედაპირულად მიმოიხილავს მათ შერეულ სარწმუნოებას. ავტორი ფიქრობს, რომ ოსების ამგვარ სარწმუნოებაზე გავლენა მოახდინა: ქართველთა მხრიდან – ქრისტიანობამ, ჩრდილოლოეთიდან კი – ისლამმა, ხოლო თავად წარმართობას მისდევდნენ. როდესაც ოსი აცხადებს, რომ ის ქრისტიანია, მან არაფერი იცის იესოზე, თუმცა ასახელებს მიქაელ ანგელოზს, იპარსავს თავს და ჰყავს რამდენიმე ცოლი; ასევე, როცა ის აცხადებს, რომ მუსლიმანია (კერძოდ – სუნიტი), მოიხსენიებს ქრისტიანულ წმინდანებს. ავტორს, ოსებისა და ინგუშების დაბალი განვითარების საჩვენებლად, მოაქვს მათ მიერ წელიწადის ავთენტური კალენდარული დაყოფა: ამ ხალხებმა არ იციან თვეები, გარდა იანვრისა და მარტისა. რატომ მაინცდამაინც მარტი? – ამას ავტორი ვერ ხსნის. წერილი მთავრდება ოსურ და ინგუშურ ენებზე კვირის დღეების დასახელებით. წერილში მოყვანილია რამდენიმე სხვა კალენდარული სიტყვა.

საკვანძო სიტყვები: ოსების რელიგია, კალენდარი, კვირის დღეები.

Key words: Religion of Ossetians, Calendar, The Days of the Week.

K, 1879, №38, 54, გვ. 1-2, ი. კანუკოვი, ადგილობრივი ცნობები კავკასიელ მთიელთა შორის მავნე წეს-ჩვეულებების გასანადგურებლად: სტატიაში ავტორი საუბრობს ინიციატივაზე გარკვეული ჯგუფის ფორმირებისა, რომელიც მიმართული იქნება ჩრდილოკავკასიელ მთიელებში უარყოფითი ტრადიციების აღმოსაფხვრელად. ავტორი იმედოვნებს, რომ ამ საკითხისათვის გამართული კრება შემდეგ პუნქტებს მიაქცევს ყურადღებას: ქელებების ტრადიციას, რომელსაც ეკონომიკურად გამანადგურებელი ზემოქმედება აქვს მოსახლეობაზე, ასევე “კალიმის” (გადასახადი საპატარძლოსთვის) გაუქმებასა და “ნეჩეის” (განქორწინების შემთხვევაში ქონების წილი ქალისთვის) გაზრდას. აქვე ავტორი საუბრობს განქორწინებული ქალის მძიმე ხვედრზე. სტატიის გაგრძელებაში ავტორი ვრცლად საუბრობს „ხალინკარცის“, ერთგვარი კორსეტის, ტარების ტრადიციაზე ოსებთან და ამით ქალთა სხეულისა და ცხოვრების ხარისხის დამახინჯებაზე. აქვეა ნახსენები, თუმცა არა უარყოფით კონტექსტში, მამამძუძეობის ტრადიცია.

საკვანძო სიტყვები: ოსები, წეს-ჩვეულებები, ქალი.

Key words: Osetians, Customs, Woman.

K, 1884, №2, გვ. 2, დღესასწაულები ოსეთში: ავტორი აღნიშნავს, რომ წარმართული და მაჰმადიანური რწმენები ერთმანეთს მუდამ უპირისპირდებოდა ოსეთში. ოსებს ჰქონდათ წარმართული სამლოცველო – „კუანდონი“ წმინდა მუხის ქვეშ, სადაც დეკანოზებად ქალებიც კი მსახურობდნენ. ზოგიერთ ამ წმინდა სახლს დიდი ისტორიული მნიშვნელობაც ჰქონია. ავტორი აქვე ჩამოთვლის ოსურ ღვთაებებს. შემდეგ აღწერს ახალი წლის შეხვედრის ტრადიციას. შვიდი იანვარს ოსები მიცვალებულთა დღეს აღნიშნავენ. დიდმარხვის პირველ კვირაში აღინიშნება წმ. თევდორეს ხსენების დღე – „ტუტირი“. აქვეა აღწერილი „ხორხორის“, „უს-განანისა“ და „ვაჩილას“ დღესასწაულებიც. სტატიის ბოლოს კი არის მცირე ცნობა შაითანის, ეშმაკის დღესასწაულზე, რომელიც 28 დეკემბერს იმართება.

საკვანძო სიტყვები: ოსეთი, ოსური დღესასწაულები. წარმართული დღესასწაულები.

Key words: Oseti, Osetian Holidays, Pagan Holidays.

ЖМНП, 1887, ნან. 250, ოქტ., განყ. II, გვ. 151- 163, რეცენზია: ი. ს.-კი, ოსების ორიდიული ყოფა-ცხოვრება: სტატია წარმოადგენს რეცენზიას მაქსიმ კოვალენსკის ნაშრომზე „თანამედროვე ჩვეულება და ძველი კანონი. ოსების საყოველღეო უფლებები ისტორიულ-შედარებით ჭრილში. ორ ტომად. მ. 1886“. ავტორი ამბობს, რომ ოსები ოჯახური ტიპის დასახლებებად ცხოვრობენ, რომლებშიც შეიძლება 40-100 კაცამდე შედიოდეს. დასახლების ამგვარი ტიპი თავისებურებებით გამოირჩევა: ოჯახური ქორწინებით, ნაცვლად ინდივიდუალურისა და სხვ. ავტორი სხვადასხვა ტრადიციასა და წეს-ჩვეულებაზე საუბრობს:

მამისა და დედის ხაზით ნათესაობის წესებზე, დანათესავებაზე – ძუძუმტეობით, ძმადნათესაობითა და შვილად აყვანით. ასევე ქორწინების წესებზე და ქალის მდგომარეობაზე ოჯახში: მას ქონებაზე არავითარი უფლება არ აქვს და შრომითაც უფრო მეტს შრომობს, ვიდრე – კაცი. ასევე განიხილავს მშობლისა და შვილების (სხვადასხვა რანგის ქორწინებიდან) ურთიერთმიმართების საკითხს. საუბარია ზოგიერთ სამართლის წესზე: მაგალითად, მოლალატე ცოლი ნაწნავის, ცხვირის ან ყურების მოჭრით ისჯებოდა; ამავე დროს, მამის ან ნათესავის მკვლელობა არ იყო დასჯადი, რაც, ავტორის აზრით, მკაცრი ოჯახური მმართველობის ტრადიციისათვის უჩვეულოა. ოსებს არ გააჩნდათ რაიმე სტაბილური სასამართლო ინსტანცია, დავის მოგვარება მოდავე მხარეთა წარმომადგენლების მიერ გადანწყვეტილების მიღებით ხდებოდა. რეცენზენტი ასკვნის, რომ წიგნის ავტორი ინფორმაციას ყოველთვის პირველადი წყაროდან არ იღებდა, რაზეც მეტყველებს გარკვეული უზუსტობები.

საკვანძო სიტყვები: ოსები, წეს-ჩვეულებები, ყოფა-ცხოვრება, ნათესაობა, ქორწინება, სასამართლო წესები.

Key words: Osetians, Customs, Lifestyle, Relations, Marriage, Court Rules.

შემოკლებათა განმარტებანი

А – Аргонавт (1901-1902).

АКАК – Акты, собранные Кавказской археографической комиссией (1866-1904).

БГК – Брошюры газеты „Кавказ“ (1867).

БЧ – Библиотека для чтения (СПб, 1875-1885).

ВЕ – Вестник Европы (Москва, 1866-1918).

ВЕСК – Весть Кавказа (1903).

ВИРГО – Вестник имп. Русского географического общества (СПб., 1851-1860).

ВК – Вестник Кавказа (1879-1882).

ВП – Всемирный путешественник (СПб., 1867-1871).

Г – Гусли (1881-1882).

ДБ – Дешевая библиотека (Москва, 1890).

ЕА – Ежедневник аргонанта (1901).

ЖМНП – Журнал Министерства народного просвещения (СПб., 1834-1917).

ЖС – Живая старина (СПб., 1890-1916).

З – Журна (1855).

ЗИАН – Записки имп. Академии наук (СПб., 1862-1895).

ЗИРГОПОЭ – Записки имп. Русского географического общества по отделению этнографии (СПб., 1867-1916).

ЗКВ – Закавказский вестник (1836-1864).

ЗКОИРГО – Записки Кавказского отдела императорского Русского географического общества (1852-1919).

ЗОЛКА – Записки общества любителей Кавказской археологии (1875).

ИКОИА – Известия Кавказского общества истории и археологии (1882-1884).

ИКОИМА – Известия Кавказского отделения Императорского Московского археологического общества (1904-1921).

ИКОИРГО – Известия Кавказского отдела императорского Русского географического общества (1872-1917).

ИПК – Иллюстрированное приложение к газете „Кавказ“ (1902-1905).

К – Кавказ (1846-1918).

КА – Кавказский альманах на 1877 г. (1877).

КВ – Кавказские вести (1906).

КВС – Кавказский вестник (1900-1905).

КК – Кавказский календарь (1845-1916).

ККВ – Кавказский книжный вестник (1900).

КСТ – Кавказская старина (1872-1873).

- ЛЛ** – Литературный листок (1864).
НО – Новое обозрение (1884-1905).
О – Обзор (1878-1883).
ОКОИРГО – Отчет Кавказского отдела имп. Русского географического общества (1864-1915).
С К – Сборник газеты „Кавказ“ (1846-1847).
СМОМПК – Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа (1881-1927).
СО – Сын отечества (СПБ., 1862-1901).
ССК – Сборник сведений о Кавказе (1871-1885).
ССКГ – Сборник сведений о Кавказских горах (1867-1876).
ТВ – Тифлиссские вести (1906).
ТВЕС – Тифлиссский вестник (1873-1876).
ТЛ – Тифлиссский листок (1886-1919).
ТЛИ – Иллюстрированное прибавление к газете „Тифлиссский листок“ (1899-1903).
ТФВ – Тифлиссские ведомости (1828-1833).
Ф – Фаланга (1880-1881).
ЧВ (Батум) – Черноморский вестник (Батум, 1894-1907).
ЧВ (Поти) – Черноморский вестник (Поти, 1907).
ЧГ – Черноморский голос (Батум, 1906).
ЭО – Этнографическое обозрение (Москва, 1889-1816).

1836-1927 წლების რუსულ პრესაში გამოქვეყნებული ქართული ფოლკლორული მასალის შესწავლა

ანოტირებული ბიბლიოგრაფია

ნინო ბალანჩივაძე, ნესტან რატიანი, მარინე ტურაშვილი, რუსუდან
ჩოლოყაშვილი, ეკა ჩხეიძე, ქრისტინე ცირეკიძე, თემურ ჯაგოდნიშვილი.

შპს გამომცემლობა „მერიდიანი“
ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი, №47.